

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXVIII

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2008 Tbilisi

„საენათმეცნიერო ძიებანი“

XXVIII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

ბაია ალავიძე, ნინო ნაზიანი

„Linguistic Papers“ volume 27 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze

ISSN 1987-6653

მეტყველების ჟანრობრივი და სიტუაციური ნორმები, როგორც კომუნიკაციური ჰეგემონიის საფუძველი

კომუნიკაციური ქვეტექსტის გასაგებად აუცილებელია გავარკვიოთ საიდან იღებს სათავეს გამონათქვამის იმპლიციტური შინაარსი? შეიძლება ვთქვათ, რომ გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსი ექსპლიციტურია, კომუნიკაციური კი — იმპლიციტური. თუმცა პირველი მთლიანად არ ამოიწურება იმით, რაც სიტყვებით იქნა ნათქვამი — ყოველთვის რჩება ქვეტექსტური ინფორმაცია. გამონათქვამის იმპლიციტურ შინაარსში ანუ ქვეტექსტში გამოიყოფა ზუსტად იგივე შრეები, რაც ექსპლიციტურში — ნომინალური ანუ რეფერენტული, ქვეტექსტი — რაღაც დამატებითი მტკიცებულება რეფერენტული სიტუაციის შესახებ, რომელსაც აღწერს ეს გამონათქვამი, ან ხშირად რაღაც სხვა, რომელიც უკავშირდება ამ სიტუაციას. კომუნიკაციური ქვეტექსტი — ეს არის მტკიცებულება კომუნიკაციური სიტუაციის შესახებ, პირველ რიგში კი, აღრესანთის შესახებ. მაინც, საიდან ჩნდება ქვეტექსტი? მარტივად ამ კითხვას ასე შეიძლება გავცეთ პასუხი: ჩვენ თვითონ ვქმნით გამონათქვამის ქვეტექსტს, ვიღებთ რამის ელემენტებს ჩვენი თეზაურუსიდან.

განვიხილოთ ასეთი გამონათქვამი: „ქრისტიანეს 38 და 8 ხაზი აქვს, გამოუძახე სასწრაფოს!“ ნებისმიერი თანამედროვე ადამიანი აბსოლუტურად გასაგებად და ლოგიკურად აღიქვამს ამ წინადადებას. ამ გამონათქვამის იმპლიციტური შინაარსი ასეთია: „ქრისტიანეს ტანის ტემპერატურა 38.8C ადამიანის ნორმალური ტემპერატურაა 37 C-მდე. უფრო მაღალი ტემპერატურა უკვე ნიშნავს, რომ ბავშვი ავადია. აქედან გამომდინარე, ქრისტიანე ავადია. რაც უფრო მეტად აღემატება ტემპერატურა 37 C, მით უფრო ავადია ბავშვი. ე.ი. ქრისტიანე სერიოზულადაა ავად. სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში კი უნდა მიმართოთ ექიმს..“ და ა.შ. ცხადია, რომ არც ერთი ნომა-

ლური ადამიანი ასე დაწვრილებით არ ლაპარაკობს, რადგანაც ადრესატმა ეს თავად იცის და ადრესანტმა იცის, რომ ადრესატმა ეს იცის და შესაბამისად მოახდენს რეაგირებას შეტყობინებაზე.

თეზაურუსი ნებისმიერი გონებრივად ჩამოყალიბებული ადამიანი-სათვის არის არა იზოლირებული ცოდნა, არამედ სისტემა, რომელთა ელემენტები დაკავშირებულია ერთმანეთთან, სამყაროს სუბიექტური აღქმა, რომელშიც წარმოდგენები და აღქმა შეესაბამება საგნებს და საგანთა კლასებს და მოვლენებს, ხოლო კავშირი არისა და გამოსახვას შორის ისეთივეა, როგორც კავშირი ამ საგნებსა და მოვლენებს შორის

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მასალას გამონათქვამის შინაარსისათვის მსმენელი იღებს საკუთარი თეზაურუსისაგან. ქვეტექსტის წარმოქმნის მექანიზმად კი გვევლინება მის ტვინში მიმდინარე ასოციაცია ტექსტის ექსპლიციტური შინაარსის ამა თუ იმ ელემენტების მიმართებისა სამყაროს ხატის სუბიექტურ სურათთან. სამყაროს ხატსა და სამეტყველო ქმედებას შორის მიმართების შესახებ ცოდნა გვაძლევს რეფერენციალურ ქვეტექსტს, ხოლო მეტყველების შესახებ ცოდნა — კომუნიკაციურ ქვეტექსტს.

საკამათო არაა, რომ მეტყველების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომუნიკაციის ფუნქცია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კომუნიკაციის პრინციპი. რა არის საჭირო, რომ მეტყველება აკმაყოფილებდეს ამ პრინციპს? კომუნიკაციის პრინციპი შეიძლება ჩამოვყალიბოთ 4 ძირითადი პრინციპის სახით, რომელიც გამომდინარეობს გამონათქვამის სტრუქტურის ზოგადი კანონზომიერებიდან:

1) გაგების პრინციპი; ამ პრინციპის თანახმად, ნებისმიერ დასრულებულ გამონათქვამს უნდა ჰქონდეს დენოტატი და დესიგნატი, რათა როგორც ადრესატისათვის, ასევე ადრესანტისათვის ნათელი იყო, თუ რაზეა ამ გამონათქვამში საუბარი.

2) მიზანმიმართულობის პრინციპი — ნებისმიერი გამონათქვამს აქვს რაიმე, თუნდაც გაუცნობიერებელი მიზანი;

3) სიტუაციის პრინციპი — ნებისმიერი გამონათქვამი ასე თუ ისე აუცილებლად უკავშირდება რაიმე სიტუაციას;

4) დაქვემდებარების პრინციპი — თითოეული გამონათქვამი შედის უფრო მსხვილ სამეტყველო ერთეულში (და საბოლოოდ ტექსტში) და, როგორც წესი, აზრობრივად უკავშირდება სხვა, მეორე გამონათქვამს (ადვილი შესამჩნევია, რომ ეს პრინციპი აერთიანებს 2 და 3 პრინციპს).

რა როლს ასრულებენ ეს პრინციპები მეტყველების აღქმაში და რაში გვჭირდება მათი ცოდნა? შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ასეთი ზოგადი კანონზომიერება: საუბრისას ჩვენ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვხელმძღვანელობთ ამ პრინციპებით. როცა ჩვენ ამ პრინციპებს ვარღვევთ, მაშინ გაუგებარი ხდება გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსი და ვცდილობთ პასუხი ქვეტექსტში ვიპოვოთ.

უკვე ნახსენები ზოგადი პრინციპების გარდა არსებობს წესი ანუ ნორმა, რომელიც არეგულირებს გამონათქვამის თუ ტექსტის აგებულების კომუნიკაციურ სიტუაციას ხასიათის მიხედვით. ნებისმიერ ენობრივ საზოგადოებაში არსებობს „ნორმათა სისტემა, რომელიც ახდენს სამეტყველო სიტუაციის დიფერენცირებას ურთიერთობის სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ-კულტურული და ენობრივი საზოგადოების თითოეულ ზრდასრულ წევრს აქვს წარმოდგენა იმაზე, როგორ და რაზე შეუძლია საუბარი ამა თუ იმ პირთან ამა თუ იმ გარემოში და რისი თქმა შეიძლება მისთვის და რაზე იქნება უმჯობესი არ ისაუბროს.

მეტყველება — ადამიანური ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენ, როგორც ამა თუ იმ სტატუსის მატარებლები და ამა თუ იმ როლის შემსრულებლები, ვსაუბრობთ (ვწერთ) ისე, ან დაახლოებით ისე, როგორც ამას ჩვენგან მოელიან“. საუბრისას ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ქვეცნობიერად ირჩევს ვარიანტს, რომელიც შეესაბამება წარმოდგენას იმაზე, თუ რას ელის მისგან მსმენელი“. ასე იქმნება ნორმათა სისტემა, რომელიც შეესატყვისება „როლის მატრიცას“, მოცემული საზოგადოების ფარგლებში. თითოეული ასეთი ნორმა, რომელიც არეგულირებს „სამეტყველო მატრიცას“, მიეკუთვნება ამა თუ იმ სამეტყველო ჟანრს. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ლიტერატურულ ჟანრებზე — რომანი, პოემა, იგავი და ა.შ. მაგრამ სამეტყველო ჟანრი სულ სხვაა, მასში იგულისხმება სასწავლო წიგნები, სამეცნიერო სტატია, საბუღალტრო აღრიცხვა, ადვოკატის გამოსვლა სასამართლოში და ა.შ.

სამეტყველო ჟანრი, როგორც სამეტყველო ქმედების ნორმა განსაზღვრული როლის ჩარჩოში, უკავშირდება სუბიექტის მეტყველების სტატუსს, რომელსაც თავად როლი განსაზღვრავს. მაგალითად, სასამართლოში დამცველად, როგორც წესი, პროფესიული ადვოკატი გვევლინება, გაკვეთილებს სკოლაში ატარებენ პედაგოგიური განათლების მქონე ადამიანები, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებ-

რივ პირობებში დაბადებული ნებისმიერი სამეტყველო ქმედება გვკარნახობს როლს, რომელსაც მეტყველი სუბიექტი ასრულებს. როგორც ბ.ა. ზვეგინცევი წერს: „თითოეული დასრულებული წინადადება აუცილებლად ატარებს რაღაც ინფორმაციას (ამასთან საკმაოდ არსებითს და მნიშვნელოვანს) იმ პირობებში, რასაც იგი აკმაყოფილებს. ასე ჩნდება უჩინარი და არმოსმენილი ქვეტექსტი ხილული და სმენადი „ტექსტისა“. ასე, რომ ქვეტექსტი იმპლიციტური „დამატებაა“ ენობრივი მნიშვნელობისა — ეს არა მარტო დამატებითი ინფორმაციაა კომუნიკაციური აქტის შესახებ, რის შედეგადაც თავად შეტყობინება წარმოიშვა, პირველ რიგში, ეს არის დამატებითი ინფორმაცია ადრესანტის მიერ მიღებული სოციალური როლის შესახებ, რომელიც მან ადრესატისაგან მიიღო, ადრესანტის სტატუსის შესახებ და აგრეთვე სიტუაციური ჩარჩოს დანარჩენი პარამეტრების შესახებ, რომელიც სრულად უცნობი ან ნაკლებად ნაცნობია ადრესატის მიერ (უფრო ზუსტად, თუ როგორ აფასებს ადრესანტი ამ პარამეტრებს).

ინფორმაციის რა დოზას შეიცავს კომუნიკაციური ქვეტექსტი?

კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს წარმოადგენს მეტყველების რეგულარული ვარიანტების უნარი, რომელიც განპირობებულია როლებრივი გამოვლენის კანონზომიერებით. აგრეთვე სამეტყველო ჟანრები, რომელსაც განაპირობებს სოციალური როლები და ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციები და განსაზღვრავენ გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსის ზოგად ხასიათს და აგრეთვე ვერბალიზაციის ნორმებს, ანუ საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის ენობრივ გამოხატულებას.

კომუნიკაციური ქვეტექსტი დამოკიდებულია მეტყველების ტოლებრივ და სიტუაციურ ზოგად ნორმირებაზე. რომ არ ყოფილიყო ნორმა, რომელიც ახდენს საგნობრივ ლოგიკური შინაარსისა და სტილის რეგლამენტირებას, არ იქნებოდა კომუნიკაციური ქვეტექსტი. „მეორე მხრივ, კი თუკი სამეტყველო ქმედების წესები მკაცრად იქნებოდა განსაზღვრული და ჩვენ ყველანი მას მუდმივად დავიცავდით, ანუ თუკი იდენტურ კომუნიკაციურ სიტუაციაში ადამიანები ილაპარაკებენ ერთნაირად, მაშინ თითოეული შეტყობინება იქნებოდა საკმაოდ ტრივიალური ინფორმაციის მატარებელი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე და, შესაბამისად, ტრივიალური იქნებოდა ადრესანტის როლი.

ეს ასე ხდება მთელ რიგ საქმიან და სამეცნიერო-ტექნიკური ენის ჟანრებში. ისინი, ერთი მხრივ, მკაფიოდ არიან შემოფარგლული განსაზღვრული კომუნიკაციური სიტუაციით, მეორე მხრივ კი მკვეთრად ზღუდავენ მეტყველი სუბიექტის მეტყველებას და არ უტოვებენ მას (ან თითქმის არ უტოვებენ) ჟანრობრივი ნორმების ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალებას. თუ ადამიანი მიდის მივლინებაში და სურს მისი ხელფასი ცოლმა აიღოს, მან უნდა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ მინდობილობის ჟანრს — ამ სიტუაციაში ვერც ერთი სხვა სამეტყველო ჟანრი ვერ გამოდგება. ასევე, იმისათვის, რომ მიიღო პატენტზე უფლება, უნდა გააფორმო საპატენტო ხელშეკრულება. ორივე შემთხვევაში დოკუმენტი იწერება მკაცრად განსაზღვრული წესებისა და ნიმუშის მიხედვით და ნებისმიერი ინდივიდუალური ჩარევა, ნებისმიერი შემოქმედებითი მიდგომა მიგვიყვანს იქამდე, რომ ტექსტი ვერ შეასრულებს თავის მისიას: ფულს ვერ მივიღებთ, ხელშეკრულებას ძალა არ ექნება.

მინდობილობა, საპატენტო ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, კომერციული შეთანხმება და ა.შ. და ა.შ. ახდენენ წმინდად როლებრივი ურთიერთობების რეალიზაციას — ანუ აქ ადრესატი და ადრესანტი გვევლინებიან მხოლოდ როლების შემსრულებლად და არავის აინტერესებს მათი პიროვნული თვისება. ცხადია, რომ ასეთ ჟანრებში კომუნიკაციური ქვეტექსტი უფუნქციოა, რადგანაც ჟანრი და, შესაბამისად, ამ ჟანრის შესაბამისი ტექსტი არ ტოვებს ქვეტექსტის ადგილს.

სხვა შემთხვევაში ზეპირი მეტყველების უმრავლეს ჟანრში მეტყველ სუბიექტს ეძლევა ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალება. ამიტომაც, ჩვენ განსხვავებულად ვმეტყველებთ — სხვადასხვა ადამიანებს აქვთ განსხვავებული ცხოვრებისეული და სამეტყველო გამოცდილება, თეზაურუსი, ტემპერამენტი, განსხვავებული სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული თუ განათლების სტატუსი. ეს კი იძლევა კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს, რადგან ადრესატი და ადრესანტი განსხვავებული ემოციური ფონისა და თვითგამოხატვის გამო ინდივიდუალურად აღიქვამენ გამონათქვამში მოცემულ ინფორმაციას.

ლიტერატურა

არნოლდი, 1982 — Арнольд И.В. Импликация как прием построения текста и предмет филологического изучения. – «Вопросы языкознания», 1982, №4.

Беседы о Вахтангове. М. –Л., 1940.

გალპერინი, 1977 — Гальперин И.Р. Грамматические категории текста. Известия АН СССР. Серия литературы и языка, 1977, №6.

დოლინინი, 1983 — Долинин К.А. ИмPLICITное содержание высказывания. – «Вопросы языкознания», 1983, №4.

ზვეგინცევი, 1876 — Звегинцев В.А. Предложение и его отношение к языку и речи. М., Изд. МГУ, 1976.

ოსტინი, 1965 — Austin J.L. How to do thing with words, N.Y. Oxford university press, 1965.

ბროუ, ლევინსონი, 19876 — Brow P., Levinson S.C. Politeness-Some Universals in language Usage. Cambridge University Press, 1987.

გორდონი, 1973 — Gordon G. Posdulats de Conversation – Languages, 1973.

MAYA ALAVIDZE, NINO NEBIERIDZE

Genre-specific and Situational Norms of Speech as the Basis for Communicative Implications

Summary

The paper aims to explore the source of utterance implications. As is known, in the process of communication a sentence is enriched and loaded with various implications i. e. there is no direct correspondence between the sentence meaning and the utterance meaning. The implicit meanings of an utterance contain layers similar to those of the explicit meaning. The referential meaning of an utterance contains some additional information about the referred situation, and above all about the addressor. The addressor's factor is revealed in the thesaurus as well as the sociolinguistic dimensions of a particular utterance.

მაკაბერიძე არჩვაძე

იმპლიკაციის რეფლექსურობა და მოდალობა ზეფრაზულ ერთიანობაში

არამარკირებულ იმპლიკაციურ ტექსტის სტრუქტურათა შორის გვხვდება იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობები, რომლებშიც იმპლიკაცია რეფლექსურია (სიმეტრიულია) — შესაძლებელია იმპლიკაციის ნაწილთა ურთიერთშენაცვლება: შეიძლება კონსეკვენტი ინტერპრეტირებული იქნეს როგორც ანტეცედენტი და, პირიქით, ანტეცედენტი — როგორც კონსეკვენტი (ჩიკუროვა, 1985).

სიმეტრიული იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობის მაგალითია სინტაქსური წყობა, რომელშიც პირველი წინადადება გადმოსცემს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის აღწერას მაშინ, როცა შემდეგი წინადადება აჩვენებს შესაბამის ქცევას, რომელიც დამოკიდებულია უფრო ფართო კონტექსტზე და აღიქმება როგორც ნიშანი, ან ამ ფსიქიკური მდგომარეობის შედეგი. მაგალითად:

(1) The Chief was very nervous. He didn't just fail to contribute any talk of his own, he could hardly listen to hers (J. S.)

თუ მოცემულ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობას განვიხილავთ ფართო კონტექსტის გარეშე, პირველი წინადადება შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს როგორც ანტეცედენტი, ისე კონსეკვენტიც: ის რომ, ადამიანს აღარ შესწევს უნარი ისაუბროს ან სხვას მოუსმინოს, შეიძლება იყოს მისი ნევროზული მდგომარეობის როგორც მიზეზი, ისე შედეგი. ამიტომ მოცემული იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურაში დასაშვებია როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრის იმპლიკაციის მარკერების შენაცვლება. მაგალითად,

—>The Chief was very nervous. **That's why** he didn't just fail to contribute any talk of his own, he could hardly listen to hers.

—>The Chief was very nervous. **Because** he didn't just fail to contribute any talk of his own; he could hardly listen to hers.

ხშირად სიმეტრიულ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში კომპონენტთა არაერთმნიშვნელოვნებას შეიძლება მივადწიოთ, თუკი მათ უფრო ფართო კონტექსტთან მიმართებაში განვიხილავთ. მაგალითად:

(2) Judges are human. They need friends (J.G.)

სიტუაციები, რომლებიც მოცემულ წინადადებებშია აღწერილი (მოსამართლეებიც ადამიანები არიან და მათ მეგობრები სჭირდებათ), ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ურთიერთს განაპირობებენ. მოცემულ შემთხვევაში ფართო კონტექსტი არ იძლევა იმპლიკაციის მიმართულების ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირების შესაძლებლობას; მხოლოდ მარკერის შენაცვლების შემთხვევაში აქვს (2) ტექსტის სტრუქტურას მნიშვნელობა

→ Judges are human. That's why they need friends.

→ Judges are human. Because they need friends.

ამრიგად, რეფლექსურ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობებში იმპლიკაციის კომპონენტთა ერთმნიშვნელოვნება განსაზღვრულია კონტექსტით, მაგრამ თავად იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობების რეფლექსურობა კონტექსტზე დამოკიდებული არ არის.

იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობების საშუალებით ხშირად გადმოიცემა სხვადასხვა სახის კაუზალური დამოკიდებულება.

ალეტიკური მოდალობის გამომხატველ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში დამოკიდებულება ობიექტებს, მოვლენებსა და ფაქტებს შორის შეიძლება იყოს შესაძლებელი ან აუცილებელი.

განვიხილოთ ალეტიკური მოდალობის გამომხატველი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობები, რომლებშიც წარმოდგენილია ფიზიკურ სამყაროში შესაძლებელი კაუზალური დამოკიდებულება მოვლენებს, ფაქტებსა და ობიექტებს შორის.

(1) იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა არის ისეთი ტექსტის სტრუქტურა, სადაც იმპლიკაციის კონსეკვენტში აღწერილი სუბიექტის მოქმედება სუბიექტის ფიზიკური მდგომარეობის შესაძლო შედეგია. მაგალითად:

(1) Her earrings still hurt. For the second time she took them off (A.H.)
S1>S2

→ If the earrings hurt, it is very probable that the woman takes them off
იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში (2) გარდაცვალება სუ-

ბიექტის ფიზიკური მდგომარეობის შედეგია:

(2) Also in October the news reached Celia that Eli Camperdown, president of Felding - Roth, who had been ill for several months, was dying. The cause was cancer (Ibid)
S1 ⊂ S2

→ He is dying because he has been ill with cancer for several months.

ალეტიკური მოდალობის გამომხატველი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა ანტეცედენტში შეიძლება შეიცავდეს სუბიექტის ემოციური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზს, მაგალითად:

(3) The count was beaming. He was very happy (E.H.) S1 ⊃ S2

→ He was beaming because he was happy

იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობის (4) ანტეცედენტურ ნაწილში აღწერილია ბუნებრივი მოვლენა, რომლის შესაძლო შედეგი – სუბიექტის მოქმედება კონსეკვენტშია აღწერილი. მაგალითად:

(4) „That wind is cold, darling, he said“ „You'd better put a sweater on“ (J.Ch)
S1 ⊃ S2

→ The man advised his friend to put a sweater on because the wind was cold

განვიხილოთ შემდეგი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა:

(5) The sun was just rising. The whole eastern sky was a riot of rose and orange and pale, pearly grey (A.Ch)
S1 ⊃ S2

→ If the sun is rising it is very probable that the whole eastern sky may be a riot of rose and orange and pale, pearly grey.

მზის ამოსვლა არის შესაძლო პირობა, რომლის დროსაც ცა აღმოსავლეთით მოვარდისფრო-ნარინჯისფერი გახდება.

მსგავსი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობების ერთ-ერთი სახეა იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურა, რომლის ანტეცედენტს აღმნიშვნელის ბუნება აქვს. მაგალითად:

(6) His skin was cold to touch.. The hand that I raised fell back lifeless. The man was dead -- shot through the head (Ibid) S1 ⊂ S2

→ If one's skin is cold and the hand falls back lifeless these are probable signs of the man's death.

ალეტიკური მოდალობის გამომხატველ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობებში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ობიექტებს, ფაქტებსა თუ მოვლენებს შორის არსებული აუცილებელი კაუზალური დამოკიდებულება. მაგალითად:

(7) The man, an accurate marksman, put one bullet through her heart. She fell and died, her blood pouring the rug where she had fallen (A.H.)

S1 ⊃ S2

მკერდში გასროლის გარდაუვალი შედეგია ადამიანის სიკვდილი:
→ If someone puts one bullet through one's heart it is inevitable that the latter dies.

მომდევნო იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში გამოხატული აუცილებელი მოქმედება ობიექტის ადგილ-მდებარეობის შედეგია. მაგალითად:

(8) The car had slowed. They were near the turn off which would take them back across the river bridge (Ibid) S1 ⊂ S2

→ If a car is near a turn off the necessary consequence is that it slows down.

შემდეგ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში ერთი მდგომარეობის გარდაუვალი შედეგია მეორე:

(9) . . . overhead lights were dimmed. Outside, darkness had descended on the raw fall day (Ibid) S1 ⊃ S2

→ If lights are dimmed it is inevitable that darkness descends.

განვიხილოთ იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა (10):

(10) And now Christmas had gone. It was 11 a.m. December 26 (Ibid) S1 ⊃ S2

აუცილებელი შედეგი იმ ფაქტისა, რომ საათი დილის 11 საათს აჩვენებს და 26 დეკემბერი გათენდა, იძლევა საფუძველს ლოგიკური დასკვნის გასაკეთებლად: შობა უკვე ჩავლილია:

→ If it is 11 a.m. December 26, Christmas has gone.

დეონტიკური მოდალობის გამომხატველ იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობაში ობიექტებს, ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული კაუზალური დამოკიდებულება შეიძლება აუცილებელი ან შესაძლებელი იყოს (Кондаков 1976)

მაგალითი შესაძლო დეონტიკური იმპლიკაციის საილუსტრაციოდ გამოგვადგება:

(11) Next morning my telephone rang. I answered (S.M.)

S1 ⊃ S2

ტელეფონის ზარს მოსდევს შესაძლო მოქმედება, რომელიც უკავშირდება ზარზე პასუხს:

→ If the telephone rings it is probable that somebody answers.

განვიხილოთ იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობა (12)

(12) Lady Caroline: I don't think England should be represented abroad by an unmarried man, Jane. It might lead to complications (O.W)

S1 ⊂ S2

→ If England is represented abroad by an unmarried man, it may lead to complications.

(12) მაგალითში შესაძლებლობის მოდალობა წარმოდგენილია მოდალური ზმნით **might**, რომლის მნიშვნელობა გამყარებულია მოსაზრების გამოხატვის უარყოფითი მოდუსით **I don't think**, რომელიც ასახავს არსებულ ნორმას, რაც რეკომენდებულია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლისათვის.

დეონტიკური მოდალობის გამომხატველი იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობები გადმოსცემენ ობიექტებს შორის არსებულ აუცილებელ კაუზალურ დამოკიდებულებას განსაზღვრული სოციალური ნორმების თვალსაზრისით. მაგალითად:

(13) This time death was not put down to natural causes. The police came (A.Ch.) S1 ⊃ S2

თუ ადამიანი კვდება არაბუნებრივი სიკვდილით, დანაშაულის ადგილზე, საზოგადოებრივი კანონების თანახმად, პოლიციის მისვლა აუცილებელია. მაგალითად:

→ If somebody's death is not put down to natural causes it is necessary for the police to come.

ამგვარად, იმპლიკაციური ზეფრაზული ერთიანობების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი რეფლექსურობაა, რაც კონტექსტზე დაყრდნობით იმპლიკაციური ტექსტის სტრუქტურების ნაწილების ურთიერთშენაცვლებას გულისხმობს და მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. იმპლიკაციურ ზეფრაზულ ერთიანობებს ასევე შესწევს უნარი გადმოსცეს სხვადასხვა სახის კაუზალური დამოკიდებულება, რასაც ჩვენ მიერ მხატვრული პროზიდან შეჩეული საილუსტრაციო მაგალითები ცხადყოფს.

ლიტერატურა

კონდაკოვი, 1975 — Кондаков., 1975 - Кондаков Н.И. Логический словарь-справочник/Н.И.Кондаков. — 2-е испр. и доп. изд. — М.:Наука, 1975. — ст.720.

ჩიკუროვა, 1987 — Чикурова М.Ф. антиимпликативные синтаксические структуры /М.Ф.Чикурова // Предикативность и полипредикативность. —Челябинск:Изд-во Челябинского пед. инс-та, 1987. — ст. 85-92.

ჩიკუროვა, 1985 — Чикурова М.Ф. О логико-семантической структуре сверхфразового единства и абзаца в художественной прозе / М.Ф.Чикурова // Теория лингвистической семантики. — Москва: Изд-во Московского обл. пед. Института им Н.Л. Крупской, 1985. — ст. 159-167.

EKATERINE ARCHVADZE

Reflexivity and Modality of Implicatures in Supraphrasal Entities

Summary

The paper discusses reflexive (symmetrical) implicational supraphrasal entities, whose implicational parts are interchangeable, viz. the consequent can be the antecedent and vice versa. The monosemantic character of the implicational components of a supraphrasal entity is contextually conditioned. However, the reflexivity of supraphrasal entities is not context-bound. The paper also examines supraphrasal entities conveying a variety of modal meanings. Their meaning being largely conditioned by the orientation of implication.

ინოლა ავაშიძე

ინგლისური და ქართული საჭოროწილო სადღებრძელოების სოციალ-პრაგმატიკული ანალიზი

როგორც ცნობილია, სადღებრძელოს წარმოთქმისას ადამიანი გამოხატავს თავის გრძობებსა და ფიქრებს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ის ადღებრძელებს. სადღებრძელო შეიძლება შეიცავდეს ლექსებს, პირად ამბებს, იუმორს, რაც გამომსვლელის მჭევრმეტყველებაზე მიუთითებს. როგორც წესი, სადღებრძელო ემოციებითაა აღსავსე და იმპროვიზაციის საგანია, რაც მას უფრო ლამაზს, შთამბეჭდავსა და განსაკუთრებულს ხდის.

ბახტინი (ბახტინი, 1986, 61) აცხადებს, რომ არსებობს ორი სახის სამეტყველო ჟანრი: პირველადი (მარტივი) და მეორადი (რთული). სადღებრძელოები შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული სამეტყველო ჟანრის ნიმუში, რადგან ისინი შეიცავენ ერთდროულად სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს, კერძოდ, ლექსებს, პირად ამბებს, ანდაზებს, იუმორს და ა.შ.

თითოეულ გამომსვლელს აქვს მრავალფეროვნებისა და იმპროვიზაციის შესაძლებლობა თავის სიტყვაში და ის სადღებრძელოს თავის ინდივიდუალურ სტილში წარმოთქვამს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ადამიანები თვითონ ირჩევენ სალაპარაკო სტილს, გარემოცვა (setting- ჰაიმისი, 1972, 60) სამეტყველო ქმედების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია და განაპირობებს მოსაუბრის მიერ სტილის არჩევას. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკე ვალდებულია მიმართოს გარკვეული გარემოცვისათვის შესაფერის სტილს. ქორწილი ის სამეტყველო მოვლენაა, რომელიც ჩამოყალიბებული წესების მკაცრ დაცვას მოითხოვს და მიეკუთვნება იმ სოციალური სიტუაციის სახეობას, რომელიც შეზღუდულია ყოფითი ნორმებით და მოითხოვს შესაფერისი მონაწილეების, ფიზიკური გარემოცვის, თემებისა და სტილის შერჩევას.

ტრადიციულ ინგლისურ ქორწილში სადღევრძელოებს ამბობენ

1. პატარძლის მშობელი (მამა) (**Father of the Bride**);
2. ნეფე (**Groom**);
3. ნეფის მეჯვარე (**Best Man**).

რამდენადაც ქართულ საქორწილო სუფრაზე წარმოთქმული სადღევრძელოები ძლიერ უხვი და მრავალფეროვანია, მოცემულ სტატიის მიხედვით მიმაჩნია ქართულ საქორწილო სუფრაზე წარმოთქმული ყველა ტიპის სადღევრძელოს განხილვა. ამდენად, ტრადიციულ ინგლისურ სადღევრძელოებთან ერთად (პატარძლის მამის, ნეფის და ნეფის მეჯვარის სადღევრძელო), განხილული იქნება ქართულ საქორწილო სუფრაზე თამადის მიერ წარმოთქმული ნეფე-დედოფლის, ნეფე-დედოფლის მშობლებისა და მეჯვარეების სადღევრძელოები, რაც მიზნად ისახავს ინგლისური და ქართული საქორწილო სადღევრძელოების თანაბარ სოციო-პრაგმატიკულ შეპირისპირებას. ინგლისური სადღევრძელოების ნიმუშები მოპოვებულია ინტერნეტსაიტზე www.youtube.com. ასევე შევარჩიე და დავამუშავე ინგლისური საქორწილო ეტიკეტის ინტერნეტსაიტებსა და სახელმძღვანელოებში მოცემული საქორწილო სადღევრძელოები. ქართული სადღევრძელოების მასალად გამოყენებულია ქართველი ლინგვისტური ინფორმანტების მიერ მოწოდებული სადღევრძელოები და ასევე ზ. ქინქლადის (ქინქლადე, 2000) წიგნი ქართული სადღევრძელოები“.

ინგლისურ საქორწილო სუფრას ზოგადად წარმართავს ადამიანი, რომელსაც „Toastmaster“ და აგრეთვე ცერემონიის ორგანიზატორს (**Master of Ceremony**) უწოდებენ. შესაძლებელია მისი მოვალეობა არა ცალკე მოწვეულმა პიროვნებამ, არამედ ნეფის მეჯვარემ შეასრულოს. ცერემონიის ორგანიზატორს ბევრი სხვადასხვა ვალდებულება აკისრია, როგორცაა მოსული სტუმრების წარდგენა მასპინძლისათვის მათი სახელების წარმოთქმით, სტუმრებისთვის ადგილების შეთავაზება მასპინძელთან წარდგენის შემდეგ, სადღევრძელოების წარმომთქმელთა გამოცხადება, მაგრამ მისი მოვალეობები განსხვავდება იმ მოვალეობებისაგან, რომლებიც საქართველოში თამადას ეკისრება. საქართველოში თამადა სუფრის მეთაურია და მას ევალება სადღევრძელოების წარმოთქმა და საქორწილო სუფრაზე სასიამოვნო გარემოს შექმნა. ის პირველი წარმოთქვამს სადღევრძელოებს, რომელთაც განსაზღვრული სტრუქტურა აქვთ, შემდგომ სუფრის დანარჩენი წევრები უერთდებიან თამადის მიერ წარმოთქმულ სადღევრძე-

ლოს. ქართულ საქორწილო სუფრაზე თამადას ნეფის მხრიდან მასპინძელი ნიშნავს, და, ჩვეულებისამებრ, ის მისი ნათესავი, მეგობარი ან მეზობელია. თამადა პატივსაცემი, ტაქტიანი და მჭევრმეტყველი ადამიანი უნდა იყოს, რომელმაც კარგად იცის სუფრის წესი და რიგი. საგულისხმოა, რომ ადრესატის დღევრძელობისას, გამომსვლელი ახორციელებს დალოცვის ილოკუციურ აქტს, რომლის პერლოკუციური ეფექტი არის მსმენელის მაღლიერება მოლაპარაკისადმი და სურვილი დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილად იმსახურებს მისადმი წარმოთქმულ ქებასა და კეთილ სიტყვებს. ამრიგად, სადღევრძელოს დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, რადგან, როდესაც ადამიანი დაფასებას გრძნობს სხვა ადამიანების მხრიდან, ის ცდილობს გაამართლოს მისადმი გამოთქმული დადებითი შეფასებები.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, პირველი სადღევრძელო ინგლისურ ქორწილში პატარძლის მშობელმა უნდა წარმოთქვას. თავის სადღევრძელოში ის მიესალმება სტუმრებს, ნეფის მშობლებს და მაღლობას უხდის მათ მოზრძანებისათვის, რამდენიმე სიტყვას ამბობს თავისი ქალიშვილისა და ნეფის შესახებ და ლაპარაკობს მათ მიღწევებსა და დადებით თვისებებზე. ოსტინის (ოსტინი, 1962, 159) თანახმად, ზმნა **‘toast’** არის პერფორმატული ზმნა და მიეკუთვნება ბიჰებიტივების ჯგუფს. ინგლისურ საქორწილო სადღევრძელოებში ზმირად ისეთი სახის პერფორმატივებიც შეიძლება შეგვხდეს, როგორცია **‘welcome’** და **‘wish’**, მაგალითად, ერთ-ერთ სადღევრძელოში პატარძლის მამა ამბობს: **‘I would like to formally welcome you and wish good luck to you both’**¹. მოცემული სიტყვებით მოლაპარაკე ახორციელებს მისალმებისა და სურვილის გამოხატვის ორ სამეტყველო აქტს, ხოლო საქართველოში თამადამ სადღევრძელო შეიძლება ასეთი სიტყვებით დაიწყოს: „მინდა სულითა და გულით ვადღევრძელო ეს შესანიშნავი წყვილი“, სადაც თამადა პერფორმატულ გამონათქვამს „მინდა ვადღევრძელო“ მიმართავს. ამავე დროს, იმისათვის, რომ პერფორმატული გამონათქვამი წარმატებული იყოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს ილბლიანობის პირობებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მონაწილეები და პირობები შესაფერისი უნდა იყოს მოქმედებების წარმატებულად განხორციელებისათვის, მაგალითად თუ ერთ-ერთი სტუმარი და არა ოჯახის წევრი წარმოთქვამს წინადადებას **‘I would like to**

¹ http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=593&num=2

welcome you into the family’, ის წარუმატებელი იქნება.

თავის სადღეგრძელოში პატარძლის მშობელი ხშირად აძლევს რჩევას ან ნეფეს ან წყვილს ერთად. ეს რჩევა ხშირად ხუმრობის ფორმას ატარებს, მაგ.: ‘Jane never fails to have the last word. Sometimes she is even right, but, John, don’t ever let her know this!’ (პიტონი და სტრეჩი, 2004:210-211). რჩევა-ხუმრობა აგრეთვე შეიძლება ასეთი იყოს: ‘According to Charlton Heston, the key to a long and happy marriage, Jeff, is to remember these three little words, ‘I was wrong’¹.

ქართულ სადღეგრძელოში კი თამადამ შეიძლება ასეთი რჩევა მისცეს ახალდაქორწინებულებს: „გაუფრთხილდით ერთმანეთს და წინ ველარაფერი დაუდგება თქვენს ბედნიერებას“ (ქინქლაძე, 2000:9).

უნდა ითქვას, რომ ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოს წარმოთქმა შემდეგ წესებს უნდა ემყარებოდეს²:

1. ძალიან ბევრი არ ილაპარაკოთ. მოკლედ წარმოთქვით თქვენი სადღეგრძელო ქორწილში, ის 5-დან 7 წუთამდე უნდა გრძელდებოდეს;
2. თქვენს სადღეგრძელოს პოზიტიური განწყობა უნდა ჰქონდეს.
3. პირადი ამბები მოკლედ უნდა მოჰყვეთ.

მოცემული წესები გარკვეულწილად გრაისის (გრაისი, 1975) კო-ოპერაციის მაქსიმებს გვაგონებს იმით, რომ ადამიანი უნდა იყოს იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც საჭიროა, უნდა ილაპარაკოს მოკლედ და თანმიმდევრულად. ამავდროულად მოლაპარაკის სადღეგრძელოს დადებითი შინაარსი უნდა ჰქონდეს. ზოგჯერ გულწრფელობას შეუძლია სხვა ადამიანის წყენა გამოიწვიოს და მოლაპარაკის სახის დაკარგვის (ბრაუნი, ლევისონი, 1987, 61) მიზეზი გახდეს. საქორწილო სადღეგრძელოები შეიძლება განიხილებოდეს როგორც დადებითი თავაზიანობის მაგალითები, რადგან ისინი ხელს უწყობენ თბილ სოციალურ ურთიერთობას მოლაპარაკესა და აუდიტორიას შორის დადებითი თავაზიანობის, ისეთი სტრატეგიების გამოყენებით, როგორცაა ხუმრობები, პირადი ამბები და მიმართვის ისეთი ფორმები, რომლებიც მოსაუბრეებს შორის არსებულ სოლიდარობაზე მი-

უთითებენ (მაგ., Jane, John, თემური, ეთერი) და სხვა.

სადღეგრძელოს წარმოთქმისას, პატარძლის მამას არ უნდა დაავიწყდეს მადლობის გადახდა სტუმრებისთვის ქორწილში მობრძანებისათვის, მაგ.: ‘On behalf of Mary and myself, and of course Jill and Keith, we want to thank all of you for being here’.³

საქართველოში კი თამადამ შეიძლება ასეთი სიტყვებით გადაუხადოს სტუმრებს მადლობა მობრძანებისათვის: ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისათვის, რომ მობრძანდით. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!⁴

ინგლისურ სადღეგრძელოებში პატარძლის მამა ხშირად ეუბნება ნეფეს კომპლიმენტებს, მაგ.: ‘Adam is the son to be proud of and we are delighted to call him our son-in-law and welcome him into our family’.⁵ კომპლიმენტი შეიძლება შევადაროთ ლიჩის (1983) აპრობაციის მაქსიმას, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ მოლაპარაკე დადებითი თავაზიანობის სტრატეგიებს მიმართავს თავის სადღეგრძელოში.

მოწოდება, შეისვას ახალდაქორწინებულების სადღეგრძელო, რომელიც წარმოითქმის ინგლისური სადღეგრძელოს დასკვნით ნაწილში, როგორც წესი, თხოვნის ფორმას ატარებს, ხშირად პერფორმატული ზმნის ‘ask’ გამოყენებით, რომელსაც ოსტინი ექსპოზიტივად მიიჩნევდა, ხოლო სერლი (სერლი, 1976) კომისივად. ხშირად ზმნას ‘ask’ დაერთვის სიტყვა ‘please’ რაც სტუმარზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს თხოვნის წარმოთქმის შედეგად, მაგ.: **I will simply ask you now please to stand and join with me in the traditional toast. Here is to the health and happiness of Jane and John**’ (პიტონი, სტრეჩი, 2004, 195). უნდა ითქვას ისიც, რომ პატარძლის მშობელი მიმართავს სხვადასხვა სახის გამონათქვამს, რათა სტუმრებმა შესვან ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო, მაგრამ ყველა ეს გამონათქვამი თხოვნის ფორმას ატარებს.

საქართველოში, ნეფე-დედოფლის დღეგრძელობისას, თამადა არა მხოლოდ ადღეგრძელებს მათ, არამედ ხშირად რჩევას აძლევს კარგი ოჯახის შენარჩუნებისათვის, მაგ.: ჩემო ხატია და ჩემო გოგო, დაგლოცავთ! დაგლოცავთ ისე, როგორც მე შემიძლია დაგლოცო ჩემი შვილები. დაგლოცავთ ისე, როგორც მამას შეუძლია საერთოდ შვი-

¹ http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=18&num=50

² http://www.topweddingsites.com/wedding_speeches_wedding_toasts.html

³ http://www.youtube.com/watch?v=Eel_W7s-WHM&feature=related

⁴ თამადა — ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძისა და გიორგი ქვანიას ქორწილი. 16.07.2000

⁵ http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1_I_KU

ლების დალოცვა. ბედნიერები იყავით, ჯანმრთელები იყავით... მე მი-
ნდა, რომ დღევანდელი დღის მერე თქვენი მეგობრობა, თქვენი ურ-
თიერთმხარში დგომა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული გაათ-
მაგებელიყოს და კიდევ უფრო გაძლიერდეს. დმერთმა დაგლოცოთ!
გაუმარჯოს ნეფე-დედოფალს!“¹

მოცემულ სადღეგრძელოში თამადა ურჩევს ნეფე-დედოფალს ერ-
თმანეთისადმი პატივისცემისა და თანადგომის გაძლიერებას, რაც
ძალზე მნიშვნელოვანია ბედნიერი ოჯახის შექმნისათვის. ამავე დროს
თამადა მოწოდებით მიმართავს სტუმრებს შესვან ნეფე-დედოფლის
სადღეგრძელო.

ინგლისში მეორე ტრადიციულ სადღეგრძელოს ამბობს ნეფე,
რომლის ძირითადი ვალდებულება პატარძლის მეჯვარის (მეჯვარე-
ბის) დალოცვაა. გარდა ამისა, ის საკუთარი და თავისი მეუღლის სა-
ხელით პასუხობს პატარძლის მამის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძე-
ლოს, მადლობას უხდის პატარძლის მშობლებს ქორწილის მოწყობა-
ში დახმარებისა და ასეთი კარგი ქალიშვილის გაზრდისათვის. ნეფე
ასევე მადლობას ეუბნება თავის მშობლებს სიყვარულისა და მხარდა-
ჭერისათვის, ხოლო სტუმრებს მობრძანებისათვის, საჩუქრებისა და
კეთილი სურვილებისათვის.

ნეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების გაანალიზებისას,
შევამჩნიე, რომ ზოგჯერ ნეფემ შეიძლება პირობა მისცეს თავისი
მეუღლის მშობლებს, და პირობა შესაძლოა ასეთი იყოს: **Bobbie and
Steve, I would like to thank you so much for everything you have done and
for welcoming me so openly in your family. I feel very proud to be able to say
that I am your son-in-law and I will always do my best to live up to your ex-
pectations and promise to take care of Marcella...and of course do everything
she tells me to do...now, I'm not saying that she's bossy...but I know my pla-
ce!**² როგორც ვხედავთ, დაპირებას ხუმრობა მოჰყვება, რომლის და-
ნიშნულება საზოგადოებაში უფრო მხიარული განწყობის შექმნაა.

ხშირად, სიძე მადლობას უხდის პატარძლის მშობლებს ისეთი
კომპლიმენტების წარმოთქმით, როგორცაა, მაგ.: **'To Sharon and
Chak! I love Sarah for her natural qualities. You have produced my most lo-**

¹ თამადა — ნუგზარ ჯიქია, ხატია არაბულისა და გიორგი ბერიანიძის
ქორწილი, 12.10.2002

² http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1

vebale person of all and that says quite a lot about you'.³ საგულისხმოა,
რომ სიძე სახელებით მიმართავს თავისი მეუღლის მშობლებს და
ამით დადებითი თავაზიანობის სტრატეგიას იყენებს. ამავედროულად,
თავის სადღეგრძელოში სიძე საკუთარ მშობლებსაც მადლობის
სიტყვებით მიმართავს: **I would like to thank my parents for the advice they
had given me, for putting up with me and for pointing me in the right directi-
on'**⁴.

როგორც წესი, ნეფე ადღეგრძელებს ახლო მეგობრებსა და ნათე-
საგებს ყურადღებისა და კეთილი სურვილებისათვის და შემდეგ მი-
მართავს თავის მეუღლეს: **'I thank you, Jane, for becoming my lovely bri-
de. You can't help being lovely, but you could help becoming my bride'** (ჰი-
ტონი, სტრეჩი, 2004, 234).

ზოგიერთ სადღეგრძელოში ნეფე აგრეთვე მადლობას უხდის თავის
მეჯვარეს მეჯვარეობაზე თანხმობისათვის, და ხშირად მადლობის
თქმას ხუმრობაც მოჰყვება, მაგ: **I would like to thank Ken for the way he
has carried out his best man offices. He has afforded me, for one, considerab-
le amusement and I thank him sincerely... Well, we know a best man can get
confused, because it's not something he does every day, but I mean, when the
vicar asked, 'Wilt thou have this man to thy wedded husband...?' and Ken
said, 'Yes', I thought it was a bit too much...It's a good job it wasn't the first
wedding that the vicar had ever conducted, otherwise he might have been
thrown off course'** (ჰიტონი, სტრეჩი, 2004, 228).

თუ განვიხილავთ ამ ისტორიას ოსტინის ილბლიანობის პირობე-
ბის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ის საშიშროება, რომელზედაც
ნეფე ლაპარაკობდა, არის „უილბლობა“ რომელიც გამოწვეულია
„ილბლიანობის პირობების“ წესების დარღვევით, ანუ პროცედურა
უნდა იყოს სწორად შესრულებული უფლებამოსილ ადამიანთა მიერ
განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმით, რაც დარღვეული იყო ნეფის
მეჯვარის მხრიდან. ასევე ყურადღება მინდა გავამახვილო „გამყოფ კი-
თხვებზე“ (tag questions), რაც ნეფისა და სხვა მამაკაცების საქორწი-
ლო სადღეგრძელოებში საკმაოდ ხშირად შემხვდა, მაგ.: **Now, Jane,
you thought you knew all the 'thank you's', that were going into my speech,
didn't you?** (ჰიტონი და სტრეჩი, 2004:234). აღსანიშნავია, რომ ასეთი

³ http://www.youtube.com/watch?v=hA_pePCRvNA&feature=related

⁴ http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1

კითხვები ხშირად განიხილება როგორც მერყეობის, დაურწმუნებლობის გამოხატვა და ლაკოფი (ლაკოფი, 1973, უესტში 1997:128) საუბარში ასეთი კითხვების გამოყენებას „ქალურ ენას“ უწოდებს. ლაკოფის განცხადების საპირისპიროდ ჰოლმსი (1990) აცხადებს, რომ მამაკაცებიც ბევრ ასეთ კითხვას იშვებენ და, ჩემი აზრით, ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოები ამის დასტურია, სადაც „გამყოფი კითხვები“ გამოიყენება გამომსვლელის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე მსმენელის დასტურის მოსაპოვებლად.

ინგლისურ ქორწილში პატარძლის მეგობრების დღეგრძელობისას, სიძე, როგორც წესი, ქათინაურებს ეუბნება მათ, მაგ.: **There is one more party for special mention. They're shining away in their glory like little glow-worms. They are reserved till last because I'm privileged to propose a toast to them after thanking them, as I do, for being our bridesmaids and for conducting themselves so beautifully. Ladies and gentlemen, I would like to finish now on that note. Would you please stand and join me in the toast to the bridesmaids** (ჰიტონი და სტრეჩი, 2004:235).

ამ მოწოდებით ნეფე ასრულებს თავის სადღეგრძელოს.

საქართველოში მეგობრების დალოცვისას თამადამ შეიძლება ასეთი სიტყვები წარმოთქვას: „მე მინდა სულით და გულით ჩვენი მეგობრების სადღეგრძელო შევსვა. თქვენ გაგიმარჯოთ! ლამაზად იყავით, კარგად იყავით, ბედნიერად იყავით! თქვენ დღეს აქ ხართ, ამ სერიოზულ კავშირში მონაწილეობას იღებთ. ეს არის ოჯახური, ქართული, ტრადიციული კავშირი, რომელსაც დიდი გაფრთხილება უნდა. ნათელ-მირონია, ჩემო მეგობრებო ეს! იცოცხლეთ, თქვენი ჭირიმი! თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ, იმიტომ რომ მომავალი თქვენს მხარეს არის და ზვალინდელი დღე თქვენია. გაგიმარჯოთ! იცოდეთ ერთი რამ: პატარა აგიტაცია უნდა გასწიოთ, რომ ოთხი შვილი იყოს აუცილებლად. აფაქიძეებისა და ყვანიების გვარმა და გეგეჭკორების გვარმა უნდა იმრავლოს. მრავალყამიერ თქვენი სიცოცხლე, ჩემო მეგობრებო!“¹

როგორც ვხედავთ, საქართველოში მეგობრების სადღეგრძელო ძალზე განსხვავდება იმ სიტყვებისაგან, რომელსაც ნეფე წარმოთქვამს თავისი მეუღლის მეგობრების მიმართ ინგლისში. ქართულ სადღეგრძელოში

რძელოში გამოხატულია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეგობრების როლი და მათი ნათელ-მირონული კავშირი ახალდაქორწინებულებთან და აგრეთვე ქართულ ტრადიციებთან. ინგლისურ სადღეგრძელოში კი სიძე, როგორც წესი, კომპლიმენტებს ეუბნება მეუღლის მეგობრებს და მადლობას უხდის მათ პატარძლის მეგობრობისათვის.

მესამე სადღეგრძელოს ინგლისურ ქორწილში სიძის მეგობარე ამბობს. მან უნდა უპასუხოს ნეფის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს პატარძლის მეგობრების სახელით, ადღეგრძელოს ნეფე-დედოფალი და აგრეთვე წაიკითხოს დეპეშები, ბარათები და ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი წერილები, რომლებიც იმ ხალხმა გამოგზავნა, ვინც ვერ შეძლო ქორწილში მისვლა. შემდეგ ნეფის მეგობრის მოვალეობაა იუმორით ისაუბროს სიძის შესახებ. სიძის ერთ-ერთმა მეგობარმა სადღეგრძელოს წარმოთქამდე თქვა: **I hope still to be friends at the end of the speech**². ეს სიტყვები ხუმრობას ჰგავს, მაგრამ აქ მართლაც რეალური საფრთხე არსებობს. ნეფის მეგობრის სიტყვა ყველაზე საინტერესო და იუმორისტული უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, ხუმრობებს არასდროს არ უნდა ჰქონდეთ ნეგატიური ან შეურაცხმყოფელი ელფერი და მისი გამოსვლა არ უნდა იყოს ორაზროვანი. სიძის მეგობრის მთავარი დანიშნულებაა — „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩააგდოს ნეფე, მაგ.: **'The very fact of John's anxiety prompted me into thinking of the shadier things about him that would hopefully be a shock to Jane and her family. So where to start? Schooldays? That was difficult because there weren't many of them. He'd be away from school for three weeks and then tell them he'd been to the dentist's. The headmaster wanted him to claim a place in the Guinness Book of Records for having the largest number of dental fillings'** (ჰიტონი და სტრეჩი, 2004:255-256).

სიცილი, როგორც რეაქცია ხუმრობაზე, დადებითი შეფასების ნიშანია. სამწუხაროდ, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხუმრობა შეურაცხყოფად არის მიღებული და გაუგებრობას იწვევს. მოსალოდნელ სიცილს ცვლის სიჩუმე, რაც ძალზე აშკარა ხდება მოლაპარაკისათვის. უეცარი სიჩუმე მიუთითებს იმაზე, რომ გამომსვლელს „სახის შელახვის“ რეალური საშიშროება ემუქრება, ამ შემთხვევაში სიძის მეგობრის „სახე“ დგას საფრთხის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ბევრმა ჩემმა ინგლისელმა ინფორმანტმა სიძის მეგობრის როლი აღწე-

¹ თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძისა და გიორგი ყვანიას ქორწილი. 16.07.2000

² http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=504&num=3

რა, როგორც „ძალიან სარისკო და საპასუხისმგებლო, რადგან არასდროს არ არის ცნობილი, თუ როგორ რეაქციას და ინტერპრეტაციას მიიღებს ხუმრობა დამსწრე საზოგადოებაში. შესაბამისად, ნეფის მეჭვარე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ტაქტი, იუმორის გრძნობა და მჭევრმეტყველება ახასიათებს“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხუმრობა და მას მოყოლებული სიცილი (სიჩუმე) ასევე „მეზობლური წყვილის“ (adjacency pair- შეგლოფი და საქსი, 1973) ორ ნაწილს წარმოადგენს. ამრიგად, საქორწილო სადღეგრძელო შეიძლება განვიხილოთ არა როგორც მონოლოგი, სადაც აუდიტორია პასიურ როლს თამაშობს, არამედ როგორც დიალოგი მოლაპარაკესა და მსმენელებს (სტუმრებს) შორის. უფრო მეტიც, ქართულ საქორწილო სუფრაზე მყოფმა საზოგადოებამ წარმოქმულ სადღეგრძელოზე თავისი რეაქცია შეიძლება გამოხატოს არა მხოლოდ სიცილით (სიჩუმით), არამედ ისეთი სიტყვებით ან ფრაზებით, როგორცაა, მაგ.: „გაიხარე“, „გაუმარჯოს“, „იცოცხლე“, „კარგად იყავი“, რითაც ისინი დადებით შეფასებას გამოხატავენ სადღეგრძელოს შინაარსისადმი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სადღეგრძელო დიალოგად და არა მონოლოგად უნდა იყოს აღქმული.

საქორწილო სუფრის დამსწრეებზე, როგორც სამეტყველო მოვლენის მონაწილეებზე ლაპარაკისას, აღსანიშნავია ბრენაისის (ბრენაისი, 1981, 8) აზრი „პირველადი“ (primary) და „მეორადი“ (secondary) აუდიტორიის არსებობის შესახებ. „პირველადი“ აუდიტორია შედგება ინდივიდებისა ან ჯგუფისგან, რომელზედაც მოქმედება პირდაპირ გადადის, ანუ იმათგან ვისზედაც გამომსვლელს პირდაპირი გავლენის მოხდენის იმედი აქვს. „მეორადი“ აუდიტორია შეიცავს სხვა ადამიანებს, რომლებიც ესწრებიან ღონისძიებას. თუმცა ეს არ არის უბრალოდ მეორეხარისხოვანი კატეგორია, რადგან „მეორადი“ აუდიტორია შეფასებისა და კონტროლის ელემენტსაც შეიცავს. ამრიგად, პატარძლის მამის გამოსვლაში, „პირველად“ აუდიტორიას, როგორც წესი, ნეფე წარმოადგენს, რომელსაც მოლაპარაკე რჩევას აძლევს, მაგალითად: ‘There is something you’ll have to learn to live with, John, because no man has yet been able to understand it fully. It’s the elusive female mind’ (პიტონი, სტრეჩი, 2004, 193), ხოლო დამსწრე საზოგადოება „მეორადი“ აუდიტორიაა. ასეთი სახის ღონისძიებებზე აუდიტორია ძალზე აქტიურ როლს თამაშობს, რადგან გამომსვლელის

ხუმრობებს მათი რეაქცია მოჰყვება, სიცილის, ღიმილისა და აპლოდისმენტების სახით, რაც მოლაპარაკის სიტყვების დადებით შეფასებასა და მხარდაჭერაზე მეტყველებს. არის შემთხვევები, როდესაც სტუმრები „პირველად“ აუდიტორიას წარმოადგენენ, მაგ., ‘Thank you all for coming’ ის სიტყვებია, რასაც პატარძლის მამა ხშირად წარმოქვამს სტუმრების მიმართ.

როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისურ საქორწილო სუფრაზე სიძის მეჭვარის ვალდებულებაა მადლობა გადაუხადოს ნეფეს პატარძლის მეჭვარეების სახელით მათი დღეგრძელობისათვის, მაგ.: ‘I must now turn to the lovely bridesmaids. On their behalf, John, I thank you for your enthusiastic compliments paid to them. They really are a colourful bouquet of flowers, aren’t they? I share your sentiments about them wholeheartedly’ (პიტონი, სტრეჩი, 2004, 256). აღსანიშნავია ისიც, რომ თავის სიტყვაში მეჭვარე არა მხოლოდ მადლობას უხდის სიძეს პატარძლის მეჭვარეებისადმი გამოქმული კეთილი სიტყვებისათვის, არამედ თვითონაც ეუბნება მათ ქათინაურებს, ადარებს რა მათ ყვავილების თაიგულს. შეკითხვის ფორმა (aren’t they?), ანუ „გამყოფი კითხვა“ გამოყენებულია სიძისგან დასტურის მისაღებად, რაც ასევე ადასტურებს, რომ სადღეგრძელო დიალოგია და არა მონოლოგი.

საბოლოოდ, სიძის მეჭვარე მადლობას უხდის სტუმრებს მობრძანებისათვის, მაგ.: On behalf of the bride and groom, I’d like to thank everyone here for sharing their special day, particularly those who have travelled long distances. It gives me immense pleasure (not mention relief) to invite you all to stand and raise your glasses in a toast for Shane and Rebecca. To the happiness, health, wealth and good fortune of the happy couple; To the Bride and Groom!’¹

ქართულ საქორწილო სუფრაზე ნეფე-დედოფლის მშობლების დალოცვისას, თამადა ჯერ პატარძლის მშობლებს ადღეგრძელებს, მაგ.: „მე პირველად ქალბატონი ეთერი და ბატონი თემური მინდა ვადღეგრძელო. კარგად იყავით, თქვენი ჭირიმე, შესანიშნავი ხალხი ხართ, შესანიშნავი გარეგნობის. შესანიშნავი ქალბატონი გყავთ გაზრდილი აგერ, ჩამოყალიბებული ანგელოზი. ეს ანგელოზი მოგტაცეთ ეხლა, მაგრამ ნუ გეწყინებათ, სიყვარულმა, მე კი არა ვადარია ტარიელიო. მე მინდა სულით და გულით შევსვა თქვენი სადღეგრძე-

¹ http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=504&num=3

ლო. მინდა დაგლოცოთ, ბედნიერად და კარგად იყავით. დიდი სიხარული ყოფილიყოს აი ამათი მხრიდან თქვენთვის! „¹

როგორც ვხედავთ, სადღეგრძელო ქათინაურის რამდენიმე მაგალითს შეიცავს როგორცაა „შესანიშნავი ხალხი ხართ, შესანიშნავი გარეგნობის“ ისევე როგორც პატარძლის „ანგელოზად“ მოხსენიება. მოცემულ სადღეგრძელოში თამადა აგრეთვე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ცნობილ გმირს იხსენებს, რითაც სურს გამოხატოს სიყვარულის სიძლიერე, რომელიც მოცემული დღესასწაულის მიზეზი გახდა. შემდგომ, თამადა თავის სადღეგრძელოში ნეფის მშობლებს მიმართავს: „ჩემო გალინა და ჩემო ირაკლი. თქვენი სადღეგრძელო მინდა დავლიო. გაგიმარჯოთ! გალინა და ირაკლი, დაგლოცავთ! თქვენ გაქვთ შესანიშნავი ოჯახი. კარგად იყავით, იცოცხლეთ!“² ძალზე ხშირად თამადა, რომელსაც ნეფის მშობლებთან ნათესაობა ან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს, იხსენებს სახუმარო და სახალისო მომენტებს მათი ურთიერთობიდან და დამსწრე საზოგადოებას უზიარებს, მაგ.: „მე და ირაკლი ერთი მერხის მეგობრები ვართ, პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ. რაც მე ამისგან ფიზიკასა და მათემატიკაში საკონტროლო გადამიწერია, იმდენი სიკეთე თქვენ! ეს იყო აინშტაინი ჩვენს კლასში!“³ ამრიგად, თამადის სადღეგრძელოში შერწყმულია არა მხოლოდ დალოცვა, არამედ პიროვნული თვისებების დაფასება და ხუმრობაც, რაც აუდიტორიიდან დადებით შეფასებაც იღებს სიცილის სახით.

საგულისხმოა, რომ ფორმულა-გამონათქვამების გამოყენება დამახასიათებელია, როგორც ინგლისური (მაგ.: **Here is to bride and groom!; Here is to the health and happiness of...; To bridesmaids; Good luck to you (both); Wish you all the best!**), ასევე ქართული საქორწილო სადღეგრძელოებისათვის (მაგ.: „კარგად იყავით“, „გაგიმარჯოთ“, „დაგლოცავთ“, „სიხარულს, სიყვარულს გისურვებთ“, და სხვა). მაგრამ, ცხადია, სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს მხოლოდ ფორმულა-გამონათქვამების გამოყენება არ არის საკმარისი და ამ ფრაზებს ემატება გამომსვლელის გრძნობებისა და ფიქრების ინდივიდუალური გამოხატვა, რაც მის სადღეგრძელოს განსაკუთრებულს ხდის.

¹ თამადა — ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძისა და გიორგი ყვანიას ქორწილი. 16.07.2000

² იქვე

³ იქვე

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ:

1. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს გამომსვლელი გამოხატავს თავის გრძნობებსა და ფიქრებს ადრესატის მიმართ. სადღეგრძელო მიეკუთვნება მეორადი (რთული) სამეტყველო უნარის ჯგუფს. თითოეული სადღეგრძელო ინდივიდუალურ სტილში წარმოითქმის, მაგრამ სტილის არჩევა დიდად დამოკიდებულია გარემოებებსა და მონაწილეებზე.

2. ინგლისურ საქორწილო სუფრაზე წარმოითქმის სამი ტრადიციული სადღეგრძელო, რომელსაც პატარძლის მამა, ნეფე და ნეფის მეჯვარე წარმოთქვამენ. ქართულ საქორწილო სუფრაზე კი სადღეგრძელოებს თამადა ამბობს და სადღეგრძელოთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ინგლისური სადღეგრძელოს წარმოთქმის წესი გარკვეულწილად გრასის კოოპერაციის პრინციპს გვაგონებს, რადგან მოითხოვს მოლაპარაკისაგან ილაპარაკოს მოკლედ და თანმიმდევრულად.

3. საქორწილო სადღეგრძელოების წარმოთქმის დროს გამომსვლელი ხშირად ხუმრობს. კარგი ხუმრობა პასუხად სიცილს იწვევს, ხოლო ცუდი ხუმრობა — უეცარ სიჩუმეს, რაც, ამავე დროს, „მეზობლური წყვილის“ მაგალითს წარმოადგენს. სადღეგრძელოს შესმის მოწოდებისას გამომსვლელი ხშირად სიტყვას **‘please’** მიმართავს, რითაც ის არბილებს თხოვნას.

4. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოებისთვის დამახასიათებელია „გამყოფი კითხვები“, რომლებიც ითხოვენ მსმენელისაგან დასტურს გამომსვლელის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რაც ასევე იმის მაჩვენებელია, რომ სადღეგრძელო დიალოგია და არა მონოლოგი.

5. ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოში გამომსვლელი ხშირად მიმართავს პერფორმატულ ზმნებს **‘toast’, ‘thank’** და **‘wish’**. ქართულ საქორწილო სუფრაზე კი თამადა ხშირად მიმართავს ისეთ პერფორმატულ გამონათქვამებს, როგორცაა „ღმერთმა დაგლოცოთ“, „დაგლოცავთ“, „გაგიმარჯოთ“.

6. ქართულ ქორწილში სიძე-პატარძლის მშობლების დღეგრძელობისას, თამადა შეიძლება ძველი სახუმარო ამბები გაიხსენოს მათი ურთიერთობიდან და გაუზიაროს ისინი დამსწრე საზოგადოებას, მაგრამ ეს სახუმარო ამბები ყოველთვის ქათინაურის ფორმას ატარებს. ქათინაურები შეიძლება შევადაროთ ლიჩის აპრობაციის მაქსი-

მას, რაც მიუთითებს მოლაპარაკის მხრიდან „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიების გამოყენებაზე.

ლიტერატურა

ბახტინი, 1986 — Bakhtin, M, 1986, Speech Genres and Other Late Essays, University of Texas Press, Austin.

ბრაუნი, ლევისონი, 1987 — Brown, P & Levinson, S., 1987, Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University Press.

ბრენაისი, 1980 — Brenneis, D, 1980, Straight Talk and Sweet Talk: Political Discourse In a Community of Equals, in Bauman R., and Sherzer J, (eds.), 1983, Case Studies in the Ethnography of Speaking. Austin.

გრაცი, 1975 — Grice, 1975, Logic and Conversation, In Cole, P and Morgan, J (eds.), 1975, Syntax and Semantics 3, Speech Acts, pp. 41-58, New York, Academic Press.

ლაკოფი 1973 — Lakoff, R., 1973, Language and Women's Place, Language in Society, 2 (1), pp. 45-79, in West, C, Lazar M.M., and Kramarae, C., 1997, Gender in Discourse, pp. 93-143, in Van Dijk, T., (ed.) Discourse As Social Interaction, Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction. Vol.2, Sage Publications. London, Thousand Oaks, New Dehli.

ლიჩი, 1983 — Leech, G., 1983, Principles of Pragmatics, Longman, London and New York.

ოსტინი, 1962 — Austin, J, L, 1962, How to Do Things With Words, Oxford University Press.

სერლი, 1976 — Searle, J, 1976, A Classification of Illocutionary Acts, In Городецкий В. Ю. (ред), Дж. Р. Серль. Классификация Иллокутивных Актов, стр. 170-194, Новое В Зарубежной Лингвистике, Вып. 17, Теория Речевых Актов, Москва, 1986

ქინქლაძე, 2000 — ზ. ქინქლაძე, 2000, ქართული სადღეგრძელოები, თბილისი.

შეგლოფი, საქსი, 1973 — Schegloff, E, A and Sacks. H, 1973, Opening up Closings, in Geis, M, 1995, Speech Acts and Conversational Interaction, Cambridge University Press.

ჰაიმსი, 1972 — Hymes, D, 1972, Models of the Interaction of Language and Social Life. In Gumperz, J and Hymes, D (eds.), 1972, Directions in Sociolinguistics, pp. 35-71, New York.

ჰიტონი, სტრეჩი, 2004 — Heaton, V., and Stretch, G., 2004, The Complete Wedding Book, Clarion.

ჰოლმსი, 1990 — Holmes, J., 1990, An Introduction to Sociolinguistics, New Zealand.

ინტერნეტ წყაროები

http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=593&num=2

http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=18&num=50

http://www.topweddingsites.com/wedding_speeches_wedding_toasts.html

http://www.youtube.com/watch?v=Eel_W7s-WHM&feature=related

http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1_1_KU

http://www.youtube.com/watch?v=hA_pePCRvNA&feature=related

http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1

http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=504&num=3

INOLA APAKIDZE

ციური ახვლედიანი

Socio-Pragmatic Analysis of English and Georgian Wedding Toasts**ფრანგული ფონეტიკისა და ფონოლოგიის
სოციოლინგვისტიკური ასპექტები**

Summary

The paper considers socio-pragmatic peculiarities of English and Georgian wedding toasts. Toasts can be considered examples of a complex speech genre as they include elements of blessing, rhymes, storytelling, humour etc. Attention is drawn to the role of the toastmaster at English and Georgian wedding parties. Unlike English weddings, where toasts are usually proposed by three different speakers (Father of the Bride, the Groom and the Best Man), toasts at Georgian weddings are introduced by the toastmaster (the tamada), who is also in charge of keeping harmony and joy among the participants of the event. In both cultures wedding toasts abound in performatives such as 'thank', 'wish', 'propose'. At the same time, the performative verb 'bless' is very often used in Georgian toasts. It is also noteworthy that when proposing a toast, the speaker performs an illocutionary act of praising and blessing the listener that leads to the perlocutionary effect, since the addressee tries to prove that he/she really deserves the compliments and good wishes expressed by the addressor.

უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე შეიცვალა ლინგვისტიკის ობიექტსა და მის ამოცანებზე შეხედულებები, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს სწავლების შინაარსსა და მეთოდებზე. 1930-დან 1970 წლამდე, ლინგვისტიკის დომინირებული მიმართულება სტრუქტურალიზმი იყო, რამაც თავისი ასახვა პოვა დიდი რაოდენობის დესკრიპციულ სინქრონიულ კვლევებში, განსაკუთრებით ფონოლოგიის სფეროში. ენის ფონოლოგიური სისტემა შეისწავლებოდა იზოლირებულად და წარმოდგენილი იყო როგორც რაღაც ერთსახოვანი ობიექტი. მისი კავშირი ექსტრალინგვისტიკურ რეალობასთან პრაქტიკულად არ იყო გათვალისწინებული, იგნორირებული იყო მისი სოციალური და პრაგმატული ასპექტები. ამ კვლევებში იყო პოზიტიური მხარეც: ძირითადი ყურადღება ექცეოდა ენის კონსტანტურობას, ანუ მის თვისებას ფუნქციონირებისა როგორც ურთიერთობის საშუალება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სოციალური, ტერიტორიალური ან ასაკობრივი ჯგუფი იყენებს მას. ენის რეალურ ვარიაციულობას თითქმის არ ეთმობოდა ყურადღება.

სოციოლინგვისტიკის განვითარებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ფონოლოგიასა და ფონეტიკაზე. ენის ფუნქციონალური მიმართულების წინა პლანზე წამოწევამ აიძულა ფონეტიკოსები ახლებურად შეეხედათ ფონეტიკური აღწერის მუდმივი პრობლემებისათვის. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა კონსტანტურობისა და ვარიაციულობის, ენობრივი მდგომარეობებისა და სიტუაციების საკითხები.

სხვაგვარად წარმოდგენენ დიალექტოლოგიური ნაშრომებიც. თუ ადრე ისინი არ იყვნენ დაკავშირებულნი ეგრეთ წოდებულ შინაგან ლინგვისტიკასთან, ამიერიდან ფონოლოგიური სისტემის აღწერასთან ერთად მიითვება მოცემული სისტემის ვარიანტთა ტერიტორიალური განაწილების შესახებ. ეს გვაიძულებს სხვაგვარად მივუდგეთ

ენის ნორმის პრობლემასაც. თანამედროვე დიალექტოლოგიურ კვლევათა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მითითებულია სოციალურ, ასაკობრივ ჯგუფებად განაწილება, გათვალისწინებულია მამრობით და მდედრობით ვარიანტთა განსხვავება და ინფორმანტთა განათლების დონე. ამ ფონზე წყდება ენობრივი კონსერვატიზმის პრობლემა.

ფრანგული ფონეტიკისათვის ძლიერ ნაყოფიერი აღმოჩნდა ა. მარტინეს იდეა დინამიკური სინქრონიის შესახებ. ამჟამად, ენის განვითარების დასაკვირვებელი ელემენტები აისახებიან სოციალურ პრესტიჟში, ენობრივ კონტაქტებში და ა.შ.

ამგვარად, ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ფრანგულ ფონეტიკასა და ფონოლოგიაში აღინიშნა სოციოლინგვისტურ ფაქტორთა შეჭრა. ეს აისახება კვლევის პრობლემატიკაშიც, მეთოდებშიც და შედეგთა ინტერპრეტაციაშიც. ფრანგი ლინგვისტები ნათლად აცნობიერებენ სოციოლინგვისტური მიდგომის მნიშვნელობას ფრანგული ენის, როგორც უცხოურის და როგორც მშობლიურის სწავლების დროს.

უკანასკნელი წლების ფონეტიკური ცვლილებები აიძულებენ ფრანგ ფონოლოგებს, რომ გადახედონ ფრანგული ენის ფონოლოგიურ ოპოზიციათა სიას. დისკუსიას იწვევს წინა რიგის [a]-სა და უკანა რიგის [ɑ]-ს, დახურული [e]-ს და ღია [ɛ]-ს, ასევე ზოგიერთ სხვა ოპოზიციათა არსებობის რეალურობის საკითხები.

ფონოლოგიურ ოპოზიციათა სისტემის გადახედვის საფუძველს წარმოადგენენ სოციოლინგვისტური კვლევები, ასევე დიალექტოლოგიური კვლევები სოციოლინგვისტური მიმართულებით. კვლევათა შედეგები ხშირად ეპიზოდური ხასიათისანი არიან, ემყარებიან ინფორმანტთა მცირე რაოდენობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაშრომთა ერთობლიობას შეუძლია წარმოადგენა შექმნას ენის ფუნქციონირებისა და მისი განვითარების რეალურ ტენდენციებზე. ამ კვლევათა მიხედვით ჭერჭერობით შეუძლებელია შეიქმნას ახალი ნორმატიული ფონეტიკა, მაგრამ შეიძლება კორექტივების შეტანა სწავლების პროცესში.

შრომათა ყველაზე მეტი რაოდენობა ეძღვნება [e]~[ɛ]-ს ოპოზიციას. ა.მარტინესა და პ. ვალტერის კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფონემათა რაოდენობა და მათი რეალიზაციის საშუალებები ვარიირებს საფრანგეთის რეგიონისდა მიხედვით. მკვეთრად დაპირისპირებული

ჩრდილოეთისა და სამხრეთის წარმოთქმის სისტემები. მაგრამ ეს იძლევა მხოლოდ ძალიან ზოგად სურათს.

მონაცემთა დეტალიზაციის მიზნით, პ. სიმონმა წარმოადგინა კვლევა, რომელიც სპეციალურად მიუძღვნა [e]~[ɛ] ოპოზიციას. როგორც ცნობილია, ეს ოპოზიცია სამხრეთულ წარმოთქმაში არ არსებობს. ნაშრომის ავტორი გვიჩვენებს, რომ ამ ოპოზიციის რეალიზაციები, საფრანგეთის ჩრდილო რეგიონებში, სულაც არ არის ერთგვაროვანი.

შეინიშნება, რომ, არღენიდან ნორმანდიაში, ამ ოპოზიციის გამოვლენის ტენდენცია დასასრულისკენ მიდის. ელზასში ნათლად შეინიშნება ოპოზიციათა გრძლიობის მიხედვით, რომლითაც განსხვავდება *mettre* და *maître*. ლოტარინგიაში ტენდენციაა ღიაობის უფრო მეტი ხარისხისაკენ: *cahier* [ɛ]. ვოგეზში [e], დახურულ მარცვალში, დახურულად წარმოითქმის: *père* [pe:r]. ფრანშ-კონტეში შენარჩუნებულია ოპოზიცია გრძლიობის მიხედვით, სიტყვის ბოლოში: *aimé- aimée*. ბურგუნდიაში ოპოზიცია [e]~[ɛ] შენარჩუნებულია გრძლიობის მიხედვით ოპოზიციასთან ერთად, დახურულ მარცვალში: *tette - tête*. ნორმანდიაში არსებობს [e]-ს წარმოთქმის ტენდენცია დახურულ მარცვალში: [pe:r].

შ. რიტო-უტინემ, იკვლევდა რა ბეზანსონის ტერიტორიალურ დიალექტს, დაადგინა, რომ [e] წარმოითქმის როგორც გრძელი და დახურული ხმოვანი, დახურულ მარცვალში: *pêche, mère*. თუ, სიტყვაში *pêcher*, ნორმატიული ფრანგულით ხდება ხმოვანთა ჰარმონია (თავკიდური მარცვლის [e] დახურული ხმოვანი ხდება), აღნიშნულ ტერიტორიალურ დიალექტში, [e] წარმოითქმის როგორც დახურული ორივე შემთხვევაში: *pêche* და *pêcher*.

ენობრივი ნორმის პრობლემის გადაჭრის სფეროში, წმინდა დიალექტოლოგიური კვლევები თანდათანობით ადგილს უთმობენ სოციოლინგვისტურ კვლევებს. ნ. გენიემ, ე. ჟენუერიემ და ა. კომსიმ, ავტორებმა წიგნისა „ფრანგები ნორმის წინაშე“, ჩაატარეს სოციოლინგვისტური კვლევა საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონში. ქალაქ ტურში, ისინი იკვლევდნენ ქალაქის მოსახლეობის ენას, ოპოზიცია [e]~[ɛ]-ს რეალიზაციის თვალსაზრისით. ავტორები მივიდნენ შემდეგ დასკვნებამდე.

ოპოზიცია ხორციელდება საზოგადოების მაღალ ფენებში და ოფიციალური ურთიერთობის დროს. ოპოზიცია პრაქტიკულად არ

არსებობს არაფორმალური ურთიერთობებისას და ქალაქის დანარჩენი მოსახლეობის მეტყველებაში.

ა.-მ. უღებინმა მრავალი კვლევა ჩაატარა პუატუს რეგიონში. მან გამოიკვლია 151 ინფორმანტი და დაადგინა, რომ ოპოზიცია [e]~[ɛ] ხორციელდება შემთხვევათა 60%-ში. თუმცა ეს სტაბილურობის უფრო დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე ოპოზიციების [o]~[ɔ] და [Φ]~[œ]-სა. (90%-ზე მაღალი).

ავტორი განიხილავს იმ შინაგან და გარეგან ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ოპოზიცია [e]~[ɛ]-ს სტაბილურობის ხარისხზე. უღებინი მიიჩნევს, რომ [o]~[ɔ] და [Φ]~[œ] ოპოზიციების უფრო დიდი სტაბილურობა დაკავშირებულია ლაბიალიზაციის ნიშანთან.

გარეგან ფაქტორებს, მისი აზრით, შეიძლება წარმოადგენდეს ასაკის ფაქტორი. იგი იკვლევდა 5 ასაკობრივ ჯგუფს: 1902, 1927, 1937, 1947, 1957 წლებში დაბადებულებს. საერთო ტენდენცია მდგომარეობს შემდეგში: ოპოზიციის სტაბილურობა თავდაპირველად იზრდება და აღწევს მაქსიმუმს იმ ჯგუფის მეტყველებაში, რომლებიც 1937 წელს არიან დაბადებულნი, შემდგომში თანდათან იკლებს.

გარეგან ფაქტორებს განეკუთვნება ასევე სოციოპროფესიონალური ფაქტორი. ა.-მ. უღებინმა გამოიკვლია 180 პირი: 90 — სოფლის მეურნეობით დაკავებული და 90 — მასწავლებელი. დანარჩენი ფაქტორები, ისეთები როგორცაა ასაკი, დაბადების ადგილი, გეოგრაფიული სტაბილურობა და მშობლების სოციოპროფესიონალური დახასიათება ერთმანეთს ემთხვევოდა. მამაკაცთა და ქალთა რაოდენობაც თანაბარი იყო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოცემული ოპოზიციის სტაბილურობის არარსებობისას, ერთი ჯგუფი უპირატესობას ანიჭებდა ფონემა [e]-ს. პუატუსში დაბადებული და მუდამ იქ მცხოვრები უფროსი თაობის ინფორმანტები უპირატესობას ანიჭებენ [e]-ს წარმოქმას.

მასწავლებელთა ჯგუფში ზუსტად იცავდნენ ოპოზიცია [e]~[ɛ]-ს. ავტორი ამ ფაქტს ხსნის ნორმის გავლენით. მასწავლებლები, მისი აზრით, წარმოადგენენ გამავრცელებლებს „იდეალური სისტემისა“, რეალურის ან სავარაუდოს, რომელიც ნიმუშია, მარეგულირებელია, ადგილობრივი დიალექტური თავისებურებების „მასტანდარტიზირებულია“.

უფრო მეტიც, „პრესტიჟის“ ფაქტორი, რომლის გავლენასაც მას-

წავლებლები მეტისმეტად ექვემდებარებიან, იწვევს [e]-ს უპირატეს გამოყენებას. მათ წარმოქმამი იშლება სხვაობა მომავალ დროსა და პირობით კილოს შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინფორმანტი-ქალებიც ასევე [e]-ს გამოყენებას ამჯობინებენ. ისინი აფასებენ [e]-ს როგორც უფრო „ლამაზს, დახვეწილს“, [ɛ]-ს კი — როგორც მდაბიურს.

ინფორმანტთა ნაწილი [e]-ს იყენებს ყოველდღიურ-სასაუბრო ვარიანტში და [ɛ]-ს — ოფიციალური ურთიერთობისას. აქ ვლინდება მოლაპარაკის ურთიერთობა ნორმასთან. ეს ურთიერთობა განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიონალური და კულტურული გარემოთი, რომელშიც იმყოფება მოლაპარაკე. ეს ფაქტორები ედება ოპოზიციათა შიდასისტემურ არასტაბილურობას და გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე.

მრავალ ნაშრომში ოპოზიცია [e]~[ɛ] განიხილება იზოლირებულად, დიალექტის მთელ დანარჩენ ფონოლოგიურ სისტემასთან კავშირის გარეშე. ამ კვლევათაგან განსხვავებით, ა.-მ. უღებინი ცდილობს ურთიერთკავშირში განიხილოს პუატუს დიალექტის ყველა სუფთა ხმოვანი. იგი აანალიზებს ოპოზიციებს: [o]~[ɔ]-ს, [Φ]~[œ]-ს, [ɑ]~[a]-ს, [e]~[ɛ]-ს.

თუ ოპოზიცია [e]~[ɛ]-ს კვლევისას ლინგვისტები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევენ ტერიტორიალურ ვარიანტებს, შემდგომ კი — სოციალურებს, ოპოზიცია [ɑ]~[a]-ს კვლევისას, დომინირებს წმინდა სოციოლინგვისტური მიდგომა. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ო. მეტას სტატია „A-ს კვლევა ორ პარიზულ სოციოლექტში“.

სახელდობრ 1928 წლიდან, ოპოზიცია [ɑ]~[a] თანდათან კარგავს თავის სემანტიკურ მნიშვნელოვნობას, აზრთა განმასხვავებლობით ძალას. ოპოზიცია ადგილს უთმობს შუალედური ტემბრის ერთ რეპრეზენტანტს, რომელიც უფრო ახლოსაა წინა რიგის [a]-სთან. ეს წარმოქმამ შეინიშნება პარიზის სამშუალო კლასის მოსახლეობაში, სამშუალო ბურჟუაზიაში. ამასთან ერთად, არსებობს ვარიანტები, რომლებიც ახასიათებენ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს.

ო. მეტამ ჩაატარა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ ორი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ორივე ჯგუფი შედგებოდა მდებარეობითი სქესის ინფორმანტებისაგან, რომლებიც დაბადებიდანვე პარიზში ცხოვრობდნენ და იყვნენ 18-დან 39 წლამდე ასაკისა. პირ-

ველი ჯგუფის ინფორმანტები მიეკუთვნებოდნენ არისტოკრატის ან მსხვილ ბურჟუაზიას, რომელთაც განათლება მიიღეს კერძო სასწავლო დაწესებულებებში, უმეტეს შემთხვევაში — რელიგიური ხასიათისა. მეორე ჯგუფს დამთავრებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ლიცეუმი. აღნიშნული იყო, რომ პირველი ჯგუფის ინფორმანტები, უკანა რიგის ტრადიციული [a]-ს გარდა, წარმოთქვამდნენ ღრმა [â]-ს, რომელსაც ავტორმა ველარული უწოდა.

ამ ჯგუფში, წინა რიგის [a]-ს რაოდენობა — 73,6%-ს შეადგენდა, [a]-სი — 11%-ს, [â]-სი კი — 15, 5%-ს. მეორე ჯგუფში, [a]-ს წარმოთქმათა რაოდენობა გაიზარდა 89%-მდე, [a]-სი შეადგენდა — 7%-ს, დანარჩენი 3, 7% მოდიოდა შუალედური ტემბრის [a]-ზე, რომელიც უფრო ახლოს [a]-სთან იდგა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი ჯგუფის ინფორმანტებთან [â] ცვლის [a]-ს პაუზის წინ. [â]-ს წარმოთქმა წარმოადგენს მოცემული სოციალური კატეგორიის ნიშანს. ისინი თვითონ აფასებენ მას როგორც უფრო დახვეწილს.

ახალგაზრდა თაობის წარმოთქმა, ავტორის აზრით, მკვეთრ კონტრასტს ქმნის საუკუნის ტოლთა წარმოთქმასთან, ისინი ინარჩუნებენ [a]-ს იქ, სადაც იგი წარმოითქმის ტრადიციულად. საშუალო თაობაში, 40-დან 60-წლამდე, აშკარად ჩანს დიაქრონიული ძვრები. ინფორმანტთა სახით წარმოდგენილი იყვნენ პირველი და მეორე ჯგუფის ინფორმანტთა დედები. მათ წარმოთქმაში გაცილებით ნაკლებია [â]-ს გამოყენება — 5%, შეინიშნება [a]-ს წარმოთქმის ტენდენცია სიტყვის შუაში.

ავტორის აზრით, ღრმა ველარული [â] გაჩნდა მე-20 საუკუნის 20-იან — 30-იან წლებში და მისი გავრცელება ხელს უწყობდა თაობათა დიფერენციაციას.

ფონოლოგიის თვალსაზრისით, ოპოზიცია [a]~[â] თანდათან ქრება და თითქმის სავსებით გაქრა ახალგაზრდა თაობის წარმოთქმაში. დაკარგა რა აზრთა განმასხვავებლობითი როლი, ამ ოპოზიციამ შეიძინა სხვა ფუნქციონალური დატვირთვა:

[â], ახლოს მდგომი [a]-სთან, დამახასიათებელი არისტოკრატული წრისათვის, ოპოზიციაში იმყოფება წინა რიგის [a]-სთან, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიული წრის წარმომადგენელთა წარმოთქმას. ეს ოპოზიცია ყველაზე მეტად ნათლად ვლინდება პაუზის წინ.

ამგვარად, A-ს ფონეტიკურმა ვარიანტებმა შეიძინეს განმასხვა-

ვებლობითი როლი სოციალურ პლანში.

პარიზის თანამედროვე სასაუბრო მეტყველების სოციოლინგვისტური ასპექტები უფრო და უფრო მეტად იპყრობენ ლინგვისტთა ყურადღებას. მაგალითად, კ. პერეცის კვლევა ეძღვნება სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ქალთა წარმოთქმის ანალიზს.

ინფორმანტებს წარმოადგენდნენ 20 ქალბატონი, პარიზის მუდმივი მაცხოვრებლები, რომელთა მშობლებიც ასევე პარიზელები იყვნენ. ისინი დაყოფილი იყვნენ ოთხ ასაკობრივ ჯგუფად: 20-დან 30 წლამდე, 30-დან 40 წლამდე, 40-დან 60 წლამდე და 60 წელზე მეტი ხნისანი.

შემჩნეულ იქნა, რომ ყველაზე უფროსი ინფორმანტები, ბოლოკიდურ მდებარეობაში, განასხვავებენ ოპოზიციას გრძლიობის მიხედვით: **lit-lie, bout-boue**. იგივე ჯგუფი განასხვავებს ოპოზიციას გრძლიობის მიხედვით: **mètre-maître**. 40-დან 60 წლამდე ჯგუფში — ამ ოპოზიციის არსებობა ახასიათებს საზოგადოების მაღალ ფენათა წარმომადგენლებს.

სიტყვის შიგნით, ღია მარცვალში, ხმოვანთა ჰარმონიის არარსებობისას, ძირითადად წარმოითქმის [e], მიუხედავად იმისა ორთოგრაფიულად **ê** არის თუ **ai**. რაც უფრო მაღალია სოციალური მდგომარეობა, მით უფრო ღიაა ტემბრი ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მაღალი კლასის წარმომადგენლები, პაუზის წინ ან გამონათქვამის ბოლოში, ხშირად წარმოთქვამენ [ɛ:] -ს, ძლიერ ღიას ბოლო [r]-ს წინ: **itinéraire, mer, nerfs, Asnières**. ეს ითვლება პრესტიჟულად ამ წრეში და 40-დან 60 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

გამონათქვამის ბოლოში, პაუზის წინ, ისეთ სინტაგმებში, როგორიცაა **surce, bois-le**, უმეტესობა წარმოთქვამს [Φ]-ს, გარდა მაღალ კლასთა წარმომადგენლებისა.

ოპოზიცია [a] ~ [â] ყველა ინფორმანტთან არსებობს, გარდა ერთისა, მაგრამ სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. წინა რიგის [a] ჩვეულებრივ რეალიზდება როგორც საშუალო რიგის [a]. უფროსი თაობა დაბოლოებებს — **ation, aille** წარმოთქვამს აუცილებლად უკანა რიგის [a]-თი.

ოპოზიციის წაშლა ხდება მაღალი კლასის წარმომადგენლებთან, უკანა რიგის [a]-ს სასარგებლოდ.

ფრანგული ფონეტიკის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს ჩურ-

ჩულა [ა]-ს გამოჩენის მექანიზმი და მისი გამოყენების წესების აღწერა. ამ სფეროშიც აღწევენ სოციალური ფაქტორები. ვ. ლუსი განიხილავს ჩურჩულა [ა]-ს მექანიზმს ზეპირმეტყველების სხვადასხვა ფორმაში. ავტორი აანალიზებს ლექციას, კითხვასა და ძალდაუტანებელ საუბარს, რომელშიც გამოიყოფა ორი რეგისტრი: ყოველდღიურ-სასაუბრო და მდაბიური, მოლაპარაკეთა სოციალური სტატუსისაგან დამოუკიდებლად. ხუთი ინფორმაციიდან სამი — უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პედაგოგი იყო, ორი კი — მუშა, მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონენი.

ჩურჩულა [ა]-ს განსაზღვრისას ავტორი ეყრდნობა მარტინესა და ვალტერის განმარტებას, ანუ „ყოველგვარი e გრაფიკაში, რომელიც არ წარმოითქმის არც როგორც [E] ღია, არც როგორც [e] დახურული, ან ის, რომელიც არ შედის დიგრაფსა და ტრიგრაფში“.

ჩურჩულა [ა]-ს საერთო რაოდენობამ მასალაში მიაღწია 2853 შემთხვევას, რომლებიც შეიცავენ როგორც [ა]-ს წარმოთქმას, ასევე ნულ ბგერას.

ნაშრომის მიზანია — გამოავლინოს მეტყველების ფორმის გავლენა [ა]-ს ფუნქციონირებაზე. [ა]-ს რეალიზაციათა რაოდენობა, [ა]-ს შესაძლებელი გამოჩენის საერთო რიცხვთან შეფარდებით, შეადგენდა: ლექციაში — საშუალოდ 38,4%, იმავე ლექციის ჩანაწერის კითხვისას — 33,6%, გაზეთ „მონდის“ სამეცნიერო სტატიის კითხვისას — 44,45%-ს. ავტორი ცდილობს ახსნას ეს შემდეგნაირად. [ა]-ს რეალიზაციათა ყველაზე მცირე რაოდენობით ხასიათდება ნაცნობი ტექსტის კითხვა, ყველაზე მეტით — უცნობი ტექსტის კითხვა, რომლის აზრიც იმიფრება ტექსტის შემდგომ და შემდგომ პასაჟებში. ლექცია ხასიათდება ეზიტაციის¹ პაუზათა დიდი რაოდენობით, ბოლოკიდურ ხმოვანთა დაგრძელებით, რომლებიც [ა]-ს რეალიზაციასთან ერთად თან ახლავს გამონათქვამის სპონტანურ კოდირებას. მიღებულ მონაცემთა საფუძველზე, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ [ა]-ს რეალიზაცია დამოკიდებულია არა მარტო გამონათქვამის ტიპზე, არამედ ასევე, კითხვისას ტექსტის სირთულის ხარისხზე და იმაზეც, ნაცნობია თუ არა ეს ტექსტი მკითხველისათვის. გარდა ამისა, ის (ავტო-

რი) მიიჩნევს, რომ მკითხველის თვალების წინ ტექსტის გრაფიკული ფორმის არსებობაც გავლენას ახდენს [ა]-ს რეალიზაციათა ზრდაზე. საუბარში, [ა]-ს რეალიზაციათა რაოდენობა მკაფიოდ განაწილდა ენის რეგისტრისდა მიხედვით: საყოველღეო-სასაუბრო ფორმაში მან შეადგინა 44,8%, მდაბიურში — 26,02%. ავტორი ასკვნის, რომ [ა]-ს ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკეთა სოციოკულტურული კუთვნილება.

რა პოზიციებში დომინირებს [ა]-ს რეალიზაციათა შემთხვევები [ა]-ს ამოვარდნის შემთხვევებზე?

ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, რითმიული ჯგუფის თავკიდურ მარცვალში (პროკლიტიკები) - **le, je, ce, que**. ამ პოზიციაში [ა] რეალიზდება: ლექციაში — 69,52%-ით, კითხვისას — 67,7%-ით, საუბარში — 52,23%-ით, მდაბიურ საუბარში - 63,88%-ით. პროკლიტიკები, არათავკიდურ პოზიციაში, ავლენენ [ა]-ს რეალიზაციის შემცირებისაკენ ტენდენციას: ლექცია — 50,9%, კითხვა — 59, 84%, საუბარი — 55,84%, მდაბიური საუბარი -32,29%.

სპონტანური მეტყველებისათვის დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული არასინტაქსური პაუზები, დამოუკიდებელი ფრაზის სინტაქსური დანაწევრებისაგან. ძალიან ხშირად ისინი იმყოფებიან პროკლიტიკასა და იმ სიტყვას შორის, რომელიც მას მოსდევს (**le, que, de, je, ce, me**-ს ტიპისა). ამ შემთხვევაში მუდამ ხდება [ა]-ს რეალიზაცია.

[ა]-ს წარმოთქმაზე ასევე გავლენას ახდენს დიდაქტიკური მახვილი, როდესაც რითმიული ჯგუფის თავკიდური მარცვალი რეალიზდება ამაღლებული ინტენსივობითა და გრძლიობით. იგი ახასიათებს ყველა ჩამოთვლილ ტექსტს, გარდა მდაბიური საუბრისა (**demandeur, rechercher, ce qui se passe, le schéma**, და სხვა). ამ მახვილის არსებობა ახასიათებს ინტელექტუალურ წრეს და არ ახასიათებს დაბალი საგანმანათლებლო ცენზის მქონე პირებს, რომლებიც არ იყენებენ სამეტყველო ურთიერთობის სხვა ფორმებს, გარდა საუბრისა.

ავტორი ვარაუდობს, რომ [ა]-ს ფონოლოგიური სტატუსის განუსაზღვრელობა გამოწვეულია მეტყველების სხვადასხვა ფორმის გავლენით მის რეალიზაციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთადერთი შესაძლებელი მიდგომა [ა]-ს პრობლემისადმი. ს. ბაზილკო ამოდის ფონოტაქტიკიდან, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მიდის იმ ფაქტორებთან, რომლებსაც ის

¹ ეზიტაციის პაუზა წარმოიქმნება მოლაპარაკის ყოყმანის შედეგად მომდევნო სიტყვის შერჩევისათვის და შეიძლება გაჩნდეს სამეტყველო ნაკადის ნებისმიერ ადგილზე (არტიკლის ან თანდებულის შემდეგაც).

უწოდებს სტილისტურებს და რომელთაც საფუძვლად აქვთ სოციალური მიზეზები, მოლაპარაკის სოციალური სტატუსი, განათლების დონე, პროფესია და ა.შ. ს. ბაზილკომ შეისწავლა თანხმომავნა პირველადი და მეორადი ჯგუფები სიტყვის თავკიდურში, თანამედროვე ფრანგულ ენაში.

პირველადეში იგულისხმება თანხმომავნა რეალურად არსებული ჯგუფი სიტყვის თავკიდურში, მეორადეში კი — ისინი, რომლებიც იქმნებიან ჩურჩულა [ə]-ს ამოვარდნის შედეგად.

ანალიზის კორპუსს შეადგენდა 2910 სიტყვა, ამოღებული ლექსიკონიდან — *le Petit Robert*, 1969. თითოეული სიტყვა მოთავსებული იყო ორ კონტექსტში: პოსტგოკალურში და პოსტკონსონანტურში. ტექსტებს კითხულობდა ათი პარიზელი ინფორმანტი, სხვადასხვა სპეციალობით, უმაღლესი განათლებით.

გამოკვლევულ იქნა თანხმომავნა ბიფონემური და ტრიფონემური თავკიდური წარმონაქმნები. გამოიყო მარცვალთა რამოდენიმე ტიპი:

1) მარცვლები, სადაც [ə] მუდამ შენარჩუნებულია ყველა ინფორმანტის მიერ, კონტექსტისაგან დამოუკიდებლად: [bad], [dæk], [paz], [pən], [bən], [bəl], [gən], [dər], [kər], [səd], [vəz], [səs], [fəm];

2) მარცვლები, რომლებიდანაც [ə] მუდამ ამოვარდება, კონტექსტისაგან დამოუკიდებლად;

3) მარცვლები, რომლებშიც [ə] ხან ამოვარდება, ხან შენარჩუნებულია სხვადასხვა ინფორმანტის მიერ, ერთნაირ კონტექსტებში.

ანალიზის შედეგად ავტორი ცდილობს ახსნას [ə]-ს არასტაბილურობის მიზეზები. ძალიან მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნა, რომ მიზეზად არ უნდა ჩაითვალოს თანხმომავნა პირველადი ჯგუფების გავლენა. დადგინდა, რომ პირველადი ბიფონემური ჯგუფები ფრანგულ ენაში არის 89, მეორადი — 66 და მხოლოდ 18 მათგანი შეადგენს გადამკვეთ უმრავლესობას. ფონეტიკური ფაქტორებიც არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს: ინფორმანტთა 100% ინარჩუნებს [ə]-ს მარცვლებში - [bəl], [dər], [kər].

ის ფაქტი, რომ სონანტები ქმნიან ერთიანობას წინამავალ თანხმომავნთან, არანაირ გავლენას არ ახდენს მეორადი კონსონანტური ჯგუფის წარმოქმნაზე.

ავტორის აზრით, ფაქტორთა მხოლოდ ორ კატეგორიას შეუძლია ახსნას ჩურჩულა [ə]-ს ამოვარდნა ფრანგული სიტყვის თავკიდურში:

ლინგვისტურ ფაქტორებსა და სტილისტურ ფაქტორებს. პირველებს მიეკუთვნება: 1) მარცვლის სიხშირე ენაში და განსაკუთრებით სიტყვის სიხშირე ტექსტებში: რაც უფრო მაღალია სიხშირე, მით მეტია ამოვარდნის ტენდენცია; 2) სიტყვის სხვადასხვა ენობრივი სფეროებისადმი კუთვნილება: სალიტერატურო ენა, სამეცნიერო ენა, საყოველღეო-სასაუბრო, მდაბიური, არგო. რაც უფრო იხრება მეტყველება არგოსაკენ, მით უფრო ადვილად გამოითვლება [ə]. სტილისტურ ფაქტორებს ავტორი მიაკუთვნებს სიტყვის სტილისტურ მნიშვნელობას.

ენის ფონოლოგიური სისტემისა და მისი ფონეტიკური თავისებურებების თანამედროვე აღწერა წარმოუდგენელია სოციოლინგვისტურ მონაცემთა გათვალისწინების გარეშე. ენის რომელიმე ასპექტის თანამედროვე აღწერა აუცილებლად გულისხმობს მონაცემებს მისი ტერიტორიალური და სოციალური ვარიანტების შესახებ, სამეტყველო კომუნიკაციის სხვადასხვა სახეობაში ხმარების თავისებურებათა შესახებ, ნორმის საზღვრებისა და თავისებურებათა შესახებ. ყველაფერი ეს სავსებით აუცილებელი ხდება, თუ აღწერა ორიენტირებულია ენის სწავლებაზე და სამეტყველო ურთიერთობაზე. სწავლების თანამედროვე პროცესში მნიშვნელობას იძენს არა მოცემული ენის ფონემათა სიის ცოდნა, არამედ ფონემათა ვარიანტების გამოყენების თავისებურებათა ცოდნა, სხვადასხვა ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა გათვალისწინებით.

ლიტერატურა

ბაზილკო, 1976 — Bazylko S., Groupes consonantiques primaires et secondaires à l'initiale du mot dans le français contemporain, - *La Linguistique*. ტ.12, ნაწ.1, 1976

გენიე, ენუვრადი, კომსი, 1978 — Gueunier N., Genouvrier E., Khomsi A., *Les Français devant la norme*, Paris, 1978.

Le français moderne, 1979, №3. *La Linguistique*, 1980, №1.

ლეონი, 1973 — Léon P., *Modèle standard et système vocalique du français populaire de jeunes Parisiens. Contribution canadienne à la linguistique appliquée*, sous la dir. de Guy Rondeau, 1973.

ლუხი, 1976 — Lucci V., *Le mécanisme du „E“ muet dans différentes formes du français parlé*. — *La Linguistique*. ტ.12, ნაწ.2, 1976.

მეტა, 1970 — Mettas O., Etude sur le A dans deux sociolectes parisiens. Université libre de Bruxelles, 1970.

პერეტი, 1977 — Peretz C., Aspects sociolinguistiques du parler parisien contemporain. — In: Phonologie et société. Montréal, Paris, Bruxelles, 1977.

რიტო-ჟუტინე, 1978 — Rittaud-Hutinet Ch., Français régional de Besançon. _ Revue de linguistique romane, 1978, №165-166.

სიმონი, 1969 — Simon P., Différenciations phonétiques. — Le français dans le monde, 1969, XII.

ჟუდებინი, 1977 — Houdebine A.-M., Français régional ou français standard? A propos du système des voyelles orales en français contemporain. In: Pronologie et société, Montréal, 1977.

ჟუდებინი, 1979 — Houdebine A.-M., L'opposition d'aperture [e]~[ɛ] en français contemporain. — La Linguistique. ტ.15, ნაწ.1, 1979.

TSIURI AKHVLEDIANI

Sociolinguistic Aspects of French Phonetics and Phonology

Summary

For the past three decades sociolinguistic factors have become an important issue for the French phonetics and phonology. An interest in question has been reflected in research topics, methods as well as the interpretation of research results. The sociolinguistic works by French linguists are devoted to the study of the oppositions [e] ~ [ɛ], [æ] ~ [a], [ɔ] ~ [o], [ʰ] ~ [f], and the realization of the so-called 'whispering' [ə].

Although the revealed sociolinguistic factors have not influenced the normative phonetics and the phonological system of French, they should be taken into account when teaching French as a foreign language.

ეთერ ბალიაშვილი

სემანტიკური მარკინგები „Who? – ვინ?“ საინფორმაციო საზაფხულო სტატიებში

საინფორმაციო საზაფხულო სტატიების ანალიზი მოიცავს როგორც სემანტიკურ, ასევე პრაგმატული კვლევის სფეროებს, ამიტომ ვთვლით, რომ საინფორმაციო სტატიათა პრაგმატული თავისებურებების დადგენამდე აუცილებელია გამოვყოთ მათი სემანტიკური მარკინგები.

ჯორ იული განმარტავს: **“Semantics is the study of the relationships between linguistic forms and entities in the world; that is, how words literally connect to things. Semantic analysis also attempts to establish the relationships between verbal descriptions and states of affairs in the world as accurate (true) or not, regardless of who produces that description“** (იული, 1997: 4).

თავიანტი დამოუკიდებელი ხასიათის გამო საინფორმაციო საზაფხულო სტატიები სემანტიკურად თითქოს ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად არიან დაკავშირებული ავტორთან, მაგრამ ეს ასე ჩანს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან სტატიების უმეტესობა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების, იდეოლოგიის, ქვეყნის ინტერესების გამომხატველია.

საზაფხულო ტექსტები მრავალფეროვანია, მათი ძირითადი მახასიათებლებიც ზოგჯერ რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ შესაძლებელია საერთო მარკინგების გამოყოფა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი სემანტიკურ-პრაგმატული კვლევისთვის.

ყველა სტატიაში ჩანს სტატიის ავტორის მიზანდასახულობა, აქტუალური საკითხები და იმ პერიოდის მოთხოვნები, რომელ პერიოდსაც და მოვლენასაც ასახავს ესა თუ ის სტატია. იმისათვის, რომ სტატია ობიექტური იყოს, რეპორტიორმა ინფორმაცია ავტორიტეტული წყაროდან უნდა მიიღოს. საყოველთაოდ მიღებული პრაქტი-

კაა, რომ რამე მოვლენის შემდეგ, სტატიის ავტორმა სარწმუნო „წყაროს“ მიმართოს, ან, პირიქით „წყარომ“ მიმართოს რეპორტიორს, რათა მან გააშუქოს ესა თუ ის მოვლენა.

ყველა საგაზეთო სტატია და, ჩვენს შემთხვევაში, ყველა საინფორმაციო სტატია პასუხობს შეკითხვებს: **What? Who? Where? When? Why? How?** (რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ?) ანუ **“Five W’s and an H”** (მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987: 3) და ეს კითხვები ინტერპრეტაციის მთელ სტრუქტურას მოიცავს.

ახალი ამბავი (news) გვიჩვენებს, თუ „სად“ ვართ მსოფლიოში; ახალი ამბავი მიგვანიშნებს განსაზღვრულ პერიოდს, ანუ „როდის“ ვართ აქ — გვასწავლის „როგორ“ შევიცნოთ სამყარო; ახალი ამბავი გვასწავლის ინფორმაციის რომელ წყაროს, რომელ ავტორიტეტს უნდა გავეუწიოთ ანგარიში, რა მოვლენებს უნდა მოვეკიდოთ მოკრძალებულად, რა თემა შეიძლება მივიჩნიოთ ბანალურად, როგორი ახსნა უნდა მოვუძებნოთ ყოველ ამ შეკითხვას და შესაბამისად სტატია.

ნარატივი არ არსებობს კონტექსტების გარეშე. ნარატივი რაღაც სახის პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს. მას გარკვეული იდეოლოგიური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. **“But when event and narrative form coincidence, when narrative fit is good, such tension resolves itself in the flow of the story, the news account takes on its particular authority, and reality seems to be captured by the text.”** (მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987: 225). ნარატივებს იერარქიული სტრუქტურა აქვთ. ნარატივის დროს აბზაცები ძალზე ხშირად პირამიდის ფორმით აიგება, ანუ პირველი აბზაცი შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, ყოველი მომდევნო კი ნაკლებ მნიშვნელოვანია, რასაც საინფორმაციო სტატიებში იშვიათად მოჰყვება დასკვნა. ამიტომ, საგაზეთო სტატიების პირველ აბზაცში ხშირად წარმოდგენილია **5W’s: Who? What? When? Where? Why?** იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია **How?**

საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა სემანტიკური კვლევის ფორმებად გამოყავით შემდეგი მაჩვენებლები, რომლებიც რეალიზებულია სპეციალური კითხვების სახით:

1. **ვინ? (Who?)** — მოქმედების სუბიექტი ან ინფორმაციის წყარო.

2. **რა? (What?)** — რაზე მოგვითხრობს პრესა, ანუ „ფაქტები“ და „ახალი ამბები“.

3. **როდის? (When?)** — დროის მითითება (ე.წ. deadlines, datelines and history).

4. **სად? (Where?)** — ადგილი, გეოგრაფიული გარემო.

5. **რატომ? (Why?)** და **როგორ? (How?)** — ფაქტის, მოვლენის, ახალი ამბის ახსნა.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური მაჩვენებლებიდან დეტალურად განვიხილავთ პირველ სემანტიკურ მაჩვენებელს, ანუ **ვინ? (Who?) — მოქმედების სუბიექტი ან ინფორმაციის წყარო.**

სემანტიკურ მაჩვენებელს — ვინ? (Who?) მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში. აღნიშნულ სემანტიკურ მახასიათებელზე საუბრისას უთუოდ უნდა შევეხოთ რამდენიმე საკითხს, კერძოდ: ვინ წარმოადგენს ახალ ამბავს, ვინ არის ახალი ამბების წყარო, ვინ არ ხვდება ახალ ამბებში, ვინ ქმნის ახალ ამბავს და ვინ მართავს; განვიხილოთ, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1. **ვინ წარმოადგენს ახალ ამბავს?**

აუცილებლად უნდა გამოვყოთ ორი ჯგუფი: ცნობილი პიროვნებები (knowns): პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ელიტა და უცნობი/ჩვეულებრივი ადამიანები (unknowns).

ჰერბერტ გენსმა შეისწავლა ახალი ამბების სუბიექტი და დაასკვნა, რომ ახალი ამბები უმეტესწილად ადამიანებზეა, იმაზე, თუ რას ამბობენ ისინი და რას აკეთებენ (მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987: 12). საგაზეთო ისტორიების მხოლოდ 10 პროცენტი მოგვითხრობს აბსტრაქტულ თემატიკაზე, საგნებსა და ცხოველებზე. ამრიგად, ახალ ამბებს ქმნიან და ახალი ამბების, საგაზეთო სტატიების წყაროა:

ა) პიროვნებები, ანუ Whos.

ბ) ცნობილ/ჩვეულებრივ ადამიანებზე გათვლილი ისტორიები — ე.წ. **“the human interest story”**, რომელიც იზიდავს მასობრივ მკითხველს.

გ) ქალაქის პოლიტიკური და ყოველდღიური ცხოვრების მდიდარი მრავალფეროვნება — დანაშაულებები, უბედური შემთხვევები, მაღალ და დაბალ საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი, სენსაციური ამბები.

დ) რეპორტაჟი ან ინტერვიუ, რომელიც შეეხება ჩვეულებრივ ადამიანებს, ე.ი. ადამიანის სახე, პიროვნება მოყვანილია სოციალურ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით (მაგ. ინტერვიუ ჩვეულებრივ ადამიანებთან, ფერმერებთან, მდიდარ ოჯახებთან, დანაშაულის მსხვერპლებთან), — სადაც ინდივიდი როგორც სოციალური ერთიანობა, ისეა აღქმული.

ე) პერსონიფიცირებული პოლიტიკაც ახალი ამბების და, შესაბამისად, საინფორმაციო საგაზეთო სტატიების მთავარი საგანია. პრესის ფურცლებზე ზოგჯერ პოლიტიკა კონკრეტულ პიროვნებებზე დაყვანილი. მაგ. პრეზიდენტების, სახელმწიფო მოღვაწეების დაპირისპირება, სამიტებზე წარმოდგენილი მთავრობის მეთაურები — ყველაფერი ეს პოლიტიკის პერსონალიზაციას ემსახურება (მაგ. ჯ. ბუში და ვ. პუტინი, ვ. პუტინი და მ. სააკაშვილი და სხვ.; ან მაგალითად, რომელიმე პრეზიდენტი, რომელიც რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს და მეორე საპირისპირო რადიკალური ფრთის ლიდერი); ე.ი. განსაზღვრული პიროვნებები წარმოადგენენ მთელ ჯგუფს, ინსტიტუტსა და პოლიტიკურ ფასეულობებს. საინფორმაციო საგაზეთო სტატიაში ზოგჯერ პრეზიდენტი მთელ ქვეყანას თუ არა, მთავრობას მაინც განასახიერებს; ან რომელიმე კონგრესმენი გაიგივებულია კონგრესთან, მის კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებთან.

ამიტომ, ზოგიერთ საინფორმაციო სტატიაში შეკითხვა **Who** — ვინ? ზოგჯერ უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე **What** — რა?, ანუ შეკითხვას — ვინ არის ახალი ამბავი და ვინ არა, მივყავართ შეკითხვასთან, თუ ვინ უზრუნველყოფს/ვინ ქმნის ახალ ამბავს?

2. ვინ არის ახალი ამბების წყარო?

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში ავტორი თხრობისას შეზღუდულია. ცნობასა და ანგარიშში ის მთხრობელზე, ამბის წყაროზეა დამოკიდებული. ინტერვიუსა და რეპორტაჟში თითქოს მას ექსპლიციტურად მეტი თავისუფლება აქვს, მაგრამ ის მაინც შემოიფარგლება მოვლენის იმ ვერსიით, რასაც სთავაზობენ, ანუ ახალი ამბების წყაროზე საუბრისას უნდა გამოვიყოთ:

ა) ინფორმაციის ობიექტურობა — რაც ავტორის მხრიდან ექსპლიციტური ინტერპრეტაციის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს. ამ ნიშნით საგაზეთო სტატიებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი და ინტერვიუ.

ბ) სოციალური სტატუსი — ჟურნალისტს ფიქსირებული ადგილი უჭირავს, როგორც გეოგრაფიულად, ასევე სოციალურად (ვისგან იღებს ინფორმაციას ჟურნალისტი).

გ) ინფორმაციის ვადა (**deadline**) — ყველა ინფორმაცია მაქსიმალურად სწრაფად უნდა იყოს მოწოდებული. მოვლენასა და ცნობასა და ანგარიშს შორის ტემპორალური შუალედი მინიმალური უნდა იყოს.

დ) წყარო — მოვლენის მონაწილე/ხალხი (საგაზეთო სენსაციათა მთელი ქსელი) რეპორტაჟის, ინტერვიუს საგაზეთო სენსაციების თანმხლებია. ასეთი წყარო შეიძლება იყოს თეთრი სახლი, სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი, უზენაესი სასამართლო და სხვ. აღნიშნულ შემთხვევებში რეპორტაჟები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს, მაგალითად:

- განსაზღვრული/დადგენილი რეპორტაჟი (ე.წ. **Routine Coverage**) (პრეზიდენტების ყოველგვარი გადაადგილება, ბრიფინგები პრესასთან და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ინფორმაცია ემყარება განსაზღვრული ქვეყნის სამთავრობო პრესას, როგორცაა თეთრი სახლი და ა.შ.).
- ჰორიზონტალური რეპორტაჟი (ე.წ. **Horizontal Coverage**). (როცა ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი ან ინტერვიუ მოპოვებულია სხვადასხვა სააგენტოს ჟურნალისტების მიერ).
- დაცული/დაცვითი რეპორტაჟი (ე.წ. **Protective Coverage**) — რეპორტაჟები, რომელსაც ამზადებენ მეტოქე კომპანიები — **The New York Times** და **The Washington Post**, **ABC**, **CBS** და **NBC** — რაც აღნიშნული სააგენტოების კორესპონდენტებისგან წვრილმანი — ყოველდღიური დეტალების მოძიებას გულისხმობს, ანუ აქ შედის სტატიები, რომლებიც ყოველდღიურ ამბებზე მოგვითხრობს.
- ანთროპოლოგიური რეპორტაჟი (ე.წ. **Anthropological Coverage**) — ამ ტიპის რეპორტაჟებით ძირითადად ყოველკვირეული ჟურნალების რეპორტიორები არიან დაკავებული (მაგ. **The National Journal**, **The Wall Street Journal**).

ამრიგად, რაც უფრო მაღალ სახელმწიფო იერარქიულ საფეხურზეა ესა თუ ის რესპონდენტი, მით უფრო ავტორიტეტული ხდება ესა თუ ის ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი თუ ინტერვიუ.

The New York Times და **The Washington Post**-ის, პირველ გვერდზე გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიების განხილვამ გვიჩვენა, რომ გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი ყველა ნაციონალური თუ უცხოური ამბების ისტორიების წყაროს უმეტეს შემთხვევაში ამერიკის მთავრობის ოფიციალური პირები წარმოადგენენ. საგაზეთო სენსაციებში ჩვეულებრივი ადამიანები უფრო ნაკლებად გვხვდება. რიგითი ადამიანები ორი გზით ხვდებიან პრესის ფურცლებზე:

ა) როდესაც მათი და სენსაციის მოყვარული კორესპონდენტის

გზები გადაიკვეთება, ან, ბ) როდესაც კორესპონდენტი თავისუფალია თავის არჩევანში და ის ყოველდღიური ჟურნალისტური ინფორმაციის მოძიებით არის დაკავებული.

3. ვინ არ ხვდება ახალ ამბებში?

ცნობისა და ანგარიშის შემთხვევაში სტატიაში თავად კორესპონდენტი არ ჩანს, რადგან, ერთი და მეორეც იწერება მესამე პირში და, შესაბამისად, ავტორი იმანენტური რჩება. სხვაგვარადაა საქმე ინტერვიუსა და რეპორტაჟის დროს, სადაც სტატიაში შეიძლება შეგვხვდეს ორი, ან მეტი ვინ? — **Who?** თავად ისტორიის სუბიექტი და ავტორი.

4. ვინ ქმნის ახალ ამბავს და ვინ მართავს?

თუ ლეონ სიგალის სიტყვებს მოვიშველიებთ ახალი ამბავი, ანუ “...news is not reality, but a sampling of sources’ portrayals of reality, mediated by news organizations” (იხ. მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1986: 27-28), რადგან ახალი ამბავი (კერძოდ, ცნობა და ანგარიში) არ არის ის, რასაც ავტორი ამბობს, არამედ არის ის, რასაც წყარო მოგვითხრობს, რომლის რეალიზაციაც ამა თუ იმ გამომცემლობის საშუალებით ხდება.

ამრიგად, გვაქვს ერთი მხრივ — ვინ? **Who?** — ამბის (ცნობის, ანგარიშის, რეპორტაჟის, ინტერვიუს) მთავარი მოქმედი პირი, და მეორე, (თუმცა არა ყველა სტატიაში), მაგრამ თითქმის მსგავსი ვინ? **Who?** — ამბის წყაროს სახით (ამერიკულ პრესაში ეს თეთრი სახლია, პრეზიდენტი, ბრიტანულში — დედოფალი ან პრემიერ-მინისტრი და ა.შ.). თუ ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში ვინ? **Who?** — მკვეთრად გამოკვეთილია და რამდენიმე პოლიტიკური ლიდერით შემოიფარგლება, სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე არჩევნების წინ. არჩევნების დროს ყველა საინფორმაციო სტატიაში მკვეთრად გამოკვეთილი ვინ? **Who?** — სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერები არიან, და რა? **What?** — მათი ამოცანებია. წინასაარჩევნო კამპანიისა და პრაიმერის შემდეგ კი, უკვე აშკარად ჩანს თუ ვინ დარჩება ცნობაში, ანგარიშში, რეპორტაჟსა და ინტერვიუში, და ვინ არა. ასევე უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიების უმრავლესობაში ჟურნალისტების/სტატიების ავტორები ცნობილ ადამიანებზე — ცნობილ ვინ? **Who?** —ზე აკეთებენ აქცენტს. ამრიგად, ვინ არის სტატიის ობიექტი და ვინ ქმნის ახალ ამბავს, ამ კითხვებზე პასუხები გვეხმარება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მიმართულების განსაზღვრაში.

განვიხილოთ ერთი საინფორმაციო სტატია: **“Hormone therapy doubles risk of breast cancer”** (“The Guardian Weekly”, August 14-20, 2003: 11).

სტატიის სათაური წარმოადგენს სათაურ — ცნობას, სადაც გადმოცემულია ის ძირითადი თემა, რაზეც სტატიაშია საუბარი. შესაბამისად, აქვეა პასუხი კითხვაზე **What?** რა? — ჰორმონალური თერაპია აორმაგებს მკერდის კიბოს რისკს.

“A study of the medical histories of nearly 1.1 million British women who were cancer-free as they entered the national breast screening programme revealed that those on some types of HRT were twice as likely to develop breast cancer as those who had not used it.”; “The biggest blow dealt by the Million Women Study, the results of which were published in the Lancet medical journal last week, was to combination oestrogen and progestogen therapies, taken by about half of all those on HRT in the study.”; The committee of the safety of medicines, which advises the Government, said last week that “for short-term use of HRT for the relief of menopausal symptoms, the benefits outweigh the risks for many women”, although it did not specify exactly how long short-term was.” და ა.შ.

მოქმედი სუბიექტები **Who? ვინ?**, რომელთაც ამგვარი დასკვნა გამოიტანეს და გარკვეული წინადადება შემოაქვთ, არიან ექიმები, მკვლევრები და მედიკამენტების უსაფრთხოების კომიტეტი, ანუ **Who? ვინ?**: „*Researchers, medicine watch-dogs and HRT companies sought to dispel panic at the findings.*“;

ტექსტის მომდევნო ნაწილში მოქმედი სუბიექტი დაკონკრეტებულია: “*The committee of the safety of medicines, which advises the Government, said last week that “for short-term use of HRT for the relief of menopausal symptoms, the benefits outweigh the risks for many women”, although it did not specify exactly how long short-term was.”; “The researchers, funded by Cancer Research UK, the National Health Service breast screening programme and the Medical Research Council, calculate that during the past decade HRT use has resulted in an extra 20, 000 breast cancers in women aged 50-64, combinations therapy accounting for three-quarters of these.*” და ა.შ.

სტატიაში ზუსტი დრო მითითებულია, ანუ განცხადების დრო, **When?** როდის? — გასულ კვირას (**last week**); გამოკვლევების დრო: „*the past decade*“. ასევე მითითებულია ისტორიის, კვლევის ადგილი

Where? სად?: „The UK“, „Britain“. მოტივი, ანუ, რატომ გადაიდგა ეს ნაბიჯი — მოკლე დროით შეჩერდა ჰორმონალური პრეპარატებით მკურნალობა ინგლისში, Why? რატომ? — იმიტომ, რომ სამედიცინო შესწავლამ ცხადყო, რომ ის აორმაგებს მკერდის კიბოთი დაავადების რისკს.

ცნობაში მოვლენები საინფორმაციო სტატიებისთვის ჩვეული სტილით გადმოიცემა, რომელშიც ავტორი იმპლიციტურადაა მოცემული. სტატიის პირველ აბზაცში აწმყო დრო იხმარება, შემდეგ კი ჩვეულებისამებრ თხრობა გადადის წარსულ დროში. განხილულ სტატიაში სემანტიკური მაჩვენებლებიდან რეალიზებულია ოთხი მაჩვენებელი: What? Who? Where? და Why?.

ამგვარად, გაანალიზებულ საინფორმაციო ცნობაში ძირითადი თემა ინფორმაცია, გადმოცემული კითხვით What?, ანუ ახალი ამბავი და მოქმედი სუბიექტები Who?: ექიმები, მკვლევრები და მედიკამენტების უსაფრთხოების კომიტეტი; დაფიქსირებულია ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი — Why?. მითითებულია დრო — When? და მოქმედების ადგილი — Where?. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური მაჩვენებლებიდან სტატიაში ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანია თავად ინფორმაცია What? რა? და მოქმედი სუბიექტები — Who? ვინ?.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა ინფორმაციულობის ხარისხი გარკვეულწილად განპირობებულია მათში სემანტიკური მაჩვენებლების („Five W’s & an H“) არსებობა არ არსებობით. ხოლო, საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში სემანტიკური კვლევის პირველი მაჩვენებლის (Who? ვინ?) ანალიზის შედეგად ვასკენით, რომ გვაქვს ერთი მხრივ — ვინ? Who? — ამბის/მოვლენის (ე.ი. ცნობის, ანგარიშის, რეპორტაჟის, ინტერვიუს) მთავარი მოქმედი პირი, და მეორე ვინ? Who? (მაგრამ, არა ყველა სტატიაში) — ამბის წყაროს სახით. ასევე კვლევამ ცხადყო, რომ სტატიების უმრავლესობაში აქცენტი ძირითადად ცნობილ ადამიანებზე — ცნობილ ვინ? Who?-ზე კეთდება, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ნაკლებად ცნობილი ადამიანებიც ხვდებიან საინფორმაციო საგაზეთო სტატიების ფურცლებზე.

ამრიგად, ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ ჩვენ მიერ გაანალიზებულ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა საინფორმაციო სტატიაში წარმოდგენილია სემანტიკური მაჩვენებელი — Who? ვინ? —

რომელზეც პასუხი ყველა საინფორმაციო სტატიაშია, — ანუ, ყველგან გვაქვს მოქმედი სუბიექტი, ინფორმაციის წყარო. პოლიტიკური საინფორმაციო სტატიების უმრავლესობაში აღნიშნული კითხვა შეესაბამება სტატიის ძირითად თემას და წარმოდგენილია, როგორც მოქმედი სუბიექტი, რომელიც მოვლენათა ეპიცენტრშია.

ლიტერატურა

გვენცაძე, 1986 — M. A. Гвенцадзе, Коммуникативная лингвистика и типология текста, Издательство «Ганатლება», 1986.

ვერდონკი, 2002 — Peter Verdonk, Stylistics, Oxford University Press, 2002.

კუკი, 2003 — Guy Cook, Applied Linguistics, Oxford University Press, 2003.

მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987 — Robert Karl Manoff and Michael Schudson (eds), Reading the News, New York, 1987.

ფაულერი, 1991 – Roger Fowler, Language in the News, Discourse and Ideology in the Press, London, 1991.

ETER BALIASHVILI

Semantic Indicator “Who?” in Informative Newspaper Articles

Summary

The paper deals with the realization of the semantic indicator Who? in informative newspaper articles (in a notice, an account, a report, an interview). The study is based on the British and American newspapers.

The research has shown that any informative article answers the questions: Who? What? Where? When? Why? How? (Five W’s and an H), accordingly, six indicators for the semantic study of informative newspaper articles have been singled out.

The present paper is an attempt to describe the characteristics of the semantic indicator Who?. The answer to this question is usually given in the very first paragraph of the text. It has also been stated, that the semantic indicator “Who?” carries an important function in informative newspaper articles. While analysing the realization of “Who?” in the articles, the following questions have been singled out: Who is the news about? Who is the source of the news? Who is not included in the news? Who makes news and who governs it?

The study has proved that the semantic indicator - Who i. e. acting or the source of informations is realized in every informative article.

ეთერ ბალიაშვილი

სამეტყველო აქტების რეალიზაცია სინფორმაციო საბაზეთო სტატიებში

საგაზეთო ჟანრი მრავალმხრივ არის გამოკვლეული, მაგრამ ნაკლებად არის შესწავლილი სამეტყველო აქტების თეორიასთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ ამ სახის კვლევა უფრო სრულყოფილს გახდიდა ამ ჟანრის მახასიათებლების დადგენას. სწორედ ამიტომ, საგაზეთო სტატიებზე მუშაობის დროს ჩვენი კვლევა დაფუძვნირეთ პრაგმატიკის იმ ნაწილს, რომელიც „სამეტყველო აქტების თეორიით“ არის ცნობილი.

ტერმინი „სამეტყველო აქტების თეორია“ გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით (მნიშვნელობით). ფართო გაგებით „სამეტყველო აქტების თეორია“ აღნიშნავს იდეების ნებისმიერ კომპლექსს, რომელიც მიმართულია სამეტყველო ქმედების ასახსნელად და „სამეტყველო ქმედების თეორიის“ სინონიმს წარმოადგენს. ხოლო ვიწრო გაგებით, ის იხმარება, როგორც ერთი კონკრეტული თეორიის სახელწოდება (ინგლისურ ენაზე **Speech Act Theory, Theory of Speech Acts**), რომელიც ამუშავებს სამეტყველო კომუნიკაციის პრობლემებს, როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით ასპექტში და, რომელიც დიდი ყურადღების საგანი გახდა თანამედროვე ლინგვისტიკის პრაგმატული კვლევის სფეროში იმ მეცნიერთა ნაშრომებში, რომლებიც სამეტყველო კომუნიკაციის პრობლემებს განიხილავენ.

სამეტყველო აქტების თეორიაში კვლევის ობიექტს სამეტყველო აქტი წარმოადგენს, ე.ი. კვლევის გლობალური ობიექტია დიალოგი (რომელიც შედგება მოლაპარაკის მიერ მსმენელთან უშუალოდ კომუნიკაციისას წარმოთქმული წინადადებისგან), ანუ სამეტყველო აქტების გაცვლა-გამოცვლა.

სამეტყველო აქტების სუბიექტი კი აღიქმება, როგორც აბსტრაქტული ინდივიდი, რომელსაც მთელი რიგი მახასიათებლები აქვს, როგორც ფსიქოლოგიური (განზრახვა, ცოდნა, აზრი, ემოციური მდგომარეობა)

რეობა, ნება), ასევე სოციალური (მსმენელთან მიმართების სტატუსი, განსაზღვრული სოციალური ინსტიტუტის ჩარჩოებში გარკვეული ფუნქცია) ნიშან-თვისებები.

სამეტყველო აქტის ობიექტის კვლევის ძირითად მეთოდს ანალიზური მეთოდი (თავისი სხვადასხვა სახით) წარმოადგენს.

კვლევის ობიექტი საინფორმაციო საგაზეთო სტატიაა, რომელსაც განვიხილავთ, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას, როგორც დიალოგს სტატიის ავტორსა და მკითხველს შორის — ე.ი. როგორც კონკრეტულ სამეტყველო აქტს, — სამეტყველო ფაქტს/ხდომილებას, რომლის საშუალებითაც ავტორი მკითხველს აწვდის გარკვეულ ინფორმაციას.

ერთიანი მთლიანი სამეტყველო აქტი სამეტყველო აქტების თეორიაში განიხილება, როგორც სამდონიანი წარმონაქმნი, ანუ, როგორც *ლოკუციური აქტი*, *ილოკუციური აქტი* და *პერლოკუციური აქტი*.

სამეტყველო აქტების პირველი კლასიფიკაცია ჯ. ოსტინის ეკუთვნის. მის მიერ შემოთავაზებული სამეტყველო ქმედების სამდონიანი სქემის მთავარ სიახლეს უდავოდ ილოკუციის გაგება წარმოადგენს. ჯ. ოსტინი თვლიდა, რომ ილოკუციის არსის ნათლად გასაგებად საჭირო იყო ილოკუციური ზმნების თავმოყრა და მათი კლასიფიკაცია.

ფ. სტროსონი თვლიდა, რომ ილოკუციური აქტი ლოკუციური აქტისგან განსხვავდება მიზანმიმართულებით, ხოლო ილოკუციური აქტის პერლოკუციური აქტისგან განმასხვავებელ ნიშნად იგი კონვენციონალურობას მიიჩნევდა.

ჯ. სერლის კლასიფიკაცია აგებულია არა ზმნების, არამედ სამეტყველო აქტების კლასიფიკაციაზე. სამეტყველო აქტების კლასიფიკაციაზე ჯ. სერლი გამოყოფს თორმეტ განზომილებას, რომლითაც სამეტყველო აქტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. სამეტყველო აქტების სემანტიკური კლასიფიკაციისას ჯ. სერლი მის მიერ გამოყოფილი 12 განზომილებიდან ეყრდნობა მხოლოდ ოთხ კრიტერიუმს, კერძოდ: ილოკუციურ არსს (**Illocutionary point**), შესაბამისობის მიმართულებას (**Direction of fit**), ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (**Psychological state**) და შინაარსს (**Content**).

ჯ. მეი აღნიშნულ კრიტერიუმებს კიდევ ორს ამატებს, ესენია: რეფერენცია მოლაპარაკესთან ან მსმენელთან (**Reference to a speaker or a hearer**) და კონტექსტუალური გარემოებები (**Contextual conditions**). (მეი, 1993: 163).

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჯ. სერლი გამოყოფს სამეტყველო აქტების ხუთ კატეგორიას, ესენია:

1. რეპრეზენტატივები/ასერტივები (Representatives/assertives)

— აღნიშვნა / მტკიცება, რომელთა არსიც მდგომარეობს საქმის ვითარების აღნიშვნა-წარმოდგენაში; მაგ.: მტკიცება / განცხადება (ჰემ-მარიტი / მცდარი), დასკვნა, აღწერა.

2. დირექტივები (Directives)

— მოთითებები, რომელთა არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელს მიუთითოს რაიმეს გაკეთება; წარმართოს მსმენელი რაიმე მიზნისკენ. მაგ.: ბრძანება (თხოვნა, წინადადება, ბრძანება).

3. კომისივები (Commissives)

— ვალდებულების აღება, რომელთა არსია მოლაპარაკის მიერ ვალდებულების აღება რაიმეს შესრულებაზე; მაგ. პირობის მიცემა (პირობა, განზრახვა), მუქარა, უარი.

4. ექსპრესივები (Expressives)

— გამოხატვა, მათი არსია გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოხატვა; ამ ტიპის სამეტყველო აქტი გვიჩვენებს მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, იმას თუ, რას გრძნობს იგი. მაგ.: მილოცვა, მადლობა, მობოდიშება, მოწვევა/მიღება, სიამოვნების, ტკივილის, მოწონების, წუხილისა და სიხარულის გამოხატვა.

5. დეკლარაციები (Declarations)

— განცხადება, რომელთა არსია, რაღაც შეცვალოს სამყაროში; მაგ.: განკვეთა, გაძევება. მოსაუბრეს უნდა ჰქონდეს სპეციალური ინსტიტუციონალური სტატუსი, როლი სპეციფიკურ კონტექსტში.

აღნიშნულ კლასიფიკაციას ჯ. იული შემდეგი ცხრილით წარმოგვიდგენს:

Speech act type	Direction of fit	S = speaker; X = situation
Declarations	words change the world	S causes X
Representatives	make words fit the world	S believes X
Expressives	make words fit the world	S feels X
Directives	make the world fit words	S wants X
Commissives	make the world fit words	S intends X
		(იული, 1997:55)

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში რეალიზებული სამეტყველო აქტების სემანტიკური კლასიფიკაციისას საფუძვლად ავიღეთ ჯ. სერლის კლასიფიკაცია.

იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულებაა სამეტყველო აქტების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის, განასხვავებენ **პირდაპირ** და **ირიბ სამეტყველო აქტებს**. ხოლო, იმ ზმნებს, რომლებიც სამეტყველო აქტებს განსაზღვრავენ, **სამეტყველო აქტის ზმნებს (Speech Act Verbs - SAVs)** უწოდებენ.

ნაშრომის შეზღუდვებიდან გამომდინარე მოვიტანთ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში მხოლოდ რეპრეზენტატივების, დირექტივების, კომისივების, ექსპრესივებისა და დეკლარაციების კვლევის შედეგებს.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიების ჟანრობრივი ჯგუფების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცნობაში, ანგარიშში, რეპორტაჟსა და ინტერვიუში ძირითადად რეპრეზენტატივი/ასერტივის ტიპის სამეტყველო აქტებია რეალიზებული, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ გამორიცხავს მათში კომისივების, დირექტივებისა და დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტების არსებობასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი უმრავლესობა პირდაპირი სამეტყველო აქტებია.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში სამეტყველო აქტების რეალიზების უამრავი მაგალითი გვხვდება, რა თქმა უნდა, ყველა მათგანის მოყვანა ამ ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია, ამდენად მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით. ჩვენი საკვლევი მა-

სალიდან 20 სტატია განვიხილეთ ამ კუთხით, აქედან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად რეპრეზენტატივის ტიპის სამეტყველო აქტები შეგვხვდა (114), დაფიქსირდა დირექტივებიც (30), რამდენიმე შემთხვევაში შეგვხვდა კომისივის (10), დეკლარაციისა (10) და ექსპრესივის ტიპის (5) სამეტყველო აქტები.

მაგალითად, **რეპრეზენტატივების/ასერტივების ტიპის სამეტყველო აქტები:**

“... Mr Fauvieu *admitted* the crime and has also *indicated* that he spiked the drinks of two more of his son’s opponents before their games to try to scupper their chances.”; “Jacques Dupré, secretary general of the French tennis federation, *said*: “This can only be described...” (“**Father of tennis stars ‘poisoned son’s rival’**”, The Guardian Weekly, August 14-20, 2003);

შემდეგი მაგალითები **დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების** საილუსტრაციოდ გამოდგება:

“... *Wear protective gloves, preferably vinyl or heavy duty rubber ones that can be disinfected;*

. Take care to avoid contamination of the face and other exposed areas. If contamination does happen, *wash* the area thoroughly with soap and water;

. Wash hands, nails and forearms following any bird handling and before eating, drinking, smoking, using the telephone, applying make-up or inserting contact lenses.”; (“**Bird flu advice**”, Guardian Unlimited, April 7, 2006);

კომისივის ტიპის სამეტყველო აქტებია:

“Glaxosmithkline, the British drugs giant, *is ready to start* mass producing of vaccines to protect humans from bird flu...”; “Jean-Pierre Garnier, GSK’s chief executive, *will meet* President George Bush in the next fortnight to brief him about progress in developing a vaccine that would offer protection against the deadly strain of bird flu virus H5N1. ” (“**Glaxo to mass-produce human bird flu vaccine**”, The Observer, April 30, 2006);

დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტების საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითები:

“The World Health Organisation *stresses* that “all evidence indicates that no sustained human-to-human transmission has occurred”. (“**Bird flu: should we start worrying?**”, Guardian unlimited, January 13, 2006); “Depp *announces*: “I think we’ve all arrived at a very special place: spiritually, ecumenically, grammatically...”Commercially, too.” (“**High seas, high camp**”, The Guardian Weekly, August 14-20, 2003);

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განხილულ სტატიებში **ექსპრესივის ტიპის სამეტყველო აქტების** მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა:

“The amateur production in Merton, near Okehampton, had been vetoed (*boo!*) on the advice of the Commission for Racial Equality, but local officials have had a chance of heart (*hooray!*). The company will still not be able to use Merton village hall (*hissss!*), but will be accommodated in the nearby village of Langtree (*cheers!*). In the show Snow White escapes from the Wicked Queen into the woods... *Politically correct? Oh no it isn't!*” (**“Politically incorrect panto must go on”**, The Guardian Weekly, December 4-10, 2003);

ვთვლით, რომ სამეტყველო აქტების ასეთი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი სპექტრი განპირობებულია საინფორმაციო საგაზეთო სტატიების, როგორც კომუნიკაციის წერილობითი ფორმის თავისებურებებით. ნებისმიერი საინფორმაციო სტატია, იქნება ეს ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი თუ ინტერვიუ, თუ მას განვიხილავთ როგორც ერთიან სტრუქტურას, თავისთავად უკვე არის ინფორმაცია / განცხადება რაიმე მოსაზრების, მოვლენის ან იდეის შესახებ, რასაც შემდგომ სტატიის ფარგლებში ავითარებს ავტორი და, რაც სტატიებში ყველაზე უფრო ხშირად რეალიზდება რეპრეზენტაციის/ასერტივის ტიპის სამეტყველო აქტებით.

მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში რეალიზებული სამეტყველო აქტები ძნელია ცალსახად ამა თუ იმ კონკრეტულ ტიპს რომ მივაკუთვნოთ. თუნდაც იმიტომ, რომ ერთი შეხედვით მარტივად განსასაზღვრი რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტები სხვადასხვა შინაარსს გამოხატავს. ამას გარდა, ზოგჯერ ძნელია დირექტივისა და კომისივის, რეპრეზენტაციის/ასერტივისა და დეკლარაციის, ასერტივისა და დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების გამოიწვნა. მაგალითად, “... so parents *will have to explain the danger to children* ” (**“One swan doesn't make a pandemic”**, The Observer, April 9, 2006) — ეს არის ავტორის დირექტივა, მითითება, თუ იგი გამოხატავს მშობლების ვალდებულებას? ან *“I speak as an inveterate panicker...”* (**“One dead swan doesn't make a summer of panic”**, The Guardian, April 10, 2006), ეს არის ავტორის მტკიცება, განცხადება, თუ, ეს არის იმ ტიპის განცხადება, რომლის არსსაც რაღაცის შეცვლა წარმოადგენს? ან, კიდევ ასეთი მაგალითი: “The sci-

entists *voiced fears that bird flu tests being carried out by government scientists could be flawed*” (**“ UK bird flu tests ‘could be flawed’ ”**, Guardian unlimited, April 12, 2006) – უნდა გავიგოთ, როგორც დირექტივი, რომელიც გამოხატავს მითითებას, თუ, როგორც აღნიშვნა-მტკიცება?

ასეთ შემთხვევებში არ არსებობს ის ობიექტური ნიშნები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა; შესაბამისად, კონტექსტზე დაყრდნობით მკითხველის სუბიექტურ აღქმასა და მოკიდებული, თუ სამეტყველო აქტების რომელ ტიპს მიეკუთვნება ასეთი მაგალითები (პირველ მაგალითს ჩვენ განვიხილავთ, როგორც დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტს, მეორეს — როგორც დეკლარაციის ტიპის, ხოლო მესამეს — როგორც რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტს).

საგაზეთო სტატიებში მრავლად გვხვდება სამეტყველო აქტის გამომხატველი ზმნები, როგორიცაა, მაგ. ‘to request’, ‘to stipulate’, ‘to ban’, ‘to declare’, ‘to announce’, ‘to solicit’ და ა.შ. აღნიშნულის დასასაბუთებლად გადავწყვიტეთ შემდეგი საგაზეთო სტატიის ფრაგმენტის მოტანა (არჩევანი სწორედ ამ სტატიაზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ ამ პატარა ნაწყვეტში ექვსი სამეტყველო აქტის ზმნა გვხვდება).

“In the Commons, Mr Kinnock *indicated* deep concern about the American action [against Libya]. He demanded that the evidence on which the Government's decision was based should be *published, accused* the Foreign Secretary of possible duplicity in [?] *dealing with* European allies, and *asked* Mrs Thatcher to join him in *condemning* the raid. (The Guardian, April 16, 1986).

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში გვხვდება ირიბი სამეტყველო აქტებიც. მაგალითად, ასე უღერს ერთი სტატიის სათაური და ქვესათაური: **“Brilliant scientist showered with praise”**; “Kelly was trapped in ‘black hole’ of Whitehall machine” (The Guardian weekly, August 14-20, 2003);

რეპრეზენტაციის ტიპის ირიბი სამეტყველო აქტი, ზოგჯერ კითხვა-პასუხით რეალიზდება; მაგალითად: “ ‘*You handle swans?*’ I ask with the usual astonishment a conversation with this friend produces. She replies: ‘Nine days ago, I found one caught in a fence and had to release it. It was sick, but only because it had been caught in a fence. Where my behaviour will change is if I come across a sick bird that allows me to approach it. Then I'd wear gloves and wash my hands afterwards.’ ” (**“One swan doesn't make a**

pandemic”, The Observer, April 9, 2006); აღნიშნული დიალოგით ავტორი ცდილობს მკითხველამდე მიიტანოს ის ილოკუციური მიზანი, რომ ქათმის გრიპი არ არის საშიში, თუ ადამიანი დაიცავს სანიტარულ ნორმებს, ანუ, თავისი მიზნის მისაღწევად სტატიის ავტორი ირიბ სამეტყველო აქტს იყენებს.

ირიბი სამეტყველო აქტები ხშირად კითხვითი წინადადებით და რიტორიკული შეკითხვებით რეალიზდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოდგება: **“What about the rest of the UK?”; “Is it safe to eat poultry and eggs?”; (“Bird flu advice”, Guardian Unlimited, April 7, 2006);**

რიტორიკული შეკითხვაა შემდეგი სტატიის სათაურშიც: **“At the beach? Keep your eyes off that laptop”,** (იგულისხმება — როდესაც დასასვენებლად ხარ, დაისვენე! — ე. ბ.) (The Guardian Weekly, August 14-20, 2003);

შემდეგი მაგალითი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ირიბი რეპრეზენტაციის თუ ექსპრესივის ტიპის სამეტყველო აქტი, რომელიც მთლიანად რიტორიკული შეკითხვებითაა წარმოდგენილი: **“Do you never think: ‘Oh God, he’s noticing my wrinkles?’” asked Ruby. “What wrinkles?” (“A Real lady knows how to look after herself”, The Guardian Weekly, August 14-20, 2003);**

ასევე სამეტყველო აქტი შეიძლება გამოხატული იყოს რიტორიკული შეკითხვების კასკადით, რომელსაც ბოლოს პასუხი მოსდევს: **“So, which came first in the great vacation deprivation: the economy or the culture? Insecurity or guilt? The work ethic or the whip? There’s no doubt that a shaky economy breeds fear that any vacation could be permanent.” (“At the beach? Keep your eyes off that laptop”, The Guardian Weekly, August 14-20, 2003);**

გვხვდება ძახილის წინადადებით რეალიზებული ირიბი სამეტყველო აქტები: **“Do you tell people you are 70?” asked Ruby. “WHAT!” said Joan. Ruby said, “All right. No,” and backpedaled briskly.** (ანუ პასუხია — რას ამბობ, არავითარ შემთხვევაში! — ინტერვიუ მსახიობ ჯოან კოლინზთან — ე. ბ.); **(“A Real lady knows how to look after herself”, The Guardian Weekly, August 14-20, 2003);**

ხშირად ირიბი სამეტყველო აქტის რეალიზებისთვის გამოყენებულია იდიომებიც: **“That is our position and we make no bones about it.” (“Paisley sets terms for N Ireland’s future”, The Guardian Weekly,**

December 4-10, 2003).

ილოკუციური ძალის განმსაზღვრელი ხერხებიდან **(IFIDs) SAVs** უდავოდ ცენტრალური ადგილი უჭირავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ამავე დროს ექსპლიციტური პერფორმატივებიცაა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე გავრცელებულ სტრუქტურას წარმოადგენს პირველი პირის მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი + **SAV** აწმყო/წარსული/მომავალი დროის მტკიცებით ან უარყოფით ფორმაში (ნაშრომის შეზღუდვებიდან გამომდინარე აღნიშნულ საკითხს ამ სტატიაში არ განვიხილავთ).

სამეტყველო აქტის ილოკუციური ძალის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თემატურ წინადადებას, ასეთი წინადადებები საინფორმაციო სტატიებში რეალიზებულ სამეტყველო ხდომილებაში ცენტრალური სამეტყველო აქტის როლს გამოხატავენ. ასეთი თემატური წინადადებების უმრავლესობა საინფორმაციო საგაზეთო სტატიების სათაურშია გამოტანილი. მაგალითად, **“Israel Affirms Summit Proposals”, “Rice Says U.S. Won’t Join Europe in Iran Nuclare Talks”, “Georgian Premier’s Death Blamed on Gas Accident”, (The Washington Post, February 4, 2005);** ზოგჯერ თემატური წინადადება სტატიის სათაურის გარდა ქვესათაურშიც არის გამოტანილი. მაგალითად, **“Queen’s speech lays down gauntlet for Labour’s third term”, “White House Explains The Proposal Further”, “Zurab Zhvania Was Force for Moderation”, (The Washington Post, February 4, 2005);** არის შემთხვევები, როდესაც ერთ სტატიაში რამდენიმე თემატური წინადადება გვხვდება, რამდენიმე ქვესათაურის სახით, როგორც სტატიაში **„Bird flu advice“;** მოცემულ მაგალითში სტატიის თემატური წინადადება სტატიის სათაურია, ხოლო ქვესათაურები: **“The Scottish outbreak”, “What about the rest of the UK?”, “Small-scale poultry keepers”, “General public”, “Bird fairs, pigeon racing and falconry events”, “Pets”, “Is it safe to eat poultry and eggs?” (Guardian Unlimited, April 7, 2006),** დამატებით თემატურ წინადადებებს წარმოადგენენ.

IFIDs შორის შეიძლება ასევე გამოვყოთ ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო აქტის ილოკუციურ ძალას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: **“If a worker set aside \$1,000 a year for 43 years, and earned 4.6 percent annually on investments, the account would grow to \$ 221,552 in today’s dollars.”; “If investments earned less than 3 percent a year above inflation, a worker would do worse in to-**

tal benefits than he would have done in the traditional system.” (“**Benefit Cuts Would Offset Contributions**”, The Washington Post, February 4, 2005); აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი: “...“*I wish I could turn back the clock, I wish I could do things differently, I just wish none of this had ever happened.*” (“**Huntley sobs and admits his shame over death of girls**”, The Guardian Weekly, December 4-10, 2003).

მართალია, სტატია არ არის პირდაპირი ინტერაქცია ავტორსა და მკითხველს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალმხრივ კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე, რადგან ნებისმიერი ტექსტის კითხვისას მკითხველი თავისთავად ხდება დისკურსის მონაწილე, მით უმეტეს, საინფორმაციო საგაზეთო სტატიის დროს, როდესაც ავტორს უმეტეს შემთხვევაში წინასწარ გათვლილი აქვს ადრესატის, ანუ მკითხველის რეაქცია, რითაც უფრო მეტად ესმება ხაზი იმას, რომ საგაზეთო სტატია პირდაპირი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შორისდებულს, რომელიც ილოკუციური ძალის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ხერხია. შორისდებულის ხმარება დამახასიათებელია ექსპრესივის ტიპის სამეტყველო აქტებისთვის. მაგ. **Ah! Oh! Boo! Hooray! Hisssss! Ahhrrrrrr!** და სხვა. მაგალითად, შემდეგი სტატიის სათაური “**Things That Go Bump In the Closet (Oh, My!)**” (The New York Times, February 5, 2005).

საინფორმაციო საგაზეთო სტატიები წერილობითი დისკურსია, ამიტომ ავტორის ინტონაცია ყოველთვის არ ჩანს, განსაკუთრებით, როცა ცნობასა და ანგარიშთან გვაქვს საქმე, რადგან ცნობაში ავტორი მოკლედ გვაწვდის ინფორმაციას, ანგარიშში კი — მოვლენის დეტალური აღწერაა, მაგრამ ერთშიც და მეორეშიც აქცენტი კეთდება ინფორმაციაზე. ინტერვიუსა და რეპორტაჟში კი საქმე სულ სხვაგვარად გვაქვს. აქ ავტორს მეტი თავისუფლება აქვს. ამიტომ, აქ უფრო ადვილია ავტორის დამოკიდებულების აღქმა. თუმცა, ეს სრულებით არ გამორიცხავს ავტორის, როგორც ოფიციალური პირის ან ინსტიტუტის ინტონაციას/დამოკიდებულებას ცნობაშიც და ანგარიშშიც.

აღსანიშნავია, რომ ყველა გაზეთს აქვს თავისი ინტერესების სფერო, ერთი და იგივე რამ სხვადასხვა კუთხით შეიძლება იყოს გაშუქებული სხვადასხვა გაზეთში. ის, რაც შუქდება სერიოზულ პრესაში ნაკლებად აინტერესებს “The Sun”-ის მკითხველს, ყველა გაზეთს

აქვს თავისი იდეოლოგიური პარადიგმები. მაგალითად: “... a crop failure in Meghalaya may be reported in the Times but almost certainly not in the Mirror. ... the Sun is known to be consistently hostile in its treatment of trades unions, and of what it calls ‘the loony left’; the Guardian is generous in its reporting of the affairs of CND” (ფაულერი, 1991: 11).

საინფორმაციო საგაზეთო სტატიების სამეტყველო აქტებთან დაკავშირებულმა განხილვამ ცხადყო, რომ მათში რეალიზებულია ხუთივე ტიპის — რეპრეზენტატივების, დირექტივების, კომისივების, დეკლარაციებისა და ექსპრესივების ტიპის პირდაპირი და ირიბი სამეტყველო აქტები. აღსანიშნავია, რომ მათში გამოკვეთილად ყველაზე მეტი რეპრეზენტატივის ტიპის სამეტყველო აქტებია, შემდეგ თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება დირექტივებისა და კომისივების ტიპის სამეტყველო აქტები, შედარებით ნაკლებია დეკლარაციების ტიპის სამეტყველო აქტების რეალიზება. რაც შეეხება ექსპრესივებს, ის დეკლარაციების ტიპის სამეტყველო აქტებთან შედარებით უმნიშვნელოდ ნაკლები რაოდენობით გვხვდება.

მართალია, საგაზეთო სტატიებში უშუალო სამეტყველო აქტი მისი ტრადიციული გაგებით არ ხორციელდება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა საინფორმაციო საგაზეთო სტატიაში იმპლიცირებულია მომენტი “**I inform you**”, სწორედ ეს უდევს საფუძვლად საგაზეთო სტატიებისადმი ჩვენეულ მიდგომას, რადგან ყველა საინფორმაციო სტატია თავის თავში უთუოდ გულისხმობს კონტაქტს, დიალოგს ავტორსა და მკითხველს შორის. ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ ეს უკვე სამეტყველო აქტია, შესაბამისად, სტატიისა და მკითხველის ურთიერთობით შემდგარი სამეტყველო აქტით ვაღწევთ დასახულ მიზანს, სტატიის ილოკუციურ და შემდეგ პერლოკუციურ ფუნქციას.

ლიტერატურა

გვენცაძე, 1986 — Гвенцадзе М. А. Коммуникативная лингвистика и типология текста. Тбилиси, Ганатლება, 1986.

იული, 1997 — George Yule, Pragmatics, Oxford University Press, 1997.

კობოზევა, 1986 — Кобозева И. М. «Теория речевых актов» как один из вариантов теории речевой деятельности». В «Новое в

зарубежной литературе», Вып. XVII, М., «Прогресс», 1986.

ლევინსონი, 1983 — Stephen C. Levinson, *Pragmatics*, Cambridge University Press, 1983 (reprinted 1994).

მეი, 1993 — Jacob L. Mey, *Pragmatics*, Oxford UK & Cambridge USA, 1993.

მენოფი, სჩადსონი, 1987 — Karl Manoff and Michael Schudson (eds), *Reading the News*, New York, 1987.

ფაულერი, 1991 — R. Fowler, *Language in the News, Discourse and Ideology in the Press*, London, 1991.

ETER BALIASHVILI

Realization of Speech Acts in Informative Newspaper Articles

Summary

The paper examines informative newspaper articles from the standpoint of speech act theory. The informative newspaper article is regarded not only as a compositional element of publicistic texts, but as a form of communication, a dialogue between the author and the reader. The study of 20 British and American informative articles has proved that in the given genre mainly representatives/assertives are encountered (114). However, directives (30) expressives (5), commissives (10) declarations (10) are evidenced in notices, accounts, reports and interviews as well. The majority of speech acts are of a direct type. Indirect speech acts are mostly realized by means of interrogative sentences rhetorical questions, exclamatory sentences etc.

მანია ბარისაშვილი

„ქურმუხის“ ეტიმოლოგია

ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, თანამედროვე კახის რაიონული ცენტრიდან ორი კილომეტრის მოშორებით მდინარე ქურმუხის ხეობაში მდებარეობს ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის აშენების, აღმშენებლისა და ეტიმოლოგიის შესახებ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ქურმუხის ეკლესიასთან დაკავშირებით სწორად ხდება სახელწოდებისა და ისტორიული ფაქტების გაყალბება.

ნაშრომში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ტერმინ „ქურმუხის“ შესახებ არსებული მოსაზრებები. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით მკითხველს მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია.

2005 წელს აზერბაიჯანელი არქეოლოგების მიერ ქურმუხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრების შემდეგ აღვილობრივ გაზეთ „შელალეში“ გამოქვეყნდა ეფენდი მაირის წერილი „ქურმუხის ტაძარი მთვარისადმი თავყანისცემის ტაძარია“.

აღნიშნული სტატიის ავტორი სახელწოდება „ქურმუხის“ დამახინჯების შემდეგ ამ ტოპონიმს ორ ნაწილად ჰყოფს: „ქურ — მულ“. პირველ ნაწილს მდინარე მტკვართან აკავშირებს, ხოლო მეორე ნაწილს მულალების ტომთან. ავტორი ავითარებს აზრს, რომ სახელწოდება ქურმუხი „მულალების მტკვარს“, „მულალების მდინარეს“ ნიშნავს. ყოველგვარი განმარტების გარეშე აცხადებს, რომ ქურმუხის ტაძარი მთვარისადმი თავყანისცემის გამო ააშენეს. მისი აზრით, პირველი საუკუნიდან ძველ აზერბაიჯანში მთვარის კულტი იყო გაბატონებული. ავტორს მიაჩნია, რომ „ქურმულ-ობა“ ძველი ალბანური დღესასწაულია, რომელიც მულალებთან არის დაკავშირებული.

...„ქურმულ-ობას“ სახელწოდების დღესასწაული ეთნიკურ ხასიათს ატარებდა. მუსლიმანური რჯულის მქონე ინგილოებმა და მულალებმა, რჯულის შეცვლის მიუხედავად, VIII საუკუნიდან დღევანდლამდე ძველი რელიგიისადმი ერთგულების ნაშთები უძველესი

ადათ-წესებისადმი ერთგულების გზით შეინარჩუნეს. უეჭველია, რომ ქურმულის ტაძრის სახელწოდებას მხოლოდ და მხოლოდ მულალებთან აქვს კავშირი. სიტყვა „ქურმულის“ დასაწყისი „ქურ“ სიტყვა კი მდინარე მტკვრისათვის დამახასიათებელი შმაგის, მშფოთვარეს მნიშვნელობას ატარებს და მისთვის ხალხის მიერ შერქმეული სახელი „გიჟი მტკვარიც“ ამას ასაბუთებს. ე. ი. ირკვევა, რომ „ქურმული“ თავზეხელაღებული, გაბედული, გულადი, გიჟმაჟი „მულალების მდინარეს“, „მულალების მტკვარს“ ნიშნავს (მაირი, 2005).

ავტორის მიერ უარყოფილია მულალების მონღოლური წარმოშობისა და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მათი შემოსვლის თარიღის შესახებ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება. მისი ვერსია ყოველგვარ მეცნიერულ არგუმენტს მოკლებულია. გამომდინარე იქედან, რომ მულალების ტომი აღნიშნულ ტერიტორიაზე უფრო გვიან არის მოსული, ვიდრე ავტორი მიიჩნევს, კერძოდ, XIII საუკუნეში, სახელწოდება „ქურმუხი“ მულალების ტომს ვერ დაუკავშირდება.

ლიტერატურის ისტორიის ცნობილი ქართველი მკვლევრის ვ. კოტეტიშვილის აზრით, „ქურმუხის“ ეტიმოლოგია მუხის კულტთან არის დაკავშირებული: „მუხის თაყვანისცემა ბევრგან იყო გავრცელებული. საქართველოში ხომ ასეთი ადგილები მრავალია: რკონი, ჭყონდიდი, მუხრანი „დიდ მუხა (ფრონეს ხეობაში), ქურმუხი — საინგილო, ოფუხხეთი, კორკმულა, ლაშარის გორი და სხვ.

საინგილოში არსებობს ქურ-მუხის წმინდა გიორგის ხატი, ძველად აქ ტაძარი ყოფილა ღვთისმშობლისა, მაგრამ ხატი კი წმ. გიორგის სახელით არის დარჩენილი. იგივე, რაც რკონში, გერისთავში და სხვ). (კოტეტიშვილი, 1961, 402-405).

ენობრივი თვალსაზრისით მუხის ფენომენი განხილული აქვს ნიკო მარს, რომლის აზრით, სვანური და მეგრული სახელწოდება წმ. გიორგისა წარმოადგენს წარმართული კულტის ტერმინს, სახელდობრ მუხას (აბზიანიძე, ელაშვილი, 2006 155).

ქურმუხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დღესაც არსებული მუხის ხეები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქრისტიანობამდე ამ ადგილს საკულტო დანიშნულება ჰქონდა და მუხას სცემდნენ თაყვანს. როგორც სხვა კუთხეებში, ჰერეთშიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მუხის საკულტო ადგილზე ყველგან „ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები შენდებოდა. ქურმუხის ეკლე-

სიის აშენებაც აღნიშნულ ფაქტთან არის დაკავშირებული. ამ მოსაზრებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ტაძარი ჯერ ღვთისმშობლის, შემდეგ კი წმინდა გიორგის სახელობის იყო. ქურმუხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მუხის ტყე და ადგილობრივი ქართველების მეხსიერებაში ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის შესახებ შემორჩენილი ლეგენდა-თქმულებებიც ამაზე მეტყველებს.

ამრიგად, მოსაზრება, რომ „ქურ-მულ“ ეტიმოლოგიურად მულალების ტომს უკავშირდება, მცდარია. როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი მუხის კულტს უკავშირდება. აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხდება ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების სახელწოდებების, ისტორიული წყაროების მიზანმიმართულად დამახინჯება და გაყალბება, რაც სამეცნიერო სფეროს სცილდება და ხშირად პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს.

ასე დაიკარგა დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე არსებული სოფლების ქართული ტოპონიმები: ტყისთავი — მეშაბაში, შუახევი — ქოთოთლო და სხვა.

ლიტერატურა

აბზიანიძე, ელაშვილი, 2006 — ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, თბ., 2006, ტ. I.

კოტეტიშვილი, 1961 — ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961.

მაირი, 2005 — ეფენდი მაირი, „ქურმუხის ტაძარი მთვარისადმი თაყვანისცემის ტაძარია“, გაზეთი „მელაღ“, 2005.

მარჯანიშვილი, 2005 — გ. მარჯანიშვილი, „ჰერეთი“, 2005.

MAYA BARIKHASHVILI

ნანა ბოლქვაძე

The Etymology of 'kurmuxi'

Summary

The paper investigates the etymology of St. George's church known as 'Kurmuxi' in Kakhi, historical Hereti (now in Azerbaijan). In Azerbaijani scholarly literature the etymology of kurmux: is connected with the tribe of Mughals. It should be stressed that the tendency of deliberate falsification of historical sources as well as the names of Georgian historical monuments located now in Azerbaijan, is typical of Azerbaijani scholarship. On the basis of Georgian historical sources and scholarly literature, it is concluded that the term 'kurmuxi', might be connected with the cult of oak ('muxa').

პრაგმატიკული პრესუპოზიციის, როგორც სემანტიკური პრესუპოზიციის ერთგვარი დაზუსტება

სტატია ეხება ლინგვისტიკაში საკმაოდ ცნობილ და აქტიურ პრობლემის-პრესუპოზიციის ნაირსახეობებს, თვისებებს და მათ შესაბამის ვერიფიცირებას.

ყველასათვის ცნობილია სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციების ფენომენების თავისებურებები. განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობაა სემანტიკურ პრესუპოზიციებთან დაკავშირებით.

პრესუპოზიციის ფენომენთან მიმართებაში ყოველ ლექსიკონში განსხვავებული დეფინიციისა მოცემული. მაგ.: დუდენი მას შემდეგაირად განმარტავს: "Einem Satz, einer Aussage zugrundeliegende, als gegeben angenommene unausgesprochene Voraussetzung" (დუდენი, 1235).

ჰადუმოდ ბუსმანის ენათმეცნიერების ლექსიკონში კი ვკითხულობთ: "Präsupposition (lit.- sup-positio- Unterstellung)- Selbstverständliche (implizierte) Voraussetzungen sprachlicher Ausdrücke b.z.w. Äußerungen. Aus der analytischen Sprachphilosophie (Frege, Russel, Strawson) übernommener begriff, der seit etwa 1970 in der Linguistik zu intensiven Diskussionen geführt hat. Das klassische Kriterium zur Unterscheidung von Präsupposition in logische Implikationen ist die Konstanz unter- Negation: Präsuppositionen bleiben unter Negationen erhalten, Implikationen nicht." (ბუსმანი, 2002, 530).

ამ და სხვა რამდენიმე დეფინიციის განხილვისა და გააზრების შემდეგ შეიძლება მოგაწოდოთ ჩემეული დეფინიცია პრესუპოზიციისა: პრესუპოზიცია ისეთი ენობრივი წარმონაქმნია, რომელიც რომელიმე გამონათქვამის წინაპირობას, ბაზას, საყის წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც შემდეგ პროპოზიცია და დასკვნა აიგება. იგი კონტექსტსა და დროზე დამოკიდებული, პროპოზიციის გართულების შემთხვევაში ცვალებადი (ან კიდევ პირობითად მოცემული) ფენომენია.

1. სემანტიკური პრესუპოზიცია და მისი მახასიათებლები

სემანტიკური პრესუპოზიციის ცნება სტრავსონის სახელს უკავშირდება. პრესუპოზიცია აქ დახასიათებულია, როგორც წინადადების სტრუქტურული თვისება. ვ. ფურცელაძე კი სემანტიკურ პრესუპოზიციას ნიშნობრივ პრესუპოზიციას უწოდებს (*zeichengebundene Präsupposition*) და მას შემდეგნაირად განმარტავს: ნიშნობრივი პრესუპოზიცია თავისი ორივე სახით, რეფერენციალურითა და სემანტიკურით დაკავშირებულია ენობრივ გამოთქმასთან და უმეტესად წინადადების დონეზე ფუნქციონირებს" (ფურცელაძე, 1998, 57). პირველის მაგალითია; "Meine Nachbarin hat keine Kinder", რომლის რეფერენციალური პრესუპოზიციაა: "Es gibt meine Nachbarin".

ნიშნობრივი პრესუპოზიციის მეორე სახე მიმართებაშია ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების სემანტიკასთან. აქ საქმე ეხება არა უშუალოდ გამოთქმულ აზრს, არამედ ენობრივი ნიშნით გამოხატულ ძირითადი მნიშვნელობის თანამდევ ნიუანსს. მაგ.: რაიმე ძნელად გასაკეთებელი საქმის დაძლევის შემთხვევაში იხმარება ზმნა "schaffen" (*te, t*), რომლის სემანტიკური სტრუქტურა შეიცავს სემას "sich bemüht haben."

აქ კი უკვე უნდა შევხვოთ საკმაოდ საკმაოდ მოსაზრებას, რასაც სემანტიკური პრესუპოზიციის ყოფნა-არყოფნის საკითხისაკენ მივყავართ.

მე სემანტიკური პრესუპოზიციის ანულისებების — გაუქმების (*Aufhebbarkeit*) წინააღმდეგი ვარ და ამ მოსაზრების დასაბუთებას ქვემოთ თანდათანობით შევეცდები, როცა პრაგმატული და სემანტიკური პრესუპოზიციების ურთიერთდაკავება თანდათანობით დღის წესრიგში დადგება.

როდესაც პრესუპოზიციის ისეთ თვისებას ვიხილავ, როგორცაა პროექციის, ანუ აღქმის პრობლემა, ვითვალისწინებ იმ ფაქტორსაც, რომ, ერთი მხრივ, ენობრივ კონტექსტში პრესუპოზიცია უცვლელია, როცა დასკვნა იკარგება და სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, პრესუპოზიცია უქმდება და დასკვნა რჩება. ვინაიდან მე ვთვლი, რომ პრესუპოზიცია ძირეულია, რადგანის საწყისია, ამდენად მისი დასკვნასთან გაიგივება შეუძლებელია, რამეთუ ისევე როგორც შინაარსი., და-

სკვნაც ზედნაშენია. მაგრამ პროპოზიციისაგან განსხვავებით დასკვნა შედეგია.

ამ სამი ფენომენის ერთმანეთისაგან განსხვავების მიზნით მოვიყვან შემდეგ მაგალითს:

Jeden Tag hat der Hauptingenieur viele Sachen zu erledigen.

Der Hauptingenieur erledigt viele Sachen — პროპოზიცია.

Der Hauptingenieur hat viel zu tun — დასკვნა.

Es gibt einen Ingenieur — პრესუპოზიცია.

განვიხილოთ პროექციის მეორე მხარე, როცა დამოკიდებული წინადადების პრესუპოზიციები მთლიანი წინადადებისათვის მიუღებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გარკვეული შინაგანი კონტექსტიდან გამომდინარე უქმდება. მეცნიერები თვლიან, რომ ყველაზე იოლი ხერხი მათი ანულისებისა არის მათი დამოკიდებულ წინადადებებში ექსპლიციტური ნეგაცია:

"Manfred bedauert nicht, unnützerweise in Linguistik promoviert zu haben, denn er hat es gar nicht getan.

მაგრამ ამგვარი ექსპლიციტური ნეგაციები მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან მსგავსი ნეგაციების შემთხვევაში მოცემული წინადადების როგორც აზრი, ასევე შინაარსიც ირღვევა და იგი ყოველად მიუღებელი და უაზროა. ამიტომ მიმაჩნია, რომ არათუ პრესუპოზიციის, არამედ მთლიანად ამ წინადადების ანულისება უნდა მოხდეს, რადგან იგი უაზროა და უაზრობის პრესუპონირებას ჩვენ არ ვახდენთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს, რომ ნეგაცია ორმხრივია, რის შესახებაც არანაირი არგუმენტირება ენათმეცნიერებაში არ არსებობს.

სწორედ მსგავსი ექსპლიციტური ნეგაციების ფონზე ახორციელებს ზოგიერთი ლინგვისტი სემანტიკური პრესუპოზიციის გაბათილებას.

დავაკვირდეთ პროექციის შემდეგ ასპექტს, როცა სემანტიკური პრესუპოზიცია ლინგვისტთა აზრით გარკვეულ კონტექსტში ბათილდება:

a) **Wenn Matheas in die Politik geht, wird er bereuen, das getan zu haben.**

b) **Matheas geht in die Politik.**

კონდიციონალის პირველი წინადადებისათვის (ბ) პრესუპოზიცია მისაღებია. მაგრამ არა მთლიანი წინადადებისათვის, რადგან პრესუპოზიციაზე სწორედ აქ არის საუბარი და ამიტომ ჰიპოთეტურად იქცევა.

ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, პრესუპოზიციის არსის განსაზღვრა მთლიანი კონტექსტის საშუალებით უნდა მოხდეს და არა ცალკეული გამონათქვამების დონეზე:

c) *Matheas hat die Chancen in die Politik zu gehen.*

ვინაიდან მათიასის მიმართ წაყენებულია ალტერნატივა — იგი ან წავა პოლიტიკაში ან არა. თუმცა ცხადია, რომ მას ამის შანსი აქვს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამონაკლისის სახით არსებობს შემთხვევებიც, სადაც პრესუპოზიციის ბლოკირება ხდება პროპოზიციური ხასიათის ზოგიერთ ზმნასთან, ვინაიდან ასეთი სახის წინადადებებში მართლაც რთულია წინადადების პრესუპოზიციამდე დაყვანა. ასეთი პროპოზიციური ხასიათის ზმნებია: **Glauben, vorstellen, träumen, mag;**; "**Der verrückte alte Professor glaubt, er sei der König von Frankreich.** "

აქ უკვე პრესუპოზიცია— **Es gibt einen König von Frankreich** მიუღებელია. თუმცა არც სხვა პრესუპოზიციის წარმოებაა იოლი იმდენად, რამდენადაც ლინგვისტები რთული ქვეყნობილი ან თანწყობილი წინადადებების შემთხვევაში პრესუპოზიციის მეტ ხარისხს მოითხოვენ, ვიდრე მაგ.: წინადადება — **Es gibt einen König von Frankreich aris.**

ამ პროპოზიციური ხასიათის ზმნები ახდენენ დამოკიდებული წინადადების პრესუპოზიციის ბლოკირებას და საშუალებას არ აძლევენ მათ თავი მთავარი წინადადების პრესუპოზიციად გამოაცხადონ, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ეს ზმნებია მუდამ განსაზღვრელი, მაგ.:

a) *Der verrückte Professor glaubt, er habe ein Termin mit einer Patientin für nächste Woche.*

b) *Es ist überall bekannt, daß die Professoren ein Termin mit Patienten vereinbaren* ანუ მიუხედავად პროპოზიციური ხასიათის ზმნისა — **Glauben, (ბ) მაინც პრესუპონირებს (ა)- ს.**

პეტერ ერნსტის აზრით, პრესუპოზიციისათვის არ არის აუცილებელი რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გამონათქვამი, პრესუპოზიციის ფენომენის არსებობისათვის აუცილებელია იმის წინაპირობა, თუ რამდენად შეესაბამება იგი ჩვენს უნივერსალურ ცოდნას სამყაროს შესახებ. " (ერნსტი, 2002, 32)

აქვე დავუმატებდი ჩემს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წინადადების პრესუპონირება არა ნაწილ-ნაწილ უნდა მოხდეს, არამედ მთლიანი კონტექსტის მნიშვნელობის მიხედვით. სწორედ ამგვარად არის შესაძლებელი სემანტიკური პრესუპოზიციის შესაძლებლობა.

2. პრაგმატული პრესუპოზიცია და მისი მანხაიანობები

პრაგმატული პრესუპოზიცია გამოხატავს კავშირს მოლაპარაკესა და პრესუპონირებულ პროპოზიციას შორის კონკრეტულ კონტექსტში.

პრაგმატულ პრესუპოზიციას ვ. ფურცელაძე უზუალურს (**gebrauchsgebunden**) უწოდებს და მას შემდეგნაირად განმარტავს: „უზუალურად იწოდება პრესუპოზიცია, როდესაც ის დაკავშირებულია საყოველღეო ხმარების ენასთან. კომუნიკაციის პროცესში პარტნიორები ერთმანეთს უგებენ იმიტომ, რომ მათ აქვთ მოცემული სიტუაციისათვის დამახასიათებელი გამონათქვამის წინარეცოდნა და კონკრეტულ სიტუაციაში სათანადოდ იყენებენ მას ტექსტში გადმოცემულ იმ საგანთა მიმართებაში, რომელთაც სინტაქსურად და სემანტიკურად უშუალო კავშირები ერთმანეთთან არ გააჩნიათ. ისინი პრესუპოზიციის მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს აზრობრივად" (ჰოლი, 2001, 57).

პრაგმატული პრესუპოზიციის შემდეგნაირ დახასიათებას იძლევა ვ. ჰოლი: "**Eine Äußerung A präsupponiert pragmatisch eine Proposition B dann und nur dann, wenn A nur dann angemessen ist, wenn B den Teilnehmern wechselseitig bekannt ist.**" (ჰოლი, 2001, 7)

ანუ წინადადების გამოყების დროსაც გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რომლის მიხედვითაც წინადადებები მხოლოდ მაშინ შეიძლება აღვიქვათ შესაბამისად, როცა კონტექსტიდან გამომდინარე პრესუპოზიციების პროპოზიციები სწორია ან კიდევ მოსაუბრისათვის ორმხრივ ცნობილია. თუმცა შესაბამისობის პრინციპი გარკვეულ ეჭვს მაინც იწვევს.

მაგ.: a) *Ich komme zu spät, weil meine Kutsche in Reparatur ist.*

b) *Der Sprecher hat eine Kutsche.*

ამ პრესუპოზიციის პრაგმატულობა სრულიად მისაღებია, თუკი ორმხრივად ცნობილია, რომ ადრესატი მეეტლეა და არა ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე. წინააღმდეგ შემთხვევაში პრესუპოზიცია შეუსაბამო იქნება, რადგან ვიცით, რომ ჩვეულებრივი რიგითი პიროვნება

დღესდღეობით ეტლით არ მგზავრობს, თუმცა სიახლის სახით ამასაც შეიძლება მე ჩემეული ახსნა მოვუძებნო. კერძოდ: თუკი ვივარაუდებთ, რომ სიტყვა **Kutsche** ირონიულად არის საუბრის მომენტში ნათქვამი, რაც ისეთ მანქანასთან ასოცირდება, რომელიც გაუმართაობის გამო ეტლის მსგავსად ნელა დადის. თუ კი ეს ორმხრივად უკვე ცნობილია, მაშინ პრესუპოზიცია სრულიად შესაბამისი და ამასთანავე პრაგმატული იქნება.

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ამ სიტყვის — **Kutsche** მნიშვნელობაში ჩაღრმავებით ყურადღებას მის სემანტიკურ ასპექტზე ვამახვილებთ. მაგრამ აქ ნათელია ისიც, რომ ორმხრივი ან კიდევ უნივერსალური ცოდნა ორივე შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მის პრაგმატულ პრეციზირებაში. აქვე მინდა დავსძინო, რომ ამ შემთხვევაში ხაზი გაესვა პრესუპოზიციის როგორც პრაგმატულ, ასევე სემანტიკურ ნიუანსებს, რომელთა დონეზეც მოხდა მათი ურთიერთგადაკვეთა.

3. პრაგმატული პრესუპოზიცია — სემანტიკური პრესუპოზიციის ერთგვარი ლოგიკური დაზუსტება-დასრულება

ამ თავში მე შევეცდები განვიხილო სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციები ურთიერთგადაკვეთის ფონზე, რომლის დროსაც მოხდება სემანტიკური პრესუპოზიციის ერთგვარი პრეციზირება.

როგორც ვიცით, ლინგვისტთა უმრავლესობა სემანტიკური პრესუპოზიციის გაბათილების მომხრეა. ერთ-ერთი ამდაგვარი პრესუპოზიციაა:

a) Die Königin von Georgien Thamar hat zwei Kinder.

b) Es gibt eine Königin.

უარყოფითი ვარიანტი იქნება შემდეგი:

Die Königin von Georgien Thamar hat keine Kinder.

ანუ მიუხედავად ნაგაციისა პრესუპოზიცია მაინც იგივე რჩება:

Es gibt eine Königin von Georgien.

მიუხედავად მთელი რიგი იმ განმარტებებისა, რომლებიც ენათმეცნიერებმა ამ ეტაპზე შეიმუშავეს, მათ მაინც ვერ მოახერხეს განმარტებების სრულყოფილად ჩამოყალიბება და არგუმენტირება. ვინაიდან პრესუპოზიციების თეორია უფრო მრავლისმომცველი აღმოჩნდა, ვიდრე მათ წარმოედგინათ. ერთ-ერთ და, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვან ნაკლად მათი თეორიებისას მივიჩნევდი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, მსგავსი წინადადებების ანულირების ფაქტს,

რადგან ისეთი პრესუპოზიციის არსებობას, როგორცაა: **Es gibt eine Königin von Georgien** — დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე ხაზს გადავუსვამთ და გავაუქმებთ (ვინაიდან საქართველოს დღესდღეობით დედოფალი არა ჰყავს), მაშინ რა პასუხს მოვუძებნით იმავე პრესუპოზიციას მისი ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე?

ანუ ჩვენი უნივერსალური ცოდნის მიხედვით თითქმის ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ერთ დროს, კერძოდ, მე-12 ს.-ში მეფე (დედოფალი) თამარი ჰყავდა და ამდენად ასეთი პრესუპოზიციის არსებობას მყარად ექნება ფესვები გადგმული თავისი სინამდვილის ფუნქციონალური თეორიის გასამყარებლად. გარდა ამისა, პრესუპოზიციის სინამდვილის არსიდან გამომდინარე, დგება მისი პრაქტიკულად აღქმისა და „გამოყენების“ საკითხი.

ამ წინადადებისა და პრესუპოზიციის გრამატიკულ ფარგლებში შეუსაბამობის განსამარტავად მე მოვიშველიებ გრამატიკულ მეტაფორას, რომელიც სტილისტური მეტყველების ამალღების ხერხია.

გრამატიკული მეტაფორის დროს ვიღებთ გარკვეულ გამონათქვამს ჩვეულებრივი, გრამატიკის სტანდარტის შესაბამისი გარემოდან და გადაგვაქვს ის გრამატიკისათვის უჩვეულო, თუმცა სტილისტიკისათვის მისაღებ გარემოში (**Es gibt eine Königin von Georgien**).

ამგვარად, ამ არგუმენტაციის საფუძველზე ეს პრესუპოზიცია დღევანდელი გადასახედიდანაც (გრამატიკული მეტაფორის წყალობით) გამოსაყენებელი და პრაგმატული იქნება. ამით მე არ ვამტკიცებ იმას, რომ იგი სემანტიკურ თვისებას დაკარგავს, პირიქით: მოხდება მისი როგორც სემანტიკურ-ისტორიულ ჩარჩოებში მოქცეული, მაგრამ პრაგმატულად დაკონკრეტებულ პრესუპოზიციად აქცეპტირება.

ჩემი აზრით, სწორედ ასეთ შემთხვევებში ხდება პრაგმატული და სემანტიკური ნიუანსების ურთიერთგადაკვეთა და ამგვარად შეიძლება განვმარტოთ ის ფაქტი, რომ სემანტიკური პრესუპოზიცია ძალაში უნდა დარჩეს, ვინაიდან პრაგმატულ დონეზე ხდება მისი შენარჩუნება და დაკონკრეტება.

ამგვარად შეიძლება განვმარტოთ ის ფაქტი, რომ პრაგმატული პრესუპოზიცია სემანტიკური პრესუპოზიციის მაპრეციზირებელ წყაროს წარმოადგენს, ვინაიდან როგორც პრაგმატულობის, ასევე პრაგმატული პრესუპოზიციის თეორიისათვის დამახასიათებელი ორმხრივი ცოდნის პრინციპზე დაყრდნობით მოხდა სემანტიკური პრესუპოზიციის შენარჩუნება, და ამასთან დაკავშირებით დასკვნის სახით ვიტ-

ყოფი, რომ უმჯობესი იქნებოდა ისეთი თეორიის ფორმულირება, რომელიც პრესუპოზიციას არა ნაწილ-ნაწილ განიხილავს, არამედ მათი სემანტიკური შედგენილობიდან გამომდინარე, საერთო პრაგმატულ პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მათ.

ლიტერატურა

- დუდენი** — Duden: Deutsches Universalwörterbuch;
ბუსმანი, 2002 — Bußman, H.: Lexikon der Sprachwissenschaft; Alfred Kröner Verlag Stuttgart, 2002.
ფურცელაძე, 1998 — ვ. ფურცელაძე, ტექსტი. როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება (ნაწილი მეორე), თბ., 1998.
ერნსტი, 2002 — Ernst, P.: Pragmalinguistik. Berlin 2002.
ჰოლი, 2001 — Holly, W.: Einführung in die Pragmalinguistik. Kassel- München-Tübingen 2001.
ლევინსონი, 2000 — Levinson ST. C.: Pragmatik. Tübingen 2000.
სოვინსკი, 1983 — Sowinski, B.: Textlinguistik. Eine Einführung. Stuttgart- Berlin- Köln- Mainz 1983.

NANA BOLKVDZE

The Pragmatic Presupposition as the Precision of the Semantic One

Summary

The paper deals with the phenomenon of presupposition and by differentiating between semantic and pragmatic types of presupposition tries to state the boundary between the fields of pragmatics and semantics.

The paper argues that the pragmatic prsupposition does not change the semantic one, it just makes it logically more precise. The ambiguity of negation process is a proof of the given argument. The types of presupposition are the result of complex interaction between semantics and pragmatics.

სიბილა ზალაქა

მხარი ფორმის კომპლური ტექსტი

როგორც ცნობილია, პოსტმოდერნისტული პოეზია ხასიათდება უჩვეულო, „დებორგანიზებული“ სიტყვებითა და ფრაზებით, ანუ ენობრივი უწყესრიგობით, რომელსაც ენტროპია ეწოდება. (სიბილა გელაძე — პოსტმოდერნისტული პოეტური ტექსტი, ინტელექტუალი, N 7 2008)

თავის მხრივ, ენტროპია უშუალოდაა დაკავშირებული პოეტური ტექსტის ესთეტიკურ ინტენციასთან. თანამედროვე პოეტური ტექსტი იშვიათად მიმართავს რითმებს, უჩვეულო შინაარსის სტრუქტურებს და თითქმის ყოველთვის ეყრდნობა რიტმს. თუმცა, ზოგიერთ პოეტურ ტექსტში ჩამოთვლილი კომპონენტებიდან თითქმის ყველა შეიძლება გაქრეს (მაგ. თეთრ ლექსში). პოსტმოდერნისტები ძირითადად უგულვებლყოფენ რითმებს, მაგრამ ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, ისინი არამცთუ რითმიან, არამედ მყარი ფორმის პოეტურ ტექსტებსაც ქმნიან, ოღონდ განსხვავებული ფორმით. ჩვენ უკვე გვქონდა განხილული ყაკოტეს სონეტი, (*ibidem*) რომელიც ბოდლერის სონეტის — „მედიტაცია“, ერთგვარ ექოდ მივიჩნით. სონეტი ის მყარი ფორმის პოეტური ტექსტია, რომელიც დღევანდელ ფრანგულ პოეზიას მაინც შემორჩა, განსხვავებით სხვა მყარი ფორმებისაგან, როგორებიცაა რონდო და ლე. ამჟერად ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ უელბეკის ორ სონეტს, რომლებიც ბოდლერული სონეტის პოსტმოდერნისტულ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ. ორივე სონეტი უსათაუროა.

პირველი სონეტი

- Tant de cœurs ont battu, déjà, sur cette terre იმდენი გულის ფეთქვა ყოფილა უკვე ამ დედამიწაზე
 Et les petits objets blottis dans leurs armoires და კარადებში მოკუნტული პატარა საგნები
 Racontent la sinistre et lamentable histoire ჰყვებიან საშინელ და საცოდავ ამბავს

De ceux qui n'ont pas d'amour sur cette terre. იმ ადამიანებისას, რომელთაც არ გააჩნიათ სიყვარული ამ დედამიწაზე.

La petite vaisselle des vieux célibataires, ხნიერი მარტოხელეების ცოტა ჭურჭელი

Les couverts ébréchés de la veuve de guerre ომში დაღუპულის ქვრივის გაცრეცილი თეფშები

Mon dieu ! Et les mouchoirs des vieilles demoiselles ღმერთო ჩემო! მოხუცი შინაბერების ცხვირსახოცები

L'intérieur des armoires, que la vie est cruelle კარადების შიგთავსი, რა უღმობელია ცხოვრება

Les objets bien rangés et la vie toute vide კარგად დალაგებული საგნები და ცხოვრება სულ მთლად ცარიელი

Et les courses du soir, restes d'épicerie საღამოს საყიდლებზე სიარული, პროდუქტების ნარჩენები

Télé sans regarder, repas sans appétit ტელევიზორი ჩართული თავისთვის, სადილი უმადოდ

Enfin la maladie, qui rend tout plus sordide, ბოლოს ავადმყოფობა, რაც ყველაფერს აბინძურებს

Et le corps fatigué qui se mêle à la terre, და დაღლილი სხეული რომელიც მიწაში ირევა

Le corps jamais aimé qui s'éteint sans mystère. სხეული, რომელიც არასოდეს ჰყვარებია ვინმეს, ქრება იღუმალების გარეშე.

(Michel Houellebecq *La poursuite du bonheur*)

ფორმით ეს სონეტი ისეთივეა, როგორც კლასიკური, შედგება ორი კვატრენისა და ორი ტერცეტისაგან, რაც შეეხება რითმებს, ისინი ასეა განლაგებული - **abba aabb cdd caa**. რიტმი თორმეტმარცვლიანი ალექსანდრიული ლექსით არის წარმოდგენილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სონეტის რიტმული სტრუქტურა არ შეესაბამება კლასიკურს, პირველივე კვატრენში პირველი სტრიქონი არათანაბარ რიტმულ ჯგუფებად არის დაყოფილი, ამას გარდა, მეორე კვატრენის მეოთხე სტრიქონი ცამეტმარცვლიანია. ასეთი ცვლილება არ ფიქსირდება არც კლასიკური, არც რომანტიკული და არც მოდერნისტული ეპოქის სონეტებში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სონეტის პროსოდიული სტრუქტურა წაკითხვისას არ დაირღვევა, თუ მეორე კვატრენის შემთხვევაში მე-7 ბგერას არ წარმოვთქვამთ, რომელიც არის აგრეთვე

მუნჯი “ე“ და რომელიც, წესით, ლექსის შიგნით წარმოითქმის, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გამოვთქვამთ. არათანაბარი რიტმული ჯგუფები ლექსის შიგნით ქმნის არამონოტონურ, აფორიაქებულ რიტმს, რაც სავსებით შეესაბამება ამ სონეტის შინაარსს. მოცემულ შემთხვევაში სონეტის, როგორც პოეტური ტექსტის განსხვავებულობა უფრო უჩვეულო რიტმით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება რიტორიკულ აგრამატიკულობას, პირველივე კვატრენში გვხვდება „მოკუნტული საგნების“ სახით. ეს კვატრენი გვახსენებს ბოდლერის ლექს „ფლაკონი“, **Le flacon. - Parfois on trouve un vieux flacon qui se souvient.** — «ზოგჯერ იპოვი ძველისძველ ფლაკონს, რომელსაც ახსოვს.» უელბეკისეულ საგნებსაც «ახსოვთ» და ჰყვებიან საშინელ ამბებს... ამ ტექსტის სემანტიკა იშლება ძირითადი ფრაზის- „ისინი, ვისაც სიყვარული არ განუცდიათ დედამიწაზე“ მეშვეობით, რაც სიმარტოვის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, რის გამოც პოეტი უღმობელს უწოდებს ცხოვრებას. სიმარტოვის განცდა ლექსში ბოდლერისეული სპლინის ერთგვარი ანარეკლია : პოეტი წუხს იმ ადამიანებზე, ვინც არავის უყვარს ამ დედამიწაზე. ამ შემთხვევაში შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ბოდლერის ლექსების უმრავლესობა „პარიზული სურათებიდან“. უსიყვარულო და „უღმობელი, ცარიელი ცხოვრების“ სემანტიკას ქმნის ტელევიზორი, რომელსაც არავინ უყურებს, მაგრამ ალბათ სიმარტოვის დასავიწყებლადაა ჩართული; ძველი „გაცრეცილი ჭურჭელი“, უსიხარულო სადილი და ავადმყოფობა, რომელიც ყველაფერს „აბინძურებს“. ერთი სიტყვით, ამ ლექსში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში აღმოცენებული სპლინია არეკლილი, ხოლო ამ ეპოქაზე ალუზიას იძლევა ტელევიზორისა და სუპერმარკეტში სიარულის ხსენება. ამ შემთხვევაში, პოეტური ტექსტის თავისებურება უფრო მისი რიტმული სტრუქტურის უჩვეულობით გამოიხატება, ვიდრე ვერბალური განსაკუთრებულობით. ვერბალური უჩვეულობის თვალსაზრისით პირველი კვატრენი და ბოლო ტერცეტი იპყრობს ყურადღებას. თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ ლექსით უელბეკს დიალოგი აქვს ბოდლერთან, უშუალოდ კი მის ზოგიერთ ტექსტთან „პარიზული სურათები“-დან, მაგალითად „საღამოს მწუხრთან“, რაც ჩვენ მიერ განხილული სონეტის ინტერტექსტად შეიძლება ჩაითვალოს:

„ბევრმა მათგანმა ეს ცხოვრება ისე გალია, ოჯახურ სიბზოს ვერ ეღირსა, სული დალია.“

(მარლ ბოდლერი „სალამოს მწუხრი“)

პოსტმოდერნისტული მყარი ფორმის პოეტური ტექსტის პროსოდიული თავისებურების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ სონეტს მიშელ უელბეკის პოეზიიდან:

J'ai peur de tous ces gens raisonnables et soumis, მე მეშინია ჭკვიანი და მორჩილი ხალხის

Qui voudraient me priver de mes amphétamines. ვისაც უნდა, რომ მე მომწყვიტოს ამფეტამინებს.

Pourquoi vouloir m'ôter mes dernières amies? რატომ უნდათ რომ მომაშორონ ბოლო მეგობრებს?

Mon corps est fatigué, et ma vie presque en ruine. სხეული დამეღალა, ცხოვრება თითქმის მენგრევა

Souvent les médecins, ces pustules noircies ხშირად ექიმები, ეს გაშავებული ფურუნკულები

Fatiguent mon cerveau de sentences uniformes ; ტვინს მილიან ერთფეროვანი შეგონებებით

Je vis ou je survis très en dehors des normes მე ვცხოვრობ, ან ვუძლებ ცხოვრებას, ნორმების მიღმა

Je m'en fous. Et mon but n'est pas dans cette vie. ფეხებზე მკიდია. ჩემი მიზანი ამ ცხოვრებაში არ არის

Quelquefois le matin je sursaute et je crie, ზოგჯერ დილით წამოვხტები ხოლმე და ვყვირი,

C'est rapide c'est très bref mais là j'ai vraiment mal ; ეს სწრაფად ხდება ძალიან ხანმოკლეა, მაგრამ ამ დროს მე ძალიან მტკივა

Je m'en fous et j'emmerde la protection sociale. ფეხებზე მკიდია, ვაგიჟებ სოციალურ დაცვას.

Le soir je relis Kant, je suis seul dans mon lit. სალამოს ხელმეორედ ვკითხულობ კანტს, მარტო ვარ ლოგინში.

Je pense à ma journée, c'est très chirurgical; ვფიქრობ ჩემს დღეზე, ქირურგიულად,

Je m'en fous. Je reviens vers le point initial. ფეხებზე მკიდია. საწყის წერტილს ვუბრუნდები.

ეს სონეტიც ალექსანდრიული ლექსით არის დაწერილი. პირველ კვატრენში დაცულია ცეზურა მეექვსე მარცვლის შემდეგ, რაც მონოტონურ ყდერადობას სძენს სონეტის პირველ კვატრენს. გამოყენებულ

ღია ჯვარედინი რითმები **abab**; მეორე კვატრენის სამ სტრიქონში შენარჩუნებულია იგივე რიტმული მონოტონურობა, ოღონდ მეოთხე სტრიქონში ყველაფერი ინგრევა, ის სამ რიტმულ ჯგუფად იყოფა. რითმებიც იცვლება **acca**; პირველ ტერცეტში რიტმი ირღვევა მეორე სტრიქონში და ოთხი რიტმული ჯგუფით არის წარმოდგენილი, ხოლო რითმები აგრეთვე შეცვლილია : **add**. მეორე ტერცეტში რითმული სურათი იგივეა **add**. რაც შეეხება რიტმულ სტრუქტურას, აქაც მონოტონურობა სამ რიტმულჯგუფიან სტრიქონს ენაცვლება. ხოლო ამ სონეტის თავისებურებას ქმნის რეფრენივით ფრაზა- „ფეხებზე მკიდია“, რაც წარმოუდგენელია სონეტისათვის. ეს უელბეკისეულ ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს.. რაც შეეხება ტექსტის უჩვეულო ლექსიკას, ის წარმოდგენილია სამედიცინო სფეროსთვის დამახასიათებელი სიტყვებით - ამფეტამინები, ექიმი, ჩირქოვანი ფურუნკულები, ქირურგიული გარჩევა ჩავლილი დღის. ჩვეულებრივ, ამგვარი სიტყვათა კომბინაცია წარმოუდგენელია, არავინ იტყვის ჩავლილი დღე ქირურგიულად უნდა გავარჩიოო, ანდა, ამფეტამინები მაკლიაო, ანუ ეს ფრაზა აგრამატიკულია. ამ სონეტში უხვადაა უჩვეულო ლექსიკური კომბინაციები, მაგ, ამფეტამინები (მასტიმულირებელი წამლები) მეგობრებადაა წარმოჩენილი, ექიმები გაშავებულ ფურუნკულებად, სრულიად მოულოდნელია მყარი ფორმის პოეტურ ტექსტში ფამილარული სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ფრაზის „ფეხებზე მკიდია“ სამგზის შემოჭრა. ამ ტექსტში სიტყვა ნუკლეუსი არის ნორმის მიღმა მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს პოეტი. მას ეშინია ნორმის მიხედვით მცხოვრები მორჩილი ხალხის, მათ შორის არიან ექიმები. ხოლო ეს არანორმალური ადამიანი ლოგინში კანტს კითხულობს. მისი ცხოვრება სიზიფესას ჰგავს, ყოველდღე საწყის წერტილს უბრუნდება. მოცემული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტმოდერნისტული სონეტის პროსოდიული სტრუქტურა სრულიად უჩვეულოა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ტექსტის პოეტურობას. პროსოდიული სტრუქტურის უჩვეულობას განაპირობებს სონეტის რიტმული სტრუქტურის მკვეთრი ცვალებადობა, რასაც რიტმული ჯგუფების არაერთგვაროვნება იწვევს. რაც შეეხება პოსტმოდერნისტული სონეტის ლექსიკურ უჩვეულობას, მას მეტწილად განაპირობებს დღევანდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომელთა გავლენითაც სრულიად ბანალური სიტყვები თუ სიტყვათა კომბინაციები ექსპრესიულ ხასი-

ათს სძენს პოეტურ ტექსტს.

პოსტმოდერნისტული სონეტის პროსოდიული სტრუქტურის ცვლილების ილუსტრაციისათვის მოვიყვანთ ბოდლერის ერთი სონეტისა და უელბეკის ორივე სონეტის სქემას :

ბოდლერის სონეტის “მტერი“ პროსოდიული სტრუქტურა :	უელბეკის I სონეტის პროსოდიული სტრუქტურა	უელბეკის II სონეტის პროსოდიული სტრუქტურა
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -
- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -	- - - - - / - - - - -

როგორც მოცემული სქემებიდან ჩანს, ბოდლერის სონეტის რიტმული სტრუქტურა ეფუძნება თორმეტმარცვლიან ალექსანდრიულ ლექსს ცეზურით მეექვსე მარცვლის შემდგომ, გამონაკლისის გარეშე; რაც შეეხება უელბეკის ორივე სონეტს, არც ერთ მათგანში არ არის ბოლომდე დაცული ერთგვაროვანი რიტმული სტრუქტურა. პირველ სონეტში გვხვდება ერთი სამრიტმულგუფიანი სტრიქონი, დანარჩენი სტრიქონები ორრიტმულგუფიანია, ოღონდ მარცვალთა რაოდენობა არ არის თანაბარი ზოგ შემთხვევაში; მეორე სონეტში ხშირად გვხვდება სამ რიტმულგუფიანი სტრიქონები და ოთხრიტმულგუფი-

ანიც კი. მაშასადამე, შეიძლება ითქვას რომ დღევანდელ ფრანგულ პოეზიაში, რომელიც პოსტმოდერნისტულ პოეზიად მოიაზრება, რადგან მოიცავს 1950 წლის შემდგომ დაწერილ ლექსებს (ყან-მიშელ მოლპუა – *La poésie française depuis 1950, 1999, Paris, p.2*), მყარი ფორმის ლექსებიდან შემორჩენილია სონეტი, რომელიც ერთობ უჩვეულო რიტმული სტრუქტურით ხასიათდება. ამგვარად, დღევანდელი სონეტის პოეტურ ხასიათს განაპირობებს უჩვეულო ლექსიკასთან ერთად უჩვეულო რიტმული სტრუქტურა.

ლიტერატურა

ბოდლერი, 2000 — Baudelaire - Les fleurs du mal, Paris, 2000
 miSel uelbeki Michel Houellebecq – La poursuite du bonheur, Paris, 1997.
მოლპუა, 1999 — Jean-Michel Maulpoix – La poésie française depuis 1950, 1999, Paris.
რიფატერი, 1982 — Michael Riffaterre in:Littérature et réalité, L’illusion référentielle, P, 1982.
გელაძე, 2008 — ს. გელაძე, პოსტმოდერნისტული პოეტური ტექსტი, in : ინტელექტუალი, N 8, 2008.

SYBILLA GELADZE

The Poetic Text with a Rigid Form

Summary

The paper examines sonnet, one of the types of modern French poetic texts with a rigid form. The study has been carried out on two untitled sonnets by Michel Houellebecq, the modern French poet. To reveal the peculiarities of the prosodic structure of M. Houellecq's sonnets, they have been compared with the sonnets by Baudelaire, The comparative study has shown that the unusual character of the modern poetic text with a rigid form lies in its rhythmic and prosodic structure, which is completely different from that of Baudelaire's sonnets. The textual ungrammaticality is less obvious, though still quite noticeable.

ირინე გვამუსიანი

მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების
ალმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები

(ბანკოტარაბული უზსასაუკუნეების (XI-XIV საუკუნეები)

ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით)

განვითარებული შუასაუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებს მიეკუთვნება გიორგი V-ს „ძეგლის დება“ და „სამართალი ბექასი და აღბუღასი“.

გიორგი V-ს სამართალი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების შესახებ. „ძეგლის დების“ მე-18 მუხლის თანახმად, ქმრის სიკვდილის შემდეგ, ცოლი თუ არ გათხოვდება, იღებს „სასაპუროს“ და პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე ხდება: „მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაპურო მიეცეს, ძალისა მსგავსად“ (დოლიძე, 1963) ე.ი. „სასაპურო“ ქვრივი ქალის სარჩოს ეწოდებოდა.

მემკვიდრეობის სუბიექტები იყვნენ აგრეთვე, მე-7 მუხლში მითითებული შემდეგი პირებიც: „მისსა სახლსა შინა მოახლე, ერთ სახლის კაცი... მამა, ბიძა, ძმა, ბიძას ძე, ძმისწული რა გინდა რა მისის გუარისა მისი მოახლე“ (დოლიძე, 1963). მაშასადამე, სამკვიდროს იღებდნენ მხოლოდ განუყოფელი ნათესავები, რომლებიც ცხოვრობდნენ „სახლსა შინა“. განუყოფელ ნათესავებზე — **„მოახლე განუყოფელზე“** არის საუბარი მე-17 მუხლშიც, რომელიც მოკლული ძმის სისხლის მემკვიდრეებზე მიუთითებს: „და თუ მის, მოკლულის კაცის, შვილი არ დარჩეს, არც მისი მოახლე განუყოფელი, მან ძმამ ძმის სისხლისათვის ნახევარი მამული მისი სულისათვის წააგოს და ნახევარი სასეფოდ დაიდვას“ (დოლიძე, 1963). ამ მუხლის განხილვისას გამოვყოფთ ტერმინს **„მამული“**. **„მამული“**, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტის ალმნიშვნელი ლექსიკური ერთეული ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში გვხვდება („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). მოგვი-

ნებით, ივ. ჯავახიშვილი მას ასეთ განმარტებას აძლევს: „მამული“ მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ჰნიშნავდა, რომელშიაც მამის უძრავ-მოძრავის გარდა, რასაკვირველია, დედის ნაშთი და მონაგებიც შეიძლება რეულოყო, რამდენადაც შვილები თავიანთი დედის საკუთრების, დედულის, კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ“ (ჯავახიშვილი, 1984). ბ. ზოიძე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ცნობებზე დაყრდნობით ამბობდა, რომ: „მამული“, როგორც მემკვიდრეობითი საკუთრების ალმნიშვნელი ტერმინი, ადრეფეოდალურ ხანაში IX საუკუნემდეც მოგვეპოვებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ მას ფესვები უფრო შორს ჰქონდეს გადგმული, როგორც ამას ამბობს ნ. ბერძენიშვილი. ყოველ შემთხვევაში ის კი უეჭველია, რომ „მამული“ მემკვიდრეობითი საკუთრების ალმნიშვნელია და ძირითადად მასში იგულისხმება უძრავი ქონება“ (ზოიძე, 2000). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მამული“, თავდაპირველად, მემკვიდრეობითი საკუთრება იყო. მოგვიანებით კი, ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცების შემდეგ, იგი მემკვიდრეობით მფლობელობად იქცა (მფლობელობა ხომ ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია). სწორედ ასეთი მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული იგი „ძეგლის დების“ მე-17 მუხლში.

გიორგი V-ს სამართალში განხილულია უმემკვიდრეოდ დარჩენილი ქონების ე.წ. **„ბეთალმანი“**-ს განაწილების საკითხიც. ტერმინი **„ბეთალმანი“** პირველად სწორედ გიორგი ბრწყინვალეს სამართალში გამოჩნდა და იქვე გამოიკვეთა მისი მიმღები სუბიექტებიც — მემკვიდრეობის ნათესავები, ანუ **„გვარის კაცი“**: „ბეთალმანად რაც პარტახტი და მამული დარჩეს, რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისი გვარის კაცი გამოჩნდნენ ერთგუარნი, და რომელნიმე უფროსნი მეყსნი და მოსამართლენი იყვნენ, ჰირსა და ლხინში უფრო თანამდგომნი ყოფილ იყვნენ, მათ ებოძოს, ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანას“ (ი. დოლიძე, 1963). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტერმინი **„პარტახტი“** უპატრონო, ცარიელი, დაუმუშავებელი ადგილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უპატრონოდ დარჩენილი ქონება ნათესავებს გადაეცემოდა.

განვითარებული შუასაუკუნეების ქართული მემკვიდრეობითი სამართლის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის „სამართალი ბექასი და აღბუღასი“. განვიხილოთ ამ საკანონმდებლო ძეგლის 81-ე

მუხლი, რომელიც გარდაცვლილის ქონების განაწილების საკითხს ეძღვნება:

„[81] დიაცსა თუ → ქმარი მოუკუდეს ← და შვილი არ ედგას ზითევი თანა გაჰყვეს უკლებად:

თუ დედაკაცი მოკუდეს უშვილოდ მისსა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად.

თუ შვილოსანი დაქორცილდეს: აბჯარი შვილთა მართებს და სასაქონლო დიაცსა, სადა გინდა იყოს სამამულო, ასე რომე ნუ რას გაუყიდის და ნუცა რას გაუცემს.

→ თუ მონასტერს ← შესწიროს, შვილნი ნურას ეცილებიან“ (ივ. ჯავახიშვილი, 1982).

81-ე მუხლში, როგორც ჩანს, საუბარია დიდებულის მემკვიდრეებზე. „შვილოსანი“ კაცის გარდაცვალებისას მისი სამკვიდროდან „აბჯარი“ და „სამამულო“ შვილებს რჩებათ, ხოლო „სასაქონლო“ — ცოლს გადაეცემა. დაქვრივებული უშვილო ქალის უფლებები ვრცელდება მის **„ზითევეს“**. უშვილო ცოლ-ქმარი კი არ მკვიდრობენ ერთიმეორეს. აქვე განვიხილავთ ტერმინებს **„სამამულო“**-სა და **„სასაქონლო“**-ს. **„სასაქონლო“** უსულო მოძრავ ქონებას აღნიშნავს, ხოლო **„სამამულო“** კი „მამული“-ს მსგავსად უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობითი მფლობელობაა. თუმცა, იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მამული“. ის ყოველგვარი უძრავი ქონების კომპლექსი ანუ ერთობლიობაა, რომელიც „მამული“-ს გარდა, უძრავი ქონების საკუთრებისა და მფლობელობის სხვა ობიექტებსაც გულისხმობს. „სამამულო“ უძრავი საკუთრების სხვადასხვა ობიექტების კლასიფიკაციისა და სახეობის გამომხატველი ზოგადი ცნებაა“ (დოლიძე, 1953). ეს ობიექტები, ი. დოლიძის განმარტებით შემდეგია: „სახმარი მიწა, ყანა, ბაღი, ჭალა, სახლი და სხვა“ (დოლიძე, 1953).

აქვე განვიხილავთ კახა თორელის მიერ 1252 წელს შედგენილ შეწირულობის სიგელს. „რკონის ამ სიგელში საუბარია ნასყიდობის განსაკუთრებულ რეჟიმზე. კახა თორელი წერს, რომ მისმა მამამ დიდძალი მამულები დაუტოვა, მაგრამ რკონის მონასტრისათვის შესაწირი მამული მან მაინც იყიდა. შვილი არა მყავს, ამბობს თორელი, მაგრამ შეიძლება მომეცეს და არ მინდოდა ჩემი მამისეული ქონება მისთვის დამეკლო. ვთქვათ, შვილი არ მომეცა, მაშინ ჩემს ძმებს გადაეცემა ჩემი მამული და ქონება, ხოლო მამისეული რომ შემეწირა, მაშინ მემკვიდრეებს დააკლდებოდათ და მათ „არ ვემართლები“.

ამიტომაც სოფელი ხოვლე შემოგწირე და ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მონასტრისათვის შეუდავებელი იქნებოდა ასეთი შეწირულობა“ (სურგულაძე, 2002).

რკონის ამ სიგელში, საყურადღებოა, მემკვიდრედ მოწოდების წესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს. როგორც საბუთიდან ირკვევა, პირველი საფეხურის კანონისმიერი მემკვიდრეები იყვნენ გარდაცვლილის შვილები. ამ უკანასკნელთა არ არსებობის შემთხვევაში კი სამკვიდრო გადადიოდა მამკვიდრებლის ძმებზე. ამასთანავე, ძველის მიხედვით, კანონისმიერ მემკვიდრეებს უფლება ჰქონდათ სამემკვიდრეო ქონების მიმღებს (ამ შემთხვევაში, ანდერძისმიერ მემკვიდრეს) შეედავებოდნენ. სწორედ ამიტომ იყიდა კახა თორელმა სოფელი ხოვლე და შესწირა იგი რკონის მონასტერს. როგორც იგი წერს — „შესაწირავი იმიტომ ვიყიდე, რომ კანონით მემკვიდრეებისაგან შეუდავებელი იყოსო“ (სურგულაძე, 2002).

მაშასადამე, განხილული მასალის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება, შემდეგი დასკვნის გაკეთება: განვითარებული შუასაუკუნეების ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობდა მემკვიდრეობის ორ სახეს: კანონისმიერს და ანდერძისმიერს. შესაბამისად, მემკვიდრეობის სუბიექტებს წარმოადგენდნენ კანონისმიერი (მამკვიდრებლის შვილები, „შვილოსანი“ მეუღლე, მამა, ბიძა, ბიძას ძე, ძმისწული და ა.შ.), ანდერძისმიერი (ანდერძში მითითებული პირები) და ბეთალმანის მიმღები მემკვიდრეები (მამკვიდრებლის ნათესავები ანუ **გვარის კაცნი**). განვითარებული შუასაუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებში გამოიკვეთა მემკვიდრეობის სამართლის ობიექტების აღმნიშვნელი ტერმინებიც: **„მამული“**, **„სამამულო“**, **„სასაქონლო“**, **„ზითევი“**, **„პარტანტი“** და სხვა.

ლიტერატურა

დოლიძე, 1953 — ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თსუ-ს გამ-ბა, თბილისი, 1953.

დოლიძე, 1963 — ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963.

ზოიძე, 2000 — ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000.

სურგულაძე, 2002 — ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, სააქციო საზოგადოება „პირველი სტამბა“, თბილისი, 2002.

ჯავახიშვილი, 1982 — ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

IRINA GVELESIANI

Terms Denoting Subjects and Objects of the Law of Succession

(on the material of Georgian written documents of the 11th — 12th centuries)

Summary

The Georgian legislation of 11th — 12th centuries differentiated two kinds of succession: intestate and testate. The subjects of the law of succession were: heirs of an intestate (children of the deceased person, his spouse, father, uncle, cousin, nephew etc.), devisees (persons, who inherited the property by will) and the heirs of the escheated property (relatives of the deceased). The objects of the law of succession were denoted by special old Georgian words: "mamudi", "samamulo", "sasakonlo", "zitevi", "partaxi" etc.

ნანა გოგოლაშვილი

„ლისკურსის“ ცნების ინტერპრეტაციისათვის

კომუნიკაცია, ნებისმიერი ქმედების მსგავსად, დაკავშირებულია სოციალურ კონტექსტთან, რადგან ეს ქმედება ადამიანთა ურთიერთმიმართების გზით ხორციელდება. ადამიანებს კომუნიკაცია მხოლოდ იმისთვის კი არ სჭირდებათ, რომ ერთმანეთთან „გაგება“ დაამყარონ, არამედ იმისთვისაც, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

ადამიანთა კომუნიკაცია იმ საზოგადოებრივი „ურთიერთგაგების“ რეალიზაციის ფორმაა, რომლის რეპროდუქციაც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ კომუნიკაციის მნიშვნელობა ზოგადად იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობების საშუალებით სოციალური წესრიგი დაამყაროს და ეს ურთიერთობები, რაც შეიძლება ეფექტური გახადოს.

საკომუნიკაციო ენის კვლევა უშუალოდ დაკავშირებულია ზეპირ მეტყველებასთან ან წერილობით ტექსტთან.

„ენისა“ და „მეტყველების“ ცნებების ტერმინოლოგიურმა აღრევამ პრობლემური გახადა მათი კვლევის სფეროების განსაზღვრა.

ცნობილია, რომ ენის როგორც ობიექტის ამგვარი გამოიყვანა ფ. დე სოსიურთან იწყება, რომელიც განასხვავებს „ენას“ და „მეტყველებას“ (**langue** და **parole**); მოგვიანებით ლ. ჰიელმსლევი გამოყოფს „ენის სქემას“ და „ენის გამოყენებას“, რასაც ემატება ნ. ჩომსკის ტერმინოლოგიური წყვილი: „ენობრივი უნარი“ (**competence**) და „ენის ხმარება“ (**performance**).

ამ ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის ყველაზე თანმიმდევრულად გაავლო ზღვარი ე. ბენვენისტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წინადადებით ჩვენ ვტოვებთ ენის სფეროს, როგორც ნიშანთა სისტემას, და გადავდივართ სხვა სამყაროში, რომლის გამოხატულებასაც მეტყველება (**discours**) წარმოადგენს. ენის ძირითად ერთეულად იგი გამოყოფს ნიშანს (ფონეტიკურს ან ლექსიკურს), ხოლო მეტყველებას

(დისკურსის) კვლევის ობიექტად მას წინადადება მიაჩნია, რადგან იგი წარმოადგენს განუსაზღვრელი, შეუზღუდავი ვარიანტების უნარის მქონე ერთეულს; ეს არის თავად ენის სიცოცხლე ქმედებაში (ბენვენისტი, 1974, 139).

საქმე ისაა, რომ „ენისა“ და „მეტყველების“ ცნებების ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია თითქმის ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც, განსაკუთრებით გაძნელებულია ამ სიტყვების მრავალმნიშვნელობის გამო. ორივე მათგანი იმ „მარაგით=ზრახვის“ ნიშნითაა აღბეჭდილი, რომელიც საბას თანახმად, „არს სიტყვა ესრე რამე სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორსამ რიგად განისაზღვრებოდეს“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, 438).

ამრიგად, „ენის“ ცნება შეიძლება განისაზღვროს როგორც ბუნებრივი მოცემულობა, თუმცა მისი საკომუნიკაციო ფუნქციიდან გამომდინარე, იგი ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური ფენომენი და ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის ობიექტი. მაგრამ ორივე თვლსაზრისი ცალმხრივი იქნება, რადგან ენა ბუნებრივი მოვლენაცაა და სოციალურ ფენომენსაც წარმოადგენს. „ენა“ მოიცავს ყველა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების ასპექტებს, ამავდროულად მას, როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტს, ორი სხვა სირთულეც ახლავს: 1. „ენის“ აღსაწერად (მეტაენად) ისევ და ისევ ენა გამოიყენება; 2. ტერმინი „ენა“ არაერთმნიშვნელოვანია.

„ენის“ მრავალმნიშვნელობის ფაქტს შემდეგი მაგალითები ადასტურებს:

1. ადამიანს ცხოველისგან ენა განასხვავებს (ენობრივი კოლექტივის სპეციალური საკომუნიკაციო სისტემა - **langue**);
2. ქართული ერთ-ერთი რთული ენაა (ენობრივი კოლექტივის სპეციალური საკომუნიკაციო სისტემა - **langue**);
3. მოხუცს ინსულტის შედეგად ენა ჩაუვარდა (ენობრივი გამოთქმების ერთობლიობა - **langue**);
4. მეგობრებს ასეთი ენით არ ელაპარაკებიან! (ენის სისტემის რეალიზაცია - **parole**);
5. ახალ კომპიუტერებში ახლა სხვა ენას იყენებენ (კომპიუტერის ხელოვნური ენა):

6. ერთადერთი ენა, რომელიც რუსს ესმის, „ტანკების“ ენაა (არასაკომუნიკაციო და არაენობრივი ქმედების სისტემა);
7. ეს მეტაფორის ენაა (საკომუნიკაციო ეფექტი, რომელსაც არასულიერი საგანი აღძრავს) (ფატერი 1996, 13).

„მეტყველების“ ცნება ასევე შეიძლება გავყოთ: 1. როგორც უშუალოდ ლაპარაკის პროცესის, ზეპირი მეტყველების აღმნიშვნელი ცნება; 2. როგორც ზოგადად ენის სისტემის რეალიზაციის საშუალება.

3. რიკიორს, ენის სისტემის საპირისპიროდ, შემოაქვს დისკურსის კონცეპტი, რომელიც მისთვის ენობრივ ქმედებას, ანუ ენის რეალიზაციის საშუალებას წარმოადგენს (რიკიორი, 1999, 252). აღსანიშნავია, რომ რიკიორი ამ ცნებას ფართო მნიშვნელობით იყენებს და ერთმანეთისგან განასხვავებს ზეპირ და წერილობით დისკურსს, რის შედეგადაც იგი მეტყველების ფენომენს აფუძნებს საერთოდ ენობრივი ქმედებისა და დისკურსის ჰერმენევტიკის კვლევის ობიექტად (რიკიორი, 1999, 261).

დისკურსისა და ენის სისტემის განმასხვავებელ ნიშნებად რიკიორი მიიჩნევს:

1. დისკურსის რეალიზაცია ყოველთვის გარკვეულ დროში და გარკვეულ აწმყოში ხდება, მაშინ, როდესაც ენის სისტემა ვირტუალურია;
2. ენის სისტემას არ ჰყავს სუბიექტი იმ აზრით, რომ მას ვერ დავესვამთ კითხვას: „ვინ ლაპარაკობს?“ დისკურსში კი პარტნიორთან მიმართება ისეთი ინდიკატორების საშუალებით მყარდება, როგორცაა პირის ნაცვალსახელები, რაც „დისკურსის ქმედებას“ რეფლექსურს ხდის;
3. ენის სისტემის ნიშნები იმავე სისტემის შიგნით მხოლოდ სხვა ნიშნებთან არიან დაკავშირებული, და, დროულობა, სუბიექტურობა და სამყაროსთან მიმართება არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც დისკურსი ყოველთვის იმ გარკვეულ „სამყაროსეულ სურათს“ წარმოადგენს, რომლის აღწერისა და გამომხატვის პრეტენზიაც მას აქვს. ამრიგად, ენის სისტემის სიმბოლური ფუნქციის აქტუალიზაცია მხოლოდ დისკურსში ხდება.

4. ენის სისტემა მხოლოდ იმპლიციტური კომუნიკაციის კოდებს მოიცავს, დისკურსში კი საკომუნიკაციო ფუნქცია რეალური შეტყობინებების ფორმით ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, დისკურსი მიმართებაშია არა მხოლოდ „სამყაროსეულ სურათთან“, არამედ მას საკომუნიკაციო პარტნიორიც ჰყავს (რიკიორი, 1999, 2620).

ენის სისტემიდან ენობრივი ქმედების ამგვარი გამიჯვნის შედეგად დისკურსის ზეპირი და წერილობითი ვარიანტი სხვადასხვა მარკერის სახით გამოვლინდება.

ზეპირი დისკურსი კომუნიკაციის ყველაზე ძველი და არსებითი ფორმაა. იგი, როგორც წესი, იმავსუთიერად, სპონტანურად ხორციელდება, რაც მის წარმავლობაზე მიუთითებს; ზეპირი დისკურსის ყველაზე გავრცელებული სახეობა „ცოცხალი მეტყველებაა“, რომლის რეალიზაციაც საუბარში ორი ან მეტი პარტნიორის მონაწილეობით ხდება და ვერბალური და არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, ხმის ტემბრი), სპონტანური კომუნიკაციის ფორმას იღებს, ამასთან დისკურსის ეს სახეობა უამრავი განმეორებითა და პარაფრაზით ხასიათდება. მაგრამ არსებობს ზეპირი დისკურსის ორგანიზებული სახეობაც, რომელიც არ გამოირჩევა საუბრის მასალის წინასწარ დაგეგმვას და მომზადებას. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც მოსალოდნელი ზეპირი დისკურსის ნიმუშს წარმოადგენს დისკუსია, დებატები, პოლიტიკური თოქშოუ, ზეპირი მოხსენება, ლექცია და სხვ.

სუბიექტური და პიროვნული ინდიკატორების არსებობა ზეპირ დისკურსში სპეციფიკურ ხასიათს ატარებს; მოლაპარაკის სუბიექტური ინტენცია და დისკურსის მნიშვნელობა ერთმანეთში იმდენად გადაიკვეთება, რომ შეგვიძლია ვავივთ, რა არის ამგვარი ზეპირი კომუნიკაციის საზრისი.

წერილობითი დისკურსის დროს ვითარება იცვლება, რადგან ავტორის ინტენცია ერთმნიშვნელოვნად აღარ ემთხვევა ტექსტის საზრისს. მართალია, წერილობით ფიქსირებულ დისკურსში კავშირი ავტორსა და დისკურსს შორის მთლიანად არ უქმდება, მაგრამ იგი ბუნდოვანი და მრავალმნიშვნელოვანი ხდება. ამჟერად ტექსტის ინტენცია გაცილებით შორდება ავტორის ინტენციას და მისი ინტერპრეტაცია იმ მნიშვნელობების გარემოცვაში იწყება, რომელთაც დაკარგეს კავშირი ავტორის ფსიქიკასთან. ეს ფაქტი იმავდროულად

ჩვენი საკუთარი ინტენციის გამოვლინებასაც უწყობს ხელს, რომელიც კონტექსტუალურად ახალ სამყაროს ქმნის და ჩვენეული „სამყაროსეული სურათის“ გაფართოების წინაპირობას წარმოადგენს (რიკიორი, 1999, 267). წერილობითი დისკურსი (ტექსტი) გაუპიროვნებელ მკითხველზეა მიმართული და სცდება „face-to-face“-მიმართების ვიწრო საზღვრებს, რის შედეგადაც საკუთარი უნივერსალური მიმართებების წყალობით, დისკურსის ადრესატი მისთვის უცნობი ხდება (რიკიორი, 1999, 268).

ამრიგად, დისკურსის გაისტური მომენტის მანიფესტაცია მის წერილობით ვარიანტში ხდება, რომლის წყალობითაც „სამყაროში არსებობის“ („in-der-Welt-sein“) ახალ განზომილებაში შევდივართ. სწორედ ეს განზომილება წარმოადგენს ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიისა და ტექსტის ჰერმენევტიკული პარადიგმის დადგენის საფუძველს.

ჰერმენევტიკა, რომელიც ახსნა-განმარტებისა და ინტერპრეტაციის შესახებ მოძღვრებას წარმოადგენს, თავის მთავარ კატეგორიად „გაგებას“ წამოაყენებს. „გაგების“ ცნება, რომელიც ადრე, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის მეთოდად მოიხსენებოდა, მ. ჰაიდეგერთან „ეგზისტენციალის“ ანუ ადამიანის არსის მომცველი ძირითადი კატეგორია ხდება, ხოლო ე. წ. „ჰერმენევტიკული წრის“ რეფლექსიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას ონტოლოგიურად პოზიტიური საზრისი გააჩნია (გადამერი, 1990, 271). ამ წრის თანახმად, მხოლოდ მთლიანი ტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გაგება და მხოლოდ ცალკეული ნაწილების საშუალებით ხდება მთლიანი ტექსტის შემეცნება.

ამიერიდან, ჰერმენევტიკა უშუალოდ უკავშირდება „ეგზისტენციალის“ ცნებას, რომელსაც ჰ. გ. გადამერიც თანმიმდევრულად განიხილავს არა როგორც მეთოდს, არამედ როგორც ადამიანის სამყაროსეული გამოცდილების მომცველ ფილოსოფიას, რომლის საფუძველსაც ენობრივი მსოფლორიენტაცია წარმოადგენს, ხოლო „გაგების“ ცნება მას ადამიანის არსის გამომხატველ ძირითად კატეგორიად მიაჩნია. ამრიგად, ჰერმენევტიკის მთავარ მიზანს „გაგების“ კატეგორიის წინა პლანზე წამოწევა და მისი საშუალებით ჰერმენევტიკისა და ახლის შემეცნებისაკენ სწრაფვა შეადგენს.

ჰანს გეორგ გადამერი თავის ცნობილ ნაშრომში „ჰერმენევტიკა და მეთოდი“ მსოფლიოში გეოპოლიტიკური და სოციალური სიტუაციის გამწვავებას სწორედ „გაგების“ ცნებასთან აკავშირებს და მას

ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ მახასიათებლად მიიჩნევა. მისი აზრით, „გაგების“ ენის არარსებობის ფაქტი და სოციალურ-პოლიტიკური კონვენციების უგულვებელყოფა შეუძლებელს ხდის ადამიანთა შორის ურთიერთობას და უთანხმოებებისა და დაპირისპირების წინაპირობად იქცევა. როგორც აღმოჩნდა, ენის კლასიკური განმარტება, რომლის თანახმადაც იგი ადამიანთა საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს, ძალას კარგავს და მის ანტითეზაში გადადის, რადგან ენა კონფლიქტებისა და ურთიერთდაპირისპირების მედიუმში ხდება. ამ პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჰერმენევტიკა, რომელიც კვლევის ობიექტად დისკურსის ორივე სახეობას და მათი გაგება-გაგებინების ენობრივი ფუნქციების შესწავლას ირჩევს; გადამერის აზრით, ადამიანური კომუნიკაციის რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ დიალოგი ერთი აზრის მეორე აზრით საპირისპირო მტკიცებას კი არ წარმოადგენს, არამედ ეს აზრები, კომუნიკაციის პროცესში, ურთიერთგავლენის წყალობით, ცვლილებებს განიცდიან. დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, თუ პარტნიორები ვეღარ ეგუებიან დიალოგის დასაწყისში წარმოქმნილ უთანხმოებას და მის გადალახვას ცდილობენ. სწორედ დიალოგში იჩენს თავს ის წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვენი საკუთარი აზრისადმი ბრმა ერთგულება წარმოქმნის (გადამერი, 1991, 48).

დისკურსის ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში ჰ. ვ. გადამერს მიზანშეწონილად მიაჩნია სემანტიკის ჩართვა, რადგან ორივე შემთხვევაში ამოსავალ წერტილს აზროვნების გამოხატვის ენობრივი ფორმა წარმოადგენს. სემანტიკა აღწერს ჩვენთვის მოცემულ სინამდვილეს, თითქოსდა გარედან აკვირდება მას, რისი წყალობითაც შესაძლებელი ხდება დისკურსის სემიოტიკური კლასიფიკაცია. სემიოტიკური მეთოდი ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში ენას ჩართავს როგორც ნებისმიერი სემიოტიკური სისტემის ინტერპრეტანტს, ხოლო ჰერმენევტიკა, „გაგების“ კატეგორიის მეშვეობით, წარმოაჩენს სამყაროსთან ადამიანის მიმართების მთელ მრავალფეროვნებას. ბოლო წლების სემიოტიკური კვლევის დამსახურებად გადამერს ის ფაქტი მიაჩნია, რომ მან სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საშუალებით ენობრივი ნიშნების დამოუკიდებლობის ილუზია გააბათილა (გადამერი, 1991, 61).

ჰ. რიკორის დისკურსის ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში

მიზანშეწონილად მიიჩნევა არა მხოლოდ დისკურსის ლინგვისტიკის, არამედ სამეტყველო აქტების თეორიული პოსტულატების ჩართვაც, რომელთა თანახმადაც, დისკურსში განხილული უნდა იქნეს აგრეთვე სამეტყველო ქმედების სამი იერარქიული დონე, რათა ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტების საშუალებით მოხდეს დისკურსის „გაგების“ კატეგორიის კოდიფიკაცია (რიკორი 1999, 264).

ლიტერატურა

ბენვენისტი, 1974 — Бенвенист Эмиль, *Общая лингвистика*, Москва, 1974.

გადამერი, 1990 — Gadamer Hans-Georg, *Wahrheit und Methode*, Tübingen, 1990.

გადამერი, 1991 — Гадамер Ганс-Георг, *Актуальность прекрасного*, Москва, 1991

რიკორი, 1999 — Ricoeur Paul, *Text als Modell: hermeneutisches Verstehen* (1971), kreb. Philosophische Hermeneutik, Alber, 1999.

NANA GOGOLASHVILI

Towards the Interpretation of the Notion of Discourse

Summary

As is known, communication is closely tied with the social context and varies from context to context. The language of spoken discourse differs from that of written, the notion of discourse unites both modes. The differentiation between language system and discourse reveals their peculiarities as well as the peculiarities of written and spoken variants of a language. The paper argues that hermeneutic interpretation is the best means for discourse analysis;

By means of semiotic-semantic methods as well as the speech act theory it helps to define the notion of discourse.

ენის ღარასკალია

ენის კომპლური ფუნქციის რეალიზაციის
ზომიერობის ასპექტი

სტატის მე-20 საუკუნის ამერიკელი პოეტის, უილიამ სტეფორდის სიტყვებით დავიწყებ: „როდის გააცნობიერეთ, რომ პოეტი გსურდათ გამხდარიყავით?“ ჩემი შეკითხვა: „სხვა ადამიანებმა როდის თქვეს უარი პოეტობაზე?“ უილიამ სტეფორდის შეკითხვას შეიძლება ლაკონურად ვუბასუხოთ — „არასოდეს“, ვინაიდან პოეტი, ამ სიტყვის ძალიან ფართო გაგებით, გაუცნობიერებლად, ყოველ ჩვენგანშია. რომან იაკობსონმა ალბათ სწორედ აღნიშნული ფაქტი გაითვალისწინა, როდესაც ენის ფუნქციათა კლასიფიკაციისას განსაკუთრებული ყურადღება ენის პოეტურ ფუნქციას დაუთმო და იგი საკომუნიკაციო სისტემის ერთ-ერთ ელემენტს, შეტყობინებას, დაუკავშირა. ენის ფუნქციათა ჯ. ლიჩისეულ კლასიფიკაციაში ტერმინი პოეტური ესთეტიკურით არის ჩანაცვლებული. ენის პოეტური/ესთეტიკური ფუნქციის გამოყოფით რ. იაკობსონი და ჯ. ლიჩი ხაზს უსვამენ შემოქმედებითი ასპექტის მნიშვნელობას ენის არა მხოლოდ ესთეტიკური მიზნებით გამოყენებისას, არამედ მის ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებში ხმარების დროსაც. ენის პოეტური ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ემოციურ ფუნქციასთან, თუმცა მათი გაერთიანებება არ შეიძლება, სწორედ ემოციები წარმოადგენენ ენის პოეტური ასპექტის მამოძრავებელ ძალას, ისინი ქმნიან ინდივიდისათვის შთაგონების წყაროს. ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლამ და უშუალოდ ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ წერილობითი თუ ზეპირმეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ენაში, არა მხოლოდ მხატვრული ღირებულების მქონე პოეტურ თუ პროზაულ ტექსტებში, არამედ ჩვეულებრივ მეგობრულ საუბარსა თუ ლექციაში პოეტური ფუნქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი რეალიზაცია ჩაბმის სტრატეგიის განხორციელებას უწყობს ხელს. დ. ტანენის თვალსაზრისით, ჩაბმის სტრატეგია გულისხმობს დის-

კურსის ჟღერადობისა და აზრის, მნიშვნელობის ჰარმონიას (ტანენი, 1996, 2, 34). პ. ფრიდრიხი იყენებს ტერმინებს — მუსიკა და მითი: „ენა არის სიმბოლური პროცესი რომელიც მედიატორის როლს ასრულებს, ერთი მხრივ, იდეების, გრძნობებისა და, მეორე მხრივ, ენის, ხახის და ა.შ. მიერ წარმოქმნილ ბგერებს შორის. ანალოგიურად, პოეზია არის სიმბოლური პროცესი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ამყარებს მიმართებას ბუნებრივი ენის მუსიკასა და მითოსური მნიშვნელობის ნიუანსებს შორის. ენის მუსიკასა და მითს შორის ნაგრძნობი ერთიანობის შექმნა პოეზიის ზეტროპია, ზეტროპი, ვინაიდან იგი არის ზემდგომი და მაკონტროლებელი ისეთი მცირე ფიგურებისა, როგორებიცაა ხატი, მეტაფორა და პარადოქსი. და ეს ზეტროპი უნიკალურია, ანუ ის პოეზიის სიმპტომა“ (ფრიდრიხი, 1983, 39). ასეთი პოეზია არა მხოლოდ პოეტური ტექსტებისათვის, არამედ საერთოდ ენის ყოველი გამოვლინებისათვის არის დამახასიათებელი (რა თქმა უნდა, სხვადასხვა ოდენობით). ჟღერადობის, ანუ ენის მუსიკის მეშვეობით ადრესატი (მსმენელი თუ მკითხველი) დისკურსის რიტმულ სტრუქტურაშია ჩაბმული. ამასთან ერთად, იგი მონაწილეობს დისკურსის მნიშვნელობის შექმნაში. წარმატებული ზეპირმეტყველებითი თუ წერილობითი დისკურსი კომუნიკანტებს შორის რიტმულ ანსამბლურობას, სინქრონულობას გულისხმობს. ერიქსონისა და შულცის თვალსაზრისით წარმატებული საუბარი მეტრონიმულად მკაფიო რიტმით ხასიათდება (ერიქსონი, შულცი 1982). ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომუნიკანტები უნდა ფლობდნენ მათი საკომუნიკაციო ენის რიტმიკულ-მელოდიკურ სტრუქტურას. როგორც ცნობილია, ცალკეული ენა ინდივიდუალური რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ განპირობებულია ამ ენაზე მოსაუბრე ერის ტემპერამენტით, სამყაროს რიტმული და მუსიკალური აღქმის სპეციფიკით. ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა ის პირობითობაა, ჩვევაა, რომელსაც ენის მატარებელი გაუცნობიერებლად ფლობს. პოეტური ფუნქციის აღნიშნული გამოხატულების-ინტერპერსონალური ჩაბმის სტრატეგიის — ენის ჟღერადობის დონეზე რეალიზაცია შემდეგი საშუალებებით ხორციელდება, ესენია: 1. რიტმი; 2. სხვადასხვა ტიპის ენობრივი ერთეულების (ფონემა, მორფემა, სიტყვა, შესიტყვება, დისკურსის მონაკვეთი) გამეორება და ვარირება; 3. რიტორიკული ფიგურების (რომელთაგან ბევრი გამეორების პრინციპს ეფუძნება) გამოყენება.

წინამდებარე ნაშრომში ენის პოეტური ფუნქციის რეალიზაციის ზემოგანხილული ასპექტი ინგლისური, ქართული და რუსული შორისდებულების მასალაზეა შესწავლილი.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სამივე ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის შექმნაში, მათ ინტონაციურ აგებულებასა და ორნამენტირებაში მნიშვნელოვან როლს შორისდებული ასრულებს. სამივე ენაში შორისდებული მონაწილეობს და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ლექსის რითმისა და რიტმიკულ-მელოდიკური ქარგის შექმნაში; იგი ხშირად რიტმიკული მახვილის მატარებელია. შორისდებულის აღნიშნული ფუნქციები მკაფიოდ ჩანს ქვემოთმოყვანილ ნაწყვეტებში უ.შექსპირის, ალ. ჭავჭავაძის, და მ.ცვეტაევის ნაწარმოებებიდან:

O carve not with thy hours my love's fair brow.

Nor draw no lines there with thy antique pen;

Him in thy course untainted do allow

For beauty's pattern to succeeding men

W. Shakespeare, Sonnet 19

საყურადღებოა, რომ შექსპირის სონეტებში შორისდებული ხშირად სესტეტის მიმანიშნებელი ერთეულია. ზემოთმოყვანილი ნაწყვეტი მე-19 სონეტიდან სწორედ სესტეტის მონაკვეთია.

ოჰ, წარმავალნო გზასა ქალნო,
თვალთა საამოდ, ხილვად კმანო
ემყისა ჯაჭვად წნულნო თმანო,

მე უკვე მქმენით

დაბმულ თქვენით...

ვინ ხართ ამ არეს მოარულნი,
მნათნი ღრუბელსა მოფარულნი?

თუ გაქვსთ პატიმართ სიბრალულნი,

მპოვეთ აქა მე,

ვამე, ვამე!

ალ. ჭავჭავაძე

В очи взглянула

Тускло и грозно

Где-то ответил гром,

-Ох, молодая!

Дай, погадаю

О земном талане твоём

-Ох придержи язык, красота!

Что до поры говорить «не верю»,-

И распахнула карточный веер

Черная- вся в серебре -рука.

М Цветаева «Гаданье»

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია შორისდებულის როლი ჩვეულებრივი მეტყველების, მონოლოგის, განსაკუთრებით დიალოგისა და პოლილოგის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის შექმნაში. როგორც ვიცით, შორისდებულის აგებულების ბირთვს ხმოვნური ელემენტი ქმნის. სწორედ ხმოვანი იძლევა შორისდებულის წარმოთქმისას ინტონაციური მრავალფეროვნების მიღწევის და ხმის მოდულირების საშუალებას. ამასთან ერთად, მეტყველებისას შორისდებულებს ხშირად ვიმეორებთ. ადგილი აქვს შორისდებულის არა მხოლოდ მიწყობით გამეორებს, ერთგვარ ლინეარულ გამეორებას, არამედ მის გამეორებას ვერტიკალურ ჭრილში, ცალკეული ინდივიდის მეტყველებაში ან საერთოდ დისკურსის მონაწილე კომუნიკანტთა მეტყველებაში; ეს ერთგვარი ექოსებრი გამეორებაა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

And they looked into the refrigerator:

Oh! Oh! Oh! It was a little house. It was a little pink house with snow on the roof and green windows and a brown door and stuck in the door there was a nut for a handle.

K. Mansfield, "Son and Moon"

პატარა ბიჭუნა აღფრთოვანებას ვერ ფარავს უჩვეულოდ მართული პუდინგის დანახვაზე. მისი უზომო აღტაცება სამჯერ გამეორებულ შორისდებულში აისახება, რაც შინაგან მეტყველებას უფრო ექსპრესიულს, რიტმულსა და მელოდიურს ხდის. აღნიშნული მონაკ-

ვეთის რიტმიკულ-მელოდიკური სახის შექმნისათვის ასევე ღირებუ-
ლია წინადადების **It was a little house** ოდნავ სახეშეცვლილი გამეორე-
ბა; გამეორებისას ჩამატებული ზედსართავი **pink** (ვარდისფერი)
აღწერის მნიშვნელოვანი დეტალის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშ-
ნული მონაკვეთის რიტმიკულ-მელოდიკური ქსოვილისათვის ასევე
ღირებულებაა ჩამონათვალი, რომელსაც კავშირი **and** უფრო ემოცი-
ურს ხდის.

ცალკეული კომუნიკანტის მეტყველებაში გამეორებული შორის-
დებულები, ისევე როგორც დისკურსის მონაწილე კომუნიკანტთა
მეტყველებაში შორისდებულის გამეორება, ემსახურება არა მხოლოდ
დისკურსის რიტმიკულ-მელოდიკური ქარგის, არამედ დისკურსის
კოჰერენტულობის შექმნასაც. დისკურსში მონაწილე ინდივიდთა
მეტყველებაში გამეორებული ენობრივი ერთეულები — ბგერები,
სიტყვები, ფრაზები, წინადადებები და თვით დისკურსის მოზრდილი
მონაკვეთები მეტყველებენ კომუნიკაციის მონაწილეთა შორის არსე-
ბულ პარამონიაზე; როგორც აღინიშნა, გამეორება ინტერპერსონა-
ლური ჩაბმის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

Teacher: Um, I've got her report... um...which I'm sure you've seen, I
think the thing that stands out most is her languages which appears to be
very good ; her marks in French and German are excellent. Does she...

Mr.Watt: Yes, I'm rather happy about that...

Teacher: Why's this? Are you interested in ...

Mr.Watt: Well., I'm interested in languages myself...

Teacher: Oh, good.

Mr.Watt; I have travelled a little...

Teacher: Mhm. Has she shown an interest in traveling?

Mr.Watt: Very much indeed, Yes...

Teacher: Mhm.

Mary Underwood "Listen to this"

მასწავლებლის მეტყველებაში გარკვეული ინტერვალით გამეორე-
ბული შორისდებულები **um, mhm**, ქმნიან საუბრის რიტმულ საფუძ-
ველს. რიტმული ქარგისათვის ღირებულება ორჯერ ნახმარი ნაწილაკი
yes, შორისდებული **well** და შორისდებულის შემცველი ფრაზა **Oh,**
good. კომუნიკანტთა მეტყველებაში მეორდება სიტყვები-**languages** (2-
ჯერ), **travelled/travelling**, ფრაზა **to be interested in** (2-ჯერ),

საყურადღებოა ასევე ფრაზა **an interest in**. ყოველივე ეს კომუნიკანტ-
თა შორის ანსამბლურობაზე მიუთითებს.

საინტერესოა შემდეგი ქართული მაგალითი:

„რომელი ცოლი? მე არც კი ვიცოდი მას ცოლი თუ ჰყავდა...“
ვიმართლე თავი.

„ო, მაგის ცოლი სოხუმის პრიმადონაა“.

შენიშნა ცირუმ.

„ოო, რამდენ ყმაწვილს თავბრუ დაასხა იმ ქალმა! შარშან საცო-
დავმა გოგი მონიავამ ზღვაში შეაგელვა თავისი ცხენი და თავი დაიხ-
რჩო. ამბობენ სულ იმ ქაჯი დედაკაცის გულისთვის“.

დასძინა ბიძაჩემმა.

კ. გამსახურდია „ლილ“

კომუნიკანტთა მეტყველებაში გამეორებული შორისდებული **ო**
(ოდნავ სახეშეცვლილი სახით — უფრო ექსპრესიული ვარიანტი -ოო)
მათ ერთსულოვნებაზე მეტყველებს.

განვიხილოთ რუსული ვარიანტი:

Колька Бакалейников и Юрий Леонидович ходили за ней по пятам.

...Да брось, Варя! Ну чего ты беспокоишься?

Ничего с ним не случилось. Правда. он дурак. что пошел.но я
думаю, догадается же он удрать!

-Ей-богу. ничего не случится – утверждал Юрий Леонидович. и
намащенные перья стояли у него на голове дыбом,

-Ах. вы только утешаете! ...Они его в Галицию увезут,

Ну. что ты, ей-богу. Придет он...

- Варвара Афанасьевна!!

-Хорошо,я проаккомпанирую...

М. Булгаков «В ночь на третье число»

მოყვანილ მონაკვეთში გამოიკვეთება ორი ხაზი, რომელთა
წარმოჩენაში სწორედ შორისდებულის როლია მნიშვნელოვანი. ეს ხა-
ზებია — დარწმუნების, გამხნეების (კოლკა ბაკალეინიკოვი და იური
ლეონიდოვიჩი ცდილობენ დაამშვიდონ ვარია). პირველი ხაზის რეა-
ლიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შორისდებულები **да**
брось, **ну** (ეს უკანასკნელი 2-ჯერ გვხვდება). **ей-богу** (მეორდება 2-
ჯერ). მეორე ხაზის — წუხილის ვერბალიზაციაში წამყვანი მნიშვნე-
ლობა შორისდებულ **Ах**-ს აქვს. მონაკვეთის ბოლოს სამ კომუნიკანტს

შორის კონსენსუსი მიიღწევა — ორი კონტრასტული მელოდიური ხაზი ერთმანეთს ერწყმის.

სამივე ენაში შორისდებული ხშირად მყარი ფორმულების შემადგენელი ერთეულია (*Aha, now I understand/ Oh, really/Oh,I see./Oh,come on/Well, it depends/* უპ, ეს რა მითხარი/აჰ, ნეტავი/აჰა, გასაგებია./ აბა, რა ვიცი/ ო ღმერთო ჩემო/ ეჰ, რას იზამ/ *Ах да, чуть не забыл./ Ай, больно/ Ой, как кольнуло/ Фу., какая гадость/ О боже мой* და მრავალი სხვა). მყარი ფორმულა კი ერთ რიტმიკულ ჯგუფს ქმნის. დისკურსში ჩართული მყარი ფორმულები ამიდრებენ დისკურსის რიტმულ ქსოვილსა და მელოდიკას. შეიძლება ითქვას, რომ უცხო ენის შესწავლისას მყარი ფორმულების დაუფლებით ჩვენ გარკვეულწილად ვეუფლებით სამიზნე ენის რიტმიკულ-მელოდიკურ მახასიათებლებსაც, რაც, თავის მხრივ, კომუნიკაციისას ჩაბმის სტრატეგიის რეალიზაციაში გვეხმარება.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართული პირველადი შორისდებულები უფრო მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ვიდრე რუსული და განსაკუთრებით კი — ინგლისური. ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულში უფრო მეტი პირველადი შორისდებულია, ვიდრე რუსულსა და ინგლისურში. თანაბარი ოდენობის ლექსიკური ერთეულების მქონე ლექსიკონებში (60 000-მდე სიტყვა — **Cambridge International Dictionary of English 1996**; ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1990, **Ожегов, Словарь русского языка**, 1970). პირველადი შორისდებულები შემდეგნაირად არიან წარმოდგენილი: ინგლისური- 67, ქართული- 82, რუსული-71.

საყურადღებოა, რომ ქართულ პირველად შორისდებულებში ვხვდებით ხუთივე ხმოვანს, რასაც ვერ ვიტყვით ინგლისურ და რუსულ პირველად შორისდებულებზე: აა! თქვენა ხართ/ ეე, აბა ეგ რა გამოვიდა/იი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე/ ოო, ეს სულ სხვა საქმეა/ უუ, შე საზიზღარო შენა. ქართული პირველადი შორისდებულები გამოირჩევიან აგრეთვე ხმოვანთა მრავალფეროვანი კომბინაციით: აუ, აი, უი, ოი, ეი, ოუ. ამასთან ერთად, ზოგჯერ ცალკეული ხმოვნით გამოხატული შორისდებული სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირებისას ორ ფორმას შორის სემანტიკურ სხვაობას ავლენს. რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვანია ინტონაციური კონტურიც — შდრ. ო, ჩემო მშვენიერო! (აღტაცება), ოოო, არ გააჭირა საქმე! (გაღიზიანება), ა, შენა ხარ? (დაკვირვება), ააა, გასაგებია (მიხვედრა). პირველადი

შორისდებულების ასეთი მრავალფეროვნება ქართულ ენას უფრო მელოდიკურს ხდის. აღნიშნული დაკვირვება ეხმიანება ლინგვისტურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომ ქართულ წარმოთქმაში მელოდიკას, ინტონაციას სხვა ელემენტებთან ერთად წამყვანი როლი აქვს (ყლენტი, 1963, კვარაცხელია, 1995, 141). ქართული ენის აღნიშნული თვისება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ქართველებისათვის კოგნიტური (აღქმის) კატეგორიებიდან წამყვანი მნიშვნელობა მუსიკალურ/სმენით კატეგორიას ენიჭება (დარასელია, 1998). საყურადღებოა, რომ ქართულ ხალხურ სიმღერაში შორისდებულს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს; შეიძლება გამოიყოს სიმღერისთვის სპეციფიკური შორისდებულების კლასი: ჰარალე ჰარი-ჰარალე/ ვოდილა/ აბადელიდელია/ ორერა რერა/ ვარალე ვარი ვარალე/ დალალე დალალე/ ოდელია დელა/ ჰერიჰერი და სხვ. ასეთ მრავალფეროვნებას არც ინგლისურ და არც რუსულ მუსიკალურ ფოლკლორში არ ვხვდებით. მიმაჩნია, რომ ქართული ეთნოსისათვის მუსიკალური აღქმის წამყვანი ხასიათით შეიძლება აიხსნას ქართული ენის რიტმიკული ბუნებისათვის მახასიათებელი პროზაული და პოეტური ენის რიტმის დაახლოებისა და დამთხვევის ტენდენციები, რომელზედაც ყურადღება სერგი ყლენტიმა გაამახვილა (ყლენტი, 1963).

ამრიგად ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ აღნიშნული ენების შორისდებულები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენის პოეტური ფუნქციის ერთ-ერთი ასპექტის, ინტერპერსონალური ჩაბმის სტრატეგიის, რეალიზაციაში. ინტერპერსონალური ჩაბმის სტრატეგია დისკურსის ყლერადობისა და აზრის, მნიშვნელობის ჰარმონიას უზრუნველყოფს. ენის მუსიკის მეშვეობით ადრესატი დისკურსის რიტმულ სტრუქტურაშია ჩაბმული; წარმატებული ზეპირმეტყველებითი თუ წერილობითი დისკურსი კომუნიკანტებს შორის რიტმულ ანსამბლურობას, სინქრონულობას გულისხმობს. შორისდებული, როგორც ცალკეული ენის რიტმიკულ-მელოდიკური ქარგისათვის ღირებული ერთეული, ჩაბმის სტრატეგიის განხორციელებას უწყობს ხელს. ინგლისურ და რუსულ შორისდებულებთან შედარებით ქართული პირველადი შორისდებულების მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება ქართულ ენას უფრო მელოდიკურს ხდის. აღნიშნული თვისება შეიძლება აიხსნას ქართული ეთნოსისათვის აღქმის მუსიკალური კატეგორიის წამყვანი ხასიათით. ეს კი, თავის მხრივ, ხსნის ქართული ენის რიტ-

მიკული ბუნებისათვის მახასიათებელ პროზაული და პოეტური ენების რიტმის დაახლოების და დამთხვევის ტენდენციებს.

ლიტერატურა

დარასელია, 1998 — დარასელია, ნ., „სიჩუმე — ზოგადი მახასიათებლები, განმარტობებელი ფაქტორები“, „გზა ენისაკენ“, საქ. მეცნ. აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1998.

ერიქსონი, შულცი, 1982 — Erickson F., Shultz J., The counselor as gatekeeper: Social interaction in interviews. New York, Academic Press, 1982.

იაკობსონი, 1960 — Jakobson R., Linguistics and poetics, in: Thomas Sebeok, ed., Style in Language, Cambridge 1960.

კვარაცხელია, 1995 — კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., თსუ გამომცემლობა, 1995.

ლიჩი, 1983 — Leech G., Semantics, Penguin books, 1983.

ჟღენტი, 1963 — ჟღენტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., ცოდნა, 1963.

ტანენი, 1996 — Tannen D., Talking voices. Repetition, dialogue and imagery in conversational discourse, Cambridge : CUP, 1996.

ფრიდრიხი, 1986 — Friedrich, P., The language parallax: Linguistic relativism and poetic indeterminacy, Austin, TX: University of Texas Press, 1986.

ლექსიკონები

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1990.

Ожегов С. И. Словарь русского языка, Москва, Изд. «Советская Энциклопедия», 1970.

Cambridge International Dictionary of English, CUP, 1996.

NINO DARASELIA

Some Aspects of the Realization of the Poetic Function of Language

Summary

The paper focuses upon the link between the poetic function of language and involvement strategies. It is maintained that the inseparability of sound and sense or music and myth, as P. Friedrich puts it, that gives language its poetic force can be seen in involvement strategies. As is known, the latter imply the rhythmic ensemble of the communicants as well as their joint participation in the sense-making process. The relation between the poetic function and the involvement strategies has been studied on the material of English, Georgian and Russian interjections. The study has shown that the poetic function is of particular importance for interjections; it is revealed in their ability: a) to form the rhythmic and melodic contour of discourse; b) to manage the cognitive aspects of a particular communicative event. Hence the interjection can be considered an essential means for the realization of the involvement strategies. The analysis of the data has proved that the poetic force, the fusing of sound and sense, is found not only in formal poetry, but, to varying degrees, in all language. The study has also revealed that the Georgian primary interjections are more numerous and structurally more versatile than Russian and particularly English interjections. The structural diversity of interjections, as well as their frequent usage and repetition make the Georgian language more rhythmic and melodic. The trait in question can be explained by the dominance of the musical cognitive category for Georgians. This in its turn explains the existence of identical rhythmic patterns in Georgian prose and poetry.

ირინე ღვებთრაძე

„არაპირდაპირობა, როგორც თავაზიანობის სტრატეგია“

„Indirectness is the life raft of communication“

Deborah Tannen

„Indirectness just comes naturally to us. We are accustomed to not saying what we mean: irony, self-deprecation, understatement, obliqueness, ambiguity and polite pretence are all deeply ingrained, part of being English“

Kate Fox

ცნობილია, რომ ენის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ინფორმაციის გადაცემაა. წარმატებული კომუნიკაციისათვის პ.გრაისმა შეიმუშავა კოპერაციის პრინციპი, რომლის ორი წამყვანი მაქსიმა შემდეგია: 1. თავი აარიდე ბუნდოვანებას 2. ილაპარაკე ნათლად. გრაისის მიხედვით, ადამიანმა სათქმელი ნათლად, მოკლედ და პირდაპირ უნდა გადმოსცეს (გრაისი, 1975). მაგრამ არსებობს უამრავი სიტუაცია, როდესაც პირდაპირი საუბარი არ არის მიზანშეწონილი და იგი უხეშობად ან უტაქტობად ჩაითვლება. მაგ. როდესაც სადილად გვპატიუებენ, ჩვენ კი მისვლის სურვილი არ გვაქვს, დაუშვებელია ამის შესახებ პირდაპირ განვაცხადოთ. აუცილებელია მოვიგონოთ რამე თუნდაც ფიქტიური მიზეზი, რომლითაც ჩვენი უარი ადვილად აიხსნება და გამართლდება (მაგ. „მაპატიე, მაგრამ ვერ მოვალ, ავად ვარ“ ან „ბოდიში, მაგრამ ვერ მოვალ, ქალაქიდან უნდა გავიდე, აუცილებელი საქმე მაქვს“ და მრავალი სხვა). თავაზიანობისა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები მოსაუბრისაგან ხშირად მოითხოვს არაპირდაპირობას. დებორა ტანენის აზრით, არსებობს აუმრავი სიტუაცია, როდესაც დაუშვებელია სათქმელის პირდაპირ გადმოცემა, ხოლო არაპირდაპირობა ძლიერ სასარგებლო და საჭიროა (ტანენი, 1987).

ბრაუნი და ლევენსონი არაპირდაპირობას თავაზიანობის ერთ-

ერთ მთავარ სტრატეგიად მიიჩნევენ. ისინი თვლიან, რომ არაპირდაპირობა „სახის“ შენარჩუნების სტრატეგიაა, რამდენადაც იგი ხელს უწყობს უსიამოვნო და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებას (ბრაუნი და ლევენსონი, 2000). ცხადია, ნათლად და პირდაპირ საუბარი სწორი და პრაქტიკულია, რამდენადაც მსმენელი პირდაპირ და ადვილად იგებს მოსაუბრის სათქმელს, მაგრამ, საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე, მოსაუბრეს უწევს არჩევანის გაკეთება სათქმელის პირდაპირ გადმოცემასა და თავაზიანობას შორის, რამდენადაც თავაზიანი საუბარი გულისხმობს როგორც მოსაუბრის, ასევე მსმენელის „სახის“ შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ პირდაპირ საუბარს ბრაუნი და ლევენსონი მოიხსენიებენ ტერმინით „On Record“, არაპირდაპირს კი — ტერმინით „Off Record“ (რაც ნიშნავს შინაგანი სამყაროს დამალვას, არაგულწრფელობას), აღნიშნავენ რა, რომ „რაც უფრო ნათლად და პირდაპირ საუბრობს ადამიანი, მით მეტი საფრთხე ექმნება მის სახეს, სახის შესანარჩუნებლად კი ხშირად გვიწევს სათქმელის პირდაპირ გადმოცემის მსხვერპლად გადაება“ (ბრაუნი და ლევენსონი, 2000). რაც უფრო მეტია სოციალური დისტანცია თანამოსაუბრეთა შორის, მით მეტია თავაზიანობის მოთხოვნილება და მეტი სტრატეგიებია საჭირო „სახის“ შენარჩუნებისათვის, ამ სტრატეგიებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სათქმელის ირიბი, ფარული ფორმით გამოხატვა. ბარბარა ოკიფი აღნიშნავს, რომ საუბრის ფორმა მით უფრო თავაზიანია, რაც უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მოსაუბრე ნათელ კომუნიკაციას და რაც უფრო მეტ პრიორიტეტს ანიჭებს იგი სახის შენარჩუნებას“ (ოკიფი, 1991).

გრაისი იყენებს ტერმინს „არაპირდაპირი ილოკუცია“. მას მაგალითად მოჰყავს ისეთი შემთხვევები, როდესაც ღირეტივა განხორციელებულია არა პირდაპირ, არამედ როგორც მტკიცება, განცხადება (statement) მაგ. „I wonder if you'd pass me that hammer“, ან კითხვითი ფორმით „Have you any idea what the time is?“ მოცემული მაგალითების ტოლფასი პირდაპირი ნათქვამი იქნებოდა: „pass me that hammer“ ან „tell me the time“, ხოლო, რამდენადაც ღირეტივა უხეშ ნათქვამად ითვლება, ინგლისელები ზემომოყვანილ არაპირდაპირ ფორმებს ამჯობინებენ. გრაისის ტერმინი „Conversational implicature“ (სასაუბრო იმპლიკაცია) გულისხმობს ნათქვამის ფარულ, ამოსაცნობ, ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ანუ წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელია, რომ ზემომოყვანილი მტკიცებისა და შეკითხვის ადრესატი სწო-

რად ჩასწვდეს გამონათქვამის ფართულ მნიშვნელობას, იმპლიკაციას და შეასრულოს მოსაუბრის მიერ ნაგულისხმევი ღირებულება, ნაცვლად იმისა, რომ შეკითხვაზე „Have you any idea what the time is?“ უპასუხოს „Yes, I have“ (გრაისი, 1975).

შეტყობინების სხვადასხვა ფორმის განხილვისას, ბარბარა ო'კიფი გამოყოფს სამი ტიპის ლოგიკას; რიტორიკულს, ექსპრესიულსა და პირობითს. რიტორიკული შეტყობინების ლოგიკა თავად საკომუნიკაციო სიტუაციის შეცვლას გულისხმობს. ექსპრესიული შეტყობინების ლოგიკის მიხედვით, აზრი პირდაპირ გამოხატება და მისი მნიშვნელობაც პირდაპირ, სიტყვასიტყვით აღიქმება. პირობითი შეტყობინების ლოგიკა ემყარება იმ აზრს, რომ კომუნიკაცია ერთობლივი თამაშია, რომელიც ემყარება სოციალურ პირობითობას და მისი მონაწილე ასრულებს შესაბამის პროცედურებს. აქ აზრი და მისი გამოხატულება ნაკლებად იზომორფულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან გამოხატულება სხვა ინსტრუმენტალ მიზნებს ემსახურება. პირობითი შეტყობინების ლოგიკა გულისხმობს სახის შელახვის თავიდან აცილებას არაპირდაპირი კომუნიკაციის გზით, თავაზიანობის კონვენციონალური ნორმების გამოყენების მეშვეობით (ო'კიფი, 1991). ამრიგად, არაპირდაპირობის სტრატეგიის გამოყენება საუბარში პირობითი შეტყობინების ლოგიკის მიხედვით ხდება.

ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ისეთი საკომუნიკაციო სიტუაციებისა, როდესაც შეტყობინების პირდაპირი გამოხატვა ზიანს მიაყენებდა მოსაუბრისა და მსმენელის სახეს, ამდენად აუცილებელია არაპირდაპირობის, როგორც თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენება:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინგლისელებისთვის ძალზე გამაღიზიანებელია ბრძანებითი ფორმები და სიტყვა **must**. ამდენად, ღირებულების ნაცვლად აუცილებელია მათ მიემართოთ რჩევის, თხოვნის ან შეკითხვის ფორმით. დაუშვებელია ინგლისელ სტუმარს ვუთხრათ „Sit down“, „Wash your hands“, „Drink some wine“ და ა.შ. უმჯობესია ჩვენი შეთავაზებები კითხვით ფორმაში წარმოვთქვათ: „Would you like to sit down?“, „Would you like to wash your hands?“, „Would you care for some wine?“ და ა.შ. ასევე დაუშვებელია რჩევის მიცემისას წარმოვთქვათ სიტყვა **must** და პირდაპირ მიემართოთ მსმენელს მოცემული სიტყვით. სჯობს, რჩევა შევცვალოთ მტკიცებულების ფორმით და ვისაუბროთ ზოგადად, მაგ. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ „You must read this book“ უმჯობესია აღვნიშნოთ: „This book is worth reading“.

ბრძანების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ თხოვნის ფორმა. ცნობილია, რომ რესტორანში კერძის შეკვეთის დროსაც კი ინგლისელები თავს არიდებენ ბრძანებითი ფორმების ხმარებას, თუმცა სიტყვა **order** ნიშნავს როგორც შეკვეთას, ასევე ბრძანებას.

სათქმელის არაპირდაპირი გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგიაა ქათინაური. მაგალითად, როდესაც თანამოსაუბრის რაიმე აზრს არ ვეთანხმებით, უმჯობესია პირდაპირი შეწინააღმდეგების ნაცვლად კომპლიმენტი ვიხმაროთ: „That's very clever of you, but..“. როგორც აღვნიშნეთ, ინგლისურ ყოფაში მიუღებელია ბრძანების პირდაპირ გამოხატვა. საკვლევი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ეს წესი დაცული უნდა იყოს ბავშვებთან მიმართებაშიც კი. ამდენად, შექება, რომელიც ყველა ადამიანს და, მით უმეტეს, ბავშვს სიამოვნებს, საუკეთესო ხერხია იმისათვის, რომ ჩვენი ბრძანება შესრულდეს. ინგლისელ ბავშვებს ამ მიზნით ხშირად ეუბნებიან: „There's a good girl!“ ნაცვლად იმისა, რომ უბრძანონ: „Stop misbehaving immediately!“.

არაპირდაპირობა ხშირად იუმორთან ერთად გამოიყენება. ნილ ნორიკი აღნიშნავს, რომ მოსაუბრე, რომელსაც უნდოდა მისი მეგობრის ახალთახალი ძვირფასი მანქანა ეთხოვა, იუმორისტული ეფექტის მიღწევით ცდილობდა სახის შელახვის თავიდან აცილებას, ამდენად, თხოვნის პირდაპირ გამოხატვის ნაცვლად მან თქვა: „How about lending me this old heap of junk?“ (ნორიკი, 1993). ამ ხერხით მოსუბრემ თავიდან აიცილა თხოვნის პირდაპირი გამოხატვა, რაც თავისთავად სახის შემლახველ ქმედებად ითვლება.

ბუნებრივია, ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხშირია მომენტები, როდესაც ის უკმაყოფილო ან გაბრაზებულია. ცხადია, ამ გრძობების პირდაპირ გამოხატვა თავაზიანობის ნორმებს ეწინააღმდეგება და ლახავს როგორც მოსაუბრის, ასევე ადრესატის სახეს. შესაბამისად, თავაზიანობა მოითხოვს, რომ გაბრაზებისა და აღშფოთების გამოხატვის არაპირდაპირ, ნაკლებად უხეშ ფორმებს მივმართოთ. ქვემოთ აღვნიშნავს: „ინგლისელის ტიპური საქციელია გაბრაზების ისეთი ფორმით გამოხატვა, რომელიც მოიცავს გაუთავებელ ხუმრობებს, თემიდან გადახვევებს და არაფრისმთქმელ საუბარს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეხება პრობლემის ნამდვილ მიზეზს“. ინგლისელებს არა აქვთ ისეთი თავდაჯერებულობა და სოციალური ჩვევები, რომ წყენა პირდაპირ გამოთქვან. მაგალითად, როდესაც ვინმე ცდილობს

რიგი დაარღვიოს და სხვაზე წინ დადგეს, ინგლისელები მხოლოდ წარბს ასწევენ ან თავისთვის ბურტყუნებენ უკმაყოფილოდ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიუთითებს წესრიგისაკენ რიგის დამრღვევს“. ქვეით ფოქსის თანახმად, მაშინაც კი, როდესაც მას ვინმე ფეხზე დააბიჯებს, ინგლისელი ამას პირდაპირ და საყვედურის ფორმით არ იტყვის, პირიქით, იქით მოუხდის ბოდიშს: „**Sorry, but you happen to be standing on my foot**“. ხოლო როდესაც ინგლისელს უნდა გაარკვიოს, გაბრაზებულია თუ არა მასზე თანამოსაუბრე, იგი პირდაპირ არასდროს იკითხავს ამის შესახებ და მიმართავს იუმორისტულ ფორმას: „**Are we still on your Christmas-card list?**“ (ფოქსი, 2004).

რიკ ბრენერის თანახმად, დაპირისპირებისა და კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გზაა არაპირდაპირობა, ამდენად, როდესაც ინგლისელი გაბრაზებულია ზარმაც თანამშრომელზე, ნაცვლად იმისა, რომ თქვას: „**Jim, if your report is late again this week, we might lose funding for the project**“, მოსაუბრე პრობლემას განაზოგადებს, თავიდან აიცილებს პირდაპირ მიმართვას და იტყვის: „**I hope everyone gets their reports in on time**“ (ბრენერი, 2008).

ზემომოყვანილი მაგალითი იმის დამადასტურებელია, რომ ინგლისელებს ეუხერხულებათ გრძნობებისა და ემოციების სააშკარაოზე გამოტანა. გარდა ამისა, არსებობს უამრავი თემა და სიტუაცია, რომლებიც ინგლისურ ყოფაში ტაბუდადებულია, შესაბამისად, მათზე პირდაპირი ფორმით საუბარიც უხერხულია და სახის შემლახველი. ქვეით ფოქსის თანახმად, ახალგაჯნობილი ადამიანის პროფესიისა და სამუშაო ადგილის გარკვევა ყველა ყოფაში ნორმალურად და ბუნებრივად ითვლება, გარდა ინგლისური ყოფისა, სადაც ეს ტაბუდადებული თემაა: „ეტიკეტი მოითხოვს, რომ ვიპოვოთ არაპირდაპირი, შემოვლითი გზა იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რით ირჩენს თავს ჩვენი თანამოსაუბრე“ (ფოქსი, 2004). ინგლისელი ამის გარკვევას დაიწყებს ისეთ ზოგად თემებზე საუბრით, როგორცაა პიკის საათი, შემდეგ ჰკითხავს ადრესატს, რა ტრანსპორტით დადის ეს უკანასკნელი სასახურში, ადრესატს ამის შემდგომ წამოსცდება თავისი სამუშაო ადგილი, ხოლო, რაც შეეხება თანამდებობას, ამის გარკვევა შემდეგნაირად ხდება: მოსაუბრე თამაშობს ერთგვარ „გამოცანობანას“ და პირველივე ჯერზე ასახელებს ყველაზე მაღალ თანამდებობას, რათა უნებლიეთ არ შეურაცხყოს ადრესატის სახე (მაგ. თუ ადრესატი ამბობს, რომ ის საავადმყოფოში მუშაობს, მოსაუბრე ეკითხება: „მაშ,

ექიმი ხართ?“ (და არა სანიტარი ან ექთანი)).

ცნობილია, რომ ინგლისელები ძალიან აფასებენ მათ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას (**privacy**). ამდენად, სრულიად მიუღებელია პირდაპირი შეკითხვების დასმა პირადი ცხოვრების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღებას ძალიან დიდი შემზადება და მრავალი არაპირდაპირი შეკითხვა ან იმპლიკაცია ესაჭიროება. დაუშვებელია ინგლისელს ვკითხოთ, დაოჯახებულია თუ არა იგი, ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად უნდა დავიწყოთ ზოგადი საუბარი ოჯახის თემაზე, ბავშვებზე, გული გადავუშალოთ მსმენელს და ვისაუბროთ საკუთარ ოჯახსა და შვილებზე (ფოქსის ტერმინი რომ ვიხმაროთ, გამოვიყენოთ „**Reciprocal Disclosure strategy**“ (ფოქსი, 2004)). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დიდი სიფრთხილით ვკითხოთ, ჰყავს თუ არა შვილი (და არამც და არამც ცოლი ან ქმარი!) ჩვენს თანამოსაუბრეს და ასე გამოვიძიოთ მისი ოჯახური მდგომარეობა.

არაპირდაპირობას მიმართავენ ასევე ადრესატის მისამართის გამოძიებისას. თავაზიანობის ნორმების დარღვევად ითვლება პირდაპირი შეკითხვა: „**Where do you live?**“. სამაგიეროდ, შეიძლება არაპირდაპირობის სტრატეგიას მივმართოთ და მისამართის გამჟღავნება ვაიძულოთ შეკითხვით „**Have you come far?**“ (ფოქსი, 2004).

ცხადია, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე და არაპირდაპირობა გვმართებს, როდესაც ვეხებით ისეთ პირადულ და ტაბუდადებულ თემას, როგორც არის მაგალითად პირადი ჰიგიენა და საპირფარეო. ამისათვის ინგლისელებს ევფემისტური გამონათქვამების მთელი წყება აქვთ, როგორცაა: „**nature's calling**“; „**I'd like to powder my nose**“ „**The ladies' room**“ და სხვა. ინგლისელებზე არაერთმა დაკვირვებამ გვიჩვენა, როდესაც სურთ ჰკითხოთ სტუმარს, ხომ არ სურს მას საპირფარეოთი სარგებლობა, ამას, ცხადია, არაპირდაპირი შეკითხვებით ახორციელებენ, მაგ. „**Would you like to wash your hands?**“

აღსანიშნავია, რომ ინგლისელები ძლიერ აფასებენ თავმდაბლობას. ამის დასტურია თუნდაც ჯ.ლიჩის „თავაზიანობის პრინციპის“ „**მოკრძალების მაქსიმა**“ (**modesty maxim**) (ლიჩი, 1983). თუმცა არსებობს სიტუაციები, როდესაც ადამიანებს უწევთ საკუთარ ღირსებებსა და მიღწევებზე საუბარი, თავაზიანობის ნორმები კი მათგან უკიდურეს თავმდაბლობას მოითხოვს. ასეთ სიტუაციაში ინგლისელი მიმართავს არაპირდაპირობის სტრატეგიას. კომპლიმენტის მიღების დროსაც კი ინგლისელი მინიმუმამდე ამცირებს და დასცინის კიდევ იმ

თვისებას, რომლისთვისაც იგი შეაქვს. ფოქსის თანახმად, რეკლამაც კი ინგლისში განსაკუთრებული იუმორით გამოირჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისელებს ტრაბახად და უზრდელობად მიაჩნიათ საკუთარი პროდუქციის პირდაპირ შექება (ფოქსი, 2004). გამოცდაზე გასვლის წინ სტუდენტი, რამდენად თავდაჯერებულიც უნდა იყოს, არასდროს იტყვის პირდაპირ, რომ კარგადაა მომზადებული, იგი მუდამ თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს არაფერი იცის და ძლიერ ღელავს, კარგი ნიშნის მიღების შემთხვევაში კი არასდროს აღიარებს, რომ მან კარგად იცოდა საგანი, იტყვის, რომ უბრალოდ ბედმა გაუღიმა.

საკვლევი მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ განსაკუთრებულად ტაბუირებული თემა ინგლისურ კულტურაში არის ფული. ყოველად დაუშვებელია ინგლისელს პირდაპირ ვკითხოთ მისი შემოსავლის შესახებ ან დავუსვათ შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, რამდენი გადაიხადა მან ამა თუ იმ ნივთში. ასეთი ინფორმაციის გამოძიებაც შემოვლითი გზითაა შესაძლებელი, ანუ ზოგადი, ნეიტრალური საუბრით ფასებისა და სიძვირის შესახებ. თავაზიანი ინგლისელი პირდაპირ არასდროს არ ილაპარაკებს იმაზე, რამდენი ფული დახარჯა მან ამა თუ იმ შენაძენის ვაკეთებისას, მაგრამ სრულიად მისაღებია ამ ინფორმაციის გადაცემა არაპირდაპირი გზით, ანუ ყურადღების გამახვილებით იმაზე, რამდენი ფული დაზოგა მან ამ შენაძენის ვაკეთებისას (ფოქსი, 2004).

უცხოელებს ხშირად აოცებს ისიც, რომ ინგლისელებს უჭირთ პირდაპირი და გულახდილი საუბარი ბიზნესის შესახებ. ეს იმით აიხსნება, რომ ბიზნესის შესახებ საუბარიც გარკვეულწილად ფულზე საუბარია, რაც აშკარა და პირდაპირი ფორმით მიუღებელია ინგლისურ კულტურაში. უცხოელები ხშირად წუწუნებენ კიდევ, რომ საქმიანი მოლაპარაკებების დროს ინგლისელები საუბრობენ ამინდზე, ჩაის მოდუღებასა და სხვა აბსტრაქტულ თემებზე (ანუ წარმართავენ „ფატიკურ კომუნიკაციას“ (მალინოვსკი, 1923), „grooming talk“ (ფოქსი, 2004)). ამაზე იხარჯება შეხვედრის თითქმის მთელი დრო, სანამ უცხოელ პარტნიორს მოთმინების ფიალა არ აევსება და მთავარ თემაზე არ ჩამოაგდებს საუბარს.

ინგლისური თავაზიანობის შეჯამებისას, ქვით ფოქსი აღნიშნავს: „ყოველი სოციალური სიტუაცია სავსეა ორაზროვნებით, ჩახლართული საუბრით, ფარული მნიშვნელობებით, შენიღბული ლაპარაკით, დაბნეულობით“ (ფოქსი, 2004). მართლაც, როგორც ზემომოყვანილი

მაგალითებიდან ჩანს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემომოყვანილი მხოლოდ მცირედი ნაწილია სიტუაციების იმ უსასრულო სიმრავლისა, როდესაც არაპირდაპირობა თავაზიანი საუბრის ნორმა და სახის შენარჩუნებისთვის აუცილებელი სტრატეგიაა), პირდაპირი და ნათელი საუბარი მიუღებელია ბევრ შემთხვევაში. რაც უფრო დიდია სოციალური დისტანცია მოსაუბრეთა შორის, მით უფრო იზრდება არაპირდაპირობის სტრატეგიის გამოყენების საჭიროება. ეს განსაკუთრებით ეხება ინგლისურ კულტურას, რომელსაც სოციოლინგვისტები „უარყოფითი თავაზიანობის“ კულტურად მოიხსენიებენ (ბრაუნი და ლევისონი, 2000), რაც გულისხმობს თანამოსაუბრისადმი დიდ დისტანციას, დამოუკიდებლობას და მინიმალურ ზეწოლას, განსხვავებით „დადებითი თავაზიანობის“ კულტურისაგან (მაგ. ქართული), სადაც თანამოსაუბრეთა შორის დისტანცია მცირეა, სოლიდარობა კი მეტი.

ამრიგად, ინგლისურ კულტურაში თავაზიანობის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა არაპირდაპირობა. იგი საუბრისას იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ ენტონი მაიალი აღნიშნავს: „საუბრისას ინგლისელები ძალზე უცნაურად იქცევიან. ისინი თითქმის არასდროს ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ, მეტიც, ხშირად სწორედ იმის საპირისპიროს ამბობენ, რისი თქმაც უნდათ. ამდენად, როდესაც ინგლისელს რამეს უყვებით და ის წამოიძახებს „რა საინტერესოა!“ არ დაიჯეროთ, რომ მას მართლა აინტერესებს თქვენი მონაყოლი“ (მაიალი, 1993).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია არაპირდაპირობა სახის შელახვის თავიდან აცილების შესანიშნავი საშუალებაა, მაგრამ შეიძლება იგი ძვირად დაგვიჯდეს და საქმე სრულ გაუგებრობამდეც კი მივიდეს, თუ ჩვენი თანამოსაუბრე განსხვავებული კულტურის წარმომადგენელია და მის კულტურაში ნათელი და პირდაპირი საუბარია მიღებული. ასეთ შემთხვევაში არაპირდაპირად ნათქვამმა შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს და კომუნიკაცია წარმატებულად ვერ განხორციელდეს. ამრიგად, პირდაპირობისა და არაპირდაპირობის სტრატეგიის შერჩევას უნდა ვეცადოთ ოქროს შუალედი ვიპოვოთ, რათა თავაზიანობის ნორმებიც დავიცვათ და აღრესატამდეც ნათლად და გასაგებად მივიტანოთ სათქმელი.

ლიტერატურა

ბრაუნი, ლევინსონი, 2000 - Brown P, Levinson S. , „Politeness: Some Universals in Language Usage“, Cambridge University Press, 2000

ბრენერი, 2008 — B Brenner R., „The True Costs of Indirectness“, 2008

გრაცი, 1975 — Grice H.P.(1975), „Logic and Conversation“, in Leech, G. „Semantics“, Penguin Books, 1983

ლიჩი, 1983 — Leech G., Principles of Pragmatics, London, New-York, 1983

მაილი, 1993 — Miall A., „The Xenophobe’s Guide to the English“, Savette Books, 1993

მალინოვსკი, 1923 — Malinowski B., „The Problem of Meaning in Primitive Languages“, Supplement I to Ogden and Richards, „The Meaning of Meaning“, London, 1923.

ნორიკი, 1993 — Norrick N., „Conversational Joking“, Indiana University Press, 1993

ო’კიფი, 1991 — O’Keefe B., „Message Design Logic and the Management of Multiple Goals“, in „Understanding Face-to-Face Interaction“, edited by K.Tracy, Lawrence Erlbaum Associates, Publishers, 1991

ტანენი, 1987 — Tannen D., „When You Shouldn’t Tell It Like It Is“, The Washington Post, March 1, 1987

ფოქსი, 2004- Fox K., „Watching the English. The Hidden Rules of English Behaviour“, Hodder, London, 2004

ინტერნეტ-წყაროები

[www. chacocanyon.com](http://www.chacocanyon.com)

www. Georgetown.edu

www. wikipedia.org

IRINE DEMETRADZE

Indirectness as Politeness Strategy

Summary

In everyday communication there are numerous situations when direct and straightforward utterances bear the risk of being considered impolite and even rude. The paper deals with situations where indirectness is the only means to diminish face threat and maintain the norms of politeness. The author argues that indirect utterances bear an indirect illocutionary force and are based on conversational implicatures (Grice, 1975), whereas the speaker makes use of „conventional message design logic“ (O’Keefe, 1991). Indirectness in speech is especially widespread in the so-called „negative politeness cultures“ (Brown, Levinson, 2000), such as English. When making orders, requests, refusals, expressing displeasure or complaint, finding out private data about the interlocutor or talking about the tabooed topics, it is highly recommended to use indirectness strategy in order to „save face“ and maintain the norms of politeness and speech etiquette.

პითეგან ზოიკა

სახელთა წარმოება „ვეფხისტყაოსანში“

ზედსართავი სახელების ხარისხის სამი ფორმა ძველი ქართული სალიტერატურო ენის დონეზე დასტურდება: ა) დადებითი ანუ ნეიტრალური (**თეთრი**); ოდნობითი, რომელიც მიუთითებს, რომ ესა თუ ის თვისება საგანს მცირე რაოდენობით ახასიათებს (**მოთეთრე**) და უფროობითი, რომელიც აღნიშნავს, რომ ესა თუ ის თვისება საგანს უფრო მეტად ახასიათებს (**უთეთრესი**). დადებით ანუ ნეიტრალურ ფორმას რაიმე სპეციალური მაწარმოებელი არასოდეს ჰქონია, ოდნობითს აწარმოებს **მო-ე** კონფიქსი, ხოლო უფროობითი ხარისხი ხანმეტ, ჰაემეტსა და სანნარე ტექსტებში განსხვავებულად იწარმოებოდა, კერძოდ, ხანმეტ ძეგლებში უფროობითი ხარისხის მაწარმოებლად დასტურდება ხუ-მს/ეს კონფიქსი (**ხუ-დიდ-მს-ი** **ჩუ-დიდ-ეს-ი**), ჰაემეტ ტექსტებში — **ჰუ-მს-ჩეს** (**ჰუ-დიდ-მს-ი** **ჩუ-დიდ-ეს-ი**), ხოლო სანნარე ძეგლებში **უ-მს-ეს** და **უ-ო ს-ჩოს** (**უ-დიდ-მს-ი** **ჩუ-დიდ-ეს-ი**, **უ-ფრ-ო ს-ჩუ-ფრ-ოს-ი...** სავარაუდოდ, ჰაემეტობის დროს უნდა ყოფილიყო **ჰუ-ფრ-ო ს-ჩუ-ფრ-ოს** ფორმაც).

IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში იშვიათია **უ-ე** (უ-დიდ-ე) და **უ-ო** (უ-მცრ-ო) კონფიქსებით ნაწარმოები ფორმები.

ახალ ქართულ ენაშიც ზედსართავ სახელთა ხარისხის სამი ფორმა გვაქვს: დადებითი (**დიდი**), ოდნობითი (**მოდიდო**) და უფროობითი (**უდიდესი**). როგორც ჩანს, დადებითს, ანუ ნეიტრალურის ფორმა კვლავ არამარკირებულია, ხოლო ოდნობითისა და უფროობითის (უ-ეს) მაწარმოებლებს გარკვეული ცვლილება განუცდიათ.

ხარისხის ფორმათა მიხედვით ქართულისაგან განსხვავდება სხვა ქართველური ენები. კერძოდ, სვანურში ზედსართავი სახელების ხარისხის წევრთა ოპოზიცია ოთხამდე აღწევს: დადებითი, ოდნობითი, უფროობითი (შედარებითი). აქ ქართულისაგან განსხვავებით გვაქვს აღმატებითი ხარისხიც, ხოლო მეგრულში დასტურდება თანაბრობითი

თი ხარისხის ფორმებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ არის ხარისხის მხოლოდ ერთი ფორმა — „ულამაზეს“ ტიპისა, რადგან ოდნობითი ხარისხის ფორმაში „არ გვაქვს არც ნიშანთა ისეთი შედარება და არც ის სინტაქსური კონსტრუქცია, როგორც შედარებითი ხარისხისთვის არის დამახასიათებელი“ (ზურაბიშვილი, 1957, 136, 140). ამავე აზრს იზიარებს გ. როგავაც (როგავა, 1958, 101). ოდნობითის ხარისხთა ფორმებს ოპოზიციის სრულუფლებიან წევრად მიიჩნევენ **ა. შანიძე** (შანიძე, 1980, 140), **ლ. კვაჭაძე** (კვაჭაძე, 1993, 152), **ი. იმნაიშვილი** (იმნაიშვილი, 1956, 453), **რ. გაბეჩავა** (გაბეჩავა, 1971, 631), **ბ. ფოჩხუა** (ფოჩხუა, 1974, 142) და სხვები.

გ. როგავას ვარაუდით, შესაძლოა ქართულშიც არსებობდეს მეგრულის მსგავსი თანაბრობითი ხარისხი. **მე-ე** კონფიქსიანი ზედსართავი სახელები (**მცირე, მჩატე, მკლე, მძიმე, მდარე, მწარე, მლა-შე...** ტიპისა) თანაბრობითი ხარისხის გაქვავებულ ფორმებად არის მიჩნეული (როგავა, 1958, 101).

ა. შანიძის აზრით, „თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართულში გამოყენებულია ზედსართავისაგან **სი-ე** (**სი-ო**) აფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები: **სიმსხო, სისქე, სიმაღლე, სიგრძე** და მისთ., რომლებიც შესადარებელი საგნის სახელს (მეგრ. თანაბრობითი სახელის მსგავსად) ნათ. ბრუნვაში მოითხოვს“ (შანიძე, 1980, 141).

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ოდნობითი ხარისხის ერთი ფორმა, რომელიც ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი **მო-ე** კონფიქსით არის ნაწარმოები:

რამან შექმნა **მოყვითანედ** ვარდ-გიშერი რომე ჰგავსო (605.3),

ი. იმნაიშვილის ვარაუდით, **მო-ე** კონფიქსი თავდაპირველად უფროობითი ხარისხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (იმნაიშვილი, 1956, 457).

პოემაში გვხვდება იმავე (ყვითელ-) ფუძეზე დართული **მო-ო** კონფიქსი ოდნობითი ხარისხის მაწარმოებლად:

ვპოვე ვარდი **მოყვითანო**, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი (1006. 3).

პოემაში არა გვაქვს წა-ო (წა-ყვითლ-ო...) აფიქსებით წარმოებული ოდნობითი ხარისხის ფორმები, რომლებიც ახალ ქართულში გამოიყენება.

უ-ეს კონფიქსით არის წარმოქმნილი უფროობითი ხარისხის ფორმები ძირითადად ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან:

ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა **უყვითლესად-რე** (144.2);

ბროლი და ლალი შევიქმენ მე **ულურჯესი** ლილისა (405.3);

არ სასმენლისა მოსმენა არს **უმჟავესი** წმახისა (905.4);

აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა **უცხელესითა** (935.1)

ნუ ამრუდებ **უმართლესსა**, ნუ წაიწყმედ ამით სულსა (968.3);

უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან (1078.3);

მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა **უმაგრესითა** (1310.4).

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულია „მოყვარე“ ფუძისგან წარმოებული უფროობითი ხარისხის ფორმა:

ვართ **უმოყვრესნი** მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა (160.1).

როგორც ცნობილია, ხარისხის ფორმათა წარმოებისას ზოგიერთ ზედსართავს ჩამოშორდება ბოლოკიდური **-ელ** და **-ილ** მარცვლები: **ბრტყელი — მო-ბრტყ-ო — უ-ბრტყ-ეს-ი; სქელი — მო-სქ-ო — უ-სქ-ეს-ი; ტკბილი — მო-ტკბ-ო — უ-ტკბ-ეს-ი...** „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარადაა ნაწარმოები „გრძელ“ ფუძისაგან მიღებული უფროობითი ხარისხის ფორმა:

მაშინ რალა ვქმნა, ვერ-ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა **უგრძესად-რე** (144.3);

ისრითა მოკვლის ნადირი, როსტომის მკლავ-**უგრძესითა** (200.3);

ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა **უგრძესია** (1588.4).

კეთილი ძველად „კარგს“ ნიშნავდა. მისი უფროობითი ხარისხის ფორმა იყო და დღემდე არის **უ-კეთ-ეს-ი**. ეს უკანასკნელი „ვეფხისტყაოსანში“ არაერთგზის გვხვდება, თანამედროვე ქართულში „კეთილის“ ნაცვლად „კარგი“ დამკვიდრდა: **კარგი — უკეთესი**. „კეთილის“ მნიშვნელობა კი შეიცვალა.

სიცოცხლისა **უკეთესი** რამც მიბოძე, რამც ვივალე?! (140.4);

ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან **უკეთესია** (1228.4);

ძვირფასისა უნავირი, **უკეთესი** თვითო ცხენი (1448.2).

ხუცესი ძველ ქართულში აღნიშნავს „მღვდელს“ ან „სასულიერო პირს (მღვდელი, ეპისკოპოსი)“ საზოგადოდ. წარმოშობით იგი უფროობითი ხარისხის ფორმაა. როგორც ჩანს, ვერ კიდევ წარმართობის

ეპოქაში **ხუცესი** აღნიშნავდა „კულტის მსახურს“, ხოლო შემდგომ ეს სიტყვა „ქრისტიანული რელიგიის მსახურის“ აღსანიშნავად გამოიყენეს (სარჯველაძე, 1997.52).

ა. შანიძე „ხუცესს“ შემდგენიარად შლის: **ხ-უ-ც-ეს-ი**. ძველ ქართულში ხარისხის მაწარმოებელ **უ** პრეფიქსს (IX ს-მდე) წინ უძღოდა **ხ** ან **ჰ**. ამ სიტყვის უძველესი მნიშვნელობა იყო „უფროსი“. მისი ფონეტიკურად შესატყვისი სიტყვები მეგრულსა და სვანურშიც დასტურდება: მ ე გ. **უ-ჩ-ა-ში (უფროსი)**, ს გ. **ხ-ო-შ-ა (უფროსი, დიდი)**. „განმარტობით შემორჩენილმა „ხუცესმა“ დაკარგა თავისი ფუნქცია და მისი თავკიდური **ხ** ფუძეში იქნა გადარიცხული“ (შანიძე, 1980,143).

ამგვარად, **ხუცეს** ფორმაში, უფროობითი ხარისხის შინაარსის გაბუნდოვანების შემდგომ, ამ ფუძემ ხელახლა დაირთო **უ** პრეფიქსი უფროობითი ხარისხის საწარმოებლად: **ხუცესი → უხუცესი**. ეს უკანასკნელი არაერთგზის დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“:

უსამ იყო ქრავნისა **უხუცესი**, კაცი ბრძენი (1039.1);

მე ვარ მეზალე უსენის ვაჭართა **უხუცესისა** (1077.1).

სამსახურსა მიბრძანებდი, **უხუცესი**, ვითა მრწემსა (1649.3).

პოემაში **უმართლესის** პარალელურად წარმოდგენილია „უმართლე“ ვარიანტიც, რომელიც, ფორმის მიხედვით, „უფრო მართალს“ ან „სავსებით მართალს“ უნდა აღნიშნავდეს.

ნუ ამრუდებ **უმართლესსა**, ნუ წაიწყმედ ამით სულსა (968.3);

ზოგთა თქვეს, თუ: „**უმართა**“, ზოგი, ღმერთო, უზრახვიდა (103.4);

მან უბრძანა: რაცა გითქვამს, **უმართლე** ხარ მეტის-მეტად (909.1);

უმართლეა, ვერ-მჭვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს (1170.3).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვა „უარესი“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: „გვაქვს „(მ)-და-რე“ („მდარე ხარისხის საქონელი“), მაგრამ არა გვაქვს მისი საპირისპირო „აღ-რე“. სამაგიეროდ მისგან ნაწარმოებია უფროობითი ხარისხის ფორმა: უ-აღ-რ-ეს-ი (ძირითადად ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება: უაღრესად).

იგივე სიტყვა, **ღ-ს** ამოღებით, **უ-არ-ეს-ის** სახით არის წარმოდგენილი და სხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული, — თითქმის „უცუდესს“ უღრის და ანტონიმია უკეთესისა“ (შანიძე, 1980,142). ამ სე-

მანტიკით ზემოხსენებული ლექსემა, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება:

ვინცა იყო **უარესი**, თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს (71.4);

აწ სოფელმან **უარესი** ჭირი ჭირსა მომისართა (1308.1).

ა.შანიძე შენიშნავს, რომ ნ. მარს უარესი „უ-ა-ვ-რ-ეს-ის-გან“ გამოჰყავდა, ვითომც უფრო **ავ-იო**. არ არის სწორი: „უარესი“ მიღებულია „უალრესისაგან“. სემანტიკური განვითარება „უალრეს“-„უარეს“-ისა ასეთია: **უა(დ)რესი**, ე.ი. **მეტისმეტი** — უპირატესად **ცუდის** თვალსაზრისით. შემდეგ კი საზოგადოდ — უფრო ცუდი (შანიძე, 1980,143).

უარესის პარალელურად პოემაში წარმოდგენილია „უარე“ ვარიანტიც, ასევე **უამესი** — **უამე**, **უნათლესი** — **უნათლე**, **უკეთესი** — **უკეთე**, **უწინარე**, **უპართლე**, რომლებიც უფროობითი ხარისხის ფორმებია. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ უფროობითი ხარისხის სახელს ძველად ბოლოში **მს** სუფიქსი ჰქონდა (**ჰ-უ-მჯობ- მს-ი**), „ეს **მს** ასე დაიშლებოდა: ე- ს, სადაც ორი მაწარმოებელი ერთად იყო შერწყმული. ამათგან **ე** პირველადი იყო და სრულიად საკმარისი, რომ პრეფიქსთან ერთად ხარისხის ფორმა მოეცა“ (შანიძე, 1990,143). როგორც ითქვა, უფროობითი ხარისხის ამგვარ ფორმებს „ვეფხისტყაოსანი“ გვიდასტურებს:

რა **უამეა** პირის-პირ საყვარელისა ჰკრეტასა (490.4);

შინა მოვა, **უარ** გავხე, სხვა დამერთო ჭირი ჭირსა (363.3);

რა **უარეა** მამაცსა სულ-დიდსა, წასვლა-გვიანსა (806.4);

პირი მისი **უნათლეა** სინათლესა ზესთა-ზესა (690.3);

ფრიდონ უთხრა: რასა სდევით? მოგელოდი **უწინარე** (1390. 1);

აწ ვინცა ვიცი **უკეთე** შეტყორცა საგდებელისა (1403.1);

ვინ მზესაცა **უნათლეა**, ასრე ვითა ბროლი ფისსა (1439.4).

საწარმოებელ **უ-ეს** აფიქსთა აქტივიზაციის მეშვეობით არის მიღებული ოკაზიური ფორმა „უცხენმალეს“. **უ-ეს** ხარისხის მაწარმოებელი ერთვის „ცხენმალ“ ფუძეს და სტროფის სარიტმო ერთეულია — ლექსის რითმული სტრუქტურის გამოა მოხმობილი:

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,

იგი პირ-მზე ველარ პოვეს, პირი მათი იფერკმრთალეს,

მათსა დიდსა სიხარულსა სიმძიმელი ანაცვალეს,

ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო **უცხენმალეს** (178).

ასევე რუსთველისეული ოკაზიონალიზმია უფროობითი ხარისხის

შინაარსის მქონე „უფრო დესი“ წარმოება. ეს უკანასკნელიც ლექსის სტრუქტურითაა განპირობებული და სარიტმო ერთეულს ქმნის.

ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი:

ევე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი.

წედან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,

აწ მოყვარე გიპოვნევიარ, დისაგანცა **უფრო დესი** (257).

ხარისხის ფორმათა გადმოსაცემად პოემაში აღწერით ფორმასაც ვხვდებით:

ინდოეთსა ვით მოადდე, **შმაგთაგანცა უფრო შმაგო** (1609.2).

უფროობითი ხარისხი ნაწარმოებია მიმღობისგანაც:

მითხრა: შენ ჩემთვის, დედაო, ხარ **უმჯობესი** დედისა (1150.1).

ახალ ქართულში უფროობითი ხარისხი იწარმოება მიმართებითი ზედსართავებისგანაც (**უ-პატი-ოსნ-ეს-ი**, **უ-მნიშვნელ-ოვან-ეს-ი...**), აგრეთვე რიცხვითი სახელისაგან (**უ-პირველ-ეს-ი**, **უ-მრავლ-ეს-ი**), ზმნისართისგან (**უ-ზენა-ეს-ი**, **უ-აღრ-ეს-ი...**). „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადად ვითარებითი ზედსართავებისა და მიმღობითი ფორმებისაგან წარმოებული ხარისხის ფორმები გვაქვს.

უფროობითი ხარისხის რამდენიმე ფორმა **უ-ოს** (**უ-ო- ს**) კონფიქსითაც იწარმოება. ასეთებია: **უ-ტკბ-ოს-ი**, **უ-მსხ-ოს-ი** (**←უ-მსხ-ო- ს**), **უ-ფრ-ოს-ი** (**←უ-ფრ-ო- ს-ი**), უმცროსი. ამ ტიპის სახელთა მიხედვით, ა. შანიძე, **უ-ს** გარდა (უამე, უნათლე...), **ო-საც** მოიაზრებს ხარისხის მაწარმოებელ პირველად სუფიქსად (შანიძე, 1980, 144), კი ნათ. ბრუნვის ნიშანია.

„მცირე“ ძველად უფროობითად „უმცირეს“ ფორმას გვაძლევდა, მაგრამ მან „უფროსის“ გავლენით **ი** ხმოვანი დაკარგა და „**უმცროსი**“ მოგვცა... „**უმცირეს**“ და „**უმცროს**“ ფორმები ერთმანეთს დაშორდა მნიშვნელობის მხრივ: **უმცირესი** — **მცირეზე** ნაკლები (საზოგადოდ), **უმცროსი** — ხნით ნაკლები („უმცროსი ძმა“)“ (შანიძე, 1980, 142). პოემაში გვხვდება უ-ოს კონფიქსიანი ზემოთ აღნიშნული ფორმები.

ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს **უფროსნი** ბზეთასა (85.2);

ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა **უმსხოსი** მკლავისა (87.3);

მე უხუცესმან **უმცროსთა** კაცი დავსთხოვე ქნებით (211.1);

მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად **უფროსი** ჯარი დგესა (452.2);

თანა წამომყვა, წავედით **უტკბოსნი** მამა-ძეთასა (603.3).

ზარსა სცემდეს, უხაროდა **უფროსსა** და თუნდა მცირსა (680.4). როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსანში“ ზედსართავის ხარისხის ფორმები ძირითადად ხარისხის მაწარმოებელი ფორმანტებით მიიღება, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ხარისხის სახელი აღწერილობა წარმოდგენილი.

პოემაში გვხვდება უფროობითი ხარისხის **უ-ეს, უ-ოს, უ-ე** კონფიქსები. ოდნობითი ხარისხის სახელები ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული **მო-ე**, ასევე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი **მო-ო** კონფიქსებით არის დადასტურებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ახალ ქართულში ოდნობითი ხარისხის მაწარმოებელი **მო-ო** კონფიქსი **მი-ე**-სგან არის მიღებული — „ბაგისმიერი **მ-ს** მეზობლობაში **ი-ს** ქცევა **ო-დ** შეუძლებელი არ უნდა იყოს... სუფიქსი **ო** კი **ე**-საგანაა მიღებული, რაც საშუალება და ახალ ქართულში მომხდარა“ (იმნაიშვილი, 1956). თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, პოემაში წარმოდგენილი **მო-ე** და **მო-ო** კონფიქსებიანი ვარიანტები შესაძლოა სწორედ ამ საფეხურის ამსახველიც იყოს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქართულში **მო-ე** კონფიქსია (**მო-თეთრ-ე**, **მო-მრუმ-ე**, **მო-შავ-ე**) დადასტურებული (სარჯველაძე, 1997, 51) და თუ **მი-ე** **მო-ე** პროცესი, მართლაც, მოხდა, ეს გაცილებით ადრინდელ საფეხურზე უნდა განხორციელებულიყო.

ლიტერატურა

გაბეჩავა, 1971 — რ. გაბეჩავა, ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლაში, თბ; 1971.

ვაშაკიძე, 1991 — თ. ვაშაკიძე, დერივაციულ სახელთა ოკაზიური წარმოების ზოგი საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ; 1991.

ზურაბიშვილი, 1957 — თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, სთსუ შრომები, ტ. 67, 1957.

იმნაიშვილი, 1956 — ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ; 1956.

კვაჭაძე, 1993 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ; 1993.

როგავა, 1958 — გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, იკე, IX-X, თბ; 1958.

შოთა რუსთაველი, 1986 — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ; 1986.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ; 1997.

ტუსკია, 2004 — მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბ; 2004.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ; 1974.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბულებანი, ტ. III, თბ; 1980.

შანიძე, 1986 — ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბულებანი, ტ. V, თბ; 1986.

KETEVAN ZOIDZE

The Forms of Adjective Degrees in "The Knight in the Panther's Skin"

Summary

The study has proved that most of the adjective forms in "The Knight in the Panther's Skin" are derived, only one sample of descriptive type has been attested. The superlative degree is formed with the help of the confixes -u-es, u-os, u-e., whereas the diminutive degree is formed with the help of the Old Georgian formant mo-e as well as its present-day equivalent mo-o. According to the scholarly literature the confix mo-o is the result of the mi-e confix transformation. The paper argues that the poem reflects the gradual process of the newformant formation.

თავარ თვალაჲ

ემოციების კლასიფიკაცია

ემოციური მდგომარეობის კლასიფიკაციას აქვს თავისი ტრადიცია ჯერ კიდევ პ. დეკარტე და ბ. სპინოზა-დან, გამოყოფილი 40 (დეკარტე)-დან 48 (სპინოზა) „სულის ვნებანი“. ძირითადი ემოციების სახეობებს ისინი გამოყოფდნენ შემდეგნაირად: გაკვირვება, სიყვარული, სიძულვილი, სიხარული, მწუხარება, კმაყოფილება, სურვილი, რომელთაგანაც მათი მოსაზრებით, შედგენილია ყველა დანარჩენი „სულის ვნებანი“, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მათ ნაირსახეობას. თანამედროვე მეცნიერებაში მოსაუბრის ემოციების აღნიშვნა, აღწერა, დიფერენციალური მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციების კლასიფიკაციის პრობლემასთან. ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ემოციების ერთიანი უნივერსალური კლასიფიკაცია, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სხვადასხვა წრის ამოცანების გადასაჭრელად. გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით საერთოდ შეუძლებელია ემოციების უნივერსალური კლასიფიკაციის შედგენა და ამიტომ კლასიფიკაცია, რომელიც კარგად ემსახურება ერთი წრის ამოცანების გადაჭრას, აუცილებელია შეიცვალოს მეორით, სხვა წრის ამოცანების გადასაჭრელად, პრინციპულად განსხვავებული პირველიდან (დოგონოვი, 1978)

არსებობს ემოციების მრავალი კლასიფიკაცია, დაფუძნებული სხვადასხვა პრინციპზე, ამასთან ემოციების რაოდენობრივი შემადგენლობა ამ კლასიფიკაციებში ვარირებს რამდენიმე ევრეთ წოდებული „ფუნდამენტური“ ემოციებიდან საკმაოდ განსხვავებული სიის ემოციებამდე, რომელიც ოცდაათამდე დასახელებას ითვლის. ამდენად, ფსიქოლოგები, რომლებიც ეყრდნობიან ემოციების ინფორმაციულ თეორიას, გვთავაზობენ ემოციების კლასიფიკაციას მოთხოვნილების მიხედვით, ადრე არსებულ პროგნოზთან მოქმედების ხასიათისა და ინფორმაციის დეფიციტის შედარებით დაკმაყოფილების შესაძლებლობით და გამოყოფენ ფუნქციონალური ემოციების 4 წყვილს:

კმაყოფილება—უკმაყოფილება, სიხარული—მწუხარება, თავდაჯერებულობა—შიში, ზეიმი—დაფრთხობა. ემოციების კლასიფიკაციის საფუძველს ფასეულობათა თეორიის თვალსაზრისით წარმოადგენს ემოციების დაჯგუფება მოთხოვნილების მიხედვით, რომელთა მომსახურებისათვისაც იყვნენ თავდაპირველად განსაზღვრულნი. ასეთი მიდგომა განიხილება არა ყველა ემოციებზე, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც ადამიანთა აზროვნებაში წარმოადგენენ „ფასეულ“ განცდებს, ანუ ის ემოციები, რომლებშიც სუბიექტი ყველაზე ხშირად განიცდის წინასწარ ტკბობის მოთხოვნილებას, რომელიც იქმნება შესრულებული ქმედების მოტივირებული ძალით. ყველაფერი ეს ან „დადებითი“ ემოციებია, ან ისეთები, რომლებიც ამბიციურად განიცდიან მოცემული შემადგენლობის ქმედებებს. თუმცა ამ სფეროდან გამოდის ისეთი ემოცია, როგორცაა შური, შურიან ადამიანებზეც არ შეიძლება ითქვას, რომ მათ მოსწონთ შურიანობა (დოგონოვი 1978). წინამდებარე კლასიფიკაცია გარკვეულწილად შეზღუდულია, რამდენადაც არ არის შესაძლებლობა მივაკუთვნოთ რომელიმე გამოყოფილ „ფუნდამენტურ“ ჯგუფს ისეთი განსაკუთრებული და ადამიანების ხშირად გამოვლენილი ემოციები, როგორცაა გაკვირვება, ინტერესი-მღელვარება, სირცხვილი და ა.შ. როდესაც ისეთი ემოციები, როგორცაა კმაყოფილება და სიხარული წარმოადგენენ საკმაოდ დაკავშირებულს ერთმანეთთან.

გარდა ფსიქოლოგების მიერ ფსიქოლოგიური მეცნიერების კრიტიკურობისა და მეთოდების საფუძველზე შედგენილი ემოციების კლასიფიკაციისა, არსებობს ემოციების კლასიფიკაცია ბაზირებული ლინგვისტური მეცნიერების მონაცემებზე. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ემოციები უკვე განსაზღვრული სახით მოდელირებული და კლასიფიცირებულია ენაში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, და ამიტომ ლინგვისტიკაში მიღებული იქნა ცდები ემოციების კლასიფიკაციისა ემოციების აღმნიშვნელი ლექსიკის კლასიფიკაციის საფუძველზე.

ნ. დოგონოვი განიხილავს ზმნა ემოციების სემანტიკურ ველს ინგლისურ ენაში.

სემანტიკაში მოქმედი ენობრივი პროცესის შეზღუდვის შესაბამისად, ყოფს ამ ველს ოცდაათ ქვერივად, ოცდაათ კერძო სემანტიკურ ჯგუფად, რომელიც ხასიათდება სახეობრივი სემანტიკური გაერთიანებით, ამავდროულად სარგებლობს ფსიქოლოგიაში აღწერილი ემოცი-

ბის სახეობების ნომენკლატურით. ფსიქოლოგიაში მიღებული კლასიფიკაციის ნაკლოვანებას წარმოადგენს გაუმართლებელი არსი ემოციების ამგვარი დაყოფისა, რის შედეგადაც ცალკეულ ჯგუფებში ზედებიან ისეთი ხასიათით მსგავსი ემოციები, როგორცაა „შიში“, „დაფრთხობა“ და „საშინელება“; „დარდი“, „ნაღველი, წუხილი“, „ბრაზი“, „წყენა“ და სხვა (იზრაკი, 1980). ამიტომაც ფსიქოლოგები ამბობენ, რომ არ შეიძლება ემოციების კლასიფიკაცია შეიცვალოს „სიტყვიერი იარაღების“ კლასიფიკაციით., რომლითაც ადამიანები სარგებლობენ მათ აღსანიშნავად. იმის შედეგად, რომ ემოციების სიტყვიერი ნიშნები ხშირად აღნიშნავენ არა მთლიან განცდას, არამედ მხოლოდ მის განსაზღვრულ, განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატულ თვისებას, მაგალითად, ძლიერი დადებითი ინტენსიური გრძობის (ალტაცების) თვისებას, ან პირიქით, ერთი ცალკეული სიტყვის ქვეშ შეიძლება იმალებოდეს არა ცალკეული ემოცია, არამედ საკმაოდ ძლიერი კონგლომერატი (მაგალითად, ეჭვიანობა). გარდა ამისა, „ემოციების ლექსიკონი“ სხვადასხვა ენაში ერთნაირი არ არის, თუმცა არ არსებობს არანაირი განცდა, რომელიც მისაღებია ერთი ნაციონალიზმისათვის და მიუღებელია სხვებისათვის (გალპერინი, 1972).

ფსიქოლოგიაში ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს ემოციებს სამი კომპონენტის საფუძველზე, ესენია: სპეციფიკური შინაგანად დეტერმინირებული ნეიროფიზიოლოგიური ფუნქციონირება, მიმიკური ან ნერვულ-კუნთოვანი გამომსახველობითი კომპლექსი და გამორჩეული სუბიექტური განცდები. ყოველი ფუნდამენტური ემოცია წარმოადგენს სისტემას, რომელიც წარმოქმნილია ამ სამი კომპონენტიდან და მათი ურთიერთ ზემოქმედებიდან. ამ საფუძველზე ემპირიულად იდენტიფიცირებულია და აღწერილია ათი ფუნდამენტური ემოცია: ინტერესი—მღელვარება, სიხარული, გაკვირვება, დარდი—მწუხარება, დაფრთხობა, ზიზღი, სიძულვილი, შიში, სირცხვილი, დანაშაული (იზრაკი, 1980).

ყველა განხილული ემოციების კლასიფიკაციებიდან უკანასკნელი გამოირჩევა შედარებით ობტიმალური რაოდენობის გამოყოფილი კატეგორიებით და სრულყოფილად მოიცავს შესაძლებელ ემოციურ მდგომარეობებს.

საერთოდ მიღებულად ითვლება მოსაზრება, რომლის თანახმადაც ემოციები, რომლებიც გამოსახავენ მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, განუყრელ კავშირში არიან შეფასებასთან. რომელიც

წარმოგვიდგება როგორც რეაქცია სუბიექტისა ობიექტზე შესაბამისად განსაზღვრული ნორმის ჭრილში და ორგანიზდება ოპოზიციის გარშემო სწორი—არასწორი, კარგი—ცუდი, სასიამოვნო—არასასიამოვნო (გაკი, 1986). თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ემოცია შეფასების გარეშე, მაგალითად, გაკვირვება. ცხადია, სიტუაციიდან გამომდინარე გაკვირვება იქნეს ან დადებით, ან უარყოფით შეფასებით ნიშანს, და ამგვარად ყოველ კონკრეტულ რეალიზაციაში ემოციებს თან ახლავს შეფასებები.

შეფასებითი ნიშნიდან გამომდინარე ემოციები იყოფიან დადებითად და უარყოფითად, ზოგჯერ ამ დაყოფაში რთავენ ამბივალენტურ ამბიციებს ანუ ისეთ ამბიციებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ შეფასების ნიშანი. ემოციების მოცემული დაყოფის შესახებ კ. იზრაკი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნას, იმ როლიდან გამომდინარე, რომლითაც ემოციები თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში, წარმოადგენენ რა მისი მოქმედების მოტივირებულ საფუძველს. ამ თვალსაზრისის მიხედვით შიშის ემოცია, რომელსაც ზოგიერთ სიტუაციაში შეუძლია ხელი შეუწყოს დამანგრეველი აგრესიულობის რეგულაციას და სოციალური წესრიგის გამტკიცებას, არ შეიძლება განსჯის გარეშე განვიხილოთ როგორც უარყოფითი. ჩვენ კი ვყოფთ რა ემოციებს დადებითად და უარყოფითად, გამოვდივართ სუბიექტის ობიექტზე ზემოქმედების არსიდან, რაც წარმოადგენს ემოციის მიზეზს და, შესაბამისად, არ ვითვალისწინებთ იმ დადებით ან უარყოფით როლს, რომელიც შეიძლება შეასრულოს ამ ემოციამ როგორც ერთი ადამიანის ცხოვრებაში, ისე მის გარშემო მყოფ ადამიანთა ცხოვრებაში.

ჩემი მიზანია, გამორჩეული სუბიექტური განცდების კომპონენტის საფუძველზე, არსებული კლასიფიკაციის ფუნდამენტური ემოციებიდან განვიხილო განსაკუთრებული სახის ემოციები. მათ მივაკუთვნებ ამბივალენტურ ამბიციას, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ შეფასების ნიშანი. ადამიანის სულიერი მდგომარეობის შეცნობა შესაძლებელია მის გარშემო არსებული სუბიექტური თუ ობიექტური მოვლენებისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატულების საფუძველზე. შესაძლებელია ადამიანი განაწყენებული იყოს მომხდარი ფაქტის (ქმედების) შედეგად და მან ეს განცდა უნებლიეთ გადაიტანოს მომავალში მოსახდენი ფაქტის (ქმედების) შესაცნობად, რაც თავისთავად გამოირიცხავს რეალურ შედეგს. ეს მოვლენა უნდა ავხსნათ როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლა ობიექტურ მოვლენაზე, ანუ გა-

მალიზიანებელ ფაქტორზე რეაქციის შედეგად წარმოშობილი ემოცია წინასწარ განსაზღვრავს მომავალში შესაცნობი რეალობის შინაარსს. მაგალითად, ახალგაზრდა ქალი, რომელიც განაწყენებულია მამაკაცის ქმედებაზე, ამოიხრებს (უპ, აღარ შევხვდები) და ამბიციურად გამოხატავს რა ემოციას, წინასწარ ახდენს მომავალი ფაქტის შეცნობას უარყოფითად და არ ითვალისწინებს ამ ემოციის დადებით თვისებას, რომელსაც შეუძლია საერთოდ შეცვალოს მისი ცხოვრება. მკვლევართა აზრით, ემოციებს თან ახლავს შეფასებები, თუმც არსებობს მოსაზრებაც, რომ შესაძლებელია ემოცია შეფასების გარეშე. ზემოთ მოყვანილი სიტუაციიდან გამომდინარე აღნიშნული ემოცია შეიძლება განხილული იქნას როგორც ემოცია შეფასების გარეშე. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ობიექტის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად აღშფოთებული სუბიექტი განცდას ასე გამოხატავს „ოი, ეს რა ქნა, მოგვლავ!“. სუბიექტს არა აქვს გაცნობიერებული ემოციის გამოხატვის მოსალოდნელი რეალური შედეგი. მისი ემოციური რეაქცია არ შეიცავს რეალურ აზრობრივ დატვირთვას. იგი წარმოგვიდგება როგორც რეაქცია სუბიექტისა ობიექტზე შესაბამისად განსაზღვრული ნორმით და ორგანიზდება მის გარშემო შეიძლება — არ შეიძლება და სწორი — არასწორი მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ემოცია განვიხილოთ შეფასების გარეშე. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგ მაგალითზეც: ფირმის წარმომადგენლები განიხილავენ ახალ წინადადებას. საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები, ფირმის დირექტორი, რომელიც ეჭვობს წინადადების მართობრიობაზე, გამოხატავს ემოციას „ვაი, რომ არ გაამართლოს?“ და ცდილობს მოძებნოს დამცავი მექანიზმი მოსალოდნელი კრახის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაშიც ემოცია წარმოგვიდგება როგორც რეაქცია სუბიექტისა ობიექტზე შესაბამისად განსაზღვრული ნორმით და ორგანიზდება მის გარშემო კარგი — ცუდი და სწორი — არასწორი მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ემოცია განვიხილოთ შეფასების გარეშე. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგ მაგალითზე: სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ მოწმეს მსჯავრდებულის ახლობელი ირონიით მიმართავს — „ოჰ, თქვენც მობრძანდით?“ თუმც მან არ იცის როგორ ჩვენებას მისცემს მოწმე და როგორ იმოქმედებს მისი ჩვენება სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ შემთხვევაშიც სუბიექტი ვერ აცნობიერებს ემოციის გამოხატვის მოსალოდნელ შედეგს და იგი წარმოგვიდგება როგორც რეაქცია სუ-

ბიექტისა ობიექტზე შესაბამისად განსაზღვრული ნორმით და ორგანიზდება მის გარშემო კარგი — ცუდი და სასიამოვნო — არასასიამოვნო მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ემოცია განვიხილოთ შეფასების გარეშე.

ჩვენ განვიხილეთ ემოციების — წყენა, აღშფოთება, ეჭვი და ირონია, ისეთი სახეები, რომლებიც მიეკუთვნებიან ამბივალენტურ ამბიციებს, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ შეფასების ნიშანი. ცხადია, კონკრეტულ რეალიზაციაში ემოცია შეიძენს დადებით ან უარყოფით შეფასებით ნიშანს და მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ემოციები, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, განუყრელ კავშირში იმყოფებიან შეფასებასთან.

ლიტერატურა

- გაკი, 1986** — Гак В. Г. “Прагматика и грамматика речи” М. 1986.
გალპენიო, 1973 — Гальперин И. Р. “Очерки по стилистике английского языка”. М. “Наука” 1973.
დოგონოვი, 1978 — Догонев Г.И. “Эмоция как ценность”. М. “Наука” 1978.
იზრაკი, 1980 — Израк К. “Эмоции человека.” М. “Наука” 1980
შახოვსკი, 1990 — Шаховский В. И. “Емотивная семантика слова как коммуникативная сущность” М. 1990.

TAMAR TVALADZE

კატარინე თოფურია

Classification of Emotions**Summary**

The paper deals with psychological and linguistic classification of emotions. As is known, emotion words express man's sensitivity towards a particular situation, they reflect the individual's spiritual and psychological states. The emotional state implies the existence of evaluation; it is based on three interrelated components: internal orientation, feelings towards a particular situation and the expression of evaluation. The paper examines positive and negative emotions as well as the emotions accompanied by no evaluation at all.

Special emphasis is placed upon the so-called ambivalent emotions (doubt, resentment, irony). The paper argues that emotions may change from positive to negative depending upon the context.

სამეცნიერო სტილის სპეციფიკური ბუნება

ენის სტილისტური სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ენებზე მოსაუბრე ხალხის ცხოვრების პირობებთან და მათ ისტორიასთან.

ზღვარი სტილებს შორის ვერ იქნება მკვეთრი, მაგ.: ორატორულ სტილს შეიძლება ჰქონდეს ბევრი საერთო პუბლიცისტურ სტილთან. ამ უკანასკნელთან კი ძალიან ახლოსაა სამეცნიერო ტექსტების სტილი.

ენის ყოველი სტილი ხასიათდება განსაზღვრული სტილისტიკით სინტაქსა და ლექსიკასთან.

როცა ფუნქციონალურ სტილებზე საუბრობენ, ჩვეულებისამებრ, მეტი ყურადღება ეთმობა მათ განმასხვავებელ თავისებურებებს, იმ სპეციფიკურს, რაც მათ თავისთავადობას ქმნის. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღნიშნულ სტილებს შორის „ჩინური კედელი“ არ არსებობს. ჯერ ერთი, მათთვის საერთოა ძირითადი ენობრივი რესურსები (სიტყვები, წინადადებები, მეორე მხრივ, თითქმის არ არსებობს ისეთი ენობრივი გამომხატველობითი ფორმა. რომელიც ერთ სტილს ეკუთვნოდეს და დანარჩენში არ გამოვლინდეს. ამდენად, აქ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ნიშანთა დომინანტებზე იყოს საუბარი ან თუ იმ სტილის ფარგლებში.

ყველა ჟანრის ტექსტში სხვადასხვა სტილისტური ფიგურები შეიძლება ფუნქციონალური სტილის ელემენტებად მოგვევლინოს.

ფუნქციონალურ სტილს სრულყოფილი, განვითარებული სისტემა აქვს. კერძოდ, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური სტილები: პოეტური, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური და სასაუბრო.

თანამედროვე სამეცნიერო სტილის დიაპაზონი მეტად ფართოა როგორც „რაოდენობრივი“ (დარგობრივი მრავალფეროვნება), ისე თვისებრივი (პროფესიული ენების მრავალფეროვნება) თვალსაზრისით.

სით. რამდენადაც უახლესმა სამეცნიერო-ტექნიკურმა ცივილიზაციამ განუხაზღვრელი მასშტაბები შესძინა ცალკეულ მეცნიერებათა დიდფრენციურებულსა და გაღრმავებულ განვითარებას.

სამეცნიერო სტილის ფუნქციონირების სფეროებია: სამეცნიერო შრომა, გამოკვლევა, სახელმძღვანელო, საგნის ან მოვლენის აღწერა, ანალიზი, მსჯელობა, დასკვნა, რეცენზია, ლექცია და სხვა.

სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- სპეციალური ლექსიკის, ტერმინოლოგიის მიზანმიმართული გამოყენება;

- ენის სიმშრალე და ლაკონურობა;

- ცნებითი სიზუსტე და ერთმნიშვნელობა; სიტყვები ატარებენ არა კონკრეტულ, არამედ განზოგადებულ, ცნებით შინაარსს (ხშირია აბსტრაქტული სახელების გამოყენება):

- სტატისტიკური და სხვა აღრიცხვითი მონაცემების საგანგებო წარმოჩენა;

- ზმნების ნაკლებობა;

- ტექსტის ლოგიკური განვითარება, მსჯელობა;

- ტექსტის მტკიცებითი ხასიათი;

- აზრის გადმოცემის ობიექტურობის დაცვა, მაქსიმალური შეზღუდვა სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლენისას;

- მაქსიმალური შეზღუდვა მხატვრული სტილის ელემენტებისა (შეღებვა, ეპიტეტი, მეტაფორა).

სამეცნიერო ტექსტის დანიშნულება ყოველთვის ერთნაირი არ არის. თუ სამეცნიერო ხასიათის ტექსტის ობიექტსა და განსაკუთრებით, აღრესატს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია, სამეცნიერო სტილის ქვესახეობებიც გამოიყოს: საკუთრივ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარული. მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის, მაგრამ ბოლო ორი იმით გამოირჩევა, რომ მათში ძირითადი სტილისტიკური მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია და მეტი გასაქანი ეძლევა სამეტყველო ენის უფრო მისაწვდომი ლექსიკისა და სინტაქსის გამოყენებას.

განმასხვავებელი ნიშნები თითოეული სტილისა დამოკიდებულია მის სოციალურ დანიშნულებაზე და იმ ენობრივი ფუნქციების კომბინაციაზე, რომელიც წარმოიქმნება კომუნიკაციის აქტის დროს.

სინტაქსური სტრუქტურა უნდა იყოს ზუსტი, შევსებული და სტერეოტიპული, სამეცნიერო ტექსტის ნიმუშად მოვიყვანოთ ნაწყვე-

ტი რობერტ ვინესის წიგნიდან (1894-1964) „კიბერნეტიკა და მართვა ძრავაში“. ნაწყვეტი აღებულია თავიდან, რომელშიც ავტორი გვიჩვენებს ისტორიას სხვადასხვა ეპოქაში როგორ იზრდება ადამიანის ოცნება ავტომატურ მექანიზმზე, მსჯელობას მკითხველი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ჩვენს დროში ავტომატების კვლევა წარმოადგენს კავშირს ტექნიკის წარმონაქმნსა და ღია მოპოვებას შორის, ხარვეზების რაოდენობა, ინფორმაციის რაოდენობა, კოდირების მეთოდები და ა. შ. ვინერი ამტკიცებს, რომ ავტომატები და ბიოლოგიური სისტემა შეიძლება აიტაცო ერთ თეორიად და ავტომატური მექანიზმების შედგენა უნდა ხდებოდეს ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე დაყრდნობით, ე. ი. ინფორმაციის გადაცემის პრინციპებისა და ცოცხალ ორგანიზმებში მართვის პრინციპებზე დაყრდნობით.

Today we are coming to realize that the body very far from a conservative system, and that its component parts work in an environment where the available power is much more limited than we have taken it to be. The electronic tube has shown us the system with an outside source. (Norbert Wiener 1961, 70)

განხილული პასაჟი გვიჩვენებს ბევრ სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელ მრავალ თვისებას, თუმცა უდავოა, რომ მეცნიერის განუმეორებელი ინდივიდუალობა აისახება ენაზეც, ამცირებს სტერეოტიპულობას და აახლოებს ტექსტს მხატვრულ ტექსტთან. სამეცნიერო სტილში უპირატესობა ვნებით გვარს ენიჭება, სადაც აუცილებლად ნაჩვენებია მოქმედების შემსრულებელი და ასევე უპირო ზმნები, ნაცვლად **I use the same notation as previously** წერენ **The notation is the same as previously used.**

ამგვარად, სამეცნიერო სტილი დამახასიათებელია ტექსტებისათვის, რომლებიც განკუთვნილია რომელიმე სპეციალური სფეროდან ზუსტი ინფორმაციის მისაწოდებლად და შემეცნების პროცესის დასამტკიცებლად. მეცნიერების ნებისმიერი სფერო კვლევის კვალდაკვალ ავითარებს მიზნობრივი ენის ტერმინოლოგიასა და გრამატიკულ სტრუქტურას კვლევის საგანთან და მეთოდთან შესაბამისობაში, რასაც სამეცნიერო სტილის განვითარება განსაკუთრებულ რაკურსში გადაჰყავს.

ლიტერატურა

ბენფილდი, 1973 — Banfield A. Narrative style and the grammar of direct and indirect speech, Foundations of language, 1973

ჩომსკი, 1976 — Chomsky N. Reflection on Language, Maurice Temple Smith, 1976

ენკვისტი, 1964 — Enkvist N. E. On defining style, 1964

გიგლიოლი, 1973 — Giglioli, P. P. Language and social Context, Harmondsworth, Penguin, 1975

ომენი, 1971 — Ohmann R. Speech action and Style, 1971

EKATERINE TOPURIA

Towards the Specific Nature of Scientific Style

Summary

The paper deals with the specificity of scientific style from the standpoint of functional stylistics. The emphasis upon precisely conveyed factual information in a certain field of scientific cognition determines grammatical as well as terminological peculiarities of the style in question, making it distinct from any other functional style.

ციცინო კვანტალიანი

კარ და კიდ ზმნური ფუძეები და მათთან დაკავშირებული ზმნისწინები

კარ და კიდ ზმნური ფუძეები დაირთავენ შემდეგ ზმნისწინებს: **ა-, ამო-, გა-, გადა-, გადმო-, გამო-, და-, მი-, მო-, შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, წა-** და **წამო-**. **კარ** და **კიდ** ზმნურ ფუძეებთან სხვადასხვა ზმნისწინით განსხვავებული მნიშვნელობები გამოიკვეთა.

ზმნური ფუძის განსხვავებული მნიშვნელობები იწარმოება როგორც სხვადასხვა ზმნისწინით, ისე ერთი ზმნისწინის სხვადასხვა ქცევის ან გვარის ფორმებში. ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს, რომ საჭიროა ყველა იმ ზმნური ფუძისა და მასთან დაკავშირებული ზმნისწინების შესწავლა, რომლებშიც ზმნისწინი ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობებს აწარმოებს.

საინტერესო სურათი იკვეთება, როდესაც რომელიმე კონკრეტულ ზმნისწინიან ფორმებში რამდენიმე პოლისემიური მნიშვნელობა იწარმოება. როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ზმნის ფორმები ასხვავებს ლექსიკურ მნიშვნელობებს ქცევების მიხედვით. გვაქვს, ერთი მხრივ, **აჰკრავს, ამოჰკრავს, გაჰკრავს, დაჰკრავს**, მეორე მხრივ, **ააკრავს, ამოაკრავს, გააკრავს, დააკრავს, აუკრავს, გაუკრავს, შეკრავს, გაიკრავს** და სხვა ფორმები.

ერთი ზმნისწინით გამოცემული ზმნური ფორმები განასხვავებს მნიშვნელობებს, მასდარი კი ყველაფერ ამას, ზმნური ფორმებით გამოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობას, ერთად უყრის თავს, ერთ ბუდეში აერთიანებს, თითქოსდა განსხვავებული მნიშვნელობები მასდარიდან გამოდიოდეს და სხვადასხვა ქცევისა და გვარის ფორმებში ნაწილდებოდეს.

და საერთოდ, როდესაც ზმნისწინის სიტყვაწარმოებით დანიშნულებაზე საუბარი, არ შეიძლება ესა თუ ის ზმნისწინი განვიხილოთ იზოლირებულად, მხოლოდ ზმნური ფორმების მაგალითზე. აუცილებელია მისი სახელზმნური ფორმების შესწავლა, რადგან სხვა-

დასხვა ქცევის ერთი ზმნისწინით გადმოცემულ პოლისემიურ მნიშვნელობებს მასდარი ერთად კრებს, თითქოსდა აერთიანებს. ეს უზმნისწინო ფორმებშიც შეიმჩნევა, მაგრამ უზმნისწინოდ სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოცემა უფრო მწირია, ზმნისწინიან ფორმებში კი მეტი მრავალფეროვნებაა, ზმნისწინით უფრო მეტი მნიშვნელობა გადმოიცემა.

ამჟამად ცალ-ცალკე არ განვიხილავთ **კარ** და **კიდ** ზმნურ ფუძეებთან დაკავშირებულ ყველა ზმნისწინს, გამოვყოფთ მხოლოდ განსხვავებულ მნიშვნელობებს.

ა- ზმნისწინით **კარ** ზმნურ ფუძესთან იწარმოება **აჰკრავს, ააკრავს, აიკრავს, აუკრავს** მოქმედებითი გვარის ზმნები, **აეკვრება, აიკვრება** — ვნებითი გვარის ფორმები, მასდარი — **აკვრა, მიმღეობა — აკრული, ასაკრავი**.

თვითონ **ა-** ზმნისწინიან ფორმებში გამოიყოფა სამი მნიშვნელობა: აკრავს; აჰკრავს:


1. ქვემოდან რაიმეს მიაბამს, მიაწებებს: ფანჯარას ქალაღლი **ააკრეს**; კედელზე ააკრეს; კედელს **აეკრა**;

მტვერი **აიკრა**.

2. ქვემოდან ზემოთ აარტყამს: ხელი **აუკრა**; თათი **აჰკრა**.
3. თოკით, თასმით ან მაგარი ქსოვილით გადაახვევს, რაიმეს აფარებს.

წინსაფარი **აიკრა**, მკერდი **აიკრა**.

მასდარი **აკვრა** ზმნური ფორმებით გადმოცემულ მნიშვნელობებს შეიცავს:



მიმღეობა **აკრულიც** აერთიანებს ამ მნიშვნელობებს:

- აკრული** არის 1. რაც ააკრეს
2. რაც აჰკრეს
3. რაც აიკრეს


შედარებით მარტივად გვაქვს საქმე **ამო-** ზმნისწინიან ფორმებთან. **ამო-** ზმნისწინით იწარმოება **ამოჰკრავს, ამოაკრავს, ამოიკ-**

რავს, ამოუკრავს, ამოეკვრება ფორმები (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ფორმებია დადასტურებული. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონში დამატებულია **ამოიკვრება** ფორმაც).

ამო- ზმნისწინიან ფორმებში გამოიყოფა ორი მნიშვნელობა:

1. ქვევიდან ამოარტყამს: ფეხს ამოჰკრავს.
2. შიგნიდან გამოაწებებს, ქვევიდან მიაკრავს: ჩანთას სარჩული ამოაკრა.

მასდარი **ამოკვრა** ორივე ამ მნიშვნელობას აერთიანებს:




ასევე მიმღეობა **ამოკრულიც**:

- ამოკრული არის 1. რაც ამოჰკრეს
2. რაც ამოაკრეს.

გა- ზმნისწინით იწარმოება ზმნური ფორმები: **გაჰკრავს, გააკრავს, გაიკრავს, გაუკრავს, გაეკვრება**. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონში დამატებულია **გაიკვრება** ფორმაც. ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელობა:

1. რაიმეზე დაამაგრებს, დააწებებს: განცხადება გააკრეს; კარებთან წარწერა გაიკრა.
2. მოახვედრებს, მსუბუქად გაარტყამს: მხარი გაჰკრა; საყვავილეს ხელი გაგკარი; მუჭლუგუნის გაჰკრა.
3. შეიხვევს, შეიკრავს: გაიკრა წელი; გაუკრავს მოტეხილობას; მაგრად გაიკრა შუბლი.
4. გადატ. გაიელვებს, გაირბენს: წყენამ გაჰკრა; ფიქრმა გამკრა.

მასდარი **გაკვრა** სამივე, ძირითად მნიშვნელობას მოიცავს:



ასევე მიმღობაც:

- გაკრული** არის
1. რაც გააკრეს
 2. რაც გაჰკრეს
 3. რაც გაიკრეს

გაკრული ხელი — ნაუცბათევი, ნაჩქარევი ხელწერა

გადა-ზმნისწინით **კარ** ზმნურ ფუძესთან 4 მნიშვნელობა გადმოიცემა: გადააკრავს; გადაჰკრავს:

1. გადააფარებს, გადააფენს, გაუკეთებს: გადააკრავს: დივანს ახალი პირი გადააკრა; ტბას თხელი ყინული გადაეკრა.

2. სრულიად განსხვავებულია მეორე მნიშვნელობა: უცებ, სულ-მოუთქმელად დაღვეს:

არაყი გადაკრა.

უზმნისწინოდ ეს მნიშვნელობა არ გადმოიცემა.


3. მოქნილ, ელასტიკურ საგანს მაგრად დაარტყამს, მოახვედრებს:

მათრახი გადაჰკრა; ჯოხი გადაჰკრა. გადატ. **სიტყვა გადაუკრა** - მიანიშნა. ალბათ უპრიანია ეს შესიტყვება აქ გამოიყოს.

4. გადატ. დაეტყობა, დაემჩნევა:

ღიმილი გადაჰკრავდა, სიწითლემ გადაჰკრა.

მასდარი **გადაკვრა** გადმოსცემს ყველა ამ მნიშვნელობას:



მიმღობა **გადაკრულიც** ამ მნიშვნელობებს მოიცავს;

- გადაკრული არის
1. რაც გადააკრეს
 2. რაც გადაკრა
 3. რაც გადაჰკრეს
 4. რაც გადაიკრა
 5. რაც გადაუკრეს

ძალიან საინტერესოა სურათს ვგაძლევს **და-** ზმნისწინიანი ფორმები. აქ გამოიყოფა 4 მნიშვნელობა:

1. რაიმეზე დაამაგრებს, დააწებებს: კაბას სამშვენისები დააკრა; ბოთლებს ეტიკეტები დააკრა.

2. უცებ დაარტყამს:

მიწას ფეხი დაჰკრა; ხელზე ხელი დაჰკრა.

3. გადატ. უცებ შეიცვლება, დადგება:

ყინვამ დაჰკრა; მზის დაკვრა.

4. ოდნავ დაეტყობა:


ცუდი ფერი დაჰკრავს; სუნი დაჰკრავს.

ვფიქრობთ, ცალკე დამოუკიდებელი მნიშვნელობაა **დაუკრავს** ფორმა, რომელიც უმეტესად საობიექტო ქცევის ფორმით გადმოიცემა:

დაუკრავს — საკრავს ააუღერებს, ბგერებს გამოსცემს:

გიტარა დაუკრა; პიანინო დაუკრა.

მასდარი ყველა ამ მნიშვნელობას მოიცავს:



ვფიქრობთ, აქ ომონიმური მნიშვნელობაა, ერთი ზმნისწინის ფორმებში განსხვავებული მნიშვნელობებია.


საინტერესოა **შე-**ზმნისწინიანი ფორმები. გამოიყოფა 2 მნიშვნელობა;

1. თოკით, თასმით და ა.შ. შეაერთებს, გადაახვევს; წიგნები შეკრეს; პატიმარს ხელები შეუკრეს. უზმნისწინოდ — ხელებს უკრავს, წიგნებს კრავს.
2. იგივეა, რაც შეიბნევეს: პალტო შეიკრა; ზონარი შეიკრა. უზმნისწინოდ — ზონარს იკრავს.

აქ საკმაოდ ბევრია შესიტყვებები:

კამარა შეკრა; შუბლი, წარბი შეიკრა; პირი შეკრეს; კუჭი შეიკრა.

მასდარი **შეკვრა** გადმოსცემს ორივე ზმნურ მნიშვნელობას:



- მიმღობა **შეკრული** არის
1. რაც შეკრეს (ხელები)
 2. რაც შეიკრეს (პალტო, ხალათი).

შეკრული შუბლი - შესიტყვებაა.

ჩა-ზმნისწინიც საინტერესო ფორმებს აწარმოებს:

ჩაჭკრავს სამივე ზმნური ფორმა მნიშვნელობით განსხვავებულია.

ჩააკრავს

ჩაიკრავს

1.რაიმეში ჩაამაგრებს, ჩააწებებს

ალბომში სურათი ჩააკრა; თონეში პური ჩააკრა.

ეს მნიშვნელობები უზმნისწინოდაც აქვს ზმნურ ფუძეს: პურს აკრავს.


2.ხელს, ფეხს უნებლიეთ რაიმეში ჩაარტყამს:

ტალახში ფეხი ჩააკრა.

3.იგივეა, რაც ჩაიხუტა:

გულში ჩაიკრა; მკერდში ჩაიკრა. უზმნისწინოდ: გულში იკრავს.

მასდარი **ჩაკვრა** სამივე მნიშვნელობას შეიცავს: **ჩაკვრა** არის ჩამაგრებაც, ჩარტყმაც, ჩახუტებაც.



მიმღეობა **ჩაკრულიც** არის 1. რაც ჩააკრეს
2. რაც ჩაჭკრეს
3. ვინც / რაც ჩაიკრეს.

ჩამო- ზმნისწინით განსხვავებული მნიშვნელობა იწარმოება: ქვევითკენ დაარტყამს, ჩამოქნევით დაჭკრავს:

სიმებს თითები **ჩამოჭკრა**; ზარი **ჩამოკრეს**.

მასდარიც ამავე მნიშვნელობას გადმოსცემს: ჩამოკვრა სიმების, ზარის. უზმნისწინოდ ეს მნიშვნელობა არ იწარმოება. უფრო სწორად რომ ვთქვათ: **ჩამო-** ზმნისწინიან ფორმებს აწმყო არ ეწარმოება.

წა- ზმნისწინით **კარ** ზმნურ ფუძეს ორი მნიშვნელობა ეწარმოება:

1. მსუბუქად დაარტყამს. აქ უნებლიე მოქმედებაც ჩანს:


ფეხი **წაჭკრა**; ღოჭზე ხელი **წაეკრა**.

უზმნისწინოდ ეს მნიშვნელობა არ გადმოიცემა.

2. რაიმეს მაგრად მოიხვევს:

თავშალი **წაიკრა**.

ორივე ეს მნიშვნელობა მასდარითაც გადმოიცემა:



რაც შეეხება მიმღეობას, მხოლოდ მეორე მნიშვნელობაა გადმოცემული:

წაკრული თავშალი.

წამო- წმნისწინით ერთი მნიშვნელობა გადმოიცემა: რაღაცას წამოსდებს, წამოარტყამს:

ლარნაკს ხელი წამოჭკრა; ქვას ფეხი წამოჭკრა.

ასეთივე დამოკიდებულებაა **კიდ** ფუძის ზმნურ და სახელზმნურ ფორმებში. ეს ზმნისწინები ამ ზმნურ ფუძესთან განსხვავებულ მნიშვნელობებს აწარმოებს: **აჭკიდებს, გაკიდებს, გადაკიდებს, დაკიდებს, მოჭკიდებს, მოუკიდებს, მოეკიდება, შეკიდებს, ჩაჭკიდებს, აჩამოკიდებს, წაჭკიდებს, წამოიკიდებს** და სხვა.

განვიხილოთ რამდენიმე ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები და მათი მნიშვნელობები

ა- ზმნისწინით რამდენიმე მნიშვნელობა გადმოიცემა:

1.ზემოდან დიდ სიმძიმეს დაადებს, — ბარჯს დატვირთავს:

მუშას ჩანთები **აჭკიდეს**; ვირს საპალნე **აჭკიდეს**.

2.გადატ. დიდ საქმეს, დიდ სიძნელეს შეეჭიდება:

ბევრი საქმე ავიკიდე; სადარდებელი აიკიდა; დანაშაული აჭკიდეს.


3.გზაში, ქუჩაში აედევნება:

უცნობი აეკიდა; მთვრალი აეკიდა; ეს ბავშვი რაღას ამეკიდა.

4.რაიმე ავადმყოფობა შეეყრება (უფრო გაუფრთხილებლობით):

გრიპი აიკიდა; ფილტვების ანთება აიკიდა.

ეს მნიშვნელობები მასდარში ერთ ბუდეს ქმნის:



მიმღეობა უფრო მწირად გადმოსცემს ამ მნიშვნელობებს:

აკიდებული არის, რაც აჭკიდეს:

აკიდებული ტვირთი; აკიდებული დანაშაული.

გა- ზმნისწინით **კიდ** ზმნურ ფუძესთან 2 მნიშვნელობა გადმოი-

ცემა. აქ მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები:

1. გაფენს, გარეთ გაიტანს:


სარეცხი გაკიდა; ქურდს პატრული გაეკიდა.

ეს, ფაქტობრივად, ომონიმური მნიშვნელობებია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს პრობლემა არ დგას. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულს ქმნის და თავის ადგილზე განიმარტება... ზმნური ფუძეების ლექსიკონში და ასევე, სახელზმნურშიც ასეთი შემთხვევები უფრო თვალსაჩინოა, რადგან ზმნური ფუძე თავისი სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმით ერთ ბუდეშია თავმოყრილი.

მასდარი ორივე მნიშვნელობას აერთიანებს.

გაკიდება არის 1. სახელი **გაკიდება** ზმნის მოქმედებისა,

2. სახელი **გაეკიდა** ზმნის მოქმედებისა:



გადა- ზმნისწინით გადმოიცემა რამდენიმე მნიშვნელობა:

1. გადაადებს, დაჰკიდებს:

გადაჰკიდა ხურჯინი; ჩანთა გადაიკიდა.

უზმნისწინოდ ეს მნიშვნელობები არ გადმოიცემა.

2. დამართებს, შეამთხვევს:

ფათერაკს გადაეკიდება; რამეს არ გადაგკიდოს.


3. რამეს დააძალებს, თავს მოახვევს:

გადაეკიდა, სოფელში წავიდეთო; ვილაცას გადაეკიდა.

4. გადაამტერებს, წაჰკიდებს:

მტრად **გადაეკიდა**; ერთმანეთს **გადაეკიდნენ**.

მასდარი ყველა ამ მნიშვნელობას აერთიანებს:



ძალიან საინტერესოა **მო-** ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები:

1. ზურგზე სიმძიმეს **მოიკიდებს**:

ტომარა **მოიკიდა**; ბავშვი მოიკიდა.

2. ხელს მოავლებს, მოსჭიდებს, შეახებს:

ხელი მაგრად **მოჰკიდა**

3. ცეცხლს აანთებს, გააჩაღებს:

სიგარეტს **მოუკიდა**

4. გადატ. ეღება, მოერევა (ჟანგი, ობი და მისთან.):

ობი **მოეკიდა**; ჟანგი **მოეკიდა**; სიმთვრალე **მოეკიდა**; მზე **მოეკიდა**.

ვნებითი გვარის ფორმები გადატანით მნიშვნელობებსაც აწარმოებს: მოეკიდება;

1. რაიმე დამოკიდებულებას გამომამყლავნებს:


საქმეს კეთილსინდისიერად, სიფრთხილით, უნდობლობით

მოეკიდა.

2. საქმეს დაიწყებს, ურთიერთობას დაამყარებს:

საქმეს **მოეკიდა**; მოყვრად **მოიკიდა**; ოჯახს **მოეკიდა**.

ეს მნიშვნელობები მასდარით ერთიანდება:



ამ მნიშვნელობებით მიმღობაც იწარმოება:

მოკიდებული არის 1. რაც მოიკიდეს:

მოკიდებული ტომარა.

2. რაც მოუკიდეს:

მოკიდებული ცეცხლი.

3. რასაც მოეკიდნენ:

ოჯახს მოკიდებული.

საინტერესოა **წა-** ზმნისწინიანი ფორმები. **წა-** ზმნისწინით **კიდ** ზმნურ ფუძესთან გადმოიცემა ორი მნიშვნელობა:


1. ცეცხლს გააჩენს:

თივას ცეცხლი **წაუკიდეს**.

2. წააჩხუბებს, გადაამტერებს:

ერთმანეთს **წაეკიდნენ**; და ძმას **წაჰკიდეს**.

ამ მნიშვნელობებს მასდარიც გადმოსცემს:



ზმნურ ფორმებს ასე განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებს ზმნისწინი. განსხვავებული მნიშვნელობები იწარმოება სხვადასხვა ზმნისწინით და თვით ერთი ზმნისწინის სხვადასხვა ქცევის ან გვარის

ფორმებში. მასდარი ყველა ამ მნიშვნელობას აერთიანებს.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნამდვილად საჭირო და აუცილებელია ყველა იმ ზმნური ფუძის და მასთან დაკავშირებული ზმნისწინების შესწავლა, რომლებშიც ზმნისწინი ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობას აწარმოებს. ასეთი ზმნები კი არცთუ იშვიათია თანამედროვე ქართულში. ცნობილია აკაკი შანიძის დამოკიდებულება, რომ „ზმნისწინის მეოთხე ფუნქციის აღნუსხვა ლექსიკონის საქმეა“ (შანიძე, 1980, 240). ეს უდავოდ ასეა. ლექსიკონში ზედმიწევნით აღიწერება ზმნისწინიანი ფორმების მნიშვნელობები. ამ საკითხთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას ცოტა განსხვავებული დამოკიდებულება აქვს: „ზმნის მნიშვნელობის ცვლა — [ზმნისწინის] უკანასკნელი ფუნქცია — ძველისძველი ჩანს, მაგრამ ეს შედარებით იშვიათია და მას ისეთი ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პირველ სამს“ (ჩიქობავა, 1937, 42).

თანამედროვე ქართულში ზმნისწინის ეს უძველესი ფუნქცია საკმაოდ ხშირია. ჩვენი ვარაუდით, ზმნისწინი ზმნის მნიშვნელობას ყოველთვის ცვლის. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ „ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია მიმართულების აღნიშვნა იყო, მაგრამ ზმნისწინმა ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის უნარი ძველ ქართულშივე იტვირთა“ (კვანტალიანი, 2001, 150). ზოგჯერ ზმნის განსხვავებული მნიშვნელობების წარმოებისას მიმართულება მაინც იკვეთება. საინტერესოა ბ. ჯორბენაძის მოსაზრება: „ზმნისწინის დართვა არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც მიმართულება გამოიხატება. უფრო ხშირია ზმნისწინის გამოყენება მყოფადისა და ასპექტის საწარმოებლად. მიმართულება ხშირად თანამედვე ფუნქციად გვევლინება. ზოგჯერ ამ თვალსაზრისით ზმნა საერთოდ ნეიტრალურია (გააკეთებს - გააკეთა, დაწერს - დაწერა)“ (ჯორბენაძე, 1995, 72). ეს მოსაზრება ბ-ნი ბესიკის ერთ-ერთი უკანასკნელი სტატიიდან დავიმოწმეთ: „რთული ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულებისათვის ქართულში“. ეს სტატია ბ-ნი ბესიკის იკე-ს XXXIII ტომში დასაბეჭდად ჰქონია გადაცემული.

შეიძლება ვიფიქროთ, „რაკი ახალ ქართულში ზმნისწინს დაუკავშირდა დროისა და ასპექტის ჩვენება, უკვე ამ ერთობლიობამ უფრო მეტად გამოიწვია ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შეცვლა. ამის შედეგია ძველსა და ახალ ქართულში ზმნისწინის ფუნქციებს შორის განსხვავება. ახალ ქართულში სწორედ ამიტომ იქცა ზმნისწინის სი-

ტყვაწარმოებითი ფუნქცია უკვე ძირითად წამყვან ფუნქციად“ (კვანტალიანი, 2001, 150).

ჩვენთვის საინტერესოა ქ. დათუკიშვილის მოსაზრება: „ცნობილია, რომ ქართულში ზმნისწინს აქვს სხვადასხვა ფუნქცია. იგი ყოველთვის გამოხატავს წარმოქმნის ერთ კატეგორიას მაინც (ზოგჯერ ორსაც). თანაც ზმნისწინი არის ერთადერთი ზმნური მორფემა, რომელსაც ლექსიკური დერივაციის უნარი გააჩნია. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც გაუმართლებლად მიგვაჩნია ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ერთ პარადიგმაში გაერთიანება“ (დათუკიშვილი, 1998, 57).

ჩვენი ვფიქრობთ, რომ ეს ნამდვილად ასეა. ხშირად აღგვინიშნავს, „ზმნისწინიან ზმნას დაკონკრეტებული მნიშვნელობა აქვს, უზმნისწინო ზმნას ასეთი მნიშვნელობა არა აქვს. მას გარკვეულწილად აზუსტებს კონტექსტი ან ზმნისწინიანი წევრი პარადიგმისა. ზმნისწინიან ზმნას აქვს ერთი სემანტიკური მნიშვნელობა და მას უზმნისწინო ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა შეესაბამება. უზმნისწინო ზმნა ზმნისწინიანისაგან ყოველთვის განსხვავდება — ფორმითაც და სემანტიკითაც. ზმნას ამ განსხვავებულობას — ფორმალურსაც და სემანტიკურსაც — ზმნისწინი ანიჭებს“ (კვანტალიანი, 2001, 148).

ზუსტად ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ ზმნისწინიან ზმნას აქვს ერთი სემანტიკური მნიშვნელობა და მას მასდარის ერთ-ერთი მნიშვნელობა შეესაბამება. სხვადასხვა ზმნურ ფორმაში ასახული მნიშვნელობები მასდარში ერთიანდება და ერთგვარად, მნიშვნელობათა ჯამს ქმნის.

ლიტერატურა

დათუკიშვილი, 1998 — ქ. დათუკიშვილი, ზმნური კატეგორიების კლასიფიკაცია უღლების სისტემასთან მიმართებით, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. VII, 1998.

კვანტალიანი, 2001 — ც. კვანტალიანი, ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ახალ ქართულში, დისერტაცია, 2001.

ფოჩხუა, 1958 — ბ. ფოჩხუა, ომონიმია და პოლისემია, იკე, IX-X, 1958.

ფოჩხუა, 1960 — ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის, იკე, XII, 1960.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, შრომები, ტ. III, 1980.

ჩიქობავა, 1937 — არნ. ჩიქობავა, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმკის მოამბე, I, 1937.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, რთული ზმნისწინის სიტყვა-წარმოებითი დანიშნულებისათვის ქართულში, იკე, 33, 1995.

გოგოლაშვილი, 1987 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, 1987.

გოგოლაშვილი, 1991 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, 1991.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, 1950 - 1964 წ.წ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986 წ.

TSITSINO KVANTALIANI

The Verb Stems Kar and Kid and the Preverbs Connected with them

Summary

When added to the verb stems kar and kid, different preverbs produce words with different meanings. The masdar unites all the meanings conveyed by the verb forms into a single one. Hence when studying the meanings expressed by preverbs verbals should be considered alongside the finite forms.

მეფა კინეზოლოგი

ინტერტექსტუალური და ინტერმედიალური ალუზიები და ამინისცენციები უშლინ ბრაკის ნაწარმოებებში

მე-XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ინტერტექსტუალობის პრობლემის კონტექსტში გამოჩნდა ინტერმედიალობის ცნება, რომელიც გენეტიკურად საფუძვლად უდევს სხვადასხვა სემიოტიკური სისტემების (ძირითადად ხელოვნებისა და ლიტერატურის) ურთიერთქმედებას. თუ ინტერმედიალობა ეს არის მხატვრულ ნაწარმოებში შიდატექსტური ურთიერთკავშირის განსაკუთრებული სახე, დაფუძნებული ხელოვნების დარგების მხატვრული ნიშნების ურთიერთქმედებაზე, ამ ფაქტის საფუძველზე ი. ლოტმანმა წამოაყენა ჰიპოთეზა: ნებისმიერი კულტურის „პოლიგლოტიზმის“ და ამასთან ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების „პოლიგლოტიზმის“ შესახებ. კულტურა პრინციპში „პოლიგლოტურ“ ხასიათს ატარებს და მისი ტექსტების რეალიზაცია ხორციელდება, როგორც მინიმუმ ორი სემიოტიკური სისტემის სივრცეში. აქედან გამომდინარე, „პოლიგლოტიზმის“ მოვლენა ი. ლოტმანის მიხედვით — ეს არის ენობრივი მრავალხმიანობის ანუ ინტერსემიოტიკურობის მოვლენა, ვინაიდან პოლიმხატვრულ ნაწარმოებში ურთიერთქმედებაშია სხვადასხვა სემიოტიკური მწკრივები; ინტერმედიალობა განიხილება ინტერტექსტუალური კავშირების კონტექსტში, მათ შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ინტერტექსტუალური კავშირების სისტემაში იგულისხმება დამოკიდებულება ერთი სემიოტიკური მწკრივის შიგნით, მაშინ როდესაც ინტერმედიალობა გულისხმობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის სემიოტიკური კოდების ურთიერთქმედებას. ამგვარად, ინტერმედიალური კავშირის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ მხატვრულ ნაწარმოებში ისეთი სტრუქტურების არსებობას, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას სხვა სახის ხელოვნების დარგებზე. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ინტერმედიალობა ეფუძნება არა ციტაციას, არამედ ტექსტების კორელაციას. ჩვენ არ ვიზიარებთ ამგვარ მიდგომას და შემოგვქვს ტერმინი

„ინტერმედიალური ციტაცია“, ვგულისხმობთ რა ერთი მედიალური რანგის ნაწარმოების (მაგ. მუსიკის) ციტირებას ლიტერატურულ ნაწარმოებში. ამგვარად, ინტერმედიალობა, ისევე, როგორც ინტერტექსტულობა, ტექსტის (ნაწარმოების) ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საშუალებაა, სადაც ურთიერთქმედებაშია სხვადასხვა სემიოტიკური კოდები, რაც დამახასიათებელია პოლიფუნქციონალური ნაწარმოებებისათვის. ამგვარია ყ. გრაკის ნაწარმოებები. გრაკის ტექსტების ინტერტექსტუალური და ინტერმედიალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს მის ტექსტებში გამოვავლინოთ სხვადასხვა სემიოტიკური კოდების არსებობა, რომლებიც ვლინდება იმპლიციტური სახის ციტატებსა და რეფერენციებში.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლისტური მიმდინარეობის ტექსტები გამოირჩევიან მხატვრული სინთეზის პრინციპით, ამიტომ სიმბოლისტების ტექსტებში ინტერტექსტულობა და ინტერმედიალობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტექსტის გაგება-ინტერპრეტაციაში. ინტერმედიალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სხვადასხვაგვარი მხატვრული დისკურსების ურთიერთქმედება, მათი აზრობრივი გადაკვეთის სივრცეში, ანუ, სიტყვიერ და ხელოვნების ნიმუშებს შორის კავშირების დადგენა, პოლიფუნქციონალურ ტექსტებში.

გრაკის შემოქმედებაში ინტერმედიალური დამოკიდებულების რეალიზაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: „ლიტერატურა-ფერწერა“, „ლიტერატურა-მუსიკა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყ.გრაკის თითქმის ყველა ტექსტი გაჯერებულია ინტერტექსტუალური და ინტერმედიალური ელემენტებით. ძირითადად ისინი იმპლიციტური სახითაა წარმოდგენილი. გრაკის ტექსტებში აღმოჩენილ იმპლიციტურ ინტერტექსტს ვუწოდებთ ფარულ რეფერენციებს (**les références enfouies**). ფარული რეფერენციის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ რემინისცენციებსა და ალუზიებს. ინტერტექსტულობის ეს ორი იმპლიკაცია გავაერთიანეთ ერთ ტერმინში „ფარული რეფერენცია“ (**les références enfouies**). საზღვარი მათ შორის ძალზე პირობითია. მწერალი ხშირად მიმართავს რემინისცენციებს, ალუზიებს, რითაც შედის დიალოგში სხვადასხვა კომპოზიტორთან, მხატვართან, მწერალსა და პოეტთან. ამ უკანასკნელთა დისკურსებისა და გრაკის საკუთარი დისკურსის ერთმანეთზე დადებით იქმნება განსაკუთრებული, მომაჯადოებელი გრაკისეული სამყარო.

ასე მაგალითად, მის ნაწარმოებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მუსიკალური რემინისცენციები, წარმოდგენილი როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, მისი ტექსტები გამოირჩევა დიალოგების სიმცირით (ანუ თითქმის თავისუფალია დიალოგებისაგან). მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ როლს იძენს ვაგნერის მუსიკალური თხზულებები, რომლის ყველა ნაწარმოებშიც ვლინდება გაწეული სიჩუმის ეპიზოდები. სიჩუმისა, სადაც პერსონაჟები წარმოდგენილია ამა თუ იმ გაქვავებულ მოძრაობაში და ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს წუთით ჩაფიქრდებიან, ილაპარაკონ თუ არა, არ შეუძლიათ გამოხატონ გრძობათა ხელშესახები ნიუანსები. სიმფონიური ფორმა მიუთითებს, რომ გმირს მეტყველება არ შეუძლია, პერსონაჟთა ქესტები აზუსტებენ მუსიკალურ მინიშნებას. პერსონაჟები ცოტას ლაპარაკობენ, სამაგიეროდ, აქტიურად მოქმედებენ სცენაზე. კომპოზიტორისათვის ეს არის საშუალება გამოსცადოს საკუთარი მუსიკის გამომხატველობა, იგი აღაფრთოვანებს მსმენელებს მუსიკალური ზეგავლენის ძალით, რაც მიიღწევა დიმიზუნდოსა და კრემშენდოს დახვეწილი მონაცვლეობით, რომლის საშუალებითაც კომპოზიტორი გადმოსცემს თავისი პერსონაჟების გრძობებს.

რომანში „არგოლის ციხე-კოშკი“, რემინისცენციების სიუხვე ხელს უწყობს ყ. გრაკს, ხაზი გაუსვას იმ ტრაგიკულობას, რომელმაც მოიცვა პერსონაჟები, მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობას, გვაგრძობინოს ტონალობა, რომლის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. და ამიტომ, გრაკი ხშირად მიმართავს „მუსიკალურ“ ლექსიკონს, რათა წარმოაჩინოს აღწერილი მოვლენის ღვთიური ხასიათი. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — ჰაიდეს გამოჩენის ეპიზოდში, გრაკი აღნიშნავს, რომ მისი ანგელოზისებრი სილამაზის ღვთიური ხასიათის აღწერისას სიტყვების მარაგი არ არის საკმარისი, აუცილებელია მუსიკალური საშუალებები: „მისი სახე განმსჭვალული იყო უწმინდესი ღირსებით, რომელიც არ იყო დამოკიდებული განდიდების იდეაზე და, აქედან გამომდინარე, არ ექვემდებარებოდა განსჯას; ვერც ერთი მხატვარი, ვერც ერთი პოეტი ვერ შეძლებდა გადმოცემა ეს არაბუნებრივი ციალი, დაცინვის გრძობის გარეშე — პირიქით, განიცდიდა იმ იშვიათ და ღრმა წინააღმდეგობრივ კონტრასტს, განსაკუთრებით „ლოენგრინიდან“ ზოგიერთი ჯადოსნური ფრაზებიდან, (ვაგნერის ოპერა), რომელშიც დაშნის აუტანელი ციალი თითქოსდა უპირისპირდება თავისი ანარეკლებით ამაღელვებელ და ნოსტალგი-

ურ ბგერებს, რომლებსაც მიმართავს ცნობიერება უკანასკნელი ძალისხმევით, რათა მიემსგავსოს სილამაზეს, რომლის წინაშე განსჯის უნარი უკან იხევს: ცნობიერებამ საბოლოოდ უნდა მიატოვოს მცდელობა, აღიქვას იგი როგორც ერთადერთი“ (არგოლის ციხე-კოშკი).

ამავე რომანში ჭეშმარიტად მუსიკალური ხდება ღვთიური ნათების აღწერა, რომელსაც ალბერი შეიგრძნობს სალოცავში უფესკრულთან. მუსიკალური ენა და „მუსიკალური“ ლექსიკონი ამ სცენას პათეტიკურობას ანიჭებს. საგულისხმოა, რომ ეს თავი ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალურია „არგოლის ციხე-კოშკი“ში“. ამ თავის თითქმის ყოველი ფრაზა შეიცავს სიტყვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მუსიკალურ რეგისტრს (აკორდი, ბგერა, რომელიც არ ისმის, ორღანი, ფსალმუნის და ა.შ.). დასასრულს, ალბერი ერმინინის მიერ შესრულებულ „ძმურ სიმღერაში“ იღებს ღვთიურ ნათებას მუსიკის საშუალებით. ეს მეტად სიმბოლურია, მით უმეტეს, რომ ღვთის ხმის გავონება არ შეიძლება (იგი მხოლოდ შინაგანად შეიძლება შევიგრძნოთ). ზემოდან ნათლის გადმოსვლა წარმოადგენს ემოციური სიძლიერის პიკს, რომლის შემდეგ ემოციის კლება იწყება. ამგვარი სტილისტურ-კომპოზიციური მიმართულება, აგრეთვე, მიუთითებს გრაკისეული თხრობის მუსიკალურ პრინციპებზე. ე. გრაკი ახლოს დგას ვაგნერთან თავისი ნატიფი, პრეციოზული სტილით. ვაგნერის მუსიკალური დრამები ჩაფიქრებული იყო როგორც ამაღლებული სტილის ნიმუშები. ვაგნერი მიისწრაფოდა, რომ მის მუსიკალურ დრამებს სულიერი ეფექტი მოეხდინათ, აერთიანებდა რა გამოხატვის ყველა საშუალებას მორალურად ამაღლებული, თითქმის რელიგიური ეფექტის მქონე ექსტაზის მისაღწევად. ვინაიდან გრაკის ნაწარმოების ძირითად თემას ადამიანის სულიერი ძიება წარმოადგენს, ამიტომ გრაკისეული სტილი ჩართულია ვაგნერის იმ მისწრაფებებში, რომელსაც იგი ხელოვნების საშუალებით ახორციელებს. დავუმატებთ, რომ გრაკისეულ ტექსტებში ხშირად გვხვდება ისეთი ვაგნერისეული მოტივები, როგორიცაა სინათლისა და სიბნელის, ჰორიზონტალურობისა და ვერტიკალურობის და ამასთან მრავალრიცხოვანი თეატრალური ტერმინები. „არგოლის ციხე-კოშკის“ პირველი თავი ვაგნერის პრელუდიის პრინციპზეა აგებული, სადაც წარმოიქმნება რამდენიმე მოტივი, რომელიც მთელ ნაწარმოებს გასდევს.

ე. გრაკი იყენებს ფუგის მუსიკალურ ფორმას, რომლის უპირველეს წარმომადგენლად ბახი გვევლინება, რათა ახსნას ის თავისუფ-

ლება, რომლითაც მწერალი გადადის ერთი სურათიდან მეორეზე, რაც ბახის გავლენითაა განპირობებული, იგრძნობა იმ სცენებში, სადაც გრაკი შეუფერხებლად გადადის ერთი სურათიდან მეორეზე, და, ამ სურათში გაუღრებელი ხმების გადაძახილი ქმნის მისი რომანების შეუღრებელ პოლიფონიას. ფუგის თემა გაცხადებულია „არჰემის სამეფოში, არგოლის ციხე-კოშკი“ში“. გადმოცემულია, და გვევლინება როგორც მეორე ხმა — როგორც პირველი ხმის პასუხი.

გრაკის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერწერას. თავის პირველ რომანში გრაკი მოიხსენიებს პიროვნებს, დიურერისა და გუსტავ დორეს სახელებს. ნაწარმოები „არგოლის ციხე-კოშკი“ უახლოვდება დიურერის ყველაზე უფრო ამოუცნობ (ჩაკეტილ) გრაფიურებს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომანის ბოლოს. ეს გრაფიკა წარმოადგენს მეფე ამფორტის ტანჯვას. იგი გვაგონებს გუსტავ მოროს ტილოს, სადაც თითოეული ნაწარმოები შეიცავს ემბლემების ორ სერიას, რაც უფრო მეტ სირთულეს ანიჭებს მათ.

როდესაც ვსაუბრობთ ვაგნერის გავლენის შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ ბოდლერი, რომელიც ე. პოსა და ლონგფელოს მსგავსად მუსიკალური ეფექტის მისაღწევად ხშირად იყენებს ალიტერაციას. გრაკის ნაწარმოებში მუსიკალური ინტერმედიულობა და პროზის ინტერტექსტულობა ენაცვლება ერთმანეთს. ალუზიის სახით გვევლინება ნოვალისის პოეტური კონცეფცია. გრაკის აზრით, რომანი მთლიანად გამსჭვალული უნდა იყოს პოეზიით... „რაც უფრო პოეტურია, მით უფრო რეალურია“. გერმანელი რომანტიკოსის კიდევ ერთი აზრი აისახა გრაკის შემოქმედებაში: „პოეზია არასოდეს არ უნდა იყოს მთავარი თემა, იგი ყოველთვის ჯადოსნურს წარმოადგენს“. ე.ი. თვით ჯადოსნური კი არ უნდა წარმოადგენდეს თხრობის თემას, არამედ მხოლოდ ფონს, ტონალობას. ჰეგელის ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გრაკის აზრებსა და შემოქმედებაზე: ალბერი („არგოლის ციხე-კოშკიდან“) სწორედ ჰეგელს კითხულობს.

ბრჭყალბეგარეშე ციტირება რომანში „აივანი ტყეში“ იმპლიციტურად მიუთითებს პ.უელსის ნაწარმოებზე „ომი სამყაროთა შორის“. რომანში „არგოლის ციხე-კოშკი“ ამავე ავტორის სხვა ნაწარმოებზე, კერძოდ, „დროის მანქანაზე“ ალუზიას წარმოადგენს. ზოგიერთი რეფერენცია მიუთითებს თანამედროვე ნაწარმოებებზე მავ:

ა.მალორს „მამაკაცური ძმობის სიმღერაზე“ (ზიზლის დრო, 1935).
ჟ.კოკტოს „ჯოჯოხეთის მანქანაზე“.

გრაკის ნაწარმოებებში იმპლიციტური რეფერენციების გამოვლენა საკმაოდ ძნელდება. ასე მაგალითად: რომანში „არგოლის კოშკი“ სცენა, სადაც ჰაიდუ ტალღებზე მიაბიჯებს, შესაძლებელია მივიჩნიოთ რემინისცენციად პ.ვერლენის ლექსისა „ბომი“, რაც აშკარად არ ვლინდება. ამ რეფერენციების ამოხსნა გრაკის ესთეტიკის ერთ-ერთი მხარის ამოხსნის საშუალებას გვაძლევს. ამასთან ერთად, ჰაიდუს დაკრძალვის სცენა წარმოადგენს რ.შატობრიანის „ატალას“ დაკრძალვის სცენის ტრანსფორმაციას. ცხადია, რომ ჟ.ნერვალის, ე.პოს, პ.ვერლენის ინტერტექსტები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჟ.გრაკის შემოქმედებაში. ასე მაგალითად: შ.ბოდლერის მრავალი ლექსი გამოძახილს პოულობს ჟ.გრაკის ადრინდელ მოთხრობებშიც.

„რადგან მე ვეძებ სიცარიელეს და უკუენთს და ხალხი როგორც საზიზლარი ობობები აბამენ ქსელს ჩვენი გონების სიღრმეში“. „მზე მსგავსი დიდი ღია თვალისა ცნობისმოყვარე ცაში“, კვლავ — რეფერენციაა ბოდლერის მრავალი ლექსისა. ყველა ეს ინტერტექსტი გრაკთან შემოდის როგორც მეტაფორა და აძლიერებს გრაკისათვის დამახასიათებელ ფანტასტიკურ ტონალობას, ისევე როგორც ინტერტექსტი ბოდლერის სპლინიდან: „პიკის მეფის ბიუსტი გულის ქალის მიმართ“, ან შემდეგი ინტერტექსტი „სველი მზე“ „ზღვის მზე“, მზე ამობრწყინებული სასახლის უფსკრულლებთან (რეფერენციები აგრეთვე ედგარ პოსთან ლექსი „ულალუმი“, რომლის გიგანტური ალვის ხე ხაზგასმულ რემინისცენციას წარმოადგენს „ამ უზარმაზარი ხეივნის გასწვრივ“, აგრეთვე სხვა ლექსიდან /„სვედიანი და აბრეშუმისებრი შეხება მეწამული ფარდებისა მავსებენ აქამდე უცნობი ფანტასტიკური საათებით“. ძირითადად რეფერენციები გვხვდება პოს ლექსიდან „ყორანი“.

რაც შეეხება ნერვალს, იგი იმპლიციტურად წარმოგვიდგება რეფერენციის სახით აქვიტანიის პრინცთან დანგრეულ კოშკში. გრანჟი ბენდიერ მომენტში ციხე-კოშკის ბურუსში ბრუნდება, მეორე, კატასტროფულ მომენტში იგი სახლიდან ცეცხლში გამოდის, რაც დასაშვებ ალუზიას ქმნის ბიბლიური ცეცხლის სვეტთან.

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გრაკთან პრუსტის ინტერტექსტი არის გაცხადებული. მიუხედავად პრუსტის მიმართ გრაკის არაერთგვაროვანი, კონფლიქტური დამოკიდებულებისა, მაინც გვხვდება და-

ფართული რეფერენცია და როგორ პარადოქსურადაც უნდა მოგვეჩვენოს, გრაკის ნაწარმოები ერთგვარად ეხმიანება პრუსტის ნაწარმოებს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ადვილად ამოსაცნობი. ფართული რეფერენცია უფრო ალუზიური ხასიათისაა, ვიდრე რეფერენტული. ასე მაგალითად: გრილი ღამე „არგოლის ციხე-კოშკში“ გვაგონებს კომბრეს პერიოდის სავესე და გრილ დღეებს. არც ჰაიდუსა და ერმინენის ჩამოსვლა ერთ პარასკევ დღეს არ უნდა იყოს შემთხვევითი; ვნების პარასკევის მოჯადოება წარმოადგენს ვაგნერის ოპერის „პარსიფალის“ მესამე აქტის ნაწყვეტს, რომლის მოგონება გვხვდება პრუსტის „მოწიფული ქალიშვილების ჩრდილში“ და დაკავშირებულია „სიმფონიასთან თეთრ მაჟორში“, რომელსაც ქმნის ქალბატონი ევანი, ისევე როგორც ჰაიდუ. კომპოზიტორ ვენტეილს სონატის ფრაზით შემოჰყავს პრიზმის მეტაფორა, რომელიც შემდეგ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექტეტში (სამმაგი რეფერენცია და შეიძლება ვთქვათ, რის შედეგადაც რომანი იძენს პალიმფსესტის სახეს).

პრუსტის თანყოფნა კიდევ უფრო ნათლად ჩანს ნაწარმოებში „აივანი ტყეში“, ვიდრე „არგოლის ციხე-კოშკში“, რადგან გრაკისეული ტონალობა უკეთ შეეფერება კვლავ წერის დახვეწილობას და კვლავ განსვენებას უფრო ემყარება. ისევე როგორც პრუსტთან, გრაკის მიზანია გააცოცხლოს „ბნელი მაისი“, რომელიც მან განიცადა (რათა გაიხსენოს პოლ კლოდელის ლექსის სათაური, რომელსაც იგი განსაკუთრებით აფასებს). დაბოლოს, პრუსტის ეს ფართული თანყოფნა გამართლებულია მხოლოდ იმ ნაწარმოებში, სადაც უძილობის თემა ასეთი მნიშვნელოვანია. ბოლო დაფართული რეფერენცია, რომელიც არ ჩანს „არგოლის ციხე-კოშკში“, არის ლუის კეროლი.

რომანში „აივანი ტყეში“ მონას (ქალი პერსონაჟის) სახლის მდებარეობას, რომელიც ტყეს ემიჯნება, და თვით მონას ახასიათებს მკრთალი ღიმილი, რაც იწვევს კეროლის „ალისას საოცრებათა ქვეყანაში“- ტყის პირას ჩაძინებული ალისას ალუზიას.

ნაწარმოებში „იღუმალეებით მოცული ღამაში მამაკაცი“ არის ორი სერია — „მონმორანსის საყვარლები“ და „სახარების მოგონება“. პირველი სერია ირიბ კავშირშია ყველა სერიასთან და შეიცავს ედგარ პოს ინტერტექსტს, რომანის პერსონაჟების სახელების მიღმა იკითხება ედგარ პოს სახელი, ანუ ალანი და ჟერარი წარმოადგენს ედგარის ანაგრამას (Allan et Gérard – anagramme d'Edgar). აღსანიშნავია, რომ ედგარ პოს ნაწარმოებებიდან სხვა მრავალი რეფერენციები

გვხვდება, მაგალითად, ედგარ პო მოთხრობაში — „წითელი სიკვდილის ნილაბი“ პერმეტულად დახურულ შენობას აღწერს. ამგვარი დღის სინათლისადმი დახურული ოთახი გვახსენებს ლაიბნიცის მიერ აღწერილ ოთახს, რაც მონადის არსის ახსნას ემსახურება. ბნელი ოთახი გამოყენებულია, როგორც თვალთახედვის მოდელი და რეფერენტულია ზ.ფროიდთან, ფ. ნიცშესთან, ლოკთან.

გრაკის ნაწარმოებები მუდამ მოუხმობენ მხედველობის გამომხატველ ლექსიკას. თვალი ყოველთვის ტყვეა მეორე თვალისა და ისევე, როგორც პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“, მადლენის გემო აღძრავს პერსონაჟში ბავშვობის მოგონებებს, ასევე გრაკთან ამ მოგონებების აღძვრის მექანიზმად გამოყენებულია ვიზუალური მომენტი: „არგოლის ციხე-კოშკში“ თვალი აძლიერებს წარმოსახვისა და მოგონების შესაძლებლობებს. „არგოლის ციხე-კოშკში“ გრაკი ბოდლერის ერთგული რჩება. როგორც გრაკი ამბობს: ალბერი ფიქრობს ერმინიენზე და ჰაიდელზე, რომლებსაც აკავშირებთ გასაოცარი ზიზღი ხელოვანისა, როგორც ყვავის მეფის ზიზღი გულის ქალის მიმართ“.

ხედვის გამომხატველი ლექსიკა ძალიან ხშირად გამოდის რეფერენტის როლში: ნაწარმოებში „იდუმალი გარეგნობის ლამაზი მამაკაცი“ გრაკისეული პერსონაჟები იმდენად დაშორებული არიან სხვებისგან, რომ ამ სხვებს შეუძლიათ ჩაერთონ პეიზაჟში ან თავიანთი საშუალებით გამჭვირვალობა მიანიჭონ პეიზაჟს. ისევე როგორც, პრუსტთან გემოს შეგრძნება, ამ შემთხვევაში მხედველობითი შეგრძნება აძლიერებს წარმოსახვის უნარს.

„არგოლის ციხე-კოშკში“ ალბერსა და ერმინიენს შორის არავითარი ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სოციალური განსხვავება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ალბერი არის „ანგელოზისებრი“ და მედიატორული სახე, მაშინ, როდესაც ერმინიენი წარმოადგენს „შავ“ და „ძმურ“ ანგელოზს. ალბერი მოგვაგონებს დიურერსა და მის მელანქოლიას, ერმინიენის სახე შეიცავს სითეთრის ცნებას, როგორც ჯოისის „ულისე“.

რომანი „ნახევარკუნძული“ აღწერს მამაკაცის ერთ დღეს. მისი პერსონაჟი, რომლის სახელი სიმონია, წარმოადგენს ულისეს ერთგვარ სახეს, რომელიც მოგზაურობაში მყოფ პენელოპეს ელოდება. სახელი სიმონი შესაძლოა წარმოადგენდეს რეფერენტის სიმონ-პეტრესთან, პროფესიით მებაღურთან. ამავე ტექსტის სხვა ნაწყვეტში გვხვდება გამოთქმა „უნაკერო კაბა“, რომელიც საფიქრებელია, რომ

გამოთქმის „ქრისტეს კვართის“ რეფერენტის როლში გამოდიოდეს, რომელზედაც ჯარისკაცებმა წილი იყარეს. ეს არის ფრაგმენტი „იონეს სახარებიდან“, ეს ბიბლიური ტექსტი მას მოხმობილი აქვს, რათა ხაზი გაუსვას ნოვალისის მნიშვნელობას ლიტერატურაში. გრაკი აღნიშნავს: „ლიტერატურა პირველად ჩამოვიდა პარნასიდან, რათა დაიმკვიდროს ადგილი ნაზარეთის გვერდით“. ეს შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ნოვალისის ალუზია კათოლიციზმის მიმართ.

მაშასადამე, გრაკის ნაწარმოებების ინტერტექსტუალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მის ნაწარმოებებში მრავალი ფარული რეფერენცია როგორც ფრანგულ, ისე მსოფლიო ლიტერატურასთან, მისი ტექსტების სემანტიკისა და პოეტიკის უფრო ღრმა და მრავალმხრივი გაგება, განვიხილოთ მისი შემოქმედება, როგორც ერთ მსოფლიო კონტექსტში ჩართული მხატვრული სისტემა.

ინტერმედიალურ დონეზე გრაკის ნაწარმოებები გამოირჩევა არავებრბალურ ნიშანთა სისტემის სემიოტიკური მწკრივების (მუსიკა, მხატვრობა), აგრეთვე სხვადასხვა სოციოკულტურული პლასტების (რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება) ტექსტის ქსოვილში ჩართვით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრაკის ტექსტი წარმოადგენს ერთგვარ patchwork-ს, მრავალი ინტერტექსტიდან შექმნილ ქსოვილს, სადაც მწერალი იყენებს რა დიდი პოეტების, მხატვრებისა და მუსიკოსების აზრებს, თავისებურად გარდაქმნის მათ და ამ ტრანსფორმირებული იდეების მიზანია შემოქმედება მოახდინოს გათვითცნობიერებულ მკითხველზე.

რ.ბარტის თქმით, ყველა ის ციტატა, რომელიც აღწევს მკითხველამდე, სხვა არაფერია თუ არა ძველი და ახალი კულტურის ენები, რომლებიც ტექსტის საშუალებით ქმნიან ძლიერ სტერეოფონიას.

ლიტერატურა

ბარტი, 1971 — Barthes R. De l'œuvre au texte // Revue d'esthétique, 1971. №3, pp. 225-232. Page 2

ბახტინი, 1996 — Бахтин М.М. Проблема текста // Бахтин М.М. Собрание сочинений. Т. 5. М., 1996. С. 306-326.

ბენვენისტი, 1974 — Benveniste E. Problèmes de linguistique générale, P., Gallimard, 1974, II, p.224

გასპაროვი, 1996 — Гаспаров Б. Язык, память, образ; Лингвистика языкового существования, М., 1996 14-122

გრაკი, 1938 — Gracq J. Au château D'Argol, José Corti, 1938, p.184

ლეტრა, 1991 — Leutrat J.-L. Julien Gracq ,ed. du Seuil, 1991

ლოტმანი, 2000 — Лотман Ю.М. Культура и взрыв Текст в тексте. [1992] СПб: Искусство- СПб

სამოიო, 2005 — Samoyault T., L'Intertextualité :Mémoire de la littérature, Littérature 128,Armand Colin, 2005, 128 p.

MEDEA KINTSURASHVILI

Intertextual and Intermedial Allusions and Reminiscences in Julien Gracq's Works

Summary

The paper discusses the functioning of intertextuality and one of its subcategories, intermediality in J. Gracq's works. Intermediality is examined within the framework of intertextual ties. The main differentiating feature between intertextuality and intermediality lies in the fact that the dependence within the system of intertextual ties implies a single semiotic space, whereas intermediality implies the interrelation between different artistic discourses at the point of their cross-section. The analysis of J. Gracq's works from the standpoints of intertextuality and intermediality has proved that they can be considered a patchwork consisting of various intertexts in which the ideas of different poets, artists and musicians are transformed in a peculiar way.

მედეა კინსურაშვილი

პრეცედენტული ტექსტები, როგორც ლინგვოკულტურული სივრცის ერთეულები

ენობრივი კომპეტენცია განუყრელადაა დაკავშირებული ტექსტების გარკვეული ჯამის ცოდნასთან, რომლებსაც ი. კარაულოვი უწოდებს „პრეცედენტულს“ და განსაზღვრავს, როგორც მზა ინტელექტუალურ-ემოციურ ბლოკებს (სტერეოტიპები, ხატები, შედარების კრიტერიუმები და სხვა), რომლებიც გამოიყენება საშუალებად პიროვნების მიერ წარმოებული აზრის ფაქტოლოგიური კონტექსტის მენტალურში და პირიქით გადაყვანის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად. ი. კარაულოვის თეორიის მიხედვით, „პრეცედენტულ ტექსტებს“ მიეკუთვნება მოცემული ეროვნული კულტურის ყოველი დიდი მოვლენა, რომელიც ცნობილია მისი მატარებლის „აბსოლუტური უმრავლესობისათვის. პრეცედენტული ტექსტები იყოფა ისტორიულ-ნაციონალური ხასიათის ტექსტებად (ანუ ისინი პასუხობენ „მეხსიერების საერთო ადგილების“ კრიტერიუმს) და აქტუალურ-ოპერატიული ხასიათის ტექსტებად (ტექსტები, რომლებიც შეესაბამება აწმყოს და აქტუალურია ენის მატარებლების ფართო წრისათვის დროის მოცემულ მომენტში). მკვლევრის მსჯელობაში ძირითადი აზრი არის ის, რომ პრეცედენტული ტექსტები ეროვნულ „ნაციონალური მეხსიერების“ ნაწილს წარმოადგენს; შეადგენენ აპერცეფციული ბაზის ნაწილს და ენის მატარებლების ასოციაციურ-ვერბალური ქსელის კოგნიტიურ დონეს, ხოლო მათი ხმარება „სხვისი სიტყვის“ სახით ენობრივი სუბიექტის ლინგვისტური გამოცდილების გამოვლინებას წარმოადგენს. (კარაულოვი 1999: 154 -155).

პრეცედენტულობის თეორიიდან გამომდინარე „ძლიერ“ ტექსტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ტექსტები, რომლებზეც მუდმივად არსებობს მოთხოვნილება და რომელსაც მიენიჭათ გარკვეულ ისტორიულ მომენტში მნიშვნელოვანი ტექსტის სტატუსი კულტურაში. ენობრივი სუბიექტის სტრუქტურის კვლევისას და, ასევე, პრეცედენტ-

ტულობის განსაზღვრის მცდელობისას ძირითადი აქცენტი კეთდება ამა თუ იმ ტექსტის აქტუალურობაზე ენის „საშუალო“ მატარებელთა ფართო წრეში, რაც სინამდვილეში ძალზე პირობითია ამ მოვლენის დროის ჩარჩოებით ძლიერი დეტერმინირების გამო.

პრეცედენტური ტექსტების თეორიაზე მუშაობისას ი. ნ. კარაულოვი ფაქტიურად მიმართავს „ძლიერ ტექსტებს“, თუმცა ამ ტერმინს არ იყენებს. ამგვარ ტექსტებს მიეკუთვნება მრავალი ტექსტი, მაგ: სერვანტესის „დონ კიხოტი“, „დონ ყუანი“, შექსპირის ტრაგედიები.

ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ 60-იანი წლებიდან დაწყებული შეიცვალა ინტერპრეტაციული პარადიგმა და თვით „ტექსტის“ ცნება, რომელიც ამიერიდან განიხილება, როგორც ისტორიულად გახსნილი მოვლენა, და ტექსტის ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ის, რომ ნებისმიერ ტექსტს აქვს შანსი გახდეს „ძლიერი“ თავისი განვითარების რომელიმე ფაზაში, ამასთანავე სრულიად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ტექსტი იქცევა „მეხსიერების საერთო ადგილად“ და რომელი იქნება მივიწყებული. ეს დამოკიდებულია საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობს „ფასეულობების გადაფასების“ პროცესი, ამა თუ იმ გავლენიანი რეფერენტული ჯგუფის მდგომარეობის შეცვლაზე, რომელიც თავისი შეფასებებით განსაზღვრავს ტექსტების წარმატებას (ტექსტი „ძლიერი ხდება არა იმის გამო, თუ რა წერია მასში, არამედ იმის წყალობით, თუ ვის მიერ და როდის ხდება მისი წაკითხვა“) და აგრეთვე ავტორის ან თვით ლიტერატურის როგორც სოციალური ინსტიტუტის სტატუსზე. ყოველივე ეს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს წარმატების კრიტერიუმების ცვალებადობაზე. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ წარმატება აქვს მხოლოდ იმ ტექსტებს, რომელიც პასუხობს თავისი თანამედროვე კულტურის პრობლემებს და დემოკრატიულ საზოგადოებაში სწორედ მკითხველი განსაზღვრავს, რა სახის ტექსტებია მისთვის საინტერესო.

ა.მ.ბერგი ამასთან დაკავშირებით ამბობს: სიზუსტე ტექსტის ფუნქციონირებისა და შეფასებისათვის აუცილებელი სივრცის შერჩევისას (აგრეთვე ავტორის მოქმედება ამ სივრცეში) შეესაბამება შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ წარმატების კრიტერიუმები (ბერგი, 2000, 234). ამასთან, წარმატების ძიება განიხილება მკვლევრის მიერ, როგორც ხელისუფლებრივი დისკურსის მი-

თვისების ცდა მისდამი წინააღმდეგობის გაწევის გზით, ხოლო ავტორის სტრატეგიის სოციალური მნიშვნელობა განისაზღვრება რეფერენტული ჯგუფის სოციალური და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გათვალისწინებულ ურთიერთობებს ავტორს, ტექსტსა და მკითხველს შორის (ბერგი, 2000, 254, 260).

ე.ეტკინდი უწოდებს „რბილ პერფორმაციულობას“, რომელიც ბენვენისტის „უხეში პერფორმაციულობისაგან“ განსხვავებით, არ გამოიყენება საკუთრივ ტექსტის ფორმალური სტრუქტურიდან (ეტკინდი 2001, 468).

ტექსტის „ძლიერად“ გარდაქმნის აუცილებელი პირობაა სამი პარამეტრის თანხვედრა: ავტორის წარმატების სტრატეგიების წარმატებული რეალიზაცია, იმ რეფერენტული ჯგუფის ავტორიტეტულობა, რომელსაც მიეკუთვნება ან მიმართავს ავტორი, და საკუთრივ ტექსტის განსაკუთრებული თვისებები. ამ აზრის დამტკიცებას ვეცდებით მ.ტუტრინეს რომანის ინტერტექსტუალური ანალიზის საშუალებით, რომლის ჰიპოტექსტი მიეკუთვნება ძლიერ ტექსტებს. მისი ტრანსპონირების შედეგად მივიღეთ სერიოზული პაროდია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ძლიერი ტექსტი“ / „სუსტი ტექსტი“ უკუქცევადი მოვლენაა და განპირობებულია დროის ფაქტორით, ამიტომ საბოლოო კლასიფიკაციის დადგენა ამ თვალსაზრისით შეუძლებლად გვესახება.

ინტერტექსტუალობა კომუნიკაციის კატეგორიაა, რომელიც ფუნდამენტურ როლს თამაშობს ადამიანის არსებობის სტრუქტურაში და მისი მნიშვნელობა სცილდება სიტყვაში მხატვრული შემოქმედების ფარგლებს — „მხატვრულის“ და „სიტყვიერის“ სფეროშიც; ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ენობრივი სუბიექტი, რომელიც ყალიბდება კონკრეტული ლინგვოკულტურული (ყოველთვის ინტელექტუალური) სივრცის ფარგლებში უჭკველად ხდება ინტერტექსტების გავლენის ქვეშ და ამავე დროს თვითონაც იქცევა მის მომხმარებელ სუბიექტად, მაორგანიზებლად და მომწესრიგებლად.

ცოდნის შინაარსის მიხედვით ადამიანის ცოდნის დაყოფა შესაძლებელია „ენციკლოპედიურად“ (ცოდნა სამყაროს შესახებ) და „ენობრივად“. ჩვეულებრივ ამ უკანასკნელს უპირისპირებენ „პრაგმატულ“ ანუ „არაენობრივ“ ცოდნას. თუმცა ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც „ენობრივი“ და „არაენობრივი“ ცოდნა გაერთიანებულია მეტყველება-აზროვნებით

ერთიანობაში, ამიტომ ამგვარი დაყოფა მოკლებულია სერიოზულ საფუძველს. უ. ეკო, კერძოდ, ამტკიცებს, რომ ნებისმიერი სემანტიკური კომპლექსი წარმოადგენს აბდუქციის საგანს გარკვეულ კონტექსტებში ენის მატარებლების ინდივიდუალური წარმოდგენების შესაბამისად, რაც შეეხება „ფორმალურ“ (მკაცრ) სემანტიკას, იგი საერთოდ არ არსებობს (ეკო, 1995, 70).

ჩვენი აზრით, აზრთა ასეთ სხვადასხვაობას თეორიულ საკითხებში, და ასევე, ცოდნის გადაჭარბებულ დანაწევრებას კლასებად და ქვეკლასებად არ შეაქვს არავითარი სიძნადე ამ საკითხში, პირიქით, იგი მხოლოდ აფერხებს ენობრივი პიროვნების ლინგვომენტალური კომპლექსის ფუნქციონირების შესწავლას. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავეყნოთ ცოდნა ორ დიდ ჯგუფად — ლექსიკონად, რომელიც აღქმულია, როგორც ვერბალურ-სემანტიკური ერთიანობა, იდეებისა და კონცეპტების გამაერთიანებელ ენციკლოპედიად, რომლებიც ქმნის „სამყაროს“ გარკვეულ „სურათს“; (ანუ კონვიტიური დონე) განსაზღვრავს გადასვლას ენობრივი მოღვაწეობის შეფასებებიდან სინამდვილის გააზრებაზე (ანუ პრაგმატული დონე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენციკლოპედიური ცოდნა გულისხმობს მეხსიერების სამყაროზე ცოდნის კომპლექსს, რომელიც გამომუშავებულია კონკრეტული კულტურული სივრცის საზღვრებში ბუნებრივი ენით სარგებლობის საფუძველზე. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ენციკლოპედიის გარკვეული ნაწილი წარმოდგენილია ტექსტების ნაკრებით, რომლებიც ქმნიან მოცემული ლინგვოკულტურული ერთობის „სამყაროს სურათს“ და ამავე დროს ხელს უწყობენ მის განვითარებას და შეცვლას. ენციკლოპედიურ ცოდნას ჩვენ განვიხილავთ, როგორც სემანტიკურ ცნებას. იგი სტრუქტურირებულია ინტერპრეტანტების ქსელის მიხედვით და ვერასოდეს ვერ იქნება მოწესრიგებული და დასრულებული, მაშინ, როდესაც ლექსიკონი პრაგმატული მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ამ სისტემაში დროებითი წესრიგის დამყარებისა.

ენითა და ისტორიით გაერთიანებულ ადამიანთა აზროვნებაში არსებობს ტექსტების გარკვეული ნაკრები, კულტურული კლიშეების წარმოდგენებისა და სტანდარტული სიმბოლოების სახით, რომელთა უკან დგას გარკვეული შინაარსი. ყველა ისინი შეადგენენ ამა თუ იმ ენისა და კულტურის მატარებელთა კულტურულ მეხსიერებას („სამყაროს ინვარიანტულ სახეებს“) და რომელთა გარეშე, ვერ

იარსებებს ვერც ერთი კომუნიკაციური სისტემა. (ლეონტიევი, 1997, 273). სამყაროს ინვარიანტული სახეები სოციალურადაა შემუშავებული და არ შეესაბამება ინდივიდუალურ-აზრობრივ წარმონაქმნებს როგორც ასეთს. ინტერტექსტუალობის რაკურსით ეს ნიშნავს, რომ ლინგვომენტალურ კომპლექსში ჩადებულია ინტერტექსტუალობის პრეზუმფცია, ანუ ამა თუ იმ მატარებლის წინასამეტყველო მზადყოფნა, მისი ტექსტური პოტენციალი, რომელიც არსებობს არაცნობიერების დონეზე, აქტიურდება კომუნიკაციის პრაგმატული პირობების შესაბამისად და ყალიბდება ინტერტექსტუალობის სტრატეგიად.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე შევეცადეთ განგვესაზღვრა ინტერტექსტუალობის პრეზუმფციისა და სტრატეგიის არსი: ინტერტექსტუალობის პრეზუმფცია განსაზღვრავს ნაწარმოების სიღრმისეულ ფაკულტატიურ სემანტიკურ შრეს, რომელიც შეიძლება აქტუალიზირებული იქნას მკითხველის მიერ აღქმის კოგნიტურ პრაგმატული პირობების შესაბამისად. მკითხველი, რომელსაც დიდი იმპლიციტური ენერჯია გააჩნია, შედის რეზონანსში ავტორთან და მხატვრული ტექსტის ცალკეულ ნიშნებს აღიქვამს როგორც ანაგრამებს („გასაღები“, კოდები, პროტოტექსტის ინდიკატორები), რომლითაც იგი აღადგენს ნაწარმოების ინტერტექსტუალურ აზრს.... ინტერტექსტუალობის კოგნიტიური სტრატეგია — ესაა ავტორისეული კოგნიტიური გეგმა, რომლის მიხედვითაც მხატვრული ტექსტის ინტერტექსტუალური ცვლილება აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს მხატვრული ინფორმაციის მენტალურ გადამუშავებაში. ინტერტექსტუალობის სემანტიკური სტრატეგია მიმართულია მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის სიღრმისეული შრის ფორმირებაზე ტექსტთაშორისი ურთიერთობების დამყარებისა და უნიკალური მხატვრული ნაწარმოების საერთო ინტერტექსტში ჩართვის ხარჯზე. ინტერტექსტუალურობის პრაგმატული სტრატეგია მდგომარეობს იმ პირობების შექმნაში, რომელთა საშუალებითაც ხდება რეზონანსის უზრუნველყოფა ავტორსა და მკითხველს შორის და ამის შედეგად, ტექსტის ინტერტექსტუალური ბუნების აღქმა.

კოლექტიურ კულტურულ მეხსიერებას ქმნის რაციონალური და უნივერსალური ენციკლოპედიები. უნივერსალური ენციკლოპედია წარმოდგენილია მსოფლიო სემიოსფეროს ტექსტებით, რომლებიც საერთოა სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენლებისათვის (ი. მ. ლოტმანი ამგვარ ტექსტებს უწოდებს „კულტურულ

მარადიულ ნიმუშებს“ (ლოტმანი, 2000b, 616), მაგალითად, ფ. რაბ-
ლეს რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელი“-ს მთავარი გმირი და
ფილისტიმელების გოლიათი, რომელიც ბიბლიის თანახმად ქვით მო-
კლა დავითმა, ეჭვს გარეშე უნივერსალური ენციკლოპედიის ნაწილს
მიეკუთვნება. იგივე ითქმის ბერძნული მითოლოგიის გმირზე აქი-
ლევსზე (აქედან გამოთქმა „აქილევსის ქუსლი“).

კოლექტიური მეხსიერება და, უპირველეს ყოვლისა, მისი ბირთვი
წარმოადგენს ენობრივი პიროვნების შედარებით სტაბილურ შემადგე-
ნელს. მაგრამ ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის მიერ ხმარე-
ბული ინტერტექსტუალური ელემენტების კორპუსი არ არის დრო-
ში უცვლელი. ჯერ კიდევ რ. იაკობსონი (იაკობსონი, [1960] 1975,
196-197) მიუთითებდა, რომ „კლასიკოსების შერჩევა და მათი რეინ-
ტერპრეტაცია თანამედროვე მიმდინარეობების მიერ სინქრონული
ლიტერატურათმცოდნეობის უმთავრესი პრობლემაა. ნებისმიერი თა-
ნამედროვე მდგომარეობა აღიქმება დროის დინამიკაში; მეორე მხრივ,
როგორც პოეტიკაში, ისე ლინგვისტიკაში ისტორიული მიდგომის შე-
მთხვევაში უნდა განიხილებოდეს არა მარტო ცვლილებები, არამედ
მუდმივი, მდგრადი ელემენტებიც. სრული, ყოვლისმომცველი ისტო-
რიული პოეტიკა ანუ ენის ისტორია ესაა ზედნაშენი, რომელიც აღი-
მართება თანმიმდევრული სინქრონული აღწერების ბაზაზე.

ლიტერატურა

ბერგი, 2000 — Берг М. Литературократия, М., Новое
литературное обозрение, 2000

ეკო, 1987 — Eco U. Lector in Fabula, Paris, 1987

ეკო, 1984 — Eko U. Sémiotique et philosophie de langage. Presses
Universitaires de France, 1984

იაკობსონი, 1975 — Якобсон Р. Лингвистика и поэтика [1960] //
Структурализм: « за » и « против », М., Прогресс, 1975, стр. 193-230

იამპოლსკი, 1993 — Ямпольский М.Б. Память Тересия. Интертек-
стуальность и кинематограф. М., Культура, 1993

კარაულოვი, 1999 — Караулов Ю.Н. Активная грамматика и ас-
социативно-вербальная сеть, М., РАН, 2000

კუზმინა, 2004 — Кузьмина Н, Интертекст и его роль в процессах
эволюции поэтического языка, М., 2004

ლოტმანი, 2000 — Лотман Ю.М. Культура и взрыв Текст в тек-
сте. [1992] СПб: Искусство- СПб

სამოიო, 2005 — Samoyault T., L'Intertextualité :Mémoire de la lit-
térature, Littérature 128, Armand Colin, 2005, 128 p.

ფატეევა, 2006 — Фатеева Н. А., Интертекст в мире текстов:
Контрапункт интертекстуальности. М.: Комкнига, 2006.

ლეონტიევი, 1997 — Леонтьев А.А. Основы психолингвистики,
М., 1997.

MEDEA KINTSURASHVILI

Precedential Texts as Elements of Linguo-cultural Space

Summary

According to the 'precedence theory', precedential texts embrace all
important events in the history of a particular culture. The majority of native
speakers are familiar with and appeal to them in their speech. There is always
a great demand on them since they were given the status of importance at a
certain point in the history of the given nation. The paper illustrates the notion
of precedential text by such literary myths as Shakespeare tragedies, 'Robison
Crusoe', 'Don Juan' and 'Don Quixote'.

გარნამ კობერიძე

სიტყვაწარმოების საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში

ფრონეს ხეობის ქართლურში მრავალფეროვანია სიტყვის საწარმოებელი აფიქსები.

მოფერებით-კნინობითი სახელები „ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით, ან მოფერებით აღნიშნავენ“ (ღლონტი, 1988, 138). ფრონეს ხეობის მეტყველებაში **-ა** სუფიქსი კნინობითობას აწარმოებს თანხმოვანფუძიან ადამიანთა სახელებში: **მალხაზ-ა** (მალხაზ-ი), **ენგურ-ა** (ენგურ-ი), **თამარ-ა** (თამარ-ი). მაგ.: „ცუდი, ძალიან ცუდია **ნოდარა** ჭამაში, იშვიათად თუ შეჭამა ბოლომდე“; „ნეტა, ჩემო **თამარა**, ვინ დაგინახანს პატივიცემასა“.

ქართლურში ზოგჯერ **-ა** სუფიქსი გამოყენებულია ქონების აღსანიშნავად იქ, სადაც სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მოსალოდნელი იყო **-იან** (იმნაიშვილი, 1974, 230). ეს მოვლენა უცხო არ არის ფრონეს ხეობის ქართლურისათვის. მაგ.: „გრძელწვერა (გრძელწვერიანი) პირველი შემომხვდა“; „პრტყელხელამ (პრტყელხელიანმა) ისე მოუქნია, ძირს დასცა“.

დამამცირებელი ელფერია გამოხატული სახელზმნური წარმოშობის სიტყვებში. მაგ.: „ეს **ჩუჩელა** ხელით სათრევია ჩვენი“, „დავრჩით **შიშველ-ტიტველა** და ეგ არი“.

რთული სუფიქსი **-იკ-ო** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 231) კნინობით-საალერსო ფორმას აწარმოებს ა) ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელებისაგან. მაგ.: „**ციციკო** (ციცინო) ნაკედლარებზე რასა თესან“; „რაა, **შალიკო** (შალვა), მაჭარს ხო არ აყენეფ, რამდენ წყალს ზიდან.“ ბ) საზოგადო სახელებისაგან. მაგ.: „**შვილიკო**, მოიხედე, მე უნდა წავიდე“. გ) სულიერ არაადამიანთა სახელებში: **ძადლიკო**, **ცუგიკო**. მაგ.: „ჩვენა პატარა **ფუჩიკო** გყვან, თებრონე დავარქვით“.

ურ-ა (დისიმილაციით **-ულ-ა**) სუფიქსი კნინობითობასთან ერ-

თად მსგავსებასაც გამოხატავს. მაგ.: „ეგ ისეთი **ბუტუსურაა**, ვინ რას გაუგებს“; „იმისი ქმარი ერთი **ჩუჩელაა**“; „ერთი **ხელეულა**, რაც მომხვდა, ის წამოვიღე“; „ორთავენი **მარტოსულა** ვართ“.

დამამცირებელ - დამაკნინებელია **-უნ-ა** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები: „შე, **ფართუნა**, მიდი-მიხედე, ვედრა გაინსო“; „ცოლად მოიყვანა ერთი წლუკუნა ვინმე“; „საით მიჰქროდა **ფართუნ-ფართუნით** ეგ **წუწუნა**“.

სალიტერატურო ქართულ ენაში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია სუფიქსები: **-ელ**, **-ურ**, **-იურ**, **-დელ** (შანიძე, 1980, 127).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში ადამიანის სადაურობას უჩვენებს **-ელ** სუფიქსი: „**დირბელი** მძლოლი მომიბრუნდა და აისე რო ჩემ ბავშს მოსლოდა, მთელ უბანს გადავწვანდი“; „გალმა **ფრონელი** გამოლმას ცოლად ან ითხოვდა, მაინც ნათესავად ვერგებო“; „მისი სადაურობა ვიკითხე, თურმე „კარენო“ **დირბელი** ყოფილა“; „ქუჩაში მიდიან ორი ახალგაზრდა ბიჭი, **ნულელები**“.

ფრონეს ხეობის ქართლურში არაადამიანთა სადაურობაზე მიუთითებს **-ურ** (დისიმილაციით **-ულ**). მაგ.: „ამოვა ავტობუსი და **ქალაქულ** ამბებს ამოვიტანს“.

ზოგჯერ სადაურობა ორმაგი სუფიქსით (**-ურ და -ულ**) იწარმოება. მაგ.:

„**სადაურელები** იქნებოდნენ და უბიათელები“; „**აქაურელები** მაგრა დაუდგენ, თორე გადაგვწვამდნენ“. მსგავსი მოვლენა დადასტურებულია ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართლურში (სომხიშვილი, 2000, 43).

როგორც ცნობილია „ძველ ქართულში შემონახულია რამდენიმე სახელი, რომელთაც ელ სუფიქსის დართვისას კიდევ მ პრეფიქსიც მოუდიოდა: მ-არად-ელ-ი (არად-ეთ-ი სოფელია ქართლში), მ-როგ-ელ-ი (რუისიც სოფელია ქართლში: მისი პარალელური ფორმა უნდა ყოფილიყო რო-ის-ი, აქედან მ-რო-ელ-ი, ვ-ს გაჩენით ო-ს შემდეგ: მ-რო-ვ-ელ-ი); ასეთივე წარმოებისაა: მ-არგუ-ელ-ი, მ-აწყურ-ელ-ი (აწყურის ეპისკოპოსთა ტიტული), მ-ეგებტ-ელ-ი და სხვ. ამ ტიპის წარმოება დღევანდლამდე შემონახულია მ-ეგრ-ელ-ში (მ-ეგრ-ელ-ი ნიშნავს ეგრ-ის-ის მცხოვრებს) და გვარებში: მ-ეტრე-ელ-ი, მ-აჩაბ-ელ-ი და სხვ“ (შანიძე, 1980, 127).

ვფიქრობთ, წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს ცნობილი გვა-

რი მარან-ელ-ი.

-ეულ სუფიქსი ქართულში „რომელიმე პირის ნაქონ ნივთს, სახელს, ადგილს აღნიშნავს: მამა — მამისეული (ის, რაც მამას ეკუთვნოდა), დედა — დედისეული...“ (ლლონტი, 1988, 137).

ფრონეს ხეობის ქართულში საგანთა ერთობლიობაზე მიუთითებს **-ეულ** სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები: **ხილი — ხილ-ეულ-ი, ნიგოზი — ნიგოზ-ეულ-ი, ბალი — ბალ-ეულ-ი, მარწყვი — მარწყვ-ეულ-ი** და სხვ.

-ეულ „დაერთვის არსებითი სახელის ნათესაობით ბრუნვის ფორმას და გამოხატავს განკუთვნებას, მიკუთვნებას წარმომავლობის მიხედვით: მამის-ეულ-ი, პატარძლის-ეულ-ი“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 156).

-ეულ სუფიქსით ნაწარმები ფორმებიდან მიკუთვნებას გამოხატავს **მოყვრისეული, ცოლისეული**; მრავლობითობაზე, კრებითობაზე მიუთითებს **მოყვრეული, ცოლეული**.

-დელ სუფიქსი აწარმოებს წარმომავლობას დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: **იმდღენ-დელ-ი, იმდამნ-დელ-ი, დღეინ-დელ-ი, ამწინ-დელ-ი, გუშინ-დელ-ი** და სხვ.

ფრონეს ხეობის ქართულში „-ეთ ყველაზე გავრცელებული სახეა გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მაწარმოებლისა. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს“ (შანიძე, 1980, 138). მაგ.: **არად-ეთ-ი, ბრ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, ქალ-ეთ-ი** და სხვა.

-ათ სუფიქსი დადასტურდა სოფლის სახელწოდებაში — **უბი-ათ-ი**, რომელიც უნდა მომდინარეობდეს **უბი-ეთ-ი-დან**. სამეცნიერო ლიტერატურაში **-ათ** სუფიქსი მიჩნეულია **-ეთ** სუფიქსის ზანურ შესატყვისად (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 26). მსგავსი წარმოებისა უნდა იყოს **-უთ** სუფიქსი **მუგ-უთ-ში (მუგუ-ეთ-ი)**.

„შირად -ეთ ელემენტი უხორცდება ხოლმე ფუძეს, შედის მკვიდრად მის შემადგენლობაში და დაირთავს ახალ მორფემას“ (ლლონტი, 1988, 17).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში გვაქვს ორგვარი წარმოება: 1. **-ელ** სუფიქსის დართვით **-ეთ** სუფიქსი შენარჩუნებულია. მაგ.: **არად-ეთ-ელ-ი, ტბ-ეთ-ელ-ი, ბრ-ეთ-ელ-ი, არკნ-ეთ-ელ-ი, ძვილ-ეთ-ელ-ი** და სხვ. 2. **-ელ** სუფიქსის დართვით **-ეთ** სუფიქსი იკარგება. მაგ.: **ძვილ-ელ-ი, არკნ-ელ-ი, ტბ-ელ-ი, არად-ელ-ი** და სხვ.

ზოგჯერ სადაურობის აღმნიშვნელი სახელი ორმაგი სუფიქსით

(**-ურ, -ულ**) იწარმოება. მაგ.: **სადა-ურ-ელ-ი, აქა-ურ-ელ-ი, იქა-ურ-ელ-ი, ზემო-ურ-ელ-ი, ქვემო-ურ-ელ-ი** და სხვ. ეს მოვლენა ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართულში შენიშნული აქვს ვ. სომხიშვილს (სომხიშვილი, 2000, 43).

-იან სუფიქსი გვარებთან კუთვნილებაზე, ქონებაზე, ჩამომავლობაზე მიუთითებს. მაგ.: **ნებიერიძიანი, ჯაფიანი, ლოქაბიძიანი** და სხვ.

„ეს მაწარმოებელი მიღებული ჩანს ეან-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი და მისთ... ამჟამად -იან-ი აღნიშნავს ყოლ-ქონებას: ცოლ-იან-ი, ცხვრ-იან-ი, საქონლ-იან-ი, წვერ-იან-ი და სხვ.“ (შანიძე, 1980, 122). ა. შანიძის აზრით -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევაში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი შეილ-ი ჩამომორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი -იან“ (შანიძე, 1980, 14).

ანალოგიური წარმოება გვაქვს მაგ.: **ბაციკა-ან-თ-ი (ბაციკაძეებისა), სტეფნა-ან-თ-ი (სტეფნაძეებისა), ქოქო-ან-თ-ი (ქოქოშვილებისა), ქოთო-ან-თ-ი (ქოთუაშვილებისა), ბაკ-ან-თ-ი** და სხვა.

-იან (-ან) სუფიქსი ქონებაზე, წარმომავლობასა და მრავლობითობაზე მიუთითებს ადამიანთა საკუთარ სახელებშიც: **მერაბა-ან-თ-ი, თედო-ან-თ-ი, კლავდია-ან-თ-ი** და სხვ. იმავე წარმოებისა ადგილის აღმნიშვნელი ტოპონიმები სოფელ დირბში: **ბერიძი-ან-თ-ი, გელუტა-ან-თ-ი, ბლიაძ-იან-თ-ი, ბაკ-ან-თ-ი (სოფელი ზნაურის რაიონში, უნდა მიუთითებდეს ჩამომავლობაზე)** და სხვა.

-ან სუფიქსის პირვანდელ ფუნქციას ს. ჯანაშია კრებითობის გამოხატვაში ხედავდა. ეს მნიშვნელობა ამ ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარ-სახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარ-სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყველა ქართველ ტომში, ხოლო ქართველურ პატრონიმიკულ მორფოლოგიაში ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია (ჯანაშია, 1937, 11).

ჯავახურში ამ სუფიქსის ადრინდელი მნიშვნელობა შემონახულია გვარის განაყოფთა სახელებში. **-ან** სუფიქსი განაყოფთა აღმნიშვნელ

სახელებს სხვადასხვა ვარიანტებით დაერთვის: -ა+ან, -ი+ენ, -ე+ენ, -ო+ონ... (ბერიძე, 1988, 143).

-**ოსან** სუფიქსის ნაცვლად ქონებაზე მიუთითებს -**ოან**: **ჯვალო-ოან-ი** (ვისაც ჯვალო, უხეში ქსოვილის ტანსაცმელი აცვია), **ჩოხ-ოან-ი** (ჩოხის მქონე), **ფეხსაცმლო-ოან-ი** (ვისაც ფეხსაცმელი აცვია).

-**იან** სუფიქსი სახელებში გამოხატავს კუთვნილებას: **ზოლო-იან-ი** (ზოლის მქონე), **ყავისფერიანი** (ყავისფერის მქონე).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში წინა ვითარების სახელების მა-წარმოებლად დასტურდება: **ნა-**, **ნა-არ**, **ნა-ეგ**.

ა. შანიძემ სწორად განსაზღვრა აღნიშნული მაწარმოებლების თანაბარი ფუნქცია. ისინი საგანს ახასიათებენ იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით“ (შანიძე, 1980, 133).

წინა ვითარების მაწარმოებელი აფიქსები ადგილის მაწარმოებელი სახელწოდების გამოხატველ ტოპონიმებში დასტურდება: **ნა-ვე-ნახ-არ-ი**, **ნა-კედლ-არ-ი** **სახნავი ადგილები ტანსაცმლის** **ნა-ალიზ-ეგ-ი ბრეთში**, **ნა-ბაკ-ეგ-ი ზნაურში**, **ნა-სახლ-არ-ები დვანში**, **ნა-ავნეგ-არ-ი დამწვარი ავნევი**, **ნა-ახალშენ-არ-ი გადა-მწვარი ახალშენი**.

წინა ვითარების სახელებში ზოგჯერ ვხვდებით რამდენიმე პრე-ფიქსს ერთდროულად: **ნა-მალ-ეგ-ურ-ი**, **ნა-მძრახ-ულ-ი**, **ნა-კბილ-ეგ-არ-ი** და სხვ.

ზოგჯერ ფრონეს ხეობის მეტყველებაში მრავლობითობის -**ებ** სუფიქსის ფუნქციას ასრულებს კრებითობის -**ობა** სუფიქსი. მაგ.: „მოვიდნენ იმისი **მაყრობა?**“ „თქვენი **ქათმობა** ამოწყდეს“ (კობერიძე, 1999, 112). ამ შემთხვევაში

-**ობა** სუფიქსით ნაწარმოები სახელი კრებითიც არის და საგნობრიობაც მიეწერება.

სი-ე მაწარმოებელი ისეთ სახელებს აწარმოებს, რომლებიც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ. მაგ.: **წუწა-ობა** (ვინც წუწებს ჰყრის), **წუნკლა-ობა** (ვინც წუნკალია, უსუფთაოა), **ზანტ-ობა** (ვინც ზანტია, ზარმაცია) და სხვა.

-**ა** პრეფიქსისაგან ნაწარმოებია საწყისი: **ქსო-ა** (ქსოვა), **კერ-ა** (კერვა), **სგ-ა** (სმა) და სხვა.

სიმრავლეს გამოხატავს ებიან მრავლობითში დასმული საწყისი. მაგ.: **გა-ქურდ-ებ-ი**, **და-ცემ-ებ-ი**, **და-ბომბ-ებ-ი**, **შემო-სვლ-ებ-ი**,

მი-სეგ-ებ-ი და სხვ.

ამრიგად, ფრონეს ხეობის ქართულში დადასტურდა სიტყვა-წარმოების საინტერესო და თავისებური შემთხვევები სალიტერატურო ქართულ ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართების თვალსაზრისით.

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — ვ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974.

კობერიძე, 1999 — მ. კობერიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

სომხიშვილი, 2000 — ვ. სომხიშვილი, სიტყვაწარმოების ზოგი თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.

დლონტი, 1988 — ალ. დლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

დლონტი, 1988 — ალ. დლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონომია, ტოპონიმური ძიებანი, VII, თბ., 1988.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზ. ტ. III, თბ., 1980.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

MARIAM KOBERIDZE

Towards the Wordformation in the Prone Valley Accent of the Kartlian Dialect

მარიამ კობერიძე

Summary

Some peculiar cases of wordformation, different from Standard Georgian and other dialectal forms have been evidenced in the Prone Valley accent of the Kartlian dialect.

The suffix -a denoting possession corresponds to the Standard Georgian suffixes -ian, -ur, -ul. The forms with the suffix -eul denote either possession or the notion of collectivity.

The geographical names with the suffix -et take the suffix -el indicating the origin. When used with family names the suffix -ian (-an) expresses origin, possession or collectivity.

ზმნა-შემასმენლისა და ჰემდეზარის ურთიერთობისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში

როგორც ცნობილია, „ქვემდებარე-შემასმენლისა, ერთი მხრივ, და დამატება-ობიექტებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა, მეორე მხრივ, ერთ-ერთ ძირითად საკითხად ამ წევრთა შორის რიცხვის (და პირის) მიხედვით დამყარებული ურთიერთობის გარკვევას გულისხმობს“ (კვაჭაძე, 1988, 100).

სალიტერატურო ქართულ ენაში ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის შეწყობა-შეკავშირებისას ანგარიში ეწევა გრამატიკულ ფორმას. ეს წესი „განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. სხვაობა დაჩნდება ქრონოლოგიურადაც (ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის). იმავდროულად ყველა შემთხვევაში მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული პრინციპი. მერყეობის შემთხვევები იშვიათია თვით იმ დიალექტებშიც, რომლებშიც ინოვაციებისადმი მიდრეკილება შეინიშნება. მერყეობა ამ მხრივ უპირატესად თავს იჩენს სალიტერატურო ენის ზეგავლენით“ (ჯორბენაძე, 1995, 264).

ფრონეს ხეობის ქართლურში, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენლის აზრობრივი შეთანხმება. ამ დროს „გრამატიკული ფორმა დაჩრდილულია, უპირატესობა ეძლევა მის ლექსიკურ მნიშვნელობას“ (სომხიშვილი, 1996, 180).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში კრებითი არსებითი სახელით წარმოდგენილ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია. მაგ.: „**ხალხი** გაიქცნენ და **დაიძალენ**“; „ნაკველარებზე უწინ ჩვენი სოფლის **ხალხი ცხოვრობდენ**“; „**ოსობა შეესივნენ** და **გადასწვეს**“; „მათი **მოყვრობა შეიყარენ** და **ქეიფი გამართეს**“; „**ჟინჯალუკობა** (ბავშვობა) მანქანებზე **შეყარეს** და **გაიქცენ**.“

აზრობრივი შეთანხმება გვაქვს სხვადასხვაამნიშვნელიანი კომპოზიტებით გადმოცემულ ქვემდებარესთან, როცა მასთან შეწყობილი

ზმნა-შემასმენელი მრავლობითში დაისმის. მაგ.: „მისი **ცოლ-შვილი აიყარენ და წავიდენ**“; „ვინ ჩიოდა ამას, **გოგო-ბიჭი ერთად მოიყარენ და დაწვენ**“. „**რძალ-დედამთილმა** ჩუმად **გაიტანეს და გაყიდეს**“; „**ბებია - შვილიშვილი დაწვენ და დაიძინეს**“; „**მეგობარ-ნათესავმა** ფეხი **ამოიკვეთეს და შეიძულენ**“.

თუ ქვემდებარეს ახლავს მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა, შემასმენელი მრავლობით რიცხვშია, ასეთი მსაზღვრელი გავლენას ახდენს საზღვრულის რიცხვზე და ხშირად სვამს მრავლობით რიცხვში. მაგ.: „**ოთხი ოსი ამოცვივდენ** და მძლოლს ცემა **დაუწყეს**“; „**ორმა ბიჭმა** ისე **შემოუკურთხეს, არ დაარჩინეს** არავინ“; „**ბევრი სახლი დაიწვენ**“; „**ორი** ახალგაზრდა **ქალი საუბრობდენ**“.

ასეთივე ვითარებაა მაშინ, როცა ქვემდებარედ გვაქვს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „**ყველა**“ და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი „**ზოგი**“. მაგ.: „**ყველა ჩაერივნენ და შეარიგეს**“; „**ყველა გაეშურნენ და საქმე დაიწყეს**“; „**ყველა არ გაიქცენ, ზოგი დადგენ** და უბედურებას ლოდინი **დაუწყეს**“. „**ზოგი** მანქანაზე **შეიკუნწლენ, ზოგი** კუთხეში **მიდგენ** და საგონებელს **მიეცნენ**“.

„ყველა“ და „ზოგი“ ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარე ფორმალურად უთანხმება ზმნას რიცხვში, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურად ბევრს, მრავალს აღნიშნავს, მხოლობითი რიცხვის ფორმაა (ჯორბენაძე, 1995, 266).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში ებიან მრავლობითში დასმული სულიერი საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარე მრავლობით რიცხვში ეთანხმება შემასმენელს. მაგ.: „**ბავშვებმა ჭამეს და გაიქცენ**“; „**დიდები ადგენ და წავიდენ**“.

იმერული კილოს გავლენით შეინიშნება საპირისპირო შემთხვევებიც. მაგ.: „**დიდები და პატარები ერთმანეთში აირია**“; „**გელუტანთ უბანს თანდათან შეემატა მეზობლები**“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ყველა ეს პარალელური ვარიანტი შეიძლება ერთსა და იმავე დიალექტში შეგვხვდეს. ესაა გარკვეული მერყეობის გამოხატულება, როცა ენაში მორფოლოგიური და სემანტიკური მოვლენების ახლებური სინტაქსური გააზრება ხდება“ (ჯორბენაძე, 1995, 268).

ზოგჯერ ადამიანთა საკუთარი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია. მაგ.: „**ნოდარა შვილ-**

ბით ცენტრში წავიდნენ“; „**აბელა თავისი მუშებითა მუშაობდნენ და ჟრიამულობდენ**“.

ფრონეს ხეობის მეტყველებაში გვაქვს უსულო საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმების, ისე შეუთანხმებლობის შემთხვევები. ზმნა-შემასმენელი ხან მრავლობითში დგას, ხანაც მხოლობითში“. მაგ.: „**ისე მოისხეს, სუ ძირები დაიმტვრის**“; „**იქ სოფლები აღარ არიან**“; „**იმ მონასტრი კედლები ნანგრევები გახდენ**“; „**მდინარეები აღიღდა და ბჭებში წყლები მოემატა**“.

არნ. ჩიქობავას აზრით, „ზმნის შეთანხმება - ებიან სახელობითთან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, აღნიშნავს, შემდეგ კი ვრცელდება იმ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ ზმნა მოქმედებითი გვარისაა, აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყევა, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია“ (ჩიქობავა, 1941, 200, 201).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დადასტურებულ შემთხვევებში უსულო საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს აქტიური სუბიექტის თვისებები მიეწერება გარდაუვალი ზმნებით გადმოცემულ შემასმენელთანაც.

სალიტერატურო ქართულ ენაში ნართანიან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში ყოველთვის ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში და ჩვეულებრივ ითანხმებს დღესაც. ფრონეს ხეობის მეტყველება მისდევს სალიტერატურო ენას. მაგ.: „**ეს გაჭირვებულნი** საიდან **გამოჩდენ**“; „**ეგენი** სამარემდე **ჩაჭყვებიან** მტერს“; „**მწუნარენი** წინ **გაუშვეს** და თვითონაც უკან წაჰყვნენ“.

-5//-(ა) სუფიქსებით გაფორმებული პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს ვერ ეთანხმება რიცხვში. მაგ.: „**იმანთა შეეწირა ყველაფერი**“; „**მაგანთ მუცელი ვერაფრით გაიძღეს**“ (კობერიძე, 1999, 113).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში შედგენილი შემასმენლის სახელიური და ზმნური კომპონენტები ხშირად ეთანხმებიან ერთმანეთს. მაგ.: „**რძალ-დედამთილი** ერთი **ჭკუისები არიან**“; „**ეს მიწები გელუტანთი არიან**“; „**ეგენი უჭკუოები არიან**“; „**ეგ ბავშვები მტრისები** ხომ არ **არიან**“.

ანალოგიური მოვლენა გავრცელებულია ქართულურში (იმნაიშვი-

ლი, 1974, 237), კახურში (ჩიქობავა, 1925, 78; მარტიროსოვი, იმნა-იშვილი, 1956, 127), ფერეიდნულში (ჩიქობავა, 1927, 217), ჯავახურში (ბერიძე, 1988, 165).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში რიცხვში ქვემდებარეს არ ეთანხმება. ქართული ენის დიალექტებში მსაზღვრელის დამოუკიდებლობამ საზღვრულისაგან გამოიწვია ამ უკანასკნელის დასუსტება, მაგრამ ქვემდებარე, როგორც მმართველი, ძლიერდება (ჩიქობავა, 1925, 78).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება ზმნა-შემასმენლის რეპრეზენტული (წარმომადგენლობითი) მრავლობითი, რომელიც „გამოწვეულია არაერთგვაროვანი წევრებით, ხოლო ფორმალურად — ზმნა-შემასმენელთან ნავარაუდევ ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარით“ (ბურჭულაძე, 1991, 26). მაგ.: „**დაიხლოვა ქალმა ეს კაცი და ბედს ეწივნენ**“; „**შეეკრა მეზობელი მტერს და სოფელი დააქციეს**“. აღნიშნულ შემთხვევებში ზმნა-შემასმენელი არაერთგვარ წევრებს ეთანხმება რიცხვში.

რეპრეზენტული მრავლობითი დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილოებისათვისაც. „ამ დროს ფაქტობრივ ყველგან სუბიექტის (ქვემდებარის) სინკოპა მომხდარი, რომლის მიზეზი ზეპირი მეტყველება ჩანს“ (ბურჭულაძე, 1991, 27).

ერთგვარქვემდებარეანი შერწყმულ წინადადებაში შემასმენელი მხოლოდ რიცხვში უთანხმდება მხოლოდ პირველ ქვემდებარეს. მნიშვნელობა არ აქვს ქვემდებარის რიცხვს. მაგ.: „**სოფელში გამოჩნდა რუსები და ოსები**“; **მამამ და შვილმა ერთად აიარა** სოფლის ორღობე და ტყეს **მისცა** თავი“.

ამრიგად, ფრონეს ხეობის ქართულში გავრცელებული საყურადღებო შემთხვევები მიუთითებს სალიტერატურო ქართულ ენასთან დაახლოების ტენდენციასა და სხვა დიალექტების გავლენასა და ინოვაციებზე.

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1988.

ბურჭულაძე, 1991 — ბ. ბურჭულაძე, ზმნის რიცხვში შინაარ-

სობლივი შეთანხმებისათვის ქართული ენის ზოგ დიალექტში, დიალექტოლოგიური კრებული, , თბ., 1991.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

კობერიძე, 1999 — მ. კობერიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

სომხიშვილი, 1996 — ვ. სომხიშვილი, ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარე-დამატებათა სინტაქსური ურთიერთობისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ჩიქობავა, 1925 — არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, ტბ., 1925.

ჩიქობავა, 1927 — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, ტფ., 1927.

ჩიქობავა, 1925 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, №2, თბ., 1941.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

MARIAM KOBERIDZE

მარიამ კობერიძე

Towards the Subject-Predicate Relation in the Prone Valley Variant of the Kartlian Dialect

რიტორიკა და რიტორიკული ფიგურების გამოყენება მსახურ რეგისტრში

Summary

In the Prone Valley variant of the Kartlian dialect of Georgian the semantic agreement between the subject and the predicate is expressed lexically rather than grammatically. The relation in question can be conveyed by different types of compounds, collective nouns, numerals, the definite pronoun *qvela* (all) or the indefinite pronoun *zogi* (some). The agreement as well as the disagreement of the subject conveyed by an inanimate or an animate noun with the predicate is of particular interest.

The paper discusses similarities and differences between Standard Georgian and the variant in question.

როგორც ცნობილია, პირველი რიტორიკის ავტორი და ფუძემდებელი იყო არისტოტელე ესტახირადან. რიტორიკა ბერძნული კლასიკური ეპოქიდან იღებს საფუძვლებს. იმ დროს არსებობდა ზეპირი რიტორიკა, ანუ სხვაგვარად მას პოლიტიკურ რიტორიკასაც უწოდებდნენ, იგი ღია ადგილებზე ტარდებოდა, სადაც ყველა მოქალაქე ესწრებოდა. იმ დროს რიტორიკა წარმოადგენდა სოციალურ სტრატეგიას, რომელსაც მრავალმხივი დანიშნულება ჰქონდა. დღესდღეობითაც იგი დაახლოებით იმავე დანიშნულებას იძენს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორატორის სახე ცოტა არ იყოს მოძველებული იერს ატარებს, ჩნდება ახალი სახე - ინფორმატორის, რომელიც მას სწორედ იმ დროს იღებს.

არისტოტელეს პერიოდში (დროს) (IV ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) რიტორიკა წარმოადგენდა ხელოვნების ერთ-ერთ სახეობას, ანუ ქმედების მეცნიერებას. ზოგიერთი აცხადებს, რომ რიტორიკა დღეს იმავეა, რაც იყო არისტოტელეს პერიოდში, თუმცა დღეს თანამედროვე რიტორიკამ შეიძინა ახალი მხარეები, რაც თანამედროვე საზოგადოებაში ადვილად გამოიყენება.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს იმის განსაზღვრაც, როგორი შეტყობინება უნდა გაეზავნოს მსმენელს, რათა კომუნიკაცია გახდეს ნაყოფიერი, იყოს ნათელი და გასაგები ყველასათვის, რომ ყოველმა მიწოდებულმა ინფორმაციამ გამოიღოს თავისი შედეგი და სწორად გაიგოს მსმენელმა. თანამედროვე რიტორიკა არ ემსახურება იმ მიზნებს, რასაც იგი ძველ ხანაში ემსახურებოდა, ანუ ზუსტად რომ ვთქვათ, დღესდღეობით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მსმენელმა მიიღოს ზუსტი და მკაფიო ინფორმაცია (მესიჯი), რომელიც ემსახურება მსმენელის დარწმუნებას. შესაძლოა, მოწოდებული ინფორმაცია არ იყოს სწორი, თუმცა იგი დამაჯერებელია და სწორად

უნდა იმოქმედოს მსმენელზე.

დღევანდელი კომუნიკაციის მთავარი მიზანია მეტყველების გამოყენებით მსმენელის დარწმუნება. ხელოვნება, რომელიც უძველესი დროიდან მოდის, კერძოდ კი V ს. ჩვენს წელთაღივცხვამდე, შეიძლება ითქვას, რომ ხელახლა დაიბადა, მას რიტორიკას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკა თავის მხრივ წარმოადგენდა მეტყველების ხელოვნებას და იყო ძალზე პრაგმატული დისციპლინა, პრაგმატულია ის მეტყველებაც, რომლის მიზანაცაა მსმენელის დარწმუნება და რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოება და მასზე ზემოქმედება, მისი სტრუქტურისა და კონცეფციების გამოყენებას ცდილობს იგი, ინფორმაციის შეცვლით, გადაცემითა და დარწმუნებით, ყოველივე ეს ჩართულია კომუნიკაციის პროცესში.

დარწმუნება გულისხმობს მსმენელისათვის მხოლოდ ინფორმაციის სწორად მიღებასა და გაგებას, რომელსაც მას ეგრეთ წოდებული ორატორი მიაწოდებს. თუ კი რეალობას დავუბრუნდებით, როგორც ეს თავის დროზე არისტოტელემ გააკეთა, რომელიც რიტორიკას იყენებდა გონიერი და პრაქტიკული ფილოსოფიისათვის, უნდა ვაღიაროთ, რომ რაციონალურ და ინტერაქტიურ მეტყველებასთან ერთად, რომელიც ადამიანის განუყოფელი ნაწილია და რომელშიც ჩვენ ყოველდღიურად ვმონაწილეობთ და რა არის ენის (მეტყველების) უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაც, ყველას მოწოდებაა და, რა თქმა უნდა, რიტორიკულია.

როგორც ორტეგა და გასეტი აღნიშნავდა, „სიტყვები არ არის სიტყვები, თუკი ისინი არ წარმოთქმულა ვინმეს მიერ... სიტყვის რეალობა განუყოფელია იმისგან, ვინც მას წარმოთქვამს და ვისკენაც არის მიმართული და იმ სიტუაციაზე, რომელშიც ყოველივე ეს ხდება“.

ჩვენ ვსაუბრობთ არა ჩვენთვის, არამედ საზოგადოებისათვის და ყოველთვის, როცა ვლაპარაკობთ, ვქმნით და ზეგავლენას ვახდენთ ჩვენს მსმენელზე, ასევე ჩვენც ვხვდებით ზემოქმედების ქვეშ, როცა იგივე მსმენელი ჩვენ გვესაუბრება. ეს არის ორმხრივი აქტი, ინფორმაციის ორმხრივი აღქმა.

კარგი რიტორიკული მესიჯი, რომელიც კარგად არის ორგანიზებული და შელამაზებული, ისეთ ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე, რომ იგი დიდი ხნით რჩება მსმენლის მეხსიერებაში.

საუბრისას ჩვენი პირველი მიზანია, საუბრის აქტის განხორციე-

ლება, რითიც ჩვენ უნდა მოვახდინოთ ზემოქმედება მსმენელზე და ამ დროს ჩვენ სასარგებლოდ ვმოქმედებთ, რათა მიწოდებული ინფორმაცია გაგებულ იქნეს ისე, როგორც ეს ჩვენთვის იქნება ხელსაყრელი. როგორც რიტორიკა, ასევე რეკლამაც ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს, ანუ ორივე ცდილობს დაარწმუნოს ადამიანი, რომ გარკვეული პროდუქტი უნდა იყოს მისთვის სასარგებლო.

ჩვენ აღვიქვამთ რიტორიკას როგორც ხელოვნებას, რომლის მიზანაცაა დამარწმუნებელი დისკურსის დროს ენის ოპტიმალური შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ რეკლამის მესიჯს. შეიძლება ითქვას, რომ რიტორიკული დისკურსი გამოიყენება რეკლამაში.

ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ და დავადგინოთ, თუ რა რიტორიკულ ხერხებს მიმართავს რეკლამა. რიტორიკა წარმოადგენს ხელოვნებას, რომელიც ზრუნავს მეტყველების კომუნიკაციურ ნაყოფიერებაზე, პირველადი ენის, სწავლობს მის მრავალ შესაძლებლობებს, რითიც უნდა მოახდინოს ზეგავლენა მსმენელზე. ამიტომაცაა, რომ რეკლამა იყენებს რიტორიკას. ამგვარად, რიტორიკა ასწავლის და აჩვენებს პუბლიცისტიკას რიტორიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიებს, როგორებიცაა გამოგონება (*develad, inventio, ლათ*) ასევე წარმოჩენა-მჭევრმეტყველება (*ლათინურად — dispositio და elocutio*).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რიტორიკა წარმოადგენს დარწმუნების ხელოვნებას, რომელიც უშუალოდ სიტყვის მეშვეობით ხორციელდება, რეკლამა კი, თავის მხრივ, წარმოადგენს ყველა სახის კომუნიკაციას, რომელიც კომერციულ დანიშნულებას ემსახურება იმისათვის, რათა მისი პროდუქცია რაც შეიძლება მალე და ნაყოფიერად გასაღდეს. ამგვარად, რეკლამის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ გარკვეული პროდუქტი მისთვის ვარგისი და სასარგებლოა. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავება რეკლამასა და პროპაგანდას შორის, თუმცა ორივე იყენებს და მიმართავს დარწმუნების მსგავს ხერხებს და კომუნიკაციის ერთსა და იმავე საშუალებებს, თუმცა მათი მიზნები სულ სხვადასხვაა, რადგან პირველის მიზნები კომერციული ხასიათისაა, მეორის კი — იდეოლოგიური.

ყოველი რეკლამა ემსახურება გარკვეულ მიზნებს და ეს ყველასთვის გასაგებია, ეს კომერციული მიზნებია.

რეკლამა, ანუ ეგრეთ წოდებული სარეკლამო მესიჯი, მოიცავს განსაკუთრებულ შინაარსს, რომელიც განსხვავდება რიტორიკული

დისკურსისაგან, პირველ რიგში იმით, რომ რეკლამა კეთდება არა მხოლოდ სასაუბრო ენის გამოყენებით, ის არის რიტორიკული, არამედ ენის სხვადასხვა სახეობებით, რომელიც ხშირად მონაწილეობს რეკლამის მესიჯში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იყენებს ისეთ ხერხებს, რომელიც უცხო და უჩვეულოა სასაუბრო და წერიითი მეტყველებისათვის.

რიტორიკაში კი პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ფერებისა და ხმების რიტორიკაზე ვისაუბროთ მუსიკის წარმოსახვისას და ხატვის დროსაც კი, სინამდვილეში რიტორიკული დისკურსი შედგება ზეპირი და წერიითი მეტყველებისაგან.

რეკლამაში მესიჯმა იმდენად ადვილად განიცადა ადაპტაცია კომუნიკაციის საშუალებებში, რომ ყველაზე ხშირია ზეპირი და წერიითი მეტყველების კომბინირება და სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება.

ლინგვისტური სიმბოლოები კომბინირებენ ერთმანეთში ვიზუალური საშუალებების გამოყენებისას (მაგალითად, პრესაში, სარეკლამო პოსტერებში), რომლებზეც წარმოდგენილია სხვადასხვა გამოსახულების მემკვიდრეობით, იქნება ეს სურათი თუ ანიმაციური ნახატი, რადიო თუ ტელევიზია, მუსიკის გამოყენებით, გამოსახულებითა თუ ხმით.

სარეკლამო მესიჯი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ზეპირი და წერიითი მეტყველება, ყველა სახის გამოსახულებები, ვიზუალური თუ ხმოვანი, ან ორივე ერთდროულად, კინოსა თუ ტელევიზიაში, ეს არის კულტურული მასების განუყოფელი ნაწილი, და ჩვენ ვართ ამ წარმოდგენილი პროდუქტის მომხმარებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეკლამა იყენებს სხვადასხვა ხერხს, რათა მოწოდებული მესიჯი იყოს სწორად გაგებული, ამასთანავე რეკლამა იყენებს სხვადასხვა ლინგვისტურ ხერხსაც, მათ შორის სემანტიკურს.

ენის სხვა ფუნქციებთან ერთად რეკლამის მესიჯში გამოიყოფა კონოტაციური ფუნქციაც, კომუნიკაციის პროცესის გამოყენებით. პუბლიკის ყურადღების მიპყრობა, მსმენელამდე ინფორმაციის სწორად მიტანა, ყოველივე ეს წარმოადგენს რეკლამის გზავნილის მნიშვნელოვან მისიას. აქედან გამომდინარე, რომ პუბლიცისტი ანიჭებს უპირატესობას რეკლამის კონოტაციურ ფუნქციას (მაგალითად: ¡Aprésurese. Últimos días!“, “Hasta cuándo vas a esperar?“ „იჩქარეთ! ბოლო დღეებია!“ „სანამდე უნდა ელოდო?“).

ყველაზე ხშირად რეკლამაში გამოიყენება ზმნები ბრძანებით კილოში, რა თქმა უნდა, ეს გზავნილები უბიძგებს მსმენელს პროდუქტის შეძენისკენ (მაგალითად: **oiga, vea, compre, pida, prueba, consuma, beba, coma**). როგორც წესი, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ზმნა ბრძანებით კილოში მეორე პირის მხოლოდობით რიცხვში. სწორი გზავნილი მიმართულია გარკვეული პროდუქტის გასაღებაზე, ამიტომაც თუკი სწორად არის შერჩეული ზუსტი, მკაფიო და ბევრის მთქმელი ფრაზები, რომელიც აღუძრავს ინტერესს მსმენელს გარკვეული პროდუქტის მიმართ, რა თქმა უნდა, გამსაღებელი მიღწევს თავის მიზანს.

სარეკლამო ენაში ხშირად მიმართავენ ისეთ ლინგვისტურ ხერხს, როგორიცაა ელიპსი, რომელსაც ყოველდღიურ ენაშიც ვიყენებთ, თუმცა რეკლამაში იგი გამოიყენება რიტორიკულად, რასაც მოსაუბრე ახორციელებს, რათა გზავნილმა წარმოქმნას ლაკონურობისა და სიახლის შეგრძნება მსმენელში.

ეგრეთ წოდებული ნომინალური სტილი გულისხმობს ელიპსის გამოყენებას, რომლის დროსაც, როგორც წესი, გამოითხოვება ზმნა, მიუხედავად ამისა, წინადადების შინაარსი ადვილად გასაგებია, მაგალითად, დავაკვირდეთ ზმნას „ser“. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფრაზი ლუისის შემდეგი ფრაზა: „Que descansada vida la del que huye del mundanal ruido! ამ შემთხვევაში მისაღები იქნებოდა ალბათ და მართებული ზმნის გამოყენება: “la vida del que huye del mundanal ruido es muy descansada“.

ელიპსი, როგორც ცნობილია, არის ისეთი რიტორიკული ფიგურა, რომლის დროსაც ხდება წინადადების გარკვეული წევრების გამოტოვება, თუმცა კონტექსტი გასაგები რჩება. ელიპსი ყოველდღიური ცხოვრების ფენომენია, თუმცა ჩვენ შეგვიძლია მისი რიტორიკულად გამოყენებაც, რათა მოვახდინოთ ფსიქოლოგიური და ესთეტიკური ეფექტი ჩვენს მსმენელზე, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ხელსაყრელია. თუმცა ჩვენ ისე ვაგებთ წინანადებას, რომ მსმენელი ადვილად იგებს მას და შეუძლია მიხვდეს, თუ რაზეა საუბარი და თვითონ უკვე გონებაში შეავსებს იმ ელიპსს, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ.

ძალიან ხშირია სარეკლამო ენაში ელიპსის გამოყენება, რადგანაც ის მესიჯი, რომელიც ეგზავნება მსმენელს, არის სინტეტიკური, შეკვეცილი გამარტივებული ფრაზები, რომლებიც ძალზედ ადვილი

დასამახსოვრებელია, რომლებიც მოიცავს არასაჭირო ელემენტებსაც, ამიტომაც სარეკლამო მესიჯი მოიცავს იმდენად მოკლე და მკაფიო ინფორმაციას, რომ იგი კარგად გასაგებია მსმენელისთვის და ხშირად იმდენად დამაინტრიგებელია, რომ დიდ ინტერესს აღძრავს მასში (მსმენელში).

ხშირად ელიპსს ექვემდებარება ზმნები (**Pisos todas zonas, preios bajos, llave en mano, cómodos plazos**). სარეკლამო ენაში არ არის აუცილებელი ზმნის გამოყენება, რადგან მოკლე და ზუსტი წინადადება მსმენელს აწვდის ინფორმაციას, რომელიც სრულიად გასაგებია კონტექსტიდან გამომდინარე. რეკლამაში უფრო ხშირად მიმართავენ ინფინიტივს, მაგალითად: **Vivir en profundidad tu recién conquistada. Aspirar profundamente tu nueva fragancia joven y viva.**

სარეკლამო ენა ხშირად მიმართავს ლინგვისტურ ფუნქციებს: პოეტიკურსა და კონოტაციურს, ორივე რიტორიკულია, რადგან სარეკლამო ენა ემსახურება ერთ მიზანს: იყოს ლაკონური, ზუსტი და მკაფიო და, რაც ყველაზე მთავარია, კარგად და მარტივად ჩაიბეჭდოს მსმენელის გონებაში. რიტორიკული ენიდან კი სარეკლამო ენა იღებს იყენებს იმას, რაც უშუალოდ სჭირდება, რათა დაარწმუნოს მსმენელი მოკლე, ზუსტი და სიახლის მომცველი მესიჯის მეშვეობით.

ენას გააჩნია შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე ინფორმაციის სწორი მიწოდებით. კონტექსტისა და სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია „გავაუცხოოთ“ ჩვენი მეტყველება, თუმცა ჩვენი მეტყველება სრულიად გასაგები იქნება მსმენელისთვის (ასე ამბობდა არისტოტელე). ასეთი მეტყველების გამოყენებით ჩვენ, პირველ რიგში, ვაღწევთ იმას, რომ ვიწვევთ ინტერესსა და აღფრთოვანებას იმით, რომ მივმართავთ ამ „გაუცხოებულ“ მეტყველებას, რომელიც ხიბლავს მსმენელს. სწორედ ეს აინტერესებს სარეკლამო ენას, რომ მისი რეკლამა დამაინტრიგებელი, უცხო და ახალი.

სარეკლამო ენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უხვად მიმართავს და იყენებს რიტორიკულ ფიგურებსა და ტროპებს. ბერძენ და რომაელ ბავშვებს ძველად, პირველ რიგში, ასწავლიდნენ გრამატიკის საფუძვლებს, რათა მათ სწორად ემეტყველათ, შემდეგ კი ასწავლიდნენ უფრო პროდუქტიულ რამეს, რაც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა უკვე ნასწავლ გრამატიკას ეს იყო რიტორიკა. მათ ასწავლიდნენ, რომ უნდა დაენახათ ენაში იარაღი, რომლის გამოყენებაც კარგად უნდა სცოდნოდან სოციალური აქტების დროს, ამით ასწავლიდ-

ნენ პუბლიკის წინაშე საუბარს, რათა მათი სიტყვები ყოფილიყო ეფექტური და ყოველივე გადაზრდილიყო ქმედებაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სარეკლამო მესიჯი, თავის მხრივ, მდგომარეობს სიზუსტეში და დატვირთულია მრავალი რიტორიკული და პოეტიკური საშუალებებით. ამიტომაც, სარეკლამო ენაში უხვად გამოიყენება რიტორიკული ფიგურები და ისეთი ტექნიკა, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ პოეტიკურ-რიტორიკული. ასეთია, მაგალითად, შემდეგი რეკლამა, სადაც გამოყენებულია მეტაფორა: **„Arte en su copa“** - ხელოვნება შენს ჭიქაში, ან კიდევ **„El Corte Inglés. Venga a probarse la primavera“**. - „კორტე ინგლესი — მოდი და შეიგრძენი გაზაფხული.“)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეკლამო ენაში გამოიყენება როგორც ნეოლოგიზმები და ელიპსი, ასევე მეტონიმიაც, სინექდოკა და სხვა რიტორიკული ფიგურები და ტროპები. მეტაფორის გამოყენების დროს ერთი სიტყვა ენაცვლება მეორეს და ანალოგიის მეშვეობით ქმნის მყარ და მდიდარ კონოტაციას, მაგალითად, **„oro caribeño“** — „კარიბული ოქრო“ ასე ეწოდება ყვითელი ფერის რომს. სიტყვა **oro**, რომელიც ოქროს ნიშნავს ამ შეთხვევაში, შემთხვევით არ არის გამოყენებული, ოქრო და მისი ფერი უკვე უქმნის მსმენელს წარმოდგენას, თუ როგორი ფერისაა ის სასმელი, რომელზეც არის საუბარი, ანუ **„Cacique“**, რაც თავის თავად ორმაგ დატვირთვას ატარებს, და ინტერესს იწვევს მსმენელში. მაგალითად, **„sabor aterciopelado“** — „ხავერდოვანი გემო“ იყენებენ, როდესაც აკეთებენ ფრანგული ღვინის რეკლამას.

ასევე გამოიყენება მეტონიმიაც, მაგალითად, როდესაც საუბარია საღებუზე, ხშირად გამოიყენება შემდეგი მეტონიმი **„todo sabor, Wriglis, sabor extralargo y fresco“**. არავის ეჭვიც არ შეეპარება, რომ საუბარია საღებუ კეფზე, ამ ფრაზის გაგონებისას მსმენელი მაშინვე წარმოიდგენს, როგორი გრილი და სასიამოვნო გემო უნდა ჰქონდეს ამ კეფს.

განვიხილოთ ის რიტორიკული ფიგურები, რომლებსაც ხშირად მიმართავენ სარეკლამო ენაში:

მათ შორის გვხვდება ალიტერაცია, მაგალითად: **„Diseño de España“** - Artespaña.

ბარონომასია: **„Cuida tu vista en serio, o en serie“** _ Ópticas San Gabino..

დერივაცია: **„ Un televisor para mirar y ver“** _ Un televisor simplemen-

te admirable- Sony.

ანაფორა: *Las cogen todas. Aunque estén fuera de la zona de cobertura. Aunque estén desconectados. Aunque usted no quiera contestar. _ Teléfonos móviles.*

ეპიფორა: *„Todo bombón y nada más que bonbón. _ Nesté.*

ბარალელიზმი: *„El place de conducir. El palcer de viajar“.*

დერივაცია: *„Haz buen uso. No un abuso.“ Ministerio de Sanidad y consumo.*

ატიტეზისი: *„Para unos pocos es un sueño. Para muchos resulta una pesadilla“.*

სიმილი: *„Sol-Thermic, como el calor del sol“.*

პიპერბოლა: *„Zumosol. Con toda la energía del sol“.*

ლიტოტა: *„Wrangler no cede si tú no cede“.*

მეტაფორა: *„Joya natural“ _ Aceite de Baena.*

მეტონიმია: *„Nuevos Yogures con Furtas Chaburcy. Todo fruta“.*

პერსონიფიკაცია: *„¡Pruébame!“ _ Cigarillos Gold Coast.*

რიტორიკა, რა თქმა უნდა, განსხვავდება სარეკლამო ენისაგან, თუმცა ხშირად მიმართავს რიტორიკულ ტაქტიკას და რიტორიკულ სტრატეგიებს, რითიც ცდილობს დაარწმუნოს მსმენელი თავისი მესიჯის სისწორეში. რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან ერთად სარეკლამო ენას გააჩნია თავისი განსაკუთრებული და განსხვავებული მხარეები: ერთ-ერთი მათგანი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ სარეკლამო ენა მიმართავს ერთ ენაზე მეტს, რომელიც არის მოკლე, ლაკონური და ზუსტი, იგი არის მარკეტინგის ერთ-ერთი ხერხი, რომელიც მიმართულია უშუალოდ გარკვეული პროდუქტის გასაღებაზე და მსმენელის ანუ მომხმარებლის დარწმუნებზე. რიტორიკული მეტყველება კი არის უფრო ფართო და თავისი არსით არანაირად არ შედის მარკეტინგის თანამედროვე სამყაროში.

სარეკლამო დისკურსის თავისებურებას წარმოადგენს ასევე კომუნიკაციის ერთმხრივობა უპირობა და მასიურობა, რომელიც მიმართულია სოციალური ჯგუფის დარწმუნებასა და პროდუქტის კარგ გასაღებაზე. თუმცა სარეკლამო ენა ემთხვევა რიტორიკულ დისკურსს ერთ რამეში, კერძოდ კი, ორივეს მიზანია აუდიტორიის აზრების, ქმედებების, სურვილებისა და ქცევის შეცვლა, რაც სარეკლამო ენის შემთხვევაში წარმოადგენს რეცეპტორების ერთობასა და მომხმარებლების ერთობას. ორივე ეძებს დარწმუნების ეფექტურობას კონტექ-

სტის მეშვეობით, რაც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის გადამცემისა მისი მიმღების ურთიერთმოქმედებას.

როგორც ვხედავთ სარეკლამო ენა ხშირად მიმართავს რიტორიკულ ხერხებს, თავისი მიზნის მისაღწევად, ისევე როგორც რიტორიკულ ფიგურებსა და ტროპებს.

ლიტერატურა

Antonio López Eire. *La retorica en la publicidad.* Arco/Libros, Madrid, 2003.

Albaradejo Mayordomo, T., *Retórica, Síntesis,* Madrid, 1989.

Berrio, J., *Teoría social de la persuasión,* Mitre, Barcelona 1983.

Cardona, D _ Fernández, *Lingüística de la publicidad,* Edición de los Papeles de Son Armadans, Madrid 1972.

Ferrer, E., *El lenguaje de la publicidad,* Fondo de Cultura económica, México, 1994.

Gonzalez Martín, J. A., *Teoría General de la publicidad,* Fondo de Cultura Económica, México-Madrid 1996.

Mayoral. J. A., *Figurasretóricas, Síntesis,* Madrid 1994.

Victoroff, D. *La publicidad y la imagen. La imagen de la publicidad,* trad. esp G. Gili, Barcelona 1981.

MARINE KOBESHAVIDZE

Rhetorics and the Use of Rhetorical Figures in Spanish Advertisements

Summary

The paper stresses the importance of rhetorics for handling successful communication and focuses upon the use of rhetorical strategies and figures in Spanish advertisements. As is known, the language of advertising is suasive in character. Employing a number of codes, advertisements are generally short, laconic and precise. Their ultimate goal is to make consumers buy the advertised products.

მარინა კობახაშვილი

**ნეოლოგიზმები თანამედროვე ესპანურენოვან პრესაში
და მათი სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა**

წინამდებარე სტატიაში ჩვენ გვინდა შევაჩეროთ ყურადღება საგაზეთო ენაში ნეოლოგიზმების გამოყენებაზე. პრესის ენა წარმოადგენს სიტყვათწარმოებითი შემოქმედების ამოუწურავ წყაროს, რომელიც მოიცავს შემეცნების სხვადასხვა სფეროებს: ეკონომიკას, პოლიტიკას, მედიცინას, სპორტს და ა.შ. იგი ასახავს ენობრივ ცვლილებებს, რომლებიც მუდმივად ხდება ენაში, აახლებს მივიწყებულ და ხმარებიდან ამოღებულ სიტყვებს, როგორც ეს რევიტალიზაციის შემთხვევაში ხდება; აწარმოებს რთულ სიტყვებს და ფორმებს ბერძნულ ან ლათინურ სიტყვებთან ერთობაში, ან კიდევ იყენებს სიტყვებს თანამედროვე ევროპული ენებიდან. ამგვარად, პრესის ენა წარმოადგენს ლექსიკის განახლების ერთ-ერთ წყაროს.

ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ პრესის გარკვეული ასპექტები. ჟურნალისტი აქვეყნებს თავის სტატიას, რომელშიც გადმოსცემს გარკვეულ ინფორმაციას რომელიმე მოვლენის ან ფაქტის შესახებ და ამ მიზნით ის იყენებს ისეთ „მექანიზმებს“, რომელთა მეშვეობითაც გამოთქვამს თავის აზრს ზუსტად და ნათლად, რათა ამის შედეგად მან შეძლოს მკითხველთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

სტატიაზე მუშაობის პროცესში ჟურნალისტიმ შესაძლოა გამოიყენოს გარკვეული ნეოლოგიზმი, ამავე დროს ის იცავს მშობლიური ენის ლექსიკურ სისტემით ნაგულისხმევ კანონზომიერებებს.

პრესის ენაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ მისი ჟანრობრივი დიფერენციაცია. თემათა მრავალფეროვნებასთან ერთად გაზეთში გვხვდება განსხვავებული ჟანრებიც, რომლებიც შინაარსობრივი და ექსპრესიული თავისებურებებით გამოირჩევა. როგორც ირინა კალიკოვა აღნიშნავს, საგაზეთო ჟანრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გადმოცემის მეთოდით, სტილითა და კომპოზიციით. ჟანრები

შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ჯგუფად: 1) ინფორმაციული; 2) ანალიტიკური; და 3) მხატვრულ-პუბლიცისტური. ამჟერად ჩვენ შევჩერებთ ყურადღებას ერთ-ერთ ჟანრზე, კერძოდ კი, ინფორმაციულზე და დავაკვირდებით, როგორ გამოიყენება ნეოლოგიზმები ესპანურენოვან პრესაში და რომელი სიტყვათწარმოებითი ხერხებია ყველაზე დამახასიათებელი ნეოლოგიზმების წარმოებაში (კალიკოვა, 2005).

საგაზეთო ტექსტები, რომლებიც განეკუთვნებიან ინფორმაციულ ჟანრს, შესაძლოა დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ინფორმაციული შინაარსის მატარებელი, რეპორტაჟი და ინტერვიუ.

ინფორმაცია, თავის მხრივ, უნდა იყოს მიწოდებული მოკლედ, მოიცავდეს გარკვეულ ფაქტებს და შედგებოდეს არა უმეტეს 10-15 ხაზისა. ინტერვიუ წარმოადგენს დიალოგს ჟურნალისტსა და იმ ადამიანს შორის, რომლის მოსაზრებები ან შეხედულებები შესაძლოა საინტერესო იყოს საზოგადოებისათვის.

რეპორტაჟი კი არის პრესის ერთ-ერთი ისეთი ჟანრი, რომელიც ყოველდღიურად იბეჭდება და რომელშიც აისახება მოვლენების აღქმა ჟურნალისტის მიერ. ჟურნალისტი ხდება გარკვეული მოვლენის მომსწრე და შემდგომ აკეთებს მის მიმოხილვას.

იმ სიტყვაწარმოებითი მოდელებიდან, რომლებიც პრესაშია გამოყენებული, შემდეგი მოდელები გვხვდება:

1) დერივაცია (პრეფიქსების: **anti-** (*anticonceptivo, anticongelante*), **multi-** (*multicentro, multidisciplinario*), **sobre-** (*sobrefuerzo, sobreventa, sobreexplotación*), **super-** (*supercontrato, superpresidente*), **hiper-** (*hiperactivo, hiperinflación*) და ა. შ. სუფიქსების: **-ar** (*ofertar, conmocionar*), **-ionar** (*anexionar, descongestionar*), **-izar** (*optimizar, legitimizar*), **-ificar** (*mistificar, mitificar*), **-ado** (*etiquetado, visionado*)), **-ismo** (*colaboracionalismo, franquismo*), **-ista** (*ensayista, analista*) და ა. შ. მეშვეობით);

2) კომპოზიცია (ზმნა + არსებითი სახელი = არსებითი სახელი: **alzacratales, buscapersonas**, არსებითი სახელი + არსებითი სახელი = არსებითი სახელი: **hombre rana, coche bomba**, ზედსართ სახ. + არსებითი სახ. = არსებითი სახელი: **largometraje**; არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი = ზედსართავი სახელი: **cejijunto, ojinegro** და ა. შ.)

3) კონვერსია (**aumento de salarios** → **salariales, boletín de información** → **informativo**). თუმცა ეს მოდელი ნაკლებად პროდუქტიულია ესპანურ ენაში.

ნეოლოგიზმები, რომლებიც ხშირად გვხვდება ესპანურ პრესაში,

განეკუთვნებიან შემდეგ მეტყველების ნაწილებს: არსებითი სახელი: *narcoavión, narcotraficante, movilset, movichandal, quitanieves* და ა. შ.; ზმნა: *influenciar, ofertar, anexionar, valorizar*; ზედსართავი სახელებს: *hojienrojecido, rabiblanco, paticojo* და ა.შ.

ეს სიტყვები შემდეგი სქემების მიხედვითაა ნაწარმოები:

1) კომპოზიცია: ზმნა + არსებითი სახ. = არსებითი სახელს: *quitar + nieves = quitanieves; lavar + platos = lavaplatos; romper + olas = rompeolas; tragar + coches = tragacoches.*

2) დერივაცია: სუფიქსების მეშვეობით: *-ado (etiquetado, visionado, recalentado), -aje (blocaje, dopaje, frenaje), -ismo* და *-ista (colaboracionismo, ensayismo, ensayista, antifelipista)*; *-dad (linealidad, ficalidad, española)*);

3) კომპოზიცია: ზედსართავი სახელი: არსებითი + ზმნა = ზედსართ. სახელი (*hojienrojecido*); არსებითი სახელი + ზედსართ სახ. = ზედსართ. სახ. (*rabiblanco, paticojo*); დერივაცია: სუფიქსები: *-ano, ieo, -oide, -able (franquiano, esteroide, fascistoide, urbanizable, orientable).*

4) ზმნა, ნაწარმოები დერივაციის მეშვეობით: სუფიქსები: *-ar, -ionar, -izar, -ificar*, მაგალითად: *influir→influenciar, ofrecer→ofertar, anexionar, agilizar, codificar, valorizar.* (აქ და შემდგომ სიტყვათწარმოებით მოდელებს განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ ნეოლოგიზმებზე დაყრდნობით).

აღნიშნულ სიტყვაწარმოებით მოდელებს შორის ყველაზე პროდუქტიულია დერივაცია.

პირველ რიგში, ჩვენ შევაჩერებთ ყურადღებას იმ ნეოლოგიზმებზე, რომლებიც დერივაციის გზითაა ნაწარმოები და მოვიყვანთ მაგალითებს სხვადასხვა ინფორმაციული ხასიათის საგაზეთო სტატიებიდან.

თვალი გადავავლოთ იმ ნეოლოგიზმებს, რომლებიც ნაწარმოებია გარკვეული პრეფიქსების მეშვეობით, მაგალითად, პრეფიქსი *hiper-*, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და მიუთითებს სიჭარბესა და უპირატესობაზე, მაგრამ სასაუბრო ყოველდღიურ ენაში იძენს მნიშვნელობას „ძალიან“, მაგალითად:

“...ahora es Real Madrid el que se mira con hiperpelusilla amarilla en el espejito mágico de Barcelona“ (ABC 25.05.99). - „ახლა სწორედ რეალ მადრიდი იმ გუნდია, რომელიც უდიდესი შურით იყურება ბარსელონას ჯადოსნურ სარკეში“.

ამ შემთხვევაში პრეფიქსი *hiper-* უერთდება არსებით სახელს, რომელიც კნინობითშია და გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის გააძლიერებლად და მკითხველის ყურადღების მისაქცევად.

“La hiperfobia de nuestra sociedad hacia los magrebíes está alcanzando en las zonas cercanas al Estrecho cotas inimaginables hace sólo una década (La Vanguardia, 06.04.99).

არსებითი სახელი *fobia* „ვინმეს ან რამის მიმართ ზიზღისა და ანტიპათიის მნიშვნელობის გამომხატველი“ უფრო აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას ამ პრეფიქსის მიერთების შედეგად და გამოიყენება ყურადღების მისაქცევად.

პრეფიქსის *des-* მეშვეობით, რომელიც ატარებს „რალაცის ნაკლებობის“ მნიშვნელობას, წარმოქმნილია, როგორც ცნობილია, ასევე მრავალი სიტყვა: *desconfianza, desagrado, desacuerdo, desamor* და ა. შ.

“Alfredo es un ser admirablemente hierático; ni en el umbral del infierno de la desfortuna descompone el gesto.....“ (ABC, 01.12.98) - „აღფრედო არის უაღრესად წმინდა არსება და უიღბლობისგან ჯოჯოხეთის კარებთან მდგარიც კი არ დალატობს საკუთარ თავს“.

ზემოთ მოყვანილი სიტყვა *desfortuna*, რომელიც უკვე ნეოლოგიზმს წარმოადგენს, აღნიშნავს უბედურებას (უიღბლობა) და არის სიტყვის *desfortuna = sin fortuna* სინონიმი.

პრეფიქსი *ciber-* წარმოიქმნა ინფორმატიკისა და ინტერნეტის განვითარების შედეგად. მაგალითად: *ciberpolicia, ciberdelito, cibercompra, ciberusuario, cibermedicina, ciberbanco, ciberpunk*, ეს სიტყვები თავის მხრივ კომპოზიტებს წარმოადგენენ, რომლებიც შედგება მოდიფიცირებული ზედსართავი სახელისგან *cibernético*. იგივე ხდება პრეფიქსების *tele-* და *euro-* შემთხვევებშიც: *telecaridad, telemando, telecine, telemascota, telestrella; euroministro, euromisil, eurobono, eurocheque, euroventanilla, eurotúnel*. ეს მაგალითები მეტყველებს ენობრივ ცვლილებებზე და ასახავს იმას, თუ როგორ იცვლება ენა პრესის ცოცხალ მეტყველებაში.

რაც შეეხება სუფიქსებს, აქ ჩვენ გამოვიყოფთ პრესის ენისთვის დამახასიათებელ გარკვეულ სუფიქსებს: *-ismo, -ista, -ción, -dad, -izar, -mente*. ეს ის სუფიქსებია, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება პრესაში გამოყენებულ ნეოლოგიზმებში.

-Ismo: aznarismo, fraguismo, suarismo, hormaecherismo, felipismo, pujolismo, estajanovismo, negrinismo, gilrobismo:

“...de nomediar el pacto el gilismo depredador puede convertir la zona en un solar edificable“ (ABC 17.03.99).

ამ შემთხვევაში გამოყენებულია დამოუკიდებელი ლიბერალური ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის (Gil) გვარი.

ამავე ხერხის მეშვეობით იწარმოება არსებითი სახელები, როდესაც ზედსართავ სახელს ემატება სუფიქსი **-ismo** და შედეგად ვიღებთ არსებით სახელს, მაგალითად: **pobrismo** < **pobre** (adjet.+ismo), **matonismo** < **matón** (ad..+ismo), **seguidismo** < **seguido** (adjet. + -ismo, **ñoñismo** < **ñoño** (adj. +ismo).

-Ista: ამ სუფიქსის მეშვეობით ნაწარმოები სიტყვები არის როგორც არსებითი, ასევე ზედსართავი სახელები და საკმაოდ ხშირად გვხვდება პრესაში. ეს სუფიქსი გამონათავს ვინმეს მომხრეობას ან მხარდაჭერას, მაგალითად: **enemiguista**, **patrioterista**, **seguidista**, **thacherista**, **pactista**, **frentista**, **resultadista**.

“...esa necesidad coloquialista de la poesía de la posguerra“ (ABC 10.11.98). -“...ომის შემდგომი პერიოდის პოეზიაში სასაუბრო ენის ხასიათის (არსებობის აუცილებლობა) მოთხოვნა ...“.

“El frente constitucionalista derrotó de nuevo el PNV en la votación de ayer“ (La Vanguardia 11.01.01). - „კონსტიტუციის მომხრე ფრონტმა გუშინ ისევ დაამარცხა ეს პარტია“.

“Aparte los contrasentidos, el acuerdo hipernacionalista nace como un reto... (El País 28.12.98) _ „თუ არ ჩავთვლით მოწინააღმდეგეებს, ერთიანმა ეროვნულმა შეთანხმებამ ბრძოლა გამოაცხადა (დუელში გამოიწვია)...“.

“Yo confieso ser uno de esos aficionados patrioteristas, que desde mi nacimiento disfruté con todos los triunfos de los deportistas españoles“ (ABC 01.05.99). — „მე ვაღიარებ, რომ ვარ ერთ-ერთი იმ პატრიოტ მომხრეთაგან, რომლებიც დაბადებიდან სიამოვნებას იღებენ ესპანელი სპორტსმენების ყოველი ტრიუმფიდან.“

-Ción: ეს სუფიქსი გამოიყენება არსებითი სახელების საწარმოებლად, თუმცა ესპანურ ენაში ზმნები **bancarizar**, **televizar**, **facistizar** არ არსებობს, მაგალითად:

“La bancarización de nuestro país“ (ABC 11.07.99).

“La tesis de la televización de lo público“ (ABC 11.05.99).

“La facistización del régimen de Franco en momentos claves“ (La Vanguardia 20.12.98)

“La desespañolización creciente del País Vasco“ (El País 01.01.99).

“...la imprescindible dosis de imaginación que Goethe afirmó que era inesperable de cualquier proceso de buena historiación“ (El país 02.05.99).

ზმნები **españolizar** და **historiar** წარმოადგენენ ნეოლოგიზმებს, თანაც ისინი უკვე ჩართულია ესპანური ენის ლექსიკურ სისტემაში.

სუფიქსი **-al** ერთვის როგორც სახელებით ფუძეს, ასევე ადიექტიურს. მოცემულ შემთხვევაში ის გამოყენებულია არსებითი სახელის საწარმოებლად:

“No es saludable que el primer partido de la oposición ande metido en este pantanal (არსებითი სახელი)“ (ABC 15.05.199).

“Esto es un carajal (არსებ. სახელი) como dijo el raier Pep Borrell“ (ABC 23.01.99)

“Borrell se ciñó de manera ajustada al ascenso escalafonal (ზედსართავი სახელი)“ (ABC 15.05.99)

“En la cita congresual (ზედსართავი სახელი) se debatirán las reformas de la junta Directiva Ppopular“ (El País 12.11.99).

“Eso le da una lozanía diurna lejos de su antiguo aire nocturnal (ზედსართ. სახელი). (ABC 21.04.99)

ბოლო მაგალითში ჩვენ გვხვდება ნეოლოგიზმი **nocturnal** (nocturn + al), მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ ენაში უკვე არსებობს ზედსართავი სახელი **nocturno**, ჟურნალისტი ახდენს მის მოდიფიკაციას —al სუფიქსის მეშვეობით.

-Dad: ამ სუფიქსის მეშვეობით წარმოიქმნება ხარისხის აღმნიშვნელი სახელები ზედსართავი სახელების მეშვეობით:

“Esta obra que defiende la genovesidad de Colón...“ (ABC 09.05.99).- “ეს ნაწარმოები, რომელიც განსაზღვრავს კოლუმბის წარმომავლობას (გენუელობას)“.

“La historicidad que pertenece a la obra humana...“. —“ისტორიულობა, რომელიც ეკუთვნის ზოგადსაკაცობრიო ნაწარმოებს“.

რაც შეეხება სუფიქსებს **-ear**, **-ecer**, **-ificar**, **-izar**, რომლებიც გამოიყენება ზმნების საწარმოებლად, ისინი შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტიულად მათი გამოყენებისა და ნაწარმოები სიტყვების რაოდენობის გამო. ამის დასტურია ბოსკეს ლექსიკონი, რომელშიც რეგისტრირებულია ამ სუფიქსებით ნაწარმოები ნეოლოგიზმები. მაგალითად, **-ear** სუფიქსით არის ნაწარმოები და რეგისტრირებულია აღნიშნულ ლექსიკონში 1326 ზმნა, **-izar** სუფიქსზე 561, **-ecer**-ზე 330

და -ificar სუფიქსით კი — 126. თუმცაღა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ნეოლოგიზმების ეს რიცხვი, რომელიც მოყვანილია ბოსკეს ლექსიკონში, არ შეესაბამება რეალურად იმ ნეოლოგიზმთა რიცხვს, რომლებიც გამოიყენება ესპანურ ენაში, რადგან მათი წარმოებიდან ლექსიკონში შეტანამდე ხანგრძლივი პროცესია გასავლელი (Bosque Ignacio y Pérez Fernández, M.: Diccionario inverso de la lengua española, Madrid, Gredos, 1987).

ასევე საინტერესოა შემდეგი ფენომენის აღნიშვნა: სუფიქსი -izar, რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება ზმნები სახელდებით და ადიექტიურ ფუძეებზე დამატების გზით, საკმაოდ პროდუქტიულია და ძალზე ხშირად გამოიყენება პრესაში, ხოლო ფუძის როლში გამოიყენება საკუთარი სახელი ან გვარი, მაგალითად ბარსელონას გუნდის მწვრთნელი ვან გალი, ცნობილი „ვიაგრას“ აბი და ა. შ:

“Si Arrabal ha arrabalizado al Greco , si Dali ha dalinizado el universo.... (ABC 16.05.99)

“¿Se desvangelizará el fútbol español en 1999?“ (ABC 22.12.98)

“Al margen de fobias y filia hay que reconocer que Clemente y Gil venden y viagrizan el interés...“ (ABC 04.11.98).

თუმცა ასევე გვხვდება ზოგადი სახელების მატარებელი ნეოლოგიზმები: dolarizar, masterizar, plurietnizar, dealbanizar.

ხშირად პრესის ენაში გვხვდება სუფიქსი -mente, რომელიც ატარებს პოეტურ ელფერს, როგორცაა, მაგალითად: novembrenmente, lanarmente.

“...la norma de prisión sin juicio se está volviendo garzonianamente laxa“ (ABC 10.01.99).

“Si a Mijatovic le duele la guerra de su país...tiene dos opciones: una la quijotesamente noble de pedir la excedencia...“ (ABC 06.04.99).

“...mientras yo me sentía cada vez más y más novembrenmente entristecido por causa del maldito otoño...“ (ABC 02.11.98).- „მაშინ, როდესაც მე ვგრძნობდი თავს უფრო და უფრო ნოემბრულად (ნოემბრის სევდით შეპყრობილად) მოწყენილი ამ წყეული შემოდგომის გამო“.

-Azo: აღნიშნული სუფიქსი ატარებს უპირატესობის მნიშვნელობას და მისი მეშვეობით იწარმოება როგორც არსებითი, ასევე ზედსართავი სახელები და ხშირად გამოიყენება პრესაში:

“Hemos tenido que refrenar los ímpetus judiciales de Garzón porque en la floresta política salen tiranazos y tiranuelos como hongos...“ (ABC

20.02.99).

“Enrique Patterson, negro de nación, cubano actual de todas las cubanías, incluso cubanazo y asere desde lo hondo de su alma“ (ABC 06.11.98).

ის ასევე გამოიყენება ძლიერი ეფექტის გამოსახატავად, მაგალითად:

“El almodovarazo que dio ayer 'Todo sobre mi madre' durante su proyección matinal...“ (ABC 16.05.99).

“El contrapensionazo en cifras...“ (El País 30.12.98).

ახლა კი შევჩერდებით იმ ნეოლოგიზმებზე, რომლებიც ნაწარმოებია კომპოზიციის მეშვეობით და ასევე ხშირად გვხვდება პრესაში.

მაგალითისათვის დავაკვირდეთ საგაზეთო სტატიიდან ამოღებულ წინადადებებს, სადაც გვხვდება ისეთი კომპოზიტები, რომელთა ორივე ელემენტი არსებითი სახელია:

“Colombia critica a EEUU en el caso del narcoavión“, (El País. 14.11.98)

“კოლუმბია აკრიტიკებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ნარკოავიონფრინავის გამო.“

სიტყვის narcoavión პირველი მაწარმოებელი ელემენტი წარმოადგენს სიტყვაწარმოებელ ელემენტს, რომელიც ნიშნავს „droga“ — „წამალს“, და მისი მეშვეობით წარმოიქმნება უამრავი რთული სიტყვა: narcotraficante, narcotrafico, narcodolares და ა. შ. ყველა ეს სიტყვა ასოცირდება „დანაშაულთან“, თუმცა ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იმავე ელემენტის მეშვეობით იწარმოება სხვა სიტყვებიც და მსგავს შემთხვევებში გამოიყენება ბერძნული საწყისი სიტყვა „nárke“ — „მიძინება, დაძინება“, მაგალითად: narco-tizar, narcosis, narcoterapia, narcotización, narcotismo, თუმცა ისინი უკვე „დამაწყნარებლის“ მნიშვნელობით.

სიტყვა narcoavión ნიშნავს ისეთ თვითმფრინავს, რომელსაც გადააქვს ნარკოტიკები, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომპოზიტთან. ეს სიტყვა ერთგვარ დაბნეულობას იწვევს, რადგან ჩვენ არ ვიცით, საუბარია მედიკამენტების გადამტვირთავ თვითმფრინავზე, თუ ნარკოტიკებზე. იმედს ვიქონიებთ, რომ ჟურნალისტმა სწორი მნიშვნელობით გამოიყენა აღნიშნული სიტყვა.

საზოგადოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია

ნეოლოგიზმების წარმოქმნა, რაც გამოიხატა ახალი სატელევიზიო პროგრამების შექმნით და რასაც მოჰყვა ესპანური ენის ახალი ლექსიკით გამდიდრება, მაგალითად: **telediario** (ახალი ამბები), **telebasura** (ტელენაგავი), **teleadicto** (ტელევიზორის მოყვარული), **teleclub** (სატელევიზიო კლუბი), **telenovela** (ტელესერიალი), **telecomedia** (ტელეკომედია) და ა. შ. სიტყვის **móvil** — მობილური შემთხვევაშიც იგივე ხდება:

“El **movichándal** es lo que priva y por ello es más caro que el **chándal normal**“ (ABC. 21.04.99).“

“Para nuestros jóvenes inmersos en la **movilset** la carta de amor es una reliquia del pasado“ (Blanco y Negro. 04.07.99).

Movichándal მისი შემქმნელისათვის წარმოადგენს სპორტულ ტანსაცმელს, რომელსაც გააჩნია პატარა ჯიბე მობილური ტელეფონის მოსათავსებლად. სიტყვა **set** არის ანგლიციზმი, რომელშიც „**set**“ აღნიშნავს მდიდარი, წარმატებული და გამოჩენილი ადამიანების გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც მუდმივად მოგზაურობენ საკუთარი თვითმფრინავით „**jet**“ და საამურ ცხოვრებას მისდევენ. სულაც არ არის გასაკვირი, რატომ იყენებს ჟურნალისტი ზემოთ მოყვანილ მაგალითში სიტყვას **movilset**. ეს სიტყვა წარმოადგენს ნეოლოგიზმს და მიუთითებს ახალგაზრდების ჯგუფზე, რომლებიც გამოიყენებენ მობილურ ტელეფონებს სასაუბროდ და სასიყვარულო წერილების გასაგზავნად.

ზედსართავი სახ. + არსებითი სახ.= არსებითი სახელს კონსტრუქციის მეშვეობით წარმოიქმნება შემდეგი სიტყვა: **gilifútbol**.

“Vivan el **gilifútbol** y la **anaestesia mental**!“ (ABC 03.12.98).

ამ მაგალითში ჩვენ ვხვდებით ნეოლოგიზმს, რომელიც ნაწარმოებია სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი და ძალზედ ხშირად გამოყენებადი სიტყვისაგან **gili**, რომელიც შეურაცხყოფელი სიტყვაა. როდესაც ეს სიტყვა ერწყმის სიტყვა **fútbol**, ჩვენ შედეგად ვიღებთ კომპოზიტს, რომელსაც იყენებენ საუბარში ფეხბურთის მოყვარულები.

პრესის ენაში ასევე გვხვდება ნეოლოგიზმების წარმოების მრავალი მაგალითი, როდესაც ზმნა წარმოადგენს კომპოზიტის პირველ ელემენტს: ზმნა + არსებითი სახ. = არსებითი სახელს. ეს ტიპი ძალზე პროდუქტიულია ესპანურ ენაში, მაგალითად: **quitanieves**, **pinchadiscos**, **lavaplatos**, **abrecartas**, **picapletiros**, **pararrayos**, **quitasol**, **rompeolas**. ასევე

წარმოიქმნა ესპანურ ენაში ნეოლოგიზმი **tragacoches**:

“La oruga **tragacoches** es la solución más contundente aplicable sólo en las calles anchas“ (ABC, 03.02.99). — „მანქანების შთანთქავი მუხლხლო კატეგორიულად მისაღებია მხოლოდ ფართო ქუჩებში.“

ძალზე პოეტური ნეოლოგიზმი გვხვდება შემდეგ მაგალითში:

“... **entrado noviembre**, cuando brilla el sol y sus reflejos gualdos dan en los ramajes **hojienrojecidos** de las hayas....“ (Jorge Ferrer-Vidal. Otoño y Gimnasia, ABC. 02.11.98)

“...შემოსული ნოემბერი, როდესაც ბრწყინავს მზე, და მისი ყვითელი ანარეკლი აისახება წიფლის **ფოთლებგაწითლებულ** ტოტებში...“

ესპანურ ენაში გვხვდება მრავალი კომპოზიტი, რომელშიც პირველ კომპონენტს აქვს ელემენტი **-i-**. იგი გვიჩვენებს, რომ ერთი ელემენტი დამოკიდებულია (დაქვემდებარებულია) მეორეზე, მაგალითად: **ambidextro** (აღამიანი, რომელიც თავისუფლად ხმარობს როგორც მარჯვენა ასევე მარცხენა ხელს), **rabiblanca** (თეთრკუდიანი), **paticojo** (კოჭლი).

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორ გამოიყენება ნეოლოგიზმები ესპანურ პრესაში და წარმოვადგინეთ საგაზეთო ენაში არსებულ ნეოლოგიზმთა სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა. უამრავი ნეოლოგიზმი გამოიყენება პრესაში, თუმცა ისინი ჯერ-ჯერობით არ არის შეტანილი ყველა ლექსიკონში. ამ გადაწყვეტილებას იღებს ესპანური ენის სამეფო აკადემია და ეს პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს.

ლიტერატურა

კადიკოვა, 2005 — Ирина Кадыкова, Медиаспрут, Жанры журналистики, интернет. 25.02.2005.

ესკუერა, 1993 — Alvar Ezquerra, M La formación de palabras en español, Arco/Libros, Madrid, 1993.

ესკუერა, 1994 — Alvar Ezquerra, M Diccionario de voces de uso actual, Arco /Libros, Madrid, 1994.

Efe. El neologismo necesario, Madrid, 1992.

ფერნანდეს-სევილა, 1982 — Fernández-Sevilla, J. Neología y neologismo en español contemporáneo, Curso de Estudios Hispánicos, Universidad de Granada, 1982.

გაზეთები:

ABC-1998-1999-2000

Blanco y Negro - 1999

La Vanguardia _ 1998-1999-2000

El Pais _ 1998-1999-2000

MARINE KOBESHAVIDZE

Neologisms in Modern Spanish Press and their Wordbuilding Patterns

Summary

As is known, the language of the press, which embraces various fields of cognition such as economics, politics, medicine, sport etc., is an inexhaustive source of wordbuilding creativity; instances of language change, as well as the renewal of dated words are quite frequent on the pages of the Spanish press. The paper examines wordbuilding patterns typical of neologisms of the Spanish press, Special emphasis is placed on derivational models formed by means of affixation. It is noteworthy that out of numerous neologisms encountered in the Spanish press only a few are fixed in dictionaries. The decision is made by the Royal Academy of the Spanish language.

ელენე კოზოვიძე

რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობისა და წარმოშობისათვის

1. უსნისფერა; 2. კანტალი; 3. ჩათაკრული

მწერლის ენაზე მუშობისას ჩვენი ყურადღება რამდენიმე სიტყვამ მიიქცია. ესენია: **უსნისფერა; კანტალი; ჩათაკრული.**

1. პირველი მათგანი — **უსნისფერა** — ასეთ კონტექსტში გვხვდება: „აი, **უსნისფერა** ბუხრიას ქვრივი...“ (ლეონიძე, 1980, 94). მოყვანილი ნიმუშით ნათელი არ არის, რა ფერს გულისხმობს **უსნისფერა**. ეს სიტყვა ოდნავი ცვლილებით (**უსნაფერა**) დასტურდება ქართლურ დიალექტში და ფერმკრთალს, ფერდაკარგულს ნიშნავს. იქვეა მაგალითიც. „როგორი **უსნაფერაა** საწყალი გოგო“ (ქართლური, 1981, 308).

ჩვენი ვარაუდით, სიტყვები **უსნისფერა // უსნაფერა** დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის სახელწოდებასთან **უცანა** (ან **უცუნა**), რომელიც სხვადასხვა სახელითაა ცნობილი დიალექტებში. კერძოდ: **უცანა** (თუშ.), **უცუნი** (ზ. რაჭ.), **უანშველა** (ლჩხ.), **თავნიორა** (გურ.), **სათოვლია** (გურ. აჭარ.), **დგრჩე**, **ჯირჩე**, **ლაჰა გვაჯა** (მეგრ.), **შვშვლი** (სვან.) (მაყაშვილი, 1991).

სახელისთვის **უსნისფერა** ამოსავალი უნდა იყოს თუშური **უცანა** (შესაძლოა ზემო რაჭული **უცუნიც**).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულ დიალექტებში შეინიშნება „ც“ს სპირანტიზაცია (**ც>ს**) ხმოვნის შემდეგ აუსლაუტში“ (ლომთაძე, 1999, 294).

მართლაც, მოცემულ შემთხვევაში ხმოვნებს შორის მოხვედრილი **ც**ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად დარჩენილა **ს** სპირანტი: უცანა → უსანა, ხოლო რედუქციის შედეგად მივიღეთ **უსნისფერა**.

უსნისფერა, უსნაფერას **უცანასთან** (ან **უცუნასთან**) დაკავშირებას მხარს უჭერს მეტსახელები: **ცუნია** (**უცუნია**) (ჩამაწერინა მელიტა კობალაძემ), **უსნა** (ჩავიწერე ქართლის სოფელ **ხიდისთავში**).

ეს მეტსახელები უფერული, ფერმკრთალი ბავშვებისთვის შეურქმევიათ (ჩანს, მცენარის ფერის შესაბამისად).

გ. ლეონიძესთანაც **უსნისფერა** ბოლისაგან ფერდაკარგული ადამიანის ეპითეტი. თვით ამ პერსონაჟის მეტსახელის (**ბუნჩია**) მოტივაციაც მხოლოდ სიზარმაცე არ უნდა იყოს; ავტორი უთუოდ ფერზედაც მიაწინებს.

2. **კანტალი** — ეს სიტყვა კარგადაა ცნობილი მთის კილოებიდან, როგორც კომპოზიტის შემადგენელი ნაწილი: **ქურდკანტალა**, აგრეთვე — **კანტალასაგან** ნაწარმოები **კანტალობა**, რაც ქურდობას, ქურდბაცაცობას ნიშნავს (ჭინჭარაული, 2005); მაგრამ ხევსურულში **კანტალი** სხვა მნიშვნელობითაც დასტურდება. ალ. ჭინჭარაული მიუთითებს კომპოზიტებზე **კანტალკაცა** (იგივე **კანდალკაცა**). იგი ამ სახელით მოიხსენიებს წვიგსა და ფენის ტერფს შორის კოჭთან მოთავსებულ მალეებს. გადატ. ცეროდენა, კრუხის პალო, ქონდრის კაცი (ჭინჭარაული, 2005).

ასე რომ, **კანტალი**, **ქურდის გარდა**, **ძვლიც ყოფილა** (მდრ. **ქურდკანტალა** და **კანტალკაცა**).

საგულისხმოა ისიც, რომ პატარძელში, გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელში, ამიხსნეს, რომ **კანტალი ბარძაყის** ძვლია (გარეკახეთის სხვა სოფელში, მაგალითად ხაშში, ბარძაყის ძვალს **კანჩალას** უწოდებენ), ტვინიანი ძვლი, რომელსაც ფრინველები ეტანებიან. გარეკახურში დადასტურებული **კანტალი** ფონეტიკური ვარიანტი ჩანს ფშაურიდან ცნობილი სიტყვებისა **კანჩალი** // **კანჭალი**, რაც წვივის ძვალს აღნიშნავს (მდრ. (ხევს.) კაჩა — წვივი, კანჭი. კაჩანი — წვივები, გაზები (ჭინჭარაული, 1969).

ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს გიორგი ლეონიძის ამგვარი ფრაზა: „ვინ იცის, ორბის კლანჭმა სად გადაავდო შალისა ძვლის **კანტალი**“ (ლეონიძე, 1980, გვ. 82).

ამგვარ ფონეტიკურ მონაცვლეობას მხარს უჭერს ქართველური ენებიც (მაგ., სვანურის პარალელური ფორმები: კოჭოლ-კოჭოლ // კოტოლ-კოტოლ (პატარა, ცოტა, მცირე) (თოფურია, ქალდანი, 2000).

3. სიტყვა **ჩათაკრული** ამ ფორმით ვერსად დავადასტურეთ, მაგრამ ქართლურში აღმოჩნდა ზმნური ფორმა **ჩათაკრავს** — მჭიდროდ ჩააწყობს, ჩაალაგებს. დიალექტურ ლექსიკონში მოყვანილია მაგალითიც: მჭიდროდ **ჩათაკრავთ** ფიჩხსა (ქართლური, 1981, 462).

ამ განმარტების მიხედვით, **ჩათაკრულის** მნიშვნელობაც ნათე-

ლია: კიდობანში მწყობრად, ერთმანეთის მიყოლებით მჭიდროდ ჩალაგებული პურები.

ექვს არ იწვევს, რომ **ჩათაკრულისათვის** ძირეული სიტყვაა **თაკარა**, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. მხურვალე, მცხუნვარე, მწველი, ვარვარა, ჩვეულებრივ ითქმის მზის, ცხელი დღისა და მისთანათა შესახებ. 2. დიდი სიცხე, პაპანაქება; 3. ჭიქათ სადნობელი და შესაქმნელი ადგილი (საბა), ანუ მინის ქარხანა“ (ქეგლ, 1955). აქვს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობაც: იმერეთში ერთმანეთზე დალაგებულ-დაწყობილ კეცებში ჩასმულ მჭადსაც **თაკარას** უწოდებენ (იქვე).

აშკარაა რომ, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა **ჩათაკრული** ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ეფუძნება;

ლიტერატურა

თოფურია, ქალდანი, 2000 — თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ლეონიძე, 1980 — ლეონიძე გ., „ნატვრის ხე“, თბილისი, „ნაკადული“, 1980.

ლომაძე, 1999 — ლომაძე ა., სპირანტების და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, თბილისი, 1999.

მაყაშვილი, 1991 — მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.

ქართლური... 1981 — ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, 1981.

ქეგლ, 1955 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, ტომის რედაქტორები: პროფ. არნ. ჩიქობავა, უფრ. მენც. თანამშრ. მ. ჭაბაშვილი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, „მეცნიერება“, 1964.

შატაძე, 2005 — შატაძე ნ., პურის მოთხრობა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005.

ჭინჭარაული, 1969 — ჭინჭარაული ალ., ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1969.

ჭინჭარაული, 2005 — ჭინჭარაული ალ., ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, „ქართული ენა“, 2005.

ELENE KOSHORIDZE

Towards the Meaning and Origin of Several Words

Summary

The paper explores the semantics and etymology of the words - **usnispera**, **kaṅṭali**, **čatakruli**.

It is assumed that **usnispera** is connected with the plant name - ucana (Tush), or ucuna (Upper Rachan), the spirant s is the result of disaffrication of c (ucana → usana) whereas usnispera is the result of reduction; the word denotes the colour of the plant ucana and means pale.

kaṅṭali is part of a compound in the Khevsurian dialect. **kaṅṭalaoba** - the word derived from it means to steal. In Khevsurian **kaṅṭala** has another meaning - **kaṅṭalkaca** (**kaṅṭalkaca**) which denotes a vertebra located at the ankle just between the shin and foot sole.

In one of the accents of the Kakhetian dialect **kaṅṭali** means a thigh bone. The word in question seems to be the phonetic variant of the well-known Pshav word **kaṅčali** // **kaṅčali** (a shin bone). The mentioned phonetic alternation is evidenced in Svan too.

The word **čatakruli** originates from the root **taḳara** which has a number meanings: 1. scorching, searing blazing (especially of the sun). 2. hot day 3. glass factory 4. In Imeretian **taḳara** denotes maize bread baked in ketsi, an earthenware dish.

The word **čatakruli** meaning tightly packed encountered in the Kartlian dialect, originates from the latter meaning.

თამარ ლომთაძე

ჟარგონის დეფინიციისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ჟარგონი ენის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის და საკმაო რაოდენობის სამეცნიერო კვლევაც არსებობს, ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება ამ ერთეულისა მაინც არა გვაქვს. ჟარგონი წარმოადგენს სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის ობიექტს და ყოველი დარგი ისწრაფვის გამოყოს მასში მისი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნიშნები. მართლაც, ჟარგონის ლინგვისტური განსაზღვრა — ენობრივი ასპექტების განსაზღვრაა, ლოგიკური დეფინიცია — ლოგიკური ასპექტებისა და ა. შ.

მართალია, მრავალასპექტიანი ობიექტის ერთ განსაზღვრაში გაერთიანება პრინციპულად მიუღებელი და ლოგიკურად გაუმართლებელია, მაგრამ ლინგვისტური ასპექტების გაერთიანება, ჩვენ შემთხვევაში აუცილებელია. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღესაც გაურკვეველია ეს ტერმინი მხოლოდ ნეგატიური „ენის“ აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ, თუ ნეიტრალური, სპეციალური, პროფესიული ლექსიკური ერთეულებიც უნდა გავაერთიანოთ ამ ცნების ქვეშ.

საბჭოთა ენათმეცნიერებაში ჟარგონი უმეტესად ნეგატიურ მოვლენად განიხილებოდა. ტერმინები „ჟარგონი“ „არგო“, „სლენგი“, „პროფესიონალიზმი“, „ანტიენა“ ხშირად არ იყო გამიჯნული და თითოეული მათგანის დეფინიცია ზოგჯერ ემთხვეოდა ერთმანეთს.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ იმ პერიოდში გამოცემული ლიტერატურიდან რამდენიმე განმარტება ამ ერთეულებისა. მაგალითად, არნოლდ ჩიქობავა ჟარგონს აშკარად ნეგატიურ მოვლენად მიიჩნევს: „ჟარგონი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ესაა ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწვრილმანეთა პირობითი „ენა“ (ფრანგ. **argot** „ქურდების ენა“, ფრანგ. **jargon** „დამახინჯებული ენა“). ამდენად ჟარგონი თავდაპირველად ქურდებისა და წვრილი მეწარმეების ენას ეწოდებოდა“ (ჩიქობავა, 1952, 68).

ასევე, ბესარიონ ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ ნაწილში, სადაც სოციალურ დიალექტებზე საკმაოდ საფუძვლიანი მსჯელობა არის მოცემული, ჟარგონი განმარტებულია, როგორც არგო: „ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობა ის არის, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამამცირებელი, ათვალისწინების (პეიორატიული) მომენტსაც შეიცავს. ამგვარი დაპირისპირება რეალური ვითარებითაა გამართლებული. საქმე იმაშია, რომ სხვებისათვის გაუგებარი მეტყველება აქვს როგორც ზოგი ხელობის წარმომადგენელს, ასევე იმათაც, რომელნიც მართლმსაჯულების ხელში ჩავარდნას უფრთხიან. მათი მეტყველების სხვადასხვაგვარად აღნიშვნა ეთიკურადაც გამართლებულია და ენობრივადაც“ (ჯორბენაძე, 1989).

მიუხედავად იმისა რომ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჟარგონსა და არგოს განმასხვავებელი ზოგიერთი ნიშანი შემჩნეულია, აქაც, ძირითადად, იგივე უზუსტობები გვხვდება, რაც საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში იყო გავრცელებული. ტერმინი „სლენგი“ კი საერთოდ არ არის გამოყოფილი და შენიშნული. ამ ერთეულის განმარტება ქართულში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ჩნდება.

„ჟარგონი — 1. ვიწრო სოციალური ჯგუფის (მოსწავლეების, სამხედრო პირებისა და სხვა.) მეტყველება. საერთო ენისაგან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით. მაგალითად, ქართველ მოსწავლეთა თანამედროვე ჟარგონს მიეკუთვნება ხურავს — ყველას სჯობს და სხვა. ჟარგონს არ ახასიათებს ზუსტი ტერმინოლოგია (ამით განსხვავდება პროფესიული ენისაგან) და არ არის საიდუმლო ენა ქურდული არგოსაგან განსხვავებით. 2. ნაირენოვანი მოსახლეობის საერთო მეტყველება (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

ნეიტრალურია და საბჭოთა შაბლონისაგან გათავისუფლებულია 2003 წელს თ. გამყრელიძის „თეორიული ენათმეცნიერების კურსში“ მოცემული განმარტება, თუმცა ისიც ძალიან ზოგადია: „ჟარგონი ეწოდება ზეპირ მეტყველებას, რომელიც იხმარება შედარებით მყარი სოციალური ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის დროს და რომელსაც ახასიათებს თავისებურებები სიტყვაწარმოებაში, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში. ჟარგონი ჩნდება ერთნაირი სოცია-

ლური მდგომარეობის, ინტერესების ასაკის, პროფესიის მქონე პირთა ჯგუფში; მისი ხმარებისას აქცენტი კეთდება მოცემული ჯგუფის წევრობაზე. ეს არის გარკვეული ეტალონისადმი მიბაძვა“ (გამყრელიძე, 2003, 383).

საბჭოთა პერიოდის რუსულ გამოცემებში ჟარგონის დეფინიციებში, ძირითადად, ნეგატიურ მხარეებზეა ხაზგასმია. თუ განმარტება შედარებით ნეიტრალურია, მაშინ მაგალითების მიხედვით ვხვდებით, რომ აქაც მხოლოდ ქურდების, ვაჭრების ენაზეა საუბარი და სხვა მხარე არ ჩანს. მაგალითისათვის მოვიშველიებთ ოჟეგოვის რუსული ენის ლექსიკონს, ახმანოვას ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონსა და რუსულად გამოცემულ უცხოურ სიტყვათა ლექსიკონს:

„ჟარგონი — სოციალური ან საერთო ინტერესებით დაკავშირებული ჯგუფის მეტყველება, რომელიც საერთო ენისაგან განსხვავებით შეიცავს ხელოვნურ, ზოგჯერ პირობით სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელიც აირეკლავს მოცემული ჯგუფის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. მაგ ვაჭრების ჟარგონი, ქურდული ჟარგონი“ (ოჟეგოვი, 1991).

არგო — იგივეა, რაც ჟარგონი, მათგან განსხვავებით აკლია კაეიორატიული, დასამდაბლებელი მნიშვნელობები. არგო არტისტული, სამხედრო არგო, ქურდული, ყომარბაზთა, პროფესიული, სასკოლო, სპორტული (ახმანოვა, 1966).

ლ. კასატკინთან, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სრულყოფილია განმარტება ჟარგონისა, მაგრამ აქ აშკარად დარღვეულია საზღვრები ჟარგონს, არგოსა და სლენგს შორის და ყველა ეს ცნება ერთი ტერმინის ქვეშაა გაერთიანებული.

ისევე როგორც საბჭოთა პერიოდის სხვა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ფ. ფილინის საერთო რედაქციით გამოსულ რუსული ენის ენციკლოპედიაში მოცემულ ჟარგონის განმარტებაშიც რამდენიმე უზუსტობაა. ამ განმარტების თანახმად, ჟარგონი არის ენის სოციალური ნაირსახეობა, რომელიც ხასიათდება პროფესიული ლექსიკითა და საერთო-სახალხო ენის ფრაზეოლოგიით. იგი არის კუთვნილება სოციალური, პროფესიული, საერთო ინტერესებით, საქმიანობით, ჩვეულებით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფისა. არაზუსტი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით ჟარგონი იხმარება დამახინჯებული, ვულგარული ენის აღსანიშნავად. არგოდან განსხვავებით იგი თითქოს გვერდით დგას საერთო სალიტერატურო ენიდან და წარმო-

ადგენს სოციალური დიალექტის ერთ-ერთ საფეხურს. ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით არა აქვს საკუთარი ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა. ჟარგონული ლექსიკა იქმნება სალიტერატურო ენის საფუძველზე მეტაფორიზაციის, ბგერათა დამახინჯების მეშვეობით. ჟარგონში ჩართულია არგოს ნაწილი, ე. ი. პროფესიული ლექსიკა და საერთო სახალხო ლექსიკა. სხვასახვა ჟარგონის ლექსიკა შეიძლება ნაწილობრივ დაემთხვეს ერთმანეთს და შექმნას ე. წ. ინტერჟარგონი“ (ფილინი, 1979, 82).

შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ვ. ბონდალეტოვის განმარტება: „ჟარგონი არის მოცემული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების სიმბოლოც, მისი თავისებური ენობრივი არსებობის მაჩვენებელიც და მისი სუბკულტურის ლინგვისტური გამოვლინებაც. როგორც ენის არსებობის ფორმის ნაირსახეობა, ჟარგონი ყოველთვის მეორადია, მისი გამოყენება ფაკულტატიურია“. (ბონდალეტოვი, 1987, 72). ამ განმარტების ძირითად ნაკლად მისი გამოყენების ფაკულტატიურობა უნდა ჩაითვალოს, რადგან ზოგიერთი ჯგუფის წარმომადგენელთათვის ის კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა.

ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომელიც 1990 წელს გამოიცა, უკვე იგრძნობდა ეპოქალური ცვლილებები და აქ ძალიან კარგად არის დანახული ერთი მნიშვნელოვანი მხარე. არგოს განმასხვავებლად ჟარგონთან მიმართებაში მიჩნეულია, რომ არგო იხმარება კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით. ხოლო ჟარგონის განმარტებაში პროფესიული ჟარგონის ელემენტებიც გამოიხსენება ცალკეული შედარებით მყარი სოციალური ჯგუფის ზეპირ ურთიერთობაში, ამ ჯგუფში კი ადამიანები შეიძლება გაერთიანებული იყვნენ პროფესიის (პროგრამისტების ჟარგონი), საზოგადოებრივი მდგომარეობის (მე-19 საუკუნის რუსული თავადაზნაურობის ჟარგონი), ინტერესების (ფილატელისტების ჟარგონი), ან ასაკის მიხედვით (ახალგაზრდული ჟარგონი) ამავე გვერდზე შენიშნულია, რომ ტერმინ „ჟარგონის“ სანაცვლოდ ზოგჯერ იყენებენ ტერმინებს „არგო“ და „სლენგი“ (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 151).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეგატიური განმარტებები გვხვდება ზოგ საზღვარგარეთულ ლიტერატურაშიც, ანუ აქაც, წინა ხაზზე წამოწეულია იმ ჯგუფთა მეტყველებაში გავრცელებული ჟარგონიზმ-

ბი, რომლებიც საზოგადოებისათვის მიუღებელია.

მხოლოდ უარყოფითის საჩვენებლად მაიკლ ჰოლიდიმ შემოიღო ტერმინი ანტიენა: „ტერმინი შექმნილია იმ ენის ნაირსახეობის აღსანიშნავად, რომელზედაც საუბრობენ ძალაუფლების არმქონე განაპირა ჯგუფები განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამიზნული იმისათვის, რომ ენა გაუგებარი გახდეს მოსაუბრეებისათვის, ანტიენას ძირითადად იყენებენ დამნაშავეები, ნარკომანები, სკოლის მოსწავლეები, ჰომოსექსუალები და ბოშები. ექსკლუზიურობა მიიღწევა სლენგური ლექსიკონის გამოყენებით, რომელიც ზოგჯერ ცნობილია. როგორც არგოტი, ის უცნობია საზოგადოების სხვა ჯგუფებისათვის და შეიცავს სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკას. ანტიენების ევროპული მაგალითებია პოლარი და ანგლორომანი. ზოგიერთი მათგანი ეყრდნობა ფონოლოგიურ ან სხვა ენის დამახინჯებულ პროცესებს, რომელთა მიზანია ენა გაუგებარი გახადოს.

არგოტი — ტერმინი გამოიყენება, რათა გამოხატოს ანტიენის ნაირსახეობა, რომლის სლენგური ლექსიკა ასოცირდება კრიმინალურ დაჯგუფებებთან.

უკუსლენგი — ანტიენის ფორმა, რომელშიც სიტყვები განზრახ გამოითქმის უკულმა. მაგ. **kool tou!** - **Look out!** ბრიტანული სლენგური სიტყვა **yob** „უხეში მამაკაცი“ თავდაპირველად წარმოადგენდა უკუსლენგს „boy“-დან (თრაჯილი, 2003).

მართალია, სოციალური დიალექტოლოგია და სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგებია, მაგრამ ევროპასა და აშშ ეს დისციპლინები 1950-იანი წლებიდან ყალიბდება და ინტერესი სოციალური საკითხების, მათ შორის ჟარგონის მიმართაც ძალიან დიდია. მიუხედავად ამისა, აქაც კი, სხვადასხვა ავტორთან ამ ცნებების სხვადასხვა კუთხით დანახვა ხდება და ტერმინებიც ხშირად ერთმანეთის ნაცვლად იხმარება. შესამჩნევია ისიც, რომ საფრანგეთში ტერმინი არგო უფროა გავრცელებული და არგოს განმარტებაში ჟარგონის ელემენტებიც ჩართულია, ამერიკაში — სლენგი უფრო ფართო გავრცელებისაა, რუსეთსა და საქართველოში — ჟარგონი და ა. შ.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორაც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით ანუ: არა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდვეიდი

1975). აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მასში გაერთიანებულ ერთეულებს საერთოც ექნებათ, მაგრამ ამასთანავე განსხვავებაც თვალნათლივ უნდა ჩანდეს განმარტებებში. ე. ი. საზღვრები თითოეული ცნებისა ზუსტად უნდა იყოს დაცული.

მართალია, ბოლოდროინდელ გამოცემებში, აგრეთვე საზღვარგარეთელი გამოცემების უმეტესობაში ეს ნაკლი შედარებით მოიხსნა, მაგრამ ამ ერთეულებს შორის მკვეთრი მიჯნის გავლება, საკუთრის წინ წამოწევა და ენის, სოციოლინგვისტიკისა და სტილისტიკის პოზიციებიდან ერთდროული დანახვა და შეფასება მაინც არ მოხერხდა (მაგალითისათვის იხილეთ თრაჯილი, 2003, აშეტი, 1994, რომენი, 1994, ლარუსი, 1994).

ასეთი მდგომარეობა ბევრ სხვა ლექსიკონში დასტურდება. არადა სოციალური დიალექტები სწორედ ის სფეროა, რომელის შესწავლაც ფონოლოგიის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ლინგვოკულტურისა და ა.შ. მონაცემების გათვალისწინების გარეშე არასრულფასოვანი იქნება.

ნეგატიურ მოვლენად არ შეიძლება ჩავთვალოთ პროფესიული ჟარგონი, რომელიც ოფიციალური ტერმინების დუბლეტებია. ამ შემთხვევაში პროფესიული ჟარგონი და ტერმინი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ტერმინი ნეიტრალურია, ხოლო ჟარგონი პირიქით, ემოციურ-ექსპრესიული და ეკონომიური.

არსებულის შეჯამება, ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას რომ ჩამოვყალიბოთ ჟარგონისათვის დამახასიათებელი შემდეგი არსებითი ნიშნები:

ჟარგონი — უცხო წარმოშობის სიტყვა, რომელიც გავრცელდა ფრანგული ენიდან. იგი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით. ჟარგონი გავრცელებულია რომელიმე სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ან საერთო ინტერესებით, ჩვეულებით, საქმიანობით, სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფებში. მას ახასიათებს ინდივიდუალური ვარირება და გამოიყენება კომუნიკაციისთვის კონკრეტულ სიტუაციებში. გამოირჩევა ლექსიკით, ფრაზეოლოგიითა და სიტყვაწარმოებით. ახასიათებს ლექსიკური და სტილისტური კონოტაცია, დამახასიათებელია მეტაფორული გადააზრება, სიტყვათა სესხება ერთდროულად რამდენიმე ენიდან, რომელიც აირეკლავს მოცე-

მული ჯგუფის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. ჟარგონის გამოყენებით ესწრაფვიან მისცენ ყველასათვის გასაგებ ცნებას ახალი ექსპრესიული აღნიშვნა, რაც არის პირობა ხშირი ცვალებადობისა. ჟარგონით მხოლოდ ნეგატიური ლექსიკა არ აღინიშნება. მაგალითად, პროფესიონალური დარგის წარმომადგენლების ჟარგონიზმები — არის არაოფიციალური დასახელებანი, რომლებიც ზეპირსიტყვიერებაში დაფუძნებულია რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებისათვის. მათი გამოყენება გამოხატავს ფაქტს, რომ ჩანაწერის ლექსიკა არის რთული და გაუგებარი. მაგალითად, სამედიცინო ჩანაწერი, ან კანონის ჩანაწერი შეიძლება ჩაითვალოს „სამედიცინო“ ან „ურთიდიულ“ ჟარგონად არამედიკოსებისა და არაიურისტების მიერ.

მოკლე დეფინიცია ჟარგონისა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით და განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც გამოირჩევა ემოციურ-ექსპრესიულობით, ეკონომიურობითა და კონოტაციით.

ლიტერატურა

ახმანოვა, 1966 — Ахманова. О. С. Словарь лингвистических терминов. М., 1966

ბონდალეტოვი, 1987 — В. Д. Бондалетов, Социальная лингвистика, Москва: Просвещение, 1987

გამყრელიძე, 2003 — თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003

კასატკინი, 1991 — Касаткин Л.Л., Клобков. Е.В., Лекант П.А., Краткий справочник по современному русскому языку, М., 1991

გლუკი, 2005 — Mertzler lexikon Sprache, Cluck, 2005

თრაჯილი, 2003 — A glossary of Sociolinguistics, Paper Trudgill, 2003, Edinburg University Press

ლესინი, 2004 — Лехин, Словарь иностранных слов. М., 2004.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი - Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990

მაკდევინი, 1975 — З. Р. Макдэвид. Мл., Диалектные и социальные различия в городском обществе, Новое в лингвистике, выпуск, Социоллингвистика, Москва, 1975

ოუეგოვი 1963 — Ожегов. С. И, Словарь русского языка. М., 1991.

რომეინი, 1994 — Suzanne Romaine, Language in Society. Oxford: University Press, 1994

ფილინი, 1979 — Русский язык Энциклопедия, М., 1979 (главнюред. Ф.П.Филин ст. 82-83

ფრომკინი, 1988 — V. Fromkin, R. Rodman , An Introduction to Language 1988

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

შალვაძე, 2007 — თ. შალვაძე, ვერბალური წყევლა-კრულვის ლექსიკური, სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი ინგლისურ და ქართულ კულტურებში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.

ჩიქობავა, 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989

Wahrig Deutsche Worterbuch, 2002.

Dictionary of the Prague School of Linguistics Josef Vachek.

Hachette, nouvelle edition, 1994.

lariuese, nouvelle edition, 1994.

Словарь социолингвистических терминов. Отв. ред. В. Ю. Михальченко. — М.: РАН, 2006.

TAMAR LOMTADZE

Towards the Definition of Jargon

Summary

The paper argues that though the phenomenon of jargon is quite well-studied linguistically, its definitions vary and lack precision. Logically it seems impossible for a single definition to reflect the multi-dimensional nature of jargon; however, the definition should include all its relevant linguistic features.

After surveying general linguistic peculiarities of jargon, the author proposes its definition: Jargon is a socially conditioned variety of a Standard language; it employs minimal linguistic means of expression, vocabulary, in particular. Jargon is usually emotionally charged, expressive, economical and connotationally rich.

თავარ მაგარჯავილი

ზმნური კატეგორიები კველ ქართულ ბრამატიკოსთა
ნაზრომებში

გრამატიკული აზროვნების ისტორია სათავეს ბერძნული სამყაროდან იღებს. ბერძნული გრამატიკული მოძღვრება (ძირითადად დიონისე თრაკიელიდან მომდინარე) იყო ის წყარო, რომელიც საფუძვლად დაედო ლათინური ენის გრამატიკას და ამ უკანასკნელის მეშვეობით თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ბერძნულ-ლათინურის თარგი კარგად ჩანს არა მარტო მეტყველების ნაწილთა სახელებისა და განსაზღვრა-განმარტებისას, არამედ სხვა ზოგად ცნებათა გადმოცემის დროსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორია მეტ-ნაკლებად შესწავლილია, ბევრი საკითხი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არც ერთი შრომა, რომელშიც საგანგებოდ იყოს გაშუქებული გრამატიკის საკითხები. ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1738 წლისა და ანტონ კათალიკოსის 1753 და 1767წწ. უწინარესი გრამატიკული ნაშრომი არ მოგვეპოვება.

1881 წელს პროფ. ა. ცაგარელმა პეტერბურგში გამოსცა „**მოკლე ბრამატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზ. შანშოვანისაგან 1737 წელსა**“. ავტორი გამოყოფს რვა მეტყველების ნაწილს, რომელიც იწოდება როგორც „კერძონი სიტყვისანი“. ერთ-ერთი მათგანია ზმნა, რომლის განსაზღვრა შეიძლება ითქვას უნაკლოა: „ზმნა არის ლექსი სასრბოლო (ე.ი. ფორმის მცვლელი), რომელ მყოფსა რაიმეს ანუ ქმნასა ანუ ვნებასა დანიშნავს ჟამითურთ და პირითურთ“. ამ განსაზღვრას მოსდევს ზმნათა დაყოფა: „საარსყოფოდ (ვარ, ვიმყოფები, ვიქნები), საგარმყოფოდ (თქვა, ვაქო), ბუნებისპირად (მიყვარს, მიყვარდა), მდებართა პირად (შემიყვარია, შემიყვარის)“. დასახელებული ზმნების ცალ-ცალკე გამოყოფას არავითარი საფუძველი არ აქვს და ქართული ზმნის სტრუქტურის გაუგებრობის შედეგად

გია მხოლოდ.

ზ. შანშოვანი გამოყოფს შემდეგ ზმნურ კატეგორიებს: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, კილო, სქესი (გვარი). შემდეგ კი მოტანილია ზმნის უღლების კატეგორიები. როგორც ვხედავთ, ზოგადი საკითხები (კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების გამოყოფა) ასე თუ ისე მისაღებია, მაგრამ როგორც კი ამ კატეგორიების მიხედვით ქართული ზმნის მასალის განაწილებაზე მიდგება საქმე, ავტორი მეტწილად ცდება და შეუსაბამო მაგალითები მოაქვს. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ეს კატეგორიები ასეთი თანმიმდევრობით იყო მოცემული სვიმონ ჯუდაელიანის გრამატიკაში და ავტორს მათი მხოლოდ კალკირება დასჭირდა, მასალის განაწილება კი ვერ შეძლო. ეს ეხება არა მხოლოდ ზმნას, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პირველ ქართულ გრამატიკულ ნაშრომთან დაკავშირებით ასეთი მოსაზრებაც გამოითქვა: „შანშოვანმა კი არ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, მან თარგმნა სომხურის გრამატიკა ქართულად“ (ფოცხიშვილი, 1979, 59; აბულაძე, 1940, 154).

ქართული გრამატიკული აზრი სათავეს **ანტონ ბაგრატიონის** ნაშრომებიდან იღებს. იგი იყო ქართული ენის პირველი, ფუნდამენტური ენათმეცნიერული ნაშრომის შემქმნელი და, ამდენად, ქართული გრამატიკული აზრის ფუძემდებელი. ანტონ ბაგრატიონმა გრამატიკის პირველი ვარიანტი 1753 წელს დაწერა, რომელშიც ცნებათა განსაზღვრებები ლათინურ-სომხურ ტრადიციას მისდევდა. მეორე რედაქციაში (1767წ.) კი დამატებითაა გათვალისწინებული ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის მონაცემები, რაზედაც თავად მიუთითებს ავტორი.

ზმნა, რასაკვირველია, ანტონს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად აქვს გამოყოფილი და მას ასე განმარტავს: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროვანი ოხვრითა ჰნიშვნენ ქვეშე დროისა მოქმედებათა ანუ ვნებათა არსებისათა: ვესავ, ვირწმუნებ, ჰსრბა, წერა, კვეთა და სხვანი ესეგვარნი ლექსნი იწოდებიან ზმნად“ (ანტონი, 1881, 121). მეორეგან კი ასეთი განმარტებაა მოცემული: ზმნა არის „ნაწილი სიტყვისა ცხადყოფი არსების ყოფისა, ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (იქვე, 155). ამ ორი განსაზღვრების შეერთება ასეთ სურათს მოგვცემდა: ზმნა არის ნაწილი წინადადებისა, რომელიც წარმოადგენს ერთ ფონეტიკურ მთლიანობას და გადმოგვცემს საგნის არსებობას, მოქმედებას ან ვნებას დროში გადმოცემულს.

ანტონის აზრით, ზმნა შეიძლება ვაწარმოთ სახელისაგან (გცხოველობ), ზედსართავისაგან (გმოდღვრობ), სახელზმნისაგან (ვაყენებ), მიმღობისაგან (გჰმადიდებლობ), თანდებულისაგან (გჰზესთაობ), კავშირისაგან (გჰმხოლოებ), შორისდებულისაგან (ვვაებ). როგორც ვხედავთ, მაგალითები აქაც შეუსაბამოდაა მოცემული.

საყურადღებოა, რომ ზმნები დაყოფილია პირიანებად და უპირიანებად. პირიანი ხასიათდება სამი პირის მიხედვით, უპირო კი განუსაზღვრელია: „ნაწილი ესე სიტყვისა პიროვანი... თვით თვისით სიტყვა არს მექონი ძალით (გულისხმობით) სახელთა უფლისაცა და საძიებოისა, მაგალითებრ „ვჰსწერ“. მას შინა ჰპოებ უფალსა სახელსა, ე.ი. პირსა პირველსა და საძიებოსაცა ზმნისასა, ე.ი. რაიმე“. აქ ნათლად ნათქვამი, რომ ვწერ ფორმა ორპირიანია და რომ პირველი პირი სუბიექტურია, ხოლო სხვა (საძიებო) „რაიმე“ ობიექტური, ანუ შენიშნულია ზმნის მრავალპირიანობა.

ზმნური კატეგორიებია: ნათესავი (გვარი), ნაკვეთი (ახალი ზმნის ფუძის წარმოქმნა), სახე (კონტაქტი), რიცხვი, პირი, დრო, სქესი (კილო) და უღლვა (უღლება). პირველ კატეგორიად გამოყოფილია გვარი, რომელიც იწოდება ნათესავად. „ნათესავი ზმნათა იწვალეების შემოქმედებითისად, ვნებითისად და უმეშვეობითისად“. ანტონი ყურადღებას ამახვილებს ზმნისწინსა და მის ფუნქციებზეც და, შესაბამისად, გამოყოფილი აქვს როგორც მარტივი (ალ, შთა, გა, გან, მი, მო, შე, წარ, და, გარდა), ისე რთული ზმნისწინები (წარმო, შთამო, აღმო, შემო, გამო, განმო, გარდამო, მიდმო), მიუთითებს მათ ზოგიერთ თვისებაზეც, როგორიცაა მნიშვნელობის ცვლა, „გამრჩობა-გაორკეცება და სამკაულად გახდომა“.

რიცხვი ორი აქვს ზმნას: მხოლოებითი და მრავლობითი. იქვე შენიშნულია, რომ ქართულს შეუძლია ერთ ფორმაში გადმოგვცეს ერთი მოქმედება, რომელშიც მოქმედი ერთია, ხოლო სამოქმედო მრავალი. გამოყოფილია რიცხვნაკლი ზმნებიც. სქესი (დღევანდელი გაგებით კილო) ზეუთი სახისაა: საზღვრებითი (თხრობითი), ბრძანებითი, საწადი (ნატვრითი), უკუთუობითი და უჩინო (განუსაზღვრელი). როგორც აღინიშნა, დამოუკიდებელ ზმნურ კატეგორიად გამოყოფილია ასევე სახე. ელ. ბაბუნაშვილის აზრით, ანტონთან ეს ტერმინი გამოყენებულია ზმნის ფუძის აღსანიშნავად: „ზმნის ფუძე (სახე) შეიძლება აგრეთვე იყოს „პირველსახე“ (გბრწყინავ, ვჰსჭამ) და „სხმით-გარდასვლითი“ (ვაბრწყინებ, ვაჭმებ). მას „სახე“ ფუძედ აქვს გაგებუ-

ლი სახელებთანაც (ბაბუნაშვილი, 135). ფუძე ორივე რედაქციის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, თუ ის სხვა სახელის ან ზმნის ძირს არ უკავშირდება და რთული, თუ ორი სახელი ერთმანეთს ერთი მთლიანის აღმნიშვნელად დაუკავშირდება. ტერმინ „ნაკვეთი“ ანტონთან მოიაზრება თხზვა და აქაც ერთმანეთს უპირისპირდება კვლავ მარტივი ფუძე, რთული (ორი ფუძისგან შედგენილი) ან ზერთული (სამი ფუძისგან შედგენილი). მსგავსი მდგომარეობაა ზმნასთანაც: „სახელის დარად იგიც იმდევრებს სახესა და ნაკვეთს“. ნაკვეთი აქაც იმავე მნიშვნელობას გულისხმობს, სახესთან დაკავშირებით კი მდგომარეობა უფრო რთულია. ანტონის თქმით, „სახესა ზმნათასა აქვს წვალეუბაი ორთა მიმართ რაიმეთა, ესეიგი პირველსახისადმი და სხმით-გარდასვლითისა. პირველი სახე არს თქმანი ესე ვჰსწოვ, ვჰსვამ, ვჰსცენდები, ხოლო სხმით-გარდასვლითი არს რომელიცა პირველ სახეობისგან გარდავალს სხვისა მნიშვნელობისა მიმართ და მოქმედებასა არლარა დაჰნიშნავს უსაშველოდ: ვაწოებ, ვასმევ, ვაშენებ და სხვ., ხოლო იქცევის სხმით-გარდასვლითი მრჩობლი-სხმით გარდასვლითად: ვაწოებინებ, ვასმევინებ, ვაცემინებ...“

ალ. ფოცხიშვილს მიაჩნია, რომ ამ მსჯელობიდან გამომდინარე „სახე“ არის კაუზატივი, თუმცა, უფრო რთულად გაგებულნი ვიდრე იგი თანამედროვე ქართულ გრამატიკაშია მოცემული. ამ კატეგორიასთან ერთად მოცემულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ანტონს შუალოებითი ფორმები სამპირიანად აქვს გაგებული: „სხმით-გარდასვლითი, არა თუ თვისსამართოდ, არამედ თვისგან სხვისას სხვისადმი“. პირი კი, თავის მხრივ, სამია: „ვინც უბნობს“ - მე, „ვისადმიც არს უბნობა“ - შენ და „ვისთვისაც არს უბნობა“ - იგი. ყველა ზმნა ვერ იგულებს სამსავე პირს — ისინი იწოდებიან პირნაკლ ზმნებად. პირნაკლ ზმნებში ანტონი გულისხმობს დღევანდელი გაგებით ობიექტური წყობის ზმნებს, ასევე თოვს, თენდება ტიპის ზმნებს და ბრძანებითი კილოს ფორმებს, რომელთაც ჩვეულებრივ პირველი პირი არა აქვთ. გამოყოფილი აქვს თითქმის ყველა პირის ნიშანი, რომლებიც დღეისთვისაა ცნობილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი ინტერპრეტაციითა და გააზრებით. უპირველეს ყოვლისა, ანტონთან მასალის ანალიზის სიმცირე შეიმჩნევა, მაგრამ თავისთავად ფაქტი ზმნის თითქმის ყველა ნიშნის გამოყოფისა უდიდეს ენათმეცნიერულ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. ანტონმა მოგვცა

„ობიექტური მახროვნენი“ სრულად, მაგრამ ვერ გათიშა ისინი სუბიექტურისგან. გრამატიკაში ფართოდაა წარმოდგენილი უღლებაც.

დრო სამი აქვს ზმნას: აწმყო, ნამყო და მყოობადი. ნამყო, თავის მხრივ, ასხვავებს ოთხ დროს: ნამყო უსრულეს, ნამყო სრულეს, ნამყო უსრულესსა და ნამყო უუსრულესს. ნამყო უსრული დღევანდელი უწყვეტელია, ნამყო სრული — წყვეტილი, უსრულესი თურმეობითი I და უუსრულესი — თურმეობითი II. მათ შორის განსხვავებას ქმნის დროული მანძილი მოქმედების შესრულებასა და მოქმედლის მიერ ამბის გადმოცემის მომენტს შორის: ახლო წარსული, უშორესი, ფრიად უშორესი. ნათესავი (ერთგან იყენებს ტერმინ გვარსაც) სამია: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი.

გაიოზ რექტორის შრომა იყო პირველი ნაბეჭდი ქართული ენის გრამატიკა ქართულ ენაზე. იგი უნდა დაბეჭდილიყო მოზდოკს 1796-1804 წლებს შორის. გაიოზი ანტონ კათალიკოსის მოწაფე იყო და, ცხადია, მისი გრამატიკა ვერ ასცდებოდა გავლენას, რომელიც თავს იჩენს როგორც გრამატიკისა და მისი ნაწილების განსაზღვრაში, ისე ტერმინოლოგიასა თუ ცალკეულ საკითხთა გაგებაში. იგი პირდაპირ მიუთითებს ხოლმე: „იხილენ ვრცლად დიდსა შინა ღრამმატიკასა ანტონისასა“ (გაიოზი, 1970, 141), თუმცა მის გრამატიკაში ბევრი ორიგინალური და საყურადღებო მოსაზრებაცაა. ზმნასთან დაკავშირებით ანტონისაგან განსხვავებული ბევრი საინტერესო აზრია გამოთქმული, ზოგჯერ კი უგულებელყოფილია ბევრი ანტონისეული ფასეული შენიშვნა. სხვაობა თავს იჩენს განსაზღვრაშივე: „ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჰნიშნავს ანუ ყოფასა ანუ მოქმედებასა არსისასა“. თუ ამას ანტონის განსაზღვრებას შევუდარებთ, აღმოვაჩინებთ, რომ გვაკლია მითითება იმაზე, რომ ზმნას ასევე შეუძლია გადმოსცეს ვნება და ყველაფერი ეს დროში გაიაზრება.

ყოველი ზმნა პიროვანია ან პირნაკლი. ბრძანებითი სქესის ზმნებს აკლიათ პირველი პირი. არაფერია ნათქვამი თოვს, თენდება და მისთ. ფორმებზე, რომლებიც ანტონთან სამართლიანად პირნაკლ ზმნებად არის მიჩნეული. ყოველი ზმნა კანონიერია ან უკანონო. კანონიერნი არიან ისეთი ზმნები, „რომელნიცა განვლიან ყოველთა შინა დროთა და ჰსქესთა უცვალეზლად, ხოლო უკანონონი იგი, რომელსაცა აკლნ ანუ დრონი, ანუ ჰსქესნი რომელნიმე (გვ. 67). მდევარნი ზმნისანი, ანტონის დარად, არის რვა: ნათესავი (შემოქმედებითი, ვნებითი, უმეშვეობითი), ნაკვეთი (მარტივი,პრთული), სახე (პირ-

ველი სახე, სხმით-გარდასვლითი, მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი), რიცხვი (მხოლოობითი, მრავლობითი), პირი (პირველი, მეორე, მესამე), ჟამი ანუ დრო (აწმყო, მყოობადი, ნამყო), სქესი (საზღვრებითი, ბრძანებითი, აპოთეტიკა ანუ ქვეწყობილებითი, განუსაზღვრელი) და უღლება.

საყურადღებო დაკვირვება აქვს გაიოზს ზმნისწინებთან დაკავშირებით (ანტონთან მსგავსი არაფერია): „მარცვლები ზმნებს დაესხმიან ნამყოსა და მყოფადს დროში და შესცვლიან ვითარებათა“ „უკუეთუ ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა აწმყოსა დროისათა, მაშინ მნიშვნელობასა მისსა ჰყოფენ მყოობადად“; საილუსტრაციოდ მოტანილია ვჰსწერ - დავჰსწერ ფორმები (გვ. 68). დიდ ადგილს უთმობს გაიოზი უღლებების პარადიგმებს, რომელთა გამოყოფაც ხდება პირის ნიშნებზე დაყრდნობით. მოცემულია ნაკლოვან ზმნათა უღლებაც, როგორებიცაა: ვარ, ვაძლევ, ვიცი, ვამბობ, ვეტყვი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვარ ზმნის უღლებისას ნამყო უსრულში ანტონის „ვიყვი“ (ხოლმეობითი) შეცვლილია უსრული ფორმით „ვიყოფოდი“. გაიოზმა, როგორც აღინიშნა, შემოიღო უღლებების ჯგუფებად დაყოფა პირის ნიშნითა მიხედვით. ანტონის აზრით, უღლებების ჯგუფებად დაყოფის საფუძველს ქმნიდა ამ ჯგუფებში შემავალ ზმნათა დაბოლოება, დამაბოლოებელ ნიშნებად იგი მიიჩნევდა ხუთივე ხმოვანს. ცხადია, ასეთი დეფინიცია ხელოვნური იყო, მაგრამ არანაკლებ ხელოვნურია გაიოზისეული დაყოფაც.

საყურადღებოა ასევე **დავით ბაგრატიონის** გრამატიკა, რომლის ექვსი ხელნაწერია ცნობილი. ნაშრომი თავიდან ბოლომდე კითხვა-მიგების წესითაა დაწერილი და, როგორც ჩანს, სასკოლოდ იყო განკუთვნილი. ზმნის დახასიათებაც ზუსტად ანტონის მიხედვითაა გაკეთებული და მდევარიც იმდენივე ახლავს (ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, ჟამი ანუ დრო, სქესი, უღლება). ზმნა იყოფა არსებითად, საქმნოდ, ვნებითად და უმეშვეობითად, აგრეთვე კანონიერად და უკანონოდ (თითოეულს ახლავს ცალ-ცალკე განმარტება ანტონისეული რედაქციით, სხვაობა მხოლოდ მცირე ნიუანსობრივია).

იოანე ბაგრატიონის ორიგინალურ ნაშრომებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“, რომელიც 15 წლის განმავლობაში იწერებოდა და დასრულებულა 1828 წელს. ზმნის განსაზღვრაში იოანემ გააერთიანა გაიოზი და დავითი: „ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც

ნიშნავს ანუ ყოფასა და ანუ მოქმედებასა არსისასა, აგრეთვე ქმნასა და ვნებასა ნიშნვიდეს ქვეშე ჟამისა პირითურთ (გვ. 147). რაც შეეხება კატეგორიებს, ძირითადად მიჰყვება გაიოზის გრამატიკას. მოგვიანებით იოანეს დაუწერია მეორე გრამატიკა იონა ხელაშვილის შეკვეთით, რომელიც არ დაბეჭდილა. „კალმასობის“ არც ერთი დებულება მასში გადმოტანილი არაა. იმ დროს, როცა ეს გრამატიკა დაიწერა, ქართული გრამატიკული აზრი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე იოანეს შრომაში იყო წარმოდგენილი. სკოლებში გამოიყენებოდა ი. ქართველიშვილის გრამატიკა, რომელშიც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყო ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი მხარეები. სწორედ ამის გამო იყო, რომ ქართველიშვილის გრამატიკა დაედო საფუძვლად ჯერ სოლომონ დოდაშვილის, ხოლო შემდეგ, პირდაპირ თუ ამ უკანასკნელის მეშვეობით, პლ. იოსელიანის გრამატიკას.

ვარლამ ერისთავის შრომა პირველი ქართული გრამატიკაა რუსულ ენაზე და, როგორც მიიჩნევენ, ქართული ენის დღემდე არსებულ გრამატიკათაგან ყველაზე მოკლეა. იგი დაიბეჭდა 1802 წელს და ტერმინოლოგიით, განსაზღვრებითა თუ სხვა ზოგადი დებულებებით ამოდის ანტონის გრამატიკიდან. ზმნას იგი განმარტავს, როგორც ცვალებად მეტყველების ნაწილს, რომელიც გვიჩვენებს მოქმედებას ან ვნებას. საყურადღებოა, რომ მეტყველების ნაწილთა დეფინიცია ცვალებად და უცვალებელ ჯგუფებად არ გვხვდება არც ანტონის და არც გაიოზის გრამატიკებში, მასთან განსხვავებულია რიგიც. ზმნები დაყოფილია კანონიერ და უკანონო, პირიან და უპირო, ნაკლობითად და უნაკლოდ (ისინი, რომელთაც აქვთ ყველა დრო, კილო და პირი). ტერმინი ნაკლობითი იყო გაიოზთანაც, სხვა ავტორებთან არა გვაქვს. ზმნის მდევრები მასაც ანტონის დარად აქვს გამოყოფილი და თითქმის იმავე მახასიათებლებით. რაც შეეხება უღლებას, მისი პარადიგმები ხან მიჰყვება ანტონისას და ხან არა.

იოანე ქართველიშვილის ქართული გრამატიკის პირველი რედაქცია შეიქმნა 1809 წელს, ხოლო II - 1814 წელს. მან თავის გრამატიკაში გადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების უმეტესი ნაწილი, თუმცა ბევრი სიახლეც მოგვცა. ზმნას ასე განმარტავს: „ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც აღნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა, ანუ ვნებასა პირისა ანუ ნივთისა“ (გვ. 24). ეს განსაზღვრა თითქოს საშუალოა ანტონისა და გა-

იოზის განსაზღვრათა შორის. იმ განსხვავებით, რომ ანტონთან დროის ფაქტორი იყო გათვალისწინებული, რომელიც გაიოზმაც გამოტოვა და ქართველიშვილმაც, სამაგიეროდ აქ დამატებულია იმის აღნიშვნა, რომ ზმნა გადმოგვცემს „პირისა და ნივთის მოქმედებას, ყოფასა და ვნებას“. სრულიად ახალია მოქმედებითი გვარის ზმნის განსაზღვრა. ცხადადაა ნათქვამი, რომ შემოქმედებითი ზმნა გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც გადადის სხვა პირზე ან რიცხვზე. ასევე გამოჩნდა ტერმინი „საშუალო“, თუმცა, როგორც ვნახეთ, მისი რუსული შესატყვისი უფრო ადრე ვარლამთან გვქონდა. აქ პირველადაა მითითებული ზმნასთან შეწყობილი სახელის ბრუნვებზეც. ესენია: წრფელობითი, მოთხრობითი და მიცემითი. სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი ი. ქართველიშვილთან უღლება. ზმნის უღლების დაყოფა მოცემულია პირის ნიშნებზე დაყრდნობით და გამოცალკევებულია ე.წ. მ-ანიანი და ვ-ინიანი უღლების ტიპები.

1839 დაიბეჭდა **სოლომონ დოდაშვილის „ქართული გრამატიკა“**. კვლევის შედეგად სრულიად აშკარად დადგინდა, რომ მან თავისი შრომის დაწერის დროს ძირითად წყაროდ აიღო ი. ქართველიშვილის გრამატიკა. ზმნას მასთან ცალკე თავი აქვს დათმობილი და მოცემულია მისი სრული განმარტება: „ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს მოქმედებასა ანუ მდგომარეობასა საგნისა და დანაწილდება ოთხად: არსებითად, მოქმედებითად, ვნებითად და უმეშვეობითად“ (გვ.112). ტერმინი მოქმედებითი პირველად აქ გამოჩნდა შემოქმედებითის მაგიერ. განსხვავებაა ზოგ ტერმინშიც. მაგ.: ს. დოდაშვილმა ი. ქართველიშვილის „საშუალოს“ „უმეშვეობითი“ ამკობინა. შვიდი კუთვნილება აქვს ზმნასო, წერს იგი: ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღვლილება. ზოგიერთი მათგანის განსაზღვრა უფრო ვრცელია, მაგრამ ზუსტია და ნათელი, თუმცა, მასთან არაფერია ნათქვამი ზმნის „მაპიროვნე“ და „დამაბოლოებელ“ ნიშნებზე.

პლატონ იოსელიანის „პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“ 1849 წელს გამოქვეყნდა. ზმნის განმარტება მსგავსია ს. დოდაშვილისეული განსაზღვრისა. ყველა წინამორბედ გრამატიკოსთაგან განსხვავებით დრო მასთან ხუთია და არა ექვსი და სახელწოდებებიც შეცვლილია: აწმყო იქცა აწმდგომად, ნამყო უსრული — ქმნილ უსრულად, ნამყო სრული — ქმნილ სრულად, ნამყო

უსრულესი — ქმნილ უსრულესად, მყობადი — ქმნადად, აკლია ნამყო უსრულესი.

ცხადია, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რიგს ზემოთ ნაჩვენებ შეხედულებათაგან დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა არის დღევანდელი თვალსაზრისით ფასეული დაკვირვებებიც. ამგვარად, აღნიშნულ მოსაზრებათაგან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: მე-18—მე-19 საუკუნის ყველა ქართველი გრამატიკოსი ზმნას დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად მიიჩნევს და იძლევა მის დახასიათებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მის კატეგორიებზე, გამოყოფენ მაწარმოებელ აფიქსებს. უდავოა, რომ ზმნურ კატეგორიებთან დაკავშირებით ანტონ I-ის მიერ მინიშნებული დებულებები გახდა ერთგვარი საფუძველი და იმპულსი მომდევნო ხანის გრამატიკოსებისათვის.

ლიტერატურა

აბულაძე, 1940 — ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, საქ. სახ. მუზ. შრომები, 10, თბ., 1940

ანტონ I, 1881 — ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1881

ბაბუნაშვილი, 1970 — ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970

ბატონიშვილი, 1990 — ი. ბატონიშვილი, ხუმარსწავლა (კალმასობა), წიგნი I, თბ., 1990

გაიოზი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970

დოდაშვილი, 1961 — ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევისა მიერ, ტფ., 1830., ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961

იოსელიანი, 1840 — პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისა მიერ, ტფ., 1840

ფოცხიშვილი, 1979 — ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979

ქართველიშვილი, 1825 — ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა. ტფ., 1825

შანშოვანი, 1881 — მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნილი ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, სანკტ-პეტერბურლი, 1881.

TAMAR MAMARDASHVILI

Verb Categories in the Works by Some Georgian Grammarians

Summary

All fundamental works of the 18th-19th century Georgian linguistics contain valuable information on the Georgian verb, its categories and system of affixation. Obviously, some of the observations are of purely historical importance. Some viewpoints, however, still remain relevant for Modern Georgian grammatical thought. The paper discusses the grammars by Zurab Shanshovani, Anton Bagrationi, Gaioz the Rector, David and Ioane Bagrationi, Varlam Eristavi, Ioane Kartvelishvili, Solomon Dodashvili and Platon Ioseliani Undoubtedly, the postulates on the Georgian verb categories worked out by Anton Bagrationi served as an impetus for the further development of Georgian grammatical thought. However, the approaches towards the postulates in question were controversial.

ენის მათემატიკა

ანტიკონკრეტული არსებობის სახელწოდებების
წარმომავლობისათვის აფხაზურში.
2. აძღვან // აძღვან „ალი, ფარია“

აფხაზურში აძღვან // აძღვან აღნიშნავს „ალს, ფარიას“.

აძღვან // აძღვან ლექსემა რთული შედგენილობისა უნდა იყოს: აძღ „წყალი“, + *-ს > -ზ (გარდაქცევისთვის მაწარმოებელი სუფიქსი) + ლა (ლოკალური პრეფიქსი, რომელიც რაიმეში მყოფობას გამოხატავს) + -ნ (ნამყო განუსაზღვრელი დროის, ამ შემთხვევაში, გაქვავებული სუფიქსი).

*ა-აძღვან > აძღვან > აძღვან უნდა მიგველო პროგრესული ასიმილაციით;

-ს წინაენისმიერი სისინა ფშინიერი სპირანტი -ლ სონანტთან მეზობლობაში გამყდრდა და მოგვცა -ზ წინაენისმიერი სისინა მყდერი სპირანტი; შემდეგ წინამავალი სისინა აფრიკატის, ძ-ს გავლენით ასიმილირდა და თავადაც იქცა წინაენისმიერ სისინა აფრიკატ ძ-დ. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია აფხაზურისათვის.

თუმცა, აძღვან // აძღვან ორივე ცოცხალი, პარალელურად ხმარებული ფორმა აფხაზურში.

-ს სუფიქსი გარდაქცევისთვის მაწარმოებელია, ამ სუფიქსდართული სახელების მნიშვნელობას აფხაზურში ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელის მნიშვნელობა შეეფერება.

ლა- ლოკალური პრეფიქსი პირის ნიშნის გარეშე წარმოდგენილი.

აფხაზურში ლოკალური პრეფიქსები წარმოშობით უკავშირდება სათანადო სახელთა ძირებს თუ ფუძეებს. ლოკალურ პრეფიქსთა შემცველი ზმნები ხან შეიცავს პირის ნიშანს, ხან არა.

ეს იმაზე დასტურებული, თუ რამდენად აბსტრაგირებულ / განზოგადებულია თვით პრეფიქსის მნიშვნელობა. რაც უფრო მეტია

ლოკალური პრეფიქსის განზოგადების ხარისხი, მით ნაკლებია პრეფიქსთან პირის ნიშნის გამოვლენის სიხშირე.

თუ განზოგადებული, არაკონკრეტული შინაარსით არის აღებული ზმნა, არ არის ნაგულისხმევი კონკრეტული პირი, აღარც მისი ექსპონენტი ჩანს. (მსჯელობა ემყარება ლომთათიძე, 1982, 5,8,62).

სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე აღნიშნულ მაგალითში.

რაც შეეხება -ნ სუფიქსს, იგი უნდა წარმოდგენდეს ნამყო განუსაზღვრელი დროის ამჟამად გაქვავებულ სუფიქსს, თუმცა, -ნ სუფიქსი სახელთა წარმოებაშიც გვხვდება. (ლომთათიძე, 1977, 140)

ამრიგად, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „წყლად შიგ მყოფი“.

აღნიშნული სემანტიკა „ალი“ ლექსემისა არც ქართულ-კავკასიური ფოლკლორისთვისაა უცხო.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ალი“ ლექსიკური ერთეული დამოუკიდებლად არ არის განმარტებული, მაგრამ განმარტებულია შემდეგი ლექსემები:

ალის-კბილი — ზღვის ჭრელი ლოკოკინის ბუდე. ბავშვებს ჰკიდებდნენ, თვალი არავინ ჰკრასო.

ალის-ყური — ზღვის დიდრონი ჭრელი ლოკოკინის ბუდე.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ანტიკონკრეტული არსება ალი ქართულ ცნობიერებაშიც წყალთანაა დაკავშირებული.

ლიტერატურა

ლომთათიძე, 1982 — ლოკალურ პრეფიქსთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურ-აბაზურში, თბილისი, 1982.

ლომთათიძე, 1977 — აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1977.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.

Towards the Origin of Some Abkhazian Names for Antropomorphic Beings

(აჯაზლან//აჯაზლან meaning a mermaid, fairy)

ეთერ მელქაძე

Summary

The Abkhazian აჯაზლან//აჯაზლან denotes a mermaid, fairy. The paper argues that the given lexeme might have a complex structure: აჯა meaning 'water', + the transformation denoting suffix *-s > z + la, the local preverb, + n the frozen form of the Simple Past suffix. *a-ჯაalan > აჯაზლან > აჯაჯ is a sample of progressive assimilation.

ახალ ენათა წარმოქმნის პრობლემატიკა (პიჯინები და კრეოლური ენები)¹

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება ნაშრომი, რომელიც შეეხებოდა კრეოლიზაციის პროცესს და რომელსაც ა. მარტინე და უ. ვაინრაიპი „ენათა კონტაქტებს“ უწოდებენ, ხოლო შემდეგ ბევრმა ენათმეცნიერმა „ენათა შერევა“ და „ენათა ურთიერთგაღლენა“ უწოდა.

სწორედ ამ მიზეზებმა გადაწყვიტა ჩემი ამ საკითხით დაინტერესება¹.

დავიწყე თუ არა არსებულ მასალაზე მუშაობა, მაშინვე დამებადა რამდენიმე კითხვა, კერძოდ — პიჯინები და კრეოლური ენები განსხვავებული ენებია თუ ერთი და იმავე ენის ევოლუციის შედეგია, და, საერთოდ, რას წარმოადგენენ ისინი; რას ნიშნავს პიჯინიზაცია და კრეოლიზაცია; აქვთ თუ არა მათ საერთო რომანიზაციასთან დაკავშირებულ პროცესებთან ანუ ერთნაირად ასახავენ თუ არა იმ პროცესებს, რასაც ენის ევოლუცია ეწოდება, ხომ არ არიან ისინი არგოს, კოინეს ან სულაც ესპერანტოს მსგავსი ენები; ემუქრება თუ არა კავკასიას პიჯინიზაცია.

რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა წარმოუდგენელია, მით უმეტეს, რომ მასში ჩაერთვის მრავალი ისეთი პროცესი თუ მოვლენა, როგორცაა ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური (სოციო-ლინგვისტიკა), ფსიქიკური — (ფსიქო-ლინგვისტიკა). ამ სტატიაში შემოვიფარგლებით, ზოგადად, პიჯინებისა და კრეოლური ენების წარმოქმნით და იმ სოციო-ისტორიული პირობებით, რომლებმაც მათი წარმოქმნა განაპირობა.

¹ ავტორს არ აქვს ამ საკითხთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევა-ძიების ანუ „ახალი სიტყვის“ თქმის პრეტენზია. მისი მიზანია უცხოურ ენაზე არსებული მასალის მიმოხილვა და მისი მიწოდება ქართველი მკითხველისათვის რამდენიმე სტატიის სახით, თუ რა თქმა უნდა, მას ეს დაინტერესებს.

სიტყვა „პიჯინი“ წარმოშობის რამდენიმე წყარო არსებობს და ინგლისური ენის გვერდით სახელდება პორტუგალიური, იგრითი და სამხრეთ-ამერიკელი ინდიელების ენები. მაგრამ მის წარმოშობას, ყველაზე ხშირად, ჩინელების მიერ სიტყვის „business“ წარმოთქმას უკავშირებენ. თავდაპირველად იგი მხოლოდ ამ ერთ ენას აღნიშნავდა, შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და მიესადაგა მის მსგავსად შექმნილ ყველა ენას.

ლინგვისტური თვალსაზრისით ასხვავებენ ორ პიჯინს — ანგლო-ფონიურს (PEA) და ფრანკოფონიურს (PFF). „ბიჩ-ლამარ“, დამახინჯებული წარმოთქმა ფრანგული სიტყვისა „biche-de-mer“ (ტრეპანგი — ზღვის მცენარე, გამოიყენებოდა საკვებად) გახდა „პიჯინინგლიშ“-ის ყველა გავრცელებული სახელი.

პიჯინი შეზღუდული სოციალური ჯგუფის ან საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციალური ენაა და ამიტომ სოციალური მოვლენაა; იგი ამ ჯგუფის ან საზოგადოების შიგნით იმავე როლს ასრულებს, რასაც რომელიმე სალიტერატურო ენა ნებისმიერ საზოგადოებაში და განეკუთვნება მეტყველების სფეროს, რადგან იგი აუცილებლობით გამოწვეული კოლექტიური წარმონაქმნია; მეტყველების სფერო გულისხმობს შეთანხმების სისტემას; სისტემას კი ახასიათებს სტრუქტურა, მთლიანობა, გარკვეული წესრიგი, მისი შემადგენელი ნაწილების გეგმაზომიერი განლაგება და ურთიერთკავშირი; იგი ნიშანთა სისტემაა და ახასიათებს სემანტიკური ცვლილებები. ითვლება, რომ თავდაპირველად იგი ხელოვნური ენა იყო, რითაც, ჩემი აზრით, ჰგავს ესპერანტოს, იდოს და ინტერლინგვას, თუმცა ამ უკანასკნელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, მაშინ როდესაც პიჯინები იხმარება და ვითარდება, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი ბუნებრივი ენებია.

წინათ პიჯინებს დასცინოდნენ და მას „დამტვრეულ“ თუ „დამახინჯებულ“ ინგლისურს უწოდებდნენ. დღესაც კი ბევრი თვლის, რომ ისინი მეორეხარისხოვანი ენებია, ხოლო პედაგოგები და პოლიტიკოსები ძალიან ზანტად აღიარებენ მათ როგორც ფართო ურთიერთობის „რეალურ“ ენებს.

ენა, რომ ნამდვილი პიჯინი იყოს, ორ პირობას უნდა ასრულებდეს:

1. მისი სიტყვათა მარაგი და გრამატიკული სტრუქტურა უნდა იყოს შემცირებული;

2. იგი არაფის მშობლიური ენა არ უნდა იყოს.

პიჯინიზაციის პროცესი დაახლოებით ასე წარმოუდგენიათ: ის ენობრივი კოლექტივი, რომელიც ინიციატივას იჩენს თავის პარტნიორებთან კონტაქტების დასამყარებლად, ცდილობს მათთან ურთიერთობის საშუალებად გამოიყენოს თავის ენა (პარტნიორებისთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი); ეს უკანასკნელი იძულებულნი არიან მიიღონ და აითვისონ ეს ენა მოსმენით, უკიდურესად მცირე დროში, შეზღუდულ საკომუნიკაციო გარემოში. ის ენა, რომელიც უფრო აქტიურია, ანუ ის ენა, რომელიც განიცდის პიჯინიზაციას, ენა-წყაროა (LS), ხოლო მეორე კოლექტივის ან კოლექტივების ენები, ანუ ის ენები, რომლებიც მას „ეჯახებიან“, სუბსტრატია. პიჯინების წარმოშობის შესახებ არსებობს სხვა თეორიებიც, რომლებსაც ჩვენ აქ არ განვიხილავთ.

ენის პიჯინიზაცია რთული სოციო-ლინგვისტური პროცესია, რომლის დროსაც მკვეთრად მცირდება პიჯინიზებული ენის მიერ შესრულებულ კომუნიკაციურ ფუნქციათა რაოდენობა, მაგრამ იგი ეთნოსთაშორისი დამხმარე ენაა. თუ კონტაქტი განსხვავებულ ენობრივ კოლექტივებს შორის ღრმავდება და ფართოვდება, იგი ან მოკვდება და ადგილს დაუთმობს ერთ-ერთ ენას, როგორც წესი, სუბსტრატს, ან გადაიქცევა ისეთ საკონტაქტო ენად, რომელსაც ლინგვისტიკაში გაფართოებული პიჯინი (extended pidgin) ეწოდება. მიუხედავად ერთი და იმავე სახელისა, ეს პიჯინები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — გაფართოებულ პიჯინს უფრო რთული სტრუქტურა აქვს, ვიდრე პიჯინს.

ეს გაფართოებული პიჯინი, სწორედ იმიტომ, რომ იფართოებს და ივითარებს თავის სტრუქტურას და ამასთან ხდება გაერთიანების ერთადერთი ენა, ტრანსფორმირდება კრეოლურ ენად და ამ პროცესს კრეოლიზაცია ეწოდება. კრეოლური ენები პიჯინთა ევოლუციის შედეგია და ეს ხდება იქ, სადაც შერეული ქორწინებების დიდი წილია, სადაც ორი ენის კონტაქტი არაეპიზოდური ხასიათისაა (მაგ. პლანტაციებში); პიჯინი მოკლე დროში საურთიერთო ენაა და როგორც კი დროში გაიწელება, გადაიქცევა კრეოლურ ენად.

მიაჩნიათ, რომ ტერმინი „კრეოლური“ იბერიული წარმოშობისაა და მოდის ან ესპანური სიტყვიდან — „criallo“ (ამ მოცემულ ადგილზე მცხოვრები) ან პორტუგალიურიდან „crioulo“ (ახალ სამყაროში დაბადებული აფრიკელი მონა; მოგვიანებით — კოლონიაში დაბადე-

ბული ყველა ევროპელი). კრეოლური ენების ვარიანტებია — კრიოლი, კრიოლუ.

კრეოლური ენები ახალგაზრდა ენებია. ისინი წარმოიშვნენ ევროპული კოლონიზაციის შედეგად — უმეტესად ინგლისური, ფრანგული, პორტუგალიური, ესპანური, ნიდერლანდური (ჰოლანდიური) ენების ბაზაზე დაყრდნობით XV-დან XIX საუკუნემდე.

კრეოლურ ენათა წარმოშობა ერთ-ერთი სადავო საკითხია თანამედროვე ენათმეცნიერებაში. კრეოლური ენები უდავოდ რეალური ერთობლიობაა, მაგრამ მათი პრინციპების განსაზღვრა ადვილი არაა. ყველა კრეოლური ენისათვის საერთოა ის, რომ მათი ლექსიკური მარაგი შეიქმნა ენა-წყაროს (LS) ბაზაზე. არ არსებობს აგრეთვე კრეოლურ ენათა უნიფიცირებული განსაზღვრა, არც სტრუქტურული და არც სოციო-ისტორიული თვალსაზრისით; მკვლევრები ვერ თანხმდებიან კრეოლური ენების ევოლუციის ზუსტ პირობებზე, ამიტომ ამ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემათა კვლევა დღესაც გრძელდება. ერთადერთი, რაც ცხადია ისაა, რომ ისინი პიჯინ-ენებისაგან წარმოიშობიან, იზიარებენ მათი წარმოშობის საერთო მექანიზმს და პიჯინებისაგან განსხვავებით, რომელიც დამხმარე ენაა, კრეოლური ენები მოლაპარაკეთა ახალი გაერთიანებების მშობლიური ენაა.

კრეოლიზებული ენა განიცდის მთელ რიგ ცვლილებებს: მეტყველების სისწრაფე მარცვალთა რიცხვის შემცირების შედეგად, ჩნდება ახალი მორფოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურები, ლექსიკური მარაგი მდიდრდება. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებაში ერთგებიან ენობრივი უნივერსალიები და კრეოლური ენების ფორმირება უმეტესად დამოკიდებულია ადამიანის ტვინში მოქმედ ქვეცნობიერ მექანიზმებზე. ყველაზე სარწმუნო წყაროდ ასეთი ინოვაციების დროს ითვლება „ბიოპროგრამა“, რომელსაც ჩვენ შევხვებით მომდევნო სტატიაში.

კრეოლური ენები დიდი ხნის მანძილზე იყო კოლონიური ეპოქის პროდუქტი, მაგრამ პოსტკოლონიურმა პერიოდმა ზოგიერთ ენას ოფიციალური სტატუსი და აღიარება მოუტანა, ზოგიერთს — სიკვდილი.

ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ ის სოციო-ისტორიული პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ ენათა წარმოქმნას.

პიჯინებმა ძლიერი განვითარება მოიპოვეს XVIII საუკუნეში, როცა მონებით ვაჭრობა და მუშახელის დაქირავება დაიწყო. სხვადასხვა

წარმოშობის ხალხები იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ ერთად და ამ მრავალფეროვან გარემოში მუშავდებოდა საერთო ენა, ძირითადად, როგორც უკვე ვთქვით, ევროპულ ენათა ბაზაზე.

ოკეანია ყოველთვის იზიდავდა მხატვრებსა და მწერლებს. ვიქტორიანული ხანის ეპოქამ აღფრთოვანებით მიიღო რომანტიკული ისტორიები ტროპიკულ სამყაროზე. კონტაქტები ევროპელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ჯერ გემებსა და ნაპირებზე მყარდებოდა. XIX საუკუნეში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაიზარდა კოლონიების, ფაქტორიების, სამთავრობო პოსტების, მისიების შექმნით. პიჯინ-ინგლიშ ურთიერთობის მყარი საშუალება ხდებოდა იქ, სადაც მოჰყავდათ ბამბა, ქოქოსი, შაქრის ლერწამი. XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მუშახელით ვაჭრობა აიკრძალა, პიჯინ-ინგლიში ზოგიერთ ქვეყანაში (ფიჯი, სამოა) გამოვიდა ხმარებიდან, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც ენათა რიცხვი დიდი იყო — ახალ ჰებრიდებზე, ახალი გვინეის პაპუაში და სოლომონის კუნძულებზე, პიჯინის ხმარება აუცილებელი გახდა, რადგან ამ რეგიონებში მისიონერებისა და კოლონისტების დინება დაიწყო; ხოლო მუშახელის დაბრუნება მშობლიურ ადგილებში ხელს უწყობდა პიჯინის გავრცელებას და მის შემდგომ სტაბილიზაციას.

ზოგიერთი კრეოლური ენა წარმოიშვა ახალი სამყაროს მონათმფლობელურ პლანტაციებში, ზოგიერთიც წყნარი ოკეანის არამონათმფლობელურ პლანტაციაში, დანარჩენი კი ევროპელთა ჩასახლებით აფრიკისა და ინდოეთის სანაპიროებზე, სამხედრო ექსპლუატაციის შედეგად და ყველაფერი ეს აისახება შემდეგ მოვლენებში:

1. ხანგრძლივი არათანაბარი კონტაქტი;
2. სოციო-კულტურული წყვეტილობა (მონათა დეპორტაცია, გრძელვადიანი ხელშეკრულებები და ა.შ.)
3. წყვეტილობით გამოწვეული დომინირებელთა ლინგვისტური მრავალსახეობა.

პიჯინთა და კრეოლთა განაწილება დედამიწაზე ნათალად ასახავს ევროპელ ხელისუფალთა ექსპანსიას, რომელთა ენის ბაზაზე ისინი წარმოიქმნენ. ბევრი სავაჭრო გზა გადიოდა აფრიკაზე, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში მონათა მთავარი მიმწოდებელი იყო და იმ ენებმა, რომლებზედაც მეტყველებდნენ მონები, მრავალ კრეოლურ ენაში დატოვეს თავიანთი კვალი.

დღეს მსოფლიოში ითვლიან სამოცზე მეტ კრეოლურ ენას და ეს

რიცხვი რამდენჯერმე აღემატება არსებულ პიჯინებს. კრეოლურ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი დაახლოებით 30 მილიონია. პიჯინთა და კრეოლურ ენათა უმეტესი ნაწილი გავრცელებულია იმ რეგიონებში, სადაც ევროპულ ქვეყნებს კოლონიები ჰქონდათ, მაგ.: ინგლისური — მელანეზიასა და ჩინეთში, ფრანგული — ინდოჩინეთსა და ზღვის იქითა დეპარტამენტებში და ტერიტორიებზე, პორტუგალიური — მალაკაში, ესპანური — ფილიპინებზე; გამონაკლისია ბაბა-მალაი და ჰირი-მოტუ, რომელიც ავსტრონეზიულ (იგულისხმება ინდონეზიურ, პოლონეზიურ, მელანეზიურ, მიკრონეზიურ ენათა ოჯახი) ბაზაზე წარმოშობილი პიჯინია. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა, რომელსაც უეჭველად შევეხებით ცალკე სტატიაში.

ლიტერატურა

დიაჩკოვი, 1987 — Дьячков М. В., Креольские языки, М., 1987.

ვაინრიხი, 1972 — Вайнрайх У., Одноязычие и многоязычие, Новое в лингвистике, М., 1972.

jazyki.clow.ru/page/0100.htm – 72 k, Креольские языки и пиджины.

კიმი, 2005 — Kihm A., Qu'est-ce qu'un créole? Langue et cité, Octobre, N5, 2005.

კრიგელი, 2005 — Kriegel S. La recherche en créolistique. Langues et cité, Octobre, N5, 2005.

მათერი, 2004 — Mather P.A., Les créoles à base lexicale européenne et le mythe des pidjins, Université de PortoRico, 2004 <http://www.geocities.com/pamather/Articles-français-pidjins.html>.

მარტინე, 1972 — Мартине А., Распространение языка и структурная лингвистика, Новое в лингвистике, М., 1972.

როსეთი, 1972 — Росетти А., Смешанный язык и смешение языков, Новое в лингвистике, М., 1972.

ჰოლი, 1972 — Холл-мл. Р., Креолизованные языки и генеалогическое родство, Новое в лингвистике, М., 1972.

ETER MELKADZE

Some Problems of New Language Formation (Pidgins and Creoles)

Summary

The paper examines the processes of pidginization and creolization and discusses some linguistic and sociolinguistic dimensions of pidgins and creoles..

ნათია ნემსაძე

ბრაფიტი – ვანდალიზმი თუ თვითდაზიანების
საშუალება?

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს „ვერბალური გრაფიტის“ ლინგვო-პრაგმატიკული ანალიზი. „გრაფიტი“ ან „გრაფიტო“ იტალიური სიტყვაა (*graffito*) და „კაწვრას“ ნიშნავს. იმავე ფუძიდან არის ნაწარმოები ბერძნული ინფინიტივი *γράφειν - graphein*, რომელიც წერას ნიშნავს. ისტორიულად გრაფიტი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ზედაპირზე (ხშირად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მდებარე) ამოკაწრული ან დახატული გამოსახულება ან ნაწერი. ვერბალური გრაფიტის ნიმუშები აღმოჩენილია უძველეს სამარხებზე, შენობების ნანგრევების კედლებზე რომსა თუ პომპეიში. მაგალითად, პროტო-არაბული ენის (საფაიტური — ძველი ჩრდილო-არაბული დიალექტი, რომელიც სამხრეთ სემიტური ანბანით არის შესრულებული; იგი გამოიყენებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1-ლი საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნემდე) ერთადერთი ცნობილი წყაროა სამხრეთ სირიაში ბაზალტის კლდეების უდაბნოში, იორდანისასა და საუდის არაბეთში ქვების ზედაპირებზე ამოტვიფრული წარწერები. ასეთი წარწერების ნიმუშები ეგვიპტეშიც არის შემორჩენილი. ეგვიპტეში კედლებზე აღმოჩენილი წარწერების უმრავლესობა მოგვითხრობს ქვების მოპოვების ტექნიკური საკითხების შესახებ, აღნიშნულია ერთგულება ფარაონის მიმართ, მოთხოვნილია ნიჭიერი ადამიანების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი მისიის წარმატებით შესრულება. ერთ-ერთი წარწერა, რომელიც სესოსტრისის 38-ე წელს არის შესრულებული (დაახლოებით 1930 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე), შემდეგი შინაარსისაა:

„მე მოვედი უდაბნოში, რათა მოვიპოვო ქვები მისი უდიდებულესობა ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფისათვის, ხერპერკარესათვის, 38-ე წელს, წყალდიდობის მე-4 თვეს, მე-4 დღეს. მე მშვილობით წამოვედი წყალდიდობის მე-4 თვეს, მე-6 დღეს, 80 ბლოკი ქვით, რომელიც მი-

ჰქონდათ 1500 და 1000 კაცს. მე მივალწიე ნილოსის ნაპირს წყალდიდობის მე-4 თვეს, მე-20 დღეს.“


ასეთი ტიპის ანგარიშების გარდა არსებობს სხვაგვარი ჩანაწერებიც. მაგალითად, ვინმე ჰენოუ, რომელიც გააგზავნეს მისიით პუნტში 3000 კაცის მეთაურად და რომლის მიზანი იყო შეეძინა ტკბილი სურნელოვანი ხის გამონაყოფი. ჰენოუ პუნტისაკენ გემით გაემურა, რომელიც მან წითელი ზღვის ნაპირას ხელახლა შეკრა. ხოლო ნილოსიდან იგი მას ნაწილ-ნაწილ დაშლილი მოჰქონდა...

წარწერები გვატემალაში, მაიას ცივილიზაციის უძველესი ქალაქის ტიკალის ნანგრევებზეც არის აღმოჩენილი.

საინტერესოა ნიუ მექსიკოს დასავლეთში ელ მოროს ეროვნული მონუმენტის კედლებზე გაკეთებული წარწერები. საუკუნეების მანძილზე ამ კლდეს ბევრი მომნახულებელი ჰყავდა. ესპანელი არქეოლოგები მას „ელ მოროს“ უწოდებდნენ, ხოლო ზუნის ტომის ინდიელები „*A'ts'ina*“-ს („იმ ადგილს კლდეზე, სადაც წარწერები უნდა გაკეთდეს“). ბრიტანული წარმოშობის ამერიკელებმა მას „წარწერების კლდე“ დაარქვეს. ბევრმა მოგზაურმა დაწერა აქ თავისი სახელი, გვარი, თარიღები და მგზავრობის მარშრუტები. ზოგი წარწერა მე-17 საუკუნითაც კი არის დათარიღებული (ვიკიპედია).

ასეთი არტეფაქტები სკანდინავიის ქვეყნებშიც გვხვდება. ყველაზე აღრინდელი წარწერები ჩვენი წელთაღრიცხვით 200 წელს მიეკუთვნება. ვიკინგები რუნების ისეთ ფორმებს იყენებდნენ, რომელსაც ფუტჰარკი ეწოდება და ჩვენი წელთაღრიცხვით 700-ე წლიდან გამოიყენებოდა. ერთ-ერთი წარწერის შემდეგ ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „ეს რუნები ამოტვიფრულია იმ კაცის მიერ, რომელიც საუკეთესო მტვიფრავია მთელ დასავლეთ ოკეანეებში“. ვიკინგებმა რუნებით შესრულებული გრაფიტის ბევრი ნიმუში დატოვეს. მაეშოუეს (შოტლანდია) კედლებზეა აღმოჩენილი ვიკინგების მიერ რუნებით შესრულებული წარწერების ყველაზე დიდი კოლექცია. მაეშოუეს 30 წარწერიდან უმრავლესობას შემდეგი შინაარსი გააჩნია „თორფინმა (. . .) დაწერა ეს რუნები“. ზოგი მამის სახელსაც წერს, ზოგი მეტსახელს, არის სავარაუდოდ ქალის მიერ შესრულებული რუნები, ერთ-ერთი წარწერა ასეთია: „ეს რუნები ამოტვიფრულია რუნების ყველაზე ნიჭიერი დამწერის მიერ მთელ დასავლეთ ოკეანეში იმ ცუ-

ლით, რომელმაც მოკლა გაუკრ ტრანდკილის ვაჟიშვილი ისლანდიის სამხრეთში“. არის ასეთი წარწერებიც: „ცალხელა ჰააკონმა ამ გამოქვაბულიდან ძვირფასეულობა წაიღო“, „ინგიგერდი ყველაზე მშვენიერია ქალთა შორის“, „ინგობიორგი პატიოსანი ქვრივი იყო“, „აქ ბერი ქალი შემოდოდა მოხრილი, მიუხედავად იმისა, რა ქედმაღალიც



უნდა ყოფილიყო“, „თოლფირ კოლბენსონმა ამოტიფრა ეს რუნები ძალიან დიდ სიმაღლეზე“.

ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ მაინც შენარჩუნდა წარწერები ქალაქ პომპეის ნანგრევებზე; ეს წარწერები სხვადასხვაგვარი შინაარსისაა: აქ არის ლათინური წყევლა, მაგიური სიტყვები, სიყვარულის ახსნა, ანბანი, პოლიტიკური ლოზუნგები, ციტატები სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან. ალბათ სიყვარულში იმედგაცრუებული ადამიანის მიერ არის გაკეთებული შემდეგი წარწერა:

“ Quisquis amat. veniat. Veneri volo frangere costas
fustibus et lumbos debilitare deae.
Si potest illa mihi tenerum pertundere pectus
quit ego non possim caput illae frangere fuste? „

vinc SeKvarebulia, JoJoxeTamde gza hqonia!
minda xelketiT neknebi Cavumtvrio veneras da TeZoebi davumaxinJo.
Tuki mas SeuZlia nazi guli gamitexos,
me ratom ar SemiZlia Tavi gavutexo mas? (დეივისი, 1912-13, 260).
ჩემ მიერ განხილული ისტორიული თუ თანამედროვე წარწერები

შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს: პირველ მათგანს ადრესანტის სახელი მითითებული აქვს, მეორე დიდი ნაწილის ავტორი დაფარულია. ყველა ეს წარწერა შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულ ტექსტად, რადგანაც ყველა მათგანს მოაქვს გარკვეული, დასრულებული აზრი, ყველა მათგანს ჰყავს „კონკრეტულ-აბსტრაქტული“ ადრესატი. ეს ნიშნავს იმას, რომ წარწერები მიემართება ზოგადად მთელ სამყაროსა და შეიძლება ხანდახან კონკრეტულად ერთ პიროვნებასაც. მაგრამ რადგანაც ეს კონკრეტული ადრესატი ხშირ შემთხვევაში ვერასდროს გახდება დაკონკრეტებული, ასეთი წარწერების ადრესატებად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოება საერთოდ, მოსახლეობა ან მთელი სამყაროც.

ყველა გრაფიტი შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულ სამეტყველო აქტად, რომლებიც, როგორც ცნობილია, საკომუნიკაციო აქტებს წარმოადგენენ. კომუნიკაცია კი გულისხმობს გარკვეული მოდლობის გამოხატვასაც; განხორციელებული სამეტყველო აქტის ტიპი მიესადაგება გამოხატულ კონკრეტულ განწყობას (დამოკიდებულებას). მაგალითად, მოთხოვნა გამოხატავს სურვილს, ბოდიშის მოხდა გამოხატავს სინანულს. სამეტყველო აქტი, როგორც კომუნიკაციის აქტი, წარმატებულია მაშინ, როდესაც მსმენელი აუდიტორია გრძნობს და ზუსტად აღიქვამს გამოხატულ განწყობას — ავტორის ინტენციის შესაბამისად (ბახი, ჰარმიში, 1979).

ყველა ეს წარწერა მიმაჩნია დასრულებულ ტექსტად, რომელსაც დასრულებული ინფორმაცია მოაქვს.

1) იმ ტექსტებს შორის, რომლებსაც განვიხილავ, ყველაზე გავრცელებულ წარწერად საკუთარი სახელი შეიძლება ჩაითვალოს (ხანდახან სახელი და გვარი ერთად). ამაზე ჩემ მიერ შეგროვებული სტატისტიკური მასალა მეტყველებს. საკუთარი სახელი ამ შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანის სახელი, ის ამ შემთხვევაში ამ ადამიანის ცხოვრების ისტორიად ან რაღაც პატარა ამბად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ტექსტების სტრუქტურა მარტივია — ეს არის მხოლოდ არსებითი სახელი ან ხშირად ორი არსებითი სახელი ერთად — N ან N+N. იმავე ჯგუფს მივაკუთვნებ სახელისა და ადგილის გარემოების გამომხატველ კონსტატივებს — „ესა და ეს პიროვნება იყო აქ“. N+V+A.

თურმე რენესანსის პერიოდის მხატვრებიც - პინტურიჩო, რაფაელი, მიქელანჯელო, ფილიპინო ლიპი - ტვიფრავდნენ საკუთარ სახელებს ნერონის მიერ აშენებული დომუს აურეის ნანგრევებზე.

ნაპოლეონის მიერ ეგვიპტეში წარმოებული სამხედრო კამპანიის დროს ფრანგმა ჯარისკაცებმა თავიანთი სახელები სხვადასხვა ძეგლებს დააწერეს. მიიჩნევა, რომ ლორდ ბაირონმაც კი დაწერა თავისი სახელი პოსეიდონის ტაძრის კედელზე კეიპ სუნიონში, ათიკაში. თუმცა



არ არსებობს იმის დამადასტურებელი მონაცემები, რომ ეს წარწერა მართლაც მის ავტორაფს წარმოადგენს.

ვარიანული სახელი — ჰალვდანი - ამოტვიფრულია რუნების ანბანით აია სოფიას ტაძარში კონსტანტინოპოლში.

მრავალი საკუთარი სახელია დაწერილი ტაძრებზე საქართველოში. ძალზე გავრცელებულია შემდეგი სახის წარწერა რუსეთის სხვადასხვა ტაძარსა თუ შენობაზე — „Здесь был Вася (Петя)“.

აშშ-ის ქალაქ ბალტიმორის ერთ-ერთ უბანში „პატარა იტალია“ კედელზე აღმოვაჩინე 1946 წელს გაკეთებული წარწერა „როზა და პასკუალე“ — აქ მათი პორტრეტიც არის საქორწილო ტანსაცმელში. (ავტორის ფოტო).



პომპეი, ოთხვეტიანი სახლის შესასვლელი: აქ იყვნენ რომულა და სტაფილუსი (კრიპსი, 2005).

2) მეორე ადგილზეა სკაბრეზული ხასიათის ტექსტები, რომლებსაც ამ სტატიაში არ განვიხილავ. წინამდებარე სტატიაში კი გავრცელების მიხედვით მეორე ადგილს გრაფიტის ტიპებს შორის მივანიჭებდი სასიყვარულო შინაარსის ტექსტებს, ტიპურ კონსტანტივებს. ასეთი ტიპის გრაფიტი მეორე ადგილზეა პოპულარობისა და გავრცელების არეალის მიხედვით, რაზედაც ჩემ მიერ მოპოვებული სტატისტიკური მასალა მიანიშნებს. ყველა ეპოქასა და საუკუნეში უხვად მოიპოვება ამ არქეტიპულ ემოციაზე პასუხი საჯარო განცხადების მეშვეობით (რასაც წარმოადგენს კედელზე გაკეთებული წარწერა).

„პომპეის ერთ-ერთი საჯარო სახლის შესასვლელი: ქერა ქალმა მასწავლა შავთმიანი გოგონების სიძულვილი. მე მათ შევიძულე, თუკი შევძლებ, მაგრამ მათ სიყვარულზე უარს მაინც ვერ ვიტყვი. ეს დაწერა პომპეელმა ვენუს ფიზიკამ.“

„კესიუს ვალენსისა და ჰერენიუს ნარდუსის სახლი: რუფუსს უყვარს კორნელია ჰელე.“

„(პინარიუსის სახლის შესასვლელი): ვისაც არ სწამს ვენერასი, იმან ჩემს მეგობარ გოგონას უყუროს.“

„აქ ეძინა ვიბიუს რესტიტუტუსს მარტო, ხოლო მისი გული მისი ურბანასკენ მიიწვედა.“

„ვინც შეყვარებული არ ყოფილა, ვერ იქნება დიდსულოვანი მამაკაცი.“

„ჯანმრთელობას გისურვებ, ვიქტორია, და სადაც არ უნდა იყო, ტკბილად დააცემინე.“

„რესტიტუტუსმა ბევრჯერ მოატყუა ბევრი გოგო.“

„რომელა აქ სტაფილუსთან მოვიდა პაემანზე.“

„თუკი შენ იქნები ადამიანი, თუკი იცი, რა შეიძლება გააკეთოს სიყვარულმა, თანამიგრძნე და დამბატიყე შენთან“ (ვიკიპედია).

3) გავრცელების მიხედვით მესამე ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ ლოზუნგებსა და განცხადებებს. ძველ რომში არ უშვებდნენ განცხადებების გაზეთს, ამიტომ მის როლს ხშირად სხვადასხვა შენობის კედლები ასრულებდა. ხოლო რაც შეეხება ლოზუნგებსა და მოწოდებებს, ესეც არის ადამიანის სულის კვილი, მისი სწრაფვა ყველას მიაწვდინოს თავისი აზრი და ამით დაიკმაყოფილოს ლტოლვა, იყოს გაგებული და გაგონილი. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ლოზუნგებისა და განცხადებების ავტორებს ჩრდილში დარჩენა სურთ და ამიტომაც არჩევენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ამ ფორმას. ეს ტექსტები კონსტანტივებს, დირექტივებს და ხშირად კომისივებს წარმოადგენენ.

„ქირავდება შემდეგი ივლისის პირველი დღიდან, მშენიერი ოთახებია ზევით, სახლი არნიუს პოლიოს უბანშია, რომლის პატრონიცაა გნეუს ალეიუს ნიგიდიუს მაიუსი. შესაძლო დამქირავებლებმა შეიძლება მიმართონ პრიმუსს, გნეუს ალეიუს ნიგიდიუს მაიუსის მონას.“

„ქირავდება 5 წლის ვადით, აგვისტოს მე-13 დღიდან, დღიდან მე-6 აგვისტოს მე-13 დღემდე, ვენერას აბაზანა, მოწყობილია საუკეთესო ხალხისათვის, მალაზიები, ოთახები მალაზიების ზევით, ბინა მეორე სართულზე ჯულია ფელიქსის — სპურიუსის ქალიშვილის — მფლობელობაში მყოფ შენობაში.“

„მალაზიიდან გატანილია სპილენძის ჯამი. ვინც კი მას დააბრუნებს, მიიღებს 65 სესტერცის. თუკი ვინმე ქურდს გადმოგვცემს, იგი დასაჩუქრდება.“

„თუკი ვინმეს მოუნდა ჩემი გოგო წამართვას, მაშინ დაიწვას იგი შორეული ცივი მთის მწვერვალზე!“

„ნუცერიაში მე მოვიგე 8552 დინარი ახარტული თამაშების დროს — სამართლიანი თამაში იყო.“

„ბიზნეს გარიგებების ასლები ცვილის ფირფიტებზე.“

„უმბრიცია ჯანუარია აცხადებს, რომ მან მიიღო ლუციუს ცეცილიუს იუკუნდუსისგან 11,039 სესტერსი, ეს თანხა ლუციუს ცეცილი-

უს იუკუნდუსის ხელში აღმოჩნდა ხელშეკრულების თანახმად, რომელიც აუქციონზე შეძენისათვის გადაუხადა უმბრიცია ჯანუარიას. საკომისიო მას დაეკეთა. შესრულებულია პომპეიში დეკემბრის მე-12 დღეს, ლუციუს დუვიუსისა და პუბლიუს კლოდიუსის საკონსულოში [56 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით] (არის ბევრი მოწმე).“

„იენისის მე-18 დღეს დუუმვირატი ლუციუს ვერანიუს ჰიპსაეუსმა, ლუციუს ალბუციუს ჯუსტუსმა, მე პრივატუსმა, პომპეის კოლონიის მონამ განვაცხადეთ წერილობითი სახით, რომ მივიღეთ ლუციუს ცეცილიუს ჯუკუნდუსისგან 1,675 სესტერსი გუშინ, იენისის 6-ში, 1000 სესტერსი მივიღეთ საზოგადოებრივი საძოვრის გაქირავების საფასურად. შესრულებულია პომპეიში გნეუს ფონტიუსისა და გაიუს ვიპსტანუსის საკონსულოში [59 ჩვენი წელთაღრიცხვით] (არის ბევრი მოწმე)“ (დევიისი, 1912-13, 260).

„კანონიერი ხელისუფლების მომხრეები ხვალ ხუთ საათზე ვიკრიბებით“ (თბილისი, ჭავჭავაძის 1-ლ ნომერში მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის კედელი).

4) კედლებზე გაკეთებული წარწერებიდან პოპულარობის შემდეგ საფეხურზე სპორტული შინაარსის წარწერებია, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოიძებნება; რა თქმა უნდა, იმ ქალაქებზეა საუბარი, სადაც კეთილმოწყობის სამსახურები ნაკლები სისწრაფით მუშაობენ და ვერ ასწრებენ ასეთი წარწერების წაშლას. აქაც უფრო კონსტანტივები და დირექტივები ჭარბობს. გლადიატორების მიერ გაკეთებული წარწერები ზუსტად ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ:

„კვინტუს მონიუს რუფუსის მიერ მოყვანილი გლადიატორთა ოცი წყვილი იბრძოლებს ნოლაში პირველ, ორ და სამ მაისს და იქნება ნადირობა. „

„გნაეუს ალეიუს ნიგიდიუს მაიუსის მიერ მოყვანილი გლადიატორთა ოცდაათი წყვილი მათ შემცვლელებთან ერთად იბრძოლებს პომპეიში 24, 25 და 26 ნოემბერს. იქნება ნადირობა. ვაშა მაიუს კვინკუენიასს! ყოჩაღ, პარის!“

„ედილ აულიუს სუტიუს ცერტუსის გლადიატორთა ჯარი იბრძოლებს პომპეიში 31 მაისს. იქნება ნადირობა, იქნება ტენტები. ეს დაწერა აემილიუს ცელერმა მთვარის შუქზე“ (დევიისი, 1912-13, 260).

„Спартак — Чемпион“ — ყველაზე გავრცელებული წარწერა მოსკოვსა და მის შემოგარენში.

„Manchester — the best!“ (რედინგი, დიდი ბრიტანეთი).

5) ფილოსოფიური ხასიათის წარწერები:

პომპეიში აღმოჩენილი წარწერების ნიმუშები: „სალვიუსის ბარი: კედელზე დახატულია ქალი, რომელსაც მოაქვს ღვინო და თასი მის დასალევად, წარწერა კი შემდეგია: „ვისაც უნდა თვითმომსახურება, შეუძლია წავიდეს და ზღვა დალიოს.“ კონსტატივები და ღირებულებები.

„პოტიტუსის საღურგლო სახელოსნო: რამდენაირ ხერხს იყენებ მოსატყუებლად შენ, ქარვასლის მეპატრონე. შენ წყალს ყიდი, მაგრამ თვითონ განზავებულ ღვინოს სვამ.“

„თუკი პატარა ბოროტებას არ მივაქცევთ ყურადღებას, იგი გაიზრდება.“

„თუკი გსურთ დროის ფუჭად დაკარგვა, გაფანტეთ შვრია და შემდეგ აკრიფეთ“ (დევისი, 1912-13, 260).

„Soyez réalistes, demandez l'impossible.“ — იყავი რეალისტი, მოითხოვე შეუძლებელი (საფრანგეთში 1968 წლის გაფიცვის დროს გაკეთებული წარწერა).

„Lisez moins, vivez plus“ — ნაკლები იკითხე, უფრო მეტს იცოცხლე (პარიზი, 1968 წ.)

6) პოლიტიკური შინაარსის წარწერები ნაკლებად არის თანამედროვე დასავლეთში, მაგრამ ხშირია ტოტალიტარული მმართველობის ქვეყნებში. არის მათი ნიმუშები პომპეის კედლებზეც. ისინი კონსტატივებს, ღირებულებებსა და კომისივებს წარმოადგენენ.

„მღებავები ითხოვენ პოსტუმუსს პროკლუსის არჩევას ედილად (წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად).“

„ვეზონიუსს პრიმუსი მოითხოვს გაიუს გავიუს რუფუსის დუუმვირად არჩევას, ეს ადამიანი საჯარო თანამდებობის ღირსია.“

„ვეზონიუსს პრიმუსი მოითხოვს გაიუს გავიუს რუფუსის დუუმვირად არჩევას, ეს ადამიანი ხალხის ინტერესებს მოემსახურება — გთხოვთ, აირჩიეთ ის, გეხვეწებით.“

„პრიმუსი და მისი ოჯახობა მუშაობს გნაეუს ჰელვიუს საბინუსის ედილად არჩევაზე.“

„ავირჩიოთ ლუციუს კეზერნინუსი ნუცერიის დუუმვირად ხუთი წლით, გემუდარებით, ის კარგი კაცია.“

„ტიბერიუს კლაუდიუს ვერუსის მეზობლები მოითხოვენ მის დუუმვირად არჩევას.“

„კამპანიანის გარეუბნის მაცხოვრებლები მარკუს ებილუს საბინუსის ედილად არჩევას ითხოვენ.“

„სუედიუს კლემენსის, ყველაზე სამართლიანი მოსამართლის, მეზობლების მოთხოვნით იგი მუშაობს მარკუს ედილუს საბინუსის, ღირსეული ახალგაზრდა კაცის, დუუმვირად არჩევაზე სასამართლო უფლებამოსილებით. იგი გეხვეწებათ მის არჩევას.“

„ქურდები ვატიას ედილად არჩევას ითხოვენ.“

„მსმელების კომპანია ვატიას უჭერს მხარს.“

ისინი, ვინც გვიან იღვიძებენ, ვატიას უჭერენ მხარს.“ ეს კი არის პომპეის კედლების ნანგრევებზე აღმოჩენილი პოლიტიკოსის კარიკატურა (ვიკიპედია).



„რუსთავი-2“ — დეზინფორმატორი“, „გადადექი“, „წადი“, „კმარა“, „ძირს ხუნტა“ (თბილისი).

„On achète ton bonheur. Vole-le.“ - ისინი თქვენს ბედნიერებას იპარავენ. დაიბრუნეთ იგი (პარიზი, 1968წ.)

„Pas de replâtrage, la structure est pourrie.“ - არანაირი შეცვლა, თვით სტრუქტურაა გარყვნილი (პარიზი, 1968წ.)

7) საკმაოდ ბევრია სასწავლო პროცესსა და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული წარწერები სასწავლო დაწესებულებების კედლებზე. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში გვხვდება, სადაც ასეთ შენობებს ნაკლები ყურადღება ექცევა და წლების განმავლობაში არ რემონტდება.

„დაგვტანჯა ამ გამოცდებმა“, „გვაწამებენ ეს ლექტორები“, „ხვალ განკითხვის დღეა“ და ა.შ. (თბილისი, თსუ მე-5 კორპუსი).

საინტერესოა, რომ ძველ ეგვიპტეში გაკეთებული იყო შემდეგი შინაარსის წარწერა: „მოდით გაკვეთილები გავაცდინოთ და ლუდი დავლიოთ“. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის ფსიქოლოგია ამდენი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა. ასეთი წარწერები კონსტანტივებსა და დირექტივებს წარმოადგენენ.

რატომ წერს და წერდა ადამიანი კედელზე? იმიტომ, რომ ფარულად მიემართა მთელი სამყაროსა და კონკრეტული ადრესატისათვის, გამოეხატა თავისი აზრი ყოველნაირი უკუთრეაქციისა და სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე, იმიტომ, რომ გაერთო საზოგადოება, იმიტომ რომ სხვაგვარად არ შეეძლო, იმიტომ, რომ არ ჰყავდა თანამოსაუბრე, იმიტომ, რომ არ ჰყოფნიდა თანამოსაუბრეები და სხვებს ეძებდა, იმიტომ, რომ უკვდავეყო საკუთარი თავი — დიახ, საკუთარ სახელს ტვიფრავდნენ რომშიც, ეგვიპტეშიც, დღესაც და ალბათ მუდამ დაწერენ მომავალშიც. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ეს თვითდამკვიდრების უმარტივესი გზაა.

ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში ცნობილია კარლ იუნგის მიერ შექმნილი ტერმინი კოლექტიური არაცნობიერი. ფროიდი არ ასხვავებდა „ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას“ და „კოლექტიურ ფსიქოლოგიას“. იუნგი კი განასხვავებდა კოლექტიურ არაცნობიერს პიროვნული არაცნობიერისაგან. კოლექტიურ არაცნობიერს უწოდებენ აგრეთვე „ჩვენი სახეობების მიერ დაგროვილი გამოცდილების რეზერვუარს“.

იუნგმა თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოყენებული ტერმინი „კოლექტიური არაცნობიერი“ შემდგომში შეცვალა ტერმინით „ობიექტიური ფსიქიკა“. იგი ობიექტურად ორი მიზეზის გამო მიიჩნევა: იგი საერთოა ყველასათვის და უფრო კარგად გრძნობს საკუთარ იდეალურ სახეს, ვიდრე ეგოს ან ცნობიერ მეს. „იგი ხელმძღვანელობს მეს და არქეტიპების, სიზმრებისა და ინტუიციის მეშვეობით გამიზნულად აშვებინებს პიროვნებას შეცდომებს“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კარლ იუნგის ფსიქოლოგიური არქეტიპების კონცეფცია. იუნგის მიხედვით, არქეტიპი არის თანდაყოლილი და უნივერსალური პროტოტიპები იდეებისათვის და შეიძლება გამოიყენებოდეს დაკვირვებების ინტერპრეტირებისათვის. არქეტიპთან ასოცირებული მოგონებებისა და ინტერპრეტაციების ჯგუფი არის კომპლექსი, მაგალითად, დედის კომპლექსი, რომელიც ასოცირებულია

დედის არქეტიპთან. იუნგი არქეტიპებს ფსიქოლოგიურ ორგანოებად განიხილავდა ფიზიკური ორგანოების ანალოგიურად; ორივე მათგანი წარმოადგენს მორფოლოგიურ კონსტრუქციას. იუნგი გამოყოფს ოთხ ძირითად არქეტიპს:

- საკუთარი მე, რომელიც არეგულირებს ცენტრსა და ინდივიდუალიზმს;
- ჩრდილოვანი, ეგოს ხატის საწინააღმდეგო არქეტიპი, რომელიც ხშირად ისეთ თვისებებს შეიცავს, რომლებსაც ეგო არ განსაზღვრავს, მაგრამ შეიცავს;
- ანიმა, მამაკაცის ფსიქიკაში არსებული ქალის ხატი;
- ანიმუს, ქალის ფსიქიკაში არსებული მამაკაცის ხატი;
- პერსონა, ანუ როგორ წარვდგებით სამყაროს წინაშე.

საერთოდ ითვლება, რომ არქეტიპების რიცხვი განუსაზღვრელია, მაგრამ იუნგი მაინც გამოყოფს ძირითად არქეტიპებს (იუნგი, 2001).

ფსიქოლოგი ტონი კრისპი თავის სტატიაში „შიშის არქეტიპი“ წერს, რომ ის ინსტინქტები, რომლებიც ადამიანს ინფორმაციას აწვდის და კულტურული ან პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც იღებს ადამიანი, არის უზარმაზარი გამოცდილების შედეგი. გადარჩენასთან დაკავშირებული ინსტინქტური ქცევა მილიონობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა. ჩვენ მიერ ცნობილ კულტურებში აღიარებული საპასუხო რეაქციებიც წარმოადგენს მილიონობით ხალხის მიერ მიღებულ გამოცდილებას. ორივე ამ წყაროს ავტორი არქეტიპულს უწოდებს. იგი გულისხმობს, რომ არც ერთი კონკრეტული გამოცდილება ან ინფორმაცია, ინსტინქტი თუ კულტურაში მიღებული საპასუხო რეაქცია არ რჩება „ალტრიცხველი“. ასეთი საპასუხო რეაქციები წარმოადგენენ იმ სინთეზს, რომელიც იქმნებოდა ათასეული თუ მილიონი წლის განმავლობაში.

არქეტიპული ქცევა, კრიპსის აზრით, არის სიტუაციებზე ათასობით ადამიანის რეაქციის სინთეზია. ასეთი არქეტიპები უფრო ადვილი დასანახია ხელოვნებაში, ლიტერატურაში ან ჯგუფურ პასუხებში იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენ წინაშე წარმოიშობა. მაგრამ ავტორი მიიჩნევს, რომ ძნელია დაყო ასეთი პასუხები წმინდა ინსტინქტურ, კულტურულ თუ პირად კატეგორიებად. რეაქცია ტკივილზე განსხვავებულია ინდივიდუუმებსა და კულტურებში — ტკივილის მიმართ მგრძობილობა განსხვავებული; ანუ ვერ ამბობენ, რომ საპასუხო რეაქცია ტკივილზე ინსტინქტურია. თუკი ინსტინქტურია

სწრაფად მოაშორო ხელი იმ საგანს, რომელიც გწვავს, მაშინ რეაქციაში ტკივილის მიმართ მაინც არსებობს კულტურული ელემენტი. როდესაც სიტუაციებზე ზოგად საპასუხო რეაქციებს განვიხილავთ, ყოველთვის აღმოჩნდება კონკრეტული მიზეზები, რომლებიც ქმნიან, მაგალითად, შიშს — ეს არის ფიზიკური ან ემოციური ტკივილი; და, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა უფრო კონკრეტული ფაქტორებიც. „სიკვდილის შიში შეიძლება იყოს განხილული არქეტიპულ პასუხად იმ გარემოებაზე, რომელიც ნამდვილად არ წარმოადგენს რეალურ სიკვდილს.“ იმავე ტიპის შიშად ავტორი მიიჩნევს პიროვნულობის დაკარგვის შიშსაც (იუნგი, 2001).

ჩემი აზრით, ასეთი არქეტიპულ (კოლექტიურ) პასუხად სიკვდილის შიშზე შეიძლება ჩაითვალოს საჯარო დაწესებულებებზე გაკეთებული წარწერები — იქნება ეს შენობის კედლები თუ არქიტექტურული ძეგლების ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საკუთარი სახელის ამოტვიფრვა, რომელიც ყველაზე გავრცელებული გრაფიტია — ვერბალური ტექსტია — ყველა დროის კულტურაში. ამას მოწმობს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ეპოქის მრავალრიცხოვანი მაგალითები. ეს წარმოადგენს კოლექტიურ არაცნობიერში არსებულ იმ არქეტიპულ პასუხს სხვადასხვა ტიპის შიშზე, რომელთა შორის უმთავრესია სიკვდილისა და პირადი „მე“-ს დაკარგვის შიში. ადამიანი ცდილობს ასე მაინც ეზიაროს მარადისობას.

ლიტერატურა

ვიკიპედია — ვიკიპედია, ინტერნეტ-ენციკლოპედია (Wikipedia, the free encyclopedia)

დეივისი, 1912-13 — ვილიამ სტერნს დეივისი, „ლექციები უძველესი ისტორიის შესახებ“ — William Stearns Davis, ed., *Readings in Ancient History: Illustrative Extracts from the Sources*, 2 Vols. (Boston: Allyn and Bacon, 1912-13), Vol. II: Rome and the West, pp. 260-290.

ბახი, ჰარმიში, 1979 — Bach, K. and R. M. Harnish (1979), *Linguistic Communication and Speech Acts*, Cambridge, Mass.: MIT Press.

იუნგი, 2001 — Карл Густав Юнг. Психологические типы. Перевод: София Лорие (под ред. В. Зеленского), Спб.: Азбука, 2001

კრისპი, 2005 — An A to Z Guide to Understanding Your Unconscious Mind, 2005.

ბერმანი, 2005 — რ. ბერმანი, უძველესი გრაფიტი პომპეიდან, 2005 წ.

NATIA NEMSADZE

GRAFFITO —VANDALISM OR SELF-AFFIRMATION

Summary

Verbal graffiti, traced back to times immemorial, have always been written on the walls of public buildings and monuments in most countries in every century. Graffiti might be divided into several groups according to their essence; each of them can be considered a completed text that expresses different types of attitude — different types of speech acts. From the psychological viewpoint verbal graffiti (especially first names) might be regarded as an archetype (collective) response to a fear of death and a fear to lose one's personality.

ნიკო ოთინაშვილი

ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები

ტოპონიმებს შეისწავლის ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, ხოლო ენათმეცნიერება ორი ასპექტით, პირველი — სტრუქტურული დახასიათება და მეორე — ეტიმოლოგიის ამოხსნა. მაგრამ ამათ გარდა მთავარია მკვლევარმა გაითვალისწინოს ტოპონიმის ადგილმდებარეობა წარსულში და თანამედროვე ეტაპზე. ჩაუკვირდეს აგებულიებასა და მნიშვნელობას, გვართა წარმომავლობას, რისი გათვალისწინებაც დადებით შედეგებს მოგვცემს მთელი რიგი ჰუმანიტარული დისციპლინების კვლევისას.

ქართველური ტოპონიმია ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და ქრონოლოგიური თვალსაზრისით უძველეს ფენას ქმნის. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ მოცემულია ქსნის ხეობის აღწერა, მთლიანად ქსნის საერისთაოს საზღვრებით. შრომას ასევე დართული აქვს სოფლების სია.

იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ მოცემულია სოფლების სია და მითითებულია, ესა თუ ის გეოგრაფიული პუნქტი დასახლებულია თუ არა.

დღევანდელი ქსნის ხეობა მხოლოდ მდინარის ორივე ნაპირით წარმოგვიდგება, ხოლო ისტორიულად მასში შედიოდა ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, პატარა ლიხვის ხეობები, გვერდისძირი და ქართლის მთელი რიგი სოფლები.

ტოპონიმთა ნაწილმა დინამიკაში გარკვეული ცვლილება განიცადა, ზოგმა ადგილი იცვალა, ზოგი კი საერთოდ გაქრა. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილის შრომებში დასახლებულია სოფელი წირქვალი, რომელიც წირქოლის ციხის ძირში, ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, დღეს კი სოფელი ციხის სამხრეთ-დასავლეთითაა და მას წირქოლი ეწოდება.

ორივე მეცნიერის სოფლების სიაში არ არის დასახლებული

ქსნის ხეობის სოფელი ახალდაბა, მაგრამ ტექსტში მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს.

1774 წლის „ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში“ დასახელებულია სოფელი ახალდაბა, სადაც ცხოვრობდნენ ბალხამიშვილი, ფოცხვერაშვილი და თინიკაშვილის გვარის ხალხი. უწინდელი ახალდაბა მდებარეობდა ქსნის მარცხენა მხარეს ქედზე, მაგრამ დღეს უკვე სახელი შეიცვალა, უმრავლესობა გვარებისა არის ბალაშვილი და სოფელს ბალაანი ეწოდება.

მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადია ჭურთულა, ხოლო ამ უკანასკნელის ასევე მარჯვენა შენაკადია ცხრაწყაროს წყალი. ამაზე ვახუშტი აღნიშნავს: „სად ერთვის ჭურთის წყალს ცხრაწყაროს წყალი, ამ წყალთა შუა არის ციხე წინკიბე, ამ ორთა ხევთა უწოდებენ ჭურთას“.

იოანე ბატონიშვილი ორივე ხეობაზე დასახელებს ოთხ სოფელს, მაგრამ მათ სახელებს არ გვაძლევს.

წლების წინ ჩაწერილი მასალების მიხედვით, რომელიც შედარებულ იქნა ზემოხსენებული სტატისტიკურ აღწერებთან, შეიძლება დავადგინოთ, რომ ჭურთის ხევზე ილურიძეები ცხოვრობდნენ წინკიბის ძირში, რომლებიც შემდგომ ბარის სოფლებში გადავიდნენ.

თვითონ ჭურთის სოფელი მდებარეობდა ქსნის მარჯვენა მხარეს, სადაც ცხოვრობდნენ ბუჯიაშვილები, ცეცხლაძეები, ზანგურაშვილები, ბერაშვილები. დორეულთკარი მდებარეობდა ქსნის მარცხენა მხარეს, სადაც ცხოვრობდნენ დორეულები, პაპუნაშვილები, ჩიტიშვილები.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილის შრომებში არ არის დასახელებული სოფელი კვერიათი, მაგრამ 1774 წლის „სტატისტიკაში“ მოცემულია, სადაც უცხოვრიათ პოვლეურებს, მაგრამ ისინი შემდგომ არსად არ არიან მოხსენებულნი. სოფელი მდებარეობდა ქსნის მარჯვენა ნაპირიდან აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაცილებით. ხალხური ეტიმოლოგიით, რომელიც სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, სოფლიდან ქსნის ნაპირებამდე თიხის მილები ყოფილა მიწაში ჩაფლული და მთიდან ბარად რძე ამ მილებით ჩამოჰქონდათ. იქ უხსენებელი ჩავარდნილა, რამდენიმე ოჯახი ამოწყვეტილა, დარჩენილები კი კახეთში გადასახლებულან.

1774 წლის „სტატისტიკაში“ დასახელებულია სოფელი ხოზოეთი ზემო წელზე ქარხობის ხეობაში, რომელიც შემდგომ ხანებში არც ერთ ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება. აქ უცხოვრიათ გარო-

ზაშვილებსა და გამხიტაშვილებს. სოფელი ქსნის მარჯვენა მხარეს ოთხი კილომეტრით იყო მოცილებული ბარს და მკაცრი ბუნების გამო მოსახლეობა სხვადასხვა სოფელში წავიდა საცხოვრებლად. ზემოხსენებული გვარების ჩამომავლებისაგან დავადგინეთ ნასოფლარის ლოკალიზაცია და ტოპონიმები. დღეს თავიანთ ნასოფლარს უწოდებენ ხოზოეთს.

სოფელი ძაბოეთითა ქარჩოხის ხეობაში სოფელ ქენქაანის აღმოსავლეთით მთაში მდებარეობდა და დღეს ნასოფლარია. აქ არის ციხე, რომელსაც კენჭი არ აქვს მომძვრალი. გადმოცემით მამაზე უკეთესი ციხე შვილს აუშენებია და მისთვის მკლავი მოუჭრიათ.

მდ. ქსნის ზემო წელზე „სტატისტიკის“ მიხედვით მდებარეობდა სოფელი თინიკაანთ კარი, სადაც ცხოვრობდნენ თინიკაშვილი, ბერის-შვილი, ირემაშვილი, დათუნაშვილი, თანდილაშვილი, ლოთეშვილი. ეს უკანასკნელი გვარი გამოეყო სოფელს და სოფლის სამხრეთით დასახლდა, გამრავლდნენ, მათ სოფელს ლოთიანი ეწოდებოდა. შემდგომ, გასული საუკუნის დასაწყისში ლოთიშვილები ქსნის მარჯვენა ნაპირიდან მარცხნივ გადავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ დღეს ორივეს — ნასოფლარსაც და სოფელსაც — ლოთიანი ეწოდება.

მდინარის აღმოსავლეთით, ლომისის ქედის დასავლეთის კალთაზე მდებარეობდა მთის სოფლები, რომელთა რიცხოვნობა მცირე იყო, მაგრამ მათში გვართა დასახლების მიხედვით მაინც სოფლებს უწოდებდნენ.

დღეს უკვე ნასოფლარებია გარაყანაანთ კარი, გარაყანიძეები ბარის სოფლებში გადასახლდნენ.

იგორაანი, ცხოვრობდნენ გვრიტიშვილები, გადასახლდნენ ბარად სოფელ იკოთში, სადაც მთის წესისამებრ ვენახები ჰქონდათ და იქ ააშენეს საცხოვრებელი სახლები.

ძებისაანი — ძებისაშვილები, ნასახლარებია, გადასახლდნენ კახეთში.

ლოლოშვილები — იგივე ლოლოიანი, გადასახლდნენ კახეთში.

აქ უამრავი ნასახლარია, რომელთა გამოვლენა, ლოკალიზაცია და გვართა აღნუსხვა ფრიად საშური საქმეა. აქვე ვიტყვით, რომ მთაში ულვეი რეზერვი იყო და ქსნის ხეობიდან ძირითადად ბარის დაცარიელებულ სოფლებში გაედინებოდა მოსახლეობა. ეს სოფლები ძირითადად იყო გორის ატენის ხეობა, ქსნის ერსთავთა კუთვნილი სოფლები გორის მიდამოებში ტირძნისი, კარალეთი, გარეჯვარი, ქიწ-

ნისი, დისევი, არბო, ჯარიაშენი, მეჯვრისხევი და სხვა.

ლიტერატურა

ბატონიშვილი, 1991 — ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია. II წიგნი. თბ. 1991 წ.

ბაგრატიონი, 1986 — იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა. თბ. 1986.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერა.

NIKO OTINASHVILI

The Toponyms Evidenced in Historical Sources

Summary

The toponyms in the Ksani valley have undergone certain changes. Some of them have been displaced, others have disappeared. The historical sources and the obtained empirical data help us to state the location of toponyms and family names, investigate their etymology. The results of the study might be useful for the analysis of certain historical facts, as well as, for the research in the field of historical linguistics.

IZABELLA PETRIASHVILI

The Role of Context and Vocabulary in Advertising

Advertising is a prominent discourse type in virtually all contemporary societies. Because of this prominence, advertising can tell us a good deal about our own society and our own psychology. The customers often require similar products with the same features and buy for the same reasons. Global products used throughout the world usually enable the advertisement or image to be used worldwide. However, ads are constrained by the need to fulfill the wishes of their clients/addressees. That is why global advertising creates cross-cultural problems. For instance, some advertising slogans do not travel well. They cause misunderstanding when translated into different languages.

The article deals with the study of Georgian advertisement catchphrases and slogans, mainly for pharmaceutical products and bank services, to compare them with existing studies of English advertisements by different linguists in order to state some common linguistic features.

“The use of a linguistic form identifies a range of meanings. When a form is used in a context it eliminates the meanings possible to that context other than those the form can signal: the context eliminates from consideration the meanings possible to the form other than those the context can support.” (Hymes, 1962, quoted in Wootton, 1975: 44).

It is assumed that if grammatical relations are comparatively simple, other, non-grammatical, levels of meaning tend to assume a more prominent role in the total functioning of language. In particular, it has long been held that contextual information has an exceptionally large part to play in the interpretation of disjunctive language. These meanings are determined by a conventional association of the linguistic message and the situation in which it appears. Let’s take an advertisement for a 17% Deposits’ Campaign by the **People’s Bank: 17 years since independence**. What a non-Georgian addressee will learn from this phrase is that his deposit will bring him 17 per cent a year, while the phrase – 17 years since independence – will remain

vague or will be interpreted as 17 years since the Bank’s independence, which would sound rather strange. On the other hand, to a Georgian customer this phrase will definitely mean ‘17 years since Georgia’s independence’. That is why in an English-language Georgian newspaper “The Financial” the same advertisement appeared with a different catchphrase: **17th anniversary of Georgia’s independence**. This is a matter of the principle of ‘local interpretation’. According to Brown and Yule (Brown G., Yule G. 1983), the principle of ‘local’ interpretation instructs the hearer not to construct a context any larger than he needs to arrive at an interpretation.

Another example: an insurance company: **IC group – I see. რასაც დააზღვევ, შენია.**

The name of the company is formed by the abbreviation of **Insurance Company**, which, for a foreigner rhymes with **I See**. For the Georgian reader this may not carry any significant meaning. In contrast to this, the catchphrase, which is literally translated as “Whatever you insure is yours”, immediately brings to the mind of a Georgian reader the ending of the phrase “and whatever you don’t (insure) is lost”. The phrase alludes to the lines from a famous Georgian epos “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli, The great Georgian poet of the 12th century, the lines which people remember by heart: “That which we give makes us richer,

That which is hoarded is lost”

(this is a poetic translation). The literal translation of this phrase sounds like this: Whatever you give is yours, and whatever you don’t – is lost.

Thus, by association, a Georgian reader with his knowledge of the world and the principle of local interpretation gets more information from this phrase than any other non-Georgian reader. And the purpose of the above advertisement is to make the hearer/reader remember the message transferred through this phrase. It is the hearer’s ability to utilise his knowledge of the world and his past experience of similar events in interpreting the language which he encounters. It is his knowledge of the world which constrains his local interpretation.

Perhaps contrary to the above example is an ad for Espresso Loans from Bank Republic, in which though globally acknowledge brand name **Espresso** is used, the advertisers found it necessary to explain the meaning of this comparison to the Georgian customer:

სესხი მსპრესო

გასული საუკუნის დასაწყისში იტალიაში გამოიგონეს ყავის დამზადების ყველაზე სწრაფი მეთოდი **ესპრესო**

დღეს ჩვენ შეგვიძინა თქვენი მიზნებისა და სურვილების დაფინანსების ყველაზე სწრაფი მეთოდი სესხი **ესპრესო**

Loan ESPRESSO

At the beginning of the last century **espresso** – the fastest method of making coffee – was invented.

Today we have created the fastest method of financing your goals and wishes – loan **Espresso**

As is known, Hymes (Hymes D. H. 1964) views the role of context in interpretation as, on the one hand, limiting the range of possible interpretations and, on the other, as supporting the intended interpretation. Generalising over speech events, he abstracts the roles **addressor** and **addressee/audience, topic, setting, channel, code, message-form** and **event**. Later Hymes adds other features, such as **key** and **purpose** (Brown G., Yule G. 1983).

Hymes suggests, that the analyst may choose from the contextual features, those necessary to characterize a particular communicative event (an advertisement in our case). Hymes' features constitute a checklist to check off the detail of the nature of the communicative event. A problem for the analyst must be to decide when a particular feature is relevant to the specification of a particular context and what degree of specification is required. For the proper interpretation of the context of advertisements the addressor is not relevant; as for the role of audience it is important for the advertisers to get their message through correctly, rather than for the audience itself. What matters for the analysis of advertisements is the **topic**, which directs, and, at the same time, constrains the audience's comprehension, as is the case with Bank advertisements: almost all the selected material has the word **'Bank'** in the name of the company. e.g. **TBC Bank, Bank of Georgia, People's Bank, VTB Bank Georgia, Bank Republic, TaoPrivatBank, Standard Bank, Basis Bank, ProCredit Bank.**

Language has a powerful influence over people and their behaviour. This is especially true in the fields of marketing and advertising. The choice of language to convey specific messages with the intention of influencing people is vitally important.

In their study P. Sells and S. Gonzalez pose the questions whether the

advertising language is normal language and whether it sometimes breaks the rules of normal language. In their opinion (and I totally agree with it) if you collect some text from advertisements you cannot find any examples of words, phrases or constructions that are truly different from the various varieties that you encounter on a regular basis. It may be what creative possibilities your language allows, rather than how much advertising goes beyond the boundaries of that language (Sells P., Gonzalez S.).

The language of advertising is, of course, normally very positive and emphasizes why one product stands out in comparison with another. Advertising language may not always be "correct" language in the normal sense. For example, comparatives are often used when no real comparison is made.

e.g. **ახალი საკრედიტო ბარათი TBC Card – მეტი თავისუფლება TBC Card – More Freedom!**

Or: **09:00 – 20:00 მეტი დრო ურთიერთობისთვის. More Time for Relationships.**

The question is 'more than what?', though the message is clear because we employ Hymes's contextual constraints in its interpretation. According to Grey (Grey D.S., 2008), such open comparatives and bogus superlatives, alongside with such words as traditional, enriched, fresh, organic, tested, guaranteed, likes, helps etc. make up the so called **weasel words** which suggest a meaning without actually being specific. e.g. **ალგასანი – ნატურალური პროდუქცია ალპებიდან. Algasan – Natural product from the Alps.**

The vocabulary of Georgian advertisements is characterized by all the peculiarities typical of the global advertising, such as frequent use of **adjectives** and **adverbs** (e.g. ძლიერი! სწრაფი! უსაფრთხო!), a limited range of **evaluative adjectives**, like new, clean, white, real, fresh, right, natural, big, great, improved etc. which can also be attributed to weasel words; **long noun phrases, familiar language, simple and colloquial language, neologisms**, e.g. Cookability, Tangoed, Wonderfuel, **მეგობრათი** (made up by merging two words: 'მეგობარი – a friend', and 'ბარათი' – a card), **hyperbole/ glamorization** (e.g. ექსტრა-კლასის ზეითუნის ზეთზე დამზადებული სამკურნალო კოსმეტიკა; **euphemisms** (when commenting on 'unpleasant things'), **repetition, alliteration, rhyme, rhythm, syntactic parallelism, association/**

comparison (simile), humour – the latter can be verbal or visual, but aims to show the product positively. e.g. Scratch and Win! for the lottery (The ad shows a little boy on the beach, next to a pile of dollars, scratching his bottom), in which the two meanings of the verb scratch – 1. to rub your skin with your nails because it feels uncomfortable, and, 2. to remove something from a surface by rubbing – are simultaneously realized. We have the similar phrase for a lottery card: გადაფხიკე და მოიგე! which is just informative, without any humorous effect, because we have two different words in Georgian for ‘scratch’ – ‘გადაფხიკე’ and ‘მოიფხანე’.

Vocabulary is strongly linked to particular types of product. In our case there was a lot of topical vocabulary, e.g. associated with a) pharmaceuticals: healthy, natural, curing, protect, relieve, etc. and b) banking: micro/agro/hypothecary (loans), plastic (cards) etc. But whatever its particular slant vocabulary is always richly suggestive and descriptive. There are, also, many favourite words, suitable for any kind of advertisement, which come in for a tremendous amount of use. These often refer to basically desirable attributes, such as, new, fresh, clean, wonderful, crisp, big, safe, and so on, and also to activities the advertiser desires to promote: come, look, choose, etc. Generally speaking, ‘unpleasant’ or ‘negative’ words are conspicuously absent.

The analysis of the vocabulary in Georgian advertisements revealed almost the similar results in respect of the features listed above. This is one aspect of what can be regarded as a global code in the language of advertising. For instance, when I compared the most common adjectives and verbs used in the English ads (listed in order of frequency) to the adjectives and verbs used in Georgian ads, the difference was not very big. However, there could be traced some culture-specific features in the use of adjectives: e.g. the reason for frequent use of reliable, safe, modern, western, economical, free etc. in respect of banking services should be sought in the social background of our near past when, in the transition economy, there were a lot of cases of fraud in banks and the were to regain the people’s trust to banks. Besides, the use of modern and western, as well as of adjectives like economical, free indicate that these advertisements are designed for developing countries. Moreover, the abundant use of the hyperbolized vocabulary, like extra-class, unique, gold standard, maximum, the first, for the first time in Georgia (the latter has become like a cliché since Rose

revolution in Georgia) can be considered as a socially and culturally derived local code.

Certain linguistically ‘decorative’ effects are also common, ranging from the alliteration, and repetition of words, to the little rhymes spoken or sung on television. e.g. an ad for a dental gel “Holisal”: “რომ ჩააქროთ ღრძილზე ალი, მოიხმარეთ **ჰოლისალი**”.

Puns are very frequent in advertisements, and some of them are really witty and humorous (like “Scratch and Win”). I remember several years ago there was an ad for a drug for haemorrhoid, showing mother, father and baby elephants going away. The picture was taken from the back, and the caption read: უკან მორჩენილი პრობლემები, which can be translated and interpreted as ‘Problems left **behind**’, and ‘problems at the **back** cured/healed’. This can also be regarded as a kind of euphemism in terms of softening unpleasant feelings.

Another example is an ad for paint: ყველა ფერი თქვენთვის! Every **colour** for you! When read it sounds as well as ‘Everything for you’ (ყველაფერი = everything). Here we have pun and hyperbole/exaggeration, though everything can be regarded as a weasel word.

In my analysis I mostly focused on slogans and catchphrases most of which become associated with the product e.g. ‘Always Coca-Cola’, which is translated into Georgian as მუდამ კოკა-კოლა, though the word always corresponds to Georgian *ყოველთვის*, while *მუდამ* means forever. In this case this little change in meaning is justifiable in order to retain the rhythmical pattern of the catchphrase. The results of the analysis proved that nearly all features characteristic to the language of advertising are present in the slogans and catchphrases.

Bibliography:

1. Brown G., Yule G. Discourse Analysis CUP, 1983
2. Cook G. The Discourse of Advertising. Routledge. 2001
3. David L., Westmoreland L. "Language of Advertising" class project: Be Afraid... Be Very Afraid: Fear/Problem Magazine Advertisements. 2002.

4. Davy D. Advanced English Course. Linguaphone Institute Ltd. London.1976
5. Grey D. S., 2008. Language In Use [online]. Cambridge, UK. <http://www.putlearningfirst.com/language/...> [05.06. 2008]
6. Hymes D. H. , ed. Language in Culture and Society, A Reader in Linguistics and Anthropology. New York: Harper&Row, 1964
7. Pillar I. 10. Advertising as a Site of Language Contact. Annual Review of Applied Linguistics, 23: 170-183 Cambridge University Press. 2003
8. Sells P, Gonzalez S. The Language of advertising <http://www.stanford.edu/class/linguist34/index.htm>

მანანა რუსიშვილი, მარიამ ჯაბურია

იუმორის ვერბალური გამოხატვის რამდენიმე ლინგვისტური ხარხის უმსახეობა

(ინგლისური მოკლე ხუმრობის (one-liner) მასალაზე)

იზაბელა კატრიაშვილი

კონტექსტისა და ვოკაბულარის როლი რეკლამაში

სტატია ეხება რეკლამის ენის შესწავლას; აგრეთვე, კონტექსტისა და ვოკაბულარის მნიშვნელობას რეკლამის „მესიჯის“ ინტერპრეტაციისას. საკვლევად აღებულია ქართული სარეკლამო სლოგანები და გამოთქმები, ძირითადად ფარმაცევტული პროდუქტებისა და საბანკო მომსახურების შესახებ. მონაცემები გაანალიზებულია სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატიკული კუთხით დ. ჰაიმის კონტექსტუალური შეზღუდვების გათვალისწინებით მათი საერთო ლინგვისტური მახასიათებლების დადგენის მიზნით.

იუმორისა და ხუმრობისადმი ინტერესი საუკუნეებს ითვლის. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ამ ფენომენის ძირითად ნიშან-თვისებად მიიჩნევენ შეუთავსებლობას თქმულსა და ნაგულისხმევს შორის, ანუ სხვა სიტყვებით, მის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ დონეებს შორის. თომას შულცი (შულცი, 1976, 11–36), რომელსაც ეკუთვნის იუმორის აღქმის სპეციფიკის შესწავლის ერთ-ერთი წარმატებული ცდა, შეუთავსებლობას ამ ორ პლანს შორის უწოდებს კონფლიქტს მოსალოდნელსა და რეალობას შორის (**a conflict between what is expected and what actually occurs in jokes**). ავტორი იქვე სამართლიანად დასძენს, რომ სწორედ ამგვარი შეუთავსებლობის სწორი დეკოდირება წარმოადგენს ანეკდოტის აღქმის გასაღებს. არტურ კოსტლერს (კოსტლერი, 1989) ანეკდოტის პლანების შეუთავსებლობის აღსანიშნად შემოაქვს ტერმინი *ბისოციაცია* (**bisociation**). მისი აზრით, ანეკდოტის აღქმის სირთულეს ქმნის ამ მცირე ფორმაში ორი პარალელური, განსხვავებულ განზომილებაში მოთავსებული რეფერენციული ჩარჩოს თანაარსებობა, რომელიც თანადროულად ორ ასოციაციურ (ანუ, ავტორის თქმით, *ბისოციაციურ*) კონტექსტთან არის დაკავშირებული. ანეკდოტის სემანტიკური სტრუქტურის კოსტლერისეულმა განმარტებამ ბიძგი მისცა იუმორის სემიოტიკური თეორიების განვითარებას. კერძოდ, ვიქტორ რასკინი (რასკინი, 1985) ქმნის იუმორის სკრიპტების მწყობრ ლინგვისტურ თეორიას, რომელშიც გარდა იმისა, რომ აზუსტებს კოსტლერის გარკვეულწილად ბუნდოვან ტერმინოლოგიას, იუმორის აღქმისა და ახსნის ახლებურ ხედვასაც გვთავაზობს.

რასკინი სკრიპტს განმარტავს, როგორც ენის მატარებლის ცნო-

ბიერებაში არსებულ კოგნიტიურ სტრუქტურას, სემანტიკური ინფორმაციის დიდ მონაკვეთს, რომელიც ასოცირდება სიტყვასთან და რომელიც წარმოადგენს ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებულ სამყაროს მცირე ნაწილს, ცოდნას სამყაროს სტანდარტული პროცედურებისა და სიტუაციების შესახებ. (რასკინი, 1985, 81)

ამ თეორიის მიხედვით, ხუმრობა (ანეკდოტი) ისეთი ტექსტია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას: ა) იგი ნაწილობრივ ან სრულად შეესაბამება ორ განსხვავებულ სკრიპტს, ბ) ორივე სკრიპტი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია, თუმცა, ამავდროს, მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, იუმორისა და კერძოდ, ანეკდოტის აღქმა შემდეგ სტადიებს მოიცავს: ანეკდოტის მოსმენის დროს მსმენელი უპირველესად მისთვის ნაცნობ, არამარკირებულ სკრიპტს „მოარგებს“ ანეკდოტს. როდესაც თხრობა მიუახლოვდება გადართვის წერტილს, მსმენელი მეყსეულად იწყებს სკრიპტების გადაღვებას, რაც მთავრდება ახალი, რელევანტური, მარკირებული სკრიპტის მორგებითა და ხუმრობის (ანეკდოტის) სწორი დეკოდირებით. ცხადია, ანეკდოტის სწორი დეკოდირებისათვის, გარდა იუმორის გრძნობისა, საჭიროა მსმენელისა და მთხრობელისათვის საერთო ფონური ცოდნის გარკვეული მარაგი და განწყობა.*

სტატიის მიზანია ხუმრობის „გადართვის წერტილების“ ლინგვისტური გამოხატულების აღნუსხვა და ანალიზი, ანუ იმის გასინჯვა, რა ქმნის იუმორის ვერბალურ საფუძველს და როგორ ხდება ორი თანადროულად არსებული სკრიპტის დაკავშირება მსმენელის ცნობიერებაში.

კვლევის მასალად აღებულია 150 ინგლისური ერთხაზიანი მოკლე ხუმრობა (one-liner), რომელიც, რასკინის თეორიის მიხედვით, შეიძლება ანეკდოტის ნაირსახეობად ჩაითვალოს, რადგანაც მისი სემანტიკური სტრუქტურა ხასიათდება ორი მსგავსი თუმცა ურთიერთდაპირისპირებული სკრიპტის თანაარსებობით.

მოკლე ხუმრობა თემატურად განსხვავებულია. ინგლისურ ენაში იგი მოიცავს მრავალ თემატურ ჯგუფს: ოჯახს, ქორწინებას, გენდერულ კონფლიქტებსა და დაპირისპირებას, ეთნიკურ სტერეოტიპებსა და ა.შ.

* საინტერესოა იუმორის აღქმის რელევანტური თეორიის თვალსაზრისით ახსნა, რომელსაც ამ სტატიაში არ შევხებით.

მასალამ გამოავლინა „გადართვის წერტილის“ ვერბალური გამოხატვის რამდენიმე ძირითადი სახე, რომელიც დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა ჩვენ მიერ საანალიზოდ არჩეულ მასალაში. (I სახე (ა) — 25%, II სახე (ბ) — 29%, III სახე (გ) — 25%, IV სახე (დ) — 22%). ესენია:

ა) ენის მატარებლისათვის ცნობილი ფრაზის, გამოთქმისა თუ ანდაზის განსხვავებული სკრიპტით დასრულება:

-What's the quickest way to the man's heart? ***Straight through the ribcage***

ამ შემთხვევაში ინგლისური კულტურისათვის ცნობილი გამოთქმის — *უმოკლესი გზა მამაკაცის გულისაკენ მის კუჭზე გადის* — არამარკირებული, მოსალოდნელი დასასრული იქნებოდა ***through his stomach***. ხუმრობაში კი აქტუალიზდება მარკირებული სკრიპტი, ***straight through the ribcage*** (ნეკნების გავლით), რაც ქმნის იუმორის ეფექტს.

Where's there is a smoke there's ***dinner***

(ამ ანდაზის არამარკირებული სკრიპტი იქნებოდა **Where's there is a smoke there's *a fire***).

ბ) პოლისემანტური სიტყვის ორი პირდაპირი მნიშვნელობის თანადროული აქტუალიზაცია:

When do women care about a man's ***company***? When he owns it.

ამ შემთხვევაში იუმორის ეფექტს ქმნის სიტყვის ***company*** ორი მნიშვნელობის- ***საზოგადოება*** და ***საწარმო*** — თანადროული აქტუალიზაცია, რასაც მოსდევს ამ ორ მნიშვნელობასთან დაკავშირებული ორი სკრიპტის ურთიერთჩანაცვლება.

I like ***kids***, but I don't think I could eat a whole one

ამ ხუმრობაშიც იუმორის ეფექტს ქმნის სიტყვის ***kid*** ორი მნიშვნელობის — თიკანი და ბავშვი — თანადროული აქტუალიზაცია. თითოეული მათგანი ხასიათდება საკუთარი სკრიპტით, რომელთა ურთიერთჩანაცვლება ხდება კონტექსტში.

გ) პოლისემანტური სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის თანადროული აქტუალიზაცია:

Adam was the only man not to have a mother -in-law and he lived in ***paradise***.

ამ შემთხვევაში ერთდროულად აქტუალიზდება სიტყვის ***paradise*** პირდაპირი მნიშვნელობა ***სამოთხე*** და მისი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა ***უზრუნველად ცხოვრება***. გარდა ამისა, აქვე აქ-

ტუალიზდება ენის მატარებლის ცნობიერებაში დალექილი სკრიპტი სიდერისა და სიძის ურთიერთობის შესახებ.

Two cannibals are eating a clown. One says to the other: Does this taste funny to you?

ამ შემთხვევაში სიტყვის *funny* ორი მნიშვნელობა **სასაცილო** და **უცნაური** თანადროულად უკავშირდება წინა წინადადებაში არსებულ თემატურად მსგავს სიტყვას *clown* (კლოუნი), რომელიც განსხვავებული სკრიპტის შემადგენელი ნაწილია.

დ) ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებული რაიმე კულტურული სკრიპტის გაცოცხლება:

My doctor told me I should avoid any unnecessary excitement. So I started supporting Arsenal (*ექიმმა მითხრა ფუჭ ალელვებას მოერიდეთ, ამიტომ ახლა „არსენალს“ ვგულშემატკივრობ*). ამ მიმართებით საინტერესოა რამდენიმე წლის წინ ტელევიზიით გადაცემული ხუმრობის-თუ გინდათ გაიგოთ გამარჯვების გემო, ეთამაშეთ საქართველოს ნაკრებს — მოხმობა, რომელიც მსგავს კულტუროლოგიურ ფაქტს ეხმარება).

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში აღწერილი მასალა არ ამოწურავს კვლევის ობიექტის, ერთხაზიანი ხუმრობის, ყველა ლინგვისტურ-ვერბალურ გამოვლინებას, იგი მაინც გვარწმუნებს, რომ ერთხაზიანი ხუმრობა კვლევის საინტერესო მასალას წარმოადგენს როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

ლიტერატურა

კოსტლერი, 1989 — Koestler, Arthur 1989 [1964] *The Act of Creation* (Harmondsworth, U.K.: Penguin).

რასკინი, 1985 — Raskin, Victor. 1985 *Semantic Mechanisms of Humor* (Dordrecht: Reidel); Rimmon-Kenan.

შულცი, 1976 — Shultz, Thomas R. 1976 “A Cognitive-Developmental Analysis of Humor,” in *Humor and Laughter: Theory, Research, and Applications*, edited by Antony J. Chapman and Hugh C. Foot, (New York: Wiley).

Man Walks into a Bar, The ultimate collection of jokes and one-liners, compiled by Stephen Arnott and Mike Haskins, Ebury Press, London, 2004

MANANA RUSIESHVILI, MARIAM KEBURIA

Towards Several Linguistic Means of the Verbal Expression of Humour (On the material of English one-liners)

Summary

The paper explores the linguistic means of verbal expression of English one-liners. Major theories delving into the problems of incongruity, resolution and processing of humour (jokes), such as Schultz (1976), Koestler (1964, 1985) and Ruskin (1985) are analysed critically. Based on the empirical data of 150 English one-liners the following means of verbal expression of humour are distinguished:

a) simultaneous actualisation of two incompatible scripts in a fixed metaphoric expression, idiom or proverb; b) simultaneous actualisation of two literal meanings of a polysemantic word; c) simultaneous actualisation of a literal and metaphoric meanings of one and the same polysemantic word, d) allusion to a cultural script well-known for a language user.

As mentioned above, the study explores 150 English one-liners. The results reveal that all the above-mentioned linguistic means of verbal expression of humour are characterised with similar frequency.

გეგმა სალნიანი

ფლორის აღმნიშვნელი ნასესხები
კომპოზიტივისათვის სვანურში
 (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

სვანური ენის კომპოზიტიური სიტყვაწარმოება არაერთხელ ყოფილა ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის საგანი. ცალკეულ ნაშრომებში აღწერილია კომპოზიტთა ძირითადი ტიპები და გამოვლენილია შესაბამისი სიტყვაწარმოებითი კანონზომიერებანი.

კომპოზიტთა სახეობა, შედგენილობა, შეერთების საშუალება, მეტყველების ნაწილები და მნიშვნელობა ძირითადად ისეთივეა სვანურში, როგორც ქართულში, ოღონდ ზოგი სახის წარმოება ნაკლებ პროდუქტიულია ან სულ არა გვაქვს (თოფურია 1979, 288).

ამჯერად განვიხილავთ ქართულიდან და მეგრულიდან სვანურში შემოსულ მცენარეთა აღმნიშვნელ რამდენიმე რთული შედგენილობის კომპოზიტს.

ძირითადად ვემყარებით ა. ონიანის მიერ ჯერ კიდევ 1917 წელს პეტროგრადში გამოცემულ სვანურ ტექსტებს **მეგმარეშ ი ბალხარე უახნლე ხორაჰ** — ხეებისა და ბალახების სახელების კრებული, ამასთანავე, გამოყენებულია სვანური სალექსიკონო (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, კ. დონდუა, ა. ლიპარტელიანი, ბ. ნიჟარაძე) და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები.

ცნობილია, რომ ახალი სიტყვის შესადგენად, ჩვეულებრივ, ძირეულ სიტყვებთან ერთად მიმართავენ ნასესხებ სიტყვებსაც. სვანურში აღმოჩნდა ბევრი ისეთი კომპოზიტი, რომელიც მეტწილად ქართული ენიდანაა შეთვისებული, თუმცა დაიძებნა სვანური ენიდან (კერძოდ, მეგრულიდან) ნასესხები კომპოზიტებიც. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ნასესხებ კომპოზიტთა მცირე ნაწილი უცვლელად არის შემოსული სხვა ქართველური ენებიდან, ნაწილი კი დამორჩილებულია სვანურის ფონეტიკურ კანონზომიერებებს.

1. ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა მცირე ჯგუფში თითქმის არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ შეინიშნება:

სამყურა (ბქ.) „იონჯა“ < ქართ. სამ-ყურ-ა (ბალახი), შდრ. ბქ. **პერ-პილ/პირპილ**.

სამყურა ლექსე ლაროლისგა ანლრი (ბქ.) — სამყურა სათიბ მი-ნდვრებში („სათიბებში“) მოდის.

ძელქუა (ლშხ.) < ქართ. ძელ-ქვა „ლეკა, აკაკი“ (შდრ. მეგრ. ძერქვა).

ძელქუა მეშხე მეგემ ლი (ლშხ., ონიანი 1917, 36) — ძელქვა შავი ხეა.

2. ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა გარკვეულ ჯგუფში დასტურდება სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებები. უპირველეს ყოვლისა, ხდება აუსლაუტის გამარტივება (ე. ი. ადგილი აქვს ღია-მარცვლიანი სტრუქტურების მიდრეკილებას დახურულმარცვლიანობისაკენ).

ა) ძალიან ხშირად გვხვდება -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ფუძეები:

გეგოშალუარ (ლშხ.)/**გეგოშალუარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა).

გეგოშალუარ ... ნიტრნ მაჯონ ჭრელ ბალახ ლი (ლშხ., ონიანი 1917, 7) — *გუგულის შარვალა ნივრის მსგავსი ჭრელი ბალახია.

კაცისთაუ (ბქ.) < ქართ. კაც-ის-თავ-ა „საშემოდგომო მსხვილი მსხალი“; შდრ. (ლენხ., რაჭ., იმერ.) კაცთავა/კაცი¹სთავა, (ოკრიბ.) კაცისთავა; კაცითაუაი (შ. ფუტყარაძე) (შდრ. ბქ. **გუბა**).

კაცისთაუ მარემ თხუმშალ მეგრე უციხ ლი (ბქ.) — კაცისთავა ადამიანის („კაცის“) თავივით მსხვილი მსხალია.

მიწაუაშ (ბქ.)/**მიწაუაშ** (ლშხ., ჩოლ.)/**მიწაუაშ** (უმგ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ უისგ**.

მიწაუაშ ს¹ ქართოფილშალ ძირალ ხარ ი იზბიხ უჯბა-უტყბად (ლშხ., ონიანი 1917, 15) — მიწაუაშლას კარტოფილივით ძირები აქვს და უმად („უხარშავ-უწავად“) ჭამენ.

სამყურ (ქს.) „იონჯა“ < ქართ. სამ-ყურ-ა (ბალახი), შდრ. ბქ. **პერ-პილ/პირპილ**.

სამყურ ლექსემა ლარელისა ხოხალ (ლშხ., ონიანი 1917, 25) — სამყურა სათიბებში იცის („სათიბ სათიბებში იცის“).

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიმი“ < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“.

ტრედიფერ კუახნესუ ლი ხოჩა გემაშ ლეზობდ (ლშხ., ონიანი 1917, 28) — მტრედისფერა კვახია („**კვახ-ნესგ-ი-ა**“) საჭმელად ძალიან გემრიელი („კარგი **გემ-ო-სი** საჭმელად“).

უაციწუერ (ლშხ.) < ქართ. (ზმ. რაჭ., ფშ.) ვაც-ი-წვერ-ა „ძიგვა,

ფამფარა“ (შდრ. სვან. **ჭაფხუირ**).

არაკდ არი, ერე მეთხუდარას ლოქ ე **ჟაციწუერ** მო ხეთხოლდეს ლადღურდ კოჯარქა, ლო ლოქ ლითხუდარს დეშერ იჩმენი (ლშხ., ონიანი, 1917, 3-4) — ნათქვამია („არაკ-ად არის“), მონადირეებს ხელის მოსაკიდებლად კლდეებზე ვაციწვერა რომ არ ხვდებოდეთ („მოეპოვებოდეთ“), („მერეო“) ვერავინ ვერ ინადირებსო.

ქათნაცერ (ლშხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (შდრ. ბქ. **მესგულა**).

ქათნაცერ **ნ** ... კვლთხი კელ ხარ ქანშულ ი გიმბაშშულ კაკლარს ივდე ... (ლშხ., ონიანი, 1917, 29) — ნაცარქათამას მაღალი ღერო აქვს კანაფივით და კანაფის თესლივით მარცვლები გამოაქვს.

აღნიშნული კომპოზიტი ქვემოსვანურში იმერულიდან ჩანს ნასესხები. ზემოსვანურ დიალექტებში კი ქართული ნაცარქათამას გამოსახვა ტავად საკუთრივ სვანური ლექსემა (**მესგულა**) დასტურდება.

როგორც ცნობილია, „ნასესხები მასალა სვანურში შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენიდან, არამედ დიალექტებიდანაც (შდრ. ბზ. **ჩაბანულ** „მარცვლეულის საწყაო“ < მესხ. ჩანალ-ი < სალიტ. ქართ. ჩანახ-ი < თურქ. **čanak** „თიხის ჭურჭელი“). ამ მხრივ განსაკუთრებით შეიმჩნევა ქართული ენის დასავლურ კილო-თქმათა მონაცემების სიმრავლე. სხვაობა თვით სვანური ენის დიალექტების შიგნითაც: ლაშხურსა და ლენტეხურში ვაცილებით მეტია ქართული ნასესხობანი, ვიდრე ბალსზემოურ დიალექტში, ხოლო ბალსქვემოურში უფრო ჭარბობს მეგრული ლექსიკა“ (საღლიანი, 2004-2005, 150).

წიმწარ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ/ძინწარ** (ლშხ.) < ქართ. ძირ-მწარ-ა/ე, (იმერ., მესხ.) ძიმ-წარ-ა „ერთგვარი ბალახი“.

ძინწარ **ი** ... ძირს შდიქრე მაზიგი ჟავდ ივმარის (ლშხ., ონიანი, 1917, 36) — ძირმწარას ფესვს („ძირ-ს“) კბილის ტკივილის წამლად იყენებენ („ხმარობენ“).

წიმწარ მგლნი ბალახ ლი მწუარ ი ამშა ძირს შდიქრე მაზიგი ჟავდარდ ივმარის (ლშხ., ონიანი, 1917, 37) — ძირმწარა მეტისმეტად მწარე ბალახია და ამის ფესვს (**ძირ-ს**) კბილის ტკივილის წამლად იყენებენ.

გარდა იმისა, რომ საანალიზო კომპოზიტში -ა ხმოვანია მოკვეცილი, მომხდარია სხვა სახის ცვლილებებიც, კერძოდ: პირველ რიგში აღგილი აქვს ასიმილაციის პროცესს (ქართ. **ძწ** > სვან. **წწ**), ამასთანავე შეინიშნება ლაშხურ დიალექტში **მ/ნ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა და **რ** თანხმოვნის დაკარგვა სვანური ენის ყველა დიალექტში. ზე-

მოსვანური და ლენტეხური ფორმის (**წიმწარ**) აუსლაუტში გამოვლენილი უმლაუტიანი ხმოვანი გამოწვეულია ქართული სუფიქსისეული ე ხმოვნის გავლენით (**ა+ე**).

შენიშ.: რადგანაც სულხან-საბასთან დასტურდება „ძიმწარე“ ფორმა, ამიტომ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ იქნებ, სწორედ, **ძიმწარე** ისესხა სვანურმა ქართულიდან **რ** თანხმოვნის გარეშე.

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: (ზს., ლნტ.) **წიმწარ** < **ძიმწარ** < **ძირმწარ** < **ძირმწარე**. თუკი სვანური ლექსემა ქართული **ძირმწარა** ფორმისგან მივიღეთ, მაშინ ა'ს უმლაუტი ნამდვილად მოულოდნელი იქნება, ვინაიდან „უმლაუტის ეს სახე (ე. ი. მოულოდნელი უმლაუტი) არ ემორჩილება სვანური უმლაუტებისათვის დღემდე დადგენილ რაიმე კანონზომიერებას“ (საღლიანი, 2005, 74). მ. ქალდანის აზრით, ა'ს უმლაუტი ამგვარ ფორმებში (შდრ. სვან. **ბარწ** < ქართ. ბარაქა, სვან. **ბეგარ** < ქართ. ბეგარა, სვან. **დვფ** < ქართ. დაფა, სვან. **ქანდარ** < ქართ. ქანდარა და ა. შ.) არ არის გამოწვეული რომელიმე მომდევნო ვიწრო ხმოვნის ზეგავლენით (ქალდანის, 1959, 218).

ხარზილ/ვარზილ (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ვარძილ** (ლშხ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.)/**ხარძილ** (ჩოლ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ხარძილ ბალახ ლი დამბალრლ (ლშხ., ონიანი, 1917, 40) — ხარისძირა დაბალი ბალახია.

ხარძირ ქოლბდ ვედნი ი ამშა ძირს ... ივმარის (ლშხ., ონიანი, 1917, 40) — ხარისძირა ბუჩქად ამოდის და ამის ფესვს („ძირ-ს“) ხმარობენ.

სვანურ ფუძეებში, პირველ რიგში, ხელშესახებია სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობა (სვან. **ლ**: ქართ. **რ**), ამასთანავე, ადგილი აქვს ღეზაფრიკატიზაციის პროცესს ზემოსვანურ დიალექტებში (**ხარზილ/ვარზილ** (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.), ე. ი. **ძ** > **ზ**), ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში ეს პროცესი არ შეინიშნება (**ხარძილ/ხარძირ/ვარძილ** (ლშხ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.)/**ხარძილ** (ჩოლ.)). ერთცნებიანი, ფუძეგანსხვავებული კომპოზიტის პირველ ნაწილში (**ხარზილ/ვარზილ** (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.)) დადასტურებული უმლაუტიანი ხმოვანი მსახლვრელის ბრუნვის, კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვანთი ელემენტის მოკვეცის შედეგია. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯერ თანხმოვნითი, ხოლო შემდეგ ხმოვანთი ელემენტის მოკვეცა დასტურდება უძველეს კომპოზიტებში (ტოპონიმები, კვირის

დღეთა თუ მცენარეთა სახელწოდებები) და ზმნისართებთან ან თანდებულებთან მართვით დაკავშირებისას (ჩანტლაძე, 1998, 25-26).

ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობასთან, რასაც ვ-იანი ფორმების (**ვარზილ**, **ვარძილ**, **ვარძილ**) არსებობაც უჭერს მხარს (შდრ. ძვ. ქართ. **ვარი**).

საანალიზო ლექსებში ფონეტიკურ პროცესთა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგი სურათი იხატება: ქართ. ***ვარ-ის-ძირ-ა** > სვან. (ზს.) **ვარ-ის-ძირ** > **ვარ-ი-ძირ** > **ვარძილ** > **ვარ-ზილ** ან ქართ. **ხარ-ის-ძირ-ა** > სვან. (ბზ.) **ხარ-ის-ძირ** > **ხარ-ი-ძირ** > **ხარძილ** > **ხარ-ზილ**.

ბ) მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის ფორმანტი არა ერთი რთული შედგენილობის ფუძეში:

ზაკალ/ზზაკა/ვლ (ზს.) „ზზა“ < მეგრ. ზზაკალ-ი, ზაკალ-ი, ზაკა-ი „ზზა“ < ქართ. *ზზა-ეკალ-ი.

ზაკალ შუანსი ჩუ წუთა (ბქ.) — ზზა სვანეთშიც არის („მოიპოვება“).

კახემბალ (ლშხ.)/**კახემბალ** (ლნტ.)/**კახამბალ** (ჩოლ.) < ქართ. (გურ., იმერ.) კახამბალი, (ლეჩხ., გურ.) კახა-ბალი „თეთრი, მსხვილი, ბლის ჯიში“.

კახემბალ ლი მენგრე ეგბ (ლშხ., ონიანი, 1917, 10)— კახამბალი არის მსხვილი ბალი.

ოქროცხალ (ლშხ.)/**ოქრეცხალ** (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ა/ი.

ოქროცხალ ხოჩა გემაშ იცხ ლი (ლშხ.) — *ოქრომსხალა გემრიელი („კარგი გემო-ს“) მსხალია.

საანალიზო ლექსების ქართული ენიდან მომდინარეობა აშკარაა, თუმცა ქართულში დღესდღეობით აღნიშნული კომპოზიტი არ გამოიყენება, ყოველ შემთხვევაში ვერც ერთ ლექსიკონში ვერ დავადასტურეთ. ლაშხურში კომპოზიტის პირველი ნაწილი (**ოქრო**) უცვლელად არის შეთვისებული ქართულიდან, ხოლო ჩოლურულში მოკვეცილია აუსლავუტისეული **ო** ხმოვანი, სამაგიეროდ დართული აქვს საკუთრივ სვანური ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვანითი ელემენტი **ე**, თანხმოვანითი ნაწილი კი, როგორც წესი, დაკარგულია. რაც შეეხება რთული კომპოზიტის მეორე ნაწილს (**ცხალ**), იგი, როგორც ცნობილია, ქართ. **მსხალ**-სიტყვის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია (სვან. **ცხ-ალ** < ქართ. **მსხ-ალ**). სვანურში თავიკიდურა პოზიციის თანხმოვნის წინ დაკარგულია თანხმოვანი **მ**.

სეფსკ[ჟ]ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფსკერ** „კიდობანა, ჭანჭყატა“

< ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ალე მეგემ ლი, ლწმხარ მწნგიროლს ხაყლეს, ლატლარ — **სეფსკუერს** (ლშხ., ონიანი, 1917, 26) — ეს ხეა, ლაშხელები **მუნგიროლ** ეს ძახიან, ლატალები — სეფისკვერს.

საგულისხმოა, რომ სვანური ენის დიალექტებში **სეფსკუერ** ლექსემა მცენარის სახელწოდებად გამოიყენება. მსგავსი მოვლენა ვერცერთ ქართველურ ენაში ვერ დავაფიქსირეთ.

ქართველურ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობა, როგორც ვხედავთ, თვალსაჩინოა, თუმცა მნიშვნელობა საკმაოდ განსხვავებულია.

შუიდკუირაან (ლშხ.) < ქართ. *შუიდ-კვირ-იანი „ბუშტარა სიმინდი“, (იმერ.) შუიდ-კვირ-ევა, (რაჭ.) შუიდ-კვირ-ეულ-ა.

შუიდკუირაან ... სიმინდ ლი კოჭოლ ტანაშ (ლშხ., ონიანი, 1917, 33) — შუიდკვირიანი სიმინდია პატარა ტანისა.

შუიდკუირაან ბოლოკ (ლშხ.) < ქართ. შუიდ-კვირ-იანი ბოლოკ-ი.

ჩალამ-კალამ (ბზ.)/**ჩალამ-კალამ** (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ჩალამ-კალამ-ი, (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) კალამ-ი „შალაფა“. შდრ. მეგრ. ჩალამი-კალამი „ღერწამი“ — მისგან ამზადებენ საკრავ ლარჭებს (მაკალათია, 1992, 256).

ამირან, **ჩალამ-კალამსა**, ჰაჟ ჰალგსა, ბადრს, უისიბსა მოკლე ხანგარ ჩეგებსა (სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 35:26-27) — ამირან, ჩალამ-კალამსა, ჰავ ლობესა, ბადრის, უსუპს მოკლე ხანგარი ჩეგებსა.

ბალსხემოური კომპოზიტის ორივე შემადგენელი კომპონენტი უმლაუტიზირებულია, რაც გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით (ბზ. **ჩალამ-კალამ** < ქართ. ჩალამი-კალამ-ი).

გ) **ა-ზე** დაბოლოებულ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელთა უმრავლესობას დაერთვის სახელობითი ბრუნვის მაწარმოებელი (**-ა** ალომორფი):

ასისთაჟაჟ (ლშხ.) < ქართ. (კახ., მესხ., აჭარ.) ასის-თაჟა „ნაღველა“ (შდრ. სვან. **არსთაჟ**).

მამრი ბალარ ხარ, გეგო შალჟარს ხაჯემ; ქარი ჟავ ლი (ლშხ., ონიანი, 1917, 1) — ფართო ფოთლები აქვს, გუგულის შარვალას ჰგავს; რევატიზმების („ქარ-ი“¹) წამალია.

ბურტყელაჟ (ლშხ.) < ქართ. (გურ.) **ბურტყულა** „ფუჩფუჩა“, (ზ. აჭარ., ლეჩხ.) **ბურტყალე** „ფრთაშეჭრილა“.

ბურტყელაჟ კგლთხი ლი, თხუმჟარს ივდე ალ ბალახ (ლშხ., ონიანი, 1917, 1) — **ბურტყულა** მალალია, თავებს იკეთებს („გამოიტანს

ხოლომე“) ეს ბალახი.

როგორც ჩანს, ადგილი აქვს ხმოვანთმონაცვლეობას — ქართ. ბურტყულა : სვან. ბურტყელად, რაც ქართულიდან ნასესხებ ფორმებში არც თუ ისე იშვიათია (შდრ.: ქართ. გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი“ : სვან. (ბზ., ლნტ.) გომეჯ; ქართ. ოტურ-ი ქლიავი : სვან. (ლშხ.) ორტოლ-ი/ტორტოლ-ი; ქართ. ქისა : სვან. (ბზ.) ქჷსა, (ბქ., ქს.) ქესა და სხვ.).

ბურტყილა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., იმერ., გურ.) **ბურტყილა** „ფუჩფუჩა“.

ბურტყილა ფხალ ლი ლეზობ, გიძე არი ი მაშრი ბალარ ხარ (ლშხ., ონიანი, 1917, 1) — **ბურტყილა** საჭმელი ბალახია, მიწაზეა და ფართო ფოთლები აქვს.

გეტკეცა (ლშხ.) „ერთგვარი მხალია“ < ქართ. (ლექს., იმერ.) ტეე¹-ტეეცა-ა „კლდის დუმა (მცენარეა)“.

გეტკეცა სველ ბალე ხარ, მუსგუენ ი მუქტურხ (ლშხ., ონიანი, 1917, 7) — ტეტკეცას მსხვილი ფოთოლი აქვს, სწორი და რუხი.

ჩვენი აზრით, სიტყვის დასაწყისში ჯერ **ტკ** კომპლექსი უნდა გამარტივებულიყო — **ტკ** → **კ** (შდრ. ქართ. **მტკაველი** — „მტკაველი“ : სვან. (ზს.) **კამინ**, (ლშხ.) **კამელ**, (ლნტ.) **კამილ** „მტკაველი“; სვან. **კიბ-ნ-||კიმბ-** „ტკებნა“ ← ქართ. **ტკებ-||ტკებ-** „ტკებნა“; სვან. (ბქ.) **კეც** „წნელი“ ← ქართ. **ტკეჩი**-ი და ა. შ.), ხოლო შემდეგ **კ** → **გ**; **კ** → **გ** პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია, როგორც მკვეთრთა პოზიციურ-დისიმილაციური გამყდრება (შდრ. ქართ. **ტუტა** → სვან. **დგტ**; ქართ. **ჭაჭა** : სვან. **ჯაჭ**; კაწ-არ-ი ბრჭყალი“ : სვან. **გაწ-რ** „წვივი“; ქართ. **კოწოლ**-ი „ცეცხლის ალი“ : სვან. **კოჭ-ობ**-ი „ჭრაქი“... გ. როგავა, მ. ჩუხუა).

გეყრუ ა (ბზ.) „დიდგულა“ < ზან. (მეგრ.) გე-ყრუ-ა-ე < ქართ. (ზმ. იმერ.) გულ-ყრუ, გულ-ყურ-ო; შდრ. ერწ.-თნ. ყრუ-ა ხე, ლექს., რაჭ. ხე-ყრუ-ა.

დათუნალა (ბზ.) < ქართ. (რაჭ., იმერ.) დათვ-ი-ხალ-ა „თამელი“, შდრ. რაჭ., იმერ. დათვ-ი-მსხალ-ა, გურ. დათვ-ის-ხალ-ა-ე „მსხლის ჯიშია“; გურ., აჭარ. დათვ-ა-მსხალ-ა „თამელი“.

დათუნალა მეგემ ლი ქილდაჟდ ხომა ი შდინხუმ კაკლარ ხარ (ლშხ., ონიანი, 1917, 8) — დათვისთხილა ქლიავზე უფრო დიდი ხეა და თხილისოდენა მარცვლები აქვს.

კაცისთაჟა (ლშხ.) < ქართ. კაც-ის-თავ-ა „სამემოდგომო მსხვილი მსხალი“; შდრ. (ლექს., რაჭ., იმერ.) კაცთავა/კაცი¹თავა, (ოკრიბ.) კა-

ცისთავა; კაცითაჟაი (შ. ფუტკარაძე) (შდრ. ბქ. **გუბა**).

კაცისთაჟა იცხ ლი მენგრე (ლშხ., ონიანი, 1917, 10) — კაცისთავა მსხვილი მსხალია.

კუარა-კუნჩხა/კუარან-კუნჩხა (ლშხ.)/კუარან-კუნჩხა (ჩოლ.) < ქართ. (ქვ. იმერ., გურ.) კვარა-კუნჩხ-ა „ქართული ყოჩივარდა“ (შდრ. მეგრ. კარა-კუნჩხ-ა).

კუარა-კუნჩხა ს ... ყუითელ მულტუდარ ხარ კუთხი (ლშხ., ონიანი, 1917, 11) — კვარა-კუნჩხას ოთხკუთხედი ყვითელი ყვავილები აქვს.

ლაშხურსა და ჩოლურულში განვითარებული ჩანს სონორი **ნ** საანალიზო ლექსემის პირველი ნაწილის აუსლაუტში (**კუარან**), ამასთანავე, ჩოლურულში **ნ** სონორივე ჩანს დაკარგული აღნიშნული კომპოზიტის მეორე ნაწილის ინლაუტში (**კუნჩხა**).

კუარკუალიტა (ლშხ.) „სარეველა ბალახი“, „წვრილი ცერცივი“ < ქართ. (იმერ.) კვარ-კვალ-იტ¹-ა, (ლექს., გურ.) კვარ-კვალ-იტ¹ე „ცერცივილა (სარეველა ბალახია)“. შდრ. სვან. **მეჭჩელ**, **მგდღერილ**.

კუარკუალიტა ს ... ბარდ ხარ ი პარკალ ნეცინ ლედერშალ (ლშხ., ონიანი, 1917, 11) — კვარკვალიტას ბარდი აქვს და წვრილი გარეკანი („პარკ-ებ-ი“) ბარდასავით.

კუანხესჟა (ლშხ.) „გოგრა“ < ქართ. *კვან-ნესე-ი.

მაგ **კუანხესჟა** ბესშერალ — ყველა გოგრიჭამია ბესისანები (ლშხ., სვ. პოეზ., 208, 24).

ლაშხური **კუანხესჟა** აშკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ნესჟ**- არქეტიპი, რომლის შესატყვისად სწორედ კომპოზიტური შედგენილობის **კუან-ნესგ** სიტყვაში შემონახული სვანური ერთეული (**-ნესგ**) მიაჩნიათ (ჩუხუა, 2000-2003, 169).

მზისუმზირა (ლშხ.) < ქართ. მზე-ს-უმზირ-ა (შდრ. ლშხ. **მეუმეგსადი**).

პიმპილა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლექს., იმერ., გურ.) პიმ-პილ-ი, (რაჭ.) პიპ-ილ-ა, პიმ-პილ-ა, (აჭარ.) პირ-პილ-ო, (ინგ.) პირ-პილ „წიწაკა“.

ქალაკოდა ა (ბქ., ლნტ.)/ქალაკოდა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლექს., რაჭ., იმერ.) ქალა-კოდა „ნიუკა, მცენარეა; საჭმელი სოკო“ (შდრ. სვან. **ლაკოდა**).

ქალაკოდა ს ... ტელეფიდ ხოჯეშ ბალარ ... (ლშხ., ონიანი, 1917, 29) — ქალაკოდას ლოლოსთვის მიუგავს ფოთლები.

ქალაკუდა (ბზ.) < ქართ. (რაჭ.) ქალა-კუდა „ბალახეული მცენარეა“.

ჟანგ-ნაჟუნ მოლორე ჟახნლ 'ლიხ': ... ბურღურ ბაღე, **ქალაქუდამ** ძირ, ლეჰ... (სვან. ქრესტ., 1978, 141:41) — სამკურნალო ბალახების სახელებია: ბუერას ფოთოლი, ქალაქუდას ძირი, დუცი.

ქალშაშა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ.) ქალშაშა „თეთრყვავილა ლაშქარა“. შდრ. მერ. ქარშავე.

ქალშაშა მერხელს ხაჯემ, ხომულ ბალარ ხარ ი ლეზობ ფხალ ლი (ლშხ., ონიანი, 1917, 29) — ქალშაშა ჭინჭარს ჰგავს, უფრო დიდი ფოთლები აქვს და საჭმელი ფხალია.

ქრისდნისხლა (ლშხ.) < ქართ. ქრისტე-სისხლა-ა „მრავალწლოვანი ბალახი ყაყაჩოსებრთა ოჯახისა“, (გურ.) ქრისტეს სისხლა-ი „ბალახელი მცენარეა ერთგვარი“ (შდრ. სვან. **მგლფი მელილდ, ჭედიშ მელილდ**).

ქრისდნისხლა 'ს' ნეცინ ლგკცანდელე ბალარ ხარ, კელ — ფაფა (ლშხ., ონიანი, 1917, 31) — ქრისტესხლას წვრილი დაკეპილი ფოთლები აქვს, ღერო — განიერი.

ლოშუბლა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) ხბო-შუბლა-ა „სასტვენა“; ქართლ. ხბო-შუბლა-ა „ჩვეულებრივი ცერცველა“.

ლოშუბლა 'ს' ... ჭარხლი მაჯონ ბაღე ხარ, ფხალდ იხურის ი იზბის მგჯაბს (ლშხ., ლუშნუ ონიანი, 1917, 31) — ხბოშუბლას ჭარხლის მსგავსი ფოთოლი აქვს, ფხალდ კრეფენ და მოხარშულს ჭამენ.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული კომპოზიტი ხბო-შუბლა-ა და სვანური, კერძოდ, ლაშხური, **ლოშუბლა** ერთი და იგივე კომპოზიტია, სადაც გამოიყოფა ორი ფუძე: **ლო-** და **შუბლა-ა**. მეორე ნაწილი, როგორც ვხედავთ, უცვლელად არის შეთვისებული სვანურში, რასაც ვერ ვიტყვი კომპოზიტის პირველ შემადგენელ ნაწილზე (**ლო-**), რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა საკუთრივ სვანური **ღუნ** „ხბო“ ლექსემისგან მომდინარეობდეს (**ლო-** < **ღუნ**), და, მეორე მხრივ: **ლო** < ***ლბო** < ქართ. **ხბო**.

ყურჭუმელა (ლშხ.) < ქართ. (იმერ., რაჭ., ლეჩხ.) ყურ-წუმელა „ეკალიჭი; კურკანტელა; ძლიერ შავი, გადამწიფებული ხილი“, შდრ. იმერ., რაჭ., ლეჩხ. ბურწუმელა, კურწუმელა; ბურწუმელი (საბა) და (ზ. რაჭ.) ყურჭუმალა „ძალიან მწიფე ხილი“.

ყურჭუმელა 'ს' ... თუთუნდ ხოჯემ ბალარ ი გიმიე ხაღლაბაჟა, გუამი ბაღე ხარ (ლშხ., ონიანი, 1917, 32) — ყურწუმელას თუთუნისთვის მიუგავს ფოთლები და მიწაზეა გართხმული, მძიმე ფოთოლი აქვს.

მართალია, საანალიზო კომპოზიტში **წ-ჭ** ბგერათმესატყვისობას-

თან გვაქვს საქმე, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში **ჭ**-ს შემცველი (**ყურჭუმალა**) ვარიანტიც დასტურდება, ამიტომ შეუძლებელია სვანურ-ქართულ ფორმათა საერთო-ქართველურ დონეზე აღდგენა.

ყუაჭიფხილა (ლშხ.) < ქართ. (მესხ., ქიზ.) ყვავი-ფრჩხილა-ა „კოფრჩხილა“, (რაჭ., ზმ. იმერ.) ყვავი-ფრჩხილა-ა „ოფოფა, მდელოს მატკვარცანა“.

ყუაჭიფხილა 'ს' ... ნეცინ ბალარ ხარ, ტოხრახუში მაჯონ ბალახ ლი (ლშხ., ონიანი, 1917, 32) — ყვავიფრჩხილას წვრილი ფოთლები აქვს, ოხრახუშის მსგავსი ბალახია.

შაშბალახა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ., ფშ.) შავ-ბალახ-ა „თეთრყვავილა ლაშქარა, შავწამალა, გობისცხვირა თავშავა, შმაგა (შდრ. სვან. **მატატა||შათათა**).

შაშბალახა მერხელს ხაჯემ (ლშხ., ონიანი, 1917, 32) — შავბალახა ჭინჭარს ჰგავს.

შაშფხხალა (ლშხ.)¹ „მხლის ჯიში“ < ქართ. *შავ-მხხალ-ა (**შ > ფ**).

შაშფხხალა ... ლი გურამბი მაჯონ (ლშხ., ონიანი 1917, 3) — *შავმხხალა არის გვიმრის მსგავსი.

შაშძირა (ლშხ.) < ქართ. ძირ-შავ-ა.

შაშძირა ... სიყუთილი ჟავ ლოქ ლი (ლშხ., ონიანი, 1917, 33) — ძირშავა სიყუთლის წამალიაო.

სვანური, კერძოდ, ლაშხური **შაშძირა** ქართული ძირ-შავ-ა-ს მეტათეზირებული სახეობა ჩანს.

ძირწითელა (ლშხ.) < ქართ. (იმერ., გურ.) ძირ-წითელ-ა||წითელ-ძირ-ა „მსუქანა, წითელძირა“ (შდრ. სვან. **მუსტუნო**).

ძირწითელა დამბალ ბალახ ლი ი გიმს ერ ხეფშენი, ეჩქა ვედნი (ლშხ., ონიანი, 1917, 36) — ძირწითელა დაბალი ბალახია და მიწა რომ იღლება, მაშინ ამოდის.

ხარკბილა (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ხარ-ის-კბილა-ა „ცხენისკბილა სოკო“.

ხარკბილა სოკ ლი, არყად სოკს ხაჯემ, მტყაბს ლეზობდ ხაყა

¹ სვანურში „შავი“ ფერის გადმოსაცემად გამოიყენება „წვის, ნახშირის“ აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ძირი -**შის**: **მე-შხ-ე**, მაგრამ შედარებით გვიანდელ ნასესხობებში დასტურდება ქართ. **შავ**: მაგ. ზს. **შაშბედ** — „შავი ბედი“, ბზ. **შაშგურმან**, ბჭ. **შეგურმან**, ლშხ. **შეუგურმან**, ლნტ. **შაუგურმან** „შავგურმანი“, ბზ., ლშხ. **შაულეშე** „დასაწყველი“, ბჭ. **შაურან** „შავტუხა“ (საღლიანი 2005, 128).

(ლმზ., ონიანი, 1917, 27, 40) — ხარ-ი-კბილ-ა სოკოა, არყა სოკოს ჰგავს, შემწვარი საჭმელად ვარგა.

ჯაშუკუტა (ლმზ.) < ქართ. (ქვ. იმერ., გურ.) ჯაშუკუტა „ღვედეკცი“, შდრ. მეგრ. ჯაშქვილუ.

ჯაშუკუტა მეგემ ლი ... ი ჟი ხეჭონი მეგემს სურომალ (ლმზ., ონიანი, 1917, 39) — ჯაშუკუტა ხეა და სუროსავით შემოხეხვევა ხოლმე ხეს.

ჯორტერფა (ლმზ., ჩოლ.)/**ჯორტელფა** (ლმზ.)/**ჯარსტეფლა** (ლმზ.)/**ჯაშალტელფა** (ჩოლ.) „ვირისტერფა“ < ქართ. (გურ., კახ., რაჭ.) ჯორტის-ტერფა; შდრ. ლეჩხ. ჯორტოფა, ჯორტოფილა (შდრ. სვან. **მგჭმდუწარილ**).

ჯარსტეფლა ... ბალახ ლი (ლმზ., ონიანი, 1917, 39) — ჯორის-ტერფა ბალახია; **ჯორტელფა** „ს“ ... მამრი ბალარ ხარ (ლმზ., ონიანი, 1917, 40) — ჯორტერფას ფართო ფოთლები აქვს.

ლაშხურ ფორმებში (**ჯორტელფა**/**ჯარსტეფლა**) ადგილი აქვს დისიმილაციის პროცესს. საერთოდ, როგორც ცნობილია, ორი რ-ს შეხვედრისას ლაშხურსა და ლენტეხურში, განსხვავებით შემოსვანური დიალექტებისგან, თითქმის ყოველთვის გვაქვს დისიმილირებული ფორმები (ყლენტი, 1949, 164).

საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე ლაშხურივე ფორმაში — **ჯარსტეფლა**, სადაც შემორჩენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული არა ხმოვნითი, არამედ თანხმოვნითი ელემენტი **ს**¹, რაც იშვიათი მოვლენაა, ვინაიდან, ძირითადად, სწორედ ასეთ კომპოზიტებში ხდება ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვა ან ზოგჯერ მთელი მარცვლის. **ო-მ**, როგორც ჩანს, ჯერ **ჟა**- მოგვცა, ხოლო შემდეგ **ჟ** დაიკარგა და დაგვრჩა მხოლოდ **ა**, ამისი ნათელი დადასტურებაა ჩოლურული **ჯაშალ-ტელფა-ა-ა**, სადაც **ჟა** < **ო** პროცესის გარდა უნდა განხორციელებულიყო ჯერ დისიმილაცია, ხოლო შემდეგ ასიმილაციის პროცესი (< **ჯაშარ-ტელფა-ა-ა** < **ჯორ-ტელფა-ა-ა** < **ჯორ-რის-ტერფა-ა**).

ჯიხორხა (ლმზ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) გლი-ხორხა, მგლ-ის-ხორხა „თეთრი ნარი“ (საბა). შდრ. ბქ. **ყერიშ ცვა**.

ჯიხორხა „ს“ მამრი ბალარ ხოხალ მანკუ ი ეჩანლო ჟი იცხემ (ლმზ., ონიანი, 1917, 40) — გლიხორხას თავდაპირველად ფართო ფოთლები აქვს („იცის“) და მერე გაიზრდება ხოლმე.

რა შეიძლება ითქვას ლაშხური **ჯიხორხა**-ის შესახებ? ჩვენი აზრით, კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი (**ხორხა-ა-ა**) უცვლელადაა ნასესხები ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან, ხოლო პირველი ნაწილი მიღებულია ქართული **გლი**-საგან (< **მგლ-ის-ა-გან**) პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის გზით.

ფონეტიკური პროცესები, რომლებიც საანალიზო ლექსემამ (**ჯი-ხორხა**) სვანურში სესხების პროცესში განიცადა, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ჯიხორხა** < **ჯიხორხა** < **ჯლიხორხა** < **გლიხორხა**.

ჯიჯლაყა (ლმზ., ჩოლ.) < ქართ. ჯიჯ-ლაყა, (იმერ., გურ.) ჯიჯილაყა, (აჭარ.) ჭიჭილაყა (შდრ. ბზ. **გაბროლ**, ბქ. **გერბლა**).

ჯიჯლაყა, ვ. თოფურიას აზრით, სწორად აქვს გაანალიზებული ივ. ჯავახიშვილს და მიაჩნია, რომ შედგება ორი ნაწილისაგან: **ჯიჯ** (= მეგრ. **ჯინჯი** „ძირი“) და **ლაყე** (ცარიელი) (თოფურია, 1979, 262).

დ) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ რამდენიმე კომპოზიტში ადგილი აქვს ხმოვანთა რედუქციას:

თხფსნელ (ჩოლ.) „დათვის მოცვი“ < ქართ. (ქართლ., ლეჩხ., რაჭ., აჭარ., გურ., კახ.) თხ-ი-ფსელ-ა, (თუშ.) თხ-ა-ფსელ-ა „კვიდო, ხეჭრელი“, (გურ.) თხ-ი-ფსალ-ა, (შდრ. სვან. **გეერუფ**, **თუეფილა**, **თოფრა**, **კაკანდ**).

თხფსნელ კოჭოლ მეგემ ლი (ჩოლ.) — თხიფსელა პატარა ხეა.

როგორც ირკვევა, რედუქცირებულია საანალიზო კომპოზიტის პირველი ნაწილი (სვან. თხგ-: ქართ. თხი-), ხოლო მეორე ნაწილში (**ფსნელ**) ადგილი აქვს ხმოვნის სიგრძეს, რომლის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს. სვანურში, დღეს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, როგორც ცნობილია, გამოიყოფა ორი სახის სიგრძე: პირველადი, ანუ ისტორიული და მეორეული, ანუ პოზიციით შეპირობებული, თუმცა დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს (მაგ.: **ამენ** (ბზ., ლმზ.)! < ქართ. ამინ! **ბედნი-ერ/ბედნიარ** (ბზ.) < ქართ. ბედ-ნი-ერ-ი; **გოჯ** (ლმზ.) < ქართ. გოჯ-ი, **თეკერ** (ლმზ.) < ქართ. (რაჭ.) თეკერა „მთის ნეკერჩხალი“ და ა. შ.)². სწორედ იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე **თხფსნელ** კომპოზიტშიც.

კახემბალ (ლმზ.)/**კახემბალ** (ლნტ.)/**კახამბალ** (ჩოლ.) < ქართ.

¹ მსგავსი მოვლენა გვაქვს **სეფსკჟერ** (ზს., ქს.) ლექსემაც, რომელიც < ქართ. <სეფ-ის-კვერ-ი.

² იხ. მ. სალიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, 2005, 99-102.

(გურ., იმერ.) კახამბალი, (ლენხ., გურ.) კახა-ბალ-ი „თეთრი, მსხვილი, ბლის ჯიში“ (სვან. გ: ქართ. ა).

მეწა/ეწაშ (ბქ.)/**მიწაჟაშ** (ლმხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ უისგ** (სვან. გ: ქართ. ი).

მეწა/ეწაშ წნეუიანარემდ ლი გუამიდ ხოჩა (ბქ.) — მიწავაშლა წნევიანებისთვის არის ძალიან კარგი.

ხმოვანთა რედუქცია, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებშიც მოქმედებს, მათ შორის ისეთ სიტყვებში, რომელთა სესხებაც ახლო წარსულის ფაქტს წარმოადგენს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 36). სამეცნიერო ლიტერატურაში, ნასესხები მასალის საფუძველზე, გამოყოფილია რედუქციის რამდენიმე სახე: 1) ა, ა, ე, ი, გ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში, 2) ა, ა, ე, ი ხმოვანთა რედუქცია მძიმე ბირთვში ანაბტიქსური გ ხმოვნის მონაცვლეობით, 3) ანაბტიქსური გ თანხმოვანთგამყარი ხმოვნის როლში, 4) ჟ სონანტთან მონაცვლე ბაგისმიერ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში, რის საფუძველზეც დადგენილია, რომ „ხმოვანთა რედუქციის მექანიზმი სვანური ენის ნასესხებ ფუძეებშიც თითქმის ისეთსავე სურათს იძლევა, როგორც ძირეულ სვანურ ფუძეებში“ (საღლიანი, 2005, 229-239).

სეფსკრუერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კილობანა, ჭანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ხარზილ/ვარზილ (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ** (ლმხ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა და ა. შ.

ე) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში ზოგჯერ გვაქვს, აგრეთვე, თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები:

ზაკალ/ზზაკა/აწლ (ზს.) „ზზა“ < ქართ. *ზზა-ეკალ-ი. შდრ. მეგრ. ბზაკალ-ი, ზაკალ-ი, ზაკა-ი „ზზა“.

მეწა/ეწაშ (ბქ.)/**მიწაჟაშ** (ლმხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ უისგ**.

ოქრეცხალ (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ი.

სეფსკრუერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კილობანა, ჭანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ტრედიფერ (ლმხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“.

ქათნაცერ/ქათნაცერა (ლმხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (შდრ. ბქ. **მესგულა**), თუმცა არ გამოვრიცხავთ აღნიშნული ლექსემის იმერულიდან სესხებასაც.

ვ) როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანი ამოვარდნილი შემდეგ

კომპოზიტებში:

სეფსკრუერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კილობანა, ჭანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ტრედიფერ (ლმხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“ და ა. შ.

ზ) დასტურდება ხმოვანთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა შემდეგ კომპოზიტებში:

ბურტყელა (ლმხ.) < ***ბურტყელე** < ქართ. (ზ. აჭარ., ლენხ.) **ბურტყალე** „ფრთაშეჭრილა“, შდრ. (გურ.) **ბურტყულა** „ფუჩფუჩა“ (სვან. ე : ქართ. (გურ.) უ; სვან. ე : ქართ. (ზ. აჭარ., ლენხ.) ა). ჩვენი მოსაზრების თანახმად, უფრო მოსალოდნელი იყო აღნიშნული საანალიზო კომპოზიტის ლენხურული დიალექტიდან სესხება.

მეწა/ეწაშ (ბქ.)/**მიწაჟაშ** (ლმხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა (სვან. ე : ქართ. ა); შდრ. ბქ. **გიმიშ უისგ**.

ქათნაცერ/ქათნაცერა (ლმხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (სვან. ე : ქართ. ა); შდრ. ბქ. **მესგულა**.

ჯარსტეფლა (ლმხ.)/**ჯჟალტელფა** (ჩოლ.) „ვირისტერფა“ < ქართ. (გურ., კახ., რაჭ.) ჯორის-ტერფ-ა; შდრ. ლენხ. ჯორტოფა, ჯორტოფილა (სვან. ა : ქართ. ო); შდრ. სვან. **მეჭმდუნარილ** და ა. შ.

თ) შეგვხვდა რთული შედგენილობის რამდენიმე კომპოზიტი, რომლებიც ამკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა დღეს საკუთრივ ქართულში არ დასტურდება:

ათისთაჟა (ლმხ.) < ქართ. *ათის-თავ-ა-დ.

აღ ბალახს თხუმთე ნალად თუთნი მაჯონ თხუმჟლარ ხარ (ლმხ., ონიანი, 1917, 1) — ამ ბალახს ზევითკენ („თხემ-ის-კენ გასწვრივ“) თუთუნის მგავსი თავები (შდრ. ძვ. ქართ. „თხემ-ი“) აქვს.

გეგოშალჟარ (ლმხ.)/**გეგოშალჟარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა).

ოქრეცხალ (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ი.

სეფსკრუერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კილობანა, ჭანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ხუთდალა (ლმხ.) < ქართ. *ხუთ-დალ-ა.

ხუთდალა ძღვდ ღერს იწვე (ლმხ., ონიანი, 1917, 40) — ხუთდალა დიდ ღეროს იკეთებს და ა. შ.

ი) მცენარეთა აღმნიშვნელი ერთადერთი კომპოზიტი დადასტურდა სვანურში, სადაც ადგილი აქვს ლაბიალური ო ხმოვნის წინ წყვილ-

ბავისმიერი (ბილაბიალური) **ჟ** თანხმოვნის განვითარებას, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ ბილაბიალური შემართვა (საღლიანი, 2008, 207):

ჟორჟამო (ლშხ.) < ქართ. (ლენხ.) ორ-ჟამ-ო „დათვიმარწყვა“.

ჟორჟამო ... ჟაჟელადს ხაჯემ, მარა ხომულ ბალარ ხარ (ლშხ., ონიანი 1917, 4) — ორჟამო მჟაველას ჰგავს, მაგრამ უფრო დიდი ფოთლები აქვს.

კ) რამდენიმე ნასესხებ კომპოზიტიში, რომლის კომპონენტებიც, შედგენილობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია, სავარაუდოდ დაკარგულია მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -ს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ამ ბრუნვის ნიშნის გარეშე ესესხოს სვანურს:

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ.*მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“.

ყუაჟიფჩხილა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ზმ. იმერ.) ყვავ-ის-ფრჩხილ-ა „ოფოფა, მდელის მატკვარცანა“, შდრ. მესხ., ქიზ. ყვავ-ი-ფრჩხილ-ა „კოფრჩხილა“.

ხარკბილა (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ხარ-ის-კბილ-ა „ცხენისკბილა სოკო“.

ხარზილ/ვარზილ (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ვარძილ** (ლშხ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ჯიხორხა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლენხ.) გლი-ხორხ-ა, მგლ-ის-ხორხ-ა (საბა).

ლ) აქა-იქ შეინიშნება მარცვლის დაკარგვის შემთხვევებიც:

დათუხალა (ბზ.) < ქართ. გურ. დათვ-ის-ხალ-ა-დ „მსხლის ჯიშია“, შდრ. რაჭ., იმერ. დათვ-ი-ხალ-ა „თამელი“, რაჭ., იმერ. დათვ-ი-მსხალ-ა, გურ., აჭარ. დათვ-ა-მსხალ-ა „თამელი“.

ხარზილ/ვარზილ (ბზ.)/**ვარზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ვარძილ** (ლშხ.)/**ხარძილ/ვარძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ჯიხორხა (ლშხ.) < ქართ. მგლ-ის-ხორხ-ა (საბა), შდრ. რაჭ., ლენხ. გლი-ხორხ-ა და ა. შ.

მ) ქართულიდან არის შეთვისებული რთული სიტყვის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ფუძე (კერძოდ მეორე):

გეგოშალჟარ (ლშხ.)/**გეგოდშალჟარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა).

საანალიზო კომპოზიტის მეორე, კერძოდ საზღვრული ნაწილი (**შალჟარ**) ქართული (**შარვალ**) ფორმის მეტათეზირებული სახეობა ჩანს.

ლოშუბლა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლენხ., იმერ.) ხბო-შუბლ-ა „სა-

სტვენა“; ქართლ. ხბო-შუბლ-ა „ჩვეულებრივი ცერცველა“.

ჯიხორხა (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლენხ.) გლი-ხორხ-ა, მგლ-ის-ხორხ-ა „თეთრი ნარი“ (საბა). შდრ. სვან. **ყერიშ ცაგ**.

ამრიგად, მცენარეთა აღმნიშვნელი ნასესხები რთული შედგენილობის კომპოზიტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა ერთ ნაწილში თითქმის არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ შეინიშნება, ხოლო ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა გარკვეულ ჯგუფში დასტურდება მრავალი სახის ფონეტიკური ცვლილება, კერძოდ:

ა) ძალიან ხშირად გვხვდება -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები; ბ) მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის მორფემა არა ერთი რთული შედგენილობის ფუძეში; გ) ა-ზე დაბოლოებულ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელთა უმრავლესობას დაერთვის სახელობითი ბრუნვის მორფემა (-დ ალოფონი); დ) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში აქა-იქ შეიმჩნევა ხმოვანთა ამოღების რამდენიმე შემთხვევა; ე) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში აქა-იქ შეიმჩნევა აგრეთვე თანხმოვანთა ამოღების რამდენიმე შემთხვევა; ვ) როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანთა ამოვარდნილი ზოგ კომპოზიტი; ზ) დასტურდება ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები; თ) რამდენიმე ნასესხებ კომპოზიტი ადგილი აქვს ხმოვანთა რედუქციას; ი) შეგვხვდა რთული შედგენილობის რამდენიმე კომპოზიტი, რომლებიც აშკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა დღეს საკუთრივ ქართულში არ დასტურდება; კ) მცენარეთა აღმნიშვნელი ერთადერთი კომპოზიტი დადასტურდა სვანურში, სადაც ადგილი აქვს ლაბიალური **ო** ხმოვნის წინ წყვილბავისმიერი (ბილაბიალური) **ჟ** თანხმოვნის განვითარებას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ბილაბიალური შემართვა; ლ) რამდენიმე ნასესხებ ფუძეგანსხვავებულ კომპოზიტიში, რომლის კომპონენტებიც, შედგენილობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია, სავარაუდოდ დაკარგულია მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -ს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ამ ბრუნვის ნიშნის გარეშე ესესხოს სვანურს; მ) აქა-იქ შეინიშნება მარცვლის დაკარგვის შემთხვევებიც; ნ) ქართულიდან არის შეთვისებული რთული სიტყვის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ფუძე (კერძოდ მეორე).

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

დონდუა 2001 — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბ., 1994.

მაკალათია 1941 — ს. მაკალათია, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.

ონიანი 1917 — ა. ჯონდანი, მეგმარეშ ი ბალხარე ჟახნლე ზორაჟ, პეტროგრადი, 1917.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ხმოვანთა რედუქცია სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბ., 2005.

საღლიანი 2004-2005 — მ. საღლიანი, ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი, 2004-2005.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საღისერტაციო ნაშრომი, თბ., 2005.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 2008.

ქალდანი 1959 — მ. ქალდანი, სვანური ენის ჩუბეხური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, თბ., 1959.

ქობალავა 1980 — ი. ქობალავა, ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბ., 1980.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

The Borrowed Compounds Denoting Plants in Svan

Summary

The analysis of Svan compounds denoting plants have shown that in some borrowings from Georgian no phonetic changes are traceable, however a considerable number of borrowed compounds have undergone certain phonetic changes:

- a. the roots with the reduced root vowel **a** are quite frequent.
- b. the nominative case morpheme is reduced in some compounds
- c. the majority of nouns ending in **a** take the nominative case morpheme (the allophone **j**), d) vowel reduction is typical of a number of compounds.
- e) in some cases consonant reduction is evidenced.
- f) vowels as well as consonants are reduced in some of the compounds.
- g) a few cases of vowel interchange are attested,
- h) some apparently Georgian borrowings are not attested in Georgian any more.
- c) rarely, syllable reduction is evidenced.

ნაწილი II

პირდაპირი და ირიბი ობიექტების სინტაქსური ფუნქციები

აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი წინადადების (დგას იგი, კუდე-ბის იგი) მექანიზმს ქმნის ძირითადად მართვა. სახელი მორფოლოგიურად დაკავშირებულია ზმნასთან, მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. სახელი გაბატონებული სიტყვაა (მმართველი), ზმნა — დამოკიდებული (მართული). ე. ი. გვაქვს სუბორდინაცია (ცალმხრივი მართვა). არის შემასმენელი, მართული ზმნა, არის ქვემდებარე — ზმნის მმართველი ანუ მთავარი მმართველი სახელი. არა გვაქვს მორფოლოგიური ობიექტი. წინადადების ეს ტიპი ჩვეულებრივია სხვა ენებშიც; იგი არ არის სპეციფიკურ — ქართული.

რელატიურ-გარდაუვალზმნიანი (ხუკვლების იგი მას) და რელატიურ-გარდაუვალზმნიანი წინადადება (ხკლავს იგი მას, ხთხოვს იგი მას) ისევე უჩვეულოა სხვა ენებისათვის, როგორც ორპირიანობა მათში მონაწილე ზმნისა.

ამ ტიპის ქართულ წინადადებათა სინტაქსური მექანიზმის სპეციფიკურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ორი კარდინალური მნიშვნელობის სინტაქსური ფაქტი:

1. ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვას ისევე, როგორც მორფოლოგიური ობიექტისას.

2. მორფოლოგიური ობიექტი მართავს ზმნის პირს ისევე, როგორც მორფოლოგიური სუბიექტი.

არნოდლ ჩიქობავას თეორიის მიხედვით, კოორდინატი შეიძლება იყოს ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი. ძირითადი კოორდინატია (*coordinata princeps*) ზმნა, იგი მმართველია მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების — მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვათა; იგია ცენტრი კოორდინაციისა.

სახელები — მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი — გვევლინება დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინატის როლში.

კოორდინატ-სახელების ასეთი დასაფუძვრება გამოხატავს მათი სინტაქსური ძალის მეტ-ნაკლებობას; ჩვეულებრივ გადამწყვეტია, ითანხმებს თუ არა სახელი—კოორდინატი ზმნას რიცხვში; ამ მხრივ ძველ ქართულში აღსანიშნავია შემდეგი:

1) -ნ სუფიქსიანი სახელების მრავლობითობა ძველი ქართულის ზმნაში ყოველთვის აღინიშნება, იქნება ეს სახელობითი მორფოლოგიური სუბიექტი თუ მორფოლოგიური ობიექტი.

2) მიცემითის (მორფოლოგიური ობიექტია მუდამ) მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება. საერთოდ, შეიძლება ითქვას, მიცემითი მრავლობითი ზმნას არ ითანხმებს.

დიდია კოორდინატი (*coordinata major*), რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.

მცირეა ის კოორდინატი (*coordinata minor*), რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვს.

უმცირესია ის კოორდინატი (*coordinata minima*), რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს.

ეპ-იანი სახელობითი სინტაქსური როლის მიხედვით ერთი საფეხურით დაბლა დგას -ნ სუფიქსიანი სახელობითზე, რაკი იგი არ ითანხმებს ზმნას რიცხვში. ამიტომაც, თუ - ებ სუფიქსიანი სახელობითი დიდი კოორდინატი უნდა ყოფილიყო, მცირე ხდება, თუ უმცირესი უნდა უნდა ყოფილიყო, ოდენ მართულ სახელად, დამატებად იქცევა. (ჩიქობავა, 1926, 167-174).

ზემოთ აღნიშნული რამდენიმე საკითხი სადავოა და გარკვევას საჭიროებს. სახელდობრ, არნ. ჩიქობავას თეორიის მიხედვით, აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე მართავს ზმნა-შემასმენელს პირში, ითანხმებს რიცხვში და იგი თავად არ იმართვის ზმნის მიერ ბრუნვაში, რადგან ქვემდებარე ბრუნვას არ იცვლის, ხოლო რელატიურ-გარდაუვალ ზმნაში ზმნა მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში და თავად ქვემდებარე მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. პირველ შემთხვევაში გვაქვს სუბორდინაცია, მეორე შემთხვევაში, კოორდინაცია.

აკაკი დავითიანი ამ საკითხის შესახებ მიუთითებს: სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარდაუვალი ზმნით გამოხატული შემასმენელი არ მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში. ამ შეხედულების მომხრენი აღნიშნულ დებულებას ორი არგუმენტით ასაბუთებენ:



1) სახელი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო სახელობითი პირდაპირი (დასახელების, ნომინაციის) ბრუნვაა.

2) სახელობითი ბრუნვა მუდმივია, უცვლელია, ე.ი. მართვა არ არის ღინამიკური.

ჩვეულებრივ, როცა ბრუნვის ფუნქციებს განიხილავენ, აღნიშნავენ, რომ სახელობითი ბრუნვა ნომინაციისაა, მაშასადამე ის პირდაპირია. გარდა ამისა სახელობითი ქვემდებარის ბრუნვაა. ესეც ამტკიცებს იმას, რომ ის პირდაპირია, ამიტომ სახელობითში (ქვემდებარის რეალიზაციისას) არ შეიძლება გვქონდეს მართვა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა ქართული, არამედ ინდოევროპული ენებისთვის, რომელთაც ზმნის აბსოლუტური აგებულების გამო ცალკეულ ბრუნვათა კონკრეტული ფუნქციები უფრო დაზუსტებული აქვთ; სუბიექტი ყოველთვის ნომინატივში დგას, ობიექტი კი ყოველთვის აკუსატივში უთანდებლოდ. მართვა ინდოევროპული ენებისთვის ნიშნავს პირდაპირი ბრუნვიდან ირიბში გადაყვანას.

ქართულ ენაში სახელობითი ბრუნვა არ არის მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვა, იგი საზიაროა დამატებასთან. სახელობითი ბრუნვა ამავე დროს არ არის დასახელებისა, ქართულ ენას ამისთვის სპეციალური ბრუნვა გააჩნია (წრფელობითი).

გარდაუვალ პასიურ ზმნაში, არა აქვს მნიშვნელობა, ერთპირიანია თუ ორპირიანი, სუბიექტი ყოველთვის ბრუნვაუცვლელია, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას რომ იგი არ იმართვის ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში. თუ იმ დებულებას დავეთანხმებით, გამოდის, რომ ირიბი ობიექტიც არ იმართვის ზმნა-შემასმენლისაგან. მაგალითად: ღრუბელი ეფარება მზეს.



უცვლელ მდგომარეობაში მართვის უნარს ვანიჭებთ ზმნა-შემასმენელს სხვა ბრუნვებში (დანაშინეს > ღირექტორად, დაწერა > ფანქრით, იქცა > სინამდვილედ), სადაც დაქვემდებარება მხოლოდ ერთი ფორმით ხდება; კიდევ მეტი, მართვის უნარს არ უარყვით, როდეს-

საც ვამბობთ, რომ თანდებული მართავს სახელს ბრუნვაში (მათ შორის სახელობითშიც: კაც-ი-ვით, ლომ-ი-ვით.) და, თუ თანდებულს, უდებტერს, ამ ფუნქციას ვანიჭებთ, რატომ უნდა მოვაკლოთ ეს თვისება ისეთი ძლიერი კლასის და მრავალფეროვანი კატეგორიების მქონე სიტყვას, როგორც არის ზმნა? (დავითიანი, 1973, 89-91).

როგორც ირკვევა, გარდაუვალი ზმნის მორფოლოგიური სუბიექტი არ იმართვის ზმნა-შემასმენლის მიერ, რადგან იგი სახელობითში დგას და არ არის დაძრული. აკაკი დავითიანი ამის საწინააღმდეგოდ ქართულში დასახელების (ნომინაციის) ბრუნვად წრფელობითს მიიჩნევს. იგი მიუთითებს, რომ წრფელობითიდან დაიძრა და სახელობითი არის ქვემდებარის ბრუნვა. ჩვენი აზრით, წრფელობითი ქართულში არ არის ცალკეული ბრუნვა, იგი არის არამარკირებული სახელობითი. ასე რომ, ეს არგუმენტი არ გამოდგება.

ამ საკითხის გადაჭრას ცოტა სხვაგვარად შევეცდებით. სპეციალურ ლიტერატურაში მართვას განმარტავენ შემდეგნაირად: მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ, ან არ აქვს მოცემულ შემთხვევაში (კვაჭაძე, 1986, 22). თუ ამ განსაზღვრებიდან ამოვალთ, გამოდის, რომ ზმნა ყოველთვის მართვას სახელს ბრუნვაში. მნიშვნელობა არა აქვს რამდენპირიანია იგი. ზმნას აქვს მინიჭებული ის სინტაქსური ძალა, რომ ნებისმიერი სახელი, რომელიც მასთანაა დაკავშირებული, მართოს ბრუნვაში, რადგან ეს კატეგორია მას არ გააჩნია. თუ რელატიურ-გარდამავალ ზმნებში მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი მართულია ზმნის მიერ, რატომ არ უნდა მართავდეს იგი გარდაუვალი ზმნის მორფოლოგიურ სუბიექტს? ამის მიხედვით აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნაში ზმნა-შემასმენელი მართავს მორფოლოგიურ სუბიექტს ბრუნვაში, გვაქვს საურთიერთო მართვა, კოორდინაცია. ქვემდებარე არის დიდი კოორდინატი და არა მმართველი სახელი.

ხოლო რელატიურ-გარდამავალ ზმნაში გვექნება ორი დიდი კოორდინატი, რადგან მორფოლოგიური სუბიექტიც და მორფოლოგიური ობიექტიც ერთისა და იმავე სინტაქსურ ძალას ამჟღავნებენ.

არნ. ჩიქობავას თეორიის მიხედვით, პირდაპირი დამატება სამპირიან ზმნებში მეორე სერიაში უმცირესი კოორდინატი. ეს წესი არ ვრცელდება მთელ რიგ ზმნებზე:

და-გუ-აშორ-ნ-ა მან ჩვენ მას
და-გ-აშორ-ნ-ა მან თქვენ მას
და-ხ-აშორ-ნ-ა მან მათ

ამ ფორმებში პირდაპირი ობიექტის ნიშანიც და რიცხვიც არის გამოვლენილი, ამიტომ იგი არის დიდი კოორდინატი და არა მცირე.

ზმნაში აქტანტა ნულოვანი ალომორფების შემოტანის კვალობაზე, ახალ ქართულში კოორდინაციის თეორია განსხვავდება ძველი ქართულისაგან. ზმნა-შემასმენელსა და სახელებს შორის ასეთი სინტაქსური ურთიერთობები გვექნება.

1. ზმნა აბსოლუტურ-გარდაუვალია:

დგას იგი, კვდება იგი.

წინადადების მექანიზმს ქმნის საურთიერთო მართვა. ზმნა-შემასმენელი სახელს (სუბიექტს) მართავს ბრუნვაში (სამივე სერიაში სახელობითში დგას), ხოლო სახელი ზმნას მართავს პირში და ითანხმებს რიცხვში. მორფოლოგიური სუბიექტი არის ქვემდებარე და დიდი კოორდინატი.

2. ზმნა რელატიურ-გარდაუვალია: უკვდება იგი მას.

გვაქვს საურთიერთო მართვა. ძირითადი კოორდინატია ზმნა. სუბიექტი და ობიექტი ერთნაირ სინტაქსურ ძალას ამჟღავნებს. გვაქვს ორი დიდი კოორდინატი. სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში და მართავს პირში. ხოლო ზმნა მართავს სუბიექტს ბრუნვაში.

კაცი ეხმარება მას / კაცები ეხმარებიან მას

ობიექტიც ასეთ დამოკიდებულებაშია ზმნასთან. ობიექტის პირის ნიშანი ზმნაში რელიაზებულ არ არის, მაგრამ მას ნულოვანი ალომორფით აღვნიშნავთ:

კაცს 0-ეხმარება იგი / კაცებს 0-ეხმარებათ იგი

3. ზმნა რელატიურ-გარდამავალია:

ა) ორპირიანი: ის კლავს მას

ბ) სამპირიანი: ის სთხოვს მას

ორივე შემთხვევაში წინადადება აგებულია კოორდინაციაზე.

ა) დრო-კილოთა პირველ ჯგუფში სუბიექტი მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. ზმნა მართავს ბრუნვაში.

ის კლავს / ისინი კლავენ

სუბიექტი არის დიდი კოორდინატი. ობიექტიც დიდი კოორდინატია.

მას 0-კლავს ის / მათ 0-ხოცავს ის / თქვენ გ-ხოცავთ ის ობიექტი მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. ამრიგად, გვაქვს ორი დიდი კოორდინატი (სუბიექტი და ობიექტი), ზმნა არის ძირითადი კოორდინატი.

ანალოგიური სინტაქსური ურთიერთობებია დრო-კილოთა მეორე და მესამე ჯგუფებში.

ბ) ზმნა სამპირიანია: ის სთხოვს მას მას.

დრო-კილოთა პირველ ჯგუფში სუბიექტი და ირიბი ობიექტი არიან დიდი კოორდინატები, რადგან ზმნას მართავენ პირში და ითანხმებენ რიცხვში.

ის 0-0-უმენებს კაცს სახლს / ისინი 0-0-უმენებენ კაცს სახლს / ის 0-0-უმენებს-0 კაცებს სახლს / ის 0-გ-იმენებთ თქვენ სახლს

მსგავსი სინტაქსური ურთიერთობებია დრო-კილოთა მეორე ჯგუფშიც.

ამრიგად, თანამედროვე ქართულში სუბიექტი და ირიბი ობიექტი ყოველთვის დიდი კოორდინატებია. ისინი ერთნაირ სინტაქსურ ძალას ამჟღავნებენ. პირდაპირი ობიექტი კი ორპირიან ზმნებში წარმოდგენილია, როგორც დიდი კოორდინატი, ხოლო სამპირიანებში — მცირე კოორდინატი. როგორც ვხედავთ, უმცირესი კოორდინატი არა გვაქვს.

ლიტერატურა

ბუიძე, 1997 — დ. ბუიძე, მესამე პირის პირდაპირი ობიექტის გამოხატვა ქართულში. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1997.

დავითიანი, 1976 — ა. დავითიანი, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1976.

კვაჭაძე, 1986 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, „თბილისი“, 1986.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

უთურგაიძე, 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, „ქართული ენა“, თბილისი, 2002.

ჩიქობავა, 1926 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1926.

ჩიქობავა, 1946 — არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, I, თბ., 1946.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

მარინა სიორიძე

NANA SAKHECHIDZE

Syntactic Functions of Direct and Indirect Objects

Summary

In Modern Georgian the subject and the indirect object are strong coordinates revealing a similar syntactic force. The direct object in bipersonal verbs is also a strong coordinate, however, its force is weakened in tripersonal verbs. The coordinate with the least force is not evidenced.

მენტალური სტერეოტიპები და ნაციონალური მენტალიტეტი სამხაროს ენობრივ სურათში

„უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები უპირატესობას ანიჭებენ კომუნიკაციურ მიზნებს, კომუნიკაცია კი არის კულტურათა დიალოგის საფუძველი, რაც თავის მხრივ მოითხოვს მენტალიტეტის პრობლემის განხილვას კულტუროლოგიურ ჭრილში. ნაციონალური მენტალიტეტი წარმოადგენს ნაციონალური კულტურის შემადგენელ ნაწილს. ასეთი მიდგომა გარკვეულწილად რთულდება იმიტომ, რომ მენტალიტეტმა, ისე როგორც ტერმინმა „კულტურა“ ჯერ ვერ მიიღო ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია“ (ესინი, 1999: 3).

სტერეოტიპის ცნების განხილვა შეიძლება სხვა კულტურის ენობრივი და კულტურული თავისებურებების აღქმის ჩარჩოებში. სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები სტერეოტიპში გამოყოფენ იმ თავისებებს, რომლებსაც ისინი ხედავენ საკუთარი კვლევის სფეროს პოზიციიდან. ამიტომ გამოიყოფა სოციალური სტერეოტიპები, მენტალური სტერეოტიპები, პიროვნების აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები. ეთნოკულტურული სტერეოტიპები — ეს საერთო წარმოდგენაა ტიპურ თავისებებზე, რომელიც ახასიათებს რომელიმე ერს. გერმანული აკურატულობა, ჩინური ცერემონიები, აფრიკული ტემპერამენტი, იტალიური სიფიცხე, ფინელების სიჭიუტე, პოლონელების გალანტურობა, ესტონელების სიდინჯე, რუსების ალაღბელობა — სტერეოტიპული წარმოდგენებია მთელ ერზე, რომლებიც ვრცელდება თითოეულ მის წარმომადგენელზე.

ენა მჭიდრო კავშირშია კულტურასთან: ის ფესვადგმულია კულტურაში. ენა და კულტურა მუდმივ დიალოგში არიან, ისინი ურთიერთქმედებენ. ენას აქვს უნარი გამოხატოს მისი მატარებლის კულტურულ-ნაციონალური მენტალობა. ვ. ჰუმბოლდტი და ა. პოტბენია ამტკიცებენ, რომ ენა — ეს „სულიერი ძალაა“.

„უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ კულტურა წარმოადგენს... განსაზღვრულ სფეროს, რომლის შესწავლა საგანგებო მეცნიერებას მოითხოვს“, — წერდა ჩ.გ. ლოუი. უკანასკნელ წლებში საგრძობლად გაიზარდა ინტერესი კულტუროლოგიის მიმართ. კულტუროლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინას, საფუძველი XX საუკუნის შუა ხანებში ჩაეყარა. „კულტურის კვლევას ღრმა ფესვები აქვს. იგი მრავალი სხვადასხვა დარგის — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, კულტურული ანთროპოლოგიისა და სხვ. შესწავლის ობიექტია. იგი შეისწავლის ისეთ ფენომენს, როგორცაა ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ფასეულობების ერთიანობა, ანუ კულტურა. კულტუროლოგიის კვლევის ობიექტია კულტურებისა და მსოფლიო ცივილიზაციების განვითარების პროცესები, მისი კონკრეტული მემკვიდრეობის კანონზომიერებისა და ცალკეულ კულტურულ მონაპოვართა მსოფლმხედველობითი გააზრება“ (მასლოვა, 2001: 27).

ყველა კულტურას გააჩნია თავისი საკვანძო სიტყვები: გერმანელებისთვის — ეს სიზუსტე და წესრიგია; ამერიკელებისთვის — ინდივიდუალიზმი, პრივატულობა; იაპონელებისთვის — კოლექტივი, გუნდური მუშაობა და ა.შ. ყოფით ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ცხოვრებისეული უზუსტის ისეთ ფაქტებს, და შესაბამისად, ისეთ ენობრივ ფორმებს, რომლებიც დაგვანახებენ სხვა ხალხების თავისებურებას, სხვაგვარობას. უმეტესად ქვეცნობიერად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ფრანგები (ინგლისელები, გერმანელები, ამერიკელები, იტალიელები, ესპანელები, ფინელები, ესტონელები, ლატვიელები, რუსები და სხვ.) არსებობენ ჩვენს ცნობიერებაში მაშინ, როცა ჩვენს მენტალურ ჩვევებს შევადარებთ ან ვუპირისპირებთ სხვებისას. მაშასადამე, როცა გვსურს გამოვთქვათ აზრი, რომ ვიღაც სტუმართაგანი დაუმშვიდობებლად წავიდა, ჩვენ ვამბობთ „წავიდა ინგლისურად“; მასიურ არმონაწილეობას არჩვენებში განვმარტავთ როგორც „ხმის მიცემა იტალიურად“; ხოლო შედარებები: „პუნქტუალური, როგორც გერმანელი“ „ქარაფშუტა, როგორც ფრანგი“; „კონსერვატორი, როგორც ინგლისელი“, ან „პრაგმატული, როგორც ამერიკელი“ თავისთავად შემოვიდა ჩვენს სამეტყველო ჩვევაში და ჩვენთვის ეს კიდევ ერთი საშუალებაა შევადაროთ ჩვენი თავი სხვებს. ფრანგები, თავის მხრივ, მიმართავენ სხვა ხალხების უზუსტებს და მათ ენობრივ ცნობი-

რებაში არის მრავალი უცხოური სახე შემდეგი ტიპის: „**Boir comme un Suisse** // შევიცარიელივით სახლში მარტო ჩუმად დალევა; „**L'oeil américain** // სიტყვასიტყვით, ამერიკული თვალი, როცა ამბობენ ვინმეს გამჭრიახობაზე და მის უშეცდომო არჩევანზე, განსაკუთრებით ბიზნესში.

მენტალიტეტი შეიძლება გამოიხატოს სტერეოტიპების ფორმით ან კიდევ ამა თუ იმ ხალხზე ცრუ წარმოდგენებით. მართლაც, სტერეოტიპი არის ტიპური წარმოდგენა სხვებზე. ასე რომ, ჩვენთვის ფრანგები — ეს ის ხალხია, „ვინც ჭამს ბაყაყებს“, და კიდევ, ფრანგი — ეს არის „მამაკაცი ბერეტში და ილიაში ამოდებული გრძელი პურიით (**la baguette**)“.

ყოველი ერი ცხოვრობს გარკვეულ, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ტერიტორიაზე, რომელიც ცოტად თუ ბევრად განსხვავდება ნებისმიერი სხვა ტერიტორიისაგან სხვადასხვა მახასიათებლით: კლიმატი, პეიზაჟი, მეზობლები და ა.შ. ამ ფაქტების ერთობლიობა წარმოშობს უცხოურისაგან განსხვავებულ, საკუთარი სამყაროს აღქმას, შესაბამისად, ახდენს მენტალიტეტის ფორმირებას. ამ პროცესში მონაწილეობს ენაც, ერთი მხრივ, ექცევა რა გავლენის ქვეშ, და მეორე მხრივ, ახდენს გარკვეული ენობრივი რეაქციის ფორმირებას უჩვეულო გარემოში. ალბათ, ნებისმიერი ფრანგი, უცხოეთში მყოფი, იმ ქვეყნის ტერიტორიაზე რაიმეს ძებნის პროცესში, ისარგებლებს მითითებებით: „**Qui langue a à Rome va**“ და არა „კითხვა-კითხვით იერუსალიმს მივლენო“; „**Il cherche son âne et il est monté dessus**“, და არა „კაცი ცხენზე იჯდა და ცხენს დაეძებდაო“; „**La vérité est au fond d'un puits**“, და არა „გამოუდექ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო“ და ა.შ. სწორედ ამიტომ, ასეთი „გეოგრაფიული“ თუ სხვა სახის განსხვავებების გამოვლენა ენებს შორის ძალიან სასარგებლოა სხვათა მენტალიტეტის გასაცნობად.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მენტალიტეტის“ ცნებასთან ერთად ფართოდ გამოიყენება „მენტალობის“ ცნებაც. ამიტომ, ფრანგული, როგორც საკვლევი ენა (**langue-cible**) გულისხმობს ცნებების „მენტალიტეტი“ და „მენტალობა“ კონცეპტუალურ გამიჯვნას. ფრანგულ ენაში მენტალიტეტი და მენტალობა აღინიშნება ერთი სიტყვით „**mentalité**“. ფრანგულ სოციოლინგვისტურ ტრადიციაში (იბრაჰიმი, 1983; გოლდმანი, 1970; **Reboulet A.** 1964; ზარატე, 1982; **Mauchamp N.** 1995) განსახილველი ცნებები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „მენტალიტეტი“

გამოხატავს ერის სულიერი ცხოვრების სიღრმისეულ თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ფასეულობებსა და რწმენებს. ეს არის სუბიექტის (ფრანგი ერი) განზოგადებული სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გარემო და კულტურული პირობების მრავალგვარი ფაქტორების ისტორიულად გრძელი და მყარი ზემოქმედებით. მენტალიტეტი (ნებისმიერი) გამოიშვა ისტორიულად და გენეტიკურად, ის წარმოადგენს ერის სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ თავისებებისა და ხასიათის მყარ ერთობლიობას; ამიტომ, ამგვარი თავისებების ორგანული ერთობა საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ფრანგების მენტალიტეტზე, ინგლისელების მენტალიტეტზე, ამერიკელების მენტალიტეტზე და ა.შ. მენტალიტეტის ასეთი გაგება გამოიხატება ფრანგული სიტყვით „*mentalité*“ (მდედრობითი სქესი, მხოლოდობითი რიცხვი). მენტალიტეტი ფრანგულ უზუსტოდ უფრო ხშირად გამოიხატება სიტყვით „*mentalités*“ მრავლობით რიცხვში და გამოხატავს მოცემულ მომენტში მის კერძო, კონკრეტულ გამოვლინებას. მრავლობითი რიცხვი სწორედ ხალხის დიდი რაოდენობის მიერ ამ გამოვლინებების სიმრავლეს, ყოვლისმომცველობას აღნიშნავს — ყველა ფიქრობს და მოქმედებს ერთნაირად ანალოგიურ სიტუაციაში. ამიტომ არის ერთგვარი სხვაობები ცნებებში „*mentalité*“, როგორც ფრანგების აზროვნების წყობა, ზოგადად მათი მოქმედების წესი და „*mentalités*“, როგორც ამ აზრებისა და ქმედებების სინქრონული გამოვლინება კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად მოვიყვანოთ ორ სათაურს ჟურნალიდან „*Figaro-dimanche*“ (14.07.2000): „*Mentalité de la fête: il y a encore des Bastilles à prendre*“ (დღესასწაულის მენტალიტეტი: არის კიდევ ბასტილები, რომლებიც უნდა ავიდოთ — მხედველობაშია სირთულეების, რომლებიც ჯერ კიდევ დასაძლევია, მეტაფორული სახე და „*Mentalités des Français devant la pharmacie – priorité aux plantes médicinales*“ (ფრანგების მენტალიტეტი აფთიაქის წინაშე — სამკურნალო მცენარეების პრიორიტეტი).

ნაციონალური ხასიათისა და მენტალიტეტის მახასიათებლებში არსებობენ გარკვეული სტერეოტიპები, ზოგიერთი მათგანი ყოველი ერისთვის აზროვნებისა და ქცევის საკვანძო კატეგორიაა: ფრანგისთვის ეს სიყვარული, მოხდენილობა და „სალი გონება“, გერმანელისთვის — წესრიგი და დისციპლინა, იტალიელისთვის — ქარაფშუტობა, არტისტიზმი და მხატვრული მიდრეკილებები, ინგლისელისთვის — ჯენტლმენობა, ტრადიციონალიზმი და ერთგვარი ექსტრავაგანტუ-

რობა, ირლანდიელი — მოჩუბბარი და შფოთისთავია, ამერიკელი — მოძრავი და შემოქმედი, ინდიელი — განმჭვრეტ-უძრავი და ა.შ.

„კულტუროლოგიურ ასპექტში ნაციონალური ხასიათისა და მენტალიტეტის ძირითადი, ანუ განმასხვავებელი ნაციონალური თავისებების მქონე, ისეთი ცნებები და რეალიებია, როგორებიცაა: ოჯახი, მეგობრები, სამსახური, კოლექტივი, თავისუფლება, აღზრდა, აკრძალვები, ბრძანებები და ა.შ. მაგალითად, კულინარული ტრადიციები არა მხოლოდ გემოთი ტკბობაა, უპირველეს ყოვლისა, ეს ადამიანური ურთიერთობის ფორმაა, მეგობრების საუბარი. ეს ტრადიციასთან ზიარებაა, ანუ ის, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად ჩათვალოს თავი ფრანგად, ინგლისელად, იტალიელად, რუსად, ჩინელად, იაპონელად, ინდოელად, გერმანელად, ამერიკელად, ესტონელად, ფინელად და ა.შ.“ (შიბუტანი, 1999: 132)

ჩვენ განვიხილავთ მენტალიტეტს როგორც მოვლენას. ამიტომ, მნიშვნელოვანია მისი კავშირი და ურთიერთქმედება ენასთან. „ენა, როგორც სტრუქტურა, წარმოქმნის ნიშანთა გარკვეულ სისტემას, მოცემული კოლექტივის წევრებისთვის ცნობილი წესების შესაბამისად“ (ტერ-მინასოვა 2000: 262). ნიშნებად იწოდება ნებისმიერი მატერიალური გამოხატულება (სიტყვები, ნახატები, ნივთები და ა.შ.), რომელსაც აქვს მნიშვნელობა და გამოიყენება აზრის გადაცემის საშუალებად. აქედან გამომდინარე, კულტურას აქვს, ერთი მხრივ, კომუნიკაციური და, მეორე მხრივ, სიმბოლური ბუნება. ეს ნიშნავს აგრეთვე, რომ ნიშანიც და სიმბოლოც ექვემდებარება გარკვეულ ნაციონალურ-კულტურულ აღქმას. მაგალითად, ვლასპარაკობთ რა პურზე, მისი როგორც პროდუქტის მოხმარებაზე, ანუ ადამიანთან მის ფიზიოლოგიურ კონტაქტზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას აქვს გამოყენების ფუნქცია და არა მნიშვნელობის. მაგრამ, იესო ქრისტეს სიტყვები იოანეს სახარებიდან: „*Je suis le pain de vie. Celui qui vient à moi n'aura jamais faim, et celui qui croit en moi n'aura jamais soif*“ — (ბუკვ. „მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მოსულს არასდროს მოშივდება და ვინც მე მიწამებს არასდროს მოსწყურდება“) „მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მოსულს არც მოშივდება და არც მოსწყურდება“ (იოანე 6: 35), წარმოადგენს როგორც საგნის, ისე მისი აღმნიშვნელი სიტყვის რთულ სიმბოლურ მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: პური, როგორც ფიზი-

კური ობიექტი, წარმოდგენილი ქვეყანათმცოდნეობითი რეალობის აღსაქმელად, განსხვავებულია ფრანგისა და ქართველისთვის ფორმით, წონით, გემოთი, სუნით და ამგვარად, სხვაგვარად აღიქმება. ის ასევე „სხვაგვარი“ იქნება ენის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი ფონეტიკური შედგენილობა და სემანტიკური შინაარსი. მაგრამ, ზემოხსენებული სიმბოლოს თვალსაზრისით, მენტალობის ალგორითმის (აღქმა→შეფასება→მოქმედება) თანხვედრის ალბათობა იზრდება გარკვეულ პირობებში, მოცემულ შემთხვევაში, რელიგიური შეხედულებების მსგავსება. როცა ნიშანი ხდება სიმბოლო, ის აღქმის სექტორიდან გადადის შეფასების სექტორში. „მენტალიტეტი არის კულტურის ნაწილი, ხოლო კულტურის სფერო — ყოველთვის სიმბოლიზმის სფეროა. რადგან კულტურა, ერთი მხრივ — მემკვიდრეობით მიღებული ტექსტების განსაზღვრული რაოდენობაა, ხოლო სხვამხრივ — მემკვიდრეობით მიღებული სიმბოლოებისა“ (ბომბარდიე, 2000: 143).

საჭიროდ ვთვლით განვიხილოთ მენტალიტეტის გამოხატულების პრობლემა თარგმანში, რადგან თარგმანი — ესაა საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთ აუცილებელ და გარდაუვალ პროცესს, როგორცაა კულტურათა დიალოგი, სადაც ნაციონალური მენტალობა კულტურის ერთ-ერთი შემადგენელია. მენტალიტეტი მნიშვნელოვანწილად აისახება ენის პარემიულ ფონდში, ანუ ისეთ ენობრივ მოვლენებში როგორებიცაა: ანდაზები, გამოთქმები, ხატოვანი თქმები, ციტატები, შედარებები, ხალხური სიმღერები, ფოლკლორი, ზღაპრები და ა.შ. რომლებიც, როგორც წესი, მთარგმნელს უდიდეს პრობლემებს უქმნის. ერთი შეხედვით, გვეჩვენება, რომ პრობლემა მხოლოდ საქმის ტექნიკურ მხარეშია, კერძოდ, შესაბამისი ხატოვან-აზრობრივი ეკვივალენტების შერჩევაში, რომლებიც, როგორც წესი, უკვე არსებობენ ენებში. თუ დავეყრდნობით ეთნოფსიქოლოგიის მონაცემებს, რომლის თანახმად, წარმოსახვით უნდა გავხედოთ სხვა ადამიანები, სავსებით შესაძლებელია, რომ თარგმნის დროს გამოვიყენოთ კალკირების მეთოდი. ხშირად, ეს უკანასკნელი წარმოადგენს საუკეთესო ხერხს სხვათა მენტალიტეტის რეპრეზენტაციისათვის თარგმანის პრაქტიკაში. შევადაროთ ანდაზები: „Un âne peut aller à la Mecque, mais il n'en arrivera pas pèlerin” - „suleli sulelad darCeba“. თუ მოცემულ ანდაზას ვთარგმნით კალკით — „ვირი შეიძლება მექას წავიდეს, თუმცა იქიდან პილიგრიმად ვერ დაბრუნდება“, თარგმანს მიეცემა დამატებითი ინფორმაციული და აზრობრივი მნიშვნელობა. უკანას-

კნელი სასარგებლოა გამოცდილების მიღების თვალსაზრისით, რომელიც დამახასიათებელია სხვა კულტურისათვის. სავარაუდოა, რომ მსგავს სიტუაციაში, თარგმანის რეციპიენტი ავტომატურად მოიპოვებს სხვაგვარ მენტალურ გამოცდილებას.

დაბოლოს, ნაციონალური მენტალიტეტი კულტუროლოგიურ ასპექტში გამოხატავს ერის სულიერი ცხოვრების სიღრმისეულ თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ფასეულობებსა და რწმენებს. ეს არის სუბიექტის განზოგადებული სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გარემო და კულტურული პირობების მრავალგვარი ფაქტორების ისტორიულად გრძელი და მყარი ზემოქმედებით. ნაციონალური მენტალიტეტი გამომუშავდა ისტორიულად და გენეტიკურად, ის წარმოადგენს ერის სოციალურ-ფსიქიკური თვისებებისა და ხასიათის მყარ ერთობლიობას.

ლიტერატურა

- ბომბარდიე, 2000** — Bombardier D.Lettre ouverte aux Français. Paris. 2000. p.143.
- გოლდმანი, 1970** — Goldmann,L. Structures mentales de la création culturelle.Paris. 1970. p.148.
- ესინი, 1999** — Есин, А.Б. Введение в культурологию. М. Издат. центр «Академия», 1999. с.216.
- ზარატე, 1983** — Zarate, G. Objectiver le rapport «culture maternelle/culture étrangère»/ 1983, p.34-39.
- იბრაჰიმი, 1983** — Ibrahim, A. Nouveaux stéréotypes populaires // Le français dans le monde,1983. p. 95-102.
- კლოდ ლევი-შტრაუსი, 2003** — Claude Levi-Straus. Anthropologie structurelle. La pensée sauvage. P., 2003.
- კულტუროლოგია. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003. გვ. 10-27.
- მასლოვა, 2004** — Маслова В.А. Лингвокультурология. Академия, М., 2004. с. 74-85.
- შიბუტანი, 1999** — Шибутани, Т. Социальная психология. Р-н-Д: Феникс. 1999. с. 539.
- ტერ-მინასოვა, 2000** — Тер-Минасова, С. Г. Язык и межкультурная коммуникация. М: Слово, 2000. с. 262.

1995 — Mauchamp, N. Mentalités et comportements. P., Clé International, 1995. p.238.

Reboulet A. L'image de la France à l'étranger: comment on voit le Français // 1964 p.15-20.

Dictionnaire des citations françaises. Larousse. Paris, 1994.

Le Petit Robert. Dictionnaire de la langue française. Paris. 2000.

Pont-Humbert C. Dictionnaire des symboles, des rites et des croyances. Paris. 1998.

MARINA SIORIDZE

Mental Stereotypes and National Mentality in the Language Picture of the World

Summary

Mental stereotypes and national mentality of a particular ethnos reflected in the language picture of the world contain the spiritual depth, values and beliefs of the given nation, It has been socially, culturally, historically, genetically and geographically conditioned; it embraces the nation's social and psychological peculiarities and the national character. The national mentality is revealed in stereotypic patterns of behaviour and modes of thinking.

ნათალია სურგულაძე

საბაზემო სტატიების სათაურების საინფორმაციო- კომუნიკაციური ფუნქცია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მის) თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში დინამიკური ახალი ამბების უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო არხად იქცა. ზოგიერთი ლინგვისტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის ტექსტებს მიაკუთვნებენ პოლიტიკურ ლინგვისტიკას, რომლის საგნადაც პოლიტიკურ კომუნიკაციას მიიჩნევენ (ჩუდინოვი, 2006, 6). დღის მოვლენების საგაზეთო სტატიებში აღწერის დინამიკური ეფექტის შექმნაში უმნიშვნელოვანეს როლს სათაურები ასრულებენ. ისინი ტექსტის მთავარ აზრს გადმოსცემენ, მაგრამ ეს აზრი ყოველთვის ექსპლიციტურად არ არის სტრუქტურირებული. კერძოდ, ის შეიძლება საკმაოდ მრავალსიტყვიანი იყოს. ასეთი ტიპის დასახელებებს განეკუთვნებიან ფრანგული საგაზეთო სტატიების სათაურებიც, რომლებიც საკმაოდ ინფორმაციულია (კრუჩინკინა, 2007, 48-51). უმრავლეს შემთხვევაში მათ დინამიკური, პროცესული ბუნება აქვთ: *Une découverte génétique qui révolutionne la science (Le Monde)*. *Collision aérienne dans le ciel allemand (Le Figaro)*. *Départs en "colo": trois semaines sans parents (LeVoix du Nord)*.

უკვე სტატიის სათაურში შეიძლება გადმოცემული იყოს აღსაწერი მოვლენის ბუნება, და ხშირად მათი მონაწილეთა სახელებიც კი: *Jospin sort du maquis (Le Parisien)*. *La Russie espère ne pas avoir à faire usage de son droit de veto (Le Monde)*. *France Télécom: pertes record, Michel Bon démissionne (Le Figaro)*. სტატიათა მოვლენური, პროცესული ბუნება ობიექტივირებას პოულობს ტიტრის სინტაქსური სტრუქტურის მეშვეობით, რომელიც აღწერილი მოვლენის სემანტიკურ სტრუქტურას გადმოსცემს.

სათაურის მოვლენური სტრუქტურის ანალიზი ინფორმაციის პრეზენტაციის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. *Bush somme l'ONU d'agir en Irak (Le Figaro)*. *Les socialistes tentent de résister à la déferlante*

sarkozyste (Libération). Ykea veut lâcher habitat (Le Parisien). მოცემულ სათაურებში, რომელთაც პროპოზიციური სტრუქტურა აქვთ, რაც კლასიკური, ორშემადგენლიანი წინადადების სტრუქტურას იმეორებს, წარმოდგენილია აქტიური მოქმედი სუბსტანციები-მოქმედების აგენტები: პირველ წინადადებაში სახელმწიფოს ოფიციალური პირი (Bush), მეორე წინადადებაში საფრანგეთის პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები (Les socialistes), მესამე წინადადებაში მოქმედების აგენტი წარმოდგენილია მეტონომიური სახელცვლით (გადარქმევით) -Ykea. ამ შემთხვევაში მოქმედების აგენტის ფუნქციას ასრულებს ცნობილი ფირმის სახელწოდება, რომელიც მეტონომიური მნიშვნელობით იხმარება სინტაგმის La direction de l'Ykea სინტაქსური შეკვეცის ოპერაციის შედეგი. ასეთი სინტაგმატურად განპირობებული მეტონიმია გვხვდება საგაზეთო სტატიების სათაურებში (კრუჩინკინა, 2005: 39-43): Le conseil d'Etat rendra demain sa décision sur la demande de la CFTC (Le Figaro). Pékin menace Washington (Le Nouvel Observateur). "Le Figaro" réfléchit à une modification de son format (Le Monde).

მეტონომიზაციის ხერხების ეს ნაირსახეობა დაკავშირებულია რედუქციასთან, და, შესაბამისად, ენობრივი გამოხატულების ეკონომიასთან. რაც ძალიან მნიშვნელოვანია საგაზეთო სათაურის დინამიკისთვის. სემანტიკურად მჭიდრო ინფორმაცია დადის მინიმუმამდე, ერთ ლექსემამდე: Paris lance son label "sans tabac" pour les cafés, hôtels, et restaurants (Le Figaro). Moscou accroît son hégémonie sur son fief de la CEI (Le Monde). L'Assemblée a voté l'égalité salariale (Le Nouvel observateur).

სტრუქტურულად გავრცობილ მოვლენებთან ერთად, რომლებიც სათაურებში პროპოზიციური სტრუქტურებითაა წარმოდგენილი: (Nous avons découvert un continent biologique (Le Monde); American airlines supprime 7000 emplois (Le Parisien); Ben Laden affole l'Amérique (Le Figaro), არის ნაკლებად სტრუქტურირებული მოვლენებიც: Moulins: une école qui bouge (La Voix du Nord). Les mots tombent, les marins galèrent (Le Figaro). Wall Street stagne, l'Europe progresse (Le Monde).

ხშირად სათაურების როლში პროპოზიციულ სტრუქტურათა ნაცვლად ვხვდებით არაპოზიტიურ სინტაგმებს (სიტყვათწყობებს): 1) Chasse à l'homme après le braquage de la bijouterie (Le Parisien). 2) Aide américaine officielle (La Voix du Nord). 3) La découverte de la fragilité (Le Figaro). მაგრამ ისინი სათაურს დინამიკურ პროცესულ ბუნებას ანიჭებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ისინი რედუცირებული წინადადებებია,

რომელნიც აქტიურ მოვლენებს ასახელებენ (არუთინოვა, 1976:136-139): 1) Après le braquage de la bijouterie on chasse à l'homme . 2) Les USA aident officiellement le pays. 3) On découvre la fragilité. ასეთ სიტყვათწყობებში მოქმედება წარმოდგენილია მოქმედების სახელებით — ე. წ. მოვლენითი არსებითი სახელებით: chasse, braquage, aide, découverte. მოვლენითი სათაურები ხსნიან სტატიის თხრობით ტექსტს .

სათაურის საინფორმაციო-კომუნიკაციური ბუნება მჭიდრო კავშირშია სტატიის ტექსტის ტიპთან და, ფაქტობრივ, წარმოდგენილი მოვლენის ტიპთან. დინამიკური ხასიათის სათაურები ტექსტის თხრობით ტიპში ექსპლიციტირდებიან. მოვლენათა, თვისებათა, მდგომარეობათა აღწერა ჩვეულებრივ გადმოიცემა სინტაქსური სტრუქტურებით, რომელთა შემადგენლობაში შედის სახელწმინდები, ზმნის პასიური ფორმა: Un autre monde est possible n'est pas un ornement. (Le Monde). Vos enfants, sont-ils bien soignés en colo? (Le Parisien).

La culture n'est pas un ornement (Le Figaro). შინაარსობრივად ისინი აღნიშნავენ დესკრიპციული ტიპის ტექსტს. ასეთი სათაურები მკითხველს წინასწარ განაწყობენ აღწერით, აღწერით-მახასიათებელ ან აღწერით-გამაიგივებელ შინაარსზე. თუკი გაზეთის პირველი გვერდებისთვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია დინამიკური ხასიათი, რომელიც ყოველდღიურ აქტუალურ მოვლენებს ასახავს, ამ დროს არადინამიკური ხასიათი ძირითადად გაზეთების მეორე ნაწილში გვხვდება. ესენია სტატიები-პიპოთეზები, სტატიები-დესკრიპციები არა დღის, არამედ სეზონის, სამყაროს მდგომარეობის შეცნობის, ჩვენი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური ცხოვრების და ა.შ. ერთ-ერთი სფეროს სტატუსის და სხვ. მოვლენებისა: MMédecine française : la grande illusion (Le Monde). Il y a aussi des génies à l'université (Le Figaro). Etudiants, génération sans abri. (Libération).

ამგვარად, მკითხველისათვის სტატიის შინაარსის, მისი შინაარსის სტრუქტურისა და ტექსტის ტიპის დეკოდირება სათაურიდანვე იწყება. ნომინატორი (სტატიის ავტორი) მიზნად ისახავს მკითხველს საშუალება მისცეს სათაურის მეშვეობით ადეკვატურად განსაზღვროს სტატიის შინაარსი, ამ შინაარსის კომპოზიციური სტრუქტურის გახსნა და ტექსტის ბუნება (თხრობითი, დესკრიფციული და ა.შ.. (კრუჩინკინა, 2007: 28-32). სავსებით ბუნებრივია, რომ ყურნალისტი, როგორც სტატიის დაწერისას, ასევე მისი დასათაურების დროსაც ითვალისწინებს არა მხოლოდ სტატიის ინფორმაციულ შედგენილო-

ბას, არამედ მის აქსიოლოგიურ მხარესაც, რაც დამოკიდებულია გაზეთის ადრესულობაზე საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილზე, ამ ნაწილის ფასეულობრივ საზოგადოებრივ ორიენტაციებზე. პრესის პრაგმატულ მიმართულობას მსმენელზე, რეციპიენტზე მ.მ. ბახტინმა ადრესულობა უწოდა (ბახტინი, 1986: 290-291). კონკრეტულ ადრესატზე მიმართება ნებისმიერი კომუნიკაციური საქმიანობის აუცილებელი პირობაა. ამიტომ ჟურნალისტი რეზულტატიური კომუნიკაციისთვის უნდა ითვალისწინებდეს, თუ რამდენადაა მკითხველი (ადრესატი) „...გათვითცნობიერებული სიტუაციაში, გააჩნია თუ არა მას სპეციალური ცოდნა ურთიერთობის მოცემულ სფეროში, მისი შეხედულებები, აზრები, რწმენები...“, მისი სიმპატიები და ანტიპატიები - ყოველივე ეს ზომ განსაზღვრავს შემდგომში აქტიურ საპასუხო გაგებას“ (ბახტინი, 1986, 291).

ლიტერატურა

არუთინოვა, 1976 — Арутюнова Н. Д. Предложение и его смысл. – М., 1976.

ბალი, 2001 — Балли Ш. Французская стилистика.- М., 2001.

ბახტინი, 1986 — Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. – М., 1986.

კრუჩინკინა, 2003 — Krounchatkina N. Moyens grammaticaux de la métonymisation des substantifs // XVII-e Congrès International des Linguistes. Résumés. –Prague, 2003.

კრუჩინკინა, 2005 — Кручинкина Н.Д. Метонимия в газетных и журнальных публицистических статей.-Саранск, 2005.

კრუჩინკინა, 2007 — Кручинкина Н.Д. Формирование коммуникативной композиции: оптимизация работ с текстом. – М., 2007.

ჩუდინოვი, 2006 — Чудинов А.П. Политическая лингвистика. – М., 2006.

დამატებითი ლიტერატურა

Le Monde

Le Nouvel Observateur

Le Figaro

La Voix du Nord

Le Parisien

Llibération

NATALIA SURGULADZE

The Informational/Communicative Function of Newspaper Headlines

Summary

For a newspaper reader the decoding process of a newspaper article, its type structure and content starts from the headline. By means of a headline the reporter aims to help the reader adequately perceive the article, state its content and compositional structure. Some headlines are multi-word, and quite informative; the analysis of their propositional structure might serve as a prognostic means for news presentation.

Newspaper headlines are characterized by a propositional structure realized by active substances or a metonymic alteration. Metonymisation is connected with reduction, i. e. semantically dense information is reduced to minimum, sometimes to one lexeme. Quite frequently headlines are expressed by non-positive syntagms that make them sound dynamic.

ნანა სტამბოლიშვილი, ანზორ აბუსერიძე

სიტყვების ახლებურად ბაზრების მოტივები დიაქრონულ ზრდაში

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის პროცესი, რომელიც უშუალო კავშირშია საგნებისა და მოვლენების ცვლასთან, დროთა განმავლობაში მიმდინარეობს. მნიშვნელობის ცვლის ფაქტორებს ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ: გარეენობრივი (ექსტრალინგვისტური), სადაც მნიშვნელობის ცვლის მიზეზები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას უკავშირდება თავისი მრავალმხრივი ასპექტით, რომელიც წარმოქმნის ახალ ცნებებს; იცვლება საგნები, ადგილი აქვს გაცვლით ურთიერთობებს ძირითად და სპეციფიკურ ლექსიკას შორის (მას „სოციალურ მიზეზებსაც“ უწოდებენ) და შიდაენობრივი (ინტრალინგვისტური), როცა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის სიტყვას ერთმანეთთან დამოუკიდებლად შეუძლიათ შეიცვალონ გამოხატვის ფორმა, თუმცა შინაარსი იგივე დარჩეს.

მნიშვნელობა შეიძლება მრავალ ასპექტში წარმოვიდგინოთ. ზოგიერთი ენათმეცნიერი დენოტატს განიხილავს როგორც ერთ მთლიანობას. დენოტატის ქვეშ იგულისხმება ენობრივი ერთეულის (სიტყვის) ცნებითი შინაარსი ან მოსაუბრის მიერ საგნის დასახელება. მნიშვნელობის შეცვლა კი შეიძლება გამოიწვიოს დროთა განმავლობაში აღნიშნული დენოტატის ცვლამ, ასე მაგალითად, სიტყვა «die Häuser» დღეს სხვა მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, ვიდრე ასი წლის წინ. «Haus»-ის მნიშვნელობის ცვლა შესაძლოა სწორედ პროტოტიპული სემანტიკის მიხედვით მოხდა. ს. ულმანი (ულმანი, 1957) განიხილავს რა სემანტიკის პრინციპებს, მიუთითებს «substitu-ciebbe», სადაც ამბობს, რომ ბგერითი შემადგენლობა იგივე რჩება, მაგრამ ხდება მნიშვნელობის «გაცვლა».

ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი ზუსტი კონოტაცია ჰქონდა ადრე სიტყვას. რაც უფრო მეტადაა ეს დროის მონაკვეთი ჩვენგან დაშორებული, მით უფრო რთულია მისი ზუსტი მნიშვნელო-

ბის დადგენა. ამის შესახებ არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნავს ჰიპო-ლიტე ტაინე. ის ამბობს, რომ რენესანსის ეპოქაში სიტყვა «Baum»-ზე უფრო ამომწურავ და ხატოვან სურათს წარმოვიდგენდნენ, ვიდრე ეს ჩემს თანამედროვეებს შეუძლიათ გააკეთონ. (დუზე, 1989). ერთია, როცა აღნიშნული დენოტატი ფაქტიურად განიცდის ცვლილებას, იცვლება ჩვენი წარმოდგენა თუ ცოდნა აღნიშნულის შესახებ. მაგალითად, სიტყვა «Schiff»-ის მნიშვნელობა არ იცვლება საჭიროების მიხედვით მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე გემები მეტალისგან და არა ხისგან მზადდება და დიზელის მოტორებით და არა ორთქლის ენერჯით მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა «Größeres Wasserfahrzeug» რჩება როგორც პირველადი და ხელშეუხებელი მნიშვნელობა, როგორც ადამიანების ტრანსპორტირებისა და ტვირთის გადაზიდვის საშუალება, მაგრამ სიტყვა «Haus» მხოლოდ იმიტომ იცვლის მნიშვნელობას, რომ დღეს სახლები უმეტესწილად ბეტონისაგან და არა ქვისა და ხისგან შენდება, მაგრამ ფუნქცია (შენობა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ) შემდეგშიც იგივე რჩება. «Der Bleislift» (ფანქარი), გვაძლევს შედარებით კონსტანტურ ზოგად მნიშვნელობას. იგი დღეს, როგორც საწერი საშუალება, მზადდება არა ტყვიისაგან (Blei), არამედ გრაფიტისაგან. მაგრამ მართო ამის გამო მისი მნიშვნელობა არ შეცვლილა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, რისგანაც იგი მზადდება, არამედ თვით ხელსაწყოს ფუნქცია, თუნდაც ის სხვა საწერი საშუალებების საპირისპიროდ ზღვარსაც ქმნიდეს... მაგალითად, Kugelschreiber, Füllfederhalter და ა. შ. Der Stuhl თავდაპირველად ნიშნავდა მოსამართლის სკამს, საერთოდ კი „სკამს“ მივაწერთ დასაჯდომი ადგილის მნიშვნელობას. „მაგიდა“ (der Tisch) რჩება მაგიდად, მაშინ როცა მას ოთხის ნაცვლად შეიძლება რვა ფეხი ჰქონდეს; რადგან რვაფეხიან მაგიდას განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება, მაშინ საუბარია „რვა ფეხის მქონე მაგიდის მსგავს ავეჯზე“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მნიშვნელობის ცვლა ხდება არა მაშინ, როცა საგნის დასამზადებელი ახალ მასალას ვიყენებთ, არამედ მაშინ, როცა იცვლება დასახელებული საგნის ფუნქცია.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის თანახმად, ყოველთვის არ ხდება ლექსემატური კონსტელაციის გადაწევა (იგულისხმება ოპოზიციები სემანტიკურ ველში). საგნის მნიშვნელობის ცვლის დროს იცვლება რეფერენტი და არა მნიშვნელობა. საგნებს შორის ასეთი განსხვავე-

ბის საფუძველზე წარმოიქმნა ძველი ინგლისურიდან «hus», böc»-ახალ ინგლისურში «house», «book», ისე, რომ არ შემოსულა მნიშვნელობის არანაირი ოპოზიცია. გარეენობრივი ასოციაციები, რომელთაც აღნიშნული ობიექტი იწვევს, არ შეიძლება შეიცვალოს თვით აღნიშვნით (ნიშნის მნიშვნელობით). ასე მაგალითად, ხარი (Ochse) შეიძლება ასოცირდებოდეს ძროხასთან (Kuh), ბოსელთან (Stall), უღელთან (Joch), ნებთან (Mist), გლეხის ეზოსთან (Bauerhof) და ა.შ. მაგრამ მას არანაირი კავშირი არა აქვს იმ ასპექტთან, რომლითაც ჩვენ სხვადასხვა ცხოველს როგორც ხარებს (Ochsen) ენობირვად ვიაზრებთ. ანალოგიური შეგვიძლია ვთქვათ ინდივიდუალურ რომელიმე ჯგუფისთვის სპეციფიკურ ასოციაციებზე. გარეენობრივი ასოციაციის დროს გამოყოფთ ასპექტის იმ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც დენოტატად მოვიხსენებთ. პერცეპციის დროს არსებული ფაქიზი ნიუანსები და განსხვავებები, ისე როგორც მგრძობიარე ან ეთიკური პოზიციები, შეიძლება დაფარული იქნას იდენტურობის ზედაპირული შთაბეჭდილებით. ასე, მაგალითად, სიტყვა «Vater» (მამა) — ეკუთვნის ინდოგერმანული ლექსიკის ყველაზე კონსტანტურ გამონათქვამს, მაგრამ მისი აზრობრივი შინაარსი ყოველთვის უცვლელი არ არის დარჩენილი ლათინურ ენაში „pater“ უფრო სოციოლოგიურ, ვიდრე ბიოლოგიურ ურთიერთობაზე მიგვითითებს. პატრიარქალურ საზოგადოებაში ის იყო უპირატესად ოჯახის უფროსი «pater families», რომლის საპირისპიროდ სისხლით მამობა უფრო სიტყვებით «parens» ან «genitor»-ით გამოიხატებოდა. ამგვარი სემანტიკური გადაწყვეტა, რომლებიც ყოველთვის არ ქმნის ახალ ლექსებურ ოპოზიციებს, დიაქრონული სემანტიკის კვლევის სფეროა და იგი თავდაპირველად უმეტესწილად კოლოკაციების გადაწყვეტაში გამოიხატებოდა, რომლებიც სტრუქტურული მეთოდებით არ განიხილებოდა.

გარე სამყაროს უშუალო ცვლილებების გარეშე შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს ნიშნის მნიშვნელობა, სახელდობრ კი, გამოყენებული კონტექსტების (კოლოკაციების) და თვით ამ კონტექსტების მნიშვნელობაზე გავლენით. ეს დიაქრონული თვალსაზრისით განვითარების პროდუქტად ჩაითვლება. კოლოკაციები, პირველ რიგში კი, განმარტებითი ნიშნის მქონე კოლოკაციები მუდმივად განიცდის ცვლილებას. იგი მუდმივი მნიშვნელობის ცვლით და მეზობელი სიტყვისგან გამიჯნით (ე. წ. სემანტიკურ ველში) არის განპირობებული: ჯერ ფიქრობდნენ ან მხოლოდ ზედსართავი სახელების გამიჯ-

ვნას. schön-hübsch-niedlich და ა.შ. ინგლ. beautifull-nice-handsome, ან ზმნების anfordern-verlangen-wünschen, ინგლ. ask request-call for-ask for და ა.შ., რომელთა ისტორიული განვითარების შემოწმება შესაძლებელია.

არც ერთი დროის მონაკვეთისთვის არ არის მყარი ნიშნის მნიშვნელობა. მუდმივად და შეუმჩნეველად იცვლება ნიშნის გამოყენების „გარეთა საზღვრებიც“, იცვლება თავად ასპექტიც, რომლის ქვეშ დენოტატი იგულისხმება. რომელიმე ნიშნის (უპირველეს ყოვლისა, განმარტებითი ნიშნის) მნიშვნელობის მთლიანობა არ არსებობს. გამოყენების სიხშირე და მნიშვნელობის განვითარება ისე უკავშირდება ერთმანეთს, რომ როცა განმარტებითი ნიშანი გამოყენების სიხშირესთან ერთად იზრდება, ხდება მოსაუბრისა და მსმენელის მხრიდან მნიშვნელობის არახუსტი, ახლებური გააზრება; ასე ადვილად იკარგება მნიშვნელობის ე.წ. სუბიექტური (განმარტებითი) ელემენტი; მაგალითად, *afeqturi toll!* - მისი ჰიპერბოლური გამოყენებისგან დაცლილია, მხოლოდ იმიტომ, რომ მსმენელმა იგი „ძალიან კარგი“ „ფანტასტიკურის“ (*sehr gut*) მნიშვნელობით გაიაზრა და გამოიყენა. როცა გამბობთ „სამუშაოზე მივიჩქარი“ — „*raze*“, მსმენელი მას იაზრებს «სირბილის» «სიჩქარის» (*laufen, eilen*)-ის მნიშვნელობით, ასე დაკარგა ალბათ ლათინურმა *vadere „schreiten“* (გადაბიჯება)-მ თავისი ექსპრესიულობა, ან ფრანკონულში «*laufen*» (სირბილი) თავისი მნიშვნელობით „*gehen*“-ს (წასვლა) — დაუახლოვდა. მეტაფორის გაბუნდოვნებაც უშუალო კავშირშია გამოყენების სიხშირესთან, ხშირი გამოყენებით იგი ნორმალური აღნიშვნის ტოლფასი ხდება და კარგავს მის მოტივაციას, შესაბამისად მის ლექტიმოლოგიურ მნიშვნელობას.

უნდა აღვნიშნოთ პოლისემიის შედეგად სიტყვის მნიშვნელობის თანდათანობითი ცვალებადობის პირობები, როცა ხდება განსაზღვრულ კონტექსტში მნიშვნელობის ახლებურად გააზრება (წარმოიქმნება პოლისემია) და იგი ამ მნიშვნელობით სხვა კონტექსტში გამოიყენება, რასაც ჩვენ პირობითად მნიშვნელობის კონტექსტუალურად ცვლას ვუწოდებთ. თუ როგორ ხდება კონტექსტში მნიშვნელობის ცვლა, ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებში: მაგალითად, ზმნა „*sehen*“ (დანახვა) სხვადასხვა ინტერპრეტაციას იღებს, რის შედეგადაც ვიღებთ შემდეგ მნიშვნელობებს, რომელთა ანალოგიები, არა მარტო გერმანელისთვისაა მონათესავე, არამედ ქართულ ენაში მოიპოვება. *Ich sehe*-ვხედავ, ვრწმუნდები, მესმის, ვხვდები შეგ.

ინგლისური I see- (არა მარტო ვხედავ, არამედ სხვა ენებთან ანალოგიურად: მესმის, ვრწმუნდები, ვხვდები გასაგებია და ა.შ. შევადაროთ კონტექსტში:

Sehen - Ich sehe, dass du sauber gemacht hast - ich sehe (stelle fest), dass du fleißig gewesen bist - ich sehe (versteh), das ebenso, Sev. ing I see your point. Ich sah ihn gestern im Büro - ich sehe (treffe) ihn morgen im Büro.

განსაკუთრებით პოლისემურობა ახასიათებს ზმნა «finden»-ს; კონტექსტუალურად იგი შემდეგ მნიშვნელობებს იღებს: „პოვნა-შეხვედრა-მოწონება“. Finden: Ich werde das Gebäude finden - ich werde ihn finden (antreffen) - ich finde (mir gefällt) das toll.

ზმნების ანალოგიურად ხდება კონტექსტში არსებითი სახელების მნიშვნელობის ცვლა. საინტერესოა თუ რა მნიშვნელობებს იღებს არსებითი სახელი „Menge“- „სიმრავლე, დიდძალი, უმარავი, უთვალავი, აუარება“. მაგ: უთვალავი ფული - დიდძალი ფული - აუარება (ურიცხვი) ბავშვი - ბევრი დანაშაული. (Eine Menge Geldstücke - eine Menge Geld - eine Menge Kinder – eine Menge Schulden).

არსებითი სახელი „Haufen“ კი შემდეგ მნიშვნელობებს იღებს: „გროვა, ხროვა, უამრავი“. მაგ: მონეტების გროვა- ფულის გროვა- უამრავი (აუარება) საზრუნავი (Ein Haufen Münzen- ein Haufen Geld- ein Haufen Sorgen). საინტერესოა არსებითი სახელის „die Grenze“ მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. იგი შეიძლება გადატანითი მნიშვნელობითაც იქნეს გააზრებული. მნიშვნელობები კონტექსტის მიხედვით შემდეგნაირად ვითარდება „საზღვარი- ნაპირი- ზღვარი“. მაგ: საზღვრამდე მიღწევა- საზღვარზე (ნაპირზე) გავლა- კარგი გემოვნების ზღვარზე. (An die Grenze gelangen – an die Grenzen (Rand) gehen; an der grenze des guten Geshmacks). ანალოგიურად ხდება ზედსართავი სახელების ან ზმნიზედების მნიშვნელობების ცვლა. აქ შეიძლება ისეთი მაგალითების მოყვანა, სადაც ახლებურად გააზრების შედეგად ძველი ლექსემური ნიშანი გრამატიკულ სახეს იღებს (arg-sehr u.a.) მაგ: ზედსართავი სახელი „arg“- „ცუდი, ბოროტი“ იღებს სხვა ინტერპრეტაციას უფრო მეტად სასაუბრო გერმანულში „ძალიან, ძლიერ“. მაგ: ის ძლიერ ავდაა, ის ძალიან გახარებულია. (Er ist arg krank-er ist arg (sehr) froh). ასევე, ზედსართავი სახელი „viel“- (ბევრი) იღებს შემდეგ მნიშვნელობებს: „ძალიან, ხშირად“. მაგ: ის ძალიან დაკავებულია- ის ხშირად არის ავად (Er ist viel beschäftigt- er ist viel (oft) krank).

საინტერესოა ზედსართავი სახელის „hübsch“ მნიშვნელობის ცვლა კონტექსტში. მისი ძირითადი მნიშვნელობაა: „მშვენიერი, საუცხოო“, მაგრამ ზმნიზედის სახით თუკი მას გამაძლიერებელი მნიშვნელობაც ენიჭება, იღებს შემდეგ მნიშვნელობებს: „ძალიან, საკმაოდ“ (hübsch- sehr, ziemlich“). მაგ: საუცხოო მუსიკა- საუცხოოდ დაკვრა- იყავი ძალიან ყურადღებით! (Ein hübsches Stück (Musik) – hübsch spielen – sei hübsch artig!).

როგორც ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, ხდება აზრის, კერძოდ კი, განსაზღვრული დენოტაციის ინტერპრეტაცია, რომელიც შემდეგ ახალი მნიშვნელობით სხვა კონტექსტში გამოიყენება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით იკარგება დამახასიათებელი ნიშანი. საინტერესოა ისიც, რომ ასეთ ახლებურად გააზრებას უფრო მეტად ზმნებთან და იშვიათად არსებით სახელებთანაც ვხვდებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზმნები უფრო მეტად ინტერპრეტაციულ (გააზრებით) თვისებას ამჟღავნებენ, ვიდრე არსებითი სახელები. გარკვეული აზრით ჩვენ მიერ განხილული პოლისემიური სიტყვები მეტონიმებადაც მოიაზრება, მაგრამ ეს ტერმინი საზოგადოდ იხმარება მხოლოდ გარკვეული არასრული და ხატოვანი მეტონიმების გამოყენებისას. მნიშვნელობის მეტონიმური გადატანა ხდება, როცა სიტყვა („Stadt“) გამოიყენება მცხოვრებლების მნიშვნელობით. მაგალითად: „die ganze Stadt war bestürzt“, ინგლ. „town and gown“ („Bürger“ und „Studenten“), როცა ჩვენ სიტყვა „Bau“ (ნაგებობა) პროცესიდან შედეგზე გადავავაქვს, როცა ლიტერატურული „Stil“ (სტილი) თავის მნიშვნელობას საწერი მასალისაგან „stilus“ იღებს, როცა „Trommel“ (დოლი) გამოხატავს არა მარტო ინსტრუმენტს, არამედ ამ ინსტრუმენტზე დამკვრელს- „Trommler“ (მედოლე). ამ შემთხვევაში გერმანულსა და ქართულში დენოტატი ემთხვევა Trommler- დოლი და მედოლე. ასეთი მეტონიმები არის შეგნებულად არასრული (მეტაფორული) გამოყენება ნიშნისა, რომელმაც შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს მოსაუბრესა და მსმენელს შორის.

ნიშნის კონტექსტუალურად ახლებურად გააზრების განსაკუთრებული შემთხვევა ულმანმა აღნიშნა სიტყვით „Contagion“- როცა ხდება ერთი ნიშნის მნიშვნელობის გადატანა სინტაგმაში მეზობელ სიტყვაზე (აქ არ წარმოიქმნება პოლისემია).

საინტერესოა თუ როგორ განვითარდა უარყოფის გამოხატვე-

ლი სიტყვა „ne-pas” ფრანგულიდან, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა „keinen Schritt” (არც-ერთი ნაბიჯი). ეს ფორმა დღესაც იხმარება სალაპარაკო გერმანულში. დროთა განმავლობაში კი ne (ლათ. „non” გამოიყენეს უარყოფის გამოსახატავად. შემდეგ „ne-pas” შეიცვალა უარყოფა „nicht“-ით, „pas“ გაიზარეს როგორც საერთო უარყოფის ნიშანი, რომელიც დღეს სასაუბრო ენაში ne-ს გარემეც გამოიყენება. იგი ვახდა ინტერნაციონალური და დღესაც გამოიყენება არაოფიციალურ საუბრებში, განსაკუთრებით ახალგაზრდები მიმართავენ მას; ქართულში გავიგონებთ: „მე პას“- მე არა, მე გამომრიცხეთ, მე არ მიგულისხმობთ“ და ა. შ. მნიშვნელობები.

ზოგიერთი მნიშვნელობის განვითარება შეიძლება მნიშვნელობის გაფართოების ან მნიშვნელობის შევიწროებით ავსახოთ. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ხასიათდება ინტენსივობის შესუსტებით და იმავდროულად ექსტენსიურობის გაზრდით, შესაბამისად მნიშვნელობის შევიწროება პირიქით - ინტენსიურობის გაზრდით და ექსტენსიურობის შესუსტებით. მაგალითად, ძვ. ზ. გერმანულში „fruowe „Herrin, Dame” ნიშნავდა „ქალს“ „ქალბატონს“: შემდეგ კი სიტყვა „Frau”-მ „მეუღლის“ მნიშვნელობა მიიღო. ძვ. ზ. გერმანულში „thing” „Gericht, Gerichtsache”- ნიშნავდა „სასამართლოს“ „სასამართლო საქმეს“, შემდეგ კი სიტყვამ მიიღო ფართო მნიშვნელობა «Sache, Ding» (საქმე, საგანი საერთოდ). როგორც მაგალითებიდან ჩანს, მნიშვნელობის გაფართოებამ შეიძლება წარმოადგინოს მოცემული ნიშნის უძველესი და თანდათანობითი განვითარება. ამის საწინააღმდეგოდ, მნიშვნელობის სფეროში სხვა ნიშნის შეჭრა. მაგალითად, ძვ. ზ. გერმანულში faran „reisen, sich bewegen” ნიშნავდა „მოგზაურობას, მოძრაობას“, შემდეგ კი, მნიშვნელობა შევიწროვდა და სიტყვა fahren-მა მიიღო მხოლოდ ტრანსპორტით გამგზავრების მნიშვნელობა.

ძვ. ინგლისურში steorfan „sterben”-ს (მოკვდომას) ნიშნავდა, შემდეგ განვითარდა starve „verhungern” (ე. ი. შიმშილით მოკვდომა).

ძვ. ზ. და შუა ზ. გერმანულში höchgezeit „Fest”, Hochzeit” ნიშნავდა (ზეიმი, ქორწილი“), შემდეგ მნიშვნელობა შევიწროვდა და უკვე მე-13 საუკუნიდან გამოიყენება მხოლოდ „ქორწილის“ მნიშვნელობით. მნიშვნელობის განვითარებას უკავშირებენ აგრეთვე მნიშვნელობის გაუმჯობესებას ან გაუარესებას. მნიშვნელობის გაუმჯობესება შეინიშნება შემდეგ მაგალითებში: ძვ. ზ. გერმანულში „sêro“ საშ. ზ. გერმანულში „sêre“- ნიშნავდა „schmerzlich” (მტკივნეული), მაგრამ

უკვე მე-13 საუკუნიდან საშ. ზ. გერმანულში არის ინტენსიურობის მაჩვენებელი და გამოხატავს მისი მნიშვნელობის თანამედროვე გაგებას „sehr” (ძალიან). (საგულისხმოა, რომ ეს საერთო გერმანიკული სიტყვა ორივე მნიშვნელობითაა შემონახული თანამედროვე ინგლისურში: „sore” (მტკივნეული“ და „sore” - როგორც ზმნიშნავდა - („ფრიად, ძალიან“). საშ. ზ. გერმანულში სიტყვა buobe „Knabe, rüchloser Mensch” (ყმაწვილი, ბილწი ადამიანი“ უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა, დროთა განმავლობაში კი მან დადებითი კონოტაცია მიიღო. „ბიჭი, ვაჟი, შვილი, ასევე სიტყვა Marschall „Pferde knecht” (მეჭინბე) - იუმჯობესებს მნიშვნელობას და თანამედროვე გერმანულში გვევლინება როგორც „Marschall” Feldherr” (მარშალი, სარდალი).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მნიშვნელობის განვითარების დროს, უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვებმა დადებითი ღირებულება შეიძინეს. ამის საპირისპიროდ კი, მნიშვნელობამ შეიძლება უარყოფის დატვირთვა მიიღოს. მაგალითად საშ. ზ. გერმანულ wip Frau-საგან განვითარდა „Weib Frauenzimmer” (ღიაცი, დედაკაცი) სიტყვა gemein-დან „allgemein, gewöhnlich („ზოგადი“, „ჩვეულებრივი), თანამედროვე გერმანულში მივიღეთ უარყოფითი მნიშვნელობა „niederträchtig” (მდაბალი, სულმდაბალი). მაგრამ ეს არ არის მნიშვნელობის სემანტიკური აღწერა. განხილულ მაგალითებში უარყოფითი კონოტაცია იკარგება ან ისევ შემოდის. „მეჭინბეს“ სოციალურად ამაღლება (უკან) „სარდალად“ და მისი უპირატესობა კულტურის ისტორიის შესასწავლი საკითხია, სემანტიკურად კი „სარდალი“ არ არის „მეჭინბეზე“ უკეთესი. არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ მნიშვნელობები.

როგორც ვიცით, მნიშვნელობები პირველადი და ისტორიულად დადგენილია, მაგრამ ცნებების მუდმივი ცვალებადობის დროს ისინი შეიძლება საერთოდ დაიკარგოს. ამასთან, მათი დაკარგვა არ არის იმდენად შესაძინევი, როცა მოცემული დენოტატი სხვა, მსგავსი აზრით შეიძლება გამოვხატოთ (მაგალითად, სინონიმებით, პარაფრაზებით, მსგავსი შინაარსის ტექსტებით) და, პირიქით, ენაში მუდმივად ხდება ახალი მნიშვნელობების წარმოქმნა. ეს შეიძლება მოხდეს შემუშავებულ კოლოკაციების, ახალი საშუალებების შექმნის ან რაიმე ნიშნის სხვა ნიშნის ანალოგიურად ხელახალი ინტერპრეტაციის საფუძველზე. ახალი მნიშვნელობა შეიძლება შეგნებულად მოსაუბრემაც შექმნას. აქ განსაკუთრებით მოიაზრება მეტაფორისა და სიტყვაწარ-

მოების როლი. ორივე, მეტაფორული წარმონაქმნები და სიტყვაწარმოება ერთად შეიძლება იქნას განხილული; ისინი ორივენი ვირტუალურია ენაში და ჩვენს მეტყველებით აზროვნებაში და პრინციპულად შეუძლიათ ენის ისტორიული განვითარების ყოველ მონაკვეთში გააქტიურდნენ. ორივეს არსებობის შემთხვევაში, მსმენელმა, რომელიც ახალ მნიშვნელობას (ახალი ნიშნის გამოყენებას) პირველად იღებს, ორიენტაცია უნდა გააკეთოს სემანტიკურ, კერძოდ, მორფოლოგიურ მოტივაციაზე. ნიშნის გამოყენების ზრდასთან ერთად ეს მოტივაცია შეიძლება ორივემ დაკარგოს, სანამ ისინი პირველ და ერთადერთ გამოყენებამდე მივლენ. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლათინურიდან ფრანგულსა და გერმანულში განვითარებულ მეტყველების მნიშვნელობებს. ვულგარულ ლათინურში „testa“ ნიშნავდა „ყვავილის ქოთანს, თასს“, (**Blumentopf, Scherbe, Schale**); **caput**-ი „თავს“. (**Kopf, Haupt**) - ფრანგ. **Tête** მსგავსად **cuppa** და განვითარდა მნიშვნელობები „თასი“, ფიალა, ჭამი“ (**Schale, Becher**). გერმ. **Kopf** (თავი), აქნ ვულგარულ სალაპარაკოში **Kopf**-ის ნაცვლად **mace-ta „Blumentopf“**. ვულგარული ლათინურიდან **adripare** განვითარდა მნიშვნელობა „**ans Ufer gelangen, landen** (ნაპირზე მიღწევა, გადმოსვლა - **in terram egredi**-ის ნაცვლად, (შევ. ფრან. **arriver**) ვულგ. ლათინურიდან **manducare** მივიღეთ ზმნა „**kauen**“ (ღეჭვა), შემდეგ **edere**-დან „**essen**“ (ჭამა)- ფრანგ. **manger** (შევ. ვულგ. გერმანული **spac-hkeln, schichteln, futtern** და ა.შ.)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, შეიძლება ერთდროულად მოხდეს მეტაფორული ელემენტის წარმოქმნა და სიტყვაწარმოების პროცესი. სიტყვაწარმოება შეიძლება განხორციელდეს ფუძეზე აფიქსების დართვით ან რამდენიმე სიტყვის შერწყმის საფუძველზე. ან შეიძლება მეტაფორის საშუალებით მოხდეს სიტყვების სპონტანური წარმოება. მაგ: **Tischbein, Möbelfüße**. მაგრამ ზოგჯერ სიტყვის მოტივაცია იკარგება, ხოლო საფუძვლად მოცემული სურათი რჩება კვლავ რემოტივირებული, სანამ არ მოხდება ამოსავალი მნიშვნელობების მიღება.

მაგრამ ენის სტრუქტურის სახით წარმოდგენა მხოლოდ ფილოლოგებისათვის არსებობს; ჩვეულებრივი მოსაუბრე კი მას გარკვეული სიტუაციისა და კონტექსტიდან გამომდინარე აფიქსირებს. მსმენელი ხშირ შემთხვევაში, აზრის დადგენას ახორციელებს კონტექსტის ან სიტუაციის ექსპლიციტური (ანუ დამატებითი) მითითების გარეშეც. ენა არ უშვებს „სიცარიელეს“. იგი სხვა ნიშნით უნდა შეიცვა-

ლოს. ენის ლექსიკურ მარაგში ნაკლებად ჩნდება აღნიშვნის სიცარიელე, ვიდრე გრამატიკაში, რომელიც იცვება ისეთი ლექსიკური საშუალებებით, როგორცაა: სინონიმები, კონტექსტსა და ტექსტთან აზრობრივად დაკავშირებული პარაფრაზირება. ენაში ცალკეულ სიტყვებზე დაკვირვება არ არის გამართლებული, რადგან სიტყვა შეიძლება სინონიმური მნიშვნელობის სხვა სიტყვით შეიცვალოს დროთა განმავლობაში. მაგ: ზმნა „**schreiten**“ „**gehen**“-ის მნიშვნელობით განვითარდა. ფრანკონულში „**laufen**“ თავისი მნიშვნელობით „**gehen**“-ს დაუახლოვდა. (**Ich laufe jetzt in die Stadt**) „**laufen**-ის მაგივრად გამოიყენება ზმნა „**springen**“ („**Spring mal zum Bäcker**“) ხოლო „**springen**“ კი, თავის მხრივ, მნიშვნელობით ზმნა „**hüpfen**“-ს დაუახლოვდა („**Er hüpf über den Stuhl**) ისე, რომ მივიღეთ სემანტიკურად ჯაჭვური რეაქცია: **hüpfen – springen – laufen (gehen)**, მაგრამ ასეთი სქემატური ასახვა ამარტივებს დამოკიდებულებებს. ასეც ამბობენ: **Er ist die 100 Meter in 14 Sekunden gelaufen; lauf mal schnell zum Bäcker; er kann schneller laufen als ich (statt springen). Das Pferd sprang (statt hüpfte) über den Bach.**

როგორც მაგალითებიდან ჩანს, „**laufen**“-მა არა მარტო შეცვალა „**gehen**“, არამედ გაფართოვდა მისი მნიშვნელობაც. იშვიათ შემთხვევაში ნათელი და ექსპლიციტური განსხვავებაცაა საჭირო. მაგ: **Er kann schneller laufen als ich** - საერთო გაგებით ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ „**laufen**“ შეიძლება შევცვალოთ „**rennen**“-ით ან „**gehen**“-ით (**er kann schneller rennen als ich**).

წარმოდგენა „ბრმა“ სემანტიკური განვითარების შესახებ, რომელიც ენაში ჰომოფონებას შემოაქვს, ლექსემურ შემცვლელზე გავლენას ახდენს. მოსაუბრე თავად ვერ მიდის სემანტიკურად საჭირო მდგომარეობამდე, რომლის მიღწევასაც ის ყოველთვის ცდილობს, რათა გამოხატოს ის, რისი გამოხატვაც სურს.

ამრიგად, შეიძლება მნიშვნელობის განვითარება და ახალი მნიშვნელობის მიღება, სემანტიკურ-ლექსემური რეაქციის გარეშეც განხორციელდეს ისე, რომ გაფართოვდეს სიტყვის მნიშვნელობა. როცა სამხრეთ გერმანული „**mögen**“-ს იყენებს საუბარში „**lieben**“-ის ნაცვლად, არ სჭირდება მას სიტყვა „**mögen**“ **gern haben**“-ის შემცვლელად: სამხ. გერმ **mögen**“-ს ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს). თუ რა არის სიტყვის ქვეშე ნაგულისხმევი, ეს მსმენელმა კონტექსტიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს.

ასევე შეიძლება, ენობრივი სისტემის სემანტიკურ-ლექსემური რეაქცია არ წარმოგვედგინა და პოლისემიის „მთავარი მნიშვნელობებით“ შემოგვარგულუიყავით. კლასიკურ ლათინურში ზმნა **orare „sagen“** განვითარდა „**bitten, beten**“-ად, როცა **dicere**-მ ძველად **zeigen**-მა „**sprechen, sagen**“-ის მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ ირიბი მნიშვნელობით **orare**-ს ისევ აქვს მნიშვნელობა «**sprechen, reden**», ხოლო **dicere „zeigen“**-ის მნიშვნელობა, როგორც ვხედავთ ეს სიტყვები პოლისემანტიკურია. ზოგიერთი ენათმეცნიერის მოსაზრებით, ნიშანს მხოლოდ პირველადი, მთავარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. პირველად მნიშვნელობაზე დაკვირვებით ადვილად შევადწვევთ მომდევნო მნიშვნელობების აზრის გარკვევაში, რადგან რაღაც მიმანიშნებელი ელემენტი - ნიშნის სემანტიკის გარკვევისათვის მაინც არსებობს. მაგალითად ძვ.ზ. გერმანელი და საშ.ზ. გერმანელი **touch** (გერმანელი **das Tuch**)-ოთკუთხა ნაჭერი, რომელსაც გარკვეული მიწისათვის იყენებენ) ადვილი შესაძლებელია წარმოშობილიყო ებრაულ **batûah**, იდიშის ენაზე **Betûch(t)**-რომელიც შეძლებულს, ქონების მქონეს ნიშნავდა. მოტივაცია თითქოს დაკარგულია, მაგრამ ამოსავალი მნიშვნელობის მიღება, თუ დავაკვირდებით, რომ თავსაფარი ან საერთოდ ნაჭერი გარკვეულწილად დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობასთან. აქედან, ქცევა რომელსაც თანამედროვე გერმანულში იყენებენ: **Sie ist von betuchter Familie** (იგი შეძლებული ოჯახიდანაა). ასევე ძნელია ენაში დადგენა, რომელმა ნიშანმა მიიღო სხვა აღნიშნულიდან მნიშვნელობა თუ სხვა მნიშვნელობაში შეიჭრა, მაგალითად: ვერ ვიტყვით სიტყვა «**hübsch**»-ის მნიშვნელობები ვულგარულ-ლათინურში-(პროტორომანულში) «**bellus**»-ის შემცვლელად შემოიღეს, თუ „**hübsch**“ გამოიყენება თანამედროვე გერმანულში მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთ კონტექსტში სინონიმურ გამოხატულებას ანიჭებენ უპირატესობას. (შევ. **ein sauberer Junge, ein nettes Gesicht, eine gepflegte Kleidung, eine adrette Person** და ა.შ.), თუ პირიქით, **hübsch**-ის გამოყენების შეზღუდვა სინონიმური წყვილების ზრდის შესაძლებლობას უწყობს ხელს.

ლექსემური სისტემის წარმოდგენა შეუძლებელია, თუკი არ გვაქვს მნიშვნელობის განვითარების თანადროულობა და მხოლოდ ეტიმოლოგიური და სემანტიკური ჯაჭვური რეაქცია დომინირებს. თუკი კატალონურში „**aestimare**“ განვითარდა „**mögen, lieben, schätzen**“-ის მნიშვნელობით, მოგვიანებით კი, „**schätzen**“ იცვლება

„**distinger**“-ით, ეს არ იქნება ენის აუტოქტონური (უძველესი) რეაქცია, არამედ ეს ალბათ დაკავშირებულია რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ნიშნის გამოხატვის მოთხოვნილებებთან; სემანტიკური ან ჯაჭვური რეაქციები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია მოსალოდნელი.

ლათინურ სამართლის ენაში განასხვავებდნენ: **damnum — noxia — culpa — fortuna (=Rechtsverbindlichkeit— „Schaden“ — „Verschulden“ — „Fahrlässigkeit“ — Zufall)**), მაგრამ, შემდეგ მოხდა ამ სიტყვების სტრუქტურირება და მნიშვნელობების შეცვლა. მაგ: სიტყვამ „**damnum**“ მიიღო „**Schaden**“-ის მნიშვნელობა. აქ საუბარია არა საერთო ენის განვითარებაზე, არამედ მნიშვნელობის დეფინიციზზე რომელიმე პროფესიულ ენაში. ჩვეულებრივ ენაში კი სემანტიკურ-ლექსემურ რეაქციაზე საუბარი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა არასასურველი კონოტაცია სხვა მნიშვნელობას არბილებს. როცა სიტყვა „**Putzfrau**“ ნეგატიურად ასოცირდება და შეიცვლება სხვა სიტყვებით, როგორცაა „**Zugfrau**“ ან „**Haushaltshilfe**“ ე.ი. ხდება მნიშვნელობის „შერბილება“. მაგრამ ეს საზოგადოებრივი ფაქტორებია და არა ენობრივი თვითრეგულირება.

ჩვენ განვიხილეთ მნიშვნელობის ცვლა დიაქრონულ პერიოდში; თუ როგორ ხდება სიტყვის მნიშვნელობის ცვლა დროის გარკვეულ მონაკვეთზე; რაც უშუალოდაა დაკავშირებული ისტორიულ და სოციალურ ცვლილებებთან. მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობა ფუნქციის მიხედვით, როგორ შეიცვალოს სიტყვამ მნიშვნელობა კონტექსტში (რომელსაც კონტექსტუალური ცვლა ვუწოდებთ), როგორ შეიძლება მოხდეს მნიშვნელობის შევიწროვება ან გაფართოება, ან თუნდაც მოხდეს მნიშვნელობების წარმოქმნა საუბრის მომენტში; როცა მოსაუბრე ან მსმენელი ახლებურად იაზრებს სიტყვის მნიშვნელობას. აღსანიშნავია მეტაფორისა და სიტყვაწარმოების განსაკუთრებული როლი მნიშვნელობის ცვლის პროცესში.

ენა სწორედ ის ფენომენია, რომელიც თვითონ ქმნის ახალ მნიშვნელობებს.

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი 2003 წელი

დუზე, 1989 — A. Dausen. Gundbegriffe der Lexsemantik. Franz Steiner Verlag. Wiesbaden GmbH. Stuttgart, 1989.

კელერი, 2003 — Keller, Rudi und Kirschbaum, ILja. 2003. Bedeutungswandel. Eine Einführung. Berlin, Neu-Iork. Walter de Gruyter.

რუმერი, 2005 — Römer Christine, Matzke Brigitte. Lexikologie des Deutschen. Eine Einführung. Gunter Narr Verlag. Tübingen, 2005.

შიპანი, 1992 — Schippan, Thea, 1992. „Lexikologie der deutschen Gegenwartssprache.“ Tübingen, Max Niemeyer Verlag.

NANA STAMBOLISHVILI, ANZOR ABUSERIDZE

Motives for a Diachronic Change in a Word Meaning

Summary

As is known, the semantic shift in the meanings of words is a constant, continuous process. The paper discusses a number of causes for word meaning change: the meaning of a word may change a) contextually bringing about polysemy. b) because of the change in the functions of the object denoted.

The paper examines various types of semantic change of words: metaphor, metonymy, extension of meaning or its specialization.

იან ზსაბაძე

კონცეპტი თუ პროცედურა?

ზედსართავი სახელი „კოგნიტიური“ აღნიშნავს ცოდნის წარმოქმნის, მანიპულირების, მოწყობის, მიღების, თვისების და ა.შ. ფორმებს. კოგნიტიური განზომილება, რომელიც განსაზღვრავს პრაგმატული ქმედებების შესრულებას აუცილებლად და წინასწარ გულისხმობს პრაგმატულ განზომილებას. კოგნიტიურად ქცევა შეესაბამება იმ ტრანსფორმაციას, რომელიც კონიუნქციას (შეერთება) ან დიზიუნქციას (განშორება) ამყარებს სუბიექტსა და ობიექტ-ცოდნას შორის. კოგნიტიური მდგომარეობანი (კოგნიტიური პოზიციები) ჭეშმარიტების ღირებულებათა შესაბამისად წარმოდგება როგორც ჭეშმარიტი/ყალბი/საიდუმლო/ტყუილი. ცოდნა ობიექტის გადაცემა და იწყება ინფორმატული და გადამცემი ქმედებით და რეალიზდება როგორც მიღების, დარწმუნებისა და ინტერპრეტაციის ქმედებანი (მოლაპარაკე მსმენელის გათვალისწინებით. ეს ქმედებანი ააწყობენ ინტერსუბიექტურ შეთანხმებით ურთიერთობებს და შეიძლება ერთი, ან ორი აქტანტის სახით განხორციელდეს. კოგნიტურ სივრცეს ქმნიან სუბიექტთა და ობიექტთა შორის მოქმედი კოგნიტიური მიმართებანი (დანახვა, შეხება, მოსმენა, გაგონება და ა.შ). დისკურსის სემიოტიკის თვალსაზრისით განასხვავებენ გლობალურ კოგნიტურ სივრცეს (უსიტყვო კონტრაქტით შექმნილ აქტანტებს შორის საერთო ცოდნის საფუძველზე), აბსოლუტურ სივრცეს (ქმნის ორივე ყოვლისმცოდნე აქტანტი აღწერილ ქმედებათა შესახებ), რელატიურ სივრცეს (ამ შემთხვევაში მოლაპარაკე ცოდნას თანდათან იძენს).

კოგნიტიური სივრცის ტიპოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. მაინტერპრეტირებელი დისკურსი: ლიტერატურული კრიტიკა, ისტორია, ეგზეგეზა, ხელოვნებათა კრიტიკა.
2. დარწმუნების დისკურსი: პედაგოგია, პოლიტიკა, რეკლამა

3. სამეცნიერო დისკურსი, რომელიც იყენებს როგორც დარწმუნების, ასევე ინტერპრეტაციის ქმედებებს ჭეშმარიტების ცოდნასთან ერთად.

ეს ტიპოლოგია შემდეგ კონკრეტულ არეებს მოიცავს:

- ა) ადამიანისა და სიცოცხლის მეცნიერებებს: კოგნიტური ფსიქოლოგია, კოგნიტური ანთროპოლოგია, კოგნიტური ენათმეცნიერება, კოგნიტური ფილოლოგია, კოგნიტური ნეირო მეცნიერებანი, ნეოროფსიქოლოგია და ნაწილობრივ — ნეიროფიზიოლოგია.
- ბ) არტეფაქტების მეცნიერებანი: ხელოვნური გონი, კონექსიონიზმი, რობოტოტექნიკა და მოდელირების სხვა დარგები.
- გ) ფილოსოფია: ანალიზური ფსიქოლოგია, ენის ფილოსოფია, ცნობიერებების ფილოსოფია.

ენის ნებისმიერი გამოყენების შემთხვევაში სუბიექტი ფლობს კონკრეტულ ენას და შეუძლია ამ ენაზე საჭირო ინფორმაციის გაფორმება და გადაცემა; მსმენელს შეუძლია ამ ინფორმაციის მიღება, გაგება და სათანადო რეაგირება. ამრიგად, მოლაპარაკე სუბიექტის კომპეტენცია გულისხმობს ცოდნის გაფორმების, გამოყენებისა და გადაცემის არსებული სისტემებისა და სტრუქტურების მაქსიმალურად ფლობის უნარს. ყველა საკომუნიკაციო ქმედება უნიკალურია, თუმცა იგი ვერ გასცდება მოცემული ენის ფარგლებს.

ცოდნის სისტემა შეიცავს:

- 1. ენობრივ ცოდნას
- 2. არაენობრივ ცოდნას (ცოდნას სამყაროს შესახებ)

ცოდნის წარმოდგენის ფორმების საკითხი უკავშირდება მეხსიერების კვლევის და მათი ურთიერთმიმართების პრობლემებს; ცოდნის წარმოდგენისა და მეხსიერების ფუნქციონირების ფორმები იდენტურია. ცოდნის წარმოდგენის ფორმებში აისახება ტექსტებით გადმოცემული სტერეოტიპები და სტანდარტული სიტუაციები. ისეთი პარამეტრები, რომელთა გამოთვლა და ფორმალიზაცია შეუძლებელია, ისეთები, როგორცაა მიზნები, მოთხოვნები, ემოციები, მოტივები, მსოფლმხედველობა, ე.ი. ისეთები, რომელთაც იყენებს სუბიექტი ბუნებრივი ენის დამუშავებისას, ენობრივი ანალიზის დროს მხარდაჭერით არ სარგებლობს.

აზროვნების პროცესში ინდივიდი მეხსიერებიდან ამოიღებს განსაზღვრულ სტრუქტურას — ფრეიმს, რომელიც წარმოადგინება რო-

გორც მონაცემთა და პროცესთა პაკეტი; ყოველ ფრეიმს უკავშირდება ამ ფრეიმის გამოყენების ინფორმაცია, დროის შემდგომ მომენტებთან დაკავშირებული მოლოდინი და შემდგომ საფეხურებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ფრეიმის გარდა გამოიყოფა სცენა, სქემა, აღწერა, შაბლონი, პროტოტიპი, მოდული, მოდელი, ისტორია, სამყარო. ტრადიციულისაგან განსხვავებით, პროტოტიპულ სემანტიკაში ფიგურალური აზროვნების უნარი უკავშირდება ქვეცნობიერ მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვისა და იქიდან ინფორმაციის ამოღების საკითხებს. ინდივიდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხატოვანი აზროვნების უნარით. მენტალური სახის შექმნა შეიძლება იყოს ვიზუალური, ფონეტიკური, ბგერითი და ა. შ. ჩნდება გამოყოფის, მოულოდნელობის, მაღალი კოდირების უნარი. ხატოვანი აზროვნება ინტერპრეტაციის პროდუქტია და იგი არ წარმოადგენს საწყისი სენსორული სტიმულების პირდაპირ ასლს. მეტაფორული ცოდნა ფრეიმის ტერმინალებში ჩნდება როგორც კონკრეტული მონაცემი, კონკრეტული ფიგურა და მისი ჭეშმარიტების ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია.

ენის შესახებ ცოდნის გამოყენების, ორგანიზებისა და კონცეპტუალური მოწყობის საკითხები განუხრელად უკავშირდება კატეგორიზაციის, პროტოტიპისა და ბმული ტექსტის გაგების პრობლემებს. საჭირო ინფორმაციის მიღების აუცილებლობა განსაზღვრავს ტექსტის ყოველმხრივი დამუშავების პროცესების ერთდროულობას და არა აუცილებელ თანმიმდევრულობას; იგულისხმება ბუნებრივი ენის ინტეგრალური დამუშავების პრინციპი.

ცოდნის ორგანიზების საკითხებს სწავლობს პროცედურული სემანტიკა, რომელშიც წესთა სიმრავლეს პროცედურული სიმრავლე ცვლის.

თანამედროვე ენათმეცნიერება და ფსიქოლოგია გაგების პროცესს ორგვარად წარმოადგენს: საინტერპრეტაციოდ და კონსტრუქციულად. საინტერპრეტაციო თეორიის თანახმად სემანტიკური ინტერპრეტაცია უზრუნველყოფს წინადადების მნიშვნელობის სრულ ანალიზს. კონსტრუქციული თეორიის მიხედვით ინტერპრეტაცია სცილდება ენობრივი ფორმით გამოხატულ ინფორმაციას.

პროცედურულ სემანტიკაში გაგების ორი სტადია გამოიყოფა:

პირველ საფეხურზე იქმნება გამონათქვამის პროპოზიციული რეპრეზენტაცია, მისი თითქმის ზედაპირული ფორმა. იგი გადმოიცე-

მა მდიდარი ლექსიკის მქონე მენტალური ენით, რომელშიც კოდირებულია ინფორმაციის სიტყვა-სიტყვით აღდგენისათვის საკმარისი ინფორმაცია.

გაგების მეორე საფეხურზე (ფაკულტატიურზე) პროპოზიციული რეპრეზენტაციები გამოიყენება მენტალური მოდელის ასაგებად, რომლის სტრუქტურა ეფუძნება კონტექსტიდან და იმპლიკაციებიდან მომდინარე, სამყაროს ცოდნაზე დამყარებულ ინფორმაციას. გამონათქვამი მოდელის აგების გასაღებია: მაგ. წინადადება: „Un vieux gentleman marchait souvent dans les rues de la ville“ - გასაგები ხდება მხოლოდ მას შემდეგ, თუ მოხუცი აინშტაინია, ხოლო ქალაქი — პრინსტონი. მოცემული მოდელის საკომუნიკაციო მნიშვნელობას განსაზღვრავს ამ გამონათქვამის პროპოზიციული რეპრეზენტაციის მიკუთვნება მოცემული მოდელისათვის და სამყაროს შესახებ ცოდნასთან დაკავშირება. როდესაც რეფერანტები ცნობილია, ახალი ინფორმაცია შეიძლება დაემატოს მოდელს და შესაბამისობაში მოვიდეს მიმდინარე მომენტთან. მოდელი პროპოზიციისაზე უკეთ დასამახსოვრებელია, ვინაიდან მასში გაერთიანებულია დასკვნები, გააქტიურებული სქემები და მითითებანი.

გაგების თეორია ეყრდნობა ხუთ დამოუკიდებელ დაშვებას, რომლებიც ეხება ჭეშმარიტი მტკიცებების გაგების პროცესს, ერთიან მენტალურ მოდელს, მოდელის ინტერპრეტაციასა და შეფასებას, განსხვავებას თეორიულ-მოდალური სემანტიკის საინტერპრეტაციო ფუნქციისაგან, მოდელის ჭეშმარიტების შეფასების პირობებს.

პროცედურული სემანტიკის მნიშვნელობის ფსიქოლოგიას საფუძვლად უდევს კომპიუტერის პროგრამების იდეები. პროცედურული სემანტიკის შესახებ ერთიანი თეორიის არ შექმნის მიზეზს წამოჭრილ საკითხთა შესახებ სპეციალისტების აზრთა ერთგვაროვნება წარმოადგენს. ეს საკითხები შემდეგია:

1. გაგების პროცესისადმი „დეკლარაციული“ თუ „პროცედურული მიდგომა“
 2. ვერიფიკაციის პრე
 3. ინციპები.
 4. ენის დაკავშირება სამყაროსთან პროცედურების მეშვეობით
- პროცედურულ სემანტიკაში ენა უკავშირდება არა სამყაროს, არამედ მენტალურ მოდელს.

მენტალურ მოდელში გამონათქვამის გადმოსაყვანად საჭიროა 7

ზოგადი ხასიათის პროცედურა, რომლებიც შეიცავენ მენტალური მოდელის აგების, გაფართოების, მოდელთა შორის ურთიერთმიმართების დამყარების, ჭეშმარიტების ღირებულების ვერიფიკაციის, შეცვლა-გარდაქმნის (მოდულიზაციის) პროცედურებს. გაგების პროცესში გამონათქვამის პროპოზიციული რეპრეზენტაცია, მასში ჩაქსოვილი რეფერენტული გამონათქვამების, კონტექსტისა და ფონური ცოდნის საშუალებით გამოიძახებს ერთ-ერთ დასახელებულ პროცედურათაგანს. მოდელი იქმნება, ფართოვდება და ფასდება მოცემული გამონათქვამის ჭეშმარიტების ღირებულების ცოდნასთან მიმართებით. გადამწყვეტი სვლის მეშვეობით ჭეშმარიტების ღირებულების ცოდნა უერთდება ზოგადი ხასიათის პროცედურას. სივრცობრივ მიმართებათა აღწერის პროგრამა: **A** მდებარეობს **B**-ს მარჯვნივ, **C** მდებარეობს **B**-ს წინ, **B**-მდებარეობს **C**-ს მარჯვნივ აგებს შემდეგ სივრცობრივ სტრუქტურას:

B A

D C

რომელიც აკმაყოფილებს მოცემულ აღწერას. ანალოგიურად, არსებულ პროცედურათა გამოძახებით აიგება მიმართება „**A** მდებარეობს **B**-ს წინ“. პროცედურის კონკრეტულ დეტალებს განსაზღვრავს მტკიცებით წინადადებაში არსებული შესაბამისი რეფერენტული გამონათქვამები, რითაც პროგრამა ასახავს ზოგად საინტერპრეტაციო პრინციპს. ზოგადი პროცედურის გამოყენება მტკიცების მნიშვნელობის გამოყენებას ნიშნავს და იგი გადამწყვეტი სვლაა, ვინაიდან მოასწავებს მტკიცების მნიშვნელობის ჩანერგვას ზოგად პროცედურაში. ყოველი კონკრეტული პროცედურა (ბ-ის რაოდენობიდან) იქმნება მნიშვნელობათა მინიჭებით ზოგად პროცედურაში, რომელსაც გააჩნია სკანირების მექანიზმი და მოქმედებს თავისუფლად არჩეული მიმართულებით და ერთი და იმავე მოქმედების მრავალჯგონის განმეორებით.

კითხვას, თუ როგორია „devant“-ის სალექსიკონო სტატია, გაეცემა პასუხი, რომ იგი სრულიად განსხვავებული ხასიათისაა, იგი დეკლარაციული ინფორმაციის ფრანგმეტის და ჩვეულებრივი პროცედურის შუაგზაზეა. (ჯონსონ-ლერდი). ეს პროცედურა არგუმენტად იღებს სხვა პროცედურებს, რათა შექმნას მათგან ახალი, კონკრეტუ-

ლი პროცედურები. ამ პროცედურის შედეგად გაირკვა „devant“ — წინადადების ჭეშმარიტების პირობები და მასთან წარმოქმნილი ახალი კონკრეტული მოდელების ჭეშმარიტების პირობების შესაბამისობა ან სიყალბე. მენტალური ლექსიკონი შეიცავს პროცედურებში გამოსაყენებელ ჭეშმარიტების პირობების განსაზღვრებებს; ეს პროგრამა იცვლება ობიექტების რეალური ფორმისა და ზომების მიხედვით. პროგრამის ძირითადი ასპექტები ასახავს ფსიქოლოგიურ რეალობას.

თეორიულ-მოდალური სემანტიკისაგან განსხვავებით, რომელიც მნიშვნელობის ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს, პროცედურული სემანტიკა არ საჭიროებს მნიშვნელობათა პოსტულატების, სემანტიკური ბადეებისა და ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტური ანალიზით ჭეშმარიტების პირობებისა და სემანტიკური თვისებების გამოყენებას. ინტერპრეტაციის ფუნქცია იძლევა ჭეშმარიტების პირობების სრულ აღწერას, შესაბამისად, სემანტიკური მიმართებების ფორმულირება გამომდინარეობს ჭეშმარიტების პირობებიდან; ტრანზიტულობის დასკვნა პროგრამის მიერ გამოიტანება ისე, რომ იგი არ იყენებს ინფორმაციას ტრანზიტულობის შესახებ; ტრანზიტული მიმართება არ არის ჩართული სივრცობრივ სიტუაციაში, იგი ჩნდება ფუნქციათა განსაზღვრული კომბინაციის შედეგად, თვით პროგრამის მუშაობის დროს, იგი დამოუკიდებლად პროგრამაში არსად არ არის წარმოდგენილი. სტრუქტურაში **A** მდებარეობს **B**-ს წინ, **B** მდებარეობს **C**-ს წინ, **A** მდებარეობს **C**-ს წინ, წინამძღვარი აუცილებლად ჭეშმარიტია, ვინაიდან მისი გაყალბება ვერ ხერხდება; ჭეშმარიტების პირობების გამოყენებით შეიძლება აიხსნას ისეთი დასკვნები, რომლებიც ემყარება მიმართებას „მარჯვნივ“ და ახასიათებს ჩვეულებრივი სამყაროსათვის დამახასიათებელი განსხვავებები; ამისათვის გამოიყენება ისეთი მოდელები, რომლებიც აკმაყოფილებს კონკრეტულ ინდივიდთა პოზიციების კოორდინატთა სისტემის მიმართ ჭეშმარიტების პირობებს; ასეთი მიდგომა შეუძლებელი ხდება სემანტიკური კრიტერიუმის გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან მასზე დაყრდნობით არ შეიძლება ყალბი წინამძღვრებისა და შესაბამისი კონტექსტის აგება, სემანტიკური კრიტერიუმის ლოგიკიდან გამომდინარე.

პროცედურული სემანტიკის თეორია განსაზღვრავს ბაზისურ სემანტიკური ტერმინების სტატუსს. მაგ. სივრცობრივ მიმართებათა

აღწერა შეუძლებელია ჩვეულებრივი სალექსიკონო სტატიით, ვინაიდან ისინი ვერ განისაზღვრება უფრო ელემენტარული ტერმინებით. სივრცობრივი პროგრამა იყენებს ისეთ პროცედურულ ელემენტებს, როგორცაა პარამეტრული ზრდის დაფიქსირება. ენა-ობიექტის სიტყვათა მნიშვნელობა (ნებისმიერი ენის ძლიერ შეზღუდული ქვესიმრავლე) ყალიბდება ისეთ პროცედურულ ტერმინებში, რომლებიც არ იმყოფებიან მარტივ, ცალსახა მიმართებაში ენა-ობიექტთან. პროცედურული პროგრამა ამტკიცებს ისეთი ელემენტების გამოყენების აუცილებლობას გამონათქვამთან ჭეშმარიტების პირობების დასადგენად, არა რეალური სამყაროს, არამედ სამყაროს მოდელთა მიმართ. ინდივიდი უკავშირებს გამონათქვამებს სამყაროს მოდელს; იგი ფლობს ისეთი მოდელის აგების საშუალებას, რომელიც არ არის დამოკიდებული შესვლის ენობრივ ინფორმაციაზე.

მნიშვნელობის პოსტულატები ვერ აღწერენ ჭეშმარიტების პირობებს და ისინი არც გამოიხატება ენა-ობიექტზე; პროცედურებზე დამყარებული სემანტიკა გამოხატავს ჭეშმარიტების პირობებს; ინდივიდი ბავშვობიდანვე ითვისებს გამონათქვამთა ჭეშმარიტების პირობებს და ამის შემდეგ მიმართავს ტაქსონომიურად დალაგებულ ინტენსიონალებს გადაწყვეტილების მიღების ტაქსონომიურ ცხრილზე დაყრდნობით და მათი გამოყენების მეთოდებს. ამის შემდეგ მათ უკვე შეუძლიათ და წარმოადგენენ კიდევაც სიტყვათმნიშვნელობას მნიშვნელობის პოსტულატების საშუალებით (განსაკუთრებით საპირისპირო ცნებათა თამაშის დროს).

ამრიგად, ინდივიდები ჯერ ითვისებენ ჭეშმარიტების პირობებს, მხოლოდ შემდეგ — მნიშვნელობების პოსტულატებს. მრავალი ლოგიკური გადახრა ჭეშმარიტების პირობებიდან გამომდინარეობს, რომლის ათვისებაც ქმნის სემანტიკური ცოდნის საფუძველს. სემანტიკური თეორიის ფსიქოლოგიურ თეორიასთან დაკავშირების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება მენტალურ მოდელებს. მენტალური მოდელი წარმოადგენს ერთეულ ნიმუშს იმ მრავალ მოდელთა შორის, რომლებიც აკმაყოფილებს გამონათქვამს. მოდელთა სიმრავლიდან არჩევა ერთი ნიმუში და გაგებაც მიემართება ერთი მოდელისაკენ, რომელიც აიგება გამონათქვამის ჭეშმარიტების პირობების ცოდნაზე დაყრდნობით. თუ აღმოჩნდება, რომ მოდელი არასწორია, რეკურსიული პროცედურები ცდილობს ისე გადააკეთოს მოდელი, რომ მან დააკმაყოფილოს არსებულ მტკიცებათა სიმრავლე. გამონათ-

ქვამის საკომუნიკაციო მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც მოდელზე, ასევე მის გამოყენებასა და შეფასებაზე. მოცემული მოდელი პროცედურათა მიერ განიხილება როგორც ერთ-ერთი უსასრულოდ მრავალ შესაძლებლობათაგან. კონკრეტული მოდელი გამოხატავს მთელ სიმრავლეს, ვინაიდან იგი აგებულია სამყაროს შესახებ ცოდნის ჩუმად აღიარებული დასკვნების საფუძველზე და წარმოადგენს ტექსტის მიერ აღწერილი სააღბათო სიტუაციის ვარიანტს. რეკურსიული პროცედურები სამუშაო მექანიზმების მოცულობით იზღუდება; მენტალური მოდელის ზომები შეზღუდულია, თუმცა ადამიანებს შეუძლიათ უსასრულო სიმრავლეებზე იმსჯელონ. მენტალური მოდელები სხვადასხვა შესაძლებლობათა უსასრულო სიმრავლეებს წარმოადგენენ. პროცედურული თეორიის ამოსავალი დებულებაა ჭეშმარიტების იმ პირობების დადგენა, რომელთა შესაბამისად სიტყვები ჩაერთვებიან შესაბამის გამონათქვამებში, ხოლო სემანტიკური მახასიათებლები უშუალოდ გამომდინარეობს ჭეშმარიტების პირობებიდან.

რით განსხვავდება პროცედურული სემანტიკა ამჟამად მოქმედი ძირითადი სემანტიკური კონცეფციიდან?

პროცედურული სემანტიკა კომპიუტერულ პროგრამებს ეყრდნობოდა და შესაბამისად იმ მომენტებს წამოსწევს წინ, რომლებიც ასეთი პროგრამების ეფექტურ რეალიზაციას ემსახურება. ამ თვალსაზრისით ეს სემანტიკა უფრო მარტივია, ვიდრე თეორიულ-მოდელური სემანტიკის ყველა ამოსავალი დებულება და იგი ითვალისწინებს ყველა იმ შესაძლო შერბილებულ პრინციპებს, რომელთაც თეორიულ-მოდელური სემანტიკა კატეგორიულად უარყოფს. მენტალური მოდელების თეორია შეიძლება შეესაბამებოდეს სასრული მდგომარეობის მოდელურ-თეორიულ სემანტიკას. პროცედურული სემანტიკის მთავარი საშუალება, რეკურსიული პროცედურების მოცულობა შეზღუდულია ოპერატიული მექანიზმების შესაძლებლობიდან გამომდინარე და შეზღუდულია აგრეთვე მენტალური მოდელის მოცულობა, თუმცა შეუზღუდავია ინდივიდის უნარი იმსჯელოს ყველაფერზე, რაც ვერ აისახება შესაძლებელ დასკვნებში. განსხვავებულია პროცედურული სემანტიკის ლექსიკონი, იგი ძირითადად პროცედურული ტერმინოლოგიით ყალიბდება და არ შეესაბამება ენა-ობიექტის ლექსიკონს, ეს უკანასკნელი არც კი განსაზღვრავს მათ. თეორიულ-მოდელური სემანტიკა არ განსაზღვრავს სიტყვათა ჭეშმარიტების პირობებს და ვერ ჩამოაყალიბებს მათ თავის ენაზე. ფსიქოლოგიური თეორიები ალგო-

რითების სახით უნდა იყოს ფორმულირებული, ამდენად პროცედურული სემანტიკიდან, მნიშვნელობის პოსტულატების გამოყენების გარეშე, უშუალოდ გამომდინარეობს ჭეშმარიტების პირობების აღწერა. მნიშვნელობის დაფიქსირება შესაძლებელია ყოველ ზოგად პროცედურაში.

ლიტერატურა

კლეიბერი, 1990 — Kleiber G. La sémantique de prototype. Paris. PUF. 1990.

სპერბერი, 1989 — Sperber D., Wilson D., La pertinence, communication et cognition. Ed de Minuit. 1989.

ჯონსონ ლარდი, 1983 — Johnson Lard P. N., Mental Model. Cambridge University Press, 1983.

ბიბლიოგრაფია: Новое в зарубежной лингвистике, т. XXIII, Москва, Прогресс, 1988, gv. 150-152, 256-257, 206-211, 51, 28a.

IA PKHAKADZE

Concept or Procedure?

Summary

The paper deals with the issue of substituting semantic conception with procedural semantics. Procedural semantics is based upon computer programs; it focuses upon the points that provide efficient realization of the programs in question. Procedural semantics is much simpler; its basic aim is to state truth conditions for utterances to provide adequate insertion of words in them. Semantic properties are directly followed from truth-conditions.

ი ა ზ ს ა კ ა მ

ს ხ ვ ა ნ ა რ ი მ ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

ფრანსისკო ვარელას საუბარი „Recherche“-ის ჟურნალისტთან 1098წ. №308-ში ეხება იმ საკითხებს, რომელთაც ფრანსისკო ვარელა თანამედროვეობის მეცნიერებათა უმრავლესობისაგან განსხვავებით განიხილავს. ეს საკითხები შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდება.

ძირითადი განსხვავებული შეხედულება ეხება იმ ძირითად დებულებას, რომელსაც თითქმის ყველა კოგნიტივისტი იზიარებს და რომლის თანახმად ტვინი წარმოადგენს ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულ ნეირონულ ორგანოს. ვარელას აზრით, „ნეირონული“ კომპიუტერის ცნება დაზუსტებას საჭიროებს, ვინაიდან კომპიუტერი სიმბოლური სისტემაა. თანამედროვე კოგნიტივიზმი, ანუ რაც იგივეა, კომპიუტერული აღრიცხვა (computationalisme) აღიარებს კოგნიტიური დონის დამოკიდებულებას და განსხვავებას იმპლემენტაციის რბილ და მაგარ დონეებს შორის. არსებობს უამრავი საშუალება კავშირის დასამყარებლად კომპიუტერულ აღრიცხვასა და ტვინს შორის. საკითხი ეხება არასიმბოლურ მანქანაზე დამყარებულ აღრიცხვას, რომელიც უფრო ტვინს ედრება, ვიდრე კომპიუტერს. კოგნიტიურ მეცნიერებათა მომავალი ალბათ „დინამიკურ“ ხედვას უნდა დაეყრდნოს, კომპიუტერული ხედვის საპირისპიროდ. ეს ნიშნავს რეალური ცვლადებით შექმნილ სისტემებთან მუშაობას დიფერენციალური განტოლებების გამოყენებით, რაც მოასწავებს დაშორებას კომპიუტერიზმის მიმდევრებსა და „დინამიურობის“ მიმდევრებს შორის. დინამიკური მიდგომის ერთ-ერთ ძირითად მიღწევას წარმოადგენს წარმოქმნილ თვისებათა (propriétés émergentes) მოპოვება, ე.ი. ცვლადთა სიმრავლეთა გლობალურ მიდგომარეობათა მოპოვება, გამომდინარე შინაგანი ურთიერთდამოკიდებულებისაგან. კოორდინაციას თვითონ დინამიკა ამყარებს. დინამიკური მიდგომა ბიოლოგიური ცვლადებით მუშაობს,

უფრო მეტად ნეირონული აქტიურობით, ვიდრე სიმბოლოებით, ტვინის გლობალური მიდგომარეობით, რომლებიც აღწერილია ფუნქციური გრაფიკით. ასეთი სამუშაო არ აღიარებს კოგნიციის გამოყოფას მისი ინკარნაციიდან. ეს მოასწავებს გახლეჩას დამოუკიდებელი კოგნიციის დონესა და ინკარნირებულ კოგნიციას შორის. კოგნიციის გაგება არ შეიძლება ორგანიზმის მოთავსების გარეშე ეკოლოგიურ პირობებში. საქმე ეხება მოთავსებულ კოგნიციას, ან ჩანერგილ კოგნიციას, ანუ ინკარნირებულ კოგნიციას, ანუ ენაქციას (ნეოლოგიზმი ათი წლის წინ შემოღებული). ტვინი არსებობს სხეულში, სხეული არსებობს სამყაროში, ორგანიზმი მოქმედებს, მოძრაობს, დადის, ნადირობს, ოცნებობს, წარმოიდგენს; ამ პერმანენტული საქმიანობიდან წარმოიქმნება მისი სამყაროს მნიშვნელობა და საგნები. ასეთი მიდგომარეობა არ ნიშნავს ხელოვნური გონის უარყოფას. ავტონომიურ და ინკარნირებულ კოგნიციად გაყოფა ეხება არამხოლოდ კოგნიტიურ ნეირომეცნიერებას, არამედ ყველა კოგნიტიურ მეცნიერებას. ნამდვილი რობოტების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ინკარნირებულნი არიან მატერიალურ კონტექსტში, გრძნობად სამყაროში, სამყაროს ყოველგვარი რეპრეზენტაციის გარეშე, საქმე არ ეხება თვისებათა ჩამონათვლით განსაზღვრულ სამყაროს, როგორც ეს ხდება ინფორმატიკული სიმულაციების შემთხვევაში. (როდნი ბრუკი, მასაჩუსეტსის ხელოვნური გონის ინსტიტუტის დირექტორი). თუ რობოტი — მანქანა აიგება ისე, რომ მას არაფერი ეცოდინება თავისი გარემოს შესახებ, მაგრამ დაჯილდოებული იქნება სენსორ-მოტორული წყვილით (boucle – sensorimotrice), იგი მრავალი თაობის შემდეგ, გამოცდის რა რეაქცია-მოქმედების წყვილს, შეძლებს იარსებოს ნებისმიერ გარემოში; ასეთ ნიადაგზე შეიძლება წარმოიქმნას ისეთი მნიშვნელობები, როგორცაა სასურველი / არასასურველი, და ისეთი უნივერსალური კატეგორიები, როგორცაა საგანთა კლასები, ენა. ორგანიზმი საკმაოდ უნდა იყოს ჩანერგილი (ინკარნირებული) გარემოში, რომ შეძლოს მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ფლობს სამყაროს წინასწარ წარმოდგენას, მისი სამყარო ჩნდება მის ქმედებასთან ერთად, ეს „ენაქტირებული“ სამყაროა. როგორც ნეირონული სისტემა, ტვინის ლოგიკა სიცოცხლისუნარიანობას ემყარება. ფუნქციონირების დროს ყველაფერი დაიყვანება სენსორულ-მოტორული სტაბილურობის ძიებამდე. ევოლუციის შედეგად ნეირონული სისტემა ცხოველებს განუვითარდათ. სიცოცხლის შესა-

ნარჩუნებლად ცხოველებს მოძრაობა სჭირდებოდათ, ამიტომ ჩნდება ნეირონული სისტემა, ალქმისა და მოქმედების წყვილი. ევოლუციის განმავლობაში სენსორების დაკავშირებით კუნთებთან, ჩნდება ნეირონული სისტემა და შემდეგ ტვინი; ასეთ საფუძველზე წარმოიქმნა აბსტრაქტული საქმეები. ძლიერ მოგვიანებით, ნეირონული სისტემის ევოლუციას 1,5 მილიარდი წელი დასჭირდა. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, იურიულ პერიოდამდე ცხოველები მხოლოდ მოძრაობდნენ და ნადირობდნენ. სამყაროში ინკარნირებას გრძელი და საინტერესო ისტორია აქვს. მხოლოდ მოგვიანებით მოხდა თვისობრივი ნახტომი ზოგიერთ ცხოველში ენის, სოციალური მონაცემების და სიმბოლური უნარის გაჩენასთან ერთად. სიმბოლური საქმიანობა ყოველთვის განსაზღვრული სიტუაციის კონტექსტის ნაწილს წარმოადგენს. სამყაროზე მოქმედება-რეაქციის უნარის გაჩენის შემდეგ, ინდივიდთა შორის ურთიერთობამ შესაძლოა განმეორების ახალი წყვილი წარმოქმნას, ახალი შეხვედრები. ეს ქმნის თავისებურებას, სტაბილურობის ახალ პუნქტებს, ორიენტაციის ურთიერთქმედებას; ორიენტაციის ასეთი ხედვა, ცხოველთა შორის კომუნიკაციის დასაწყისია. სიმბოლური უნარი ყველა საზოგადოებაში არ ვითარდება, ვინაიდან ნეირონული სისტემა განსაზღვრულ ზღვრამდე ვითარდება. და ამდენად ძნელია ისტორიული რეკონსტრუქცია. სიმბოლური უნარის გაჩენა კატასტროფას კი არ მოასწავებს, არამედ ინკარნაციის აუცილებელ უწყვეტობას. გაცვლისა და სიმბოლური კატეგორიზაციის გარდა პრიმატებს მეტყველება ახასიათებთ, რომელიც მოგვიანებით გაჩნდა.

რობოტების შექმნის ტექნიკა ინფორმატიკული პროგრამების დაწერვას უკავშირდება. ინჟინრის საქმიანობა ხელმარჯვე ოსტატის საქმიანობაა. ევოლუცია შესაძლებლობათა სიმრავლეა. არსებობს ისეთი აზრიც, თითქოს ევოლუცია სელექციური ძალების ოპტიმიზაციას წარმოადგენს, ე.ი. ყოველ სიტუაციას ოპტიმიზაციის ერთგვარი სახე გააჩნია. კოგნიტიურ მეცნიერებებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ე.წ. შემგუბებელი (*adaptationniste*) და „წყნარი ევოლუციის“ (ბუნებრივი გადახრის, *dérive naturelle, évolution douce*) წარმომადგენლები. შემგუბებლები აღიარებენ, რომ ურთიერთშესაბამისობა სამყაროსა და ორგანიზმს შორის ზუსტი და წინასწარგანზრახულია. წყნარი გადახრის ცნება აღიარებს, რომ ორგანიზმი კი არ ეგუება სამყაროს, არამედ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მოქმედების პროცესში იგი გარდაქმნის სამყაროს. თვალსაზრისი, რომელიც ტვინს განიხილავს

როგორც ინკარნირებულ სისტემას, არ არის შეგუბებული (*adaptationniste*). ფერთა ხედვა ამის დამამტკიცებელი საბუთია, ვინაიდან ყველა არსება სამყაროს სხვადასხვა ფერებში აღიქვამს და ხედავს. ამდენად დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია სამყაროს ფერი. ასეთი კითხვა იწვევს სამყაროს თავისთავად არსებობის საკითხის დასმას. სამყარო არ შეიძლება დახასიათდეს ატრიბუტების საშუალებით, იგი მხოლოდ პოტენციის მიხედვით შეიძლება დახასიათდეს. ცოცხალ არსებებს არ შეუძლიათ განურჩევლად ყველაფრის გაკეთება. ფილოსოფიური თვალსაზრისით ასეთი ხედვა ფენომენოლოგიურ ხედვას გულისხმობს და არა კლასიკურ ობიექტურობას (საგნობრობას). მაგრამ იგი არ ნიშნავს „კონსტრუქტივისტური“ პოზიციის არ არსებობას, სამყაროს არარსებობას.

ცნობიერებისა და ევოლუციის ურთიერთმიმართების გარკვევა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, განსხვავების გარკვევას ცნობიერებასა და ცდას შორის. ყველა კოგნიტიური მოდული, რომელიც უკავშირდება ცერებრალურ წრედს, ერთად მოქმედებს, ყოველი წუთი უკავშირდება გარკვეულ მოდულს და მოქმედებს მთელი მწკრივი წარმოქმნის, გაქრობისა და კვლავწარმოქმნის კოგნიტიური, ინტეგრირებული ერთეულებისა. ცდა-კოგნიტიური ერთეულის ლოკუსიაა. დასაშვებია მაგალითად, ძაღლის ცდის არსებობა, რომ ძაღლი — სუბიექტია, მაგრამ ჩრჩილის? დეფინიცია შეიძლება მხოლოდ ოპერატიული იყოს, ე.ი. შესაძლებელია გახადოს კოგნიტიური მოდულების ინტეგრაციის ზომა (მაშინ შეიძლება დასაშვები იყოს მიკრო-ცდა ტარაკნის, ან მეზო-ცდა ძაღლის). ძუძუმწოვრებისათვის ცდა უნივერსალურია, მას შემდეგ, რაც მიიღწევა კოგნიტიური ინტეგრაციის განაწილება ცდა განუყოფელი ხდება წარმოქმნის მოდულარული მექანიზმებისაგან. ბგერები, სუნები თავისთავად არ არსებობს, ისინი არსებობენ მხოლოდ კოგნიტიურ სუბიექტთან მიმართებაში; მაგალითად, ძაღლთან მიმართებაში. ისინი ძაღლის მიმართ ფენომენალურ მანიფესტაციას წარმოადგენენ; საჭიროა სწორედ კოგნიტიური აქტიურობის ფენომენალური მხარის შესწავლა. მას შემდეგ, რაც მიიღწევა მრავალი კოგნიტიური მოდულის ერთიანობა, ეს მიანიჭებს სუბიექტს სამყაროს განსაკუთრებულ ხედვას. ენის გაჩენა მოასწავებს განსხვავებას ნეირონული ქცევის მიერ გამოხატულ ცდასა და რეფლექსიის (აზროვნებას *réflexion*) უნარს შორის; ეს უკანასკნელი არ გაიგივდება ცნობიერებასთან; აზროვნების უნარი უნდა ჩაინერგოს (*s'in-*

carner) რთულ კოგნიტიურ სამყაროში. ცდის ფარგლებში თავსდება თვით-აღწერის ასეთი ახალი უნარი. ეს არის თავისთავისადმი, საკუთარი არსებობისადმი მიმართული ცდა. აზროვნება, ეს აბსოლუტურად ძირითადი მოვლენა ენასთან ერთად გაჩენილი დიდი ცვლილებაა. ცნობიერების დაკავშირება აზროვნების უნართან უნდა ითვალისწინებდეს ცდის უზარმაზარ თანმხლებ გარემოებებს. არააზროვნებითი ცნობიერების მიმართ ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი პირველადი ცნობიერება; ყოველდღიურ ცხოვრებაში ცდის 90% არ არის რეფლექსიური, აზრებიც კი ზოგჯერ რეფლექსიის გარეშე მიმდინარეობს. ცდა ცნობიერების ფორმაა, მაგრამ ურეფლექსიო (უაზროვნო) ცნობიერება. რეფლექსიის უნარი ცნობიერებას ადამიანურ სტატუსს ანიჭებს; მხოლოდ ცდა რომ არსებობდეს, ადამიანი გორილა იქნებოდა. ადამიანის ცნობიერების მეცნიერული შესწავლა ცდის შესწავლის მხოლოდ ერთი თავია, იმიტომ რომ რეფლექსიის უნარი იძლევა ცნობიერების შესწავლის ისეთ საშუალებას თითქოს სახეზე იყოს პირდაპირი ფენომენოლოგიური მონაცემები. რეფლექსიის უნარი ფენომენოლოგიურ სარკმელს ხსნის, ე.ი. იძლევა შესაძლებლობას ძლიერ ზუსტად იქნას გამოკვლეული ადამიანური ცდა ფენომენოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით. კოგნიტიურ ფსიქოლოგიაში მენტალურ მონაცემთა აღწერას ვერბალურ მიმართებებს უწოდებენ. ცნობიერება ამოქმედებს წყვილს აღქმა-მოქმედება, რომელიც მენტალურ მნიშვნელობებს მიანიჭებს სრულიად განსხვავებულ დინამიკას. ეს უნარი ადამიანურია, ვინაიდან იგი დაკავშირებული რეფლექსიასთან, რეფლექსიის უნარი ენის საშუალებებით ინერგება. რეფლექსიის უნარი შინაგანად უკავშირდება მეტყველების უნარს და ძალიან სწრაფად მასზე დაიყვანება. ენის გარეშე არ არსებობ რეფლექსიის უნარი; მაგ. გორილას არ შეუძლია შეასრულოს გადაბრუნების ყესტი, რომლითაც იგი მნიშვნელობიდან გადადის ცნობიერ აქტამდე, რომელიც წარმოშობს მნიშვნელობას. მეტყველების უნარი სოციალური ინტერაქციის შედეგია; ენას გააჩნია გაორების უნარი: მისი საშუალებით შეიძლება აიწეროს აღწერა. არსებობს ორი ურთიერთგადახლართული დონე, ერთი ეს არის ცდის წარმოქმნელი დონე, მეორე — რეფლექსიური უნარები, რომლებიც თან ახლავს ფენომენალური მონაცემების მომზადებას. წარმოქმნა, განიხილება, დინამიკური და არაემოციური მნიშვნელობით. კოგნიტიური უნარები სხვადასხვა ფორმით წარმოიქმნება და ისინი განუწყვეტლივ უნდა გაერთიანდნენ (cousu-

es), სწორედ ეს არის წარმოქმნის ფენომენი. ამან შეიძლება განსხვავებული ფორმები მიიღოს ევოლუციის პროცესში. ყველაფერს თავისებური ცდის ფორმა გააჩნია, ადამიანის სპეციფიკურობამ თავის განსაკუთრებულ უნიკალურ სიტუაციაში იმოქმედა, რამაც წარმოქმნა რეფლექსიის შესაძლებლობა. ევოლუციური თვალსაზრისით ეს ნამდვილი წარმოქმნაა (emergence). მემკვიდრეობა არ წარმართება შეგუების გზით. ურთიერთმიმართებები იმდენად რთულია, რომ არ შეიძლება ადაპტაციის პიკზე ლაპარაკი.

ამდენად, ევოლუციური უპირატესობის იდეა ძირითადად შემგუებლობასა და ოპტიმიზაციას გულისხმობს. სინამდვილეში წარმოიქმნა იმიტომ, რომ არსებობდა წარმოქმნის შესაძლებლობანი; ეს სიტუაციის შედეგია, რომელიც შეიძლება მომხდარიყო ან არ მომხდარიყო. სამყაროს ონტოლოგია შესაძლებლობების, ნების დართვის ძლიერ ქალღური ონტოლოგიაა. შესაძლებელია ის, რაც შესაძლებელია; არ არის საჭირო იდეალური ოპტიმალურობის ძებნა, ცხოვრება ირჩევს შესაძლებლობებს, იგი ხელმძარჯვეობს. შესაძლებელია სხეულით აღჭურვილი, სენსორულ-მოტორული უნარით ან ხელოვნური ინტელექტის მქონე ორგანიზმების შექმნა. ამ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს (მაგ., ფრანკენშტეინის) დეონტოლოგიური განზომილება, მეცნიერული ეთიკა, სოციალური განზომილება. აქ საქმე ეხება უკვე არა შესაძლებელს, არამედ სასურველს; რობოტებს, რომელთა კეთება ძლიერ მიმზიდველია, იმიტომ რომ მსხვილი კონტრაქტები იდება, მაგ. რობოტები შეიძლება გაიგზავნოს მარსზე. ვარელას თვალსაზრისი ძლიერ ზოგადად აღწერს კოგნიტივიზმის თანამედროვე მდგომარეობას. ეს თვალსაზრისი თეორიის სახით ჩამოყალიბებული სრულად განსხვავებულად განიხილავს მნიშვნელობის ჩამოყალიბებისა და აღრიცხვის საკითხებს.

ლიტერატურა

- დუკერი, 2003** — Duquaire P.V. Les cahiers de l'ATP, VII 2003.
კემპფი, 1998 — Kempf H. Entretien avec Francisco Varela. La Recherche #308, IV 1998 pp. 109-112
მატურანა, 1987, 1994, 1996 — Maturana, H.R., Varela F. J. The Tree of Knowledge. Boston, Shambala/New Science Librarg, 1987.1994.1996

პეტინენგინი — Petineengin C. Weinberg A. Chapelle G.
<http://www.scienceshumaines.com/index.php?lg=fr>

ვარელა, 1993 — Varela F. L'inscription corporelle de l'esprit, Seuil, 1993 <http://www.ccr.jussieu.fr/varela/velcome/html>

ვარელა, 1996 — Varela F. Quel savoir pour l'éthique: Action, Sagesse et Cognition, 1996.

წინა შპაპაჰი

IA PKHAKADZE

A Different Kind of Linguistics

Summary

Francisco Varela (1946-2001) was a Chilean biologist, philosopher and neuroscientist who, together with his teacher Humberto Maturana is best known for introducing the concept of autopoiesis in biology. Varela was primarily trained as a biologist. Varela wrote and edited a number of books and numerous journal articles in biology, neurology, cognitive science, mathematics and philosophy. Varela was a proponent of the embodied philosophy which argues that human cognition and consciousness can only be understood in terms of the enactive structures in which they arise, namely the body (understood both as a biological system and as a personally, phenomenologically experienced) and the physical world with which the body interacts. He introduced into neuroscience the concept of neurophenomenology, based on the phenomenological writings of E. Husserl and of Maurice. Merleau-Ponty, and on 'first person science in which observers examine their conscious experience using scientifically varifiable methods.

ტერმინოლოგიური შესიტყვებისათვის ქართულში

ტერმინთა სისტემები ადამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცალკეული სფეროების ადეკვატურ ცნებათა სისტემების სიტყვიერ სუბსტანციებს წარმოადგენს.

სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა ერთსიტყვიანი ტერმინები, შესიტყვებები, სიმბოლოებით გამოხატული ტერმინები.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ტერმინის ღირებულება მისი სისხარტით, სიმოკლითა და ეკონომიურობით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით ტერმინთა სისტემების ძირითად ნაწილს შეადგენს ერთსიტყვიანი ტერმინები, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები ან რთული.

ქართული ტერმინოლოგიის (ტექნიკური, სამედიცინო, პოლიტიკური-ეკონომიკური, მრეწველობის სხვადასხვა დარგის...) განხილვა ადასტურებს, რომ მათში საკმაოდ არის გამოყენებული ტერმინოლოგიური შესიტყვებებიც.

მართალია, შესიტყვება მოუქნელი და ძნელად მოსახმარია ერთსიტყვიან ტერმინთან შედარებით, მაგრამ მას უპირატესობაც აქვს: იგი შინაარსის გამჭვირვალობით ხასიათდება. მოტივირებულობა ანუ გამჭვირვალე შინაგანი ფორმის ქონა კი ცნების სიზუსტითა და ცხადად გამოხატვას უწყობს ხელს.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები ფართო ინფორმაციას შეიცავენ და ობიექტზე სწორი ორიენტაციით სიზუსტის მაქსიმალურ ხარისხს აღწევენ.

ქართულ ტერმინოლოგიაში გვხვდება როგორც ანალიტიკური (დენოტაციური), ისე არათავისუფალი შესიტყვებები. დასტურდება სინთეზური ანუ იდიომატური შესიტყვებები.

არათავისუფალი შესიტყვებები დაუნაწევრებელია. ტერმინოლოგიური ღირებულება მთლიან შესიტყვებას აქვს, კომპონენტები სემანტიკური დამოუკიდებლობით არ ხასიათდებიან: ლექსიკური შედგენი-

ლობა, საობიექტო ქცევა, სისხლძარღვთა შევიწროება, თეთრი ღამე, სადღელამისო მუშაობა, სეზონური მუშაობა, სამელიორაციო სამუშაო, ფოტოქიმიური წონასწორობა, ატომური რადიუსი, გეოლოგიური დაზვერვა, ატმოსფერული განმუხტვა, საქარე ჩარჩო, მოლეკულის დაშლა, ეკონომიკური გაანგარიშება, ჟანგვის რეაქცია, ენდოთერმული რეაქცია, ანოდური ნათება, ფოსფორული ნათება, უსადენო კავშირი, დამცავი ბადე, სარწყავი სისტემა, ბუნებრივი სიჩქარე, დამცავი შრე, არააღებადი ნარევი, ჰიდრაგლიკური შეერთება, ტუტე ნაერთები, სამოქალაქო ნაგებობა, ბუფერული წინაღობა, საწყისი მდგომარეობა, ჩანაცვლების ხერხი, სიჩქარის საფეხური, ფიზიკური სითბო, კუბური განტოლება.

იდიომატური შესიტყვებები კომპონენტთა სინთეზის საფუძველზე იძენს ტერმინოლოგიურ ღირებულებას. „სინთეზურ ანუ იდიომატურ შესიტყვებებში ხატოვანება დაკარგულია, ტერმინს აღარ აქვს ექსპრესიულ-ემოციური ფუნქცია, ე.ი. ხდება დემეტაფორიზაცია, მაგრამ მაინც რჩება ერთგვარი გამომსახველობითი ნიუანსი, რადგან შესიტყვების მნიშვნელობის გააზრება ხდება არა შემადგენელ კომპონენტთა მიხედვით, არამედ აქვს ერთი საერთო მნიშვნელობა“ (ზექალაშვილი, 2000, 108): ქათმის სიბრმავე, ხარის თვალი, კურდღლის ტუჩი, ვოლტერის სახე, ინდური ქოლერა, მტირალა ტირიფი, ბერთოლეს მარლი, თეთრი ცხელება, ყვითელი სხეული, თურქული კეზი, მგლის ხახა.

ტერპიგორევის დახასიათებით, სინთეზური ანუ იდიომატურ შესიტყვებაში არც ერთი ელემენტი არ არის ტერმინი (მაგ: **ласточкин хвост, мальтийская звезда**) (ტერპიგორევი 1953, 74).

ტერმინოლოგიური შესიტყვებები ორ-, სამ- და მეტ კომპონენტებიანიც შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ, გავრცელებულია ბინარული, ანუ ორშემადგენლიანი ტერმინები. ამ შესიტყვებათა წევრები ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერობაშია (ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებანი). ტერმინოლოგიური იერარქია მსაზღვრელ სიტყვას სახეობითი, ხოლო საზღვრულს გვარობითი ცნების გამომხატველად წარმოგვიდგენს.

ანალიტიკური შესიტყვებების კომპონენტთა ვარირება თავისუფალია, მაგალითად, ჯამი შეიძლება იყოს წყლის, მაჭრის, ღვინის; სიფილისი — უსიმპტომო, თანდაყოლილი, ფარული (ლატენტური), შეუცნობი, შეძენილი, პროფესიული; მთავრობა — სეპარატისტული, დრო-

ებითი; ხელისუფლება — აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო; ქანჩი — ჰელიკოიდური, მომჭერი, საკეტი, ვარსკვლავა, კვადრატული, ხუფიანი, საკონტაქტო, სახსრიანი, შემზღუდველი, სარეგულაციო, ბუკისებრი, საერთებელი, სამჭიდროებელი; გენერატორი — ასინქრონული, წყალაირის, დინატრონული, სამუხტავი, იმპულსური, ინდუქციური, მაგნეტრონული, თვითაგზნებადი, თბური, ელექტროსტატიკური; თაბაშირი — გამომწვარი, საყალიბო, ქერცლოვანი, საბათქაშე, ბოჭკოვანი; მანომეტრი — ვიბრაციული, ჰაერის, ბრუნვითი, იონიზაციური, მემბრანიანი, თერმოელექტროგაკუმშიანი, რადიოაქტიური, თბური.

ამგვარ შესიტყვებებში ორივე კომპონენტი ტერმინული ღირებულებისაა: საკანონმდებლო ხელისუფლება, ჰელიკოიდური ქანჩი, მაგნეტრონული გენერატორი, რადიოაქტიური მანომეტრი. თუმცა შესაძლებელია მხოლოდ ერთი კომპონენტი იყოს ტერმინული მნიშვნელობის, უფრო ხშირად, საზღვრული ელემენტი: ზედა სარტყელი, ქვედა სარტყელი, ზომიერი სარტყელი, მსხვილი ჭურჭელი, წვრილი ჭურჭელი.

ანალიტიკურ შესიტყვებათა მსაზღვრელი წევრები საზღვრულის დანიშნულებას გადმოსცემენ, ფორმობრივად ან თვისობრივად ახასიათებენ მას.

შესიტყვებათა რიგი ძირითადად პრეპოზიციურია. მსაზღვრელის სტრუქტურული ტიპები სხვადასხვაგვარია. გვხვდება -ით, -ად, -ა, -ივ, -ოვან, -იან, -ურ, -ებრ, სა-ო, უ-ო აფიქსებიანი მოდელები.

-ით: დროებითი სისალე, ფარდობითი მოძრაობა, წინსვლითი მოძრაობა, დარტყმითი მოქმედება, ულტრაბგერითი დეტექტორი, თერმოჟანგვითი დესტრუქცია, წვევითი დინამომეტრი, დროებითი მთავრობა, ელექტროკრუნჩხვითი თერაპია, მხედველობითი ინდიკატორი, დარტყმითი დაიონება, მხედველობითი ინფორმაცია, გამოყენებითი ხელოვნება, ორობითი კოდი, ფარდობითი ინვარიანტი, ბგერითი ინდიკატორი.

-ად: გამყარებადი სამუშაოები, გამაგრებადი სამუშაოები, ცვლადი მოძრაობა, მართვადი დიაგრამა, კუმშვადი სითხე, ზედენადი სითხე, დრეკადი წირი, თხევადი საცხი, ჭედადი ლითონი, ადვილდნობადი საცობი, შექცევადი პროცესი, ჩაყენებადი თიაქარი.

-ა: მუხლუნა ურიკა, ორთავალა ურიკა, ცალთავალა ურიკა, გვირგვინა ქანჩი, ვარსკვლავა ქანჩი, სამზომა ლურსმანი, თავბურცა მო-

ქლონი, ტვინის კლიტე, ირიბკუთხა კოორდინატები, მუხლა მაკრატელი, სამმუშა ვაზნა.

-ივ: წრფივი დეფორმაცია, განივი კუთხე, გრძივი მანძილი, გრძივი ღრეჩო, წრფივი განტოლება, არაწრფივი ინდუქციურობა, წრფივი კოორდინატები.

-ოვან: კვანძოვანი ნაკერი, გვირგვინოვანი ფოსო, ჩირქოვანი რეაქცია, ბოჭკოვანი თაბამირი, მერგელოვანი თიხნარი, რკინოვანი თიხა, ხვინჭოვანი გრუნტი, ქვიშათიხოვანი გრუნტი, მარცვლოვანი თაბამირი, ქერცლოვანი თაბამირი, ნულოვანი ჯგუფი, სწორხაზოვანი მოძრაობა, სახსროვანი დეკა, ერთგვაროვანი დეფორმაცია, საფეხუროვანი დისოციაცია, ფურცლოვანი რკინა, ფურცლოვანი ნამზადი, წყალბარდგოგირდოვანი მოწამვლა, საფეხუროვანი დაიონება, ცხიმოვანი მჟავა, გოგირდოვანი ლითონი, ზეთოვანი ბრკე, ხაზოვანი ზედაპირი, ღაროვანი რელსი.

-იან: სახსრიანი ქანჩი, ნაკიანი წელიწადი, ღორღიანი გრუნტი, მცირესაყრდენიანი მუხლუხი, ჩაბერვიანი ძრავა, მოკლესვლიანი ძრავა, შოლტებიანი დეკა, ტოლფაზიანი ზონა, მუდმივწერტილიანი დეტექტორი, ვაკუუმიანი კონდენსატორი, ალიანი კოლექტორი, დანებიანი დისკო, ჭვრიტეებიანი დიაფრაგმა, გრძელჩარჩოიანი კონსტრუქცია, ნახევარგატიანი ნათურა, მრავალშრიანი ლუმინოფორი, ოთხნაპერწკლიანი მაგნეტო, დოლაბიანი წისქვილი, კვარციანი რეზონატორი, სახიანი ქსოვილი, ორკონტაქტიანი ვაზნა, პარტახტიანი ტიფი.

-ურ/ულ: ალგებრული ჯამი, რადიაციული შრომა, კონვექციური შრომა, რეფლექსური სქემა, მოლეკულური შეჭიდულობა, პროპორციული მრიცხველი, კომბინირებული აგეგმვა, მაგნიტური სხეული, მიკროსკოპული სხეული, ზღვრული ტემპერატურა, კინეტიკური თეორია, ზედაპირული თბოგადამცემი, იმპულსური გენერატორი, პარალელური გრაფიკი, კომერციული ტვირთი, ბარომეტრული წნევა, კაპილარული წნევა, კონტაქტური დეტექტორი, წრიული დიაგრამა, ელასტიკური დიაფრაგმა, ციფრული მონაცემები, რეაქტიული ძრავა, ჭავლური მოძრაობა, კოროზიული მოქმედება, ქიმიური მოქმედება, სპექტრული დიაგრამა, სფერული საკეტი, ატომური იზომეტრია, მაგნიტური ინდიკატორი, სილიკატური აგური, ანძური კონსტრუქცია, ცილინდრული სახურავი, ოპტიკური დატუმბვა.

-ებრ: ლაბისებრი ნალექი, ფანტელისებრი ნალექი, ღეროსებრი საკიდარი, მილისებრი ღერო, სოლისებრი აგური, ბუკისებრი ქანჩი,

ნუშისებრი ჯირკვლები, მტვრისებრი გრუნტი, ხრახნისებრი მოძრაობა, მარყუჟისებრი მოძრაობა, მარაოსებრი დეპო, ბადისებრი ძარღვი.

სა-ო: სამეთუნეო თიხა, საკონდენსაციო ქოთანი, სასიგნალო ძრავა, სატრანსპორტო ძრავა, სატრანზიტო მოძრაობა, სამუხრუჭო მოქმედება, საინჟინრო საქმე, საორთქმავლო დეპო, სალოკომოტივო დეპო, სატელევიზიო დიაპაზონი, საანგარიშო სიგრძე, საექსპლუატაციო გამოცდა, სანაოსნო არხი, სატელევიზიო არხი, საკომპენსაციო ჭა, საგრუნტო საღებავი, სააბონენტო ხაზი, სამანქანო ზეთი, სამედიცინო ზეთი, სამოდელი ფილა.

სა-ე: საცრემლე ჯირკვალი, საკვერცხე უჯრედი, სალანჩე ტყავი, საკვამლე არხი, სანაღმე კამერა.

უ-ო: უინდუქციო კონდენსატორი, უგანზომილებო კოორდინატები, უგანმზენო სისტემა.

სატერმინოლოგიური გრამატიკული ინვენტარი არსებითი და ზედსართავი სახელებია. არცთუ იშვიათად გასუბსტანტივებულია სახელები, ზედსართავი კი ძირითადად მიმართებითია. გვხვდება შემდეგი ატრიბუტულმსაზღვრელიანი მოდელები:

ა) მსაზღვრელად პირველადი ზედსართავია წარმოდგენილი: მსხვილი ჭურჭელი, წვრილი ჭურჭელი, მაღალი წნევა, ცივი იარაღი, თეთრი ღამე, წვრილი ნახშირი, ფერადი ლაქები, წითელი ქარი, ფერადი ცემენტი, იშვიათი მინერალი, ბრტყელი ზესადები, მლაშე ტბა, ფხვიერი ქანი, ფუჭი ქანი, მშრალი სინჯი, ბრტყელი სარქველი, ბლანტი სითხე, ნედლი თიხა, მჭლე თიხა.

ბ) მსაზღვრელად მიმართებითი ზედსართავია წარმოდგენილი: საღვინე ჭურჭელი, საკარაქე ჯამი, საკანონმდებლო ხელისუფლება, სამოქალაქო ნაგებობა, ბუკისებრი ქანჩი, ასინქრონული გენერატორი, ბოჭკოვანი თაბამირი, მინერალური ნახშირი, თხილა ნახშირი, მაგნიტური გადინება, სალიანდაგო უბანი, სატვირთო ჯაჭვები, სამჭედლო საამქრო, ჯგუფური სიხშირე, სატელევიზიო გადაცემა.

ბ) მსაზღვრულად მიმდებარა წარმოდგენილი: მოჭიქული ჭურჭელი, დამარცვლული თუთია, დამყოფი ფარგალი, მბრუნავი მაქო, აღმასრულებელი ხელისუფლება, გამვლელი სხივები, გამომთვლელი მანქანა, აღმდგენი მექანიზმი, მკვებავი ტუმბო, მმართველი გრაგნილი, ჩამოსასხმელი განყოფილება, აღმდგენი ღუმელი, მჭვარტლავი ალი, მოკალული ზედაპირი, დამცავი დაფარვა, გამყოფი ზოლი, გაფხვიერებული ნიადაგი, მიმყვანი სადენი, მომწამლავი აირი, მათეთ-

რებელი თიხა, ამწევი ბერკეტი.

გვხვდება სუბსტანტიურმსაზღვრელიანი შესიტყვებები: ბაზრის კონიუნქტურა, ბაზრის ფიასკო, ბაზრის წონასწორობა, გადახდის ვალუტა, გამყიდველის ბაზარი, განაწილების თეორიები, ზღვის დანალექი, დუდილის ტემპერატურა, ჭაობის აირი, ჯიბის ფარანი, თიხის კრამიტი, წყლის სინჯი, მილების ჩაწყობა, წყლის დონე, საზღვრის ზოლი, კარის ფრთა, მადნის ქანი, ფეხის წნეხი, კარიერის ველი, აგურის იატაკი, ხელის პერფორატორი, კარის ანჯამა, მთის ცვილი, მთის ბროლი, სილიციუმის ოქსიკარბიდი, კუთხის საყრდენი, სახსრის ღერები, კვარცის ქვიშა, ზღვის ქვიშა, ციმბირის წყლული, ზღვის დავადება, ფილტვის კარი, სარაჯიშვილის მიქსტურა.

ზოგჯერ შესიტყვება ორზე მეტ კომპონენტს შეიცავს: საკონტროლო არხის მიმღები, პირდაპირი გაძლიერების მიმღები, არაპირდაპირი მოქმედების ამძრავი, ძალათა სისტემის დაყვანა, უმცირესი იძულების პრინციპი, დანაკარგთა შეკრების პრინციპი, ქმედებისა და უკუქმედების ტოლობის პრინციპი, გრუნტის წყლების მოდინება, წინაღობის ძალთა მუშაობა, მარგი ქმედების კოეფიციენტი, უქმი სვლის მუშაობა, გრუნტი წყლების დონე, მატარებელთა ორმხრივი შედგენა, ნახევრად მშრალი დაყალიბება, მაგნიტური ველის ჩაქრობა, დაბალი ძრავის რკალი, დაბალი ძაბვის კოჭა, დამუშავების ხერხების კლასიფიკაცია, გასაშლელი ქანჩის გასაღები, წონითი პროცენტული კონცენტრაცია, ძაბვის რეგულატორის მხრეული, დაბალი წნევის ორთქლი, სათბობის დონის მაჩვენებელი, პროგრამული რეგულირების სისტემა, ინდიკატორული მარგი ქმედების კოეფიციენტი, ეფექტური მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ტერმინოლოგიური შესიტყვებების კომპონენტები, როგორც ქართული, ისე უცხოური წარმომავლობისაა.

ა) ტერმინოლოგიური შესიტყვებების კომპონენტები ქართულია: ღრმა ჭრილობა, თეთრი ღამე, მაღალი წნევა, თიხის ჭურჭელი, მოჭიქული ჭურჭელი, ბრტყელი გადახურვა, ღრუ გადახურვა, ღერძული გადაადგილება, წყლოვანი ფენა, სატვირთო მატარებელი, ხარისხობრივი დანაკარგები, ადგილობრივი დანაკარგები, თიხნარი ნიადაგი, მომჭერი სამარჯვი, მცველი საცობი, გადასატანი სადენი, ნაწილობრივი შემკვრივება, ბრტყელი ფიგურა.

ბ) ტერმინოლოგიური შესიტყვების კომპონენტთაგან ერთ-ერთი უცხოური წარმომავლობისაა: მაჭერმეტიზებელი დაფარვა, დადებითი

პოლუსი, უარყოფითი პოლუსი, ინდუქციური დაბრკოლება, კერამიკული ჭურჭელი, ცირკულაციური ნაკადი, დიფუზური გარდაქმნა, ანოდური გარდაქმნელი, პნევმატიკური ხელსაწყო, სოლენოიდური ამძრავი, ბიმეტალური სადენი, ჰიდრაულიკური სინჯი, ექსცენტრული დარტყმა, ნიტრატული სასუქი, ჰიბრიდული დონე.

გ) ტერმინოლოგიური შესიტყვების ორივე კომპონენტი უცხოური წარმომავლობისაა: მაგნიტური პოლუსი, მაგნიტური პოლარიზაცია, იონიზაციური პოტენციალი, კინეტიკური ფოკუსი, ავტოკორელაციური ფუნქცია, ანალიზური ფუნქცია.

ამგვარად, ქართულ ტერმინოლოგიაში ტერმინოლოგიური შესიტყვებები ფართოდ არის გამოყენებული. უფრო მეტად დასტურდება ორწევრა ატრიბუტულმსაზღვრელიანი პრეპოზიციური შესიტყვებები. ანალიტიკური და არათავისუფალი შესიტყვებები ჭარბობს სინთეზურ შესიტყვებებს. ტერმინთა წარმოებისათვის გამოყენებულია როგორც ქართული, ისე უცხოური წარმომავლობის სიტყვები.

ლიტერატურა

ზექალაშვილი, 2000 — რ. ზექალაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, თბ., 2000.

კოტელოვა, — Котелова Н. З. вопросу о сфещифике термина – Лингвистические проблемы научно – технической терминологии.

მელიქიშვილი, 1999 — დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999.

ტერპიგორევი, 1953 — Терпигорев А. М. об упорядочении технической терминологии – ВЯ, 1953, №1.

სოლოვიევი, 1973 — Соловьев В. Р. Терминологически словасачетания как составная часть системы терминологии. Рига, 1973.

ტექნიკური ტერმინოლოგია, რ. დვალის და რ. ღამბაშიძის რედაქციით, თბ., 1989.

ღამბაშიძე, 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

NINO PKHAKADZE

Towards Georgian Terminological Collocations

Summary

As is known, a term should be a crisp, laconic, one-word linguistic unit. However, the study of Georgian terms for different scientific fields have shown that terminological collocations are quite frequent. They are less flexible, though more transparent than one-word terms. In the Georgian terminological system two-member collocations are prevalent; the following patterns are most frequent: the modifier + the modified, prepositional phrases, analytical and bound collocations prevail over the synthetic ones. For term creation Georgian as well as borrowed roots are used.

ლია ჰაროსანიძე

**1629 წლის ქართულ-იტალიური ლექსიკონის ბერძნული
სიტყვებისა და ლექსიკონის შემდგენელის საკითხის
ურთიერთმიმართებისათვის**

სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ დადასტურებულ ბერძნულ ლექსიკას ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ვიკვლევთ და პერიოდულად ვაქვეყნებთ კიდევ ამ მასალას სტატიებისა თუ სამეცნიერო კონფერენციის თეზისების სახით (ქაროსანიძე, 2000, 2007, 145-147). ბერძნული სიტყვების კვლევას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ჩვენი აზრით, ამ კვლევის შედეგები უშუალოდაა დაკავშირებული ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელის, ნიკიფორე ირბახის, პიროვნების სადავო საკითხთან. ნიკიფორე ირბახის ვინაობა არ იცის მიხეილ თამარაშვილმა (თამარაშვილი, 1902); ექვთიმე თაყაიშვილი მას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან აიგივებს (თაყაიშვილი, 1913, 27). კორნელი კეკელიძის თვალსაზრისითაც, „ნიკიფორე ირბახი ქართველია, იგი ეკუთვნოდა ჩოლოყაშვილთა იმ შტოს, რომელიც ცნობილია ირუბაქიძედ“ (კეკელიძე, 1945, 45). ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად ემთხვევა ნიკიფორე ირბახისას.

ნიკიფორე ირბახისა და ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილის იდენტურობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს „ქართულ-იტალიურ ლექსიკონის“ ქართულ სიტყვანში დაშვებული უზუსტობანი, ზოგჯერ სრულიად გაუგებარი სიტყვები (მაგალითად, ვიხიტკაუ, ლაკურჩელი, ვივარკზონი...), ქართული სიტყვების ნაცვლად შესაბამისი შინაარსის ბერძნული სიტყვების გამოყენება, სწორედ ბერძნული სიტყვების სიტყვების გამო ფიქრობს დავით კარიჭაშვილი, რომ ნიკიფორე ირბახი იგივე ნიკიფორე მიტროპოლიტია, ნიკოლოზად წოდებული, რომელიც ორჯერ ყოფილა მოსკოვს ელჩად გაგზავნილი. ეს ნიკიფორე მიტროპოლიტი ტომით ბერძენი იყო (კარიჭაშვილი, 1929, 120-122).

არნ. ჩიქობავა არ უარყოფს ირბახის ქართველობას, დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისს იგი საგულისხმოს და ანგარიშგასაწევს უწოდებს, მაგრამ იქვე წერს: „ზოგი საკითხი მაინც გაურკვეველი რჩება: მაგალითად: როგორ შეიძლებოდა ნიკიფორე ირბახს (რომელიც დავ. კარიჭაშვილის ვარაუდით „ორი-სამი წლის ნამყოფი იქნებოდა საქართველოში, როდესაც რომს გაემგზავრა“) არ სცოდნოდა ისეთი სიტყვები, როგორცაა, „მეფე“, „ცხენი“, „მამაკაცი“ (Huomo)... მერეა-და, როგორღა მოხდა, ბერძნული სიტყვები „ანირ“, „ვასილია“, „იბო“... ქართულ სიტყვებზე შეიტანა იტალიელმა სტეფ. პაოლინიმ, რომელმაც, რასაკვირველია, ბერძნული ენა და ამ სიტყვათა სადაურობა კარგად იცოდა... მით უფრო — მთელი ფრაზა ბერძნულ ენაზე“ (ჩიქობავა, 1965, 25).

არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ლექსიკონი შედგა რაღაც ლექსიკონის (ვთქვათ, ბერძნული ლექსიკონის) სიტყვანიდან გამოკრებილი მასალის ქართულად თარგმნით და ამ თარგმანის დროს ზოგი სიტყვა (ბერძნული) დარჩა უთარგმნელად (იქვე, 25).

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ლექსიკონში დადასტურებული ბერძნული ლექსიკონის ხასიათის განსაზღვრა გარკვეულ როლს ითამაშებს ამ საკითხის გადაწყვეტაში.

„ქართულ-იტალიურ ლექსიკონის“ ბერძნული ლექსიკონი სრულად გამოკვლეული არ არის. ქართულ სიტყვანში ქართული ასოებით შეტანილი ბერძნული სიტყვების შესახებ ასეთი აზრი აქვს თ. უთურგაიძეს: „ლექსიკონში ბერძნულ სიტყვებს ბერძნულ-ქართული იერი აქვთ, ასეთია, მაგალითად, ფალანგოს, რომელიც ლექსიკონში გვხვდება ფალაღა სახით. მისი ამგვარი ჩაწერა შედეგია ბერძნული ფორმის არასწორი წაკითხვისა, გვ უნდა წაკითხულიყო ნგ-დ (რაც გვხვდება კიდევ ქართულში, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვაქვს — ფალანგი) და არა ღ-დ. ამ სიტყვის წამკითხველი რომ ბერძენი მიტროპოლიტი ყოფილიყო, ბუნებრივია, ასეთ ორთოეპიულ შეცდომას არ დაუშვებდა და წაკითხავდა ფალანგოს“ (უთურგაიძე, 1999).

ვერ დავეთანხმებით ბ-ნ თედოს: ასეთი წაკითხვა ორთოეპიული შეცდომა არ არის. ორ გამას ერთად ნგ-დ მე-17 საუკუნეში ბერძენი არ წაკითხავდა. წაკითხავდა სწორედ ასე — ფალაღა.

ბიზანტიური ბერძნულის ბგერათა ორთოეპიის ისტორიას ეხება ნ. მახარაძის სპეციალური ნაშრომები: „ბიზანტიური ბერძნულის ფო-

ნეტიკის საკითხები“ და „ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები“ (მახარაძე, 1978; 19), რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ არათუ ახალ ბერძნულში (მე-17 საუკუნე უკვე ახალი ბერძნული ენის პერიოდია), არამედ ბიზანტიური ბერძნული ენის ეპოქაშიც (IV-XVI) ორი გამა ერთად ნგ-დ აღარ გამოითქმოდა.

ალ. ლლონტის თვალსაზრისით: „ლექსიკონის ქართული სიტყვანი, უეჭველია, ეყრდნობა გარკვეულ წყაროებს, რომელთა სათავე დიდ ქართველ ფილოლოგოსთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგებშია საძიებელი“ (ლლონტი, 1983).

ლექსიკონში არის რამდენიმე ისეთი სიტყვა, რომლებზეც შესაძლოა გვეფიქრა, რომ საბას ლექსიკონიდან მოხვდა „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“. მაგალითად: „არნი — გარეული ცხვარი“ და „დასო — მალნარისა და ვშირისა, რომელთაც ფიჩხთა სახელი არს“, მაგრამ ლექსიკონის ქართულ სიტყვანზე მუშაობისას ჩნდება აზრი, რომ მისი შემდგენლები, არათუ კარგად, საერთოდ არ იცნობდნენ ძველ ქართულ წყაროებს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ლექსიკონის ქართული სიტყვანი, რომელშიც ძველი ბერძნული ნასესხობების ნაცვლად, იმ ნასესხობებისა, რომლებიც ქართულმა ენამ დიდი ხნის წინათ შეითვისა, ახალი ბერძნული ენის ლექსიკონია. ეს განსაკუთრებით ქრისტიანულ ტერმინოლოგიას ეტყობა. ძველი, ტრადიციული, ქრისტიანული ტერმინოლოგიის ნაცვლად ლექსიკონში ახალი ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანილი ფორმები დასტურდება. მაგალითად, ქრისტიანოსინი, ქრისტიანოს, ფსალმონ, მეტანიომა, მირა და სხვ. (ქაროსანიძე, 2005, 77).

ყურადღებებს იპყრობს ისიც, რომ ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა ქართულადაც არის შეტანილი და ბერძნულადაც. თანაც, ბერძნულ სიტყვებში შეცდომები თითქმის არ არის, ქართული სიტყვები კი, უმეტესად, დამახინჯებულია. მაგალითად: ვასკლი („ვაშლი“) და ბერძნ. მილო; კატსი („კაცი“) და ბერძნ. ანირი; კურტგელი („კურდღელი“) და ბერძნ. კუნელი და სხვ.

ლექსიკონის ქართული სიტყვანის იერისათვის, ვფიქრობთ, ამ მაგალითების მოხმობაც საკმარისია: იენუარი, ფებრუარიო, აპრილს, ოულიოს, აღუსტოს, სეტემბრიოს, დესებრე, ეპისკოპუს, ანგელოს, თეატრონ, სავათონ და სხვ.

დავით კარიჭაშვილი 47 ბერძნულ სიტყვას ასახელებს. ესენია: **ანირი, ანდრია, გილანტეს, გლიბტოს, გაბილა, კაბილა, გაბილა-**

რი, კაპილარი, ეთი, ელეო, ემბლასტი, ვარკა, ვასილია, იემონ, იბოკრიტი, იბოკრიტო, ფარისეო, იპო, იტიკო, ლიმიონა, პანალირი, პანდოხიონე, სინაკის, ტიპონი, მართირი, მარტირი, მალოს, მალაცონ, მელაკონია, მეტიტის, პლანე, პროფიტი, პროფიტია, სავათონ, სკორპიო, სტრატელატი, ლოცვაელეონ, ქრისტიანოს, ცახარი, ვიტა, ლეპარი, ლინარე, კალიმპსუერი, კალიდილა, კალისერება, კალირჯე, გათაკლისმო.

ლექსიკონის ქართულ სიტყვანში ამ სიტყვების გარდა სხვა მრავალი სიტყვაა, რომლებიც შეუძლებელია დ. კარიჭაშვილს არ შეენიშნა, უბრალოდ, როგორც ჩანს, მან თავისი თვალსაზრისის დასადასტურებლად ეს მაგალითებიც მიიჩნია საკმარისად, ლექსიკონის კვლევა კი მის მიზანს არ წარმოადგენდა.

ჩვენ მიერ ქვემოთ განხილული სიტყვებით, ვფიქრობთ, ნათლად იკვეთება მე-17 საუკუნის სასაუბრო ბერძნული ენა, თავისი აღმოსავლური, ლათინური თუ იტალიური ნასესხობებით:

1. ავანია **avana Calunnia**¹

ავანია < Ἄβανια არს.სახ. < ზედ.სახ Ἀβάνης < არაბ. Havan „უღირსი“, „დაწყევლილი“.

2. არნი **arni Agnello**

არნი < το άρνι < ძვ. άρνιον კნინ. τοῦ άρνῆ „ცხვარი“.

3. ბალა **bala Palla, Balla da giocare**

ბალა < μπάλα < იტალ. Balla

აქ შესაძლოა გვეფიქრა, რომ ლექსიკონში უთარგმნელად არის გადმოტანილი იტალიური შესატყვისი და ბერძნული არაფერ შუაშია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასე რომ ყოფილიყო, სტეფანე პაოლინი სიტყვის ტრანსკრიპციაში ორ I-ს დაწერდა. ცხადია, იტალიური სიტყვის ბერძნული ვარიანტია ლექსიკონში მოხვედრილი და არა პირდაპირ იტალიური.

4. ბამბაკი **bambaki bambace**

ბამბაკი < το μπαμπάκι < ძვ. βαμβάκιον კნინ. βάμβαξ

5. ბრუნცო **brunzo Bronzo**

ბრუნცო < ახ.ბერძნ. μπρου(ν)τζός < საშ. μπροῦντζος < იტალ.

¹ სიტყვები ლექსიკონში სამ სვეტადაა დალაგებული: პირველში ქართული ლექსემები ანბანის რიგზეა დაწყობილი, მეორეში ლათინური ასოებით ჩაწერილი იგივე სიტყვები მეორდება, მესამეში კი მათ იტალიური შესიტყვებებია მოცემული.

Bronzo

ბრუნცო და მისი ტრანსლიტერაცია ზუსტად ემთხვევა იტალიური სიტყვის (Bronzo-bronzo) ბერძნულ წარმოთქმას.

6. დასო **dafo Bosko, Selua**

დასო < δάσος(το) „ტყე“

7. ვერნიხი **vernichi Vernice**

ვერნიხი < ბერძნ. βερνίκι το < იტალ. Vernice „ლაქი“, „პალიტურა“, „საცხი“.

8. თაუროს **Thauros Toro**

თაუროს < ბერძნ. ταύρος (ο) < ძვ. ταύρος „ხარი“.

9. თისია **Tifia Sacrificio**

თისია < ახ. ბერძნ. θυσία (η) < ძვ. ბერძნ. θυσία < θύω „მსხვერპლი“, „მეწირვა“.

10. იოფირი **iofiri Ponte**

იოფირი < ახ. ბერძნ. γέφυρα (ή) „ხილი“.

11. ირინი **irini Pace**

ირინი < ახ. ბერძნ. έρηνη (ή) „მშვიდობა“.

12. კანატა **kanata Boccale**

კანატა < ბერძნ. κανάτα (η) < ლათ. Cannata „ღოქი“.

13. კარტოფორი **kartofori Corriero**

კარტოფორი < ბერძნ. χαρτοφόρος ὁ „კურიერი“.

14. კონდურა **kondura Pianella Pantofolo**

კონდურა < ბონტოური დიალექტი κουδύρα < თურქ. Kundura „ფეხსაცმელი“.

15. კოფინი **kofini Sporta**

კოფინი < ახ. ბერძნ. κόφινι < საშ. ბერძნ. < ძვ. ბერძნ. κοφίνιον „დიდი კალათა“.

16. კუნელი **kuneli Coniglio**

კუნელი < ბერძნ. κουέλι(το) (.) < იტალ. ჩონიგლიო „კურდღელი“.

17. ლანცა **lancia Picca**

ლანცა < ბერძნ. λάντζα(η) < იტალ. Lancia „გონდოლა“, „ნავი“.

18. მაგია **maghia Negromantia**

მაგია < ბერძნ. μαγεία(η) < ძვ. μαγεία < μαγεύω „ჯადოქრობა“.

19. მარლარიტარი **margaritari Perla**

მარლარიტარი < ახ. ბერძნ. μαργαριτάρι (το) < საშ. ბერძნ.

μαργαριτάρην (კნინობითი) < ძვ. μαργαρίτης „მარგალიტი“.

20. **მასტარი maftari sperza**

მასტარი < ახ. ბერძნ. μαστάρι < საშ. ბერძნ. μαστάρην < ძვ. ბერძნ. μαστός „მათრახი“.

21. **მეტანიომა metanioma Pentimento**

მეტანიომა < ბერძნ. μετάνιαμα (το) < μετανιώνω (μετά-νοια) „მონანიება“)

22. **მელალი megáli Grande**

მელალი < ახ. ბერძნ. ὀρθογεβίον, μεγάλη „დიდი“.

23. **პალამიცო palamizo Spalmare**

პალამიცო < ბერძნ. παλαμίζω „ვპოხავ“

24. **პატრონა patróna Padrona, Signora**

პატრონა < ბერძნ. πατρόνα < იტალ. patrona < ლათ. patronus „პატონის ცოლი“.

25. **პასხა pafcha Pafqua**

პასხა < ბერძნ. τὸ πάσχα „აღდგომა“

26. **პიიტი piiti Poeta, Inuentorea**

პიიტი < ახ. ბერძნ. ὀρθογεβίον, ὁ ποιητής „პოეტი“

27. **პირონ piron Forchetta**

პირონ < ახ. ბერძნ. πιρούσι (το) < საშ. ბერძნ. περόσιონ (კნინ.) < ძვ. ბერძნ. πέρισι „ჩანგალი“

28. **პონე pone Bando**

პონე < ბერძნ. φωνή „ბგერა“

29. **როლოი rolói Orologio**

როლოი < ახ. ბერძნ. τὸ ρολόι < საშ. ბერძნ. ὁ ἀπολόγιον < ძვ. ბერძნ. ἄρα „დრო“ + λέγω „ვამბობ“. **Orologio**, ბერძნულიდან აქვს ნასესხები იტალიურს.

30. **საკო faco Sacco**

საკო < ახ. ბერძნ. σάκος (ο) < ძვ. ბერძნ. σάκκος < სემიტ. sak „ტყავი“, „ტომარა“.

31. **საკული faculi sacco**

საკული < ახ. ბერძნ. σακούλι (το) < საშ. ბერძნ. σακκούλι < σακκούλιον < კნინ. ფორმა ძვ. ბერძ. σάκκος „ტყავი“, „ტომარა“.

32. **სანდალი fandáli Pianella, Pantofolo**

სანდალი < ახ. ბერძნ. σαντάλι < ძვ. ბერძნ. σανδάλιον < კნინ. σάνδαλον (το).

33. **სენდონი fendóni lentola**

სენდონი < ახ. ბერძნ. σεντόνι < საშ. ბერძნ. σινδόνιον < ძვ. ბერძ. σινδών „ზეწარი“.

34. **სენდუკი fenduki Caffa**

სენდუკი < ახ. ბერძნ. σεντόνι < საშ. ბერძ. σινδόνιον < თურქ. სანდიკ „ზანდუკი“.

35. **სკამნი**

სკამნი < ახ. ბერძნ. σκάμι < საშ. ბერძ. σκαμί(ο) (კნინ.) < σκάμιον < ლათ. scamnum „სკამი“.

როგორც ვხედავთ, ლათინურიდან ნასესხები სიტყვაში *ν* (ნ) ბერძნულს შენარჩუნებული აქვს.

36. **სპანახი fpanachi spinaci herba**

სპანახი < ბერძნ. σπανάκι < ლათ. spinaceum < სპარს. äspānah „ისპანახი“

37. **ტრომბედა trombeda Tromba**

ტრომბედა < ბერძნ. τρομπέτα < იტალ. trombetta „საყვირი“

როგორც ცნობილია, ბერძნულმა ენამ განვითარების სამი საფეხური განვლო: ძველი (კლასიკური), საშუალო (ბიზანტიური) და ახალი ბერძნული ენა, სავსებით განსხვავებული კლასიკური ბერძნული-საგან. თანამედროვე სალიტერატურო ბერძნული ენისაგან ასევე მკვეთრად განსხვავდებიან ახალი ბერძნული ენის დიალექტები: კაბადოკიური, პონტოური, სამხრეთ იტალიური და ცაკონური.

რა კავშირი აქვს ამ დიალექტებს სტეფანე პაოლინისა და ნიკი-ფორე ირბახის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონის“ კვლევასთან?

ჩვენი ვარაუდით, დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისს უეჭველად განამტკიცებს „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიტყვანში დადასტურებულ ბერძნულ ლექსიკაში კაბადოკიური ან პონტოური დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა, რადგან, ცნობილია, რომ ნიკოლოზ მიტროპოლიტი, რომელთანაც აიგივებს დავით კარიჭაშვილი ნიკიფორე ირბახს, კონსტანტინეპოლიდან ჰყავდა გამოწვეული თეიმურაზ პირველს, ხოლო, თუ იმ თვალსაზრისს გავიზიარებთ, რომ ლექსიკონის შემდგენელი სტეფანე პაოლინია, აქ მხარი უნდა დაგვიჭიროს ბერძნულ ლექსიკაში სამხრეთ იტალიური დიალექტის ფორმებმა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტეფანე პაოლინი სამხრეთ იტალიიდან იყო წარმოშობით.

1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ქართული სიტყვანის სრულყოფილი შესწავლის გარეშე ამ წიგნის ავტორობის საკითხი მუდამ სადავო იქნება სამეცნიერო ლიტერატურაში.

ლიტერატურა

თამარაშვილი, 1902 — მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

თაყაიშვილი, 1913 — ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, თბ., 1913, წიგ. მეორე.

კარიჭაშვილი, 1929 — დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929.

კეკელიძე, 1945 — კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III. თბ., 1945.

მახარაძე, 1978 — ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნული წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978

მახარაძე, 19 — ნ. მახარაძე, „ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები“, 19

უთურგაძე, 1999 — თ. უთურგაძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ქაროსანიძე, 2000 — ლ. ქაროსანიძე, ახალი ბერძნული ენის ლექსიკა სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“, ენა და საზრისი, ლექსისი, მეცნიერება, 2000.

ქაროსანიძე, 2002 — L. Karosanidze, About the "Georgian-Italian Dictionary", ლინგვისტური აზრის ისტორიის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია, ბრაზილია, 2002.

ქაროსანიძე, 2005 — ლ. ქაროსანიძე, ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართულ-იტალიურ ლექსიკონში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI, ეძღვნება ქრისტიანობის ოც საუკუნეს საქართველოში, თბ., 2005.

ქაროსანიძე, 2007 — ლ. ქაროსანიძე, 1629 წელს რომში მისიონერთა მიერ გამოცემულ „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ დადასტურებული ბერძნული სიტყვები, კრებული ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბ., 2007.

ღლონტი, 1983 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.

ჩიქობავა, 1965 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

ჩიქობავა, ვათეიშვილი, 1983 — არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

LIA KAROSANIDZE

Towards the Link between the Greek Glossary of the 1629 Georgian-Italian Dictionary and the Compiler of the Dictionary

Summary

The paper investigates the Greek glossary of the 1629 Georgian-Italian Dictionary compiled by S. Paolini and N. Irbach.

The paper argues that the Greek data of the dictionary might help to clarify some controversial points about N. Irbach, one of the compilers of the dictionary.

TAMAR KATSANASHVILI

**DIDACTIQUE DU FRANÇAIS LANGUE ÉTRANGÈRE (FLE)
ET LES OUTILS NUMÉRIQUES AUTHENTIQUES**

De nos jours, des spécialistes des langues parlent très souvent de la “naturalisation” de l’apprentissage. Cela signifie de rapprocher la langue largement artificielle ou fabriquée, proposée par des programmes du FLE, avec la langue de la communication réelle. «Naturaliser» l’apprentissage signifie donc tenter d’approcher au mieux la réalité sociale des échanges réels entre partenaires utilisant la langue étrangère par nécessité dans des interactions véritables et authentiques” (Janitza, 2002, p. 61).

Pour trouver des outils authentiques, c’est-à-dire des documents sans aucune modification, Internet joue un rôle primordial parmi les produits informatiques.

Grâce à ses qualités (omniprésence, disponibilité, facilité...) Internet représente une aide importante pour beaucoup d’employeurs. C’est une vaste source d’information et de documents proposant à l’utilisateur une expérience multimédia riche.

L’emploi des outils authentiques par Internet n’est pas facile. Pour qu’Internet apporte des vraies aides dans l’apprentissage, le rôle de l’enseignant est définitif. L’enseignant, parmi de nombreuses ressources doit choisir celles les plus utiles, il doit élaborer des scénarios pédagogiques et proposer à ses apprenants.

Pourquoi il faut employer des outils informatiques?

Avant de commencer à discuter sur ce sujet, montrons une anecdote, citées par Janitza :

- Une actrice (jeune) : “ J’ai fait allemand première langue au lycée, et jamais d’anglais... ”.
- L’animateur (visiblement ravi de cette aubaine pour “ placer ”, avec

une prononciation approximative) :

“ Sprechen Sie Deutsch ? ”

– L’actrice : “ Not at all. ” (rires)¹ (p. 58).

Il est dommage que cet exemple s’étend sur le français aussi et même quand il s’agit des leçons particulières. Très souvent, l’apprenant qui acquiert des cours particuliers du FLE pendant longtemps (parfois pendant des années (!), est loin de posséder une langue d’une manière parfaite

Parmi d’autres raisons (les capacités restreintes de l’apprenant, la manque du professionnalisme chez certains professeurs), cette situation peut être provoquée par la démotivation de l’apprenant, causée par une monotonie des activités dans la didactique des langues.

Les exigences des apprenants de nos jours ont beaucoup évolué. Louis Porcher (1981) a appelé “les nouveaux apprenants de langue” aux personnes qui :

- sont pragmatiques ;
- préfèrent une confrontation rapide avec la réalité ;
- sont démotivés par des approches scolaires ;
- désirent des outils pédagogiques portables ;
- souhaitent que ces outils soient faciles d’emploi ;
- recherchent un savoir atomisé en unités indépendantes ;
- sont favorables à l’autoévaluation / correction ;
- sont sensibles à l’insécurité langagière.

Pour que ces apprenants soient motivés, on parle souvent d’une redéfinition du rôle de l’enseignant. Yalden déjà en 1987 disaient que : “ [les nouvelles stratégies pédagogiques] requièrent évidemment une redéfinition du rôle de l’enseignant, qui doit chercher à promouvoir un environnement offrant le matériau linguistique approprié et dans lequel l’apprenant se trouve engagé dans une interaction créative ” (Yalden, 1987, cité par Bertin, 2001, p. 41).

Dans la stimulation des apprenants contemporains, les outils multimédias jouent un rôle incontestablement positif. L’effet de leur utilisation dépend aux capacités professionnelles des enseignants.

¹ Bribes entendues sur une radio nationale lors d’une émission consacrée au plurilinguisme culturel.

Didactique contemporaine du FLE.

Pour que la leçon du français orale soit intéressante, l'enseignant doit élaborer sa propre démarche pédagogique en insérant des outils multimédias dans ces activités usuelles. Ces activités inventives portent le nom de *scénarios pédagogiques*.

Mangenot et Louveau (2006) définissent un scénario pédagogique comme équivalent à une tâche à laquelle s'ajoute un scénario de communication. Sous le terme de tâche, les auteurs sous-entendent des activités de l'apprentissage divisées en deux parties : des tâches fermées et des tâches ouvertes. Des tâches fermées sont associées aux exercices informatisés correspondant à un usage tutorial de l'ordinateur. Ce sont des exercices assez traditionnels, comportant des activités d'appariement, de textes lacunaires, QCM etc. Les tâches ouvertes sont liées aux activités libres et sont particulièrement effectives dans l'apprentissage des langues. Mangenot et Louveau (2006) accordent un rôle primordial aux tâches ouvertes et trouvent que seulement elles sont capables de réellement pratiquer la langue.

Alors que des exercices informatisés sont déjà employés pendant plusieurs années, l'utilisation des ressources multimédias authentiques est une initiative assez récente. Il s'agit d'insérer des films, chansons, bandes dessinées, publicités, annonces, etc., dans l'apprentissage du FLE. Pourquoi l'insertion de ces produits est tellement nécessaire? Il existe plusieurs raisons pour expliquer leur utilité.

Tout d'abord, les outils multimédias motivent beaucoup des apprenants. Bien sûr qu'ils aiment regarder des films, écouter des chansons, différents types d'information etc. On peut nommer les activités qui présentent la combinaison d'utile et agréable, l'apprentissage en relaxant.

Deuxième raison de l'utilisation des produits authentiques est liée aux enseignants étrangers. Ayant maintenu la plupart d'eux leurs propres accents, ces outils pourront donner à leurs apprenants la possibilité d'apprendre le français des natifs. Il faut aussi tenir compte d'une chose très importante, qu'il existe le français littéraire, standard ou normé et le français parlé ou de tous les jours. Ces deux types de français se distinguent considérablement. Selon Allaire (1973) : "Le français moyen d'aujourd'hui se trouve dans une situation hautement bizarre : il n'écrit pas la langue qu'il parle et ne parle pas

la langue qu'il écrit" (p. 179).

Bien que ces propos soient un peu excessifs, c'est pourtant la caractéristique essentielle du français de nos jours. L'enseignant, à l'aide du multimédia, peut habituer ses apprenants à écouter différents types de français : le haut français, le français familier, l'argot, etc.

L'enseignant du FLE ne doit pas rester indifférent aux mimiques et à la gesticulation propres aux français, car il est très important que les apprenants aient des compétences pragmatiques de la langue cible. Avec le multimédia, l'enseignant peut résoudre ce problème.

Ainsi, à l'aide du multimédia, l'enseignant est capable d'enseigner le français avec toutes ces particularités, ce que permettra aux apprenants de se sentir à l'aise dans n'importe quelle situation en contactant la langue cible.

Bien que l'enseignant soit assez libre dans ces démarches, il est quand même soumis aux certaines restrictions.

L'enseignant ne doit pas négliger la qualité du vidéo (surtout la qualité du son), la présence du bruit en arrière fond (il n'en faut pas trop), la durée de l'enregistrement, le délit des locuteurs.

Il faut éviter les questions avec les réponses trop longues, les questions qui amènent à un processus de traduction implicite, les questions sans aucun intérêt communicatif, etc.

Avant que l'enseignant mette en marche le document, il doit rappeler aux apprenants qu'il s'agit de comprendre globalement. Il n'est pas question de tout comprendre parfaitement. On peut rentrer dans les détails des documents en fonction du niveau de l'apprenant.

Dans le cas d'une fausse réponse, l'enseignant ne doit pas corriger soi-même, il doit faire réécouter le document à l'apprenant pour qu'il puisse trouver une réponse correcte lui-même.

Il est important de varier des activités afin de ne pas ennuyer les apprenants. Des différents types d'activités stimulent leurs esprits.

Exemple d'un scénario pédagogique à partir de sites internet non destinés à l'apprentissage du français

Dans un scénario suivant, nous essayerons de montrer qu'il est possible d'inculquer de nombreuses notions, que ce soit sur le plan lexical, grammatical et même numéral tout en s'amusant et sans s'en rendre compte.

Il faut parvenir au maximum à créer un environnement qui fera que l'élève se sentira bien, voire même acteur et cela lui permettra d'être inconsciemment plus réceptif aux nouveautés de la langue.

Objectif du scénario : Après une année universitaire bien chargée, nous décidons de faire une fête, un bal costumé. Mais pour cela, il faut tout préparer, tout penser. Nous demandons donc à nos étudiants de chercher sur un site de cuisine les différents plats que nous leur fournirons, ensuite de commander sur un site d'achat en ligne l'ensemble des ingrédients et enfin d'effectuer la décoration de la salle et d'acheter les costumes sur un troisième site, afin que cette fête devienne inoubliable.

Remarque: Nous travaillerons avec des personnes ayant un niveau intermédiaire en français

I. Elaboration de la liste des ingrédients à partir du menu.

Nous allons travailler sur le site qui se nomme B-recette.be. (www.b-recette.be)

Nous fournissons à la classe une liste comprenant différents plats que nous avons sélectionnés. Lorsque l'étudiant entre l'adresse Internet, il se trouve sur la page d'accueil du site. Il doit ensuite cliquer dans la rubrique Menu → Recettes de cuisine.

Il se retrouve donc sur la page proposant les entrées, plats et desserts mais pour y parvenir il doit sélectionner une lettre. (cf. doc. 4.1). Ceci permet de vérifier si l'apprenant connaît son alphabet français et nous pouvons lui demander de le dire à haute voix.

Les entrées

Assiette valaisane, salade liégeoise au poulet, salade Hawaii, omelette au fromage, pamplemousses new-york.

Les plats

Aubergines gratinées, blancs de poulets fermiers farcis aux champignons.

Les desserts

Cake au chocolat, crème caramel à l'orange, mousse au chocolat.

Lorsque l'étudiant a trouvé la recette, il doit faire la liste des ingrédients nécessaire.

Voyons par exemple pour l'assiette valaisane.

Par exemple dans ce cas précis : du jambon, des tomates, de la salade, du beurre, du fromage raclette, du pain complet, des cornichons, des petits oignons au vinaigre.

Nous leur demandons de faire ceci pour l'ensemble des plats demandés. Cette activité permet donc de se retrouver dans une liste d'éléments, de sélectionner les éléments les plus importants (dans notre cas, les ingrédients) et également d'apprendre du vocabulaire concernant l'alimentation, les produits alimentaires dans son sens le plus général.

II. Achat des ingrédients.

Après cette première activité, l'enseignant est invité à se rendre sur un site d'achat en ligne.

Adresse : www.telemarket.fr.

Nous demandons maintenant de commander l'ensemble des ingrédients qu'ils ont trouvé dans l'activité 1. Cette activité leur permet de catégoriser les différents produits (fruits, légumes, charcuterie, fromages, etc.). De nouveau, cette activité leur permet d'apprendre tout en s'amusant de faire leur course. Ceci ne sera donc pas un problème dans le cas où certains d'entre eux se retrouveraient en France.

A partir de ce moment, nous leur mettons à disposition une somme d'argent qu'ils pourront utiliser pour cette activité et pour l'activité suivante.

Remarque: Mais chaque dépense devra être justifiée par un rapport écrit qu'ils remettrons à l'enseignant lors de la soirée.

Ceci permettra de les familiariser avec l'écriture et l'orthographe française. Ils devront bien entendu tenir compte de l'orthographe, la grammaire, la conjugaison, la ponctuation et les accents.

Remarque : Chaque recette sera alors préparée par les étudiants, en collaboration avec les professeurs.

Cette activité permet d'appréhender le mode impératif. Car dans les recettes, tous les verbes sont à ce mode et permet aussi de connaître le lexique gastronomique.

Dans cette activité, ils rencontreront des chiffres (les prix, les proportions). Nous utiliserons cet état de fait pour leur rappeler les règles d'écriture des nombres et par la même occasion, leur demander de les prononcer.

111. Achat des costumes et accessoires.

Maintenant que nous avons la nourriture, nous devons préparer la salle. Celle-ci sera réservée par nos soins.

Nous leur demandons de choisir des costumes suivant des thèmes ou des époques que nous leur imposons : Antiquité et préhistoire, cirque, farwest, pirates, moyen âge.

Adresse du site : www.netbootic.com

Comme lors de l'activité 1, ils doivent retrouver des mots dans un ensemble très important d'informations. Ceci éveillera en eux le réflexe de la sélectivité et de «la lecture en diagonale».

Nous les laisserons libre de choisir ce qu'ils souhaitent, mais en ayant toujours en mémoire le budget alloué.

Cette activité leur permettra de connaître maintenant le lexique vestimentaire.

Mais, que serait une fête sans ballon, cotillons, maquillages, etc. La consigne sera donc d'acheter également des objets décoratifs pour la salle, des objets pour faire la fête (ballons, confettis) et des articles de maquillage.

Mais lorsque tout sera terminé et bien passé, nous devons penser à ranger et nettoyer la salle. Faudra-t-il faire la vaisselle ? Non, nous leur demanderons également de penser à acheter des articles de table en carton ou plastique pour faciliter l'après fête. Cet exercice permettra de connaître le lexique de l'art de la table.

Nous avons donc pu le voir, avec un scénario simple et utile, nous avons abordé beaucoup de thèmes différents et de points importants de la langue française.

Dans cet article notre but n'était pas de différencier des activités conformément au niveau de l'apprenant. Nous n'avons voulu non plus de toucher aux problèmes d'insertion des outils multimédias en classe ou aux difficultés de l'apprentissage du FLE en autonomie. Nous avons simplement l'intention de montrer d'après un scénario concret, que l'utilisation des outils multimédias authentiques est très importante pour la motivation des apprenants contemporains.

Références bibliographiques

Allaire, S. (1973). *La subordination dans le français parlé devant les micros de la radiodiffusion*. Paris : Klincksieck.

Janitza, J. (2002, janvier). L'enseignement des langues vivantes étrangères [Numéro spécial]. *Le français dans le monde*, 58-65.

Mangenot, F. & Louveau, E. (2006). *Internet et la classe de langue*. Paris : CLE international.

Porcher, L. (1981). Incertitudes subjectives sur la linguistique et la didactique. *Description, présentation et enseignement des langues*. Paris : CREDIF / Hatier. Collection L. A. L

Yalden, J. (1987). *Principles of Course Design for Language Teaching*. C.U.P., Cambridge.

თარგ მაცანაზვილი

**ბუნებრივი (დაუშუშავებელი) მულტიმედიაური საშუალებების
გამოყენება ფრანგული ენის სწავლების დროს**

თანამედროვე ლინგვისტიკები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ევრეთ წოდებული „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“ ენების დაახლოებაზე უცხო ენის სწავლებისას, რაც ამა თუ იმ ენის შესწავლის მსურველთა მიერ შესასწავლ ენაზე მოსაუბრეთა სოციალურ რეალობაში არსებული ნორმების მაქსიმალურ გამოყენებას გულისხმობს.

ენის სწავლების „ნატურალიზაციისათვის“ მნიშვნელოვან მასალეზად ე.წ. „ბუნებრივი“ წყაროები ითვლება. ეს ის წყაროებია, რომლებიც არ არის სპეციალურად დამუშავებული უცხო ენის მეთოდური სახელმძღვანელოებისა თუ ვებგვერდებისათვის, ხოლო მათი მოძიების საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ მულტიმედიაური საშუალებები იძლევა.

ბუნებრივი (დაუშუშავებელი) მულტიმედიაური მასალების გამოყენება უცხო ენის, მოცემულ შემთხვევაში კი ფრანგული ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციისათვის. მასწავლებლის ოსტატობით შერჩეული და დამუშავებული „პედაგოგიური სცენარები“ თანამედროვე პრაგმატ მოწაფეებსა თუ სტუდენტებს საშუალებას აძლევს ენის შესწავლის რთული პროცესი მნიშვნელოვნად გაიმარტივონ და მაქსიმალურად მიუახლოვდნენ სამიზნე ენაზე მოსაუბრეთა შორის დამკვიდრებული ენის ნორმებს.

რამაზ ჰურდიაძე

**ელიფსის ერთი შემთხვევა ქართულსა და ინგლისურში
და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართულის
როზორც უცხო ენის სწავლებისათვის**

ბოლო დროს ქართული ენა მრავალი უცხოელის შესწავლის ობიექტი გახდა. შემსწავლელთა შორის არიან არალინგვისტიკები, რომელთაც მხოლოდ პრაქტიკული ქართული აინტერესებთ და მათ შორის არიან ლინგვისტიკები, რომელთაც პრაქტიკული მიზნების გარდა ქართულის ენათმეცნიერული თავისებურებებიც აინტერესებთ. ბუნებრივია, პირველ ეტაპს ორივე ტიპის სტუდენტები ქართულის შესწავლით იწყებენ და მათი მომზადების დონისა და მათი მიზნებიდან გამომდინარე ქართულის სწავლება სხვადასხვა მეთოდით, და სიღრმით მიმდინარეობს.

წინამდებარე სტატია ქართულის შემსწავლელ უცხოელ ლინგვისტთათვისაა გამიზნული, თუმცა მას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს არალინგვისტი სტუდენტებისათვისაც.

ნაშრომში ერთი ტიპის ელიფსის ფორმებს ვიხილავთ ქართულსა და ინგლისურში. კერძოდ, ქართულის შესასწავლ დიალოგებში ხშირად ხმარებულ საზღვრული წევრის ჩავარდნას. მაგ.:

„— რამდენი წლის ხარ?

— ორმოცი წლის ვარ.“

მაგრამ პასუხი უმთავრესად მოკლეა: „— ორმოცის (ვარ)“.

ამ შემთხვევაში უცხოელ სტუდენტებს ერთგვარად აბნევთ ის გარემოება, რომ პირველ, სრულ მაგალითში მსაზღვრელი არ დაირთავს **ს** ელემენტს: „ორმოციღ წლის“, ხოლო მეორე მაგალითში, სადაც საზღვრული წევრი გამოტოვებულია, **ს** წარმოდგენილია: „ორმოცის“.

ეს მოვლენა არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს ქართველი სტუდენტებისათვის, რადგან მათთვის ქართული მშობლიური ენაა და ასეთი სირთულეები მათთვის არ არსებობს, თუმცა ამ მოვლენის მორფოლოგიური განხილვა ქართველი სტუდენტებისათვისაც აუცილებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მსჯელობა აქვს

წარმოდგენილი ნ. შენგელაიას. ავტორი ასეთ წინადადებას გვთავაზობს: „**იმდროინდელი სტუდენტობა სრულიად არ ჰგავდა დღევანდელისას**“ (აკაკი). ავტორი ამ წინადადებიდან იხილავს სიტყვას **დღევანდელისას**. მისი აზრით, ამ შემთხვევაში „...უბრალო გამოტოვება კი არ ხდება, როგორც ჩვეულებრივ ელიფსის დროს, არამედ ნაწილობრივი — საზღვრული წევრის გრამატიკული მახასიათებლების დამატებით მსაზღვრელისათვის. შესიტყვების გამოტოვებული წევრის დაბრუნება ვერ მოხერხდება, თუ არ მოვახდინეთ გარკვეული ცვლილება — ჩამოვაცილეთ აფიქსები მსაზღვრელს.

ზემოთ მოტანილ მაგალითში მსაზღვრელს ორი აფიქსი აქვს — ნათესაობითი ბრუნვის — *-ისა* და მიცემითი ბრუნვის — *-ს*, რომლებიც ორი ამოღებული სიტყვის *დღის სტუდენტობას* დამატების შემთხვევაში მას უნდა მოსცილდეს და ამ სიტყვებს დაუბრუნდეს:

იმდროინდელი სტუდენტობა სრულიად არ ჰგავდა დღევანდელი დღის სტუდენტობას“ (შენგელაია, 2000, 133).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით ელიფსის დროს აფიქსების ამგვარი გადაადგილება საზღვრული წევრიდან მსაზღვრელზე ფაქტობრივად სამ შემთხვევაში გვხვდება:

1. ატრიბუტული მსაზღვრელი:

ა. თანხმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელის ოთხი ბრუნვა:

მიც.	კარგ ამხანაგ-ს	კარგ-ს (ამხანაგ-ს)
ნათ.	კარგ-ი ამხანაგ-ის	კარგ-ის (ამხანაგ-ის)
მოქმ.	კარგ-ი ამხანაგ-ით	კარგ-ით (ამხანაგ-ით)
ვით.	კარგ ამხანაგ-ად	კარგ-ად (ამხანაგ-ად)

ბ. ხმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელის ექვსი ბრუნვა:

მოთხრ.	პატარა ამხანაგ-მა	პატარა-მ (ამხანაგ-მა)
მიც.	პატარა ამხანაგ-ს	პატარა-ს (ამხანაგ-ს)
ნათ.	პატარა ამხანაგ-ის	პატარა-სი (ამხანაგ-ის)
მოქმ.	პატარა ამხანაგ-ით	პატარა-თი (ამხანაგ-ით)
ვით.	პატარა ამხანაგ-ად	პატარა-დ (ამხანაგ-ად)
წოდ.	პატარა ამხანაგ-ო	პატარა-ვ (ამხანაგ-ო)

შენიშვნა: როგორც ცნობილია, მოთხრობითში, ნათესაობითში,

მოქმედებითში, ვითარებითსა და წოდებითში თანხმოდგენილი და ხმოდგენილი სახელებთან ბრუნვის ნიშნები სხვადასხვა სახით გვხვდება. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ბრუნვის ნიშანთა ფორმა დამოკიდებულია იმ სახელის ფუძეზე, რომელთანაც გადადის საზღვრულის ბრუნვის ნიშანი ელიფსის პირობებში. ასე რომ, შესაძლებელია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მა გადაადგილების შედეგად -მ ფორმით წარმოდგეს და ა. შ.

2. სუბსტანციური მსაზღვრელის ექვსი ბრუნვა:

მოთხრ.	ამხანაგის შვილ-მა	ამხანაგისა-მ (შვილ-მა)
მიც.	ამხანაგის შვილ-ს	ამხანაგისა-ს (შვილ-ს)
ნათ.	ამხანაგის შვილი-ის	ამხანაგისა-სი (შვილი-ის)
მოქმ.	ამხანაგის შვილ-ით	ამხანაგისა-თი (შვილ-ით)
ვით.	ამხანაგის შვილ-ად	ამხანაგისა-დ (შვილ-ად)
წოდ.	ამხანაგის შვილ-ო	ამხანაგისა-ვ (შვილ-ო)

შენიშვნა: სუბსტანციური მსაზღვრელის შემთხვევაში ელიფსის დროს გადაადგილებული ბრუნვის ნიშანი სუბსტანციური მსაზღვრელის გავრცობილ ფუძეს დაერთვის.

3. ასევე მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან, თუმცა ამ ფორმათა ბრუნების თავისებურებიდან გამომდინარე ვითარება ერთგვარად განსხვავებულია. კერძოდ, როგორც ცნობილია, „კუთვნილებითი ნაცვალსახელები **ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი**, ჩვეულებისამებრ, შესაბამის არსებით სახელთან ერთად გამოიყენება და ისევე შეეწყობა მას, როგორც მსაზღვრელი; მაგრამ მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში თავისებურებას იჩენს — აუცილებლად მიცემითის ფორმას მოითხოვს:

- ჩემ-ს მეგობარ-ს (და არა — ჩემ მეგობარს)*
- ჩვენ-ს მეგობარ-ს (და არა — ჩვენ მეგობარს)*
- შენ-ს ძმა-ს (და არა — შენ ძმა-ს)*
- თქვენ-ს ძმა-ს (და არა თქვენ ძმა-ს)*
- მათ-ს ეზო-ს (და არა მათ ეზოს)*

ასევე: *ჩემ-ს მეგობარ-ად (და არა ჩემ მეგობრად)*

შენ-ს ძმა-დ (და არა შენ ძმად)

მათ-ს ეზო-დ (და არა — მათ ეზოდ) (არაბული, 2004, 118).

ამრიგად, აღნიშნულ ფორმათა ბრუნების თავისებურებიდან

გამომდინარე აქ უკვე გვაქვს მსაზღვრელთან ბრუნვის ნიშანი — ს, ელიფსის შემთხვევაში აქაც ხდება საზღვრულის ბრუნვის ნიშანთა გადმოტანა, ოღონდ ვითარება განსხვავებულია ბრუნვათა მიხედვით. კერძოდ, მიცემითი გადმოტანილი ბრუნვის ნიშანი ამავე ბრუნვის გავრცობილ ფორმას ერთვის და ერთგვარად ორმაგი სიფიქსით გაფორმებულ ნიმუშებს ვიღებთ:

ჩემ-ს მეგობარ-ს → ჩემ-სა-ს (მეგობარს)

ჩვენ-ს მეგობარ-ს → ჩვენ-სა-ს (მეგობარს)

შენ-ს ძმა-ს → შენ-სა-ს (ძმას)

თქვენ-ს ძმა-ს → თქვენ-სა-ს (ძმას)

მათ-ს ეზო-ს → მათ-სა-ს (ეზოს)

ხოლო ვითარებითი მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად გადმოდის, -ს ნიშანი აღარ გვხვდება:

ჩემ-ს მეგობარ-ად → ჩემ-ად (მეგობარად)

შენ-ს ძმა-დ → შენ-ად (ძმად)

მათ-ს ეზო-დ → მათ-ად (ეზოდ)

აქაც ფაქტი ფაქტად რჩება: ელიფსის დროს საზღვრულის გრამატიკული მახასიათებლები — ბრუნვის ნიშნები — გადადის მსაზღვრელთან, ხოლო ელიფსის დროს გაუჩინარებული საზღვრულის აღდგენისას ეს ბრუნვის ნიშნები ჩამოსცილდება მსაზღვრელს.

ბუნებრივია, ყოველივე ეს საკმაოდ ართულებს ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც (სტუდენტის) მშობლიურ ენას არ ახასიათებს აფიქსთა ისეთი სიმრავლე, როგორიც ქართულს.

ინგლისურენოვან სტუდენტებთან ამ საკითხის სწავლების გაადვილების ერთ-ერთ გზად შეიძლება ჩაითვალოს ტიპოლოგიური ანალიზის მოძებნა ინგლისურში. ამ შემთხვევაში თუნდაც რამდენადმე მიახლოებულ მსგავსებასაც კი შეუძლია ერთგვარად ხელი შეუწყოს ქართული მსაზღვრელის ბრუნების ამ თავისებურების სწავლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაში მხოლოდ რამდენიმე აფიქსი გვაქვს, ვფიქრობთ, მაინც დასტურდება ერთგვარი ანალიზი ზემოთ წარმოდგენილი მოვლენისა.

ამის საილუსტრაციოდ განვიხილავთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმებს ინგლისურში, კერძოდ: **my** — ჩემი, **your** — შენი, თქვენი, **his** — მისი (მამრ.), **her** — მისი (მდედრ.), **its** — მისი (საშ.), **our** — ჩვენი, **their** — მათი და **mine** — ჩემი, **yours** — შენი, თქვენი,

his — მისი (მამრ.), **hers** — მისი (მდედრ.), **its** — მისი (საშ.), **ours** — ჩვენი, **theirs** — მათი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელების ამ ფორმათაგან პირველს „შერთებულს“ („ბმულს“), ხოლო მეორეს „აბსოლუტურს“ („თავისუფალს“) უწოდებენ, სხვაგვარად კი — „დამოკიდებულს“ და „დამოუკიდებელს“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირველი ფორმა **my** — ჩემი, **your** — შენი, თქვენი, **his** — მისი (მამრ.), **her** — მისი (მდედრ.), **it** — მისი (საშ.), **our** — ჩვენი, **their** — მათი იხმარება როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი:

My family is very large — ჩემი ოჯახი ძალიან დიდია

His apartment is very good — მისი (მამრ.) ბინა კარგია.

Her sister is young — მისი (მდედრ.) და ახალგაზრდაა.

ისინი ცვლიან არსებით სახელებს კუთვნილებით ბრუნვაში:

The girl's name is Nino — „გოგონას სახელია ნინო“, გოგონას ნინო ჰქვია.

Her name is Nino — მისი სახელია ნინო.

მეორე ფორმის კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები **mine** — ჩემი, **yours** — შენი, თქვენი, **his** — მისი (მამრ.), **hers** — მისი (მდედრ.), **its** — მისი (საშ.), **ours** — ჩვენი, **theirs** — მათი ცვლიან წინადადებაში ზემოხსენებულ არსებით სახელებს და ამიტომ დამოუკიდებლად იხმარებიან:

This is his book and that is mine. — ეს წიგნი მისია და ის — ჩემი (წიგნი).

My pen is good, hers is better and yours is the best. — ჩემი კალამი კარგია, მისი — უკეთესი და თქვენი საუკეთესოა (ჰადელსტონი, პალმი, 2003, 458; 470; გოქსაძე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილი, 1984, 61-63; გახოკიძე, გახოკიძე, 2002, 65-67).

აღნიშნულ ნაცვალსახელთაგან ჩვენთვის საინტერესო ვითარებას უნდა გვიჩვენებდეს შემდეგ ფორმათა შედარება: **your yours** შენი, თქვენი, **her hers** მისი (მდედრ.), **our ours** ჩვენი, **their theirs** მათი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -s სუფიქსიანი ფორმები: **yours, hers, ours, theirs** ანუ ე. წ. მეორე ფორმის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცვლიან წინადადებაში უკვე ნახსენებ არსებით სახელებს და ამიტომ დამოუკიდებლად იხმარებიან.

My pen is good, hers is better and yours is the best. — ჩემი კალამი

კარგია, მისი უკეთესი და თქვენი საუკეთესოა.

ე. ი. აქაც ფაქტობრივად ელიფსი გვაქვს და სახელის (საზღვრული **pen** — კალამი) გაუჩინარების შემთხვევაში გარკვეული გრამატიკული მახასიათებელი — სუფიქსი **-s** დაერთვის მსაზღვრელს, კერძოდ, **hers** (←**her+s**), **yours** (←**your+s**). ასევეა მიღებული **ours** და **theirs** ფორმები. როგორც ცნობილია, სუფიქსი **-s** წარმოშობით გენეტივის ნიშანია და დაერთვის ზემოაღნიშნულ ნაცვალსახელთა ფორმებს, როდესაც ისინი საზღვრული არსებითი სახელების გარეშე გვხვდებიან (გებსტერი, 1959; პარტრიჯი, 1977).

ზემოთ წარმოდგენილ ინგლისურ წინადადებაში თეორიულად შესაძლებელია **hers** და **yours** ფორმებს ჩამოვაცილოთ **-s** სუფიქსი, რის შემდეგაც, ბუნებრივია, აღდგება გამოტოვებული საზღვრული **pen** — კალამი: **My pen is good, her pan is better and your pan is the best** — ჩემი კალამი კარგია, მისი კალამი — უკეთესი და თქვენი კალამი საუკეთესოა, თუმცა პრაქტიკულად ასეთი წინადადება არ გვხვდება.

აღნიშნული ელიფსის მაგალითებს თუ შევუდარებთ ერთმანეთს ქართულსა და ინგლისურში შეგვიძლია დავასკვნათ:

1. მსაზღვრელ-საზღვრულის ელიფსის დროს ქართულში საზღვრულის გრამატიკული მახასიათებლები — ბრუნვის ნიშნები გადადის მსაზღვრელთან, საზღვრული წევრის აღდგენის შემთხვევაში ეს მახასიათებლები ტოვებენ მსაზღვრელს და უბრუნდებიან საზღვრულს.
2. ინგლისურში კი საზღვრული წევრის გაუჩინარების შემდეგ გრამატიკული მახასიათებელი ჩნდება მსაზღვრელთან და ასეთი მსაზღვრელი ცვლის საზღვრულს.

ამ მხრივ ერთგვარი მსგავსება ჩანს ქართულ და ინგლისურ ფორმებს შორის, მაგრამ გვაქვს მინიმუმ ორი განსხვავებაც, კერძოდ:

1. ქართულში ელიფსის დროს საზღვრულის გრამატიკული მახასიათებლები გადადის მსაზღვრელთან, ინგლისურში კი ელიფსის დროს გრამატიკული მახასიათებელი საზღვრული წევრიდან კი არ გადადის, არამედ ჩნდება მსაზღვრელთან და ეს ხდება მხოლოდ საზღვრულის არყოფნის დროს.
2. ქართულში საზღვრული წევრის აღდგენის შემთხვევაში გრამატიკული მახასიათებლები ჩამოსცილდება მსაზღვრელს და უბრუნდება საზღვრულს, ინგლისურში მსაზღვრელს ჩამო-

სცილდება გრამატიკული მახასიათებელი, მაგრამ საზღვრულთან არ გადადის. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვრულის ასეთი აღდგენა მხოლოდ თეორიულადაა დასაშვები.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ანალიზი დაეხმარება ინგლისურენოვან ლინგვისტ სტუდენტებს ქართული მსაზღვრელის ბრუნვის თავისებურებათა გარკვევაში.

ლიტერატურა

არაბული, 2004 — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

გახოკიძე, გახოკიძე, 2002 — ა. გახოკიძე, ბ. გახოკიძე, ინგლისური ენის გრამატიკა, თბ., 2002.

გოქსაძე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილი, 1984 — ლ. გოქსაძე, ნ. მამაცაშვილი, მ. გიგინეიშვილი, თანამედროვე ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი, წიგნი I, თბ. 1984.

შენგელაია, 2000 — ნ. შენგელაია, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბ., 2000.

პარტრიჯი, 1977 — Eric Partridge, **ORIGINS, A SHORT ETYMOLOGICAL DICTIONARY OF MODERN ENGLISH**, Routledge & Kegan Paul, LONDON AND HENLEY, 1977.

ჰადელსტონი, პალმი, 2003 — Rodney Huddleston, Geoffrey K. Pullum, **The Cambridge Grammar of the English Language**, Cambridge University press, 2003.

გებსტერი, 1959 — WEBSTER'S NEW WORLD DICTIONARY of the American Language, COLLEGE EDITION, THE WORLD PUBLISHING COMPANY, Cleveland and New York, 1959.

RAMAZ KURDADZE

On One Case of Ellipsis in Georgian and English and its Practical Importance When Teaching Georgian as a Foreign Language

Summary

ლია ყაგლაშვილი

The paper discusses one type of ellipsis in the pattern _ the modifier + the modified in Georgian and English. In Georgian when the modified is ellipted, its grammatical feature, the case marker, is added to the modifier. However, the reconstructed modified resumes its grammatical form. Cf.: (šensas (←šens ჳმას). In the given example the Dative case marker s of the modified is added to the modifier hence the form šensas. The reconstructed modified takes back its case marker.

In English the omission of the modified brings about the grammatical change in the modifier _ the bound form of the possessive pronoun is replaced by the absolute one (as is known, the suffix s originates from the Genitive case marker). The reconstructed modifier resumes its bound form.

The paper maintains, that the discussed similarities and differences in the ellipsis encountered in the English and Georgian patterns _ the modifier + the modified might be helpful for English linguist studying Georgian.

ბელგიური ფრანგულის ლექსიკური თავისებურებანი და ბელგიციზმები.

ბელგიური ფრანგული (FB) მიჩნეულია საფრანგეთის ფრანგულის (FF) ერთგვარ „დანამატად“. მეცნიერთა აზრით, ბელგიაში დამკვიდრებული ფრანგული განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: „ზოგად“ ფრანგულს + ბელგიციზმი (français „commun“ + belgicisme).

ლექსიკური ბელგიციზმის სახესხვაობა სტანდარტულ ფრანგულთან მიმართებაში ძირითადად მდგომარეობს სიტყვის თუ გამოთქმის ბელგიურ ფრანგულში დამკვიდრებულ მნიშვნელობაში, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბელგიაში გავრცელებული ფორმებია, შეიძლება შეგვხვდეს რომანული ბელგიის მახლობელ სხვა რეგიონებშიც.

ბელგიციზმი აერთიანებს ფრანგული ენის იმ დამახასიათებელ თავისებურებებს (ფონეტიკურს, ფონოლოგიურს, სინტაქსურს, მორფოლოგიურს, თუ ლექსიკურს), რომლებიც საერთოა ბელგიის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ინდივიდთა ჯგუფისათვის, რომელთათვისაც ფრანგული არის მშობლიური ენა.

ბელგიციზმების უმეტესობა გავრცელებულია მთელ ბელგიაში და უცნობია მთელ საფრანგეთში. ასეთი მაგალითები მრავალია და ის შეადგენს ყველაზე დიდ ნაწილს იმისა, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კლასიკურ“ ბელგიციზმად.

გავრცელების თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ბელგიციზმების სამი სახეობა:

პირველი, სადაც გაერთიანებულია ბელგიციზმები, რომელთა გავრცელების საზღვრები ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს და ქვეყნის ფრანკოფონი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოიყენება.

მაგ. FB — „Livret (ou carnet) de mariage“, FF— „Livret de famille“;

FB — «Faire son terme», FF — «Faire son service militaire»;

ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ტერმინები ყოველდღიური ცხოვ-

რებიდან:

FB — „Batter le beurre“, F FF — „s' embrouiller, faire de vains effort“;

FB — „Faire des affaires“, FF — „faire des histoires, compliquer des choses“.

მეორე სახეობაში გაერთიანებულია სიტყვები, რომლებიც არათუ სცილდებიან ბელგიის საზღვრებს, არამედ გამოიყენებიან მხოლოდ მის ცალკეულ რეგიონებში. ასეთი ელემენტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ლიეჟის რეგიონში:

FB— «Crêpe faite à la farine de sarasin» — „Crêpe“;

FB — „drap du maison“, FF — „torchon“.

ეს ორი ჯგუფი უმეტესად აერთიანებს სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ „ჭეშმარიტი, უდავო ბელგიციზმები“ (**belgicisms incontestables**), რადგანაც ისინი არ ვრცელდებიან ბელგიის პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა.

მესამე სახეობაში კი პირიქით, გაერთიანებულია ისეთი ბელგიციზმები, რომლებიც ხშირად შეცდომით მიჩნეული იყვნენ იმ სიტყვების თანასწორად, რომლებიც დამახასიათებელი იყო საფრანგეთისთვისაც ბელგიის მოსაზღვრე რეგიონებში ან კიდევ სხვა ფრანკოფონი ქვეყნებისათვის (კერძოდ კანადისა და შვეიცარიის):

მაგ. FB — „Avant-midi“ — „matinée“ კანადაში;

FB — „Auditoire“ — „salle de cours“ შვეიცარიაში;

FB — „Unifamilial“ — „maison destinée à une seule famille“

კანადაში;

ასევე FB — „Septante“ და „nonante“, რომლებიც გამოიყენება მთელ ბელგიაში, ასევე შვეიცარიასა და საფრანგეთის მრავალ რეგიონშიც.

„Septante“ და „nonante“ მარტივი სიტყვებია და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი უფრო ადვილად აღქმადია, ვიდრე „soixante-dix“ და „quatre-vingt-dix“. გაცილებით რთული სიტუაცია იქმნება, როცა საქმე ეხება ტელეფონის ნომრებს. მაგალითად, როცა ჩვენ გვესმის „quatre-vingt-dix-neuf“ (99), გაურკვეველია აქ ჩვენი თანამოსაუბრე ერთ რიცხვს გულისხმობს, თუ რამდენიმეს, რადგან ზემოთ ნათქვამი სიტყვა შეიძლება რამდენიმენაირად გავიგოთ: „quatre-vingt, dix-neuf“ (80-10), „quatre, vingt, dix-neuf“ (4-20-19), „quatre-vingt, dix, neuf“ (80-10-9) და ა.შ. ხოლო როცა გვესმის „nonante-neuf“, დღესავით ნათელია,

რომ აქ საუბარია 99-ზე. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია ამ ბელგიციზმების ფართო მასშტაბით გავრცელება და გამოყენება.

ენას გააჩნია სხვადასხვა დონეები. მოცემული სიტყვა შეიძლება წარმოადგენდეს ენის ვულგარულ, პოპულარულ, ფამილიარულ სტილს. ის შეიძლება მიეკუთვნებოდეს წერილობით ან ზეპირ მეტყველებას. ის შეიძლება იყოს სხვადასხვა ჯგუფის საკუთრება: იურიდიული, სტუდენტური და ა.შ.

მაგ. „Colloquer“ — იურისტის სპეციალიზებული მეტყველება;

„Middelmatisme“ — განათლებული ადამიანების მეტყველება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ბელგიციზმების გამოყენება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს ბელგიაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესაა ორიგინალური მემკვიდრეობის შენარჩუნება, რომელიც განისაზღვრება ფამილიარულ სტილთან კავშირით.

სტატის ბოლოს ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ამა თუ იმ ჯგუფში ფართოდ გავრცელებული ბელგიციზმები, რომლებიც ბელგიაში გამოიყენება ყოველდღიურ ურთიერთობებში:

ბელგიციზმები, რომელსაც გამოიყენებენ სკოლამდელი

ასაკის ბავშვები:

École gardienne — École maternelle (საბავშვო ბაღი),

Gardienne (f) — (ბაღის მასწავლებელი),

Cachette — Cache-cache (დამალობანა),

Cachette-courir — course poursuite (ველორბოლა).

მოსწავლეების, სტუდენტებისა და ლექტორებისთვის დამახასიათებელი ბელგიციზმები:

Calepin (m) — Cartable (m) — (ჩანთა),

Bloquer — Étudier consciencieusement (კეთილსინდისიერად სწავლა),

Heure de fourche — Heure creuse (ფანჯარა გაკვეთილებს შორის),

Bloqueur (m) — Studieux (ბეჯითი),

Brosser les cours — Sécher les cours (არასაბატიო მიზანით გაცდენა),

Brosseur (m) — Qui sèche les cours (გამცდენი),

Péter, caler — Recaler (გამოცდაზე ჩაჭრა),

Doubler — Redoubler (ჩარჩენა),

Athénée — Lycée (ლიცეუმი).

Uviv — Université (უნივერსიტეტი),
 Student — Étudiant (სტუდენტი),
 Kot (m) — (პატარა ბინა სტუდენტისათვის), დამკვიდრდა ფლამან-
 დიური სიტყვისგან kot(je) და სტანდარტულ ფრანგულში არ
 მოექმნება შესატყვისი,
 Koter — (დაქირავება),
 Koteur (euse) — (ვინც ასეთ ბინაში ცხოვრობს),
 Cocoter — (ერთად დაქირავება),
 Cocoteur (euse) — (სტუდენტები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ
 ასეთ ბინებში),
 Guindaille (f) — (სტუდენტური ღრეობა),
 Guindailleur — (სტუდენტური ღრეობის მოწყობა),
 Guindailleur — (სტუდენტური ღრეობის მონაწილე),
 Accadémique — Année d' études universitaire (სასწავლო წელი),
 Cote (f) — Note (f) (ნიშანი),
 Djok (m) — Toilette (ტუალეტი — სტუდენტურ ყარგონზე),
 Présenter un examen — Passer un examen (გამოცდის ჩაბარება),
 Professeur ordinaire — (სრული დატვირთვით მომუშავე მასწავლებე-
 ლი, ლექტორი),
 Professeur extraordinaire — (არასრული დატვირთვით მომუშავე მას-
 წავლებელი ან ლექტორი, რომელიც სხვა საქმიანობითაცაა და-
 კავებული),
 Professeur émérite — (40 წლის სტაჟის მქონე ლექტორი, რომელიც
 70 წელსაა გადაცილებული),
 Péteur(m) — (ლექტორი, რომელიც ხშირად ჭრის გამოცდაზე სტუ-
 დენტებს).
 კულინარიასთან დაკავშირებული ბელგიციზმები:
 Fritkot (f) — Friterie (f) (შემწვარი კარტოფილის გასაყიდი ჯიხური),
 Assiette profonde — Assiette creuse (ღრმა თეფში),
 Goulaf(e) — Gourmand (გურმანი),
 Byzance — Délicieux(euse) (ძალიან გემრიელი კერძი),
 Jatte (f) — Tasse du café (ყავის ფინჯანი),
 Platekees (m) — (ბრიუსელში გავრცელებული თეთრი ყველის სახეო-
 ბა),
 Waterzoo — (წიწილის ან თევზის ნახარშის წვნიანი),
 Moules-frites — (მოლუსკები შემწვარ კარტოფილთან ერთად),

Beurrière (f) — (საკარაქე),
 Trappiste (f) — Bière (ლუდი),
 Bac à bière (m) — (ლუდის ბოკალი),
 Pintje (f) — Petite pinte (პატარა ჭიქა),
 Goutte (f) — petit verre d' alcool (პატარა ჭიქა ალკოჰოლისთვის),
 Bière plate — Bière tiède (თბილი, ქაფგაცლილი ლუდი),
 Gueuse (f) — (ბელგიური წარმოების მწარე და მაგარი ლუდი),
 Kriek (f) — (ბელგიური მწარე ლუდი ალუბლის არომატით),
 Faro(m) — (მსუბუქი მუქი ფერის ლუდი),
 Boire un à-fond — (სულმოუთქმელად ბოლომდე გამოცლა),
 Douf(e) — Cuite (სიმთვრალე),
 Citronée (f) — Limonade (f) (ლიმონათი),
 Dringuelle (f) — Pourboire (მომსახურებისთვის ნაჩუქარი ფული),
 Estaminet (m) — Café (m) (ბარი, სადაც ლუდი იყიდება),
 Cavitche (m), caberdouche (m) — Café (m) (პატარა კაფე),
 Bass (m), bozine (f) — (კაფეს მეპატრონე).
 საკონდიტრო ნაწარმი:
 Praline (f)— chocolat (m) (შოკოლადი),
 Caraque (f) — (კარამელის ფორმის შავი შოკოლადი),
 Manon (f) — (თეთრი შოკოლადი ყავის არომატიანი ნაღებით),
 Bablute (f) — (თაფლიანი კანფეტი),
 Cuberdon (m) — (გირჩის ფორმის სიროფიანი ფერადი კანფეტი),
 Chique (f), Boule (f) — Bonbon (m) (კანფეტი),
 Bonbon (m) — (მშრალი ბიკეტი),
 Laquement (m) — Gaufre(f) (ვალონური ვაფლი),
 Pistolet (m) — petit pain rond (პატარა მრგვალი პური),
 Corinthes (m) — Raisins secs (ქიშმიში),
 Cougnou (m) — (ფუნთუშა, რომელზეც მაცხოვარია გამოსახული და
 შობას მზადდება),
 Pâté (m) — Gâteau à la crème (კრემიანი ფუნთუშა),
 Couquebaque (f) — Crêpe (ბლინი),
 Nic-nac (m) — (2-3 სანტიმეტრის ალფავიტის ფორმის პატარა ბის-
 კვიტები),
 Baulus (m) — (ქიშმიშიანი ფუნთუშა),
 Maquée (f) — (ვალონური თეთრი ყველი).

სამხედრო სამსახურის სფეროში დამკვიდრებული ბელგიციზმები:
Plouc (m) — Soldat (m) (ჯარისკაცი),
Accomplir ses devoirs de milice — Faire son service militaire (სამხედრო
სამსახურის მოხდა),
Gamelle — Des volontaires de carrière (მოხალისე).

სიყვარულსა და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული
ბელგიციზმები:
Crapaude (f) (გავრცელებულია ლიეჟის ზონაში) — Amoureuse (შეყვარებული ქალი),
Elle est la crapaude à paul. — (ის პოლის შეყვარებულია),
Hanter (ლიეჟში), courtoiser — Se fréquenter (შეხვედრა, ერთად სიარული),
Mijoler — Flirter (არშიყობა),
Croteke — chérie, bien aimée (საყვარელო, ძვირფასო),
Mamé(e) — mon aimé(e), affectueux (საყვარელო),
Fouf (f) — (მეგობარი გოგო ვულგარულად),
Être bleu — Aimer, raffoler, être passionné (გატაცებული ყოფნა, ვინმეს
გაგჟებით სიყვარული),
Marier qn — l' épouser (შერთვა),
Attendre famille — Être enceinte (ფეხმძიმედ ყოფნა),
S'accoucher — Accoucher (მშობიარობა),
Ket (m) — Garçon (ბიჭი),
Boempa (m) — Grand-père (m) (ბაბუა),
Boma (f) — Grand-mère (f) (ბებია),
Dame (f) — Femme (f), madame (f) (ცოლი, ქალბატონი),
Famille avec qn — (ოჯახის წევრი) Il est famille avec moi. — (ის ჩემი
ნათესავია),
Flat (m) — Petit appartement (პატარა ბინა),
Porte de rue — Porte d' entrée (შესასვლელი, მთავარი კარი),
Feu ouverte — Cheminée (ბუხარი),
Colidor (m) — Corridor (m) (დერეფანი),
Déjeuner (m) — Petit déjeuner (საუზმე),
Dîner — Déjeuner (სადილი),
Super — Dîner (სამზარი),

Sujet (m) — Domestique (დამხმარე ქალი სამზარეულოში),
Femme à journée — Femme de ménage (მოსამსახურე),
Bassin de natation — Piscine (f) (აუზი),
Jardin arboré — (ხეხილიანი ბაღი),
Tévé (m) — Télé (m) (ტელევიზორი),
ramassette (f) — Petite pelle (პატარა აქანდაზი),
Brosse (f) — Balai (m) (ცოცხი),
Chamoisette (f), Loque à poussière — Chiffon à poussière (პატარა ჩვარი
მტვრის გადასაწმენდად),
Appropriation (f) — Nettoyage (m) (გასუფთავება),
Drap de vaisselle — (ტილო),
Bac à ordures (m) — Poubelle (f) (ნაგვის ყუთი),
Bac à cendres (m) — Cendrier (m) (საფერფლე),
Blinquer — Briller (ბრწყინვა).

ამინდსა და დროსთან დაკავშირებული ბელგიციზმები:
Drache (f) — (ჭექა-ქუხილი),
Douf — (შემაწუხებელი სიცხე), Il fait douf. — (დახუთული ამინდია),
Cru — Humide (ნესტიანი ამინდი, წვიმის შემდეგ),
Il fait de la bise — (სუსხი, ცივი ამინდი ქარში),
Il fait caillant — Très froid, glacé (ძალიან ცივა, ყინავს),
Eau de goutière — (წვიმის წყალი),
Le temps est lourd — Le temps est à l' orage (საწვიმრად მოქუფრული
ამინდი),
Il fait pluvieux — Le temps est à la pluie (საწვიმარი ამინდი, გაწვიმდება).
Aujourd'hui matin, soir — Ce matin, soir (ამ დღით, საღამოს),
Jusque demain — Jusqu'ademain (ხვალამდე),
Entre l' heure de midi — L'heure de déjeuner (საუზმის დრო),
Mois écoulé — Mois dernier (გასული თვე),
À cette heure — Maintenant (ახლა, ამჟამად),
La semaine qui vient — La semaine prochaine (მომავალი კვირა).

რამდენიმე შორისდებული, რომლებიც
წარმოადგენენ ბელგიციზმებს:

Bardaf! — Être patatras! (ტყაპანის გადენა),

Aïe aïe aïe..... — Douleur (ტკივილი, მწუხარება),
Fourt! — Au diable!, Zut! (ჯანდაბას!),
proféciat ! — Félicitation! (მილოცვა),
Bêke! bêk! — Pouah! (ფუჰ! ფუი!).

ლიტერატურა

ბალი, 1992 — Limes I. „Les langues régionales romanes en Wallonie“ — Bruxelles, Traditions et parlers populaires Wallonie-Bruxelles, „Tradition wallonne“, 1992, N 4.

ბალი, დობანე, გოოსი 1994 — „Belgicisms. Inventaire des particularités lexicales du français en Belgique“. — Louvain-la-Neuve-Paris, Duculot-Conseil international de la langue française, 1994.

ბლანპენი, გოოსი, კლინკენბერგი, ვილმეტი 1997 — “Le français en Belgique. Une langue, une communauté“. — Louvain-la-Neuve, Duculot, communauté française en Belgique, XVII, p. 530, 1997

დობანე, 1979 — „Belgicisms de bon aloi“. — Bruxelles, Fondation Charles Plisnier-Office du bon langage, 1979

ფრანკარდი, 1989 — „Ces belges qui parlent français. Variétés linguistiques du français de Belgique“. — Louvain-la-Neuve, CAV, 1989a

გოოსი, 1977 — „Qu'est-qu'un belgicisms?“, dans Bulletin de l'Académie royale de langue et de littérature française, 1977, N 3-4, p.345-367.

ჰანსი, დობანე, ბურჟუა-სიელენი 1974 — „Nouvelles chasse aux belgicisms“. — Bruxelles : Fondation Charles Plisnier, 1974.

ლაფონტენი, 1991 — „Les mots et les belges“. — Bruxelles, Communauté française de Belgique, Service de la langue, „Français et société“, 1991.

მასიონი, 1987 — „Dictionnaire de belgicisms“. — Francfort, Peter Lang Verlag, 1987.

პირონი, 1973 — „Les belgicisms lexicaux : essai d' un inventaire“. — Travaux de linguistique et de littérature, Strasbuorg, 1973, vol.11, N 1, p. 295-304.

LIA KAVLASHVILI

Some Lexical Peculiarities of Belgian French

Summary

The paper discusses some lexical peculiarities of Belgian French. The role of belgicisms in differentiating between the French spoken in France and Belgian French has been stated. The paper also includes the glossary of belgicisms used in various spheres.

თბა შავლაძე

**ქართული და ანგლო-ამერიკული ეპიტაფიების
შეპირისპირებითი ანალიზი – კულტურული
სახესხვაობანი**

„სამარის ქვები მკვდრები როდია, ისინი ლაპარაკობენ, ხოლო მათზე ამოჭრილი გამოსახულებები გვეუბნებიან უფრო მეტს, ვიდრე ვრცელი წარწერები“, — წერს ე. ვარდიმანი (ვარდიმანი, 1990, 295). დაახლოებით იმავენიად აფასებს ეპიტაფიათა მნიშვნელობას ლ. ფრუიძე: „ძველებური სასაფლაოები ფასდაუდებელი ისტორიული წყაროა, საფლავის ქვებზე არა მარტო მრავალმხრივი შინაარსის მქონე ეპიტაფიები იკითხება, არამედ ნაირგვარ ორნამენტებსა და ჩუქურთმებში განსხვავებული წარსული ყოფის მსოფლმხედველობა, მხატვრული თუ რელიგიური აზროვნების მრავალფეროვანი სიმბოლიკა მოსჩანს (ფრუიძე, 1980, 34).

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, თუ რა არის აღნიშნულ სტატიაში ჩვენი ძირითადი მიზანი. ჩვენ არ შევჩერდებით ეპიტაფიის როგორც სამელოგიარო პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახის ტროპულ სისტემაზე, პოეტიკასა და მხატვრულ სამყაროზე. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი მიზანი კონკრეტულია — სხვადასხვა კულტურათა (ქართული, ინგლისური, ამერიკული) წარმომადგენლების ეპიტაფიების შედარება-შეპირისპირება და მათში ზოგადი და ნაციონალური სპეციფიკის დანახვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვინტერესებს არა მხოლოდ ის, თუ როგორ აისახება ინგლისურენოვან და ქართულ ეპიტაფიებში გარდაცვლილთა ამქვეყნიური ღვაწლი და სიკვდილის მიზეზები, არამედ ის, როგორ იკვეთება ეპიტაფიებში სხვადასხვა ერთა კულტურა, ტრადიციები, ისტორია, რწმენა, სამყაროს ხედვა და ა. შ.

თავდაპირველად ინგლისურენოვან და ქართულ ეპიტაფიებს შორის არსებულ მსგავსებებზე შევჩერდებით. დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ მსგავსებები ძირითადად ეპიტაფიათა სტილურ ნიშნებსა და სა-

ხეებზე მოდის:

- 1) ისევე როგორც ქართულ კულტურაში, ანგლო-ამერიკულშიც ეპიტაფიათა ორი ძირითადი სახეა: ფოლკლორული და ლიტერატურული;
- 2) მსგავსება ფიქსირდება ეპიტაფიათა გრაფიკულ სახეშიც. არ არის აუცილებელი ეპიტაფიას ლექსის ფორმა ჰქონდეს, შესაძლოა იგი პროზაულიც იყოს, ან კიდევ რომელიმე ცნობილი ადამიანის მიერ წარმოთქმულ ბრძნულ მოსაზრებას წარმოადგენდეს;
- 3) ანგლო-ამერიკულ და ქართულ ეპიტაფიებში, ერთი მხრივ, უამრავ ლაკონურ, მეორე მხრივ კი, მასშტაბურ, დიდი ზომის ეპიტაფიებს შეხვდებით, სადაც შეიმჩნევა ავტორის ლტოლვა სათქმელის განვრცობისაკენ.
- 4) მსგავსება ჩანს თუნდაც იმაში, რომ ეპიტაფიათა უმეტეს ნაწილს, რომლებიც ინდივიდი ავტორების მიერ არის შექმნილი, ზეპირი გავრცელება არ აქვთ. მხოლოდ ეპიტაფიათა მცირე ნაწილს ახასიათებს ვარიანტულობა და გავრცელებულობა.
- 5) ეპიტაფიების ავტობიოგრაფიულობა კიდევ ერთი სტილური ნიშანია, რომელიც უნივერსალურია ყველა კულტურაში.
- 6) საყურადღებოა ეპიტაფიების პირველ პირში გადმოცემის საკითხი. „პირველ პირში საუბარი სამზეოს დარჩენილებთან ქართული ხალხური ეპიტაფიის ერთ-ერთი მთავარი სტილური ნიშანია“-ო, — წერს ფოლკროლისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. არაბული (არაბული, 2006, 106). ვ. კოტეტიშვილის აზრით, კი ეპიტაფიების პირველი პირით თქმა ახასიათებდა ძველ აღმოსავლურ კულტურას (არაბული, 2006, 106).

მახსოვს წუთისოფელი
დავდიოდი მთელადა
მე მეგონა სიცოცხლე
მექნებოდა გრძელათა
უცბათ შემხვდა სიკვდილი
წამაქცია ნელათა

(წავკისი, გარდაბნის რაიონი).

პირველ პირში თქმული ამ ფოლკლორული ეპიტაფიის მიზანია ადამიანებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე შეგვახსენოს და გვითხრას, რომ ამქვეყნიური ცხოვრება წამიერია, იმქვეყნიური კი — მარადიული. ამ აზრის უფრო ეფექტურად თქმა სწორედ პირველ პირში ხერხდება: თითქოსდა გარდაცვლილი თავად გველაპარაკება მკითხველთ, საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს და ჭკუას გვარიგებს. მას უნდა დაეჯეროს, რადგანაც იცოცხლა, ბევრი რამ ნახა და შეიმეცნა; ამდენად ჩვენზე უკეთ იცის სიკვდილ-სიცოცხლის ფასი.

სიკვდილის მოულოდნელობაზე საუბარი შემდეგ ინგლისურ ეპიტაფიაში:

**Grim death took me
without any warning
I was well at night
and dead in the morning (Kent, England).**

სიკვდილი ამ ეპიტაფიის „გმირს“ გაუფრთხილებლად ეწვია. თითქოს არაფერი სჭირდა სასიკვდილო, ღამით კარგად გრძნობდა თავს, დილით კი აღარ იყო. აქედან გამომდინარე, ეპიტაფიების მესიჯი: ვერავინ ხდება სიკვდილის მოახლოებას, ის უცებ და გაუფრთხილებლად გვეწვევა.

7) ანგლო-ამერიკულ და ქართულ ეპიტაფიებს შორის მსგავსება ჩანს იმაშიც, რომ სამივე კულტურის წარმომადგენელთა ეპიტაფიებში არის ცნობა იმის შესახებ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო გარდაცვლილი, რა პროფესიისა იყო, რა უყვარდა და იტაცებდა ამქვეყნად, რით ირჩენდა თავს: „ბედშავი მწყემსი ვიყავი, დაღლილმა არავგის წყალი დავლიე, რა ჩავაყოლე არ ვიცი, იმ ღამეს სული დავლიე“ (ბიწმენდი, მცხეთის რაიონი); მშრომელი კაცი ვიყავი, მიყვარდა ბურ-მარილია, უკანასკნელად პატივს მცემს სიძე და ჩემი შვილია“ (ბიგვი, ალგეთის ხეობა). თუკი ზემომოყვანილ ეპიტაფიებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თხრობა კვლავაც პირველ პირში ხდება, თხრობა მიმდინარეობს წარსულ დროში. ეპიტაფია დოკუმენტურია. ნაკლებად ინფორმაციულია, მაგრამ ღიმილის მომგვრელია შემდეგი ანგლო-ამერიკული ეპიტაფიები: „ადვოკატი ისვენებს“, „სკოლა დაკტილია, მასწავლებელი შინ წავიდა“.

Goebel John E 1867-1946

“The Defense Rests”.

Professor S. B. Mc Cracken

School is out

Teacher has gone home (Elkhart, Indiana).

8) ეპიტაფიების დოკუმენტური სიზუსტე კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია. რომელიც სამივე კულტურის წარმომადგენელთა ეპიტაფიებში ფიქსირდება. დოკუმენტური სიზუსტითაა ნაჩვენები ეპიტაფიებში, რამ მოკლა ესა თუ ის ინდივიდი, რამ მოუსწრაფა სიცოცხლე, რომელი დაავადების წერა გახდა: „ვარდი ვიყავ ნორჩი აკოკრილია/ დედ-მამის საყვარელი ტკბილია/ შემხვდა წითელა მომცა საუკუნო ძილია“ (მარაბდა, თეთრი წყაროს რაიონი) “He got a fish bone in his throat and then he sang an angel note” (New York), “Here lies Barnard Gightfoot who was accidentally killed in the 45 th year of his age” (Plymoth, Mass).

ზოგიერთ შემთხვევაში გარდაცვლილის ღვაწლი გაზვიადებულია, ასე მაგალითად:

**Here undernieth this little stone
Lies Robert Earl of Huntington
No archer were as he so good
And people called him Robin Hood
A skillful man, above all men
This world will never see again (New England forest).**

ნათქვამია, რომ გარდაცვლილი საუკეთესო მოისარი იყო; ამიტომაც რობინ ჰუდსაც კი ეძახდნენ. მისი უნარის მქონე ადამიანი საუკუნეებში ერთხელ იბადება. აშკარად ღვაწლის გაზვიადებაა, თუმცა ჩვენთვის გაურკვეველია ეპიტაფია გარდაცვლილის დაცინვას ისახავს მიზნად და ამ გაზვიადების უკან ვერბალური ირონია ძვეს, თუ რეალურად შექების ღირსი იყო იგი. გარდაცვლილთა ღვაწლის გაზვიადება განსაკუთრებულად თავს იჩენს ქართულ ეპიტაფიებში. ქართველთა რწმენით, გარდაცვლილზე ცუდი აღარ უნდა ილაპარაკო. პირიქით, ეპიტაფიებში ის დადებითი მხარეები უნდა წამოსწიო წინა პლანზე, რითაც გარდაცვლილი შთამომავალთ კარგად დაამახსოვრდებათ. ასეთი დადებითი მახასიათებლები ქართველებისათვის შემდეგია: შრომისმოყვარეობა, კარგი მეოჯახეობა, ქართველი ქალის პატიოსნება და ერთგულება.

ოცდაერთი წლის დავჭვრივდი
სიცოცხლე შავში ვატარე
ორი ობოლი ვაგზარდეთ
და მტრები არ ვავახარე (ხონი).

ქართული ეპიტაფიებიდან განსხვავებით, ანგლო-ამერიკულში ვხდებით ისეთი ეპიტაფიებსაც, რომელშიც გარდაცვლილთა ნაკლოვანი მხარეებია სააშკარაოზე გამოტანილი:

**Beneath this stone a lump of clay,
Lies stingy Jimmy Wyattle (Falkirk, England);
Here lies the body of poor Aunt Charlotte
Born a virgin, died a harlot (Death Valley, California).**

ის ფაქტი, რომ ქალწულობა ქართულ კულტურაში დაფასებულია, ხოლო ანგლო-ამერიკულში დასაცინი, შემდეგი ეპიტაფიები ადასტურებს. ეპიტაფიაში „Returned – Unopened (North Carolina Cemetery)“ დაცინვის საგანია გარდაცვლილი, რომელიც დაიბადა, იცოცხლა და მიწას კვლავ ქალწულად დაუბრუნდა. ცხადია, ეპიტაფია მკითხველში ღიმილს იწვევს. მომდევნო ეპიტაფიაც იუმორისტულია, მხოლოდ ლექსემა „heirs“ (მემკვიდრე) აღუძრავს მკითხველებს სინანულს — ქალწულობა ფუჭად განვლილი ცხოვრებაა.

**Here lie the bones of Sophie Jones
for her death held no terrors.
she was born a maid and died a maid
No hits, no runs, and no heirs (Pennsylvania).**

ქართულ კულტურაში გარდაცვლილი ქალწული უმანკოდ განვლილ ცხოვრებასთანაა გაიგივებული. ქალწული დასაფასებელი და პატივსაცემია, თუმცა ამავედროულად შესაბრალონი, რადგანაც ღმერთმა საკუთარ კერას, ქმარ-შვილებს არ აღირსა: „წაველ უმანკოთ“ (მეტეხი კასპის რაიონი), „ამ წუთისოფლითგან არა მხვდა წილი, არც ქმარი მყვანდა, არც თუ ყმარწვილი, ზეცათ ინდომეთ ჩემი ქორწილი“ (ნინოწმინდა, საგარეჯოს რაიონი).

ის, რითაც ამაყობენ ქართველები — ეს მრავალშვილიანობაა: „დაუტოვე ხუთი ძენი და ოთხი ასული“ (წინამძღვრიანთკარი, მცხეთის რაიონი), „მე სამშობლოს 18 შვილი ვავუზარდე, შენ?“ ანგლო-ამერიკულ ეპიტაფიებში კი ბევრი შვილის მშობლობა ღიმილის მომგვრელია:

Here lies the father of 29 /He would have had more/ But he didn't have time (Moultrie, Georgia).

თუკი ქართველი ქალისთვის პატიოსნება და ერთგულებაა დამახასიათებელი, თუკი ქართველი ქალი წლების განმავლობაში გლოვობს გარდაცვლილ მეუღლეს, ინგლისელი და ამერიკელი ქალები ნაკლებად განიცდიან მეუღლეთა დაკარგვას. ამას მოწმობს შემდეგი ეპიტაფია, რომელშიაც ნაჩვენებია, როგორ გაისტუმრა საიქიოს ქალმა სამი მეუღლე და მეოთხესაც სიამოვნებით მათ გზას გაუყენებს.

**Here lies my husbands 1-2-3
As still as men could ever be
As for the fourth: Praise be to God
He still abides above the sod;
Abel, Seth and Ceidy were the first 3 names
and to make things tidy I'll add his – James (Shutesbury).**

იმავს თქმა შეიძლება ინგლისელ და ამერიკელ მამაკაცებზე. არც ისინი განიცდიან მეუღლეთა დაკარგვას მძიმედ, ცხოვრებას აგრძელებენ და სიკვდილზე არც კი ფიქრობენ. საინტერესო ეპიტაფიად გვეჩვენება დიალოგურ პრინციპზე აგებული შემდეგი ეპიტაფია: (დიალოგურ პრინციპზე აგებული ვუწოდეთ ამ სახის ეპიტაფიებს იმის გამო, რომ საფლავის ქვაზე ამოტიფრულ წარწერას დროთა განმავლობაში მინაწერი აქვს გაჩენილი, რაც ეპიტაფიის პასუხად უნდა მივიჩნიოთ). „გასაუბრება მიცვალებულთან“ შეიძლება ასე ეწოდოს შემდეგ ეპიტაფიას.

**Grieve not for me my husband dear
I am not dead but sleeping here
with patience wait – perforce to die
And in a short time you'll come to I.**

გარდაცვლილი ქალბატონი მეუღლეს სთხოვს არ იგლოვოს ის, რადგანაც იგი მხოლოდ მძინარეა და არა გარდაცვლილი. ამასთან სულ მცირე ხანში მეუღლეები კვლავ ერთმანეთს შეხვდებიან — სიკვდილი მათ კვლავაც დააკავშირებს. მიგვაჩნია, რომ გარდაცვლილის მეუღლემ ეს ეპიტაფია მეუღლის საფლავის ქვაზე მაშინ მიაწერინა, როცა დეპრესიაში იყო და სიკვდილზე ოცნებობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დრო გავიდა და ახალი თანამეცხედრე გაიჩინა, გარდაცვლილი მეუღლე წარსულს მიაბარა. ამიტომაც საფლავის ქვაზე პასუხად მიუწერია:

I am not grieved, my dearest life
sleep on, I've got another wife
Therefore, I cannot come to thee
For I must go and live with she.

მეუღლის სიკვდილით გულდამწვარი მამაკაცის სიტყვები კი ასეთია: „Tears cannot restore her — therefore I weep“ (New Hampshire cemetery).

ქართულ კულტურაში დიალოგურ პრინციპზე აგებული ეპიტაფიები არ გვხდება, რადგანც საფლავის ქვაზე რაიმეს მიწერა, საფლავის ქვისთვის რაიმე ზიანის მიყენება ან საფლავის წაბილწვა დაუშვებელია. ამით მიცვალებულის სულის გამოწვევა — გაღიზიანება ხდება და საფლავის შემბლაღველს ღმერთი თავისას მიუზღავს.

ინგლისურ და ამერიკულ კულტურებში დაფიქსირდა ე.წ. „რეკლამა ეპიტაფიები“, რომელშიც გარდაცვლილთა ცოლები რეკლამას უკეთებენ თავიანთ თავს: „His widow, age 24, lives at 7 Elm street Has every qualification for a good wife And longs to be comforted“ (Lincoln, Maine), თავიანთ კერძო ბიზნესს: „His disconsolate widow/ Continuous to carry on His grocery business/ At the old stand on Main Street: Cheapest and best prices in town (Harwichport) — ამ სახის ეპიტაფიების მესიჯი შემდეგია: ცხოვრება გრძელდება, მიცვალებულებზე ზრუნვა კარგია, მაგრამ ცოცხლებმა საკუთარ თავზეც უნდა ვიფიქროთ.

ანგლო-ამერიკული ეპიტაფიების დიდი რაოდენობა იუმორისტულია. ეს კი იშვიათობაა ქართულ კულტურაში. ქართველებს დიდი იუმორის გრძნობა გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის წარმოუდგენელია სიკვდილს მხიარული თვალით შევხედოთ და რაიმე იუმორისტული და სახალისო აღმოვაჩინოთ მასში. ჩვენ ვხუმრობთ ყველაზე და ყველაფერზე, მაგრამ არა სიკვდილზე, მით უფრო საკუთარი ოჯახის წევრის, ახლობლისა და მეგობრის სიკვდილზე. ჩვენ მიერ შესწავლილ მაგალითებში ამ სახის ორიოდ ეპიტაფია აღმოჩნდა და ისიც ნაწილობრივ დიდაქტიკურ-ფილოსოფიური.

ვინ იტყვის, რო მე ვარო
მეც ვეტყვი, რო მე ვარო
ყველა ასე წამოწვება
ახლა მე რო ვწევარო.

ხო მოვხუცდი, მერე რა
ხო ვიცხოვრე სამყოფი,
აწი კიდე მივდივარ,
სადაც არ ვარ ნამყოფი
(წალენჯიხა)

ქართველთა ღვთისმომიშობა კარგად ჩანს შემდეგ ეპიტაფიაში: „ღმერთო, მეც ღირსი გამხადე, სადაც სამოთხე შენია“. გამჟღავნებელია სურვილი, იმ ქვეყნად მოხვედრილებმა სამოთხე დაიმკვიდრონ და ღვთის შეწევნით ნათელში იყვნენ. მსგავსი სახის ეპიტაფიად გვესახება „L ord, she is thine“ — მართალია ამ მაგალითში გარდაცვლილის სურვილი არ ჩანს, მაგრამ ის კი ნათელია, რომ გარდაცვლილს ღმერთი სწამდა და ახლა იგი ღმერთის ხელშია, სწორედ ის განსაზღვრავს გარდაცვლილის მარადიულ სამყოფელს.

გარდაცვლილთა სურვილები ჩანს შემდეგ ეპიტაფიებშიც: „საყვარელმა როცა მნახოს, გულზე ვარდი დამაყაროს“ (თბილისი, კუკიას სასაფლაო), „დამრჩნენ დედ-მამა და სამი ძმა, ღმერთო, კარგა შემინახე (სიმონიანთხევი, თიანეთის რაიონი), „ღმერთო, მიცოცხლე მეუღლე, შვილები, შვილისშვილები“ (ტაბახმელა, გარდაბნის რაიონი).

ქართული და ანგლო-ამერიკული ეპიტაფიების ვერბალური გაფორმება, ვგულისხმობთ ეპიტაფიათა დასაწყისსა და დასასრულს თითქმის იდენტურია. დასაწყისში კვითხულობთ: „აქა მდებარე ვარ“, „აქ განისვენებს“, „ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ“, „Here lies the body of“, „Beneath this stone lies...“, „Here lies in the memory of...“. ქართული ეპიტაფიის „გმირები“ შენდობას სთხოვენ წამკითხველთ: „წამკითხველნო მადირსეთ შენდობა“, „წამკითხველნო შენდობა მითხარიო“, „გთხოვთ თითო შენდობასა“, „მომიხსენე მე უფალო“, „შეიწყალებ უფალო.....“ ასეთი რამ არ ფიქსირდება ანგლო-ამერიკულ ეპიტაფიებში.

ქართულ და ანგლო-ამერიკულ ეპიტაფიებს ისიც აერთიანებს, რომ ეპიტაფიის დასასრულს მიწერილია, ვინ სცა უკანასკნელად პატივი გარდაცვლილს, ვინ დამარხა და დაადო საფლავის ქვა: „დამაფასა მაზღმა მიხამ“, „პატივი მცა ჩემმა რძალმა მანიამ, საფლავზედ ქვა დამადო სახსოვარი რამია“, „This monument was erected by his grateful family“.

ანგლო-ამერიკულ და ქართულ ეპიტაფიებში თავს იჩენს ერთგვარი ლექსიკური კონსერვატიზმი, მხატვრული აზროვნების ნაირსახეობათა სიმცირე და სალექსო ფორმების სტაბილურობა.

კვლევა დაგვანახავს, რომ მიუხედავად უამრავი მსგავსებისა, ქართულ და ანგლო-ამერიკულ ეპიტაფიებს ჭეშმარიტად ეროვნული ბუნება გააჩნია. მათში შესანიშნავად ჩანს თითოეული ერის კულტურა, ტრადიციები, ისტორია, რწმენა, სამყაროს ხედვა და ა. შ. ამდენად,

ეპიტაფია ჰუმორიტად კულტურული ფენომენია და იგი მკლევართაგან უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ლიტერატურა

არაბული, 2006 — ა. არაბული „სამელოვიარო რა პოეზია“, თბ., 2006.

არაბული, თათარაიძე, 2007 — ა. არაბული, ე. თათარაიძე „შენდობით მომისხენიეთ“, ბაკმი, 2007.

ფრუიძე, 1980 — ლ. ფრუიძე „საფლავის ძეგლები“, „ფრესკა“ თბ., 1980.

ვარდიმანი, 1990 — E. Вардиман «Женщина в древнем мире», М., 1990;

შაპუტისი, 1980 — Shaputis „Funny stones To Tickle Your Funny Bones“ (Internet Source webpanda. com).

TEA SHAVLADZE

A Contrastive Study of Georgian, English and American Epitaphs and their Cultural Peculiarities

Summary

The contrastive study of English, American and Georgian epitaphs has revealed stylistic similarities between them. The epitaphs of the three cultures are autobiographic, factually precise, laconic, conveyed in the first person; they also show resemblance in the graphic means of expression, the tendency of verbalizing the beginning and the ending, as well as the employment of folk and literary images.

The analysis has also proved some cultural commonalities between English, American and Georgian epitaphs of a didactic-philosophical type. However, cultural differences are apparent between the epitaphs with a strong historical or religious loading. Among English and American epitaphs there are some:

a. built on dialogue principle; b. having advertisement style; c. humorous.

The first two types are not encountered in the Georgian culture.

Despite a number of similarities, English, American and Georgian epitaphs are culture-specific and they should be studied from the cognitive standpoint.

ნახტო შავრეზიანი

მზგ || მავ „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის შესახებ ჩოლურულში

აღნიშნულ ნაცვალსახელს სვანურში ქართულის მსგავსად შემკრები ანუ განმაზოგადებელი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამ სემანტიკით („ყველა, ყველაფერი“) გამოიყენება სვანურის ოთხსავე დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც, თუმცა ამ უკანასკნელში, დანარჩენი დიალექტებისგან განსხვავებით, შეინიშნება მისი ახლებური და თავისებური წარმოება.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბრუნებისას მავ || მავ „ყველა, ყველაფერი“ ნაცვალსახელის სახელობითის ფუძეს ყველა სხვა ბრუნვაში ჩი, ჩნ ენაცვლება...

სახ. მავ მავ	სახ. მავ, მავ
მოთხ. ჩი-ემ ჩი-ემ	მიც. ჩი, ჩნ-ს
მიც. ჩი ჩი-ს	მოთხრ. ჩიემ
ნათ. ჩიმი ჩიმი-იშ	ნათ. ჩნმიშ ჩი-ემიშ
მოქმ. ჩი-ტუშუ	მოქმ. ჩი-ტუშ
ვით. ჩი-დ	ვით. ჩი-დ
(მარტიროსოვი, 368)	(ონიანი, 95)

მოცემული პარადიგმის პარალელურად ჩოლურულში შეინიშნება მავ||მავ ნაცვალსახელის ახლებური წარმოება, კერძოდ: სახელობით, მოთხრობით, მიცემით და მოქმედებით ბრუნვებში იგი საკუთარ ფუძეს იყენებს და სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ხოლო ნათესაობითსა და ვითარებითს ვერ აწარმოებს:

სახ. მავ	სახ. მავ მავ
მიც. ჩნ-ს	მოთხ. მავ-დ
მოთხრ. ჩნ-ემ ჩნ-ემ-დ ჩი-ემ-ემ	მიც. მავ-ს

ნათ. ჩნ-მიშ ჩნ-მეშ	ნათ. —
მოქმ. ჩნ-ემშუ ჩნ-მეშუ ჩნ-ნოშუ	მოქმ. მავ-ტუშუ
ვით. ჩნ-ნარდ	ვით. —

როგორც ვხედავთ, ჩოლურულში აღნიშნული ნაცვალსახელის ორ-ფუძიანობას ნელ-ნელა ეცლება საფუძველი, კერძოდ, სახელობითის მავ ფუძე სხვა ბრუნვებშიც გადადის და ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, თუმცა პარალელურად „ჩი“ ნაცვალსახელიც საკმაოდ პროდუქტიულია, მავ:

მავ მეგუი ლას „ყველა თანაბარი იყო“

მავ შუშპრა „ყველა ცეკვავდა“

ხომა ი ხოხრა მავ ანღრდა „დიდი და პატარა ყველა მოდიოდა“

იარნ იჭკვრახ, მავ-დ ანვიდ ლავტანთე ნაწუარ „ვინც დარდობდა, ყველამ მოიტანა გასვენებაში შესაწირი“

ლაღრ ლადღეჟი მავ-დ ქედბინე ლიღრალ „დღევანდელ დღეს ყველამ დაიწყო სიმღერა“

მავ-ს აზზგნახ უჭუდიელა-მაჭუდიელად „ყველას აგზავნიდნენ შეუკითხავად“

მავ-ს ლოქ ქა ხანდიან? „ყველას მისცემო“?

მეწონ ოჯახ მავ-ტუშუ ლემარე ხეკუეს ლემარდღლან „დამპატიყვებელი („მომწვევი“) ოჯახი ყველაფრით მზად უნდა ყოფილიყო“

ჩუ მავ-ტუშუ ლეხნდე ლას, მა ეშნ გაგზგდა „გახარებული კი იყო ყველაფრით, მაგრამ მაინც ბუზღუნებდა“...

ანალოგიური სურათი ვაქვს ქვემო ქართლში ჩასახლებულ ჩოლურელთა მეტყველებაშიც, რომლებიც სხვა დიალექტებზე მოსაუბრეებთან ერთად ერთ სოფელში ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ ამ სახით ეს ნაცვალსახელები უბრალოდ საუბრისას გაუაზრებლად იხმარება, საკმარისია ჩავკითხოთ ან პარადიგმა შევადგენინოთ, რომ აუცილებლად ყველა ბრუნვაში ტრადიციულ ჩიემ, ჩნს... ნაცვალსახელებს დაგისახლებენ. მავ-რამ, ფაქტია, რომ ნელ-ნელა მავ ფორმა სხვა ბრუნვებშიც მყარად იკიდებს ფეხს, რაც ახალი თაობის მეტყველებაში ნათლად შეინიშნება.

რაც შეეხება ნათესაობითისა და ვითარებითის ფორმებს, შესაძლებელია ანალოგიურად დავუშვათ, მავ: მავ-იმ „ყველასი“, მავ-დ „ყველაფრად: ფორმები, თუმცა ისინი ძალიან ხელოვნურია და არც დაფიქსირებულა, ისე მოსალოდნელია არსებობდნენ ან მომავალში ჩამოყალიბდნენ სხვა ბრუნვების მსგავსად.

ამ ნაცვალსახელის ასეთი გამარტივების ტენდენცია ადრე ლენტეხურშიც შენიშნა ი. ჩანტლაძემ: „სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანური განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **მანგ|მაგ** მხოლოდ სახელობითში გამოიყენება, ხოლო ყველა სხვა სხვა ბრუნვაში მას მეორე ფუძე (ჩნ, ჩი) ენაცვლება. თუ ლენტეხურ მონაცვლეობასაც გავითვალისწინებდით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სუბლექტურობის შემთხვევაშიც კი ენა ცდილობს თავიდან აიცილოს სირთულე და მაინც სახელობითის ფუძე გააბატონოს: მანგ-დ ლანყულენ— ყველამ დაიყვირეს“, მაგ-დ (||ჩიემ-ემ-დ) ქა ლახოქაბეხ ყველამ გვერდი აუქციეს“, ხემა-რაღღახ მანგ-შუ (||ჩი-მ-შუ) — ემზადებოდნენ ყველაფრით“. შემთხვევითი არაა, რომ ეს მასალა ამოღებულია 11-13 წლის ბავშვების მეტყველების ნიმუშებიდან“ (ჩანტლაძე, 74).

საინტერესოა აღნიშნული ნაცვალსახელის ურთიერთობა **-ჟანა||-ჟანა, -ჟანა, -ი** „ცა“, ნაწილაკთან, მსგავსი შემთხვევა სვანურის არც ერთ დიალექტში არ შეგვიჩვენავს.

ცნობილია, რომ ჩოლურული კითხვით სიტყვათაგან მიმართებით ნაცვალსახელთა საწარმოებლად უპირატესობას **-ი** „ცა“ ნაწილაკს ანიჭებს და აღნიშნული ნაცვალსახელი სწორედ ამ ნაწილაკთან თანშეზრდილი დასტურდება, თუმცა მნიშვნელობა „ყველა, ყველაფერი“ დაჩრდილულია და მისი დართვა-დაურთველობით აბსოლუტურად არაფერი იცვლება, ასეთი ფორმები ნაწილაკის გავლენით მხოლოდ მიმართებითობას გამოხატავენ. მაგ.:

ხედ-ი-მაგ „რომელიც“, **იმჟ-ი-მაგ** „როგორც“, **მარ-ი-მაგ** „ვინც“, **ეჯმარ-ი-მაგ** „ისინიც“, **მნ-მაგ** „მეც“, **სგან-მაგ** „თქვენც“...

ჟანთიმ, **ხედ-ი-მაგ** ჯაკუ „ამოარჩიე, რომელიც გინდა“.

მარ-ი-მაგ ჟენკედნა ალე ბახს, ხანჯალსნ ეჯის ხანჯულდახ „ვინც აიღებდა ამ ქვას, ხანჯალსაც იმას აძლევდნენ“.

ჯრდიახენისა ლეატულე, **სგან-ი-მაგ** ლოქ ანჯანდ „შორიდან დაიძახა, თქვენც წამოდიო“.

ქეთბლანან, ეჯლა ი ამლა **მნ-მაგ** ლოქ ჳუედნი „გადააჩინდა, ასე თუ ისე (იმიტო თუ ამიტო) მეც წამოვალ“.

ტიციდ ეჯჟი ოხსყენე, **იმჟ-ი-მაგ** მაკაფ „სწორედ ისე გავაკეთებ, როგორც მსურს“,

მექტერწულაცახან ეჯმარ-ი-მაგ მეჯედ ლასხ „მექორწილებთან

ერთად ისინიც მომსვლელები იყვნენ“...

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა აღნიშნული ნაცვალსახელი დასტურდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმაზე დართულ **-ჟანა || -ჟანა, -ჟანა** და -ი ორმაგ ნაწილაკდართულ მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთადაც და მეტად დახუნძლულ ფორმებს ვიღებთ, მაგ.:

ხედ-ჟანა-მაგ „რომელიც“, **ესჟანას-ი-მაგ** „ვისაც“, **იმჟი-ჟანა-მაგ** „როგორც“, **ხედ-ჟანა-დ-ი-მაგ** „რომელმაც“, **ხედ-ჟანა-შდ-ი-მაგ** „რომლისთვისაც“...

ესჟანას-ი-მაგ ხეხლ, ეჯისუ ათხტიეხ, ნაი იმ გუჟამასტანაჟ?! „ვისაც ეკუთვნოდა, იმისთვის მიეკუთვნათ (მოერტყათ), ჩვენ რას გვერჩოდნენ“?

ხედ-ჟანა-დ-ი-მაგ ჩუედსერე ლეყერდ, ჩუი ეჯნემდ ლემზხუნე ეჩანლო მეტულახენქა „რომელმაც გაიმეტა საცემად, სწორედ იმან დაიფარა (შემოინახა) მოჩხუბართაგან მერე“.

ეჯის მან ლახტის თეთრ ე, **ხედ-ჟანა-შდ-ი-მაგ** ხავდგნ „იმას კი არ დაუბრუნა ფული, ვისთვისაც მართებდა“...

მაგ ნაცვალსახელი დაერთვის თანდებულის მიმართებით ზმნიზედებსაც, მაგ.:

იმხენ-ი-მაგ || იმჟანენ-ი-მაგ მი მაკაფ, ეჩხენ ეხჟოლჟან „საიდანაც მე მსურს, იქიდან გამოიყოლე“.

ჟი დერ ესტემნინი, **იმჟ-ი-მაგ || იმჟანჟ-ი-მაგ** მიჩ ხაკუ, **ემ-ი-მაგ** ეჯჟი ასყი „ხო დააკვდები, როგორც თვითონ უნდა, მაინც ისე აკეთებს“.

ჟოშელდინ-ი-მაგ || ჟოშჟანდინ-ი-მაგ ში ქა მირიწუნს, ეჯშელდ ხინი-ხიად მიშგუა ჳაშს ი გეზალს „რამდენჯერაც ხელი გამემართოს, იმდენი ლხინი და გახარება ჩემ ქმარ-შვილს“.

ჟ-ი-მაგ ჟადე ი **ჩუ-ი-მაგ** ჩუალე „ასვლითაც (ზევითაც, კიდევ) აღი და ჩამოსვლითაც (ქვემოთაც, კიდევ) ჩამოდი“...

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. როგორც ილუსტრაციებიდან და განხილული მასალებიდან ჩანს, აღნიშნული ნაცვალსახელი გვხვდება ყველანაირ მიმართებითებთან, სადაც კი შეიძლება -ი ნაწილაკი იყოს და ყველა შემთხვევაში აღნიშნული ნაწილაკი წინ უსწრებს მას. იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **მანგ || მაგ** „ყველა, ყველაფერი ნაცვალსახელი მხოლოდ **-ჟანა || ჟანა**, -ჟანა დართულ მიმართებითებს ახლავს.

2. ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიებზე დაკვირვებისას რჩება

შთაბეჭდილება, რომ ჩოლურული თითქოსდა გამარტივებულ ფორმებს უჭერს მხარს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მეტად დახუნძლულ ფორმებს ენიჭება უპირატესობა. ასახსნელია თუ რაში დასჭირდა ენას ასეთი გართულებული ფორმები, მით უფრო მაშინ, როცა ნათლად ჩანს რომ **მაგ** ნაცვალსახელის დართვა-დაურთველობა სრულიად არაფერს ცვლის და მას დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და სემანტიკა.

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბ, 2002.

მარტიროსოვი 1964 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ, 1964.

ონიანი 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ, 1998.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

შავრეშიანი 2007 — ნ. შავრეშიანი, -ჟჷჷ||-ჟჷჷ, -ჟჷლ, -ი (ცა) ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები ჩოლურულში, თბ, 2007.

NATO SHAVRESHIANI

Towards the Definite Pronoun *mäg||mag* 'all, everything' in Cholorian

Summary

The study of the data has proved that the pronoun *mäg||mag* is used with all types of relatives with the particle *i* and in all cases the particle in question precedes it. Quite rarely the given pronoun is only added to the relative case with *wäj || wäj, wäl*.

It is assumed that the Cholorian dialect seems to have simplified grammatical forms.

However, the given case proves the contrary. It is noteworthy that the pronoun *mäg || mag* has lost its functional and semantic loading.

რუსულან ზამელაზვილი-ჯაქალაზვილი

ზმნების კლასიფიკაცია და ინდექსაცია კიტა ჩხენკელის ნაშრომებში

ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიაში გამოცა კიტა ჩხენკელის, დიდი ქართველი მეცნიერის, შესანიშნავი ნაშრომი — „შესავალი ქართულ ენაში“ არაქართველთათვის (ორ ნაწილად) (ჩხენკელი, 1958).

ჯერ კიდევ ჰამბურგის უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობისას დაარწმუნა პროფ. მ. მაიერ-ბენფეიმ კიტა ჩხენკელი, რომ მეცნიერულად დასაბუთებულ სახელმძღვანელოში მოეყარა თავი მთელი თავისი ცოდნისათვის, რადგან ქართული ენა სჭირდებოდათ არა მარტო ენათმეცნიერებს, არამედ ეთნოლოგებს, არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს (იმნაიშვილი, 1998გ, 13). შემდეგ ფრაიბურგში პროფ. ვილჰელმ შმიდტმაც შეაგულიანა მეცნიერი და გაახსენა, რომ სწორედ უცხოელებისთვის მისაწვდომად დაწერილი ქართული ენის გრამატიკის არარსებობამ განაპირობა კავკასიური ენების ქცევა ლინგვისტებისთვის "*tabula rasa*"-დ, ამასთან, სინანულიც გამოთქვა, რომ ასაკის გამო ვეღარ დაიწყებდა ესოდენ საინტერესო ენის — ქართულის — შესწავლას (ჩხენკელი, 1958, XLI-XLII).

მართლაც, მრავალი დაბრკოლებისა და თითქმის დაუძლეველი წინააღმდეგობის მიუხედავად, კიტა ჩხენკელმა შეძლო შვეიცარიაში განეხორციელებინა ცხოვრების მიზნად ქცეული ოცნება: ბოლომდე მიეყვანა არაადამიანური შრომით, რუდუნებით შექმნილი შესანიშნავი წიგნი — „ქართული ენის შესავალი“, რომელსაც შესანიშნავი რეცენზიით გამოხემაურა ქართველოლოგი ი. იედლიჩკა (იედლიჩკა, 1958), აღფრთოვანება გამოხატეს სხვა უცხოელებმაც. მიუხედავად ნახევარსაუკუნოვანი ასაკისა, ამ წიგნს დღესაც წარმატებით იყენებენ გერმანულენოვან ქვეყნებში და ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ ქართული ენის შესასწავლად. დიდ საშვილიშვილო და ეროვნულ საქმეში ბატონ კიტას გვერდში უდგნენ შვეიცარიელი ქართველოლოგი ქა-

ლები, მისი მოსწავლეები — იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი და ლეა ფლური (იხ. მეგრელიძე, 1974; თურნავა, 1989; იმნაიშვილი, 1998ა, ბ, გ; ბერიძე, 1998; ფეიქრიშვილი, 2005, 2006).

კიტა ჩხენკელმა იცოდა, უცხოელთათვის მხოლოდ გრამატიკის სახელმძღვანელო, თუნდაც ტექსტების, ქრესტომათიისა და სავარჯიშოების შემცველი, საკმარისი არ იყო. ამიტომ ადრევე შეუდგა მუშაობას ვრცელ ლექსიკონზე. სამწუხაროდ, ავტორი სიცოცხლეში ქართულ-გერმანული ლექსიკონის მხოლოდ 7 ნაკვეთის გამოცემას მოესწრო (1960-1963 წლებში), ბოლომდე კი საქმე მიიყვანა იოლანდა მარშევემ ვიქტორ ნოზაძესთან, რუთ ნოიკომსა და ლეა ფლურისთან თანამშრომლობით (ჩხენკელი, 1960-1965), შემდეგ წლებში ლექსიკონი უკვე 3 ტომად გამოიცა (ჩხენკელი, 1965-1975) და სამართლიანად ითვლება ყველაზე სრულყოფილ ქართულ-გერმანულ ლექსიკონად (იხ. კაიშაური, 1977).

კიტა ჩხენკელი წიგნის წინასიტყვაობაში ვრცლად მიმოიხილავს ქართული ენის ისტორიას, მის უდიდეს მნიშვნელობას ლინგვისტიკისათვის და წერს: „ჩვენ წინაშეა ენა, რომელსაც აქვს არა მარტო მეტად ორიგინალური სტრუქტურა, არამედ 1500 წელზე ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიცია“ (ჩხენკელი, 1958, XXIII). ავტორს მოჰყავს **ადოლფ დირის** საყურადღებო სიტყვები: „უცნაურია და ძალიან დასანანი, რომ სწორედ კავკასიური ენებია ასე ნაკლებად შესწავლილი და ლინგვისტთა უმრავლესობისთვის „terra inkognita“-ს წარმოადგენს. კავკასიურ ენებზე ლაპარაკობენ ხალხები, რომლებიც თეთრი რასის წინაპრებად ითვლებიან. მათი საცხოვრისი კი მდებარეობს სწორედ იმ წრის ცენტრში, რომლის პერიფერიასზეც ვბოლობთ ენათა სამ უდიდეს ოჯახს: ინდოგერმანულს, ურალურ-ალათაურსა და სემიტურს... კავკასიურ ენათა შესწავლა უფრო ენერჯიულად უნდა წარიმართოს, ვიდრე აქამდე და არა მარტო იმიტომ, რომ თეთრი რასის პრეისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი სათქმელი აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ ეს მოგვცემს გასაღებს ბევრი ისტორიული, მაგრამ ნაკლებად ცნობილი ენის წვდომისთვის“ (დირი, 1904, VII).

კიტა ჩხენკელმა თავისი ნაშრომით სცადა გაეფანტა ევროპელებში მოარული აზრი, რომ ქართული ენის გრამატიკის უსისტემობის გამო მისი შესწავლა შეუძლებელია, რომ ქართული ზმნა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და ბევრ საკვანძო საკითხზე ერთმანეთში გრამატიკოსებიც ვერ შეთანხმებულან (მდრ. დირი, 1904, 3). აღნიშნული

წიგნის სათაური მოკრძალებულია — „ქართული ენის შესავალი“, თუმცა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილებს (ტექსტები, სავარჯიშოები და ქრესტომათია გრამატიკულ-ლექსიკური კომენტარებით). ამ ნაშრომის წყობა განაპირობა ავტორის მიზანმა, გასაგებად, დაწვრილებით და დასაბუთებულად აეხსნა უცხოელებისთვის ქართული ენის გრამატიკული სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კიტას ძირითადი პროფესია ლინგვისტიკა არ იყო, მან ღრმად შეძლო ჩასწვდომოდა ქართული გრამატიკის, განსაკუთრებით კი ზმნის, ურთულეს ლაბირინთებს და უცხოელთათვის გასაგებად, მწყობრად ჩამოეყალიბებინა ქართული ზმნური სისტემა, მისი კლასიფიკაციის პრინციპები, ფორმაწარმოების წესები. ზმნებთან დაკავშირებულ საკითხთა თანამიმდევრობაც ამ მიზანს ემსახურება: ჯერ განხილულია გარდამავალი ზმნები, პირველი სერიის მწკრივები, სუბიექტური პირის ნიშნები, უფრო მოგვიანებით — ობიექტური პირისა, ახსნილია ორ- და სამპირიანი ზმნების უღლება, ბოლოს კი — III სერიის მწკრივები და ინვერსია.

ავტორი ფიქრობს, რომ ქართულში უნდა გამოიყოს უღლების (სახეების, კლასების — *Verbarten, Verbklassen*) მხოლოდ ორი ძირითადი ტიპი: **I. გარდამავალი და II. გარდაუვალი** ზმნებისა, თუმცა მეთოდურად მიზანშეწონილად ამ **გარდაუვალი** ზმნების ტიპში განასხვავოს ოთხი ქვეჯგუფი: პასიური (*Passiva*), საშუალო ზმნები (*Mittelverben*), მდგომარეობის პასივები (*Zustandspassiva*) და ინვერსიული ზმნები (*Indirekte Verben*).

საყურადღებოა კ. ჩხენკელის შენიშვნაც: „ქართული ზმნის კლასიფიკაცია მხოლოდ მისი სხვადასხვაგვარი შინაგანი შინაარსის მიხედვით მოუხერხებელია“ (ჩხენკელი, 1960-1965, XXIV). ამიტომ ის უპირატესობას ანიჭებს კლასიფიკაციის ფორმობრივ მხარეს იმ შემთხვევაში, თუკი ზმნა შინაარსით გარდაუვალია, ფორმით კი გარდამავალს ჰგავს (მაგ., ვამთქნარებ, დავამთქნარებ) ანდა შინაარსით გარდამავალი ზმნა — გარდაუვალს (ვყიდულობ — *MV, Fut. ვიყიდი — etw. kaufen*).

ჩამოთვლილ ჯგუფებში, თავის მხრივ, კიდევ გამოყოფილია ქვეტიპები ქცევის, სიტუაციის, ირიბობიექტური პირის ნიშნების არსებობისა და კაუზატივის მარკერების მიხედვით.

ეს კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად ავტორის ქართულ-გერმანულ ლექსიკონსაც, რომელშიც თითოეულ ფუძესთან მითითებულია

სხვადასხვა უღლებისა და ქვეჯგუფის ზმნები სათანადო ინდექსის მი-
თითებით, შესაბამისი გერმანული ეკვივალენტით.

I უღლებაში, როგორც აღვნიშნეთ, კიტა ჩხენკელი აერთიანებს
გარდამავალ ზმნებს.

T₁ — საარვისო ქცევის გარდამავალი ზმნა: წერს, აკეთებს, ას-
ხამს.

T₂ — სათავისო ქცევის გარდამავალი ზმნა: იწერს, იკეთებს, ის-
ხამს.

T₃ — სასხვისო ქცევის გარდამავალი ზმნა: უწერს, უკეთებს, უს-
ხამს.

T₄ — საზედაო (სათანაო) სიტუაციის აღმნიშვნელი ზმნა: დაა-
წერს, მოასხამს.

T₅ — ირიბობიექტური პირის ნიშნის მქონე გარდამავალი ზმნა:
მისწერს.

KV — კაუზატიური გარდამავალი ზმნა: აწერიანებს, აკეთებინებს,
მოასხმევიანებს, აშენებინებს...

II უღლებაში თავმოყრილია ე. წ. დინამიკური **ვნებითი გვარის**
აბსოლუტური (ერთპირიანი) და რელატიური (ორპირიანი) ზმნები:

P₁ — ინიანი აბსოლუტური პასივი: იწერება, იპარება, იბადება.

P₂ — დონიანი აბსოლუტური პასივი: თეთრდება, სახელდება,
ბერდება, შავდება.

P₃ — ებიანი (უნიშნო) აბსოლუტური პასივი: კვდება, შრება,
თბება.

RP₁ — ენიანი რელატიური პასივი: ემალება, ეპარება, ებადება.

RP₂ — ირიბობიექტური პირის ნიშნის მქონე რელატიური პასი-
ვი: სცილდება, სწვდება, სჯერდება, ჰბარდება.

RP₃ — სასხვისო ქცევის ნიშნის მქონე ებიანი (უნიშნო) რელატი-
ური პასივი: უშავდება, უთეთრდება, უშრება.

RP₄ — სიტუაციის ნიშნის მქონე რელატიური პასივი: ამრება,
ახმება.

III უღლების ზმნები მოიცავს **საშუალო** გვარის აქტიურ ზმნებს
(ე. წ. მედიაქტივებს MV- Mittelverben): ცოცხლობს, მეფობს, კამა-
თობს, ჩხუბობს.

ცალკეა გამოყოფილი რელატიური ფორმებიც:

RMV₁ — ორპირიანი საშუალო ზმნა, ირიბობიექტური პირის ნიშ-
ნის მქონე: სდარაჯობს, ჰყარაულობს, დასჭიკჭიკებს.

RMV₂ — ორპირიანი საშუალო ზმნა, ობიექტური ქცევის ნიშნის
მქონე: უგალობს, უჭიკჭიკებს, უღიმის.

RMV₃ — ორპირიანი საშუალო ზმნა, სიტუაციის ნიშნის მქონე:
ადგას.

RM₄ — ორპირიანი საშუალო ზმნა ენიანი პასივის ნიშნით: ეწვის,
ესწრაფვის, ესმის.

IV უღლებაში გაერთიანებულია **სტატიკური ვნებითები** (ე. წ.
მდგომარეობის პასივები):

ZP₁ — საარვისო ვერსიისა: წერია, აგდია, აფენია.

ZP₂ — სასხვისო ვერსიისა: უწერია, უგდია, უფენია.

ZP₃ — სიტუაციის ნიშნის მქონე: აწერია, ახატია.

V უღლებაში ავტორი აერთიანებს ე. წ. **ინვერსიულ ზმნებს**
(ანუ **ირიბ ზმნებს**, როგორც გერმანულად უწოდებს —O Indirekte
Verben-ს):

IV₁ — ირიბობიექტური პირის ნიშნით: სძულს, ჰყავს, ჰქონდა.

IV₂ — ობიექტური ქცევის ნიშნით: უყვარს.

IV₃ — სიტუაციის ნიშნით: ახსენდება, აგვიანდება.

IV₄ — ენიანი პასივის ნიშნით: (რა) ეხუმრება, (რა) ემღერება.

აკაკი შანიძისეული კლასიფიკაციისგან განსხვავებით, როგორც
ვხედავთ, ავტორი ცალკე გამოყოფს ირიბ (ინვერსიულ) ზმნებს, და-
წვრილებით და მართებულად ხსნის ქართული ზმნის ინვერსიულო-
ბის არსს, გრამატიკულისა და სემანტიკური სუბიექტ-ობიექტების მი-
მართებას, იშველიებს სიტყვასიტყვითს თარგმანსაც.

ცხადია, წიგნში განხილულია თავისებურად უღლებადი ანუ ფუ-
ქემონაცვლე ზმნებიც: არის, აქვს, ჰყავს, ზის, მოდის და სხვ.

მწკრივების ჩამონათვალი ტრადიციულისაგან თითქმის არ გან-
სხვავდება, ოღონდ პრეზენსულ ჯგუფში (როგორც ავტორი უწოდებს,
I დროითი ჯგუფი — I Zeitgruppe) აღარაა გამოყოფილი ორი წრე,
არამედ მწკრივები დაწყვილებულია ფორმაწარმოების მიხედვით:

a. Präsens — აწმყო, b. Futurum — მყოფადი

c. Imperfekt — უწყვეტელი, d. Konditionalis — ხოლმეობითი

e. Konjunktiv I: Präsens Konjunktiv I — ა. პრეზენსული კონიუნქტივი;

Futurum Konjunktiv — ბ. ფუტურუმის კონიუნქტივი.

მესამე სერიაში თურმეობითის აღსანიშნავად გამოყენებულია
ტერმინი Perfekt-ი და არა — Resultativ-ი (გერმანულ ზმნურ ფორმას-
თან მსგავსების წარმოსაჩენად).

ნაწარმოში ზმნების ღრმა ანალიზსა და ფორმაწარმოების დაწვრილებითს ახსნას ავსებს პრაქტიკული ნაწილი, რომელშიც ყველა ზმნასთან მითითებულია შესაბამისი ინდექსი თეორიული კურსის კლასიფიკაციის შესაბამისად.

„ქართული ენის შესავლის“ უშუალო და ორგანული გაგრძელებაა ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონი, რომელშიც ყველა ზმნა აღჭურვილია სამეცნიერო აპარატით — მითითებულია შესაბამისი ინდექსი (უღლების ტიპი), ახსნილია ყველა სემანტიკური ნიუანსი და, რაც მთავარია, მოქმენილია ლექსიკონში ქართული ზმნის მითითების ახლებური სისტემა: დაჯგუფება ძირების მიხედვით, რაც იმ დროისათვის სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

პროფ. **იულიუს ასფალგმა** ლექსიკონის შესახებ აღნიშნა: „მარტო ისიც კი, თუ როგორაა ლექსიკონში წარმოდგენილი ზმნები, მას ყველა თავის წინამორბედზე მაღლა აყენებს“ (იხ. იმნაიშვილი, 1998გ, 10).

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „ჩემთვის მთავარი იყო, მეპოვა ახლებური გზა ქართული ზმნის წარმოჩენისა, რომლის მეშვეობითაც ზმნა არა მარტო ყოველსომომცველად უნდა განალიზებულიყო, არამედ ეს გაკეთებულიყო რაციონალურად. რაკი ქართულ ენას სახელი გაუვარდა, როგორც ძნელსა და უაღრესად რთული ზმნური სისტემის მქონეს, საჭირო იყო ამ ფორმათა ლაბირინთში ცოტაოდენი სინათლე მაინც შეგვეტანა“ (ჩხენკელი, 1960-1965, XIX-XX). ლექსიკონში ზმნის ახლებურად წარმოდგენის აუცილებლობა ავტორს დასაბუთებული აქვს „ქართული ენის შესავალში“ (ჩხენკელი, 1958, 623-628):

1. ვერ ახსნილია, რატომ არის მოუხერხებელი ქართული ზმნის მითითება ინფინიტივში გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ზმნების მსგავსად (ეს ხერხი გამოიყენეს ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში, რომლის რამდენიმე ტომი უკვე გამოცემული იყო და კ. ჩხენკელი მათ იცნობდა). ქართული ზმნისთვის ინფინიტივისა და ძირითადი ფორმების მითითება არაა საკმარისი, რადგან ამით ვერ ამოწურება მისი ფორმების მრავალფეროვნება. ავტორი აუცილებლად მიიჩნევს სათავისო, სასხვისო და საზედაო (სათანაო) ვერსიის მითითებას თარგმნის ლექსიკონში, რადგან ეს გრამატიკული კატეგორიები არ ჩანს ინფინიტივში (წერა შდრ. ვწერ, ვიწერ, ვუწერ, ვაწერ; თმენა — ვუთმენ, ვითმენ...).

2. კ. ჩხენკელის აზრით, მარტო იმპერფექტული ფორმის ჩვენებაც არ კმარა, რადგან მას არა აქვს ზმნისწინი, ამიტომ აუცილებელია პერფექტული ფორმის დასახელება. თუკი ლექსიკონში ორივე მოთავსდა ანბანის რიგზე, მაშინ ისინი სხვადასხვა ადგილას მოხვდებიან. ამიტომ მათი დაცალკეება მიზანშეწონილი არაა და აუცილებელია ერთი და იმავე ზმნის ფორმათა ერთად ლოკალიზება.

3. ინფინიტივი ვერ განასხვავებს აქტივ-პასივის ფორმებს და ორივესთვის საერთოა: მალვა — ვიმალევი/ვემალევი, ვმალავ; (მო)პყრობა — ვიპყრობ, ვეპყრობი.

4. ინფინიტივში იჩქმალება ზმნის პირიანობაც (ორპირიანია თუ სამპირიანი გარდამავალი ზმნა, ერთ- თუ ორპირიანია გარდაუვალი): დაპირება — დავპირდები, ვაპირებ. ავტორის მოსაზრებით, ცალკე-ცალკე უნდა გამოიყოს სტატიკური ვნებითები და ინვერსიული ზმნებიც.

5. კიტა ჩხენკელი სამართლიანად შენიშნავს, რომ შეუძლებელია ინფინიტივის გამოყენებით უცხოელმა აწარმოოს ქართული ზმნის ძირითადი დროითი ფორმები, რადგან მასდარი კი არაა ამოსავალი ზმნისთვის, არამედ, პირიქით, უმეტესწილად თვითონაა ნაწარმოები პირიანი ფორმისაგან.

6. ზოგიერთ საშუალო ზმნას, სტატიკურ ვნებითს ან ინვერსიულს საერთოდ არ ეწარმოება ინფინიტივი.

სწორედ ამ მიზეზებით ხსნის კ. ჩხენკელი ლექსიკონში ქართული ზმნის უღლებადი ფორმის მითითების აუცილებლობას და უარს ამბობს მათს დაჯგუფებაზე არაუღლებადი ფორმის (ინფინიტივის) მიხედვით, ამას გარდა ზმნას უმეტესად ასახელებს | პირის ფორმით. ზმნების დაჯგუფება ძირების მიხედვით და ანბანურ რიგზე უარის თქმა განპირობებულია ავტორის მიზნითაც, რომ ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ გაბნეულიყო ერთი და იმავე ზმნის აწმყოსა და მყოფადის ფორმები, სხვადასხვა ზმნისწინის მქონე ერთი ძირისა და უღლების ზმნები. ამიტომ პირიანობის, ქცევის, გვარის, კონტაქტის მიხედვით განსხვავებული ზმნის ყველა ფორმა შესაბამისი პრევერბების მითითებით თავმოყრილია ერთ ძირთან. „ძირია ერთადერთი ცენტრი, რომლის ირგვლივაც ჯგუფდება სრულიად სხვადასხვა წარმოება... ზმნის ლოკალიზების ერთადერთი საშუალება არის ზმნების გაწყობა ძირების მიხედვით, რათა მთელ ლექსიკონში სხვადასხვა ასოზე არ გაიბნეს ერთი ძირის ზმნები, არამედ ბირთვის ირგვლივ

მოხდეს კრისტალიზება“ (ჩხენკელი, 1958, 627). ავტორი ლექსიკონის მომხმარებელს პრაქტიკულ რჩევასაც აძლევს, რომ ამა თუ იმ ზმნაში ჯერ იპოვოს ძირი, შემდეგ კი მასთან ეძებოს სასურველი ფორმა: „ეს ხერხი არსებითად უადვილებს მკითხველს ლექსიკონის გამოყენებას, ასევე ქართული ზმნის სისტემის გაგებასაც, მთლიანად და თვალნათლივ წარმოაჩენს ზმნურ ფორმათა მრავალფეროვნებას“ (ჩხენკელი, 1958, 628).

სანიმუშოდ გერმანული თარგმანის გარეშე დავასახელებთ, თუ როგორაა წარმოდგენილი ლექსიკონში „წერა“, „თბობა“, „დევენა“, „დაგვიანება“, „თამაში, თამაშობა“ ზმნები (ფრჩხილებში ავტორი უთითებს ამ ფუძესთან გამოყენებულ ყველა შესაძლო ზმნისწინს):

I უღლება

T₁ — ვწერ (აღ-||ა-), გადმო-, და-, შემო-, ჩა-, ჩამო-; ვათბობ (გა-, და-, მო-, შე-, ჩამო-); ვდევენ (გამო-); ვაგვიანებ, და-, შე-, -ვაგვიანე, -მიგვიანებია; ვათამაშებ (და-, მი-, მო-, გა-), ვათამაშ-გამო-ვათამაშებ (შე-, შემო-, წა-, ჩამო-).

T₂ — ვიწერ (ამო-, გამო-, გადა-, გადმო-, და-, ჩა-); ვითბობ (მო-, შე-, ჩა-); ვიდევენ (ა-, გა-, და-, მო-); ვიგვიანებ, და-, მო-, შე-, -ვიგვიანე, -მიგვიანებია; ვითამაშებ (გა-)

T₃ — ვუწერ (ა-, აღ-, ამო-, გამო-, გადა-, გადმო-, და-, მი-, ჩა-, ჩამო-), მიწერს (და-, მო-); ვუთბობ (მო-, შე-, ჩა-); ვუდევენი (გან-); ვუგვიანებ, და-, მო-, შე-, -ვუგვიანე, -მიგვიანებია; მითამაშებს.

T₄ — ვაწერ (მი-, მო-, და-, მო-, შე-, შემო-); ვადევენ (ა-, გა-, და-, მო-).

T₅ — ვსწერ (გადა-, და-, მი-, მო-); ვსდევენი; ვსდევე; სდევეს თან
KT — ვაწერინებ (ა-, ამო-, გამო-, გადა-, გადმო-, და-, მო-, ჩა-, წა-).

II უღლება

P₁ — ვიწერები (მო-, ა-, ამო-, გა-, გამო-, გადა-, გადმო-, და-, ჩა-, ჩამო-); ვთბები (მო-, შე-, ჩამო-, და-); ვიდევენები (გა-).

P₂ — თამაშდება (გა-); ავთამაშდები (გა-)

P₃ — გვიანდება, და- მო-, შე-, -გვიანდა, -გვიანებულა

RP₁ — ვეწერები (მი-, ა-, ამო-, გა-, გამო-, გადა-, გადმო-, და-, ჩა-, მო-, ჩამო-); ვედევენები (გა-, და-, გამო-); ვეათამაშები.

RP₃ — ვუთბები; მიგვიანდება, და-, მო-, შე-, -მიგვიანდა, -მიგვიანებია

RP₄ — მაგვიანდება, და-, დამაგვიანდა, დამგვიანებია.

III უღლება

MV — თბილა; გვიანობს; ვათამაშობ (და-, მი-, მო-), ვითამაშე, მითამაშნია.

ითამაშებ (დიდ როლს, ცეცხლთან), უთამაშებს ღიმილი.

RM₁ დასათამაშებს; RM₂ მითამაშებს; RM₄ ამითამაშდა.

IV უღლება

ZP₁ — (ს)წერია; ZP₂ უწერია; ZP₃ აწერია.

V უღლება

IV₁ — მთბილა; დამთბა, დამთბობია

IV₂ — მიგვიანდება, და-, მო-, შე-, -მიგვიანდა, -მიგვიანებია

IV₃ — მაგვიანდება, და- (დამაგვიანდა, დამგვიანებია)

IV₄ (რა) მეთამაშება (განწყობის გადმოცემა)

ავტორის შემოთავაზებული სისტემა საინტერესო მიგნებაა, რაც ლექსიკონისთვის ეკონომიურია და თავიდან აცილებს ავტორს ერთი ფორმაწარმოების გამეორების აუცილებლობას. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ზმნების სირთულეების დასაძლეად მათი სწორი დაჯგუფება, მკაცრად თანამიმდევრული სისტემის ჩამოყალიბება და უპირატესობის მინიჭება ფორმობრივი დახასიათებისთვის.

ბოლოს შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას, რომ კიტა ჩხენკელის აღნიშნული ნაშრომები ეყრდნობა ღრმა თეორიულ საფუძველზე შექმნილ რაციონალურ კლასიფიკაციას. თითოეულ ზმნურ ფორმასთან მითითებული ინდექსაცია უცხოელს აძლევს ვრცელ ინფორმაციას ზმნის გრამატიკულ-სემანტიკურ და დერივაციულ მრავალფეროვნებაზე. ბუდეში თავმოყრილია ერთი ძირის ყველა გავრცელებული ფორმა საწყისისა და მიმღებების ჩათვლით, მითითებულია აწმყოს, მყოფადის, წყვეტილის, I თურმეობითის ფორმები, შესაბამისი კაუზატივები, დინამიკური თუ სტატიკური პასივები, ზმნისწინთა შესაძლო შეხამებანი. ეს შრომატევადი სამუშაო ჩატარდა შვეიცარიაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოში ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მხოლოდ რამდენიმე ტომი იყო გამოქვეყნებული, არ არსებობდა კომპიუტერული საშუალებები, ქართული შრიფტით დაბეჭდვაც კი უდიდეს დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. სხვა ასეთი ვრცელი და მრავლისმომცველი გრამატიკული აპარატით აღჭურვილი ქართულ-გერმანული ლექსიკონი დღემდე არც შექმნილა. მართალია, ზოგი რამ ავტორის თეორიულ მოსაზრებებში ეგებ დღეს საკამათოდ

ან მოძველებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამით ამ ნაშრომების მნიშვნელობა არ კნინდება.

კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავალი“ და ლექსიკონიცი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. დასაფასებელია ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლი, მით უმეტეს, რომ დღესაც საყურადღებოა ზმნების კლასიფიკაციისა და ინდექსაციის ავტორისეული სისტემა, გვაოცებს ქართული ენის სიღრმეებში მისი წვდომის უნარი.

ლიტერატურა

ბერიძე, 1998 — ქ. ბერიძე, რუთ ნოიკომი: ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №2.

დირი, 1904 — A. Dirr, Grammatik der modernen georgischen Sprache, Wien und Leipzig, 1904.

თურნავა, 1989 — ს. თურნავა, XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბილისი, 1989.

იელიჩკა, 1958 — ი. იელიჩკა, კ. ჩხენკელის ქართული ენის გრამატიკა: ჟურნ. „მნათობი“, 1958, №11.

იმნაიშვილი ვ., 1998ა: ვ. იმნაიშვილი, ლეა ფლური: ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №3.

იმნაიშვილი ვ., 1998ბ: ვ. იმნაიშვილი, იოლანდა მარშევი: ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №4.

იმნაიშვილი, 1998გ — ვ. იმნაიშვილი, ქურუმის დედაენის ტაძრისა: ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №6-7.

კაიშაური, 1977 — ლ. კაიშაური, კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული, 1977, №4.

მეგრელიძე, 1974 — ი. მეგრელიძე, ქართული ენის მოამაგე შვეიცარიელი ქალები: გაზ. „სამშობლო“, 1974, დეკემბერი.

ფეიქრიშვილი, 2006 — ჟ. ფეიქრიშვილი, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის საკითხები (ქვეთავი: ემოგრანტი ქართველები), თბილისი, 2006.

ფეიქრიშვილი, 2005 — ჟ. ფეიქრიშვილი, უცხოეთში მოღვაწე ქართველები: ქართული ენის ისტორია (მთ. რედაქტორი ტ. ფუტყა-რაძე), ქუთაისი, 2005.

ჩხენკელი, 1958 — Kita Tschenkéli, Einführung in die georgische

Sprache, Bd. 1: Theoretischer Teil; Bd. 2: Praktischer Teil (Chrestomathie, Texte, Übungen), Zürich, Amirani-Verlag, 1958.

ჩხენკელი, 1960-1965 — Kita Tschenkéli, Georgisch-Deutsches Wörterbuch (Nach dem Tode des Verfassers fortgeführt von Yolanda Marchev, unter Mitwirkung von Lea Flury, Ruth Neukomm und Victor Nosadze), in 26 Lieferungen, Zürich (Switzerland), Amirani-Verlag, 1960-1965.

ჩხენკელი 1965-1974 — Kita Tschenkéli, Wörterbuch der georgischen Sprache, 3 Bd, Zürich, 1965-1974.

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

Verb Classification and Indexation in Kita Chkhenkeli's Works

Summary

Kita Chkhenkeli's 'Georgian-German Dictionary' (1960-1965) and 'An Introduction to the Georgian Language' (1958) contain essential information for foreign learners of the Georgian language and its grammar. The scholar worked out a new principle of verb indication in a dictionary.

The verbs are grouped according to the roots, each having an index, whose aim is to single out the main models of Georgian verb conjugation. The given principle simplifies the comprehension of Georgian verb formation for foreign learners.

The verbs are divided into two main classes (according to transitivity - intransitivity) and five conjugation types:

1. Transitive active verbs (T₁, T₂, T₃, T₄, KV)
2. Absolute (P₁, P₂, P₃) and relative dynamic passives (RP₁, RP₂, RP₃);
3. Absolute (MV) and relative medioactives (RMV₁, RMV₃, RMV₄);
4. Passives of State (ZP₁, ZP₂, ZP₃);
5. Indirect (inversive) verbs (IV₁, IV₂, IV₃, IV₄).

The basis for subclassification is: version, situation, indirect objective person markers, and causation.

In Georgian lexicography, Kita Chkhenkeli was first to have used the principle of indexation. His works are of particular importance for foreign learners.

ენის უარყოფითი

მითოლოგიის უარყოფითი სიტყვაწარმოებაზე

მითები ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა ევროპული კულტურის ფორმირებაში. მითოლოგიის ზეგავლენის კვალს ატარებს არა მარტო არქიტექტურა, ფერწერა თუ მუსიკა, არამედ მრავალი ევროპული ენის სიტყვათა მარაგიც.

ძალზე რომანტიკული წარმოდგენა აქვს ყვავილის სახელწოდებას „ნარცისი“, რომელიც ძველი ბერძნული მითებიდან მომდინარეობს: უმშვენიერესი ყმაწვილი ნარცისი იყო ძალიან ამაყი და ცივი. მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალ ულამაზეს ნიმფას უყვარდა, ნარცისი არავის პასუხობდა სიყვარულით. მაშინ ერთ-ერთმა ნიმფამ დასწყევლა იგი. ოქროსთმიანი ქალღმერთი აფროდიტაც გაუბრაზდა ნარცისს, რომელმაც არ მიიღო მის მიერ ნაბოძი ძღვენი — სიყვარული, და გადაწყვიტა დაესაჯა თავმომწონე ყმაწვილი. ერთ დღეს მოწყურებულმა ნარცისმა წყლის დაღვევა მოისურვა. იგი მივიდა ნაკადულთან, რომელშიც ძალიან ანკარა და გამჭვირვალე წყალი იყო. მასში, როგორც სარკეში, ლაყვარდი ცა და მალაღობი კვიპაროსები აისახებოდა. დაიხარა თუ არა ნარცისი ნაკადულთან, წყალში საოცრად მომხიბლავი ყმაწვილი დაინახა. ცდილობს ნარცისი ამ მშვენიერ არსებას აკოცოს, მაგრამ მისი ბაგეები მხოლოდ წყლის ზედაპირს ეხება. მიხვდა ნარცისი, რომ მას საკუთარი თავი შეუყვარდა. დღეები გადიოდა, ნარცისი კი იჯდა ნაკადულის ნაპირზე და საკუთარ ანარეკლს უყურებდა. უბედური სიყვარულისაგან ყმაწვილი გარდაიცვალა და გადაიქცა მშვენიერ თეთრ ყვავილად, რომელსაც ჩვენ დღეს ნარცისს ვუწოდებთ (ლეგენდები და თქმულებები, 1987, 57-59). ფსიქოლოგიაში არსებობს შესაბამისი ტერმინი — ნარცისიზმი. ამ სენით შეპყრობილი ადამიანი არის ის, ვინც თავის თავზეა შეყვარებული (უახლესი ლექსიკონი, 553).

ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიამ და მითოლოგიამ მო-

ახდინეს დიდი ზეგავლენა თვეების სახელწოდების ეტიმოლოგიაზეც.

სიტყვა *იანვარი* (გერმ. *Januar*, ინგლ. *February*, ფრანგ. *février* და რუს. *январь*) მომდინარეობს რომაული ღმერთის იანუსის სახელიდან. იანუსი იუპიტერზე ადრე ითვლებოდა ცისა და მზის შუქის ღვთაებად. შემდგომ მან დაუთმო თავისი ადგილი იუპიტერს, ხოლო თავად გახდა საქმის დაწყებისა და დროის ათვისის მფარველი. იანუსი იცავდა ყველა კერძო სახლისა თუ ტაძრის კარს, შესასვლელსა და კარიბჭეს. იანუსის სახელის დიდებით იწყებდნენ ქურუმები ყოველ დღეს და წელიწადის პირველ თვეს. წელიწადის პირველი დღე ასევე მის სახელს ატარებდა. იანუსს სწირავდნენ თაფლიან ნამცხვრებს, ღვინოსა და ხილს. ყველა უსურვებდა ერთმანეთს ბედნიერებას და ჩუქნიდა ტკბილეს, რომელიც იღბლიანი და ტკბილი მომავალი წლის სიმბოლო იყო. ჩხუბი, კამათი და ყვირილი ახალი წლის პირველ დღეს მკაცრად იკრძალებოდა, რათა იანუსი არ განრისხებულყო.

იანუსის ტაძარი წარმოადგენდა ორ დიდ თაღს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული კარიბჭით. ტაძარში იღვა იანუსის ქანდაკება. მას ჰქონდა ორი სახე, რომელთა მზერა ორ საპირისპირო მხარეს იყო მიმართული (ერთი უცქერდა წარსულს, მეორე კი მომავალს). ხელში იანუსს ეჭირა გასაღები, რომლითაც იგი აღებდა და კეტავდა ზეციურ კარიბჭეს. გამომდინარე იქიდან, რომ იანუსი დროის ღვთაება იყო, რომელიც ითვლიდა დღეებს, თვეებსა და წლებს, მისი მარჯვენა ხელის თითებზე იყო აღნიშნული რიცხვი სამასი (ლათინურად **CCC**), ხოლო მარცხენა ხელზე — სამოცდახუთი (ლათინურად **LXV**), რაც ერთ წელიწადში დღეების რაოდენობას აღნიშნავდა. განსაკუთრებულ როლს იანუსის ტაძარი თამაშობდა სამხედრო საქმიანობაში. ომის დაწყებისთანავე იმპერატორი ან კონსული აღებდა გასაღებით ტაძრის ორმაგ კარს და თაღებში გადიოდნენ შეიარაღებული მეომრები, რომლებიც პირდაპირ სალაშქროდ მიდიოდნენ. ომის დროს ტაძრის კარიბჭეები ღია იყო, ხოლო საომარი ქმედების დასრულებისთანავე გამარჯვებული მეომრები ისევ თაღებში გადიოდნენ, რის შემდეგაც ტაძრის მძიმე, სპილოს ძვლითა და ოქროთი შემკული მუხის კარი ისევ გასაღებით იკეტებოდა.

იანუსი განაგებდა არა მარტო დროის მსვლელობას, არამედ გზების დამცველიც იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იანუსის მეუღლე ნიმფა იუტურნა ითვლებოდა წყაროების მფარველად, ხოლო მისი და იანუსის შვილი ფონსი იყო შადრევნების ღმერთი, რომლის პატივ-

საცემად ოქტომბერში აწყობდნენ ზეიმს, სახელწოდებით ფონტინა-ლიები (ლევენდები და თქმულებები, 1987, 493-495). ფონსის სახელს უკავშირდება სიტყვები: გერმანული *die Fontäne* (გერმანული ენის უნივერს. ლექსიკონი, 2003, 562), ფრანგული ფონტანე, რუსული *фонтан* (შადრევანი).

სიტყვა *თებერვალი* (გერმ. *Februar*, ინგლ. *February*, ფრანგ. *février*, რუს. *январь*) ასევე რომაული მითოლოგიის ერთ-ერთ გმირს, კერძოდ კი, ფავნს უკავშირდება. ტყეებისა და მინდვრების კეთილი, მხიარული ღმერთი ფავნი, რომელსაც აგრეთვე ლუპერკი ერქვა, იცავდა მტაცებლებისაგან მწყემსებსა და პირუტყვს. ყოველწლიურად თხუთმეტ თებერვალს მთელი რომი ზეიმობდა წმინდა ლუპერკალიებს. ძველი თქმულების თანახმად, ეს დღესასწაული ჯერ კიდევ რომულისა და რემის მიერ იყო დაარსებული. ლუპერკალიები იწყებოდა თხების მსხვერვლად შეწირვით. შემდეგ შეწირული თხების ტყავებისგან კეთდებოდა მათრახები და წინსაფრები, ე. წ. ფებრუა. მათრახებისა და ფებრუას ტარების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ქურუმებს, რომლებიც ყვირილითა და დიდი აურზაურით გარბოდნენ ქუჩაში და ყველა შემხვედრს მათრახით სცემდნენ. რომაელები დიდი სიხარულით ხვდებოდნენ წმინდა მათრახის დარტყმას, ვინაიდან ითვლებოდა, რომ მას მოაქვს ოჯახური ბედნიერება, ბარაქა და რომ იგი აღამიანს ყველა ცოდვისაგან ათავისუფლებს. სწორედ სიტყვისაგან ფებრუა მოდის სავარაუდოდ წელიწადის მეორე თვის სახელწოდება ევროპულ ენებში (ლევენდები და თქმულებები, 1987, 505-506). თუმცა არსებობს ამ სიტყვის წარმოშობის კიდევ ერთი ვერსია: ეტრუსკთა მითოლოგიაში იყო მიწისქვეშა სამეფოს ღმერთი ფებრუუსი, რომელსაც ეძღვნებოდა წელიწადის ბოლო თვე — თებერვალი. საქმე ისაა, რომ ძველ რომში ახალი წელი იწყებოდა მარტში, იანვარი წელიწადის პირველი თვე გახდა მხოლოდ 45 წ. ქრისტეს დაბადებამდე, იულიუს კეისრის მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად (უახლესი ლექსიკონი, 2003, 836).

მარტი (გერმ. *März*, ინგლ. *March*, ფრანგ. *მარს*, რუს. *март*) ატარებს სახელწოდებას ომის ღმერთის მარსის პატივსაცემად (უახლესი ლექსიკონი, 2003, 503).

აპრილი (გერმ. *April*, ინგლ. *April*, ფრანგ. *avril*, რუს. *апрель*) წარმოიშვა ბიზანტიური სიტყვისაგან აპრილის (აყვავება).

მაისი (გერმ. *Mai*, ინგლ. *May*, ფრანგ. *mai*, რუს. *май*) უკავშირ-

დება, ერთი მხრივ, ბერძნულ მითოლოგიაში არსებულ მთების ნიმფის მაიას სახელს (ლევენდები და თქმულებები, 1987, 47), ხოლო, მეორე მხრივ, მაიესტას — ძველ იტალიურ მითოლოგიაში მიწის ქალღმერთს, რომლის პატივსაცემად პირველ მაისს დიდი დღესასწაული იმართებოდა (უახლესი ლექსიკონი, 2003, 492).

ივნისი (გერმ. *Juni*, ინგლ. *June*, ფრანგ. *juin*, რუს. *июнь*) მოდის იუნონას სახელიდან (უახლესი ლექსიკონი, 2003, 360).

ივლისი (გერმ. *Juli*, ინგლ. *July*, ფრანგ. *juillet*, რუს. *июль*) ატარებს იულიუს კეისრის (*Сис*, 360), ხოლო აგვისტო (გერმ. *der August*, ინგლ. *August*, ფრანგ. *août*, რუს. *август*) ოქტავიან ავგუსტის სახელს (ლათ. *Augustus* წმინდათაწმინდა, მაღალი, დიდი) (უახლესი ლექსიკონი, 2003, 11).

სექტემბერი (გერმ. *September*, ინგლ. *September*, ფრანგ. *septembre*, რუს. *сентябрь*) მოდის ლათინური რიცხვიდან *septem* — შვიდი (უახლესი ლექსიკონი, 1987, 726), შესაბამისად, *ოქტომბერი* (გერმ. *Oktober*, ინგლ. *October*, ფრანგ. *octobre*, რუს. *октябрь*) იყო მერვე თვე (ლათ. *octo* — რვა) (უახლესი ლექსიკონი, 1987, 580), *ნოემბერი* (გერმ. *November*, ინგლ. *November*, ფრანგ. *novembre*, რუს. *ноябрь*) — მეცხრე (უახლესი ლექსიკონი, 1987, 573), ხოლო *დეკემბერი* (გერმ. *Dezember*, ინგლ. *December*, ფრანგ. *decembre*, რუს. *декабрь*) — მეათე თვე (უახლესი ლექსიკონი, 1987, 262).

როგორც ვხედავთ, ევროპულ ენებში დამკვიდრებული თვეების სახელწოდების ეტიმოლოგიას უკავშირდება მრავალი საინტერესო მითი და ძველი ბერძნულ-რომაული წეს-ჩვეულება.

ლიტერატურა

გერმანული ენის უნივერსალური ლექსიკონი, 2003 — Deutsches Universalwörterbuch. 5., überarbeitete Auflage. Herg. von der Dudenredaktion. Dudenverlag. Mannheim/Leipzig/Wien Zürich. 2003.

ძველი რომისა და საბერძნეთის ლევენდები და თქმულებები, 1987 — Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима. Сост. А.А. Нейхардт. Москва, „Правда“. 1987.

უცხო სიტყვათა და გამოთქმების უახლესი ლექსიკონი, 2003 — Новейший словарь иностранных слов и выражений. Москва, „Современный литератор“. 2003.

NINO SHARASHENIDZE

The Influence of Mythology on Wordbuilding

Summary

As is known, the history and mythology of ancient Greece and Rome played an important role in the development of European culture.

The traces of Greek-Roman influence can be detected not only in architecture, painting and music, but also in the vocabularies of different European languages. The paper discusses the etymology of some of the words encountered in European languages as well as the ancient Greek and Roman customs reflected in word meanings.

ზუია ცაჩვავაძე

**ბანუსაზღვრელპირიანი წინადადებების
საკითხისადმი რუსულ და ქართულ ენებში**

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად ერთშემადგენლიანია წინადადები, რომელშიც მხოლოდ ერთი მთავარი წევრია. ერთშემადგენლიანი წინადადებები როგორც რუსულში, აგრეთვე ქართულ ენაში იყოფა რამდენიმე ჯგუფად. ესენია: განსაზღვრულპირიანი განუსაზღვრულპირიანი, განზოგადებულპირიანი, უსუბიექტო, სახელდებითი. მოცემულ ნაშრომში ჩვენ შემოვიფარგლებით ერთშემადგენლიანი განუსაზღვრელპირიანი წინადადებების განხილვით და შეპირისპირებით რუსულ და ქართულ ენებში. საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია რუსული და ქართული კლასიკოსების მხატვრული ნაწარმოებები (ძველი და კლასიკური)

იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ მოიპოვება ქვემდებარე და არც შეიძლება მოქმედ პირად ვიგულისხმოთ რომელიმე კონკრეტული საგანი, თუმცა წინადადების მთავარ წევრს — ზმნას არა აქვს დაკარგული სუბიექტური პირის გაგება, ჩვენ გვაქვს განუსაზღვრელი წინადადება. მაგალითად, წინადადებებში — **Там, говорят, страдание спит (Мцыри), ...ამბობენ, ბლოელ აფშინა სცარცავს რჟულიან-ურჯულოს (ვაჟა, გოგოთურ და აფშინა) (говорят, блоец Апшина... грабит христиане нехристей). Вас просят к директору, დირექტორთან გთხოვენ — ქვემდებარე გაუჩინარებულია არა იმიტომ, რომ მოქმედება უსუბიექტოა. როდესაც ვამბობთ: «говорят», «просят» ამბობენ, გთხოვენ, მხედველობაში გვაქვს, რომ ვინმე ამბობს, ვინმე გთხოვს, ასეთი წინადადებების თავისებურება ის არის, რომ მათში მთავარი ყურადღება გადატანილია მოქმედებაზე და არა მოქმედზე, მოუბრისათვის მოქმედის ვინაობა არაა გარკვეული და არცაა ამის საჭიროება.**

განუსაზღვრელ-სუბიექტური წინადადებები გვხვდება ძველ და თანამედროვე ენებში, ფართოდ ცნობილია როგორც ინდოევროპული,

ასევე არამონათესავე ენებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის წინადადებების გამოხატვის ხერხები სხვადასხვა ენაში ერთნაირია. ჩვენთვის ცნობილ როგორც ძველ, ასევე თანამედროვე ენებში წინადადების მთავარი წევრი (შემასმენელი) გამოხატულია მესამე პირის ზმნით მრავლობით რიცხვში.

შემოვიფარგლოთ ძველი რუსული და ძველი ქართული ენების მაგალითებით

ძველი რუსული: *аже кто оубиеть князя моужа в разбои, а головника не ищють («Рус. Правда»)* (Головник, более др. головник-убийца).

...А зовуть я татары (Новг. 1л..) / я-их\;

ძველი ქართული : და ვითარცა შევიდეს ციხეს, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოეთ კერძო მცირეც და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდა იგი („წამ. შუშან“) **и когда вошли в крепость нашли один домишко в северной стороне, маленький и темный, туда поместили свяую ту.**

თანამედროვე რუსული : **В райке нетерпеливо плещут (П. Евг. Он).**

თანამედროვე ქართულში: მანამ სანატრელ ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა (ი.ჭ. „აც.-აღამ.“) **пока бы принесли вожделенный ужин, он нетерпеливо прохаживался взад и вперед в маленькой комнате.**

განუსაზღვრელ წინადადებებში მთავარი წევრი აგრეთვე შეიძლება იყოს გამოხატული ზმნის პირველი პირით მრავლობით და იშვიათად მხოლოდობით რიცხვში, ეს ფორმები ნაკლებად გამოიყენება და ხშირად გვხვდება ხალხურ ანდაზებში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

И поедем, и спляшем, только пашни не напашем (Даль, 4, 156)

С умом- подумаем, а без ума- сделаем (ტ.ჯ.,174)

რა გამოვალთ გაზაფხულსა, ხეს ფოთოლი გამოყვა (избегал я конского щавеля, там он встретился в конце села).

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე (купил я козла, продал я козла, выгоды никакой).

ქართულ ენაში, რუსულიდან განსხვავებით, განუსაზღვრელ სუბიექტიანი წინადადებები შეიძლება იყოს ობიექტიანი და უობიექტი-

ტი. ობიექტიანი და უობიექტიო წინადადების შორის განსხვავება დამოკიდებულია ზმნის პირის ფორმაზე. წინადადებები, რომელშიც მთავარი წევრი გამოხატულია აბსოლუტური წყობის ზმნებით, აწარმოებენ უობიექტიო წინადადებს, მაშასადამე, თუ მთავარი წევრი გამოხატულია ერთპირიანი ზმნით, ჩვენ გვაქვს (აბსოლუტური) უობიექტიო წინადადება: ეზოში ხმაურობენ (во дворе шумят), როგორც მობრძანდები, ისე წაბრძანდები (как изволишь придти, так изволишь уйти); „იმდენი იჩხუბენ, იდავიდარებეს, რომ აგერ ეს მეორე წელიწადია კაცმა ვერ მოარიგათ“ (დ. კლდ. ქამუშ. გაჭირვ.) (столько ссорились, столько спорили, что вот уже второй год никто не может примирить);

„...ჩემი გლახუა, ოტია ნახე და უთხარი, სახლში მიდიან-თქვა“ (იქვე). (Мой Глахуа, найди Отиа и скажи, идут-мол домой). წინადადები, რომელშიც მთავარი წევრი გამოხატულია ზმნის მეორე ან მესამე ობიექტური პირის ფორმით, ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით (ს. ვაჩნაძე), მიეკუთვნებიან პირობით უობიექტიო წინადადებების რიცხვს.

მაგალითი:

„...აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ, მანდ შეგაწუხებენ“ (დ. კლდ. ქამუშ. გაჭირვ.) (сюда пожалуйста, сударыня, сюда, там (вас) будут беспокоить.);

ი ობიექტური პირის ფორმები, უეჭველად, ქმნიან ობიექტურ წინადადებებს: მკითხულობენ (меня спрашивают), გვწერენ (пишут нам), მეძახიან (зовут меня), გვაქებენ (хвалят меня), „...ვერ მიცნობენ კიდევ, რაც ბიჭი ვარ, თვარა იქით რომ მიყურონ იმ სოფლებში, სადაც მე დავდივარ... პატარა ღმერთივით მიყურებენ“ (დ. კლდ. ქამუშ. გაჭირვ.) (здесь еще не знают (меня), что я за парень, а посмотрели бы в деревнях куда я ежжу... на меня смотрят как на божка)

ლიტერატურა

ფეიქრიშვილი, 1996 — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.

მაქსიმოვი, ბაბაიცივა, 2000 — ვ. მაქსიმოვი, ბ. ბაბაიცივა, თანამედროვე რუსული ენა, სინტაქსი. მ., 2000.

კვაჭაძე, 1999 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1999.

MZIA TSERTSVADZE

On the Sentences with Indefinite Persons in Russian and Georgian

Summary

According to the scholarly literature one - member sentences have only one main member. In Russian, as well as, in Georgian one-member sentences are of the following types: 1) with the definite person; 2) with the indefinite person; 3) with the generic person; 4) with no subject; 5) nominational.

The paper explores the second type of one-member sentences. The study has been carried out on the samples of Russian and Georgian literatures. In Russian, as well as, in Georgian the sentences of the given type are expressed by means of the plural form of the third subjective person.

ზენა ცერცვაძე

მოდალური ზმნებისა და პრედიკატივების სემანტიკური ფუნქცია თანამედროვე რუსულ ენაში

მოდალური ზმნები და პრედიკატივები მიეკუთვნებიან რუსულ ენაში სუბიექტური მოდალობის გამოხატვის საშუალებების რიცხვს.

„მოდალურია დამხმარე ზნები, რომლებიც გამოხატავენ მოდალური მნიშვნელობების სხვადასხვა ელფერს“ (კრაშენიკოვი, 1964, 39). მათი ძირითადი თვისებაა გრამატიზაცია, მათ შეუძლიათ შეიცვალონ თავიანთი მთავარი მნიშვნელობა და გამოხატონ კილოს, გვარის, დროის და სხვა გრამატიკული კატეგორიების მსგავსი მნიშვნელობა. აკად. ვ. ვინოგრადოვი წერს „სიტყვის მნიშვნელობის შესუსტება ყოველთვის არ გამოიწვევს ყველა იმ კონტექსტის დაკარგვას, რომელშიც ის გამოიყენება. ამ შემთხვევაში ისინი არიან მნიშვნელოვნად შესუსტებული ლექსიკურად და შეუძლიათ გამოვიდნენ დამხმარე სიტყვების როლში“ (ვინოგრადოვი, 1985, 105). მოდალური ზმნებსა და პრედიკატივებს არ შეუძლიათ გამოხატონ მოდალური მნიშვნელობა თავისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით. მოდალური მნიშვნელობის გადმოსაცემად მათ უნდა დაკარგონ თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობა და განიცადონ ხელახალი გააზრება.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მოდალური ზმნებისა და პრედიკატივების სუბიექტური მოდალობის მნიშვნელობებს.

ლინგვისტურ და მეთოდურ ლიტერატურაში არ არის სათანადო შესწავლილი მოდალურ ზმნების საკითხი, არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, თუ რომელი სიტყვები უნდა შედიოდეს მოდალური ზმნების ჯგუფში. მოდალობის მქონე სიტყვები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ზმნები, რომლებიც ყოველთვის გამოხატავენ მოდალობას, ესენია: **мочь** (შეიძლება), **уметь** (ცოდნა), **нельзя** (არ შეიძლება), **надо** (უნდა), **должен** (უნდა) და სხვა. ამ ზმნებიდან სუბიექტურ მოდალობას გამოხატავს მხოლოდ ზმნა **мочь** და პრედიკატივები **можно**, **должно**. ისინი, ერთი მხრივ, გამოხატავენ

ობიექტური შესაძლებლობის, აუცილებლობის, ნება-სურვილის მნიშვნელობას: «Кто по-звериному кричать может? –Я умею,-отвечала Гурвич» (Б. Васильев. А зори здесь тихие), მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ გამოხატონ ვარაუდის სუბიექტური მოდალური მნიშვნელობა: «Присутствующие при этом Виктор Лешинский высказал предположение, что револьвер могли украсть соседи» (Н. Остр. Как зак. сталь). აღნიშნული მნიშვნელობის მაჩვენებელია **мочь, можно, должно-**სიტყვების შეკავშირება პასიურ ინფინიტივთან და უსულლო არსებით სახელებთან ქვემდებარის როლში: :«Кажется, на него можно положиться» (С. Ожегов). ვარაუდის მნიშვნელობის გამოხატვისას ზმნის **мочь** და პრედიკატივის **можно-**ს დამახასიათებელი თავისებურებანია უარყოფითი ინფინიტივის პოსტპოზიციობა: «Теперь мы можем не успеть» (разг. речь).

გამონათქვამის ჰემმარტი მოდალური ხასიათი ვლინდება სემანტიკური და სინტაქსური კონტექსტის ფონზე და აგრეთვე ტრანსფორმაციული ანალიზის მეშვეობით, მაგალითად, გამონათქვამს სხვადასხვა კონტექსტში აქვს განსხვავებული მნიშვნელობა: ა) =Он имеет возможность приехать გამოხატავს შესაძლებლობის მნიშვნელობას; გ) =Он, вероятно, придет — ვარაუდის მოდალურ მნიშვნელობას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება გონებრივი მოღვაწეობის აღმნიშვნელი და აფექტის ზმნები: **думать** (ფიქრი), **опасаться** (შიში, ფრთხილობა), **бояться** (შიში), **считать** (ჩათვლა), **надеяться** (იმედოვნება), **сомневаться** (დაეჭვება) და სხვა. აღნიშნული ზმნები ერთ-ერთი მნიშვნელობით აღნიშნავენ კონკრეტულ მოქმედებას: «Думаю над задачей» (С. Ожегов); « Надеюсь на помощь» (там же) , მეორე მნიშვნელობით კი გამოხატავენ მოდალურ მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობით ზმნები: **думать, полагать, бояться, опасаться, считать, сомневаться, надеяться** არ უკავშირდებიან ინფინიტივს, მაგრამ ყველანი უკავშირდებიან დამოკიდებულ განმარტებით წინადადებას **что** (რა) კავშირის მეშვეობით ან მის გარეშე. დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული ზმნები ასრულებენ მთავარი წევრის როლს, ხშირად განიცდიან დესემანტიზაციას და გამოხატავენ ვარაუდის მნიშვნელობას: «Считаю, что ты неправ»(разг. речь).

გონებრივი მოღვაწეობის ზმნებს შეუძლიათ აგრეთვე გამოვიდნენ ჩართული წევრის სინტაქსიკურ პოზიციამი და თან შეინარჩუნონ თავისი სემანტიკური ფუნქცია: «Я полагаю, все-таки дома вам было

лучше»(А.Остр. Беспр.); « Все-таки дома, я полагаю, вам было лучше» (там же).

მოდალური ზმნები და პრედიკატივები დამახასიათებელია ზეპირი სასაუბრო მეტყველებისათვის, ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში

ლიტერატურა

ბელიავა, 1985 — ე. ბელიავა. მოდალობის ფუნქციონალურ-სემანტიკური ველები ინგლისურ და რუსულ ენებში. მონოგრაფია. ვორონეჟი. 1985.

ვინოგრადოვი, 1985 — ვ. ვინოგრადოვი. მოდალური კატეგორიისა და მოდალური სიტყვების შესახებ რუსულ ენაში. რუსული ენის ინსტიტუტის შრომები. ტომი 2. მოსკოვი. 1985. გვ. 105

კრაშენიკოვი, 1964 — ე. კრაშენიკოვი. მოდალური ზმნები გერმანულ ენაში. მოსკოვი. 1964. გვ.39

ცერცვაძე, 2005 — მ. ცერცვაძე. მოდალური მნიშვნელობების სახესხვაობა და მათი გამოხატვის საშუალებები რუსულ ენაში. მონოგრაფია, 2005.

MZIA TSERTSVADZE

The Semantic Function of Modal Verbs and Predicatives in Modern Russian

Summary

The study has been carried out on the samples of spoken discourse genres as well as the 20 th century Russian literary works. The analysis has proved that the modal verbs and predicatives typical of spoken discourse are widely used in Russian literature. Russian modal verbs are means for expressing subjective modality. When conveying modal meanings the verbs in question are devoid of their lexical meanings and have quite a different semantic loading. In the paper the modal verbs are divided into two classes: a. those permanently expressing modality; b. and those capable of expressing concrete action as well as modal meanings.

ენის ციხიზვილი

II კავშირებითის -ენ/-ენ დაბოლოებისთვის
საშუალო ქართულში

ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებს II კავშირებითში **-ენ** ბოლოსართი მოუღიოდა. აღნიშნულ სუფიქსში შემავალი **ნ** პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდა, **ე** მწკრივის მაწარმოებელი ელემენტი, ხოლო ბოლოკიდური **ნ** მესამე სუბიექტურ პირს აღნიშნავდა მრავლობით რიცხვში. ამავე მწკრივში აღნიშნული ბოლოსართი დაერთვოდა პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს მაშინ, როცა მესამე სუბიექტური პირი მრ. რიცხვში იდგა:

და-წერ-ნ-ე-ნ მან იგინი

და-ი-წერ-ნ-ე-ნ იგინი

ხსენებულ ფორმათა გავლენით მოგვიანებით **-ენ** სუფიქსი გავრცელდა სხვა მწკრივებსა და სხვა ტიპის ზმნებშიც:

ა) სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითის II კავშირებითში:

რომ ისინი დაბერდნენ, გათბნენ

ბ) ყოველგვარი ვნებითის წყვეტილში:

დაიტანჯნენ, დაბერდნენ, გათბნენ

გ) „ვიდა“ ზმნის წყვეტილსა და II კავშირებითში:

მოვიდნენ, წავიდნენ და სხვ.

დ) ყოველგვარი ზმნის სავრცობიან მწკრივებში:

წერდნენ, იტანჯებოდნენ, თბებოდნენ და სხვ.

-ენ დაბოლოების გავრცელებამ მოშალა განსხვავება მე-3 პირის მრ. რიცხვის ფორმებში, ერთი მხრით, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითის შორის (resp. I ხოლმეობითსა და II კავშირებითს შორის) ყოველგვარ ზმნაში და, მეორე მხრით, წყვეტილსა და II კავშირებითს შორის ვნებითი გვარის ზმნებსა და „ვიდა“-ში (აქ განსხვავება დარჩა მოქმ. გვარის ზმნებში და მედიოაქტივებში)“ (შანიძე, 1980, 452-453).

ახალ სალიტერატურო ქართულში **-ენ** სუფიქსი II კავშირებითში აღნიშნავს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობას პრეფიქსიანი (და-ი-მალ-ენ), სუფიქსიანი (და-ბერ-დ-ენ) და უნიშნო (გა-ხმ-ენ) ვნებითი გვარის ზმნებთან, სათანადო პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა კვალობაზე წარმოებულ სტატიკურ ვნებითებთან (ე-კიდ-ენ) და საშუალო-ვნებითთა ნაწილთან (ი-დგ-ენ). ე. ი. II კავშირებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმათაგან აღნიშნული ცვლილება შეეხო ძირითადად უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებსა და „ვიდა“ ზმნას:

რომ $\left\{ \begin{array}{l} \text{გათბ-ე-ნ} \rightarrow \text{გათბ-ენ} \\ \text{დაბერდ-ე-ნ} \rightarrow \text{დაბერდ-ენ} \\ \text{მოვიდ-ე-ნ} \rightarrow \text{მოვიდ-ენ} \end{array} \right.$

ეს განსხვავება გარკვეულწილად აისახა საშუალო ქართულშიც. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილულ ძეგლებში **ენ** ბოლოსართი არც თუ ისე ხშირად ჩნდება და პოზიციას ისევე ძველი წარმოება ინარჩუნებს. კვლავაც **-ენ** სუფიქსიანი წარმოება აღნიშნულ ზმნებთან როგორც ადრეული პერიოდის, ისე მოგვიანო ხანის ტექსტებში. **-ენ** სუფიქსია ყველგან მხატვრულსა თუ ისტორიულსა და სამართლებრივ ძეგლებში:

— არ **დაგმორჩილდენ**, შერისხდი რისხვითა კვლა და კვლაცითა (ვეფხ., 418, 4).

— რა **შემოვიდნენ** ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა (ვეფხ., 534, 2).

— ჩემის ტანისაგან შენი სიყუარული და ჩემი სული სწორად **გამოვიდენ** (ვისრ., 87, 3).

— თუ მიჯნურობისაგან ეგზომნი ჰირნი **მომხუდენ** (ვისრ., 180, 20).

— ბრძანა: „**მოვიდენ** მტარვალნი, მათაც ჰყონ ერთი პირია (თეიმ., I, 132. 48, 3).

— შორს მყოფნი ამაღ ნატრობენ, **მოგახლდენ**-იყვნეთ ენასმით (თეიმ., I, 143. 8, 3).

— **დასხდენ** ქალების პირისპირ, არვინ დაიშლის ამასო (თეიმ., II, 72. 579, 2).

— რომე ჩემს უკან ისეთის ზალუმის ხელმწიფის ხელში არ **ჩა-ცვიდენ** ჩემნი დაზრდილნი ყმანი და ჩემგან შენახულნი ქვეყანანი (თეიმ., II, 142, 4).

— თუ არ **აღსრულდენ**, კიდევ ათ-ათი მაზე სართიო, მიეცით თანასწორადა, არა იყოს რა ხლათიო (დავითიანი, 107. 576, 3).

— ვამე, თუ შორს გზას წავიდე, საგძლად ვერა-რა წავილო, წინ მებაჟენი **ღამიხვდენ**, რაც მთხოონ, ის ვერ გავილო (დავითიანი, 123. 6, 2).

— თუ ესე **ასტყდენ**, ვერ ვგონებ, გარდავლონ ჩიმი-დიდგორი (ბეს., 80).

— ყოველი კაცი ხარბია, უკანის არამც **გამიმტერდენ** და მიხრიკონ რამე (საბა, ს.ს., 19).

— რათა ეტლთა ღმრთისათა **აღმვედრდენ** და **შევიდენ** მარიამ მშობელისა ჩემისა თანა (საბა, სწავლ., 161, 493).

— თუ **დასხდენ** ბრძენნი, სიბრძნეთა მნენი

შესხმად ამისდა ერთად კრებულად (არჩ., I, 239. 71, 3).

— **წარვიდენ** და ინადირონ ქოჩობას და მყვირალობას (არჩ., I, 38. 160, 2).

— მაშინაც **ღაშორდენ** ერთმანერთს, ხუნდიც ვინ შეუყაროსა (არჩ., I, 210. 633, 4).

— რომ არ **გათათრდენ**, ხომ ცხოვრდებიან (ი. ბატონიშ., I, 12).

— და პირველად აიძულებდა მათ, რათა დაუტეონ ქრისტე და **შეუდგენ** მახმედსა (ი. ბატონიშ., III, 137).

— რომელსა არა დარჩეს ვაჟი, ბრძანებითა ღმრთისათა ქალნი **და-პატრონდენ** (ქსდ., I, 316).

— თუ ვინმე იპყრას მამაკაცი ქმრის ცოლისა თანა სიძვასა, **მოსწყდენ** ორნივე იგი ერთად (ქსდ., I, 118).

— ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოდელუარნი **შემოკრბენ** მცხეთას (ქსდ., II, 47).

— და ვითარ განთენდეს და ლოცვა აღასრულონ, **წარვიდენ** ყოველნი სახიდ თჳსად და განისუენონ (ქსდ., II, 50).

— ამაზე დიდად **გაფრთხილდენ**, რომ ამ განწყების წინააღმდეგი არ შეიქნენ (ქსდ., II, 527).

— რათა ყოველნი ძღუნითა **შემოკრბენ** და დიდითა სიხარულითა **მოვიდენ** ბრძანებასა მეფისასა და ქორწილსა სამეუფოსა (ქ. ცხ., I, 81, 11).

— მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და

რქუეს, რათა **შეკრბენ** და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანენ ოგსნი და ლეკნი, და **წინააღმდეგენ** სპარსთა (ქ. ცხ., I, 136, 6).

— უკეთუ **განძლიერდენ** სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს (ქ. ცხ., I, 178, 2).

— და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიასა **შევიდენ** (ქ. ცხ., I, 375, 18).

— და ეზრახა, რათა **განუდგენ** ყაენს (ქ. ცხ., II, 239, 14).

— და უკეთუ იგინი **გაერთდენ**, მრავალი ბოროტი გუეწიოს ჩუენ მათ მიერ (ქ. ცხ., II, 502, 9).

-ნენ ბოლოსართი II კავშირებითი ხსენებული ფორმებიდან უმეტესწილად უნიშნო ვნებითებსა და „ვიდა“ ზმნასთან გვხვდება. თუმცა, აქაც ასეთი წარმოება მაინც საკმაოდ იშვითია.

XII-XIII საუკუნეთა ძეგლებიდან **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები მხოლოდ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ შეგვხვდა. უნიშნო ვნებითთა II კავშირებითი **-ნენ** სუფიქსიანი ზმნები აქა-იქ მაინც გამოვრია, შესაბამისი სუფიქსიანი ვნებითები კი ვერ ვნახეთ:

— შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, **მოგყვენ** ცოტანი ყმანია (ვეფხ., 416, 4).

— მაგრა შევიწიო ღმერთი და არა **შეკრბენ** სისხლნი პატრონისა ჩემისანი (ამირ., 175, 9).

XVII-XVIII საუკუნეების მხატვრულ ნაწარმოებთაგან რამდენიმე ასეთი ფორმა მოვიძიეთ თეიმურაზ II-თან, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“ და არჩილის პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. დავით გურამიშვილთან მხოლოდ „ვიდა“ ზმნის II კავშირებითი ვნახეთ **-ნენ** ბოლოსართით:

— რა **მივიდნენ**, ალყაფის კარს დაუჭერს ყაფიჩები (თეიმ., II, 60. 480, 1).

— ქალნი **შეჭყვენ** თამაშისთვის, ერთმანერთზედ შენაჯარი (თეიმ., II, 65. 523, 3).

— რა ქალნი **ადგენ**, საწოლით გამვლენ, იქნას ჯრანი-და (თეიმ., II, 66. 527, 1).

შევნიშნავთ, რომ „სწავლანში“ ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან ყველა უნიშნო ვნებითთა და ყველა მათგანი A ვარიანტშია:

— რომელთა ესე თავს იდგან შეკრძლვად, იგინი **განძლენ**

ღმრთისა მიერ (საბა, სწავლ., 314, 186).

— რათა ყოველნი მკვდარნი **აღდგნენ** და ჯორცნი შეიმოსნენ და ყოველნი მის წინაშე გაისარჯნენ (საბა, სწავლ., 331, 222).

ეს უკანასკნელი ზმნა ამ ტექსტში სხვაგან რამდენჯერმე შეგვხვდა **-ენ** სუფიქსით:

— რათა განიღვიძონ ძილისაგან და **აღდგენ** ლოცვად და ვედრებად უფლისა (საბა, სწავლ., 212, 658).

ხსენებული თხზულების A ვარიანტში გვერდი-გვერდ ვნახეთ **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმები:

— და ოდეს მიიწვიან აღსასრულნი, მაშინდა **მოკვდნენ** და ვერ განერნენ (საბა, სწავლ., 322, 205).

— არიან წყრომითა და ომთა შინა **მოკვდენ**, ანუ წყალთა, თოვლთა შინა მოითოშონ (საბა, სწავლ., 323, 207).

არჩილთანაც უნიშნო ვნებითები გამოვლინდა ახალი მაწარმოებლობით:

— მეკობრეს რა კარს **მიადგნენ** მძებელნი შესაცნეველად, თუცა დაინანს, სად წავა, მე ვპყევარ მისასეველად (არჩ., I, 42, 186, 3).

— პირს **წარმოვიდგნენ** თამამად მოცილევ და მოდავები (არჩ., I, 44, 204, 2).

არჩილისავე პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ იგივე ზმნა **-ენ** ბოლოსართითაა:

— თუ ვინმე ცხენით ან ქვეით თავისთვინ ლაპარაკობდენ, გნახონ და შენკენ **წარმოდგენ**, შენც მიდი თუ კამათობდენ (არჩ., I, 9, 55, 2).

ძნელი მოსაძებნია ასეთი ფორმები იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, რომელიც 1828 წელს დაუსრულებია ავტორს. აქაც მხოლოდ უნიშნო ვნებითის დამოწმება შევძელით:

— რათა არა **შესტონენ** სხვათაგან კითხულთა ზედა (ი. ბატონიშ., III, 234).

რაც შეეხება ისტორიულ თხზულებათა კრებულს, „ქართლის ცხოვრებას“ და სამართლის ძეგლებს, საძიებელი ფორმები შედარებით უფრო ხშირად ამ უკანასკნელში გამოვლინდა. საერთოდ, ლოგიკურია II კავშირებითის ფორმათა სიმრავლე იურიდიული ხასიათის ტექსტებში. აღნიშნულ ძეგლებს, როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენობრივი პოზიციის მდივან-მწიგნობარნი ქმნიდნენ.

ცალკეულ სიგელ-გუჯრებსა და განწესებებში, ბუნებრივია, თუ ერთი და იმავე ტიპის ზმნასთან ძველი წარმოების უამრავ ფორმას შორის ზოგჯერ ახალი წარმოების კვალიც გაჩნდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ იურიდიულ ძეგლთა ენა ყველაზე ახლოს დგას მათი ავტორ-შემოქმედთა თანამედროვე საზოგადოების ცოცხალ სასაუბრო ენასთან, რომელთანაც სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად ყოველთვის დამორებულია. იმ დროისათვის ცოცხალ მეტყველებაში უკვე კარგად დამკვიდრებულმა გრამატიკულმა ფორმებმა სწორედ ამ ძეგლთა ენაში იჩინა თავი.

სამართლის ძეგლებში უნიშნო ვნებითის **-ნენ** ბოლოსართიანი ზმნები თითზე ჩამოსათვლელია. ადრეული პერიოდის ძეგლთაგან **-ნენ** ვნახეთ XIII საუკუნის ძეგლში „კურთხევა მირონისა“:

— **მოდგნენ** ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამო სხდენ ეფისკოპოსთა (ქსდ., II, 49).

უნიშნო ვნებითის ახალი ფორმები გვიანდელი ხანის ძეგლებიდან ერეკლე II-ის პერიოდის სიგელ-გუჯრებსა და განწესებებში გვხვდება. 1749 წლის ერეკლე II-ის გუჯარში პატივისა და ადგილის შესახებ კითხულობთ:

— რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეპისკოპოზნი ამა წესითა **დაჰსხდნენ** (ქსდ., II, 399).

ანალოგიური ფორმაა 1722 წლის ძეგლში „მდეგრობის განწესება ერეკლე II-ისა“:

— თუ წინ დახვედრა ამჯობინონ, წინ **დაუხვდნენ** (ქსდ., II, 426). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში **-ნენ** სუფიქსი შეგვხვდა უნიშნო ვნებითებთან, სუფიქსიანი ვნებითებთან და „ვიდა“ ზმნასთან:

— უკეთუ მოდავესთან საჩივარში **დადგნენ** და პასუხი მისცენ, კარგია, თუ არადა **წავიდნენ** და **მივიდნენ** სასამართლოშია (ქსდ., I, 176-177).

— რომელმანცა კაცმა კაცსა აგინოს, და ჩუმად ქრთამი გაილოს, და **შერიგდნენ** და მოსამართლესთან აღარ იჩივლონ, ...ამისათვის განიპატიუოს (ქსდ., I, 156).

— რა რომ **დაპირდაპირდნენ**, გაუშვან და შეუტონ (ქსდ., I, 482).

„ქართლის ცხოვრებას“ რაც შეეხება, II კავშირებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები აქა-იქ მხოლოდ ცალკეულ ნუსხაში აღმოვაჩინ-

ნეთ. უნიშნო ვნებითისა და „ვიდა“ ზმნის **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმები XVIII-XIX საუკუნეთა ხელნაწერებში გამოვლინდა. აღნიშნულ ზმნათა პარალელური წარმოების რამდენიმე შემთხვევა ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითის-ძის თხზულებებში დავებნეთ.

მაგალითად, ლეონტი მროველის თხზულების მარიამისეულ ნუსხაში თუ „დადგენ“ ზმნა გვხვდება, 1748 წლის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერში მას **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმა ენაცვლება:

— და ოდეს გამობრწყინდენ მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა **დადგენ**, და მუნცა აღემართნენ ჟუარნი ესე ქრისტესნი (ქ. ცხ., I, 121, 2).

ჯუანშერის ისტორიაშიც ასევე „დადგენ“ ზმნაა მარიამისეულ ნუსხაში, ხოლო 1839 წლის ბროსესეულ და XVIII საუკუნის შუა წლების დადიანისეულ ხელნაწერებში „დადგენ“ ზმნა იკითხება:

— და უბრძანა, რათა მიეახლნენ ვახტანგს და **დადგენ** თვნიერ ბრძოლისა (ქ. ცხ., I, 171, 3).

ჯუანშერისავე ისტორიის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „ვიდა“ ზმნის II კავშირებითი ძველი ფორმით გვხვდება. აქვე ამავე ზმნას სხვა ხელნაწერი **-ნენ** ბოლოსართს აჩენს:

— ნუ უკუე **შევიდენ** საბერძნეთად სპარსნი და მოაოჯრონ იგი (ქ. ცხ., I, 182, 8).

სუმბატ დავითის-ძის თხზულებაში მარიამისეულ ხელნაწერში „ვიდა“ ზმნის **-ენ** სუფიქსიან ფორმას 1736 წლის მაჩაბლისეულ ხელნაწერში ახალი „შევიდნენ“ ზმნა ცვლის:

— და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინა, რათა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიასა **შევიდენ**, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისმსახურნი, რომელნიცადა არა მოინათლნენ, მოისრნენ (ქ. ცხ., I, 375, 18).

ამგვარად, საშუალო ქართულის ძველთა ენობრივი მასალის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული კატეგორიის ზმნათა II კავშირებითში კვლავაც ძველი (**-ენ** დაბოლოებიანი) წარმოება რჩება, ახალი წარმოება იშვიათია. **-ნენ** ბოლოსართი უმეტესწილად უნიშნო ვნებითებთან და „ვიდა“ ზმნასთან ჩნდება. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო იშვიათია სუფიქსიან ვნებითებთან.

ლიტერატურა

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

შემოკლებათა განმარტებანი

ამირ. — „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ., 1967.

არჩ. — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936, ტ. II, ტფ., 1937.

ი. ბატონიშ. — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936, ტ. II, ტფ., 1948.

ბეს. — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. ბარამიძემ და ვ. თოფურამ, ტფ., 1932.

დავითიანი — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ი. აბაშიძის, აღ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1955.

ვეფხ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბაშიძის, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, თბ., 1966.

ვისრ. — „ვისრამიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

თეიმ. I. — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. ბარამიძემ და გ. ჯაკობიამ, ტფ., 1934.

თეიმ. II. — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო გ. ჯაკობიამ, თბ., 1939.

საბა, ს.ს., მოგზ. — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

საბა, სწავლ. — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, სწავლანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექ-

სიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

ქსდ. I — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.

ქსდ. II — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

ქ. ცხ., I — „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, ტ. I, თბ., 1955.

ქ. ცხ., II — „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, ტ. II, თბ., 1959.

NINO TSIKHISHVILI

On the Endings en/nen of the Second Subjunctive in Medieval Georgian

Summary

In Old Georgian the plural of the third person subjunctive in the second subjunctive was expressed by the suffix n which was added to the Mtskrivi marker. In Modern Georgian the ending e-n was substituted by the suffix nen. The analysis of Medieval Georgian records has shown that the above-mentioned substitution was rare in Medieval Georgian. The suffix nen appears only with the unmarked passive forms and the verb 'vida'. Its usage with the suffixed passive forms is quite rare.

ანა ჯაროძე

პროექტით მუშაობა – როგორც მისი ინტეგრაციული ინარული სწავლების საშუალება

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ფორმა — პროექტით მუშაობა საქართველოში ახალია, ევროპასა და ამერიკაში კი მას გარკვეული ტრადიცია აქვს.

ამერიკულ პედაგოგიაში ცნება პროექტი მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დამაარსებელმა უილიამ როჯერსმა XIX საუკუნის სამოციან წლებში შეიტანა. შემდგომში პროექტის გაგების ორი ვარიანტი ჩამოყალიბდა: სოციალურ-კონსერვატიულ-ტექნოლოგიური (sozialkonservativ-technologisch) და სოციალურ-რეფორმირებულ-პოლიტიკური (sozialreformerisch-politisch). ეს უკანასკნელი ხაზს უსვამდა „სწავლას ქმედებით (Lernen durch Tun. H. Gudjons, 73) ანუ პროექტისადმი ხელოსნურ (handwerklich) მიდგომას და გზას უხსნიდა პრაქტიკული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას სოციალური და ეკონომიკური წინსვლისკენ. სოციალურ-რეფორმირებული ვარიანტი გულისხმობდა დამოუკიდებელ აზროვნებას და ერთობლივ (კოოპერაციულ) მოქმედებას. „ახალგაზრდას...რომელმაც იცის, როგორ დაგეგმოს და განახორციელოს პროექტი... ვერც ხრიკებით მოატყუებ და ვერც მაღალი ავტორიტეტით დაჩაგრავ“ (ფრანსისი, ვოლკერი, კნოლი, 1991, 53). პროექტით მუშაობა ავითარებს დამოუკიდებლად აზროვნებისა და ქმედების უნარს, ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და ამდენად იგი დემოკრატიული საზოგადოების აღზრდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. „დემოკრატია და პროექტი ერთმანეთისაგან განუყოფელია“ ასკენის კნოლი (კნოლი, 1991, 53). ამავე თვალსაზრისს ავითარებს ამერიკელი ფილოსოფოსი და პედაგოგი, პროექტით მუშაობის კონცეფციის ავტორი, ჯონ დუი, თავის ძირითად ნაშრომში *დემოკრატია და აღზრდა (Demokratie und Erziehung, 1916. Braunschweig 1949, 2. Auflage).*

პიროვნების საზოგადოების წევრად ჩამოყალიბების პროცესი გუ-

ლისხმობს ინდივიდის მიერ მის გარშემო მოცემული რეალობის შემეცნებას. ამ პროცესის ფარგლებში დღი სხვადასხვა ასპექტს გამოყოფს: პირადული ასპექტი — „აღზრდა“ ინდივიდის შემდგომი განვითარების აუცილებელი ფაქტორია, „დემოკრატია“ კი — პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პოლიტიკური მხარე, წარმოადგენს პიროვნების თანამედროვე საზოგადოებაში სოციალიზაციის წინაპირობას (დღი, 1916, 120).

„გამოცდილება“ („Erfahrung“), როგორც შემეცნების საფუძველი, ადამიანის განვითარებისკენ სავალი გზაცაა და მიზანიც. ამ მიზნის მისაღწევად „ზემოდან თაოსნობა“ („Anordnung von oben“) არ არის საჭირო, არამედ ინდივიდმა დამოუკიდებლად უნდა წარმართოს და მოაწესრიგოს საკუთარი პრობლემები.

„არაიერარქიულობა“, „ქვეშევრდომობისა“ და „მეთრევობისაგან“ თავის დაღწევა — არის დღის აღზრდის ფილოსოფიის საფუძველი, ხოლო ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა პროექტით მუშაობა.

პროექტით მუშაობის პრინციპით აღზრდა ინდივიდს აქცევს საზოგადოების ისეთ წევრად, რომელსაც უნარი შესწევს კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემები დამოუკიდებლად მოაგვაროს, რაც დღევანდელი მოთხოვნებისა და სულისკვეთების შესაბამისია.

პროექტით მუშაობა პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული სწავლებისაგან. პროექტით მუშაობის დროს შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი: დამოუკიდებელი მუშაობა, მუშაობა ჯგუფში, დაგეგმვა, ამორჩევა, გადაწყვეტილების მიღება, არგუმენტირება, დისკუსია, კვლევა, აღმოჩენა, შეფასება, კრიტიკა.

პროექტის განხორციელებისას მონაწილეები იჩენენ ინიციატივას მათვის საინტერესო პრობლემებისადმი. ისინი ერთმანეთში ინაწილებენ შესასრულებელ ამოცანებს, რომლებსაც გარკვეულ დროში ახორციელებენ და შემდეგ მოწვეულ საზოგადოებას წარუდგენენ, თუ რა ჰქონდათ მიზნად დასახული და რა შედეგს მიაღწიეს.

პროექტით მუშაობის მეთოდის გამოყენება ძალიან ნაყოფიერი ჩანს უცხოური ენის შესწავლისას. ის მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობას აჩვენებს, ეხმარება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის ათვისებაში, ხელს უწყობს უცხოურ ენაზე თავისუფალი მეტყველების უნარის ფორმირებაში.

ნიმუშად მომყავს პროექტი, რომელიც გერმანელმა და ქართველმა კოლეგებმა მერვე კლასის მოსწავლეებთან ერთად (თბილისისა და ბათუმის გერმანული სკოლები) 2005 წელს ბათუმში განვახორციელეთ. პროექტის თემა იყო: „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“.

პროექტის სასწავლო მიზნები იყო:

- ენობრივი — დარგობრივი ლექსიკის სემანტიზირება და გამოყენება;
- მეთოდოლოგიური — პროექტით მუშაობის ტექნიკის ათვისება;
- შინაარსობრივი — მოსწავლეების მიერ ეკოლოგიური პრობლემების სწორი გააზრება, როგორცაა ადამიანის ზეგავლენა ეკოლოგიურ სისტემაზე;
- სოციალური — მოსწავლეებში გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავება, ტოლერანტობა და სხვისი მიღწევებისადმი ინტერესის გამოჩენა.

მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ერთობლივად დასახეს პროექტის თემა. მოსწავლეები წინასწარ გაეცნენ შერჩეულ პრობლემასთან დაკავშირებულ მასალას და აირჩიეს კვლევის ორი ობიექტი: ზღვის სანაპირო და ტყე. პროექტის მონაწილეები შესაბამისად ორ ჯგუფად დაიყვნენ („ზღვის ჯგუფი“ და „ტყის ჯგუფი“).

„ზღვის ჯგუფის“ პროგრამაში შედიოდა ბათუმის აკვარიუმისა და ბათუმისა და გონიოს სანაპიროს შესწავლა. მონაწილეებმა შეადგინეს კითხვები ინტერვიუსათვის. მათ ასევე აიღეს წყლის სინჯები და გაეცნენ წყლის შემოწმების ცდის ძველ და ახალ მეთოდებს. მიღებული ინფორმაცია შეაჯამეს და მეორე ჯგუფის წევრებს წარუდგინეს. პრეზენტაციის შემდეგ იმსჯელეს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს არსებული ეკოლოგიური სიტუაცია.

ბათუმისა და გონიოს დათვალიერების მიზანს წარმოადგენდა ორივე სანაპიროს ერთმანეთთან შედარება სისუფთავის თავალსაზრისით. სანაპიროს ფოტოგრაფირებისა და მოსახლეობისგან ინტერვიუს აღების შემდეგ მონაწილეებმა წარადგინეს თავიანთი შედეგები. გაიმართა დისკუსია, თუ როგორ უნდა მოეგლოს გარემოს დაბინძურებას. მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება.

„ტყის ჯგუფის“ პროგრამაში შედიოდა ბოტანიკური ბაღისა და თურქეთის საზღვართან მდებარე უღრანი ტყის მონახულება. მონაწილეებმა ინტერვიუ აიღეს ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებისგან და შეაგროვეს ინფორმაცია. უღრანი ტყის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ტყე ბარბაროსულად ნადგურდება. პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა იმსჯელეს ტყეების განადგურებისა და ბუნების დაბინძურების საკითხებზე.

ჩატარებული პროექტის ბოლოს ორივე ჯგუფის წევრებმა მოწვეულ საზოგადოებას წარუდგინეს დასახული მიზნის განხორციელებული შედეგები და პასუხი გასცეს დამსწრეთა შეკითხვებს. დისკუსიები და პრეზენტაციები, ცხადია, გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა.

პროექტის მონაწილეების მიერ შევსებული კითხვარებისა და ხელმძღვანელების დაკვირვების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა უნარი განავითარეს მოსწავლეებმა პროექტის განხორციელებისას, რა სასწავლო მიზნებს მიაღწიეს და ქმედების რომელ ტიპებს მიენიჭა უპირატესობა:

გამოცდილება:

- პროექტის მონაწილეებმა ისწავლეს პრობლემაზე **დამოუკიდებლად** მუშაობა;
- **მეთოდური** თვალსაზრისით მოსწავლეებმა აითვისეს პროექტით მუშაობის სხვადასხვა ტექნიკა;
- **ინტერდისციპლინარული სწავლა:** მონაწილეებმა შეიძინეს და შესატყვისი სიტუაციაში გამოიყენეს სხვადასხვა სფეროდან მიღებული ცოდნა. მათ მიერ არჩეული თემა არა მარტო ერთ საგანს მოიცავდა, არამედ სხვა საგნებსაც (გარემოს დაცვა, გარემოს დაცვის პოლიტიკა, ქიმიკა, ბოტანიკა).
- **პრაქტიკული** და **შედეგზე ორიენტირებული** მუშაობა პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ტექნიკური და არატექნიკური საშუალებების დახმარებით მოსწავლეები შემოქმედებითად მუშაობდნენ (მაგ: სხვადასხვა ინფორმაციისა და თვალსაზრისებისათვის საგნების შეგროვება, პლანეტების დამზადება, ფოტოგრაფირება, ძერწვა, ხატვა, საინ-

ფორმაციო ტექსტების შემუშავება და პრეზენტირება, ლაბორატორიული მუშაობა);

- **სოციალური სწავლება** პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოსწავლეებმა გამოიჩინეს ჯგუფში მუშაობის უნარი და ტოლერანტობა სხვა სკოლების მოსწავლეების მიმართ.
- **საკუთარი თვალთ ნანახი და განცდილი.** პროექტის მონაწილეებმა პრობლემასთან დაკავშირებული ადგილები — ბათუმი და მისი შემოგარენი — მოინახულეს და შეისწავლეს.

ენობრივი მიზნები:

- **ენობრივი უნარების აქტივირება:** პროექტის ცალკეული ამოცანის შესაბამისად გააქტიურდა შემდეგი კომუნიკაციური უნარები:
 - ლაპარაკი** — მაგ. ინტერვიუს აღება, გამოკითხვა, დისკუსია, დოკუმენტირება პრეზენტაცია, როლური თამაშები;
 - წერა** — ინტერვიუს წერილობითი ფორმით წარდგენა, საინფორმაციო ტექსტების წერილობით მომზადება
 - მოსმენა** — გერმანული კოლეგებისა და ერთმანეთის მოსმენა, ინტერვიუების გაშიფვრა
 - კითხვა** — პრობლემასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება
- **დარგობრივი ლექსიკის სემანტიზირება და გამოყენება** — მოსწავლეებმა პრობლემაზე მუშაობისას შეიძინეს და გააქტიურეს ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ლექსიკა.
- **მოტივაცია** — აღსანიშნავია, რომ გერმანული ენის შედარებით სუსტი მცოდნეები პროექტის მსვლელობისას ენობრივად გააქტიურდნენ.

შემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტმა წარმატებით ჩაიარა. პრაქტიკული მუშაობით მოსწავლეები მათთვის საინტერესო აქტუალურ პრობლემას შეეხნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროექტით მუშაობა ინტერდისციპლინარული პროექტის სახით შეიძლება დაიგეგმოს. ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე სასწავლო გეგმებში პოსტულირებულ ინტეგრაციულ სწავლებას. პროექტით მუშაობის დროს მოსწავლეებს მიეცათ, ერთი მხრივ, გარკვეულ, პირველ რიგში, საბუნებისმეტყველო სფეროებში ცოდნის გაღრმავების, ხოლო, მეორე მხრივ კი, უცხოურ ენაში ლექსიკისა და სხვა ენობრივი უნარების დახვეწისა და გამოყენების საშუალება.

ჩემი აზრით, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში პროექტით მუშაობის შეტანა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს არა მხოლოდ უცხოური ენის უკეთ შესწავლაში, არამედ დაეხმარება სკოლებში ინტეგრირებული სწავლების შემოტანას. დაბოლოს, იმედი მაქვს, რომ სწავლების ეს მეთოდი ფეხს მოიკიდებს ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში და ხელს შეუწყობს თანამედროვეობისათვის ესოდენ საჭირო „ცხოვრების პრაგმატულობის დამკვიდრებას“.

ლიტერატურა

კნოლი, 1991 — Apel, H.J./Knoll, M.: *Aus Projekten lernen*. Oldenburg GmbH. München 2001.

ფრენი, 1998 — Frey, K.: *Die Projektmethode*. 8. Auflage Belz Verlag. Weinheim und Basel 1998.

Gudjons, H.: *Handlungsorientiert lehren und lernen*. 7. Auflage. Verlag Julius Klinkhardt, Bad Heilbrunn/OB2001.

ჰენზელი, 1997 — Hänsel, D.: *Projektmethode und Projektunterricht*. In: Dies. (Hrsg.): *Projektunterricht*. Weinheim 1997.

კრუმი, 1991 — Krumm, H.J.: *Unterrichtsprjekte*. In: *Fremdsprache Deutsch*. Stuttgart 1991.

ვაიქი, 1997 — Wicke, R.E.: *Vom Text zum Projekt*. Cornelsen, Berlin 1997.

დუი, 1916 — Dewey J.: *Demokratie und Erziehung* (1916). Dt. Braunschweig 1949 (2. Aufl.).

The Project Method as an Interdisciplinary Means for Language Teaching

Summary

The project method differs theoretically as well as practically from the traditional methods of language teaching. With the help of the project method students get used to independent, creative, practical work. They share the tasks and within a particular period of time present the results in the form of a presentation.

The given method is democratic: the teacher does not monitor the whole process; s/he advises the students how to plan and carry out their work.

The synthesis of theoretical and practical knowledge is an essential feature of the project, method. The project method is interdisciplinary: on the one hand, it enriches the students theoretical knowledge in one of the fields, and on the other hand, it helps them improve their language skills and master the target language.

როინ ზიკაძე

დავით გურამიშვილის „ბაძით ნდომანი“ რუსთაველისადმი

დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება სარკეა მე-თვრამეტე საუკუნის საქართველოს უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა, როცა „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლად“, 83, 321, 2. ამ პერიოდში „მით იკლო სწავლამა; ჩვენში ლეკთ დავლამა წიგნი წარსტყვევნა. დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები... ყრმანი უწვრთნელ-უცები,“ 272, 475-476.

გურამიშვილი ხშირად უჩივის უსწავლელობას: „უცოდინრობა ავია, მაქვს მისი გამოცდილობაო,“ 21, 57, 5; თუმცა რა „უცოდინრობის გამოცდილებაზე“ საუბარი, როცა „მას კარგად შეუსწავლია საღმრთო წერილი, ქართული ლიტერატურა და ზოგი სხვა რამ სამეცნიერო დარგიდან“ /კეკელიძე, 1981, 638/. მის განსწავლელობას დიდად შეუწყობ ხელი ბედის უკუღმართობისაგან რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის კარზე ყოფნამ, სადაც მეფე-პოეტის მდიდარი ბიბლიოთეკის მეშვეობით გურამიშვილი ხარბად დაეწავა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. მშობლიურ კერას მოწყვეტილი პოეტის ღრმად ეროვნულობასა და ქართული ენის საგანძურის ბრწყინვალედ ფლობას სწორედ ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა განაპირობებდა. დ. გურამიშვილის შემოქმედებას ასაზრდოებდა ქართული ლიტერატურის ტრადიციები, სასულიერო პოეზია და ფოლკლორი, უმთავრესად კი „ვეფხისტყაოსანი“ და ბიბლია (ნატროშვილი, 1980, 127). „დავითს როგორც პოეტს უფრო ვეფხისტყაოსანი ასაზრდოებს, ხოლო როგორც მორწმუნეს — ბიბლია“ (მადრაძე, 1974, 302).

გასაოცარია გურამიშვილის ლექსიკის სიმდიდრე, რაზედაც სასიკეთო ზეგავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს (ლეონიძე, 1966, 584). იმასაც მიუთითებენ, რომ დავით გურამიშვილი დგას ქართული ენის ისეთი რეფორმატორების გვერდით, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი (ძიძიგური, 1971, 51; ძოწენიძე, 1970, 87).

ამრიგად, „ვახტანგ მეექვსის უნივერსიტეტში“ (გ. ლეონიძის გამოთქმა) ყოფნას გურამიშვილისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია.

დავით გურამიშვილის ლიტერატურულ მასწავლებელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უთუოდ შ. რუსთაველს უკავია. „დავითიანის“ ავტორი ხომ დიდი მცოდნე იყო „ვეფხისტყაოსნისა“, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა (მოსია, 2005, 144). იგი იცავდა ვეფხისტყაოსნის ალევორიულობის იდეას (გამსახურდია, 1992, 7). როდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო **იგავთ ხე** და, ფესვ ღრმა—ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა, 4,4.

გურამიშვილის მხატვრული სამყაროს თავისებურება განპირობებულია სიმბოლურ-ალევორიულ ფორმათა მთელი სისტემით (ამირხანაშვილი, 2005, 162). რუსთაველის მიზაძვით დავით გურამიშვილიც მიმართავს „იგავურ“ ხერხს:

ამისათვის მე არ შევსძებვე, რაც დავრგე **იგავთ ხე** ველად, 3,3,2. აქ „დავითიანი“ ცხადდება **იგავთ ხედ** [12,54]; „მისი იდეალი პოეზიისა განხორციელებულია რუსთაველში“ [5,658]; მსგავსი პოეტი სხვა არავინ ეგულება: „ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“, 4,4.

დ. გურამიშვილი რუსთველისადმი მიზაძვასაც კი კადნიერებად მიიჩნევს:

„ვით მხედარს — ყრმისა მცირისა წკებლასა ზედან ჯდომანი

მიემსგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ზღდომანი,

ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი

ცუდად მომიხდა გვაჯითა **ბაძით** უმსგავსო **ნდომანი**, 4,5.

იგი ქედს იხრის „ბრძენი რიტორის“ პოეტური გენიის წინაშე:

მე რუსთველსა ლექსს არ უღრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა, 4, 7.

გურამიშვილი „ამას ღონობს“, რომ „ბაძით უმსგავსო ნდომანი“ გამოუვიდა, როცა ვერ შეძლო რუსთველურად „გრძლად თქმა“:

რაც დამრჩა, ვერ ვთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,

ვერა ვსთქვი, მოცდას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა, 6, 14.

შდრ. რუსთაველი: მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად, 17, 4.

რუსთაველისადმი გურამიშვილისმიერი „ბაძით ნდომანი“ ლექსთ-წყობაშია მყლავნდება, როცა ის რუსთველურ 16-მარცვლიან ლექსს იყენებს (კეკელიძე, 1981, 658).

„ვეფხისტყაოსნის სული დაჰქრის „დავითიანის“ სტრიქონებში, რაც ხან იოლად, შესამჩნევია, ხანაც ძნელად მისაკვლეველი“ [8, გვ.301].

ე. მაღრაძე იმოწმებს „დავითიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შემხვედრ სტრიქონებს (მაღრაძე, 1974, 275-276):

„მოთა რუსთაველის:

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

და:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.

რემინისცენციებს იწვევს დავით გურამიშვილის „მიხარული ზაფხულის“ შემდეგი სტრიქონები:

სხვანი ფრინველნი ამბობენ ბანსა,

ქვემძრომთ ხმა ესმით, სახლს ხდიან ბანსა.

ჩაყრილნი ხაროდა

ზე გასახაროდა

ამოძვრენ ველად.

რუსთაველის 653-ე სტროფს ეხმიანება დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მესამოცე სტროფი.

რუსთაველი:

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,

მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი.

მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი:

სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

გურამიშვილი:

რა გინდ ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა,

სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს სხვანჯასა:

თვით სხვას უწამლებს, თავისთვის სხვაზე მიჰყუდებს ბარჯასა,

მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე, ამაღ რად მიზამთ ჯაჯასა.

რუსთაველი:

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:

ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა,

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა,

თავისასა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

გურამიშვილი:

კაცი თავს ვერას გაუვა ცრუის საწუთროს მღურვასა,

უნდა, რომ კაცმა გაუძლოს, ჭირს შეყრის ცხრასა თუ რვასა!

სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა,

გირჩევ დაეხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

რუსთაველი:

ვერ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.

გურამიშვილი:

კაცი ხომ ვერსად წაუვა სიკვდილსა, ხეთის ბრძანებასა.

რუსთაველი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

გურამიშვილი:

ამად ვემღერი საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?

სად მომიყვანა სა მყოფი, კიდევ მიგყევარ სადაო!..

ან: ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,

სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია...

ან კიდევ: ვინც მოგენდობის, არ ინდობ, არა გაქვს ერთი პირია,

ასეთის საქმის მქნელი ხარ, ხან ვიმღერ, ხან კი ვსტირია.

რუსთაველი:

არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

გურამიშვილი:

შენი ვარდისა კონები გულზედ მჭვლად დანაჭირია.

საერთოდაც, მოულოდნელი არ უნდა იყოს დ. გურამიშვილის „პოეტური მასწავლებლის“ მოთა რუსთაველის გავლენა „დავითიან-ზე“. რუსთველური სახისმეტყველების ანარეკლზე ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა პოეტმა-მკვლევარმა გ. ლეონიძემ: „მიუხედავად დიდი მოკრძალებისა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის წინაშე, **გურამიშვილს მხოლოდ ერთგან შეგნიშნეთ პირდაპირი რუსთველური სახე** (ხაზი ჩვენია, რ.ჭ.): „თვალნი საწვიმრად მას აუქუხდა (ლეონიძე, 1966, 584). როგორც ჩანს მკვლევარს მხედველობაში აქვს რუსთველური: ნარგისნი ქუხან, ცრემლსა სწვიმს [975,4].

მკვლევრებს /მაღრაძე, 1974, 272-274; მოსია, 2005, 454-455/. შეგნიშნული აქვთ გურამიშვილისეული და რუსთველური სტროფების იდენტურობა:

გურამიშვილი: ყოველი წელი მშობელთა, მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან.

რუსთაველი: მსგავსი ყველა მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია.

ტ. მოსია კიდევ უფრო აზუსტებს ამ მოსაზრებას: „უფრო სამართლიანი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ რუსთაველი და გურამიშვილი ქართულ სინამდვილეს ემყარებიან. პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ იოანე პეტრიწისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „რამეთუ მსგავსნი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს და არა უმსგავსობისა მიერ. ვინა გზავნა არსებითი შორის უდარესობითსა შთამოობასა დაიცავს მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ“.

ფეიქრობთ, დავით გურამიშვილის წყარო „კავშირნი“ ქართული თარგმანია. ვლინდება, რომ იგი უშუალოდ იცნობდა პეტრიწის შრომებს, რაზეც მიგვანიშნებს საანალიზო საილუსტრაციო ნიმუშების აზრობრივ-შინაარსობრივთან ერთად ტექსტობრივი სიახლოვეც.

დ. გურამიშვილი:

„ყოველი წელი მშობელთა მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან“.

„კავშირნი“:

„მსგავსი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს... მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ“ (მოსია, 2005, 455).

„იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ ურთიერთშესადარია ორი გენიალური პოეტის — რუსთაველისა და გურამიშვილის — სტრიქონთა საკვირველი ნაჭედობა, შემოქმედებითი სითამამე, ლექსის შეუბოროკავი, თავაწყვეტილი მდინარება, „ვეფხისტყაოსნიდან“ და „დავითიანიდან“ დაბალი შაირით განწყობილი თითო სტროფის მოტანაც იკმარებს.

ნესტანი არიგებს ტარიელს, თუ ხვარაზმმას შვილის მოკვლის შემდეგ რა უთხრას მამას, ინდოეთის მპყრობელს, ფარსადან მეფეს:

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,

ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,

არ დამახსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა **ტრამასა**.

მოხმობილ სტროფს გვინდა დავუწყვილოთ ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ადგილი თავისა — „დავით გურამიშვილის ლექთაგან

დატყოება“, სადაც სამშობლოდან გადაკარგული პოეტი საქართველოს გაპარტახების შემადრწუნებელ სურათს ხატავს, მაგრამ, ამასთანავე, ეს არის უმაღლეს, რუსთაველის ბადალ პოეზიასთან ზიარება:

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, **ტრამლადა!**

სულ წარიტაცეს თუ ვინმე შამბში მიუტრია წამლადა;

დადედლებულნი შიშთაგან, აღარ ვარგოდენ მამლადა,

აღარვინ დარჩა ფარსავი, პატრონად, ქვეყნის მამლადა.

ორივეგან საგრძნობია ბგერათა ჰარმონიული შერწყმით მიღებული უმაღლესი რიტმი, გართმვაც თითქმის ერთნაირია, ხოლო ერთი სარიტმო ერთეული („ტრამალი“) — იდენტური. ცხადია, გარეგნულ, შესაძლოა შემთხვევით დამთხვევებზე მატად ორი ღვთაებრივი პოეტის შინაგანი ძალმოსილებათა მთავარი და საგულისხმო. ასეთი პარალელები მრავლად შეიძლება დაიძებნოს“ (კვიტიანიშვილი, 2006, №22).

დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროსა და მის მსოფლმხედველობაზე დაკვირვებისას აშკარად იკვეთება რუსთაველური სანისმეტყველების კვალი „დავითიანიში“, რაც ხელშესახები ხდება საზიარო ლექსიკა-ფრაზეოლოგიითა თუ სახე-სიმბოლოებით:

გურამიშვილი: ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექმნან **დასახეველად**, 3,3,8.

რუსთაველი: უსტარი შესანახავი, არ ცუდად **დასახეველი**, 1084,4.

გურამიშვილი: ამ **ლექსთ თავი მოუყარე**, 5,9,5.

რუსთაველი: ვპოვე და **ლექსად გარდავთქვი**, 9,3.

გურამიშვილი: ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეთქვა თითო **ობლად**, 5,9,5-6.

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს **ობოლი** მამინათლოს, 5,11,1-2.

რუსთაველი: ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი **ობოლი**, ხელიხელ საგომანები, 9,1-2.

ცრუ სოფელი:

გურამიშვილი: მოკლე არის ეს **ცრუ სოფელი**, 175,4,1.

რუსთაველი: **ცრუ** და მუხთალი **სოფელი**, 339,3.

სამეცნიერო ლიტერატურაში (სპარსიაშვილი, 1985, 17-19) მი-
თითებულია **ცილი**, **ცილობა** ცნების იდენტურ გამოყენებაზე რო-
გორც რუსთაველთან, ისე გურამიშვილთან:

გურამიშვილი: რა მწამე შენ **ცილი**, 236,215,3.

მაგრამ ერთ ღმერთად იქმნიან, ამას **არ უნდა**
ცილება, 40,135,4.

ამ სიტყვაზედა გადაწყდა მათი ბჭობა და **ცილობა**, 192,23,2.

რუსთაველი: არად უნდა ამას **ცილი**, 759,2.

შექმნეს ამისი **ცილობა**, 56,4.

რაცა გვაქვს, იგი შენია, **ამას არ უნდა ცილობა**,
1054,3.

ეს „ცილობა“ ანათესავებს სიკვდილის გურამიშვილისეულ და
რუსთველურ გააზრებას, სადაც „რუსთველური ხმებიც ისმის, ზოგად-
ქრისტიანული მოტივებიც და ხალხურ პოეზიასთან მსგავსებაც ჩანს...
მაგრამ ძირითადად რუსთველურ გზას მიჰყვება/ურჯუმელაძე, 2005,
95/; მაგალითად, გოდება სიკვდილზე:

გურამიშვილი: ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუხ-
ვდეთ მზათაო,
ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ
გზათაო, 186,1.

.....
მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავე-
მალები.

გავექცე, ვერცად წაუვალ, ცხენებიც მყვანდეს
მალეები, 187, 2.

რუსთაველი: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა
კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგუ-
ლოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და
მსცოვანი.

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახე-
ლოვანი, 800.

ასევეა „სოფლის თმობა“:

გურამიშვილი: **სთმობ** ამ **სოფლის ცხოვრებასა**, 68,256,6.

რუსთაველი: ვინ იქმს **სოფლისა თმობასა**, 26,4.

დავჭხსენ **სოფლისა თმობასა**, 910,4.

ორივე მგონისათვის **საწუთროს** ეპითეტია **ცრუ**:

გურამიშვილი: მად **ცრუ საწუთრო** ყოფილა ცუდი, 308,32,3.

თქვა თუ: ეს **ცრუვი საწუთრო** ნეტა რას გა-
რდმეკიდაო, 200,55,5.

ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი, 301,1,3.

ამად ვიხობებ, შეგვკრიბე **ცრუის საწუთროს**
ყბედობა, 6,12,2.

რად **ცრუდ საწუთროდ** მახსენებ, 193,29,3.

ფუ, შენ **ცრუო საწუთროო**, 180,12,1.

რუსთაველი: უხანობა და **სიცრუე** ვა **საწუთროსა** ფლიდი-
სა, 1006,4.

იტყვის: „მოგშორდი, **სიცრუე** ვა **საწუთროსა**
კრულისა, 1025,3.

ვა, **საწუთროო**, **სიცრუე**ით თავი სატანას ადა-
რე, 1213,1.

გასაოცარია ბრწყინვალე ქრისტიანული ცნებების „**უჟამო ჟამი-
სა**“, „**მზიანი ღამისა**“ და „**მზიანი დღის**“ თანხვედრა ორივე პოეტის
ნააზრევში:

გურამიშვილი: **ჟამი** შეხვდათ **უჟამური** სადამო და ბინდებუ-
ლი, 70,265,8.

რუსთაველი: მის **უჟამოსა ჟამისად**, 836,2.

გურამიშვილი: ვიდრემდის განახლდებოდა ძველი დღე, **ღამე**
მზიანი, 182,1,1-2.

რუსთაველი: იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს **მზიანისა**
ღამისად, 836,1.

გურამიშვილი: წამერთოს **დღენი მზიანი**, 157,4,3.
რუსთაველი: ანათებს **დღესა მზიანსა**, 291,2.

გურამიშვილი: **დღე** დამიღამდი **მზიანი**, 168,11,3.
რუსთაველი: **დღე** ველარ ნახოს **მზიანი**, 1118,2.

გურამიშვილი: **ღამე დღედ** განაბრწყინაო, 176,1,4.
რუსთაველი: **ღამე მზებრ** განანათლის, 1659,4.

გურამიშვილი: განვაგდე მე ძნელი აწ **ღამე ბნელი**, დღე გამი-
თენდა!, 265,424,3.
რუსთაველი: **ღამე ბნელი** გაგვითენდა, 1048,4.

გურამიშვილი: **დღენი მჩანს** მე **ღამეზადა**, 136,554,8.
რუსთაველი: ნუ **შემიცვლი ღამედ დღესა**, 957,4.
ღამე და დღეცა მესაღამოების, 643,3.

მკვლევართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მზის სიმბოლიკამ „ვეფხისტყაოსანსა“ და „დავითიანში“.

როგორც რუსთაველის, ისე გურამიშვილის პოეტურ სამყაროში „**მზიანი ღამე**“, „**მზიანი დღე**“ და „**უუჟამო უამი**“ სასულიერო მწერლობიდანაა ნასესხები (მოსია, 2005, 153). მზის არსის გასაცნობიერებლად დავით გურამიშვილს ასაზრდოებდა ბიბლია, სასულიერო პოეზია, ფილოსოფიური მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა (მოსია, 2005, 18).

„შემორჩენილია „ნინოს ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერები, რომლებიც მაღალმხატვრული ენით აღწერენ ჩვენი დიდი წმინდანის ცხოვრებას დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ამ ნაწარმოებში არის ერთი ასეთი ადგილი: როცა ავადმყოფობისაგან დაუძლურებული წმინდა ნინო იგრძნობს აღსასრულის მოახლოებას, იგი თავის მოწაფეებს ეტყვის: „მე მზესა დავუღამდები“; ესე იგი მე ახლა ვკვდებიო.“

„მე მზესა დავუღამდები!“ ასეთი ბრწყინვალე ფრაზა მსოფლიო ლიტერატურაშიც კი იშვიათია“ (ამირხანაშვილი, 2006, №15). სწორედ ამ საოცარი სახის გავლენით დაიბადა დავით გურამიშვილის უმაღლესი მხატვრული ოსტატობის ნიმუში: „ვითა დავღამდი, ისევ გაესთენდი,“ 146,6,3. მსგავსი ფრაზაა ლექსში „არია“: დღე დამიღამდი მზიანი“ (სირაძე, 2005, 51), რომელიც „წინასაფხურია „მზიანი

ღამის“ საღვთისმეტყველო საზრისისა და მეტაფორისა“ (სულავა, 2005, 13).

ვეფხისტყაოსნისეული და დავითიანისეული მცნება „ნათლის სვეტი“ მომდინარეობს საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან.

გურამიშვილი: ვგრეცა **ნათლის სვეტი**თა ღამე ავლინეო,
96,379,2.

რუსთაველი: მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰვარვენ **ნათლისა სვეტი**თა, 1409,2.

გულსა ბნელი გამინათლდა, ზედა ლხინი ადგა **სვეტად**, 409,2.

სად წაჰხე და სად დაჰკარგენ **სინათლისა ეგე სვეტნი**, 821,4.

რუსთაველიცა და გურამიშვილიც დიდად აფასებენ სიბრძნეს, ჰკუასა და ცოდნას. „სწავლის მძებნელი“ გურამიშვილი ამ დარგშიც „ვეფხისტყაოსნისგანა“ დავალებული:

გურამიშვილი: **ბრძენსა კაცსა** ვეხვეწები, 5,11,1.

რუსთაველი: **კაცი ბრძენი** ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა, 798,2

უსამ იყო ქარაგნისა უხუცესი **კაცი ბრძენი**, 1030,1.

გურამიშვილი: **ჰკუვა** უხმარ არს ბრყვთათვის, **ჰკვა** ცოდნით მოიხმარების, 15,33,7-8.

ჰკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია, 23,66,1.

რუსთაველი: ვაქებ **ჰკუასა** ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან, 347,3.

გურამიშვილი: თუ კაცსა **ცოდნა** არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი, 15,32,7.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, 15,33,1.

რუსთაველი: **ცოდნა** ხამს მართ უიცისა, 706,3.

არა ვიქმ, **ცოდნა** რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, 790,3.

როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ისე „დავითიანში“ ამქვეყნიურ საქმიანობას უპირისპირდება საღვთო (ბეზარაშვილი, 2005, 26):

გურამიშვილი:

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა, ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა, მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა, გლახა კარისკარ თხოვნითა, — შენ გწადს აწ რომელითა?

რუსთაველი:

რაცა ბედმან ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყვიტ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს. აზრის მკვეთრად წარმოსაჩენად ორივე პოეტი მიმართავს ცნებათა შეპირისპირების ხერხს; „ვეფხისტყაოსანიცა“ და „დავითიანიც“ სავესეა ანტონიმური წყვილებით.

სიცოცხლე და სიკვდილი

გურამიშვილი:

თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?! 185,18,2.

რუსთაველი:

სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩნს, 1453,3.
სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლე, 426,3.
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი-მცა მქონდა ტკბილი!, 305,4.

ჭირი და ღზინი

გურამიშვილი:

ამად: არც ჭირსა, არც ღზინსა გრძლად ბოლო არა ჰქონდაო, 23,65,5.

ჭირში ვარ ღზინსა არ მაძლევს გული, 239,235,2.

რუსთაველი:

მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, 28,4.
ჭირი ღზინსა შევაწონე, 1296,4.
ჭირსა ღზინად შეგიცვალებს, 633,4.

მწარე და ტკბილი

გურამიშვილი: ჯერ მწარე ჰამე, კვლავ ტკბილი, 15,30,3.

რუსთაველი: მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, 878,3.

ავი და კარგი

გურამიშვილი: მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა, 49,174,7-8.

ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელი რა დავარქო? 48,168,3-4.

ვაი რა კარგი საჩინო რა ავად მივიჩინესო, 35,116,1-2.

რუსთაველი: თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია, 38,2.

ბოროტი და კეთილი

გურამიშვილი: ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო, 30,96,3.

რუსთაველი: ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა, 113,4.

ბოროტსა სძლია კეთილმან, 1361,4.

ამჯერად დაგვამყოფილდეთ მოხმობილი ნიმუშებით, ვინაიდან რუსთაველისა და გურამიშვილის პოეტური ენა ზღვა მასალას იძლევა ანტონიმების შესასწავლად.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ რუსთაველიცა და გურამიშვილიც უხვად იყენებენ ხალხური მეტყველების საგანძურს „ქართლურ-კახური მეტყველების წიაღში აღზრდილმა პოეტმა ხალხური სასაუბრო ენა დაამკვიდრა პოეზიაში“ (ძოწენიძე, 1970, 87). „გურამიშვილის ენა ნამდვილი ხალხური ენაა. ხალხურია მისი ლექსიკაც. პოეტი ხალხური ლექსიკური ფონდიდან სარგებლობს“ (კუსრაშვილი, 2000, 4). საამისოდ დავიმოწმებთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ შემხვედრ ფრაზებსა და ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ხალხური მეტყველების სურნელს აფრქვევენ:

გურამიშვილი: დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა, 4,7,7-8.

პირი დამიჭკნო, ვითარცა ჩირი, 301,3,3.

რუსთაველი: მე უმისოდ სოფელს ყოფნა, რადგან ჩირად არ მიღირდა, 446,1.

ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად, 878,4.

- გურამიშვილი:** მე რუსთაველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — **ჩალის ძირსა**, 4,7,1-2.
- რუსთაველი:** **ჩალად უჩნს** ყოვლი ქვეყანა მისვე **ჩალისა წონითა**, 1027,4.
- ჩალად მიჩნს** ყოვლი სოფელი, 242,3.
მტერი ყოველი **ჩალად გინს**, 1501,3.
- გურამიშვილი:** ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ **წყალი ღვინოდ ღირსა**, 4,7,5-6.
- რუსთაველი:** **წყარო ღვინისა** ასგან დის, 1552,3.
ღვინოსა სმიდეს, არ დოსა, 1578,4.
- გურამიშვილი:** **თვალად ნასსა** ალამაზებს, ვით ლამაზი არ ახლდების, 5,8,5-6.
- არც ლამაზს ვეძებ, არც **თვალად ნასსა**, 269,451,2.
- რუსთაველი:** მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჰკლე არის და **თვალად ნასი**, 1205,1.

„დავითიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება არა მხოლოდ თანაზიარი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკა, არამედ რუსთაველური მოტივების გურამიშვილისეული ინტერპრეტაცია, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ბესარიონ ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1987, 36): „დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ხშირად იჩენს თავს რუსთაველის მოტივები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გურამიშვილი ახერხებს ახლებურად შეასხას ხორცი იმავე აზრს, რომელიც უბადლო პოეტურობით აქვს გადმოცემული რუსთაველს; სხვა კუთხით, სხვა ფერადებით დაგვანახოს რუსთაველთან უკვე განცდილი, იხმაროს სულ სხვა სიტყვები და ამით კიდევ ერთხელ შინაგანი ალლოთი წარმოაჩინოს ქართული ენის დაუღვეველი შესაძლებლობანი:

ვეფხისტყაოსანი:
ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი
ნიადგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა.

დავითიანი:
ფუ, შენ, ცრუო საწყუთროვო,
რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!
შენ ყოფილხარ, მწარე, შხნაკვი,
მე მეგონე ტკბილი ყანდი.
აქ საკვდავად რად მოგყვანდი,
თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი?
რატომ აგრე უწყალო ხარ,
სასიკვდილოდ არ შეგწყალოდი?!

ამრიგად, „დავით გურამიშვილმა რუსთაველისა და რუსთაველის დროის პოეტურ კულტურაზე დაამყნო თავისი პოეზია“, რის დადასტურებაცაა რუსთაველური სიტყვიერების კვალი „დავითიანში“, სადაც გამჟღავნებულია გურამიშვილის „ბაძით ნდომანი“ რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნისადმი“.

ლიტერატურა

- ამირხანაშვილი, 2005** — ივანე ამირხანაშვილი, „ვარ ხომალდით ზღვას შერთული“, სამეცნიერო შრომების კრებული — „დავით გურამიშვილი—300“, თბ., 2005.
- ამირხანაშვილი, 2006** — ივანე ამირხანაშვილი, ქართული ლიტერატურის საყმაწვილო ისტორია, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №15, 21 აპრილი, 2006.
- ბეზარაშვილი, 2005** — Qქეთევან ბეზარაშვილი, „სწავლა მოსწავლეთას“ პრობლემატიკა, როგორც „დავითიანის“ ორგანული ნაწილი, სამეცნიერო შრომების კრებული — „დავით გურამიშვილი—300“, თბ., 2005.
- გამსახურდია, 1981** — ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1992.
- კეკელიძე, 1981** — კორნელი კეკელიძე, დავით გურამიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
- კვიციანიშვილი, 2006** — ემზარ კვიციანიშვილი, ჩემი უსაყვარლესი პოეტი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №22, 2006.
- კუსრაშვილი, 2000** — რუსუდან კუსრაშვილი, დავით გურამიშვილის ენა და ლექსიკა, თბ., 2000.
- ლეონიძე, 1966** — გიორგი ლეონიძე, დავით გურამიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966.
- მალრაძე, 1974** — ელგუჯა მალრაძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა — გოდება, თბ., 1974.
- მოსია, 2005** — ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2005.
- ნატროშვილი, 1980** - გიორგი ნატროშვილი, დავით გურამიშვილი — ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1980.
- სპარსიაშვილი, 1985** — არჩილ სპარსიაშვილი, დავით გურამიშვილის პოეზია და ხალხური შემოქმედება, თბ., 1985.

სირაძე, 2005 — რევაზ სირაძე, დავით გურამიშვილის სახის-მეტყველება, სამეცნიერო შრომების კრებული, — „დავით გურამიშვილი—300“, თბ., 2005.

სულავა, 2005 — ნესტან სულავა, „ნათლისა გავხდე მიჯნური“, სამეცნიერო შრომების კრებული, — „დავით გურამიშვილი —300“, თბ., 2005.

უჯმაჯურიძე, 2005 — მადონა უჯმაჯურიძე, ელემენტური ნაკადი დავით გურამიშვილის ლირიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული — „დავით გურამიშვილი—300“, თბ., 2005.

ძიძიგური, 1971 — შოთა ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971.

ძოწენიძე, 1970 — ქეთევან ძოწენიძე, დ. გურამიშვილის ენა, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXIII, 1970.

ჯორბენაძე, 1987 - ბესარიონ ჯორბენაძე, დედანის მესაიდუმ-ლე (ესკიზი დავით გურამიშვილის სტილის საკითხებზე), ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987

საანალიზოდ გამოყენებულია:

ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თბ., 1956.

რუსუდან კუსრაშვილი, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 2005.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და შანიძის რედაქციით, თბ., 1951.

დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931.

David Guramishvili's 'Badzit Ndomani' - Desire to Immitate Shota Rustaveli

Summary

The first rate Georgian poet Shota Rustaveli is considered one of the prominent literary forerunners of David Guramishvili's work. David Guramishvili highly appreciated Rustaveli, calling him 'a wise rhetorician'. The comparative study has revealed Rustaveli's influence on David Guramishvili's literary style; the resemblance between the styles of the two poets is apparent in the tropology, rhyming technique, biblical motifs, theological and philosophical themes, encountered in their works. In 'Davitiani' D. Guramishvili makes his desire to imitate Rustaveli quite clear.

რეზიუმე

ა. ფოცხიშვილის მართი „თვითაღიარებული ალმოჩენის“ ბაზო

ტერმინი „თვითაღიარებული“ პოლიტიკიდან ვისესხე. ენათმეცნიერებაში თვითაღიარებული ისეთ აღმოჩენას უნდა ეწოდოს, მართო ავტორი რომ აღიარებს (და შეიძლება, ერთი-ორიც სხვა). სამწუხაროდ, მომრავლდა ასეთი „აღმოჩენები“. მე ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე მინდა ვისაუბრო...

ა. ფოცხიშვილმა ამასწინათ გამოცემულ თავის წიგნში („წერილები“, 2008 წ.) ბრალდებად წამომიყენა, რომ მე მის მეცნიერულ აღმოჩენას არ ვაღიარებ; მეტიც, ვცდილობ მივჩქმლო, ხელი შევუშალო მის პოპულარობას! ბრაზობს იმის გამო, რომ ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ ერთ-ერთ ნომერში დავბეჭდეთ ალ. ონიანის წერილი, ა. ფოცხიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ძვირფას კოლეგის“ ახალი ოპუსი, რომელიც, ეხებოდა **ჩემს ცნობილ გამოკვლევას — „უნებლობის კატეგორია ქართულ ზმნაში“**. სხვათაშორის, ეს გამოკვლევა უცვლელად შეიტანა ფრანგულად გამოცემულ „ქართულ გრამატიკაში“ გამოჩენილმა ქართველოლოგმა ჰ. ფოგტმა, ხოლო **ბატონმა აკაკი შანიძემ მას საგანგებო მოხსენება უძღვნა (დაიბეჭდა ორგზის)**. ახალი კრიტიკოსი (ა. ონიანი — გ.გ.) კი ამტკიცებდა, „ეს შრომა არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ წარმოადგენსო“ (ა. ფოცხიშვილი, წერილები, გვ. 172) (ხაზი ჩემია — გ.გ.).

ვითომ მართლა ასეა? მის „ცნობილ გამოკვლევას“ აკაკი შანიძე აღიარებდა (ორგზის დაიბეჭდა მისი ნაშრომი) და გ. გოგოლაშვილი — არა?

მართალია, ა. შანიძემ „უნებლობის კატეგორიას“ უძღვნა ნაშრომი, მაგრამ იქნებ ისიც ეთქვა, რას ბრძანებდა ბატონი აკაკი ამ „ცნობილ გამოკვლევასზე“.

მოდი, ა. შანიძის აზრიც მოვისმინოთ: 1981 წლის 27 თებერვალს ა. შანიძემ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული

ენის კათედრათა IX სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება **„უნებლობის კატეგორია?“** მოხსენების თეზისები დაიბეჭდა. მოვიყვანო სრულად:

„1. ა. ფოცხიშვილმა თბილისის უნივერსიტეტისაგან გ. ახვლედიანისადმი მიძღვნილ კრებულში 1969 წ. დაბეჭდა წერილი ამ სათაურით: „უნებლობის კატეგორია ქართულ ზმნაში“, სადაც ის ამტკიცებს, რომ ქართულ ზმნას, როგორც აქტივს, ისე პასივს, მოეპოვება კატეგორია, რომელსაც მან უნებლობის კატეგორია დაარქვა (მაგ., შემომაკლა, შემომაკვდა). ამ კატეგორიის მაწარმოებლად მას მიაჩნია ზმნისწინი **შემო**).

2. **სრული გაუგებრობაა** (ხაზი ჩემია — გ.გ.), თითქო მოქმედებითი გვარის ზმნას მოეპოვებოდეს ის გაგება, რომელსაც ა. ფოცხიშვილმა „უნებლობის კატეგორია“ დაარქვა (მაგ., „შემომაკლა“).

3. **შეცდომაა** (ხაზი ჩემია — გ.გ.), თითქო **შემო** ზმნისწინი იყოს „უნებლობის კატეგორიის“ მაწარმოებელი.

4. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას ვნებითი გვარის ზმნათა ისეთ ფორმაზე, როგორიცაა **შემომელია, შემომაკლდა** და მისთანანი, ეს არის ვნებითი ნიუანსი, როგორიცაა შესაძლებლობის ვნებითი. მიჩნევის ვნებითი და გუნების ვნებითი (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის მათემატიკა, § 360, 361, 362). ამათ გვერდით შეიძლება მოთავსდეს უნებლობის ვნებითი, რომელიც ათიოდე ზმნას მოეპოვება“.

1982 წელს ა. შანიძემ ეს მოხსენება გამოაქვეყნა ჟურნალ „მაცნეში“ (№4) სათაურით „უნებლობის კატეგორია თუ უნებლობის ვნებითი“.

როგორც ვხედავთ, „ცნობილი გამოკვლევის“ შესახებ ა. შანიძე წერს „სრული გაუგებრობა“, „შეცდომა“... იგივე უთქვამს ა. ონიანსაც...

არადა, რა არის ენა; რა არის გრამატიკა; რა არის გრამატიკული კატეგორია — ამ კითხვებზე თუ ვინმეს შეეძლო სწორი და დამაჯერებელი პასუხის გაცემა, ა. შანიძე იყო!...

მე რომ აკაკი შანიძისა უფრო მჯერა, ვიდრე ა. ფოცხიშვილისა, ამას თვლის დანაშაულად „ცნობილი გამოკვლევის“ ავტორი...

შევასხენებ „ცნობილი გამოკვლევის“ ავტორს: აღმოჩენის აღიარება მისმა არსმა და მნიშვნელობამ უნდა განსაზღვროს და არა ავტორის სურვილი...

გიორგი გოგოლაშვილი

მარიამ მანჯაბაძე

რუბენ ენოხი – ქართული საქმის ერთგული მსახური

რუბენ ენუქაშვილი — ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახელი და გვარია: იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე; იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, უძღვებოდა ტელე-ლექციებს აბიტურიენტებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში...

1992 წლიდან რუბენ ენუქაშვილი ცხოვრებასა და მოღვაწეობას ისრაელში განაგრძობს. იგი იქაც თავდადებით ემსახურება ქართულ საქმეს. უძღვება ქართულენოვან რადიოგადაცემებს; არის ქართულენოვანი ჟურნალის „დროშა“ რედაქტორი; ქართულად თარგმნა არაერთი ებრაელი პოეტის ლექსი. მისი სამეცნიერო საქმიანობაც ქართულ თემატიკას ეხება; რ. ენუქაშვილმა ლ. ბარამიძესა და ლ. მეტრეველთან ერთად აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი. ეს მრავალი წლის თავდადებული შრომის შედეგია და მისი დიდი მონღომებით უკვე მზადაა გამოსაცემად. ეს აქ — საქართველოში...

იქ კი — ისრაელში კვლავ გრძელდება ერთგული მსახურება ქართული საქმისა. რამდენიმე თვის წინ იერუსალიმში რუბენ ენოხმა (რუბენ ენუქაშვილმა) გამოსცა დაახლოებით სამასგვერდიანი წიგნი: **„თავსილი — ქართველ ებრაელთა შორის არსებული ბიბლიის ტრადიციული ზეპირი თარგმანი“**.

„თავსილი“ არის სახელწოდება ქართველ ებრაელთა შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული ძველი აღთქმის ტრადიციული თარგმანისა, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა. იგი უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის და, შესაბამისად, არც შესწავლის საგანი გამხდარა.

რუბენ ენოხმა **შესაქმის** წიგნი ჩაწერა ერთი რაბინისაგან — ხახამ აბრამ გაგულაშვილისგან. **ბერეშითის** ფრაგმენტები ავტორმა წარმოგვიდგინა რაბი სიმონ ელიშაყაშვილის მიხედვით, ხოლო **ფარამათ ბერეშით** რაბი შალომ ხენის მიხედვით.

მკვლევრის დაკვირვებით, თარგმანი XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი, იგი თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა და დღემდე ასე შემოინახა. ებრაული სარწმუნოების მსახურები სპეციალურად სწავლობდნენ ტექსტს და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ წინაპრებისაგან მიღებული ფორმით. ტექსტის გადმოცემა აბსოლუტური სიზუსტით ვერ ხერხდებოდა, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებდა: რაბინების მეხსიერებითი უნარი, ზოგადი განათლება და ივრითის ცოდნის შესაბამისად ორიგინალის გავლენა; ცოცხალ სამეტყველო ენაში მიმდინარე ცვლილებები, ადგილობრივი დიალექტის გავლენა და სხვ.

„თავსილი“ ისტორიული ცოცხალი მეტყველების უიშვიათესი დოკუმენტია, რომლის სათანადო შესწავლა ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის მთელი რიგი საკითხების გარკვევაში დაეხმარება მკვლევრებს, ნაშრომი მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტური საკითხების შესწავლის თვალსაზრისითაც. ამდენად, „თავსილის“ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერებისათვის.

თავსილის სრული ქართული ტექსტი პარალელურად ლათინური ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი, რაც მის მეცნიერულ ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის.

ისლა დაგვრჩენია, დიდი მადლობა ვუთხრათ ბატონ რუბენს ქართული საქმის ერთგულებისათვის და ვუსურვოთ წარმატებული მოღვაწეობა.

სარჩევი

მ. ალავიძე, ნ. ნებიერიძე — მეტყველების ჟანრობრივი და სიტუაციური ნორმები, როგორც კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველი3

ე. არჩვაძე — იმპლიკაციის რეფლექსურობა და მოდალობა ზეფრაზულ ერთიანობაში.....9

ი. აფაქიძე — ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოების სოციო-პრაგმატიკული ანალიზი.....15

ც. ახვლედიანი — ფრანგული ფონეტიკისა და ფონოლოგიის სოციოლინგვისტური ასპექტები.....31

ე. ბალიაშვილი — სემანტიკური მაჩვენებელი „Who? — ვინ?“ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში.....43

ე. ბალიაშვილი — სამეტყველო აქტების რეალიზაცია საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში.....53

მ. ბარჩხაშვილი — „ქურმუხის“ ეტიმოლოგია.....65

ნ. ბოლქვაძე — პრაგმატიკული პრესუპოზიციის, როგორც სემანტიკური პრესუპოზიციის ერთგვარი დაზუსტება69

ს. გელაძე — მყარი ფორმის პოეტური ტექსტი.....77

ი. გველესიანი — მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (განვითარებული შუასაუკუნეების (XI-XIV საუკუნეები) ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით)84

ნ. გოგოლაშვილი — „დისკურსის“ ცნების ინტერპრეტაციისათვის.....

ნ. დარასელია — ენის პოეტური ფუნქციის რეალიზაციის ზოგიერთი ასპექტი.....96

ი. დემეტრაძე — „არაპირდაპირობა, როგორც თავაზიანობის სტრატეგია“..... 106

ქ. ზოიძე — სახელთა წარმოება „ვეფხისტყაოსანში“ 116

თ. თვალაძე — ემოციების კლასიფიკაცია..... 124

ე. თოფურია — სამეცნიერო სტილის სპეციფიკური ბუნება.... 131

ც. კვანტალიანი — კარ და კიდ ზმნური ფუძეები და მათთან დაკავშირებული ზმნისწინები 135

მ. კინწურაშვილი — ინტერტექსტუალური და ინტერმედიალური ალუზიები და რემინისცენციები ჟულიენ გრაკის ნაწარმოებებში..... 147

მ. კინწურაშვილი — პრეცედენტული ტექსტები, როგორც ლინგვოკულტურული სივრცის ერთეულები..... 157

მ. კობერიძე — სიტყვაწარმოების საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში..... 164

მ. კობერიძე — ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში..... 171

მ. კობეშავიძე — რიტორიკა და რიტორიკული ფიგურების გამოყენება ესპანურ რეკლამაში..... 177

მ. კობეშავიძე — ნეოლოგიზმები თანამედროვე ესპანურენოვან პრესაში და მათი სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა 186

ე. კოშორიძე — რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობისა და წარმომავლობისათვის..... 197

თ. ლომთაძე — ჟარგონის დეფინიციისათვის..... 201

თ. მამარდაშვილი — ზმნური კატეგორიები ძველ ქართველ გრამატიკოსთა ნაშრომებში..... 210

ნ. მაჭავარიანი — ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში..... 220

ე. მელქაძე — ახალ ენათა წარმოქმნის პრობლემატიკა (პიჯინები და კრეოლური ენები) 223

ნ. ნემსაძე — გრაფიტი — ვანდალიზმი თუ თვითდამკვიდრების საშუალება? 230

ნ. ოთინაშვილი — ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები..... 244

ი. პეტრიაშვილი — კონტექსტისა და ვოკაბულარის როლი რეკლამაში..... 254

მ. რუსიეშვილი, მ. ქებურია — იუმორის ვერბალური გამოხატვის რამდენიმე ლინგვისტური ხერხის შესახებ255

მ. საღლიანი — ფლორის აღმნიშვნელი ნასესხები კომპოზიციებისათვის სვანურში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)..... 260

ნ. სახეჩიძე — პირდაპირი და ირიბი ობიექტების სინტაქსური ფუნქციები..... 278

მ. სიორიძე — მენტალური სტერეოტიპები და ნაციონალური მენტალიტეტი სამყაროს ენობრივ სურათში..... 285

ბ. სურგულაძე — საგაზეთო სტატიების სათაურების საინფორმაციო-კომუნიკაციური ფუნქცია.....	293
ბ. სტამბოლიშვილი, ა. აბუსერიძე — სიტყვების ახლე- ბურად გააზრების მოტივები დიაქრონულ ჭრილში.....	298
ი. ფხაკაძე — კონცეპტი თუ პროცედურა?.....	311
ი. ფხაკაძე — სხვანაირი ენათმეცნიერება.....	320
ბ. ფხაკაძე — ტერმინოლოგიური შესიტყვებებისათვის ქართულში.....	327
ლ. ქაროსანიძე — 1629 წლის ქართულ-იტალიური ლექსიკონის ბერძნული სიტყვებისა და ლექსიკონის შემდგენელის საკითხის ურთიერთმიმართებისათვის.....	335
თ. ქაცანაშვილი — ბუნებრივი (დაუმუშავებელი) მულტი- მედური საშუალებების გამოყენება ფრანგული ენის სწავლების დროს.....	352
რ. ქუთრაძე — ელიფსის ერთი შემთხვევა ქართულსა და ინგლისურში და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართ- ულის როგორც უცხო ენის სწავლებისათვის.....	353
ლ. ყავლაშვილი — ბელგიური ფრანგულის ლექსიკური თავისებურებანი და ბელგიციზმები.....	361
თ. შავლაძე — ქართული და ანგლო-ამერიკული ეპიტაფიების შეპირისპირებითი ანალიზი — კულტურული სახესხვაობანი.....	370
ბ. შავრეშიანი — მ გ II მაგ „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის შესახებ ჩოლოურულში...	380
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — ზმნების კლასიფიკაცია და ინდექსაცია კიტა ჩხენკელის ნაშრომებში.....	385
ბ. შარაშენიძე — მითოლოგიის ზეგავლენა სიტყვა- წარმოებაზე.....	396
მ. ცერცვაძე — განუსაზღვრებლობრიანი წინადადებების საკითხისადმი რუსულ და ქართულ ენებში.....	401
მ. ცერცვაძე — მოდალური ზმნებისა და პრედიკატივების სემანტიკური ფუნქცია თანამედროვე რუსულ ენაში.....	405
ბ. ციხიშვილი — II კავშირებითის -ენ//-ნენ დაბოლოებისთვის საშუალო ქართულში.....	408
ა. წეროძე — პროექტით მუშაობა — როგორც ენის ინტერდისციპლინარული სწავლების საშუალება.....	417
რ. ჭიკაძე — დავით გურამიშვილის „ბაძით ნდომანი“	

რუსთაველისადმი.....	424
გ. გოგოლაშვილი — ა. ფოცხიშვილის ერთი „თვითადიარებული ალმოჩენის“ გამო.....	440
მ. მანჯგალაძე — რუბენ ენოხი — ქართული საქმის ერთგული მსახური.....	442

Contents

M. Alavidze, N. Nebieridze – Genre-Specific and Situational Norms of Speech as the Basis for Communicative Implications	8
E. Archvadze – Reflexivity and Modality of Implicatures in Supraphrasal Entities	14
I. Apakidze – Socio-Pragmatic Analysis of English and Georgian Wedding Toasts	30
Ts. Akhvlediani – Sociolinguistic Aspects of French Phonetics and Phonology	42
E. Baliashvili – Semantic Indicator “Who?” in Informative Newspaper Articles	51
E. Baliashvili – Realization of Speech Acts in Informative Newspaper Articles	64
M. Barikhashvili – The Etymology of 'Kurmuxi'	68
N. Bolkvadze – The Pragmatic Presupposition as the Precision of the Semantic One	76
S. Geladze – The Poetic Text with a Rigid Form	83
I. Gvelesiani – Terms Denoting Subjects and Objects of the Law of Succession	88
N. Gogolashvili – Towards the Interpretation of the Notion of Discourse	95
N. Daraselia – Some Aspects of the Realization of the Poetic Function of Language	105
I. Demetradze – Indirectness as Politeness Strategy	115
K. Zoidze – The Forms of Adjective Degrees in "The Knight in the Panther's Skin"	123
T. Tvaladze – Classification of Emotions	130
E. Topuria – Towards the Specific Nature of Scientific Style	134
T. Kvantaliani – The Verb Stems Kar and Kid and the Preverbs Connected with Them	146
M. Kintsurashvili – Intertextual and Intermedial Allusions and Reminiscences in Julien Gracq's Works	156
M. Kintsurashvili – Precedential Texts as Elements of Linguo-Cultural	

Space	163
M. Kobberidze – Towards the Wordformation in the Prone Valley Accent of the Kartlian Dialect	170
M. Kobberidze – Towards the Subject-Predicate Relation in the Prone Valley Variant of the Kartlian Dialect	176
M. Kobeshavidze – Rhetorics and the Use of Rhetorical Figures in Spanish Advertisements	185
M. Kobeshavidze – Neologisms in Modern Spanish Press and Their Wordbuilding Patterns	196
E. Koshoridze – Towards the Meaning and Origin of Several Words	200
T. Lomtadze – Towards the Definition of Jargon	209
T. Mamardashvili – Verb Categories in the Works by Some Georgian Grammarians	219
N. Machavariani – Towards the Origin of Some Abkhazian Names for Antropomorphic Beings	222
E. Melkadze – Some Problems of New Language Formation (Pidgins and Creoles)	229
N. Nemsadze – Graffito — Vandalism or Self-Affirmation	243
N. Otinashvili – The Toponyms Evidenced in Historical Sources	247
I. Petriashvili – The Role of Context and Vocabulary in Advertising	248
M. Rusieshvili, M. Keburia – Towards Several Linguistic Means of Theverbal Expression of Humour	259
M. Saghliani – The Borrowed Compounds Denoting Plants in Svan	277
N. Sakhechidze – Syntactic Functions of Direct and Indirect objects	284
M. Sioridze – Mental Stereotypes and National Mentality in the Language Picture of the World	292
N. Surguladze – The Informational/Communicative Function of Newspaper Headlines	297
N. Stambolishvili, A. Abuseridze – Motives for a Diachronic Change in a Word Meaning	310
I. Pkhakadze – Concept or Procedure?	319
I. Pkhakadze – A Different Kind of Linguistics	326
N. Pkhakadze – Towards Georgian Terminological Collocations	334

L. Karosanidze – Towards the Link Between the Greek Glossary of the 1629 Georgian-Italian Dictionary and the Compiler of the Dictionary.....	343
T. Katsanashvili – Didactique Du Français Langue Étrangère (Fle) Et Les Outils Numériques Authentiques.....	344
R. Kurdadze – On One Case of Ellipsis in Georgian and English and its Practical Importance when Teaching Georgian as a Foreign Language	360
L. Kavlashvili – Some Lexical Peculiarities of Belgian French.....	369
T. Shavladze – A Contrastive Study of Georgian, English and American Epitaphs and their Cultural Peculiarities	378
N. Shavreshiani – Towards the Definite Pronoun mäg mag 'all, everything' in Cholurian.....	384
R. Shamelashvili-Zekalashvili – Verb Classification and Indexation in Kita Chkhenkeli's Works	395
N. Sharashenidze – The Influence of Mythology on Wordbuilding.....	400
M. Tsertsvadze – On the Sentences with Indefinite Persons in Russian and Georgian	404
M. Tsertsvadze – The Semantic Function of Modal Verbs and Predicatives in Modern Russian	407
N. Tskhishvili – On the Endings En/Nen of the Second Subjunctive in Medieval Georgian	416
A. Tserodze – The Project Method as an Interdisciplinary Means for Language Teaching.....	423
R. Chikadze – David Guramishvili's 'Badzit Ndomani' - Desire to Immitate Shota Rustaveli.....	439
G. Gogolashvili – On One 'Self-recognized Discovery' by A. Potskhishvili	440
M. Manjgaladze – Ruben Enoch - the Loyal Servant of Georgian Cause	442